

780
1991


საქართველო

ქართული
ზინური

1991/5-6

საქართველო- დეკემბერი

№ 237
(5-6)





პოლ სეზანო (1839-1906). აქვედუკო



ქართული
ბიბლიოთეკა 1991/5-6

სტატიათა
დიაგნოზი

(103)



საუნაჩუკე

ზინაარსი

პროზა და პოეზია

ანდრეი პლათონოვი. ჩემგანშორი. რომანი. გაგრძელება. თარგმნა გივი კიკილაშვილმა	8
შაპ პრევიერი. ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა რენე კალანდიამ	87
იოჰან ტომანი, მიროსლავა ტომანოვა. სოპრატე. ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანი. დასასრული. თარგმნა გურამ გოგიაშვილმა	97
მარკ შაგალი. ლექსები. თარგმნა დათო ბარბაქაძემ	145
აბათა კრისტინი. თამაში სარკმლებით. რომანი. ინგლისურიდან თარგმნა ეთერ მოიხწრაფიშვილმა	149
იულიუს აელერსი. ლექსები. თარგმნა მერი შალვაშვილმა	278

წერილები

გვანდამან შრი რაჯნეში. ტანტრა. უდიდესი შეცნობა. გაგრძელება. თარგმნა მერაბ ხერგიაშვილმა	278
სერგო თურნავა. კონსტანტინე გამსახურდია და საზღვარგარეთის კულტურის მოღვაწეები	800
სამიონ ფრანკი. რუსული რევოლუციის კალიგრიფი-ისტორიული საზრისი. თარგმნა ავთანდილ ჯობაძემ	810

საქართველოს მწერალთა კავშირი
სსრკ-ის ლიტერატურის ორბიტის მწერალთა

საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული
თარგმანის საპროექტული ცენტრი



საერთაშორისო
საპროექტული

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке

1991 № 5—6

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ИЗДАТЕЛЬСКИЙ ЦЕНТР ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА

მთავარი რედაქტორი:

შოთა ნიშნიანიძე

გივი ძმელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა ღარჩია (პე. მდივანი)

ხარედაქციო კოლეგია:

ჯემალ აქიაშვილი

მზია ბაძრაძე

ბახანა ბრეგვაძე

ბურაბ გოგიასვილი

ნოდარ გურგუიძე

ვახაღი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

რენე კალანდია

გიორგი ნიშნიანიძე

დალი შანგიძე

ნიკო შიასაშვილი

დავით ფერედიანი

გარეკანზე: **გოლ გოგენი**. ჯალი ხილის ნაყოფით ხელში.

მხატვარი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი ნანა ბართია.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის 93-38-10, რედაქციის — 99-73-41.

გად. წარმ. 13. 09. 91 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 20. 02. 92 წ., ქალაქის ზომა 70×108^{1/16}
სააღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7, ტირ. 7000, შეკვ № 1730

ფასი 2 მან.

საქართველოს უფროს-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა,
380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

ანდრეი კლავოროვი

ჩვენი გური



საბჭოთავო
გამომცემლობა

რედაქცია

თარგმანი ბივი კიკილაშვილმა

418.61

ჩვენი გური გვიან იღვიძებდა, მისი მცხოვრებნი საუკუნეთა მანძილზე ჩაგვრის შემდგომ განსვენებას ეძლეოდნენ და ამ განსვენებით ვერა და ვეღარ აღსრულებულიყვნენ. რევოლუციამ ჩვენი გურის მახრას ძილი მოუბოვა და მის მთავარ პროფესიად სული აქცია.

ჩვენი გურიელი ქვეითი ლუი გუბერნიისკენ გამართული ნაბიჯით მიდიოდა, უბეში ცალ მხარეს დვანოვთან მისატანი წერილი ედო, მეორე მხარეს კი — ორცხოები და არყის ქერქის პატარა ტაგნით წყალი, სხეულის სიმსუროვით რომ ათბობდა. იგი გზას მაშინ გაუდგა, როცა ჯერ მხოლოდ ჭიანჭველები და ქათმები იყვნენ წამომდგარნი, ხოლო მზეს ცა კიდით კიდემდე სრულად ჯერაც არ გაეშვიშვლებინა. სიარულისა და პაერის წარმტაცი სიცინცხალისგან ლუის აზრთა ყოველგვარი იჭვინულობანი და გულისტქმანი განეშორა; მის ძალებს გზა ნთქავდა და მავნე სიცოცხლის სიჭარბისგან ათავისუფლებდა. ჯერ კიდევ ჭაბუკობისას საკუთარი მცდელობით დაასკვნა, ქვა რატომ მიფრინავდა: ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მოძრაობით გამოწვეული სიბარულისგან იგი პაერზე მსუბუქი ხდებოდა. ასოების ცნობა არ იცოდა და არც წიგნებისა გაეგებოდა რამე, მაგრამ თავისით დარწმუნდა, კომუნიზმი დედამიწაზე შორეთისკენ ადამიანთა განუწყვეტელი სვლა უნდა იყოსო. ჩებურნისთვის რამდენჯერ პქონდა ნათქვამი, კომუნიზმი ხეტილადად გამოაცხადე და ჩვენი გური სამუდამო ბინადრობიდან აყარეო.

— სინდის-ნამუსიანად მითხარით, ადამიანი რისი მსგავსია — ცხენისა თუ ხისა? — ეკითხებოდა ყველას რევეკომში, რადგან ქუჩებში მოკლე გზებზე სიარული სევდას ჰგვრიდა.

— უმაღლესი რამის მსგავსია! — ისაზრა პროკოფიმ, — ვრცლად გაშლილი ოქეანისა, ძვირფასო ამხანაგო, და სქემათა პარმონიისა!

ლუის მდინარისა და ტბის გარდა სხვა წყალი არ ენახა, პარმონია კი მხოლოდ ორმწკრივა საკრავისა იცოდა.

— კაცში რომ თქვას, ადამიანი უფრო ცხენის მსგავსია, — განაცხადა ჩებურნიმ, როცა ნაცნობი ცხენები გაიხსენა.

— გასაგებია, — ჩებურნის გრძნობათა განგრძობით თქვა პროკოფიმ. — ცხენს მკერდი აქვს, სადაც გული უდევს, კეთილშობილი სახე და თვალები ამშვენებს, რაც ხეს არ გააჩნია!

— ნამდვილად ასეა, პროშკა! — გაუხარდა ჩებურნის.

1. დისაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2, 3-4

საბართველოს
მისამართი
ბიბლიოთეკა

— მეც ხომ მაგას ვამბობ! — კვერი დაუკრა პროკოფიმ.

— სავსებით სწორია! — საბოლოოდ მოიწონა ჩეპურნიმ.

ლუი დაკმაყოფილდა და რევეკომს შესთავაზა, ჩევენგური დაუყოვნებლივ შორეთისკენ დაეძრათ. „საჭიროა, რომ ადამიანი ქარში ნიავდებოდეს, — არწმუნებდა ლუი მსმენელებს, — თორემ იგი კვლავ უძღვრის წმინტების დიწყებს, ანდა თვითონ ერთიანად გამოიფიტება, სეველსაწველი შექცობს — თანაც იცით, როგორ? გზაზე კი შეგობრობის გარეშე ვერავინ გააღებს და კომუნიზმსაც საქმე გამოუღვევლად ექნება!“

ჩეპურნიმ პროკოფი აიძულა, ლუის წინადადება ზუსტად ჩაეწერა, ხოლო შემდეგ ეს წინადადება რევეკომის სხდომაზე განიხილეს. ჩეპურნი ლუის ძირეულ სიმართლეს გრძნობდა, მაგრამ პროკოფის თავის ხელმძღვანელ წინათგრძნობებს არ აწვდიდა და სხდომა მთელ გაზაფხულის დღეს დაძაბულად შრომობდა. მაშინ პროკოფიმ ლუის საქმის ფორმალური აცილება მოიგონა: „მომავალი ომებისა და რევოლუციათა ეპოქის გამო ხალხის მოძრაობა კომუნიზმის დაუყოვნებელ ნიშნად იქნეს მიჩნეული, სახელდობრ მაზრის მოელი მოსახლეობა კაპიტალიზმს უნდა მივუსიოთ, როცა მისი კრიზისი სავსებით მომწიფდება, შემდგომში გამარჯვებათა გზაზე სრბოლა არ შევაჩეროთ და ადამიანები მთელი დედამიწის სფეროს გზებზე სვლისას ამხანაგური გრძნობით გამოვაწრთოთ; ჯერჯერობით კი კომუნიზმი ბურჟუაზიასთან ბრძოლით მოპოვებული ფართობით უნდა შემოვფარგლოთ, რათა სამართავად რაიმე გაგვაჩინდეს“.

— არა, ამხანაგებო, — აცილებას არ დაეთანხმა წინდახედული ლუი, — ბინადარ ყოფაში კომუნიზმი არხურის დიდებით არ განხორციელდება, რადვან არც მტერი ეყოლება და არც სიხარული ექნება!

ჩეპურნი ამ მსჯელობას ყურადღებით უსმენდა; პროკოფი ჩეპურნის აკვირდებოდა, მაგრამ მის ცვალებად გრძნობათა ამოცნობას ვერ ახერხებდა.

— ამხანაგო ჩეპურნი, — გადაწყვეტილების გამოტანას შეეცადა პროკოფი. — მუშათა განთავისუფლება ხომ თავად მუშების საქმეა! დაე, ლუი წავიდეს და თანდათან განთავისუფლდეს! ჩვენ აქ რა შუაში ვართ?

— მართალია! — ცხარედ დაასკვნა ჩეპურნიმ. — გასწი, ლუი, მოძრაობა მასების საქმეა, ჩვენ მასებს ფეხებში არ გავეხლართებით!

— მაშ გმადლობთ, — რევეკომს თავი დაუკრა ლუიმ და გარეთ გავიდა, რათა ჩევენგურიდან სადმე წასვლის უცილობელი გზების ძიებას შესდგომოდა.

ერთხელაც ლუიმ ზორზოხა ცხენზე მჯდარ კოპიონკინს თვალი ჰკიდა და უმაღლ სინდისის ქენჯნა იგრძნო, იმიტომ რომ კოპიონკინი საითკენღაც მიემართებოდა, თავად კი უძრავ ალაგას ცხოვრობდა; ჰოდა, უფრო მეტად მოესურვა, რომ ქალაქიდან შორს წასულიყო; წასვლამდე კი განიზრახა, კოპიონკინის მიმართ თანამგრძნობელობის გამომხატველი რაიმე მოემოქმედა, მაგრამ ხელთ არაფერი ჰქონდა — ჩევენგურში საჩუქრად მისაძღვნელი საგნები არ არსებობდა; კოპიონკინს იმით თუ აამებდა, თუკი მის ცხენს წყალს დააღვეინებდა, მაგრამ კოპიონკინს თვალი შეაკვრად ეჭირა, რომ პროლეტარულ ძალას უცხო არავინ გაჰკარებოდა და წყალს პირადად თვითონ ასმევდა. ჰოდა, ახლა ლუის სიანაწული ეუფლებოდა იმის გამო, ამქვეყნად მრავალი სახლი და ნივთიერება რომ არსებობდა და მაინცადამაინც ის არ მოიპოვებოდა, რითაც ადამიანთა თანამეგობრობა აღინიშნებოდა.

ლუიმ გადაწყვიტა, გუბერნიაში ჩასვლის მერე ჩევენგურში აღარ დაბრუნებულყო, თვით პეტროგრადამდე მიეღწია, იქ ფლოტში დაეწყო სამსახური, სანაოსნოდ გამგზავრებულყო და თავისი ძმობისმსურველი სული/ყველგან ხმელეთის, ზღვისა და ადამიანების ცქერით ეკვება. იგი წყალგამყოფზე შეჩერდა, საიდანაც ჩევენგურის მინდვრები მოჩანდა და იქიდან ქალაქს და დილის შექს გახედა.

— მშვიდობით, კომუნიზმ და ამხანაგებო! ცოცხალი თუ ვიქნები, ყოველ თქვენგანს გავიხსენებ!

კობიონკინი ამ დროს ქალაქგარეთ იყო გასული, პროლეტარულ ძალას ფეხის გასამართავად დააჭენებდა და შემალღებულ ალაგას მდგარი ლუი შეამჩნია.

„როგორც ეტყობა, ეგ მაწინწალა ხარკოვისკენ აპირებს გადახვევას, — გულში დაასკვნა კობიონკინმა. — ამათ გადაშვიდეს რევოლუციის ოქროს დღეები ხელში გამიჭრება!“ — ჰოდა, ცხენი ქალაქისკენ სწრაფად გააქანა, რათა მთელი კომუნიზმი საბოლოოდ, თანაც დღესვე შემოწმებინა და საჭირო ზომები მიეღო.

სახლების გადაადგილების გამო ჩევენგურში ქუჩები გამჭრალიყო — ყველანაგებობა ადგილზე კი არ იდგა, გზას გასდგომოდა; პროლეტარული ძალა პირდაპირსა და გაშანდაკებულ გზებს იყო ნაჩვევი, ახლა დელავდა და ხშირ-ხშირი მიხვევ-მოხვევისგან ოფლად იღვრებოდა.

ერთი გზა-კვალაბნეული, გვერდზე გადაბრეცილი ბედლის გვერდით ჭაბუკი და ქალიშვილი იწვნენ, ზემოდან ერთი ტყაბუჭი ჰქონდათ წახურული. ქალიშვილს აღნაგობაზე ეტყობოდა, კლავდიკა უნდა ყოფილიყო. კობიონკინმა ცხენი განზე გაიყვანა და მძინარეებს ფრთხილად შემოატარა: იგი სიჯილეს კრძალვით ეპყრობოდა და პატივსაცემდა, როგორც დიადი მომავლის შეუფეხას. კობიონკინი ოდესღაც რევოლუციის მსვლელობაში თავისი თანამგზავრის, ალექსანდრ დვანოვის მიმართ პატივისცემითა და სიყვარულით იყო განმსჭვალული ასევე მისი სიჯიელის გამო, რასაც ქალიშვილების მიმართ გულგრილობა ამშვენებდა.

სადღაც, ერთმანეთზე მიჯრილ სახლთა სიღრმეში, ვიღაცამ გაბმით დაუსტვინა. კობიონკინმა ყურები ცქვიტა და სმენა გაამახვილა. სტვენა შეწყდა.

— კობიონკინო! ამხანაგო კობიონკინო, საბანაოდ წავიდეთ! — სადღაც ახლოს ყვიროდა ჩეპურნი.

— უსტვინე — სტვენის ხმაზე მოგაგნებ! — ბოხი ხმით დასტექა კობიონკინმა.

ჩეპურნი გაცხარებით მოჰყვა სტვენას, ხოლო კობიონკინს არეულ-დარეულ ქალაქის ხეობებში ცხენი მისკენ ძრომა-ძრომით მიჰყავდა. ჩეპურნი ფარდულის პარმალზე ფეხშიშველი იდგა, მაზრა შიშველ ტანზე ეცვა. პირში ორი თითი ჩაედო სტვენის ძალის მოსამატებლად, ხოლო თვალები გაბრწყინებული ცისკენ აღებყრო, სადაც მზის მცხუნვარება მძლავრობდა.

კობიონკინმა პროლეტარული ძალა ფარდულში ჩაამწყვდია და ფეხშიშველ ჩეპურნის უკან გაჰყვა. ჩეპურნი დღეს ბედნიერად გრძნობდა თავს, როგორც ყველა ადამიანთან საბოლოოდ დაძმობილებული კაცი. სანამ მდინარეს მიაღწევდნენ, გზად მრავალი გამოღვიძებული ჩევენგურელი შემოხვდათ. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, ოღონდ ლატაკური შესახედაობა ჰქონდათ და იერით აქაურებს არ ჰგავდნენ.

— ზაფხულის დღე გრძელია, ამ ხალხმა რა უნდა აკეთოს? — ჰკითხა ჩეპურნის კობიონკინმა.

— შენ ამათი გულმოდგინეობის თაობაზე მეკითხები? — ზუსტად ვერ მიხვდა ჩეპურნი.

— თუნდაც ასე იყოს.

— მათი ძირითადი პროფესია ადამიანის სულია. ხოლო ამ პროფესიის შედეგი მეგობრობა და ამხანაგობა! მითხარი, გეთაყვა, რითია ურიგო საქმიანობა!

კობიონკინი უწინდელი ცხოვრების სიბეჩავეზე ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— თქვენთან, ჩევენგურში, ძალზე კარგად გაქვთ საქმე აწყობილი, — სვედიანად თქვა მან. — ვაითუ, უბედურების გამორევა შეიქნას საჭირო: კომუნისში ცხარე უნდა იყოს, ცოტაოდენი საწამლავი საქმელს აგემრიელებს.

ჩეპურნიმ პირში მარლის გემო იგრძნო და კობიონკინს უმაღ მიუხვდა.

— კაცმა რომ თქვას, მართალია, ჩვენ ახლა უბედურება განზრახ უნდა გამოვიწვიოთ. ამხანაგო კობიონკინო, მოდი, ამ საქმეს ხვალადახვე შევუდგეთ.

— მე ასეთ რამეში არ გავერევი: ჩემი საქმე სხვა რამეა სჯობია, დევანოვი ჩამოვიდეს — ის ყველაფერს მიგიხვდება.

— ჩვენ ამას პროკოფის დაევალებით!

— პროკოფის თავი გაანებე. ყმაწვილს შენს კლავდიუშასთან გამრავლება სწადია, შენ კიდევ სხვა საქმეში გინდა ჩაითრიო!

— კარგი, ასე იყოს — შენს თანამებრძოლს მოვუცადოთ!

მდინარე ჩევენგურკას ნაპირზე დაუცხრომელი წყალი ჩქეფდა; წყლიდან ჰაერი მოედინებოდა, რომელიც ღვინებისა და თავისუფლების სურნელებას აფრქვევდა, და ორი ამხანაგი წყალთან შესახვედრად გაშიშვლებას შეუდგა. ჩეპურნიმ მაზარა გაიძრო და უმაღ შიშველი და შესაბრაღისი შეიქნა, სამაგიეროდ, მის სხეულს დიდი ხნის პირშეკრული, შედედებული დედობრივი ნაშთის სუნის აედინა, რაც კობიონკინის მახსოვრობას ძლივსუა შემოენახა.

მზემ ჩეპურნის გამხდარი ზურგი ინდივიდუალური დაკვირვებით გაანათა, კანის ყოველ ოფლიან ჰდესა და ნაწიბურში შეიჭრა, რათა თავისი სიმხურვალით მოესპო უხილავი არსებანი, რომელთა გამო კაცს სხეული გამუდმებით ექავეება. კობიონკინმა მზეს პატივისცემით ახედა: იგი ხომ რამდენიმე წლია წინ როზა ლუქსემბურგს ათბობდა და ახლა მის საფლავზე ამოსულ ბალახს ასულდგმულებდა.

კობიონკინს მდინარეში დიდი ხანი არ ებანავა და სიცივისგან კარგა ხანს კანკალებდა, სანამ არ მიეჩვია. ჩეპურნი კი თამამად დაცურავდა, წყალში თვალებს ახელდა და ფსკერიდან მრავალნაირი ძვლები, დიდრონი ლოდები და ცხენის თავები ამოჰქონდა. შუა მდინარეში, სადამდეც გაუწათავი კობიონკინი ვერ გაცურავდა, ჩეპურნი სიმღერებს გაჰკიოდა და ლაპარაკის გუნებაზე სულ უფრო მეტად მოდიოდა. კობიონკინი ისეთ ადგილას ყვინთავდა, სადაც მდინარე ღრმა არ იყო, იქ წყალს ხელით სინჯავდა და ფიქრობდა: ესეც თავისთვის სადღაც მიედინება, სადაც თავს კარგად იგრძნობსო!

ჩეპურნი ნაპირზე მთლად გამხიარულებული და ბედნიერი გამოვიდა.

— კობიონკინო, იცი რა, წყალში როცა ვარ, მეჩვენება, რომ სიმართლე ზუსტად ვიცი... ხოლო რევეკომში ფეხს შევდგამ თუ არა, ყველაფერი როგორღაც მელანდება და წარმომესახება...

— შენც ნაპირზე იმოღვაწე...

— მაშინ გუბერნიის თეზისებს წყალი დაასველებს, შე სულელო! კოპიონკინმა არ იცოდა. თეზისი რა იყო. — ეს სიტყვა საიდნლაც ახსოვდა. მაგრამ ვერ კი შეიგრძნობდა.

— რაკილა წვიმა მოდის, ხოლო მერე მზე ანათებს, თეზისებს ხულარ დაინანებ, — დამამშვიდებლად უთხრა კოპიონკინმა. — ზღაპრული პური ხომ მაინც აღმოცენდება.

ჩებურნიმ გონებაში მოწადინებით დაითვალა და გონებას თითებითაც წახეხარა.

— მაშასადამე, შენ სამ თეზისს აცხადებ?

— არც ერთი არ არის საჭირო, — უარყო კოპიონკინმა. — ქალაქზე მხოლოდ და მხოლოდ სიმღერები უნდა წერო დასამახსოვრებლად.

— ასე როგორ იქნება? მზე — ეს შენი ერთი თეზისი! წყალი — მეორე, ხოლო ნიადაგი — მესამე.

— ქარი რატომ დაგავიწყდა?

— ქართან ერთად ოთხი იქნება. მორჩა და გათავდა. თითქოს ეს გამოთვლაც სწორია. ოღონდ, იცი რა, გუბერნიაში თეზისებზე პასუხს თუ არ გავგზავნით, რომ ჩვენთან ყველაფერი კარგადაა, მაშინ იქიდან მთელი ჩვენი კომუნიზმის ლიკვიდირებას მოახდენენ.

— არაფრის დიდებით, — უარყო კოპიონკინმა ამგვარი ვარაუდი. — იქაც ხომ ჩვენნაირი ხალხია!

— ჩვენნაირები კი არიან, მაგრამ გაუგებრად წერენ და სულ გვთხოვენ, ვესმის, რომ ყოველივე უფრო მეტად გავითვალისწინოთ და ყველაფერს უფრო მეტიც ვუხელმძღვანელოთ. მაგრამ ჩვენგურში აბა რა უნდა გავითვალისწინოთ და ხალხს რა მხრივ უნდა ვუხელმძღვანელოთ?

— მაშ ჩვენ რაღა ვყოფილვართ?! — გაიკვირვა კოპიონკინმა. — განა ქვეწარმავლებს ნებას მივცემთ, რომ სადმე თავი შემორგონ? ჩვენ უკან ლენინი დგას!

ჩებურნი ლერწმიანში დაბნეული შეძვრა და მკრთალი, უძლური, ღამეული ფერის ყვავილები მოკრიფა. ეს ყვავილები კლავდიუსასთვის მისართმევად უნდოდა, ვისაც მცირედ ფლობდა, მაგრამ ამის გამო მის მიმართ უფრო მეტ მზრუნველობას და სინაზეს იჩენდა.

ყვავილების მოკრეფის შემდეგ ჩებურნიმ და კოპიონკინმა ტანთ ჩაიცვეს და მდინარის ნაპირა გაუყვნენ, ნოტიო ბალახზე მიაბიჭებდნენ და ჩვენგური იქიდან თბილ მხარედ ეჩვენებოდათ. — იქ მოჩანდნენ მშით განათებული, ვეზშიშველი და უქუდო ადამიანები, ჰაერზე რომ გამოსულიყვნენ და თავი-უფლებით ტკბებოდნენ.

— ამჟამად ეს კარგია, — განყენებულად ჩაილაპარაკა ჩებურნიმ. — ადამიანის მთელი სიტბო გარეთაა! — თან ხელი გაიშვირა ქალაქისა და იქ მყოფი ხალხისკენ. მერე პირში ორი თითი ჩაიღო, დაუსტვინა და შინაგანი არსებობის სიმხურვალე შემოგზნებულმა კვლავ წყალში შეტოპა ისე, რომ მაზრა არ გაუხდია; რაღაც მოჭარბებული შავი სიხარული აწამებდა, ლერწმიან ნაპირში გაშლივინდა და სუფთა მდინარეში შევარდა, ბუნდოვან, სევდიან ვნებათა გასანელებლად.

— ამას ჰგონია, მთელი ქვეყნიერება კომუნიზმის ნებაზე მიუშვა: უხარია ამ მაწანწალას! — ჩებურნის საქციელი გაკიცხა კოპიონკინმა. — მე კი აქ ვერაფერი დამინახავს!

ლერწმიანში ნავი იდგა, სადაც შიშველი კაცი მდუმარედ იჯდა; იგი მდინარის გაღმა ნაპირს ჩაფიქრებული გასცქეროდა, თუმცა ნავით მდინარის გადაცურვა და იქ გასვლა შეეძლო. კობიონკინმა მისი სუსტი, ნეკნებამოცვიენული სხეული და მტკივანი თვალი დაინახა.

— შენ პაშინცევი ხარ, არა? — ჰკითხა მას კობიონკინმა.

— ჰო, მაშ ვინ ვიქნები! — უმაღ უბასუხა ნავში მჯდომმა.

— აბა, რევნაკრძალში პოსტი რატომ მოიტოვე?

პაშინცევმა მორჩილი თავი სევდიანად ჩაჰკიდა.

— ამხანაგო, მე იქიდან სულმდაბლად გამომამძვევს.

— შენც ბომბებს იხმარებდი.

— ბომბები თურმე ადრე განმიმუხტია, — ჰოდა, ამიტომაც ახლა პატივდაკარგული დავეხეტები, როგორც დრამატული შეშლილი.

კობიონკინმა ზიზღი იგრძნო შორეული თეთრი არამზადების მიმართ, ვინც რევნაკრძალის ლიკვიდირება მოახდინა, ხოლო საკუთარ არსებაში საბასუხო სიმამაცე აღეძრა.

— ამხანაგო პაშინცევო, დარდი ნუ გაქვს: თეთრებს ცხენიდან ჩამოუხტომლად გავანადგურებთ, ხოლო რევნაკრძალს სხვა ადგილას დავაფუძნებთ. ამჟამად ხელთ რა გაქვს დარჩენილი?

პაშინცევმა ნავის ფსკერიდან მკერდზე შემოსაცმელი რაინდული ჯავშანი ამოიღო.

— ცოტა რამ გქონია, — განსაზღვრა კობიონკინმა. — მარტო მკერდს დაგიცავს.

— თავი ჯანდაბას, — საკუთარ თავს ფასი არ დასდო პაშინცევმა — გული ჩემთვის ყველაზე უფრო უძვირფასესია... ცოტა რამ კიდევ მაქვს, რაც გოგრას დამიფარავს და რასაც ხელში მოვიმარჯვებ. — პაშინცევმა კობიონკინს დამატებით მომცრო აბჯარი აჩვენა — შუბლის ზარადი, რომელსაც წითელი ვარსკვლავი სამუდამოდ ჰქონდა ჩაბრაზნილი, ხოლო მერე უკანასკნელი ცარიელი ხელყუმბარაც ამოიღო.

— ჰო, ეგ შენთვის სავსებით საკმარისია, — განუცხადა პაშინცევს კობიონკინმა. — ახლა ეს მითხარი, შენი ნაკრძალი სად გაქრა, — ნუთუ ისე დაუძღურდი, რომ გლეხებმა ნაკრძალი თავისუფლად გააკულავენ?

პაშინცევი ნაღვლიან გუნებაზე იყო და მწუხარებისგან ძლივს დალაპარაკობდა.

— იმას არ გეუბნები, იქ საბჭოთა მეტრნეობის ფართო ორგანიზაცია დააწესეს-მეთქი. შიშველ სხეულზე ნეტა რას დამჩერებიხარ?

კობიონკინმა პაშინცევის შიშველი სხეული ერთხელაც შეათვალიერა.

— მაშ ჩაიცი და გამომყევი: ჩვევგური ერთად გამოვიკვლიოთ, — აქაც ფაქტები არ კმარა, ხოლო ადამიანებს სიზმრები ეზმანებათ.

მაგრამ პაშინცევი კობიონკინს თანამგზავრად არ გამოადგებოდა — მკერდზე შემოსაცმელი ჯავშნისა და ზარადის გარდა ტანსაცმელი არ აღმოაჩნდა.

— ასე წამოდი, — გაამხნევა იგი კობიონკინმა. — რა გგონია, ხალხს ცოცხალი ადამიანის სხეული არ უნახავს? რა იყო, რა დიდი რამეც ეგ არის — კუბოშიც ხომ ამასვე დებენ!

— არა, ერთი გაცოდინა, ბოროტების რანაირი ფესვი აღმოჩნდა! — თან დაპარაკობდა და თანაც ლითონის ტანსაცმელს ახარისხებდა პაშინცევი, — რევნაკრძალიდან წესიერად გამომიშვეს: თუმცა ნახიფათალი, მაგრამ ცოცხა-

ლი და ტანსაცმლიანი. ხოლო სოფელში ჩემმავე გლეხებმა რაკილა ნახეს, ვი-
ლაც დროებავარდასული და, რაც მთავარია, არმიისგან დამარცხებული კაცი
ჰოდისო, უმაღვე ტანსაცმელი მთლიანად შემომამარცხეს და მარტო, რომი რა-
ლაც მომიგდეს, რათა გარიჟრაჟზე აბჯრით გავმთბარიყავი; ბომბი კი მე თვი-
ონ შემოვინახე და გამოვიყოლე.

— ნუთუ მთელმა არმიამ შემოვიტია? — გაიკვირვა კობიონკინმა.

— მაშ რა გგონია? ერთი კაცის წინააღმდეგ ასი მხედარი დაირობდა. თანაც
თადარიგში სამღუიმიანი ქვემეხი გამზადებული ედგათ. ერთი დღე-ღამე მა-
ინც გავუძელი და არ ვნებდებოდი — მთელ არმიას გამოშიგნული ბომბებით
ვაშინებდი. მერე გრუნკამ — იქ ერთი ქალიშვილია — გამცა, იმ ძუკნამ.

— ჰო-ო, — ირწმუნა კობიონკინმა. — კარგი, წავიდეთ, შენი რკი-
ნები და ერთი ხელი მომაწოდე.

პაშინცევი ნავიდან ამოვიდა და სანაპირო ქვიშაზე კობიონკინის ფეხთა
სწორ ნაკვალევს გაუყვა.

— ნუ გეშინია, — ამშვიდებდა კობიონკინი შიშველ ამხანაგს. — შენით
ხომ არ გაშიშვლებულხარ — ნახეერადთეთრებმა დაგამცირეს.

პაშინცევი მიხვდა, რომ შიშველ-ტიტველი ლატაკობის — კომუნიზმის
გულისთვის მიდიოდა და ამიტომ არ რცხვენოდა, გზად ქალები რომ შემო-
ეყრებოდნენ.

პირველად კლავდიუშა შემოხვდათ; მან პაშინცევის სხეული წამიერად
შეათვალიერა და თვალებზე მოსახვევი თათრის ქალივით აიფარა.

„საშინლად დამკვნიარი მამაკაცია, — გაიფიქრა მან, — ერთიანად ხალე-
ბით არის დაწინწკლული, ოღონდ სუფთაა — მქისე კანი არა აქვს!“ მერე
ხმამალლა თქვა:

— მოქალაქენო, აქ ფრონტი ხომ არ არის — შიშველი სიარული მაინც
უწესობაა.

კობიონკინმა პაშინცევს სთხოვა, ამ გომბიოს ლაყბობას ნურაფრად ჩა-
აგდებ — ბურჯუა გახლავს და ერთთავად ჯუჯლუნებს: ხან მოსახვევს მოითხოვს,
ხან მოსკოვში წასვლას, ახლა კიდევ შიშველ პროლეტარს გასაქანს არ აძლევ-
სო. პაშინცევმა ცოტათი მაინც დაირცხვინა, ამიტომ ჯავშანი შემოიცივა და
შუბლზე ზარადი გაიკეთა, თუმცა სხეულის უმეტესი ნაწილი დაუფარავი და-
რჩა.

— ასე უკეთესია, — დაასკვნა მან, — ეგონებათ, ახალი პოლიტიკის
ფორმა არისო!

— მეტი რალა გინდა? — შეათვალიერა კობიონკინმა. — ახლა თითქმის
შემოსილი ხარ, მხოლოდ ეგ არის, რომ რკინა გაგაგრილებს!

— რკინას სხეული გაათბობს, — ჩემს შიგნით ხომ სისხლი მიედინება!

— სისხლი ჩემს სხეულშიც მიედინება! — იგრძნო კობიონკინმა.

მაგრამ ჯავშნის რკინისაგან პაშინცევს სხეული არ უცივდებოდა — ჩევენ-
გურში თბილოდა. ადამიანები ადგილიდან დაძრულ სახლებს შუა გაჩენილ
ქუჩაბანდებში მწკრივებად ისხდნენ და ერთმანეთს ხმადამლა ელაპარაკებო-
დნენ; სითბო მხოლოდ მზის სხივთაგან კი არა, ადამიანებისგან და მათი სუნ-
თქვისგანაც მოედინებოდა. პაშინცევი და კობიონკინი ჩახუთულ ჰაერში მია-
ბიჯებდნენ — ერთმანეთზე მიჯრილი სახლების, მზის მხურვალეებისა და ადა-
მიანთა მღელვარე სუნის გამო არსებობა ბამბის საბნის ქვეშ ძილს ემსგავსე-
ბოდა.

— ცოტა არ იყოს, თვლემამ მომეძალა, შენ არა? — ჰკითხა პაშინცევის კობიონკინმა.

— მე, საერთოდ, ისე ვარ, რა! — საკუთარ თავს ~~არ~~ ^{ჩაქვირებებია}, ისე უბასუხა პაშინცევი.

აგურით ნაშენი, ადგილუცვლელი სახლის ახლოს, ~~სადმაც ჩვეულებურში ახ-~~ ლად ჩამოსულმა კობიონკინმა ღამე გაათია, პიუსია ~~განმარტობის~~ ^{განმარტობის} იჯდა და ყველაფერს უგულისყუროდ უცქეროდა.

— მისმინე, ამხანაგო პიუსია! — მიმართა მას კობიონკინმა. — მე დაზვერვის მიზნით მთელი ჩევენგურის შემოვლა მესაჭიროება — გამოგვეფი და ყველგან მარშრუტით დაგვატარე!

— ეგ შეიძლება, — დაეთანხმა პიუსია, ისე რომ ფეხზე არ წამომდგარა. პაშინცევი სახლში შევიდა და იატაკიდან ძველი, 1914 წლის ნიშუშის ჯარისკაცური მაზარა აიღო. მაზარა ტანმალალი კაცისთვის იყო შეკერილი და პაშინცევს მთელი ტანი ერთბაშად დაუფარა.

— ახლა ნამდვილ მოქალაქესავით ხარ გამოწყობილი! — შეაფასა კობიონკინმა — სამაგიეროდ, საკუთარ თავს ნაკლებად გავხარ.

სამი კაცი ჩევენგურის ჩამთბარ შენობათა შორის გზას გაუყვა. გზის შუაგულსა და ცარიელ ალაგებში ჩამომჰკნარი ბაღები მოწყენილნი იდგნენ: ამ ბაღებს მზარზე გადებულებს დაატარებდნენ. უკვე რამდენიმეჯერ გადარგ-გადმორგეს და ამის გამო დაუძლურებულნიყვნენ. თუმცა მზის შუქი და წვიმები არ აკლდათ.

— აი, ესეც ფაქტი — ხელი გაიწიდა კობიონკინმა გაყურებული ხეებისკენ. — ამ ეშმაკის კერძებმა თავისთვის კომუნიზმი რომ მოიწყვეს, განა ხეებს აღარ სჭირდებათ?!

ველობებზე იშვიათად გამოჩნდებოდნენ ხოლმე საიდანლაც მოსული ბავშვები. ისინი ჰაერზე ყოფნას, თავისუფლებას და ყოველდღიური აღზრდის უქონლობას ჩემრგვალეობინა. ხოლო ზრდასრულ ადამიანებს ჩევენგურში, კაცმა არ იცის, რა ასულდგმულებდა: კობიონკინმა მათი ახალი გრძნობები ჯერ ვერ შეამჩნია. შორიდან ისინი იმპერიალიზმიდან შვებულებაში მყოფებად ეჩვენებოდა. მაგრამ გულს შიგნით რა ჰქონდათ, ანდა ერთმანეთთან რა აკავშირებდათ, საამისო ფაქტები არსად ჩანდა: კარგი გუნება-განწყობილება კი კობიონკინს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის სხეულში სისხლის თბილ ანაორთქლად მიაჩნდა, რაც კომუნიზმს არ ნიშნავდა.

სასაფლაოსთან ახლოს, სადაც რევკომი იყო მოთავსებული, ჩაქცეული მიწა მოჩანდა და ეს ჩანაქცევი გრძლად მიემართებოდა.

— მანდ ბურჟუები წვანან, — თქვა პიუსიამ. — მე და იაპონელმა ამით სული დამატებით ამოვხადეთ.

კობიონკინმა საფლაოვის ჩაქცეული სიადაგი ფეხით მოსინჯა და კმაყოფილება იგრძნო.

— მაშასადამე, ასე უნდა მოქცეულიყავი! — უთხრა მან პიუსიას.

— ამას ხომ გვერდს ვერ აუვლი, — ფაქტი გაამართლა პიუსიამ. — ჩვენ ცხოვრების აუცილებლობა დაგვიდგა...

პაშინცევი კი ამის გამო განაწყენდა. საფლაოვი დაუტკეპნავი რომ მიეტოვებინათ — ეს ალაგი უნდა დაეტკეპნათ: ძველი ბალისთვია ხელი მოეგლოთ და აქ გადმოეტანათ, მაშინ ხეები კაპიტალიზმის ნაშთებს მიწიდან ამოწოდნენ და სოციალიზმის მწვანე ყლორტებად მზრუნველობით გარდაქმნიდნენ:

თუმცა დატკეპნა პიუსიას თავადაც სერიოზულ საქმედ მიაჩნდა, მაგრამ ამის აღსრულება იმიტომ ვერ მოასწრო, რომ გუბერნიამ იგი საგანგებო კომისიის თავმჯდომარეობიდან გადააყენა; ამის გამო თითქმის არ განაწილებულა, რადგან იცოდა, რომ საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობისთვის საჭირონი იყვნენ განათლებული ადამიანები, რომელნიც მას არ შეეძლო დაეძინებინა, და ბურჟუაზიას იქ სარგებლობა მოჰქონდა. მას შემდეგ, როცა რევოლუციური თანამდებობიდან გადააყენეს, პიუსიამ ამგვარი რწმენის გამოისობით რევოლუცია ერთხელ და სამუდამოდ თავისზე ჰკვიანად აღიარა და ჩვევგურის კოლექტივის მასაში მიყუჩდა. პიუსიას ყველაზე უფრო მეტად კანცელარიები და დაწერილი ქაღალდები აშინებდა — თვალს მოჰკრავდა თუ არა, უმაღვე გაისუსებოდა ხოლმე, დაღვრემილს სხეულში ძალა გამოელვოდა და აზრისა და დამწერლობის შავი მაგიის ძლევამოსილებას შეიგრძნობდა. პიუსიას დროს ჩვევგურის საგანგებო კომისია ქალაქში მდებარე ველობზე იყო მოთავსებული, კაპიტალთან ანგარიშსწორების თაობაზე ჩანაწერების ნაცვლად პიუსიამ ანგარიშსწორებათა საყოველთაო-სახალხო თვალსაჩინოება შემოიღო და, როცა შემამულეებს ხელში ჩაიგდებდნენ, მოჯამაგირეებს სთავაზობდა, თქვენი ბატონები თქვენვე დაზოცეთო, რაც აღსრულდებოდა ხოლმე. ამჟამად კი, როდესაც ჩვევგურში კომუნისთვის საბოლოო განვითარება ხელთა ჰქონდათ, საგანგებო კომისია ჩებურნის პირადი დასკვნის შედეგად სამუდამოდ გაუქმდა და ველობზე სახლები გადმოათრის.

კობიონკინი ჩაფიქრებული იდგა ბურჟუაზიის საერთო საფლავთან, რომელზედაც არც ბორცვი იყო წამომართული, არც ხე და არც სხვა რაიმე ამახსოვრო მოჩანდა. მას ბუნდოვნად ეჩვენებოდა, რომ ეს იმისთვის იყო ნამოქმედარი, რათა როზა ლუქსემბურგის შორეულ საფლავს ხეც, ბორცვიც და საუკუნო ხსენებაც ჰქონოდა. კობიონკინს ერთი რამ მაინცადამაინც არ მოსწონდა — ბურჟუაზიის საფლავი საგულდაგულოდ დატკეპნილი რომ არ იყო.

— რაო, რა თქვი, ბურჟუებს სული დამატებით ამოვხადეთო? — შეეჭვდა კობიონკინი. — შენ ამიტომაც გაუუქმებხართ, მაშასადამე, ბურჟუებს უკლებლივ და სასიკვდილოდ არ ცხრილავდით! მიწაც მარტო მიგიყრიათ, და არ დაგიტკეპნიათ!

ამის თაობაზე კი კობიონკინი ძალიან ცდებოდა. ბურჟუები ჩვევგურში საგულდაგულოდ სინდის-ნამუსიანად ამოწვეიტეს; ისინი საიქიოშიაც ველარ გაიხარებდნენ, იმიტომ რომ სხეულის მერე სულიც დაუბზრიტეს.

ჩვევგურში ცოტა ხანს ცხოვრების შემდეგ ჩებურნიმ გულისტკივილი იგრძნო, ვინაიდან ქალაქში წვრილი ბურჟუაზია ჯარბად იმყოფებოდა. ჩებურნი მთელი არსებით გაიტანჯა — ჩვევგური კომუნისთვის ძალზე ევიწროვა, რადგან ნიადაგი ქონებითა და მქონებელი ხალხით დანაგვიანებული გამოდგა. საჭირო კი იყო, კომუნისთვის დაუყოვნებლივ ცოცხალ ბაზაზე განეწესებინათ, მაგრამ საცხოვრებელი ბინები ძველთაგანვე უცნაურ ხალხს ეკავა, ვისაც თავის სანთლის სუნი უდიოდა. ჩებურნი მინდორში საგანგებოდ გადიოდა, თვალწინ გადაშლილ ხელუხლებელ ალაგებს გასცქეროდა და ფიქრობდა, კომუნისთვის სწორედ აქ ხომ არ დავიწყოთო, მაგრამ ამ ფიქრს უკუაგდებდა, რადგანაც მაშინ პროლეტარიატისა და სოფლის ღარიბობისთვის დაკარგული შეიქნებოდა ჩვევგურის შენობები და ავეჯეულ-ჭურჭლეულობა, რაც ჩაგრულ ხელთაგან იყო შექმნილი. მან იცოდა და ხედავდა, ჩვევგურელ ბურჟუაზიას მეორედ მოსვლის მოლოდინი რაოდენ ტანჯავდა და პირადიდ მეორედ მოს-

ელის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. რევკომის თავმჯდომარედ ორი თვის მანძილზე ყოფნისას ჩეპურნი გაიტანჯა — ბურჟუაზია არსებობდა, კომუნის-ში არსად იყო, ხოლო მომავლისკენ, როგორც გუბერნიის ცირკულარები იუწყებოდა, ქვეყანა გაემართებოდა მთელ რიგ თანმიმდევრულ-შემტევ გარდამავალ საფეხურთა გავლით, რაშიაც ჩეპურნი გუბანიტ მასწავლებლის მოტყუებას შეიგრძნობდა.

თავდაპირველად მან კომისია დანიშნა და ეს კომისია ეუბნებოდა, მეორედ მოსვლა აუცილებელიაო, მაგრამ ჩეპურნის მაშინ არაფერი უთქვამს, გულში კი გადაწყვიტა, ბურჟუაზიული წვრილფეხობისთვის ხელი არ ეხლო, რათა მსოფლიო რევოლუციას რაიმე დარჩენოდა გასაკეთებელი. მერე კი მოისურვა, თავისი ტანჯვისთვის ბოლო მოეღო და საგანგებო კომისიის თავმჯდომარე პიუსია გამოიძახა.

— ქალაქი მჩაგვრელი ელემენტებისგან გამიწმინდე! — უბრძანა პიუსიას ჩეპურნიმ.

— ეგ შეიძლება, — დაემორჩილა პიუსია, მან ჩევენგურის ყველა მცხოვრების ამოელეტა დააპირა, რაზედაც ჩეპურნი გულმშეიდად დაეთანხმა.

— რომ იცოდე, ამით სიკეთეს გავუწევთ! — არწმუნებდა იგი პიუსიას. — სხვაგვარად, ძმობილო, მთელი ხალხი გარდამავალ საფეხურებზე ამოწყდება. ამას გარდა, ბურჟუები ამჟამად, სულ ერთია, ადამიანები მაინც არ არიან: მე წაკითხული მაქვს, ადამიანი მაიმუნნიდან დაიბადა თუ არა, იგი მაშინვე მოკლა. ჰოდა, გაიხსენე: რაკილა პროლეტარიატი არსებობს, ბურჟუაზია რაღა საჭიროა? ასეთი რამ მართლაცდა ულამაზოა!

პიუსია ბურჟუაზიას პირადად იცნობდა: ჩევენგურის ქუჩები ახსოვდა და შეეძლო, თვალწინ ცხადად წარმოეჩახა ყოველი ბინათმფლობელი: შჩეკოტოვი, კომიაგინი, პიხლერი, ზნობილინი, შჩაპოვი, ზავინ-დუვაილო, სიუსიუკალოვი და მათი ყველა მეზობელი... ამას გარდა, პიუსიამ მათი ცხოვრებისა და საზრდოობის წესი იცოდა და თანახმა იყო, ყოველი მათგანი საკუთარი ხელით მოეკლა ისე, რომ იარაღიც კი არ გამოეყენებინა. იმ დღიდან, რაც საგანგებო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს, სულიერი სიმშვიდე დაკარგა და ერთთავად ღიზიანდებოდა: წვრილი ბურჟუაზია ხომ ყოველდღიურად საბჭოთა პურსა ჰამდა, პიუსიას სახლებში ცხოვრობდა (იგი მანამდე ოც წელიწადს კალატოზად მუშაობდა) და რევოლუციის უნამუსოდ ელობებოდა, ყველაზე ხნიერმა ჩოფურა ბურჟუებმა მომთმენი პიუსია ქუჩის მოჩხუბრად აქციეს! გზად შემოხვედრილი შჩაპოვი, ზნობილინი და ზავინ-დუვაილო პიუსიას არაერთხელ ჰყავდა მუშტებით ნაცემი, ხოლო ისინი ცხვირპირა მღუმარედ იწმენდდნენ, შეურაცხყოფას იტანდნენ და თავს მომავლის იმედით ინუგეშებდნენ: სხვა ბურჟუებს პიუსია არ გადაჰყრია, მათთან სახლებში განზრახ შესვლა კი არ უნდოდა, რადგან ხშირი ბრაზიანობა სულს უხუთავდა.

თუმცაღა, მაზრის აღმასკომის მდივანი პროკოფი დვანოვი თანახმა არ იყო, რომ ბურჟუაზია კომლობრივად და თვითნებურად ამოეელიტათ. მან თქვა, ეს უფრო თეორიულად უნდა გავაკეთოთო.


— მაშ, აბა, ჩამოაყალიბე! — შესთავაზა მას ჩეპურნიმ.

— მათივე ცრურწმენის საფუძველზე! — თანდათან აყალიბებდა პროკოფი.

— ვგრძნობ! — ვერაფერს მიმხვდარიყო და ფიქრს ისე აპირებდა ჩეპურნი.

— მეორედ მოსვლის საფუძველზე! — დააზუსტა პროკოფიმ. — რაკი თავად სურთ, მიიღონ კიდევაც — ჩვენ დამნაშავენი არ ვიქნებით.

ჩებურნიმ, პირიქით, ბრალი დაიკისრა.

— როგორ თუ დამნაშავენი არ ვიქნებით, რაებს მელაპარაკები, გეთაყვა! რაკილა რევოლუცია გვქვია, მაშ ყველაფერში ჩვენა ვართ. დამნაშავენი თუ ასე იმიტომ აყალიბებ, რომ საკუთარი თავის პატიება გინდა.  ვინაა მისი მოგონებები თავიდან!

პროკოფი, ისევე როგორც ყოველი ჭკვიანი კაცი, სიმშვიდეს არ კარგავდა.

— ამხანაგო ჩებურნი, უეჭველად აუცილებელია, რომ მეორედ მოსვლა ოფიციალურად გამოვაცხადოთ და ამ ბაზაზე დაყრდნობით ქალაქი პროლეტარული ბინადრობისათვის გავწმინდოთ.

— ამ ამბებში ჩვენ თუ ვიმოქმედებთ? — ჰკითხა მას ჩებურნიმ.

— საერთოდ — კი! ოღონდ მერე საოჯახო ქონების განაწილება იქნება საჭირო, რათა ამ ქონებამ მეტად აღარ დაგვიჩაგროს.

— ქონება შენ წაიღე, — მიუთითა ჩებურნიმ. — პროლეტარიატს ხელები თავადაც აქვს. ასეთ დროს ბურჟუაზიულ სკივრებზე რას დარდობ, გეთაყვა! ბრძანება დაწერე.

პროკოფიმ ჩევენგურის ბურჟუაზიის მომავალი მოკლედ ჩამოაყალიბა და ნაწერი ქალაქი პიუსიას გადასცა; იმას კი მქონებელთა გვარები უნდა გაეხსენებინა, სია შეედგინა და ბრძანებისათვის დაერთო.

ჩებურნიმ წაიკითხა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ბურჟუაზიისათვის ვარსკვლავებითა და მნათობებით გაწყობილი მთელი უსასრულო ცა უნდა მიეჩინა, რათა იქ საუკუნო ნეტარება დაემკვიდრებინათ. რაც შეეხება მიწას, ფუნდამენტურ ნაგებობებს და საოჯახო ინვენტარს, ეს ყოველივე ქვემოთ — ცის სანაცვლოდ — მთლიანად პროლეტარიატისა და მშრომელთა ხელში რჩებოდა.

ბრძანების ბოლოა მითითებული იყო ვადა მეორედ მოსვლისა, რაც ბურჟუაზიას საიქიოში ორგანიზებულად და უმტკივნეულოდ გაისტუმრებდა.

ბურჟუაზია ტაძრის მოედანზე ოთხშაბათს შუალამისას უნდა გამოცხადებულიყო, ბრძანების საფუძველად კი გუბერნიის მეტეოროლოგიური ბიუროს ბიულეტენი ითვლებოდა.

პროკოფის, დიდი ხანია, იტაცებდა გუბერნიის ქალაქების შთამბეჭდავი, ძნელად გასაგები სირთულე, და ავხორცული ღიმილით ცდილობდა, ამ ქალაქების ენა სამაზრო მასშტაბისა შესაფერად გადმოეღო.

პიუსიამ ვერაფერი გაიგო, ბრძანებაში რა იყო ნათქვამი, ხოლო ჩებურნიმ ბურჟუთი შეიყნოსა და მხოლოდ ერთი რამით დაინტერესდა, პროკოფიმ მეორედ მოსვლა ოთხშაბათს დამისთვის რატომ გადადო და დღეს — ორშაბათს რატომ არ დანიშნა.

— ოთხშაბათს მარხვაა. — ისინი უფრო წყნარად შეემზადებიან! — განუმარტა პროკოფიმ. — ამას გარდა, დღეს და ზვალ დრუბლიანი ამინდია მოალოდნელი. — მე ხომ ამინდის შესახებ ცნობები მაქვს!

— ტყუილუბრალო შედავათია, — უსაყვედურა ჩებურნიმ, მაგრამ მეორედ მოსვლის დაჩქარება მაინცდამაინც დაყინებით არ მოუთხოვია.

პროკოფიმ კი კლავდიუსთან ერთად მქონებელ მოქალაქეთა ყველა სახლი შემოიარა და მქონებლებს გზადაგზა ჩამოართვა ხელზე მოსახმარებელი

ამიტომ ზომის ნივთები: სამაჯურები, აბრეშუმის თავშლები, მეფისდროინდელი ტყროს მფდლები, ქალის პუდრები და სხვა ამგვარები. კლავდიუსმა ნივთებს თავისი სკივრში ალაგებდა, ხოლო პროკოფი ბურჟუეზს სიტყვიერად ამბობდა, სიცოცხლას ვადას გაგიხანგრძლივებთ, თლონდაც რესპუბლიკის შემოსავალმა იმატოსო: ბურჟუეები შუა ოთახში ედგნენ უკმაძლობას მარჩილად სწირავდნენ პროკოფი ოთხშაბათს ლამის ბაღამეშქმსქვე კერ გათავსდნენ და ნანობდა, მეორედ მოსვლა პარასკევ ლამისთვის რომ არ დანიშნა.

ჩებურნი იმის გამო არ შეშინებულა, პროკოფის ხელში დიდძალი სიმდიდრე რომ აღმოჩნდა: პროლეტარათათვის ეს სიმდიდრე შეუფერებელი იქნებოდა, რადგანაც თავშლები და პუდრი მალე უკვალოდ გაქრებოდა და გონებას არ შერჩებოდა.

ოთხშაბათ ღამეს ტაძრის მოედანი ჩვევანგურელმა ბურჟუაზიამ გაავსო. თავი საღამოთივე მოიყარეს. პიუსიამ მოედანი წითელარმიელთა ალყაში მოაქცია, ხოლო ბურჟუაზიის ჯგროში მჭლე ჩეკისტები შეუშვა. სიის მიხედვით მხოლოდ სამი ბურჟუა არ გამოცხადებულა — ორი მათგანი საკუთარ სახლებში გასრესილიყო, მესამე კი სიბერით მომკვდარიყო. პიუსიამ ორი ჩეკისტი უმაღვე გაგზავნა იმის შესამოწმებლად, სახლები რის გამო ჩამოიქცა, ხოლო თვითონ ბურჟუეებს ჩამოუარა. რათა ისინი მწყობრად დაეყენებინა. ბურჟუეებს თან მოეტანათ ბოხჩები და სკივრები, რაშიაც საპნები, პირსახოცები, თეთრეული, თეთრე ფუნთუშები და საოჯახო სულის მოსახსენებელი წიგნაკები ეწყოთ. პიუსიამ ყოველივე ეს თითოეულ მათგანს გაუსინჯა და განსაკუთრებული ყურადღება სულის მოსახსენებელ წიგნაკებს მიაქცია.

— წაიკითხე, — სთხოვა მან ერთ ჩეკისტს

მან წაიკითხა:

„განსვენებისათვის მონათა და მხვეალთა ღვთისათა: ევდოკიასი, მარფასი, ფირსისა, პოლიკარბისა, კონსტანტინისა, მაკარისა და ყველა ნათესავისა. სიმრთელისათვის — აგრიპინასი, მარიამისი, კოსმასი, იგნატისა, პიოტრისა, იოანასი, ანასტასიასი ქალაბობითა და ყველა ნათესავითა და სწეული ანდრეისი“.

— გაღაბობითაო? — ჩაეკითხა პიუსია.

— იმათითაო! — დაუდასტურა ჩეკისტმა.

წითელარმიელთა მწყობრს იქით ბურჟუეების ცოლები იდგნენ და ლამის ასებნელები ქვითონებდნენ.

— ეგ დამქაშები აქაურობას მოაშორე! — უბრძანა ჩეკისტს პიუსიამ, — აქ ქალაბობა საჭირო არ არის!

— ბარემ ამათთვისაც მოკვედო ბოლო, ამხანაგო პიუსია! — ურჩია ჩეკისტმა.

— რა საჭიროა, ჭკუის კოლოფო? უმთავრესი ნაწილი იმათგან მოკვეთილდა!

ჩამონგრეული სახლების შესამოწმებლად წასული ჩეკისტები ტაძრის მოედანზე დაბრუნდნენ. მათ განმარტეს: სახლებს ჭერი იმიტომ ჩამოჰქცეოდა, რომ სხვენები მარლითა და ფქვილით ყოველგვარ ზომაზე მეტად გადაეტვირთათ: ხოლო ფქვილი და მარლი ბურჟუეებს მარაგად ესაჭიროებოდათ, რათა შეთრედ მოსვლის დროს საკვებად გამოეყენებინათ, მეორედ მოსვლა მშვიდობიანად გადაეტანათ და მერე ცხოვრება განეგრძოთ.

— აჰ, მაშ ასე, ხომ! — თქვა პიუსიამ, შუალამის დადგომას აღარ დაუცადა და ჩეკისტები მწკრივად დააყენა. — დააცხეთ მაგათ, ბიჭებო! — და თვითონ ახლოს მდგარ ბურჟუას — ზავინ-დუვაილოს ნაგანის ტყვია თავის ქალაში დაახალა. ბურჟუას თავიდან ხელი ორთქლი გამოუვიდა, სასანთლე ცვილს რომ ჰგავდა; მაგრამ დუვაილო არ წაქცეულა, შინიდან მოტანილ ბოხჩაზე ჩამოჯდა.

— დედაკაცო, ყელზე არტახი შემომახვიე! — მომინებოდა თქვა ზავინ-დუვაილომ. — მთელი ჩემი სული იქ მიედინება! — მერე ბოხჩიდან მიწაზე ჩაყირავდა და მიწას გაფარჩხული ხელები და ფეხები ისე შემოხვია, როგორც კაცი თავის დედაკაცს შემოხვევს ხოლმე.

ჩეკისტებმა გუშინ ზიარებაშიღებულ მდუმარე ბურჟუებს ნაგანები დაახალეს. ბურჟუები უხერხულად, გვერდულად წაიქცნენ, გაქონილი კისრები მოედრიცათ და ხერხემლები მოეგრიხათ. ყოველ მათგანს ფეხებში ძალა მანამდე დაეკარგა, სანამ ჭრილობას შეიგრძნობდა, და ტყვია შემთხვევით ალბას თუ მოხედებოდათ, ნატყვიარზე ცოცხალი ხორცი პირს შეიკრავდა.

დაჭრილი ვაჭარი შაპოვი მიწაზე სხეულდაუძღურებული იწვა და მისკენ დახრილ ჩეკისტს სთხოვდა:

— კეთილო კაცო, ცოტა ამომასუნთქე — ნუ გამტანჯავ. ჩემს დედაკაცს დაუძახე, რომ გამოვეთხოვო! ანდა ხელი გამომიწოდე — შორს ნუ წახვალ, მარტო დარჩენისა მეშინია.

ჩეკისტს უნდოდა, ხელი მიეწოდებინა:

— ცოტა ხანს მომეჭიდე — შენი საქმე უკვე წასულია!

შაპოვმა ხელია მიწოდებას აღარ უცადა და ძირხვეწას, როგორც მშველელს, ისე ჩაეჭიდა, რათა თავისი ნარჩენი სიცოცხლე მისთვის ჩაებარებინა: მკენარეს მანამდე არ მოსცილებია, სანამ შეეცადა სულ არ გამოეღია იმ ქალის მიმართ, ვისთანაც გამომშვიდობება უნდოდა, მერე კი ხელები თავისით ჩამოუცვივდა, რადგან მეგობრობა აღარაფერში ესაჭიროებოდა. ჩეკისტი ყველაფერს მიხვდა და აღელდა: სხეულში ტყვიის მქონე ბურჟუებს პროლეტარიატის მსგავსად ამხანაგობა ეწადათ, ხოლო ტყვიის უქონლად მხოლოდ ქონება უყვარდათ.

პიუსიამ ზავინ-დუვაილოს ხელი წაჰკრა:

— შენი სული სად მიედინება — ყელში? იქიდან ახლავე ამოვავლებ!

პიუსიამ ზავინს ყელზე მარცხენა ხელი მოჰკიდა, თითებში მარჯვედ მოივლო და ნაგანის ლულა კისერში კედის ქვემოთ მიაბჯინა. მაგრამ ზავინს კისერი ერთთავად ექავეებოდა და ცდილობდა, მაუდისაგან შეეკერილი პიჯაკის საყელოს გაჰქეჩებოდა.

— რას იქეჩები, შე ტუტუცო: მოიცა, ახლავე წაგჩხვლეტავ!

დუვაილო ჯერ ცოცხალი იყო და არ ეშინოდა:

— ჩემი თავი ფეხებშია მოიქციე და მოუჭირე, რომ დავიყვირო, თორემ იქ ჩემი დედაკაცი დგას, მე კი ხმა ვერ მიმიწვდენია!

პიუსიამ მას ყბაში მუშტი ჩასცხო, რათა ამ ბურჟუის სხეული უკანასკნელად შეეგრძნო, და დუვაილომ მომჩივანი ხმით შეჰყვირა:

— მაშენკა, მცემენ!

პიუსიამ შეიკადა, სანამ დუვაილო ხმას გაწელავდა და სიტყვებს მთლიანად წარმოთქვამდა. მერე კისერი ორი ტყვიით გაუხვრიტა და ერთმანეთს შეწყებებული, განურებული და გამშრალი ღრძილები გააცალცალკევა.

პროკოფიმ ამგვარ განცალკევებულ მკვლელობას შორიდან თვალი ჰკიდა და პიუსიას უსაყვედურა:

— ამხანაგო პიუსია, კომუნისტები კაცს ზურგიდან არა კლავენ!
განაწყენებულმა პიუსიამ გონება უმაღლ მოიკრიბა:

— ამხანაგო დვანოვო, კომუნისტებს ოფიცრული გამორბენს გამოჩენა კი არა, კომუნიზმი უსაჭიროებათ!.. ჰოდა, ხმა ჩაიკმინდეს ცაში გაგამგზავრებ! ყოველი ბოზი მოწადინებულია, რომ წითელ დროშას ამოფაროს — ასე ჰგონიათ, ცარიელ ადგილს მაშინათვე ღირსება ამოუვსებთ... მე ტყვიით დროშის იქითაც გიპოვი!

ამ დროს ჩეპურნი მოვიდა და მოდავეებს ლაპარაკი გააწყვეტინა:

— მითხარით ერთი, რა ამბავია, გვთაყვია? ბურჟუები მიწაზე ისევ სუნთქავენ, ხოლო თქვენ კომუნიზმი ლაყბობით გინდათ, რომ მოიძიოთ!

ჩეპურნი და პიუსია მკვიდრი ბურჟუების შემოწმებას პირადად შეუდგნენ; დახოცილები ბურჟ-ბურჟად იწვნენ — სამ-სამნი, ხუთ-ხუთნი და უფრო მეტ-მეტნიც, — როგორც ჩანს, ცდილობდნენ განშორების უკანასკნელ წუთებში ერთიმეორეს სხეულის ნაწილით მაინც დაახლოვებოდნენ.

ჩეპურნი ბურჟუებთან მიდიოდა, კისრებს ხელის ზურგით უსინჯავდა, ისე როგორც მექანიკოსები საკისრების ტემპერატურას სინჯავენ, და ეჩვენებოდა, რომ ყველა ბურჟუა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

— მე დუვაილოს სული ყელიდან დამატებით გამოვუდენე! — თქვა პიუსიამ.

— სწორადაც მოქცეულხარ: სული ხომ ყელშია. — გაახსენდა ჩეპურნის, — რა გგონია, კადეტები თოკს ყელზე რატომ გვიჭერენ და ისე რად გვახრჩობენ? სწორედ იმიტომ, რომ სული თოკით დავვიწვან: მაშინ კაცი დანამდვილებით მთლიანად კვდება! სხვაგვარად ძალიან გაწვალდები: ადამიანის მოკვლა ხომ ძნელია!

პიუსიამ და ჩეპურნიმ ყველა ბურჟუა გასინჯეს და ვერ დარწმუნდნენ, რომ ისინი საბოლოოდ დახოცილები იყვნენ: ზოგიერთი თითქოს ხვნეშოდა, ზოგს კი თვალები ოდნავ გახელილი ჰქონდა და თავს იმკვდარუნებდა, რათა ღამით გაფოფხებულიყვნენ და სიცოცხლე პიუსიასი და სხვა პროლეტარების ხარჯზე განეგრძოთ; მაშინ ჩეპურნიმ და პიუსიამ გადაწყვიტეს, ბურჟუები სიცოცხლის განგრძობისგან დამატებით დაეზღვიათ: მათ ნაგანები ხელახლა დატენეს, მიწაზე მწოლიარე ყოველ მქონებელს თანმიმდევრობით ჩამოუარვა და ყელი გვერდიდან ჯირკვლებთან დაუცხრილეს.

— ახლა შეგვიძლია, გული მშვიდად ვიქონიოთ! — თქვა ჩეპურნიმ, როცა ეს საქმე მოათავა. — მკვდარზე ლატაკი ამქვეყნად არც პროლეტარიატი არ არის.

— ახლა კი ხელი ნაღდად მოვუთავეთ, — დაკმაყოფილდა პიუსია. — წითელარმიელები შეიძლება, რომ გავუშვათ

წითელარმიელები გაუშვეს, ხოლო ჩეკისტები ჩევენგურის ყოფილი ბურჟუაზიული მოსახლეობის საერთო საფლავის გასამზადებლად დატოვეს. ჩეკისტებმა მიწის თხრა გამთენიისას მოათავეს და ყველა მკვდარი თავიანთ ბოხჩებიანად ორმოში ჩაყარეს. მოკლულთა ცოლები ახლოს მისვლას ვერ ბედავდნენ და მიწის სამუშაოთა დამთავრებას მოშორებით უცდიდნენ, რათა ბორცვი არ წამომართულიყო, ჩეკისტებმა მორჩენილი მიწა ალიონას შუქით განათებულ ცარიელ მოედანზე მიფანტ-მოფანტეს, მერე ნიჩბები მიწაში ჩა-

არქვეს და პაპიროსის მოსაწევად დასხდნენ, მკვდრების ცოლები მათკენ ჩე-
ვენგურის ყველა ქუჩიდან ამის შემდეგლა გამოემართნენ.

— იტირეთ! — უთხრეს მათ ჩეკისტებმა და დაქანცულლებმა დასაძინებ-
ლად გასწიეს.

ცოლები მოსწორებულ, უნიშანკვალ საფლავებზე მიკვდიანთულ თიხის
ბელტებზე დაწვნენ; უნდოდათ, დარდიანი გულები მოეხდინათ, მაგრამ და-
მუნათევეებს შესცივნოდათ, ნალველი უკვე გამოლევდათ და მკვდრების დატი-
რება აღარ შეეძლოთ.

კობიონკინმა როცა შეიტყო, ჩევენგურში რაც მოხდა, გადაწყვიტა ჯერ-
ჯერობით არავინ დაესაჯა და ალექსანდრ დვანოვის ჩამოსვლას იალოდებოდა.
მით უმეტეს, რომ თუხით მავალი ლუი ახლა გზას მიუყვებოდა.


ლუიმ იმ დღეებში მართლაც კარგა მანძილი გაიარა და თავს ჯანსაღად,
მაძლრად და ბედნიერად გრძნობდა. როცა მოშივდებოდა, ვინმეს ქოხში შე-
ვიდოდა და დიასახლისს ეტყოდა: — დედაკაცო, ქათამი დამიკალი, კაცი დაღ-
ლილი ვარო. თუ დედაკაცი ქათამს არ გაიმეტებდა, ლუი გამოემშვიდობებო-
და, ველზე გავიდოდა, თავის გზას გაუდგებოდა და ანგელოზათი ივანშმებდა.
რაც კარ-მიდამოში ადამიანის საწყალობელი ჯადით კი არ იყო მოყვანილი,
მზისგან იყო გამოზრდილი. ლუი არასოდეს მათხოვრობდა და არც ქურდო-
ბდა; თუ შემთხვევა დიდხანს არ მიეცემოდა, რამე რომ ეჭამა, არ წუ-
ხდა, რადგან იცოდა, როდისმე მაინც გაძლებოდა; ამიტომ შიმშილისგან არ
უძღურდებოდა.

ამჟამად ლუი ღამეს აგურის ფარდულის თხილში ათევდა; გუბერნიის
ქალაქამდე მოკირწყლულ გზაზე აულ ორმოცი ეურსილა ჰქონდა გასავლელი.
ლუის ეს მანძილი არაფრად მიაჩნდა და ნამძინარევი დიდხანს გრილდებოდა.
ახლა იწვა და ფიქრობდა, პაპიროსი როგორ მოეწია, თამბაქო ჰქონდა, ქალა-
დი კი არ გააჩნდა; საბუთები, დიდი ხანია, მოსაწევად მოიხმარა — ერთად-
ერთი ქალაქი, რაც დარჩენოდა, კობიონკინის წერილი იყო, დვანოვთან რომ
უნდა მიეტანა. ლუიმ წერილი ამოიღო, ხელით გასწორა და ორჯერ წაიკითხა,
რათა ზეპირად დაეხსომებინა, მერე კი წერილიდან ათი ცარიელი საპაპირო-
სე ხვეული გაამზადა.

— წერილს სიტყვიერად მოვუყვები — ანუ უფრო მარჯვე იქნება! —
გონივრულად არჩია ლუიმ და საკუთარ თავს დაუმოწმა: — რაღა თქმა უნდა,
ასე აჯობებს! მაშ სხვანაირად როგორ იქნება?

ლუიმ პაპიროსი მოწია, მერე გარეთ გავიდა, მოკირწყლული გზის განა-
პირას მიმყოლ ბილიკა დაადგა და ქალაქისკენ გაემართა. მაღლა, მკრქალ ბუ-
რუსში — ორ წმინდა მდინარეს შორის წყალგამყოფზე — კოშკებიანი, სივ-
ნებიანი, ტაძრებიანი, სასწავლებელთა და საკრებულოთა გრძელშენობებიანი
ძველი ქალაქი მოჩანდა; ლუიმ იცოდა, რომ იმ ქალაქში ხალხი დიდი ხანია
ცხოვრობდა და სხვებს ცხოვრების გასაქანს არ აძლევდა ქალაქის განაპირას,
მის გარეუბანში, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების ქარხნის
ოთხი მილი ბოლავდა, რათა მზეს პურის მოყვანაში დახმარებოდა. ლუის შო-
რეულ მილთა კვამლი და უჩუქარ ბაღასთა აღმომცენებელ მიყრუებულ ველ-
ზე მსრბოლი ორთქლმავლის საყვირის ხმა მოეწონა.

ლუი გუბერნიას გვერდს აუჭყვევდა და იქ წერილს არ მიიტანდა. გუბერ-
ნიის ქალაქი პეტერბურგისა და ბალტიის ზღვის ხანაპიროსკენ მიმავალ გზა-



ზე რომ არ ყოფილიყო: ამ სანაპიროდან — რევოლუციის ცარიელ ველთა ყიამეთიდან — გემები ზღვათა წყვდიადისკენ მიემართებოდა, რათა იქით მიმავალნი შემდგომში თბილ ბურჟუაზიულ ქვეყნებს დაუფლებოდნენ.

გოპნერი ამ დროს ქალაქის ბორცვიდან მდინარე პოლხი აიღარისკენ ჩადიოდა და სურსათ-სანოვაგიანი დაბების მხარეს ველზე გაქვევალ მოკირწყულულ გზას ხედავდა. აქედან უხილავი ლუი ამივე გზაზე შედიოდა, თვალწინ ცივ ზღვაში მყოფი ბალტიის ფლოტი წარმოესახებოდა. გოპნერმა ხიდი გადაიარა, გაღმა ნაპირზე დაჯდა და თევზაობას შეუდგა. ანკესზე ცოცხალი, ტკივილისაგან აგრეხილი ჭია წამოაგო, ანკესის მკედი წყალში ისროლა და მდინარის ნაკადთა წყნარ რბევას ჩააცქერდა: წყლის სიგრილე და ნედლი ბალახის სურნელება სუნთქვისა და აზროვნების წადილს აღუძრავდა. იგი მდინარის დუდუნს უსმენდა და მშვიდობიან ცხოვრებაზე, დედამიწის პორიზონტს გაღმა არსებულ ბედნიერებაზე, იმ ალაგებზე ფიქრობდა, საითაც მდინარეები მიემართებოდა, თავად ის კი არავის მიჰყავდა. გოპნერი ხეშეშა თავს ნამიანი ბალახისკენ თანდათან ხრიდა და მშვიდ ფიქრთა მდინარებიდან ძილში იძირებოდა. ანკესის კაუქს პატარა თევზი — ზრდადაუსრულებელი კაპარჭინულა წამოეგო: კაპარჭინული ოთხ საათს ფართხალებდა, ცდილობდა თავი დაეხსნა და ღრმა, თავისუფალ წყალს შეპყარებოდა, კაუქგაყრილი ლაშიდან სისხლი სდიოდა და ჭიის სისხლიან წვეწვს ერეოდა; კაპარჭინული ფართხალით დაიღალა, ძალის მოსაკრებად ჭიის ნაწილი გადაყლაპა და მერე კვლავ ხორცის მგლეჯელი, მწვავე რკინის დაქაჩვა იწყო, რათა კაუჭი საკუთარი ლაშის ხრტილთან ერთად მოეცილებინა.

მოკირწყულულ ჯებირზე მდგარმა ლუიმ ზემოდან დაინახა გამხდარი, დაქანცული კაცი, მდინარის ნაპირას, რომ ეძინა, ხოლო მის ფეხებთან ანკესის ჯოხი თავისით ირხეოდა. ლუი კაცთან მივიდა და ანკესი კაპარჭინულასთან ერთად წყლიდან ამოათრია; კაპარჭინულა ქვეითად მავალის ხელში გაილურსა, ლაყუჩები დააღო და დაქანცულობისა და შიშისაგან სული განუტევა.

— ამხანაგო, — უთხრა ლუიმ მდინარეს. — თევზი ჩაიბარე! მარტო შენა გძინავს მთელ ქვეყნიერებაზე!

გოპნერმა მკვებავი სისხლით ჩაწითლებული თვალები გაახილა და საიდანაც მოვლენილ კაცს დააცქერდა. ქვეითად მავალი მოსაწევად ჩამოჯდა და მდინარის გაღმა მდებარე ქალაქის შენობათა თვალღერებას შეუდგა.

— სიზმარში რალაცის ვსინჯავდი და მაინც ვერ დავამთავრე. — თქვა გოპნერმა. — გამოვიღვიძე და შენ სურვილის ასრულებასავით თვალწინ წამომემართე...

გოპნერმა წვერწამოზრდილი, მშვიერი ყელი მოიფხანა და სევდის მოძალეება იგრძნო: სიზმრად მოვლენილი კარგი აზრები სიზმარშივე ჩაუკვდა და მდინარესაც კი აღარ შეეძლო მისთვის ეს აზრები გაეხსენებინა.

— ეპ, ეშმაკმა დაგწყევლოს — რად გამაღვიძე, — გაგულისდა გოპნერი, — ახლა ისევ უნდა მოვიწყინო!

— მდინარე მიეძინება, ქარი ქრის, თევზი დაცურავს, — ნელა და მშვიდად წამოიწყო ლუიმ, — შენ კი ზიხარ და დარღისგან ქანგი გეკიდება! ადექი და საითმე გასწი, ქარი აზრებს ჩაგბერავს და რაიმეს შეიტყობ.

გოპნერს არაფერი უპასუხია: ანდა რა უნდა ეპასუხა, ყოველ გამვლელს ზომ არ დაუწყებდა ლაპარაკს: საშოვარზე მავალ გლეხს კომუნიზმისა რა გაეგებოდა?

— ხომ არ გაგიგონია, ამხანაგი ალექსანდრ დვანოვი სად ცხოვრობს? — ჰკითხა ლუიმ გოპნერს გზად მოსაგვარებელი საქმის თაობაზე. გოპნერმა მოსულს თევზი გამოართვა, წყალში გადაავლო და მან განმარტა:



— იქნებ სული მოითქვას!
— ეგ ახლა ველარ გაცოცხლდება! — შეეპყვდა ლუიმ ^{ეჩინოქსი} ~~საქმიანობის~~ ნახვა მჭირდება...

— შენ რაღად გინდა, რომ ნახო, როცა მე ვნახავ! — გაურკვეველად თქვა გოპნერმა. — პატივსა სცემ თუ რა?

— მარტო სახელის გამო კაცს პატივს ვერა სცემ, მისი საქმიანობისა კი არაფერი ვიცი! ჩვენი ამხანაგები ამბობდნენ, ჩვეენგურში იგი აუცილებლად გვესაჭიროებაო...

— იქ რა საქმეა ასეთი?
— ამხანაგმა კომიონკინმა დაწერა, კომუნიზმი და პირუკულო...

გოპნერმა ლუის დაკვირვებით ახედ-დახედა, როგორც მანქანას, რომელსაც კაპიტალური რემონტი ესაჭიროება; მიხვდა, რომ კაპიტალიზმმა ამგვარადამიანებს გონება დაუძაბუნა.

— თქვენ ხომ კვალიფიკაცია და შეგნება არა გაქვთ, დაგწყველოთ ღმერთმა! — უთხრა ლუის გოპნერმა. — კომუნიზმი რანაირად უნდა შეიქმნას?

— ჩვენ არაფერი არა გვაქვს, — თავი გაიმართლა ლუიმ. — მარტო ხალხილა დაგვრჩა, ეგ არის და ეგ, ამხანაგობა ამიტომაც გამოგვივიდა.

გოპნერმა დასვენებულ ძალთა მოზღვავება იგრძნო და ხანმოკლე დაფიქრების შემდეგ თქვა:

— ეს ჰკვიანურია, ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი და ტანი, მაგრამ მყარი არ არის: კვეთის ყოველგვარი მარაგის გარეშეა გაკეთებული! მიმიხვდი, თუ თავად შენც კომუნიზმიდან გარბიხარ?

ლუიმ იცოდა, რომ ჩვეენგურის ირგვლივ კომუნიზმი არ არსებობდა — მხოლოდ გარდამავალი საფეხური იყო და ბორცვზე მდებარე ქალაქს, როგორც საფეხურს, ისე გაჰყურებდა.

— შენ საფეხურზე ცხოვრობ, — უთხრა მან გოპნერს, — ჰოდა, გეჩვენება, რომ გაერბივარ, მე კი ნაბიჯით მივდივარ, ხოლო შემდეგ ფლოტში შევალ და ბურჟუაზიული სახელმწიფოებისკენ გავცურავ, რომ ისინი მომავლისთვის მოვამზადო. მე ხომ კომუნიზმი ახლა სხეულში მაქვს და ველარ მოეცილდება.

გოპნერმა ლუის ხელზე ხელი მოჰკიდა, თითებით მოუსინჯა და მზის შუქზე შეათვალიერა. ლუის დიდი და დაძარღვეული ხელი ჰქონდა, ზედ აღრინდელი ჯაფით გაჩენილი, ჯერაც შეუხორცებელი ნაქდევები ყველა ჩიგრულის წილხვდომილ ხალხებად რომ აჩნდა.

„შესაძლოა მართალიცაა! — გაიფიქრა გოპნერმა ჩვეენგურის თაობაზე. — ჰაერზე მძიმე აეროპლანები ხომ დაფრინავენ, ეშმაკმა დაწყველოს იმათი მომგონი!“

ლუიმ გოპნერს ერთხელ კიდევ დაავალა, დვანოვისთვის კომიონკინის წერილი სიტყვიერად გადაეცა; უთხრა, დვანოვი ჩვეენგურისკენ დაუყოვნებლივ გაემგზავროს, თორემ, შესაძლოა, იქ კომუნიზმს ძალა გამოეღიოსო. გოპნერმა იგი დაიძმედა, რომ მის დავალებას შეასრულებდა, და ის ქუჩა მიასწავლა, სადაც თვითონ ცხოვრობდა.

— შიდი იქ, ჩემი დედაკაცი ნახე და უთხარი, საჭმელ-სასმლით გაგიმას-
პინძლდეს, მე კი ახლა ფეხზე გავიხდა, ჩქერებასკენ წავალ და ბედსა ვცდი.
იქნებ ქაშაპები დავიჭირო: ის წყეულები საღამო ხანს ხოჭოებს ეტანებიან...

ლუი ადამიანებთან სწრაფად განშორებას უკვე მიჩვეული იყო, იმიტომ
რომ გამუდმებით სხვებს და უფრო უკეთესებს აკდებოდა, თავზემთი ნიადაგ
მზის ბუნობის შუქს ამჩნევდა, რითაც დედამიწა მცენარეებს საწარდოდ წარ-
მოქმნიდა და ადამიანებს ამხანაგობისთვის ბადებდა.

გოპნერმა ქვეითად მიმავალს თვალი გააყოლა და დაასკვნა, რომ იგი ბალ-
ში მდგარ ხეს მიაგავდა; ლუის სხეულს მართლაც არ გააჩნდა მწყობრი ერთი-
ანობა და ორგანიზებულობა — ერთმანეთთან შეუწყობელ-შეუკავშირებელი
ასოები და კიდურები ჰქონდა, შიგნიდან ტოტებივით რომ წამოზრდოდა და
თითქოს მერქნის წებოვნებით შეჰკროდა.

ლუი ხიღს იქით თვალს მიეფარა; ხოლო გოპნერი ისევ დასასვენებლად
წამოწვა — შვებულებაში იყო და წელიწადში ერთხელ სიცოცხლით ტკებო-
და. ქაშაპების დაჭერა კი იმ დღეს ვეღარ შეძლო, იმიტომ რომ მალე ქარი ამო-
ვარდა, ქალაქის კოშკთა მიღმა ღრუბელთა გრაგნილები ამოიმართა და გოპ-
ნერი იძულებული შეიქნა, შინისაკენ წასულიყო. მაგრამ ოთახში ცოლთან
ერთად ჯდომა მობეზრებული ჰქონდა, ამიტომ გული ამხანაგებისკენ მიუწევ-
და და მეტწილად საშასა და ზახარ პავლოვიჩს ეწვეოდა ხოლმე. ახლაც შინ
მიმავალმა გზად ნაცნობ ფიცრულ სახლში შეიარა.

ზახარ პავლოვიჩი იწვა, ხოლო საშა წიგნს კითხულობდა და ხალხს გადა-
ჩვეულ, ხმელ-ხმელ ხელებს მუშტავდა.

— გაიგონეთ? — უთხრა მათ გოპნერმა, იმის ნიშნად, რომ ტყუილ-უბ-
რალოდ არ იყო მისული. — ჩევენგუში სრული კომუნიზმი ჩამოყალიბებულა!

ზახარ პავლოვიჩმა ცხვირის სრუტუნის მიატოვა, ძილი შეანელა და ყური
მიუგდო. აღელვებული საშა კი დუმდა და გოპნერს მიმნდობად უცქეროდა.

— რას მიყურებ? — უთხრა მას გოპნერმა. — ეროპლანები რაღაცნაი-
რად ხომ დაფრინავენ, თუმცა ის წყეულები ჰაერზე მძიმეები არიან! კომუნიზ-
მი რატომ აღარ უნდა ჩამოყალიბებულიყო?

— იმ ვაცს რაღა უყვეს, რევოლუციას ყოველთვის კიდებიდან რომ მი-
ადგება ხოლმე და კომბოსტოსაგით ჭამს? — ჰკითხა გოპნერს დვანოვის მა-
მამ.

— ეს ობიექტური პირობებია. — განუმარტა გოპნერს ალექსანდრმა. —
მამაჩემი ცოდვათა განტევეების ვაცზე ლაპარაკობს.

— იმათ განტევეების ვაცი შეჭამეს! — მსმენელებს ისე აცნობა გოპნერ-
მა, როგორც თვითმხილველმა. — ახლა ცხოვრებაში რაც შეემთხვევათ, ყვე-
ლაფერში დამნაშავენი თავადვე იქნებიან.

დუიმიანი ფიცრით ნაგები კედლის იქით ვიღაც კაცი ატირდა და ცრემლე-
ბის ღერას სულ უფრო ხმამაღლა უმატა. ლუდის ტურტელს ძაგძაგი გაუდი-
ოდა, რადგან იგი განაწყენებულ თავს მაგიდაზე ურაკუნებდა. იქ მარტოხე-
ლა კომკავშირელი ცხოვრობდა, რკინიგზის დებოში მეცეცხლურად რომ მუ-
შაობდა, მაღალ თანამდებობებზე ყოველგვარი წინსვლის გარეშე კომკავში-
რელმა ცოტა ხანს იქვითინა, მერე მიყუჩდა და ცხვირი მოიხოცა.

— ყველა ვიგინდარა გალალეებულია: ავტომობილებით დაბრძანდებიან,
ჩასუქებულ მსახიობებს ცოლად ირთავენ, მე კი სულ ასე მიგდებული ვარ! —
წუხილს გამოთქვამდა გულმოსული კომკავშირელი. — ხვალვე მივალ რაი-

კომში — ადგნენ და მეც კანტორაში ამიყვანონ: მთელი პოლიტიკურატიურა ვიცი, შემოძლია მთელ მასშტაბს ვუხელმძღვანელო! იმათ კი მცდეცხლურად მაქციეს, თანაც მეოთხე თანრიგი დაიწესეს... კაცის ცნობა არ იცოდა იმ ვინდარებმა...

ზახარ პავლოვიჩი ეზოში გავიდა, რათა ვაგრილებულყოფილი წვიმისთვის თვალი შეეგლო: გავიგო ერთი, გაბმულად წვიმს, თუ შემოსვლად მოვლილი ღრუბლიდან წინწკლავსო. გაბმულად წვიმდა — მთელ ღამეს იწვიმებდა, იქნებ მეორე დღესაც არ გაჩერებულყო; ეზოში ქართა და წვიმით აფორიაქებული ხეები ხმაურობდნენ, ეზო-ყურის მცველი ძაღლები ღობეებს შიგნით ღავლავენდნენ.

— რანაირი ქარი ქრის, თანაც წვიმს! — ჩაილაპარაკა ზახარ პავლოვიჩმა. — ჩემი შვილი კი მალე წავა და ჩემთან აღარ იქნება.

ოთახში გოპნერი ალექსანდრს აგულიანებდა, ჩვეენგურში წავიდეთო.

— ჩვენ იქ მთელ კომუნიზმს ავზომავეთ, — უმტკიცებდა გოპნერი, — კომუნიზმის მთელ ნახაზს გადმოვიღებთ და უკანვე, გუბერნიაში დავბრუნდებით; მაშინ დედამიწის სფეროს მთელ ერთ მეექვსედზე კომუნიზმის მოგვარება უკვე გაგვიადვილდება, რაკილა ჩვეენგურელთა მოცემული შაბლონი ხელთ გვექნება.

დვანოვი მდუმარედ ფიქრობდა კობიონკინზე; გულს უღელგებდა მისი ზეპირი წერილი: „კომუნიზმი და პირუკუ“.

ზახარ პავლოვიჩმა მათ ლაპარაკს უსმინა, უსმინა და მერე თქვა:

— ბიჭებო, იცოდეთ, მუშა კაცი ძალზე ტკუასუსტია, ბრიყვია, ხოლო კომუნიზმი არც ისე უბრალო რამეა, იმ თქვენს ჩვეენგურში ხალხის მთელი ურთიერთობა არის საჭირო — ნუთუ ეს იქ ერთბაშად მოგვარეს?

— ვითომ რატომაც არა? — დამარწმუნებლად შეედავა გოპნერი. — ადგილობრივმა ხელისუფლებამ რაღაც უკვიანური მოიგონა — ჰოდა, საქმე მოგვარდა, დასწყევლოს ეშმაკმა! რა არის აქ უჩვეულო?

ზახარ პავლოვიჩი მაინც ეჭვობდა:

— ეგ კი ასეა, მაგრამ ადამიანი გლუვი მასალა არ გახლავს. ორთქლმავალს სულელი ადგილიდან ვერ დაძრავს, ხოლო ჩვენ მეფის დროსაც ვარსებობდით მიხვდი ახლა, რას გეუბნები?

— მიხვედრით კი მივხვდი, — გაისაზრისა გოპნერმა, — მაგრამ რგვლივ ამგვარს ვერაფერს ვხედავ.

— შენ თუ ვერა ხედავ, მე ვხედავ. — ზახარ პავლოვიჩი ღამობდა, გოპნერი უფრო მეტად განეცვიფრებინა. — რკინისგან რასაც გინდა, იმას გამოგიყვან, ადამიანისგან კომუნიზმს კი ვერანაირად!

— იმათ გამოყვანაზე არავინაც არ გარჯილა; თავი თვითონ გამოიყვანეს იმ წყეულებმა! — შეედავა გოპნერი.

ზახარ პავლოვიჩი ამაზე დაეთანხმა.

— ეს უკვე სხვა ამბავია! მე იმის თქმა მინდოდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება აქ არაფერ შუაშია, იმიტომ რომ კაცი მაშინ უკვიანდება, როცა ნაკეთობებთანა აქვს საქმე, ხოლო ხელისუფლებაში უკვიანესები არიან — იქ სიუკვიანეს გადაეჩვევიან ხოლმე! ადამიანი რომ არ ითმენდეს და უბედურებისაგან უმაღვე თუჯივით სკდებოდეს, მაშინ ხელისუფლებაც ჩინებული იქნებოდა!

— მამა, მაშინ ხელისუფლება არც იქნებოდა, — უთხრა მას ალექსანდრმა.

— ეგვეც შესაძლებელია! — კვერი დაუკრა ზახარ პავლოვიჩმა კედლის იქიდან მოისმოდა, კომკავშირელმა რა გულდამძიმებულმა დაიძინა; გაშმაგება ჯერაც სრულად არ განელებოდა. „ვიგინდებოდა“ უკვე შემრიგებლურად ოხრავდა იგი და სიზმრად რაღაც მთავარს გვერდს უვლიდა. — თვითონ ლოგინში ორნი წვანან, მე კი მარტო ვგდივარ აგურის საწოლზე!.. რბილი ლოგინი მეც მაღირსე, ამხანაგო მდივანო, თორემ შავ სამუშაოზე სული მძვრება... რამდენი წელია გადასახადს ვიხდი — წილში მეც გამიყვანე!.. რა მოხდება?..“

ლამე გრილი წვიმის ნაკადებს აჩქეფებდა; ალექსანდრს ქუჩაზე გაჩენილ ტბებსა და ნაკადულებში მოდგაფუნე შიშვე წვეთების ხმა ჩაესმოდა; მას ერთი რამ ანუგეშებდა — გახსენება ზღაპრისა ბუშტზე, ხალის ღერსა და ქალამანზე, რომელთაც ოდესღაც ბუნების ასეთივე უიმედობა და ასეთივე უკარებლობა ერთიანობით დაძლიეს.

„ბუშტმა, ხალის ღერმა და იმათმა ამხანაგმა — გადაგდებულმა ქალამანმა — ნახნავეები და გუბეები მეგობრულად გაიარეს, — ბავშვური ბედნიერების განცდით ფიქრობდა დვანოვი და თავს უჩინარი ქალამნის მსგავსად წარმოისახავდა. — მეც მყავს ამხანაგი ბუშტები და ხალის ღერები, მაგრამ ისინი რატომღაც მივატოვე, მე ქალამანზე უარესი ვარ...“

ლამე შორეულ ველთა ბალახის სურნელებას აფრქვევდა, ქუჩის გაღნამხარეს დაწესებულება იდგა, სადაც ახლა რევოლუციის საქმეები აღსრულებას ელოდა, ხოლო დღისით სამხედრო ვალდებულთა ხელახალი აღრიცხვას ტარდებოდა. გოპნერმა ფეხთ გაიხადა და ლამის გასათევად დარჩა, თუმცა იცოდა, დილაზე ცოლი შავ დღეს დააყრიდა: ლამე სად გაათიე. ალბათ ვინმე ჩემზე ახალგაზრდა გაიჩინეო! — და შეშის ნაპობს ლავიწში ჩასცხებდა. დედაკაცებს განა რამე გაეგებათ ამხანაგობისა: ისინი ხო! ხერხით მთელ კომუნისმს წვრილბურჟუაზიულ ნაწილებად დახერხავენ!

— ეჰ, წყეულიმც იყავ, კაცს განა ბევრი რამ უნდა! — ოხრავდა გოპნერი. — აი, მშვიდი რეგულირება კი არა ხდება!

— რას ბურტყუნებ? — ჰკითხა მას ზახარ პავლოვიჩმა.

— ოჯახობაზე ვლაპარაკობ: ჩემს დედაკაცს ერთ ფუთ საკუთარ ხორცზე ხუთი ფუთი წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია აქვს. აი, როგორი კონტრაწონა ჰკიდია!

გარეთ წვიმა მიწყდა, ბუშტები ჩაჩუმდა და მიწას განბანილი ბალახის, სუფთა ცივი წყლისა და ნათლად გამოჩენილი გზების ცინცხალი სუნი აედინა. დვანოვი დასაძინებლად სინანულმორეული დაწვა; ეჩვენებოდა, ეს დღე უქმად გავატარეო, გულში ერცხვინებოდა მოწყენილობა უეცრად რომ დაეუფლა. გუშინ თავს უკეთ გრძნობდა, თუმცა სონია სოფლიდან ჩამოვიდა, ძველ ბინაზე თუ რამ ჰქონდა დარჩენილი. ბოხჩაში გაპოკრა და წავიდა, ვინ იცის, სად, საშას ფანჯარაზე მიუკაკუნა და გამოსამშვიდობებლად ხელი დაუქნია. საშა გარეთ გავიდა, მაგრამ სონია აღარსად ჩანდა. პოდა, გუშინ საშა საღამომდე სონიაზე ფიქრობდა და ამით არსებობდა, ახლა კი გადავიწყდა, ამქვეყნად ყოფნა რად უნდოდა, და ვერ იძინებდა.

გოპნერმა უკვე დაიძინა, მაგრამ ისე უძლურად, შესაბრაღისად სუნთქავდა. რომ დვანოვი მასთან მივიდა და შეშინებული დააცერდა, კაცს სული არ

ამოხდესო, ძირს ჩამოცურებული ხელი მკერდზე გადაადო და მძინარის რიულსა და ნაზ არსებობას მიაყურადა. ჩანდა, რა ულონო, უმწეო და მიმნდობი იყო ეს კაცი, თუმცაღა ყილაც, მოძულე ალბათ მასაც სცემდა, წამებდა და ატყუებდა; მას ვინ იხედაც სული ძლიერსა ედგა და ძილში სუნთქვა ლამის უწყდებოდა. მძინარეებს გრაფენ, უცქერის, ნამდვილად ყაყუყუდობს, სახე კი მხოლოდ მძინარესა აქვს, ხოლო ცხადში ადამიანს მახსოვრობის შეგრძნებების და შეჭირვების გამტ სახე უმახინჯდება.

დევანოვა გოჭნერს გაფარჩხული ხელები დაუწყნარა, ასევე ღრმა ძილში წასულ ზახარ ბავლოვიჩს ახლოდან თვალი ცნობისმოყვარეობით, ნაზად შეავლო, მერე ჩაწყნარებულ ქარს ყური მიუგდო და დაწვა, რათა ხვალამდე ძილს მინებებოდა. მამა ისევე, როგორც დღისით, ძილშიც, ჩანაალად და გონიერულად არსებობდა, და ამიტომ სახე ლამით ოღნავ ეცვლებოდა; სიზმრებს თუ ხედავდა, — მხოლოდ სასარგებლოსა და გაღვიძებასთან მიმაახლოებელს, და არა ისეთს, რის გამოც კაცი მერე დაირცხვენს და სევდიანდება.

დევანოვი მოიკუნტა, რათა საკუთარი სხეული მთლიანად შეეგრძნო, გაილოურსა და თანდათან განქარვებული დაქანცულობის მსგავსად მის წინაშე ნელა წარმოსდგა დღე მისი ბავშვობისა — აბურდულ წელთა სიღრმეში კი არა, თავისივე განაბული, დამძიმებული, მტანჯველი სხეულის წიაღში. შემოდგომის საღამოს მოღუშული ციდან წვიმის წვეთები ისე ცვიოდა, როგორც ხამუშ-ხამუში ცრემლები მშობლიური სოფლის სასაფლაოზე; ქარი თოვს არხევდა, რომლითაც ეკლესიის დარაჯი საათის მაუწყებლად ზარს რეკავდა, ისე რომ სამრეკლოზე არ აღიოდდა; დამკლევებული, დაჩქერთილი ნამშობიარები სოფლელი დედაკაცის მსგავსი ღრუბლები ჩამოდაბლებულიყო და ხეთა კენწეროებთან მიცურავდა. პატარა ბიჭი საშა აქა-იქ შემორჩენილ ფოთოლთა ქვეშ მშობელი მამის საფლავთან იდგა, თიხნარი ბორცვი წვიმას მიეშალ-მოეშალა, გამვლელებს გადაეთქერათ და მათი ფეხით მოსწორებულ საფლავს დამარხულ მამასავით მკვდარი ფოთლები აცვიოდა. საშას ცარიელი აბგა პქონდა წამოკიდებული და ხელში პროხორ აბრამოვიჩის ნაჩუქარი, შორ გზაზე მომხმარედ გატანებული ჯოხი ეჭირა.

ბიჭმა მამასთან განშორება ვერ შეიგრძნო და საფლავის მიწა თითებით ისე მოსინჯა, როგორც ოდესღაც მკვდარი მამის პერანგს სინჯავდა და მოეჩვენა, რომ წვიმას ოფლის სუნია — მუტიოვოს ტბის ნაპირას მამის თბილ მკერდში ჩახუტებისას ნაგრძნობი სუნი უდიოდა; საუკუნოდ აღთქმული ცხოვრება იხლა აღარ დაუბრუნდებოდა და ბიჭმა არ იცოდა, ეს განზრახ ხდებოდა და უნდა შეგუებოდა, თუ უნდა იტირებელიყო. პატარა საშამ მამას თავის მაგივრად ჯოხი დაუტოვა — საფლავის ბორცვი გადაჩიჩქნა, მიწაში ჩამალა და ზემოდან აბლახანს გარდაცვლილი ფოთლები დააყარა, რათა მამას სცოდნოდა, ეუღლად შთენილი საშა რა მოწყვნილი მიდიოდა და, რა ქამსაც არ უნდა გაევილო, სადაც არ უნდა ყოფილიყო. მაინც დაბრუნდებოდა აქ — მამასთან და ჯოხს წაიღებდა.

დევანოვს გული დაუმძიმდა და ძილში ატირდა იმის გამო, რომ მამასთან აქამდე არ დაბრუნებულა და ჯოხი არ წამოუღია; მაგრამ თვით მამა ნავს მიაცურებდა და ლოდინით გულგაღეულ, შემკრთალ შეიღს ღიმილით გამოსცქეროდა. მის ნუშა ნავს ყველაფერი არჩევდა — ქარიც და მენიჩბის სუნთქვაც. მამის განსაკუთრებული, მარადეამს ტანჯული სახე ნახევარი ქვეყნიერების მიმართ თვინიერ, მაგრამ ხარბ სიბრაღულს გამოხატავდა, ხოლო

ქვეყნიერების დანარჩენ ნახევარს მამა არ იცნობდა, გულში წუხდა მასზე და შესაძლოა, სძულდა კიდევაც. ნავიდან როცა გადმოდიოდა, თხელ წყალს ხელს უთათუნებდა, ბალახის წვერებს თითებსა ჰკიდებდა, ისე რომ არაფერს ავნებდა, ბიჭს ეხვეოდა და მახლობელ სამყაროს ისე უცქეროდა, როგორც მეგობარსა და თანამებრძოლს სხვათათვის უხილავ ერთადერთს მტკიცესთან ბრძოლაში.

— ცეროდენა, რა გატირებს? — უთხრა მამამ საშას. — შენმა ჯონმა ფესვი გაიდგა და ხედ იქცა, აგერ ახლა რამხელა დგას, განა ამოგლეჯის შეძლებ?

— მაშ ჩევენგურში როგორ წავიდე? — ჰკითხა ბიჭმა. — ასე ხომ მოვიწყენ.

მამა ბალახზე დაჯდა და ტბის გაღმა ნაპირს მღუშარედ გახედა. ამჯერად შვილს არ მოხვევნიო.

— ნუ მოიწყენ, — უთხრა მამამ საშას. — აქ წოლა, შვილო, მეც მბეზრდება. ჩევენგურში რაშე გააკეთე: მკვდრები რად უნდა ვიყოთ.

საშა მამისკენ მიჩოჩდა და კალთაში ჩაუწვა, იმიტომ რომ ჩევენგურში წასვლა არ უნდოდა. განშორების მომლოდინე მამა თავადაც ატირდა, მერე კი დამწუხრებულმა შვილი გულში ისე ჩაიკრა, რომ ბიჭმა თავი სამუდამოდ ეულად იგრძნო და აქვითინდა. იგი მამის პერანგს კიდევ დიდხანს აყო ჩაჭიდებული; მზემ უკვე აიმაღლაურა ტყის ზემოთ, რომლის გადაღმაც, შორს, უცხო ჩევენგური არსებობდა; ტყიდან ფრინველები წყლის დასაძლევად ტბაზე გადმოფრინდნენ, მამა კი ისევ ისე იჯდა, ტბასა და აღმავალ უცხო დღეს აკვირდებოდა, ხოლო ბიჭს მის კალთაში ჩაეძინა. მაშინ მამამ შვილს პირიასზე მზისკენ მიუბრუნა, რათა ცრემლები შეშრობოდა, მაგრამ მზის შუქმა ბიჭს დახუჭულ თვალებში შეუღიტიანა და გააღვიძა.

გოპნერი ფეხებზე დახეულ ფეხსახვევებს იხვევდა, ხოლო ზახარ პავლოვიჩი სამუშაოზე წასასვლელად ემზადებოდა და ქისაში თამბაქოს აყრიდა. სახლებს ზემოთ მზე ისე ამოდიოდა, როგორც ტყის თავზე, და მისი შუჭი დვანოვის ნამტირალევ სახეს დასდგომოდა. ზახარ პავლოვიჩმა თამბაქოს ქისას პირი მოუკრა, პურის ნაჭერი და ორი კარტოფილი აიღო და თქვა: „აბა, მე წავედი — ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“. დვანოვმა ზახარ პავლოვიჩის მუხლები შეათვალიერა და მერე ბუზებს გადახედა. ტყის ფრინველებით რომ დაფრინავდნენ.

— რას იტყვი, ჩევენგურში წახვალ? — ჰკითხა დვანოვს გოპნერმა.

— წავალ, შენ რას იზამ?

— შენზე ნაკლები რითა ვარ? მეც წამოვალ.

— სამსახურს რას უპირებ? თავს გაანებებ?

— ჰო, მაშ რას ვიზამ? ანგარიშს გავასწორებინებ, მორჩა და გათავდა: ახლა კომუნიზმი შრომით დისციპლინაზე უფრო ძვირფასია. ჯანდაბას იმისი თავი, რა გგონია ვითომ, მე პარტიის წევრი არა ვარ, თუ რა?

დვანოვმა გოპნერს ახლა ცოლის თაობაზე ჩამოუგდო სიტყვა — უშენოდ რით უნდა ისაზრდოოსო. ამაზე გოპნერი ჩაფიქრდა, მაგრამ წუხილის გარეშე და მცირე ხანს.

— მზესუმზირით გამოიკვებება — რა ბევრი საზრდო იმას სჭირდება? — მე და იმას სიყვარული კი არა, მხოლოდ ფაქტი გვაქვს. პროლეტარიატიც ხომ სიყვარულისგან კი არა, ფაქტისგან იშვა.

გოპნერს ის არ უთქვამს, ჩვეენგურში წასვლაზე წამდვილად რა იმედსაც ამყარებდა, წასვლა იმიტომ კი არ უნდოდა, რომ ცოლს თავი მზესუმზირით ეაზრდოებინა, არამედ, იმისათვის, რომ ჩვეენგურის თარგზე მთელ გუბერნიის კომუნისში, რაც შეიძლება, მალე ჩამოეყალიბებინა. მაშინ კომუნისში მის ცოლს სიბერისას ალბათ მაძღრისად უზრუნველყოფდა, სხვა უფრო გებლო ადამიანთა თანაბრად, ჯერჯერობით კი იგი როგორმე გაძღვებდა. სხვისი სამუშაოზე სამუდამოდ თუ დარჩებოდა, ამ საქმიანობას ბოლო არ ექნებოდა და არც გაუმჯობესდებოდა. უკვე ოცდახუთი წელი იყო, რაც გაუჩერებლივ მუშაობდა, მაგრამ საქმიანობას მისთვის პირადი საარსებო სარგებლიანობა არ მოჰქონდა — ერთი და იგივე გრძელდებოდა, მარტოოდენ დრო ამოდ იკარგებოდა. არც კვება, არც ჩასაცმელი, არც სულიერი ბედნიერება — არაფერი არ მატულობდა, მაშასადამე, ხალხს ახლა იმდენად შრომა არ ეაჭიროებოდა, რამდენადაც კომუნისში. ამას გარდა, გოპნერის ცოლს შეეძლო, იმავე ზახარ პავლოვიჩთან მისულიყო და იგი პროლეტარ ქალს ლუკმაბურზე უარს არ ეტყოდა. თვინიერი მშრომელებიც აუცილებლად საჭირონი იყვნენ: ისინი განუწყვეტლივ მუშაობდნენ მაშინ, როცა კომუნისში ჯერ უსარგებლო იყო, მაგრამ უკვე საჭიროებდა პურს, ოჯახურ უბედურებას და ქალების დამატებით ნუგეშისცემას.

კობიონკინმა ჩვეენგურში ერთი დღე და ღამე გაატარა, მერე კი ამ ქალაქში დგომისგან დაიქანცა, რადგან იქ კომუნისში ვერა გრძნობდა; ბურჟუაზიის დახმარების შემდეგ როგორ უნდა ეცხოვრათ, ბედნიერება რომ ჰქონოდათ, ჩებურნიმ თავდაპირველად თურმე არაფერი უწყობდა, და აზრების მოსაკრებად შორეულ მდებლობებზე მიდიოდა, რათა იქ ცხოველმყოფელ ბალახში განმარტოებულს კომუნისში წინათგრძნობით წარმოესახა. უკაცრიელ მდებლობებზე ორ დღეს ყოფნისა და ბუნების კონტრეგოლუციური ხვავრიელობის ჰვრეტით გულადვსების შემდეგ ჩებურნი დანალვლიანდა და სევდამორეულმა ჰკუთის საკითხავად კარლ მარქსს მიმართა; იფიქრა, უზარმაზარი წიგნია და შიგ ყველაფერი ეწერებაო; გაუკვირდა კიდევაც, ველები ხომ უფრო მეტია, ვიდრე ახლები და ხალხი, ჰოდა, ქვეყნებისა და ადამიანების შესახებ ამდენი გამოწინაგონი სიტყვა უკვე რანაირად არსებობსო.

ეს კი ასე იყო, მაგრამ ამ წიგნის ხმამალალი კითხვა მაინც ჩაატარა: პროკოფი უკითხავდა, ხოლო თვითონ თავი ხელებზე ჰქონდა ჩამოდებულნი და გონებადაძაბული, ყურადღებაგამახვილებული უსმენდა, თანაც პროკოფის დროდადრო ბურახს უსხამდა, კითხვისას ხმა არ დაუსუსტდესო. კითხვის შემდეგ ჩებურნიმ ვერაფერი გაიგო, მაგრამ გულს მოეშვა.

— პროშა, ჩამოაყალიბე, — წყნარად უთხრა პროკოფია, — მე რალაცას ვგრძნობ.

პროკოფიმ გონებას ძალა დაატანა და უმალ ჩამოაყალიბა:

— ამხანაგო ჩებურნი, მე მიმაჩნია ერთი რამ..

— შენ კი არ უნდა მიიჩნიო, რეზოლუცია უნდა წარმომიდგინო ნარჩენ არამზადათა კლასის ლიკვიდაციაზე.

— მე მიმაჩნია, — გონივრულად დაასკვნა პროკოფიმ, — ერთი რამ: რაკილა კარლ მარქსს ნარჩენ კლასთა შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი, მაშ ისინი არც უნდა იყვნენ.

— ისინი კი არიან — გადი ქუჩაში: ან ქვრივი შეგხვდება, ან ნოქარი, ანდა

პროლეტარიატის შემცირებული უფროსი... როგორ მოვიქცეთ, მოთხარი, გე-
თაყვა!

— მე კი მიმაჩნია, რაღაც ისინი კარლ მარქსის მიხედვით არ შეიძლება,
რომ არსებობდნენ, მაშ არც უნდა არსებობდნენ.

— ისინი კი არსებობენ და არაპირდაპირ ჩვენ გვჩაგვრავენ — მაშ ეს
როგორღაა?

პროკოფიმ ჩაცადი გონება კვლავ დაძაბა, ახლა მხოლოდ ორგანიზაცი-
ულ ფორმას ეძიებდა.

ჩეპურნიმ გააფრთხილა, მეცნიერების მიხედვით ფიქრს არ შეეცადო.
მეცნიერება ჯერ დასრულებული არ არის, მხოლოდ ვითარდება: შემოუსვლელ
ჭვავს არ შეიძლება.

— ამხანაგო ჩეპურნი, მე აშკვარის თანმიმდევრული რიგით ვსაზრულობ
და ვფიქრობ, — გამოსავალი მოხაზა პროკოფიმ.

— ჩქარა მოისაზრე, თორემ ვღელავ!

— ჩემი მოსაზრებით აუცილებელია, მოსახლეობის ნარჩენები ჩევენგუ-
რიდან, რაც შეიძლება, შორს გავიყვანოთ, რათა მათ გზა-კვალი აერიოთ.

— ეს ნათელი არ არის: მწყემსები გზას მოასწავლიან.

პროკოფი თავის საფეხელს გაჩაგრძობდა.

— კომუნიზმის ბაზიდან ყოველ განდევნილს ერთი კვირის სარგო ულუ-
ფა უნდა მიეცეს — ამას საეკონომიკური პუნქტის სალიკვიდაციო კომიტეტი მო-
ავგვარებს...

— შემახსენე — ხვალ იმ სალიკვიდაციო კომიტეტს შევამცირებ.

— ჩავინიშნავ, ამხანაგო ჩეპურნი, შემდეგ — ბურჟუაზიის მთელ სამუ-
ალო სათადარიგო ნარჩენებს სიყვდლით დააჯის განაჩენი უნდა გამოუცხად-
დეს და ეს სასჯელი მაშინვე ებატოს.

— ეგ რილასთვის?

— ებატება ჩევენგურიდან და კომუნიზმის დანარჩენი ბაზებიდან სამუ-
დამოდ განდევნის აღნიშვნით, როდესაც ნარჩენები ჩევენგურში თუკი გამოჩნდუ-
ბიან, მათზე სიყვდლით დააჯის განაჩენი ოცდაოთხი საათის განმავლობაში
განახლებულ იქნება.

— ეს, პროშა, სავსებით შესაძლებელია! — გეთაყვა, დადგენილება ქა-
ლადის მარჯვენა მხარეზე დაწერე.

ჩეპურნი თამბაქოს დიდხანს და გემოვნებში ყნოსავდა, ახლა კარგ გუ-
ნებაზე დადგა: ნარჩენ არამზადათა კლასის მაშრის წარგლებს ვარცთუ გაიყვანდ-
ნენ, ხოლო ჩევენგურში კომუნიზმის ფაში დადგებოდა, ცინაიდან სხვა რამ ვე-
რ იბოგინებდა. ჩეპურნიმ კარლ მარქსის თბულება ხელში აიღო და მჭიდ-
როდ ნაბეჭდ ფურცლებს ხელი პატრივის ცემით მოუთათუნა: ყაყმა ამდენი და-
წერა, — შეენანა მარქსი! — ხოლო ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ და მერე წა-
ვიკითხეთ, — ჯობდა, სულაც არ დაეწერათ!

წიგნი ტყუილუბრალოდ რომ არ ყოფილიყო წაკითხული, ჩეპურნიმ სა-
თაური გარდიგარდმო თავისა დაწერით დაკვალა: დასრულებულია ჩევენგურ-
ში ნარჩენ არამზადათა კლასის ლიკვიდაციის ჩათვლით, ამით შესახებ მარქსს
თბულებისთვის აზრი არ აღმოაჩნდა, ხოლო მათგან მომავალში ხიფათი გარ-
დუვალია. მაგრამ ჩვენ საჭირო ზომები განვახორციელებთ: მერე ჩეპურნიმ

წიგნი ფანჯრის რაფაზე ფრთხილად დადო, რადგან ეს საქმე განვლილად მიიჩნია, და კმაყოფილება იგრძნო.

პროკოფიმ დადგენილება დაწერა და ისინი ერთმანეთს დაშორდნენ. პროკოფი კლავდიუსას საძებნელად წავიდა, ხოლო ჩებურნიმ ქალაქში კომუნის დადგომამდე იქაურობის დასათვალისწინებლად გასწია. სახლების გვერდით, — მიწაყრილებზე, დაპირქვავებულ ნავეებზე და სხვადასხვაგვარ კუნძებსა თუ მორების გადანაჭრებზე ჩამომსხდარიყვნენ და მზეს ეფიცებოდნენ ვიღაც უცხონი: დედაბრები, დახვრეტულ მეპატრონეთა ორმოციოდე წლის კვიანი თანაშემწენი, ცრურწმენებზე აღზრდილი ზრდადაუსრულებელი ყმაწვილები, შემცირებათა გამო განაწამები მოსამაახურენი და წოდებათა თანაბრობის სხვა მომხრენი. სახეტილოდ გამოსულ ჩებურნის თვალი მოჰკრეს თუ არა, სახლების გვერდით მსხდომნი უჩუმრად წამოიშალნენ და კარმიდამოებს ნელ-ნელა მიეფარნენ ისე, რომ კუტიკარები არ აუჭრიალებიათ, თანაც ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა, შორა მიმალულიყვნენ. ყველა ჭიშკარს თითქმის მთელ წელიწადს შერჩებოდა ხოლმე ცარცით მიხატული საფლავის ჯვრები, ყოველწლიურად, ნათლისღების წინა ღამით რომ გამოსახავდნენ: იმ წელიწადს ძლიერი ალმაცერი წვიმა არ ყოფილა და ცარცით მიხატული ჯვრები არ ჩამორეცხილა. „საჭიროა, ხვალ აქაურობას სველი ჩვრით ჩამოვუაროთ, — გონებაში აღინიშნა ჩებურნიმ, — ეს ხომ აშკარად სამარცხვინოა.“

ქალაქის განაპირას ვრცელი, ძალუმი ველი გადაიშალა. მსუყე, მაცოცხლებელი ჰაერი საღამო ჟამს ჩაწყნარებულ ჰაერს დამამშვიდებლად კვებავდა; მთელს არემარეში მხოლოდ და მხოლოდ ვიღაც მოუავენარი კაცი მოჩანდა, შექმნიმქრალ შორეთში საზიდრით რომ მიდიოდა და პორიზონტის სიციარიელს ამტვერებდა. მზე ჯერ არ ჩასულიყო, მაგრამ ახლა ამ დაუცხრომელი, მობურბურე ბურთისათვის თვალის გასწორება უკვე შეიძლებოდა. მისი წითელი ძალა უნდა ჰყოფნოდა საუკუნო კომუნის და ადამიანთა შინაბრძოლისა და ფაციფუცის სრულ შეწყვეტას, ფაციფუცისა, რაც ჰამა-სმის სასიკვდილო აუცილებლობას ნიშნავს, მაშინ, როცა მთელი ციური მნათობი ადამიანთა გარეშე მუშაობს საქმლის საზრდელად. ერთმა მეორეს მეტოქეობაზე ხელი უნდა აიღოს, რათა ეს მზით განათებული შინაბრძოლის ალაგი მეგობრობის ნივთიერებით შეივსოს.

ჩებურნი მზეს, ველსა და ჩვენგურს მდუმარედ გასცქეროდა და მოახლოებული კომუნის მღელვარებას მძაფრად შეიგრძნობდა. მას ეშინოდა თავისივე ამალღებული გაწყობილებისა, რაც თავში აღძრულ აზრს ძალმოჭარბებით უხშობდა და შინაგან განცდას უძნელებდა. ახლა პროკოფის მოძებნა გაუჭირდებოდა, თორემ იგი ჩამოყალიბებას შეძლებდა და ჩებურნის სულში ყოველივე მკაფიო შეიქნებოდა.

— ნეტა, რაღა მიძნელდება, როცა კომუნის ქამი დგება! — საკუთარი მღელვარების წყვედიადში იღუმალად ეძიებდა ჩებურნი.

მზე ჩადასალიერდა და ჰაერიდან ბალახთათვის სინოტივე ჩამოადინა. ბუნება ლურჯი და მშვიდი შეიქნა, მომქანცველი ცხოვრების წიაღში საერთო ამხანაგობისათვის მზისგან გაწეული ხმაურიანი ჯაფისაგან განიწმინდა. ჩებურნის ფეხით გადატეხილმა ბალახის ღერომ მომაკვდავი თავი ცოცხალი მეზობლის ფოთლოვან მხარზე ჩამოაყრდნო; ჩებურნიმ ფეხი გაწია და ჰაერს დაყნოსა — ველის შორეული, მიყრუებული ალაგებიდან გრძელმანძილობის კაეშნისა და ადამიანის უმყოფლობის სუნი მოილტვოდა.

ჩევენგურის განაპირა ლობეთა მიღმა შამბნარი იწყებოდა, მიწათმოყვან-
ბელა ველის ნასვენნი მიწებისკენ გაბმულ ტევრად რომ მიემართებოდა; ჩე-
პურნის ფეხები თავის ნებაზე აღმოცენებულ სხვა ბალახთა შორის/ძმურად
გაზრდილ მტვრიან ძირხვენებში ჩაეყო, და ამ ძირხვენათა სითბო სიამეს
პვერიდა. შამბნარი მთელ ჩევენგურს მჭიდრო ფარად შემოსტრიალდა და განა-
ბულ სივრცეთაგან იცავდა, რომელთა წიაღშიც ჩეპურნი ჩაბუდებულ უკაცუ-
რობას შეიგრძნობდა ეს შამბნარი — ბედკრულ ადამიანთა მსგავსი ურთი-
ერთ მოძმე, კირთამთმენი ბალახი — რომ არ არსებულებოდა, ველი უარსაყო-
ფელი იქნებოდა; მაგრამ ქარი შამბნარში ბალახთა გასამრავლებელ თესლს
მიმოაბნეცდა, ხოლო გულდამძიმებული ადამიანი ბალახზე მიაბიჯებდა და კო-
მუნისკენ მიემართებოდა. ჩეპურნი იქიდან წასვლა დააპირა, რათა თავის
შეგრძნებათაგან დაესვენა, მაგრამ იმ კაცს მოუცადა, წელამდე ამართულ შამ-
ბნარს რომ მოარღვევდა და ჩევენგურისკენ შორეთიდან მოემართებოდა. ერ-
თი შეხედვითვე ჩანდა, რომ არამზადათა ნარჩენი კი არა, ჩაგრული მოდიოდა.
იგი ჩევენგურისკენ, როგორც მტრისკენ, ისე მოელტებოდა, ღამის გასათევს
რომ პპოვებდა, არ სჯეროდა და გზადაგზა ბურტყუნებდა. მგზავრი თანაბარი
ნაბიჯით არ მოდიოდა, მთელი ცხოვრების მანძილზე დაქანცულობისგან ფე-
ხები აქეთ-იქით ეჩაჩებოდა, ხოლო ჩეპურნი ფიქრობდა: — აი, ამხანაგი
მოდის, მოვუცდი და სევდამორეული გადავეხვევი — მე ხომ კომუნისკენ შო-
ბის წინააღმდეგ მარტო ყოფნა გულსა მზარავსო!

ჩეპურნიმ ძირხვენას ხელი მოუთათუნა — კომუნისკენ ამასაც უნდა, მთე-
ლი შამბნარი სულდგმულ მცენარეთა მეგობრობააო, სამაგიეროდ, ყვავილები
და ბალახები, ამას გარდა, ყვავილნარები, აშკარად არამზადული სანერგეებია,
არ უნდა დავივიწყო, რომ გამოვათიბინო და ჩევენგურში საუკუნოდ გადავა-
თქვინო: დაე, ქუჩებში თავის ნებაზე გაიხაროს ღაღად მიშვებულმა ბალახმა,
რომელიც ცხოვრების მცხუნვარებასაც და მომაკვდიინებელ თოვლიანობასაც
პროლეტარიატის მსგავსად უძლებსო.

შორიასლოს შამბნარი წაიხარა და თვინიერად გაშარიშურდა, თითქოს
უცხო სხეულმა შეარბიაო.

— მე თქვენ მიყვარხართ, კლავდიუშა, და თქვენი შეჭმა მინდა, ხოლო
თქვენ ერთთავად ძალზე გართული ხართ სხვა რამით! — ტანჯვის გამომხატ-
ველი ხმით თქვა პროკოფიმ, ჩეპურნის წასვლამდეც კი არ შეიცადა.

ჩეპურნიმ გაიგონა, მაგრამ არ განაწყენებულა: აგერ კაცი ხომ მოდის და
კლავდიუშა არც იმასა ჰყავსო!

კაცი უკვე მოახლოვდა; შავი წვერი და რალაცის მიმართ ერთგულებით
გამსჭვალული თვალები პქონდა, შამბნარის ტევრში გახურებულ, მტვრიან
ჩექმებს მოაქლაგუნებდა, რომელთაც უთუოდ ოფლის სუნი უდიოდა.

ჩეპურნი ლობეს საწყალობლად მიეყრდნო; შეშინებული გრძნობდა, რომ
შავწვერა კაცი ძალზე მოსწონდა და ეძვირფასებოდა — იგი ახლა რომ არ გა-
მოჩენილიყო, ჩეპურნი ცარიელსა და მომარხულე ჩევენგურში ატირდებოდა;
გულში არ სჯეროდა, რომ კლავდიუშას შეეძლო, ფეხსალაგში ევლო და გამ-
რავლების ყინი პქონოდა, — იგი მას მეტისმეტად სცემდა პატივს, როგორც
ჩევენგურში მყოფი ყველა მარტოხელა კომუნისტია ამხანაგურად ნუგეშის-
მცემელს; კლავდიუშა კი ადგა და პროკოფის შამბნარში წამოუგორდა, მაშინ
როცა მთელი ქალაქი კომუნისკენ მოლოდინში განაბულიყო, ხოლო თვით

სევდამორეულ ჩებურნის მეგობრობა სჭირდებოდა; ახლა კლავდიუსას მოხვევნი რომ შესძლებოდა, მერე კომუნიზმს ორ-სამ დღეს კიდევ თავისუფლად მოუცდიდა, ასე ცხოვრება კი მეტად აღარ შეეძლო — მისი ამხანაგური გრძნობა ველარავის დაყრდნობოდა; ცხოვრების ბტკიცე და საუკუნო აზრის ჩამოყალიბება თუმცა არავის ძალუძს, მაგრამ ამ აზრს იმავეს, ნორცა მეგობრულად ცხოვრობ, ამხანაგები თან გახლავან, როცა ცხოვრების სიძულებითი ხელიხელგადახვეულ წამებულთა შორის თანაბრად და წვრილ-წვრილად ნაწილდება.

ქვეითად მომავალი ჩებურნის წინ გაჩერდა.

— დგახარ და შენიანებს ელი?

— ჩემიანებს ველი — დაეთანხმა ბედნიერებით გულალვსებული ჩებურნი.

— ახლა ყველა უცხოა — ტყუილად ელი! ანდა იქნებ ნათესავებს გასცქერი?

— არა — ამხანაგებს.

— უცადე, — თქვა მგზავრმა და ზურგზე წამოკიდებული საგზლიანი აბჯის ხელახლა მორგებას შეუდგა. — ახლა ამხანაგები აღარ არიან. ყველა რეგვენმა, ვისაც თავი ძლივძლივობით გაჰქონდა, ნორმალურად იწყო ცხოვრება: თვითონ დავიარები და ვხედავ.

მჭედელი სოტიხი გულგატეხილობას უკვე ისე მისჩვეოდა, მისთვის სულ ერთი გახლდათ, სად იცხოვრებდა, დაბა კალიტვაში თუ უცხო ქალაქში, — ჰოდა, დაბაში სამჭედლო მთელი ზაფხულით გულგრილად მიატოვა, რათა სამშენებლო სეზონზე მეთრამატურედ დაბდგარიყო; არმატურის კარკასები ღობეებს მიაგავდა და ამიტომ არ ეუცხოებოდა.

— იცი, რა, — ამბობდა სოტიხი, ვერ გაეაზრებინა, რომ გზად შემოყრილი კაცის ნახვა ახარებდა, — ამხანაგები კარგი ხალხი კია, მაგრამ ბრიყვები არიან და დიდხანს ვერ ცოცხლობენ. ახლა ამხანაგი საიდან გამოგეცხადება? ყველაზე კარგი მოკლულია და საფლავშია: ის ხომ ძალიან ცდილობდა, ლატაკებისთვის გაძრულ-გამოძრულიყო; ვინც გაძლო, ის კი უთავბოლოდ დაეხეტება... ხოლო ზედმეტი ელემენტი არხეინად აზის თავზე ყველას, იმის თვალით დანახვასაც ვერ ეღირსები!

სოტიხმა აბგა მოირგო და ნაბიჯი გადადგა, რათა გზა განეგრძო, მაგრამ ჩებურნიმ ხელი ფრთხილად შეახო და მღელვარებისა და უმწეოქმნილი მეგობრობის გამო სირცხვილით ატირდა.

— მჭედელი ჯერ დუმდა, ჩებურნის თვალთმაქცობას ამოწმებდა, მაგრამ მერე სხვა ადამიანებთან გამიჯვნის მცდელობაზე ხელი აიღო და შვეებით მოდუნდა.

— მაშ კარგი ამხანაგები დაგხოცია და მარტო დარჩენილხარ, რაკილა ტირი მოდი, ლამის გასათევად ხელიხელგადახვეულნი წავიდეთ და ერთად ბევრი ვიფიქროთ. ამოდ კი ნუ ტირი — ადამიანი სიმღერა არ არის: სიმღერა ყოველთვის ამატირებს ხოლმე, ჩემს ქორწილშიაც კი ვტიროდი...

ჩვეენგურელები კარს ადრე შეიკეტავდნენ ხოლმე, რათა დაეძინათ და ხიფათი არ ეგრძნოთ. ჰოდა, არავინ, თვით ჩებურნიმაც კი, ვისაც ასეთი მიმართულებელი შეგრძნებანი ჰქონდა, არ იცოდა, რომ ზოგიერთ ეზო-ყურეში ქალაქის მობინადრენი ხმადაბლა საუბრობდნენ. მესრებთან, ძირხვენების სიმყუდროვეში, ყოფილი ნოქრები და შემეცირებული მოსამსახურეები იწვნენ და

ჩურჩულებდნენ უფლის წელიწადზე, ქრისტეს ათასწლოვან მეუფებაზე, სატანგულგამოვლილი და აღორძინებული ქვეყნიერების მომავალ მშვიდობიან ყოფაზე. — ასეთი საუბარი აუცილებელი იყო, რათა კომუნისტურ-ჯოჯოხეთის ფსკერზე თვინიერად გაეცლოთ. საუკუნეობით ნაგროვები და მივიწყებული მარაგი გულითადობისა ძველ ჩვენივე რეალობებს ეხმარებოდა. სიცოცხლის მიწურული მოთმინებისა და იმედიახლობის სრულყოფილი გაეტარებინათ სამაგიეროდ, ჩეპურნისა და მის მცირერიცხოვან ამხანაგებს გასაჭირი აღვართ — არსად, არც წიგნებში, არც ზღაპრებში, კომუნისტში გასაგები სიმღერისდაგვარად ჩაწერილი არ იყო, რაც შეიძლებოდა, სახიფათო ვაშს თავის საწუგეშებლად გაეხსენებინათ. კარლ მარქსი კედლიდან უცხო საბაოთი ჩამოიცირობოდა და მისი საშინელი წიგნები კაცის გონებას კომუნისტების დამამშვიდებელ წარმოსახვამდე ვერ მიიყვანდა; მოსკოვიდან და გუბერნიიდან გამოგზავნილ პლაკატებზე კონტრევოლუციის ურჩხული და კოოპერაციული სოფლისკენ მომავალი, ჩითითა და მაუდით დატვირთული მატარებლები იყო გამოსახული, მაგრამ არსად ჩანდა ის ამადელვებელი სურათი მომავლისა, რის გულისთვისაც ურჩხულისათვის თავის მოკვეთა და დატვირთული მატარებლების წარმართვა ღირდა. ჩეპურნი მხოლოდ საკუთარი აღფრთოვანებული გულის იმედად უნდა ყოფილიყო, ქაბანწყვეტით მოეპოვებინა მომავალი, ბურჟუაზია ჩამცხრალი სხეულები მიეღობო და გზად შემოყრილ, ქვეითად მომავალ მკედელს გადახვეოდა.

ჩეპურნი და სოტიხი მიტოვებულ ფარდულში ნამჯაზე იწვნენ და სანამ ალიონი მოატანდა, ჭკუა-გონებას აფხავებდნენ კომუნისტების რაობისა და მისი საულიერების მოსაძიებლად. ჩეპურნის ყოველ პროლეტართან საუბარი გულს უხარებდა, ამ პროლეტარს რაც არ უნდა ელაპარაკა: სწორი იქნებოდა თუ არასწორი, სიამებს ჰგვრიდა ის, რომ არ ეძინა და მოჭარბებული ძალებით ჩაყრუებულ საკუთარ გრძნობათა ფორმულირებას დიდხანს ისმენდა; ამის შედეგად შინაგან სიმშვიდეს ჰპოვებდა და ბოლოა ჩაეძინებოდა ხოლმე. სოტიხსაც არ ეძინა, მაგრამ მრავალგზის ჩუმდებოდა და თვლებს იწყებდა; თვლებმა ძალ-ღონეს აღუდგენდა, მოლონიერებული იღვიძებდა, ცოტა ხანს ილაპარაკებდა, მერე დაიღლებოდა და კვლავ ძილ-ღვიძილს მიეცემოდა. მთვლემარე სოტიხს ჩეპურნი ფეხებს უსწორებდა და ხელებს ისე უწყობდა, რომ მშვიდად წოლილიყო და უკეთ მოესვენა.

— სულს ნუ მითათუნებ, ნამუსში ნუ მაგდებ, — გაისმოდა სოტიხის ხშირათმუნებულ ფარდულში. — მე შენთან თავს ისედაც რატომღაც კარგად ვგრძნობ.

ღილის ყამმა როცა მოაწია, ფარდულის კარის ღრიტოებში შუქმა გამოსცრა და გრილი ეზოდან აკვამლებული ნაკელის სუნი შემოიჭრა; სოტიხმა წამოიწია და ახალ დღეს უწყესრიგო ძილისაგან გამოლენჩებული თვალები მიამყრო.

— რა დიგემართა? მარჯვენა გვერდზე დაწეკი და ჩაგეძინება, — უთხრა მას ჩეპურნიმ, ენანებოდა, დრო ასე სწრაფად რომ გავიდა.

— ძილს არ მაცლი და რა ვქნა, — უსაყვედურა სოტიხმა ჩეპურნის. — ჩვენთან დაბაში ერთი აქტივია: გლეხებს მოსვენებას არ აძლევს, შენც აქტივი ხარ, ეშმაკმა წაიღოს შენი თავი და ტანი!

— მაშ, აბა, რა ვქნა, თუკი ძილი არ მეკარება, მითხარი ერთი, ვეთაყვა! სოტიხმა თავზე ხელი გადაისვა და თმა გაისწორა, წვერი ფრჩხილებით

ჩამოვიარცხნა, თითქოს ძილში სიკვდილს გაფაქიზებული უნდა შეეგებოსო.

— ძილი დაუდევრობის გამო არ გეკარება, რევოლუცია ხომ ნელ-ნელა მოიშალა, ახლოს მომიწევი და დაიძინე, ხოლო დილით წითლების მარჩენებს თავი მოუყარე და შეუტეი, თორემ ხალხმა კვლავ საითკენღაც ფეხით გაუტია...

— სასწრაფოდ თავს მოვუყრი. — საკუთარ თავს ჩამოუყარე ჩებურნიმ და მოხეტიალის მშვიდ ზურგს მიეყუთა, რათა ძილში ძალ-ღონე სწრაფად მოეკრიბა. სამაგიეროდ, სოტიხს ძილი უკვე გაუფრთხა და ვერ იქნა და ველარ ჩათვლიდა. „უკვე ინათა, — დილის შუქს თვალი ჰკიდა სოტიხმა, — თითქმის დროა ჩემი წასვლისა; მირჩევნია, მერე, როცა ჩამოცხება, სადმე ხევში წამოვწვე, დახე, როგორ კაცსა სძინავს — კომუნიზმი მოუნდომებია, მორჩა და გათავდა: მთელ ხალხად მარტო თავის თავი მიაჩნია!“

სოტიხმა ჩებურნის ჩამოვარდნილი თავი გაუსწორა, გამხდარ სხეულზე მაზარა წაახურა და წამოდგა, რათა იქიდან სამუდამოდ წასულიყო.

— მშვიდობით, ფარდულო! — კართან მდგარმა უთხრა შენობას, სადაც ღამე გაათია. — იცოცხლე, არ დაიწვა!

ფარდულის კუთხეში ლეკვებთან ერთად მწოლიარე ძუქნამ გაიღვიძა, ადგა და საჭმლის საძებნელად სადღაც გაემართა, ხოლო უდღოდ დარჩენილი, დანალვლიანებული ლეკვები მიიფანტ-მოიფანტნენ; ერთი ჩამრგვალებული ლეკვი ჩებურნის ყელთან ჩაუწვა და მაწოვარის ხარბი ენით ჭირკვალს ზემოთ ლოკვა დაუწყო. ჩებურნი თავდაპირველად იღიმებოდა, რადგან ლეკვი ულიტინებდა, მაგრამ მერე გაცივებულმა ნერწყვმა შეაწუხა და გამოაღვიძა.

მოხეტიალე ამხანაგი აღარსად ჩანდა; მაგრამ ჩებურნიმ დაისვენა და მასზე ნაღველს აღარ მიხსენებდა; კომუნიზმის სასწრაფოდ მომთავრებაა საჭირო. — თავს იიმედებდა ჩებურნი, — მაშინ ჩვევგურში ის ამხანაგიც დაბრუნდებაო.

ერთი საათის შემდეგ მან მაზრის აღმასკომში შეკრიბა ყველა ჩვევგურელი ბოლშევიკი — თერთმეტი კაცი — და ისევ ის უთხრა, რასაც ყოველთვის ეუბნებოდა: ბიჭებო, საჭიროა, კომუნიზმი, რაც შეიძლება, სწრაფად მოვამთავროთ, თორემ მისი ისტორიული მომენტი გაივლის, — დაე, პროკოფიმ ჩამოგვიყალიბოსო!

პროკოფის პირადი გამოყენებისთვის კარლ მარქსის ყველა თხზულება ჰქონდა და მთელ რევოლუციას ისე ჩამოაყალიბებდა ხოლმე, როგორც მოესურვებოდა — კლავდიუშას განწყობილებისა და ობიექტური ვითარების მიხედვით.

ობიექტურ ვითარებასა და აზროვნების მუხრუქს კი პროკოფისათვის ჩებურნის ბნელი, მაგრამ მწყობრი და უტყუარი გრძნობა წარმოადგენდა. პროკოფი ზეპირად მოჰყვებოდა თუ არა კარლ მარქსის თხზულების გადმოცემას რევოლუციის წინსვლის, შენელებისა და საბჭოთა ხელისუფლების ხანგრძლივი უძრაობის დასამტკიცებლად, ჩებურნი ყურადღებას იმახვილებდა და კომუნიზმის გადავადებას ძირფესვიანად უარყოფდა.

— პროშა, შენ კარლ მარქსზე ძლიერად ფიქრს მოეშვი: იგი ხომ სიფრთხილის გამო იგონებდა, უარესი რა იქნებოდა, ხოლო რაკი ჩვენ ახლა კომუნიზმის გამართვა შეგვიძლია, ეს მარქსისთვისაც უკეთესი იქნება...

— მე მარქსისგან განდგომა არ შემიძლია, ამხანაგო ჩებურნი. — შინა-

განი კრძალული მორჩილებით ამბობდა პროკოფი, — რაკილა მას დაბეჭდილი აქვს, ჩვენც თეორიულად სიტყვასიტყვით უნდა მივდილით.

თავისი გონების საბნელით გულდამძიმებული პიუსია მდუმარედ ოხრავდა. პროკოფის არც სხვა ბოლშევიკები ედავებოდნენ: მათ ყოველგვარი ნათქვამ-წალაპარაკევი მასობრივ საქმიანობად კი არა, ერთი კაცის ბოძვად მიაჩნდათ.

— პროშა, რასაც შენ ამბობ, ყველაფერი რიგიანია, — ტაქტიკიანად და თავაზიანად უარყოფდა ჩეპურნი, — ოღონდაც ეს მითხარი, გეთაყვა, რევოლუციურობის ხანგრძლივი მიმდინარეობის შედეგად თავად არაქათი ხომ არ გამოგველევა? მე თვითონ, შესაძლოა, ხელისუფლების შენარჩუნების გამოცხადებით ყველაზე უწინ წავხდე და წარვიხოცო: ხომ შეუძლებელია, ყველაზე უკეთესი დიდხანს რომ ვიყო!

— როგორც გენებოთ, ამხანაგო ჩეპურნი! — თვინიერად, მაგრამ მტკიცედ ეთანხმებოდა პროკოფი.

ჩეპურნი საკუთარ არსებაში მბორგავ გრძნობებს ბუნდოვნად შეიცნობდა და ითმენდა.

— ამხანაგო დვანოვო, როგორც მე მნებავს, ისე კი არა, არამედ როგორც თქვენ ყველას გსურთ, როგორც ლენინსა სურს და როგორც მარქსი ფიქრობდა დღისითა და ღამით!.. მოდი, საქმეს მივხედოთ, — ჩევენგური ბურჟუაზია წარჩენებისაგან გაეწმინდოთ...

— ჩინებულია, — თქვა პროკოფიმ, — სავალდებულო დადგენილების პროექტი მე უკვე მოვამზადე...

— დადგენილებისა კი არა, ბრძანებისა, — შეუსწორა ჩეპურნიმ, რათა ყოველივე უფრო განემტკიცებინა, — დადგენა შემდგომში შეგვეძლება, ახლა კი უნდა დავაფუძნოთ.

— როგორც ბრძანება ისე გამოვაქვეყნოთ, — კვლავ დაეთანხმა პროკოფი. — რეზოლუცია დაადეთ, ამხანაგო ჩეპურნი.

— არ დავადებ, — უარი თქვა ჩეპურნიმ, — სიტყვიერად გითხარი, მორჩა და გათავდა.

მაგრამ ჩევენგურელი ბურჟუაზიის წარჩენები სიტყვიერ რეზოლუციას — მესრებზე, დარაბებზე და ლობებზე ცომით მიწებებულ ბრძანებას არ დაემორჩილნენ. ჩევენგურის მკვიდრი მცხოვრებნი ფიქრობდნენ, ყველაფერი, სადაცაა, დასრულდება, შეუძლებელია, დიდხანს გასტანოს იმან, რაც არასდროს ყოფილაო. ჩეპურნიმ ბურჟუაზიის წარჩენების წასვლას ოცდაოთხი საათი უცადა და მერე პიუსიასთან ერთად სახლებიდან ხალხის გამოსარეკად გაემართა. პიუსია განურჩევლად შედიოდა მორიგ სახლში, ყველაზე მოწიფულ ბურჟუაზს მონახავდა და ყბაში ხმაამოუღებლად შემოჰკრავდა.

— ბრძანება წაიკითხე?

— წავიკითხე, ამხანაგო, — წყნარად უპასუხებდა ბურჟუა, — ჩემი საბუთები შეამოწმეთ — მე ბურჟუა არა ვარ, ყოფილი საბჭოთა მოსამსახურე გახლავართ, პირველი საჭიროებისთანავე დაწესებულებებში მიღებას ვეძებდებარები...

ჩეპურნი ქალღღს ართმევდა:

„მიეცა ესე ამხ. რ. ტ. პროკოპენკოს მასზედ, რომ იგი ამ რიცხვიდან შემცირებულია საევაკუაციო პუნქტის სათადარიგო პურ-საფურაყე ბაზის კო-

შენდატის მოადგილის თანამდებობიდან და საბჭოთა მდგომარეობისა და აზრთა ხასიათ-მიმართულების მიხედვით რევოლუციურ-კეთილსაიმედო ელემენტებს მიეკუთვნება.

საევაკუაციო პუნქტის უფროსის მაგიერ პ. დვანოვი.



ქართული
საბჭოთა

— რაო, რა წერია? — ელოდებოდა პიუსია. ჩებურნიმ ქალაქი დაფხრიწა.

— გაასახლე. ჩვენ მთელ ბურჟუაზიას მოწმობები ჩამოვურიგეთ.

— ეს როგორ იქნება, ამხანაგებო? — თავის შებრალებას ცდილობდა პროკოპენკო. — მე ხომ მოწმობა ხელთა მაქვს — საბჭოთა მოსამსახურე გახლავართ, თანაც თეთრებს არ ვავყოლივარ, როცა ყველა მიპყვებოდა...

— აქედან არსადაც არ წახვიდოდი — აქ ხომ საკუთარი სახლ-კარი გაქვს! — განუმარტა პროკოპენკოს მისი საქციელი პიუსიამ და ყურის ძირში გულიანად გასცხო.

— საქმე მოაგვარე; მოკლედ, ქალაქი დამიცარიელე; — საბოლოო რჩევა მისცა ჩებურნიმ პიუსიას, თვითონ კი წავიდა, რათა ზედმეტად აღარ აღელვებულიყო და კომუნისმის შესახვედრად მომზადება მოესწრო. მაგრამ პიუსიამ ბურჟუების გარკვევა ერთბაშად ვერ შეძლო. თავდაპირველად მარტომ-მარტომ მოქმედებდა — მჭონებელთა ნარჩენებს თავად სცემდა, თავად უწესებდა ნივთებისა და საგზლის ნორმას, რისი გზაზე წაღების ნებართვაც ბურჟუების ნარჩენებს ეძლეოდათ, და ამ ნივთებს ბოხჩებში თავადვე გამოუტრავდა ხოლმე. მაგრამ საღამო ხანს პიუსია ისე დაიქანცა, რომ მორიგ კარმიდამოებში მაცხოვრებლებს აღარ სცემდა, მხოლოდ მდუმარედ უმზადებდა წასაღებ ნივთებს. „ასე ხომ სული საბოლოოდ გამძვრება!“ — შეშინდა პიუსია და ხელქვეითი კომუნისტების მოსაძებნად გაემართა.

მაგრამ ბოლშევიკების მთელმა რაზმმაც ვერ შეძლო ოცდაოთხ საათში ნარჩენი კაპიტალისტების გასახლების მოგვარება. ზოგიერთი კაპიტალისტი ბოლშევიკებს ემუდარებოდა, საბჭოთა ხელისუფლებამ მოჯამაგირეებად უფლუფოდ და უხელფასოდ დაგვიქირავოსო, სხვები კი იხვეწებოდნენ, ნება მოგვეცით, ყოფილ ტაძრებში ვიცხოვროთ და საბჭოთა ხელისუფლებას შორიდან მაინც თანავუგრძნოთო.

— არა და არა, — უარს ეუბნებოდა მათ პიუსია, — თქვენ ახლა ადამიანები აღარა ხართ და ბუნებაც მოლიანად შეიცვალა...

ბევრი ნახევარბურჟუა იატაკზე დამხობილი ტიროდა, თავის ნივთებსა და ნარჩენურჩენებს ეთხოვებოდა. ლოგინებზე მოჩანდა აკოკოლავებული თბილი ბალიშები; დიდრონი სკივრები აქვითინებული კაპიტალისტების განუშორებელი ნათესავებით იდგნენ; გარეთ გასულ ყოველ ნახევარბურჟუას თან მისდევდა თავისი ნაბინადრალის სუნი, დიდი ხნის წინათვე ფილტვებიდან სისხლში რომ შესჭროდა და სხეულის ნაწილად ჰქცეოდა. ყველამ არ იცოდა, რომ სუნი საკუთარი ნივთების მტვერი იყო, მაგრამ ყოველი მათგანი ამ სუნის შესუნთქვით საკუთარ სისხლს აახლებდა. პიუსია ნახევარბურჟუებს არ აცლიდა, რომ მათი მწუხარება ერთ ალაგას დაყოვნებულიყო: იგი პირველი საჭიროების ნივთებით გამოტენილ ბოხჩას ქუჩაში გაისროდა, მერე დანაღვლიანებულ ბურჟუას კაცობრიობის წუნმდებელი ოსტატის გულგრილობით წელზე ხელებს შემოაჭდობდა, გარეთ გაათრევდა და ბოხჩაზე, როგორც უკანასკნელ თავშესაფარ კუნძულზე, ისე დასვამდა; ნახევარბურჟუებს ქარში

მწუხარება უნელდებოდათ და ბოხჩებს სინჯავდნენ, პიუსიამ ყველაფერი ჩა-
ალაგა, რაც გვერგებოდა, თუ არაო. პიუსიამ და მისმა ამხანაგებმა ნარჩენ არა-
მზადათა კლასის გამოსახლება გვიან საღამოს მოათავეს და პიუსიის მოსა-
წევად დასხდნენ. წვრილი, მსუსხავი წვიმა დაიწყო, ქარი ჩაწყნარდა და წვი-
მის შრიალში ქანცგამოლეული და დადუმებული გაწყვეტილი ნახევარბურჟუები
ბოხჩებზე მკიდრო, გრძელ რიგებად ჩამწყრივებულიყვნენ და რაღაც სასწა-
ულს მოელოდნენ.

ამ დროს ჩებურნი გამოჩნდა და მოუთმენლობის გამომხატველი ხმით
ბრძანა, ყველანი სამუდამოდ გადაიკარგეთ ჩევენგურიდან, იმიტომ რომ კო-
მუნისმს მოსაცდელად არ სცალია და ახალი კლასი ბინებისა და თავისი სა-
ერთო ქონების მოლოდინში უმოქმედოდააო. კაპიტალიზმის ნარჩენებმა ჩე-
პურნის ნაბრძანები გაიგონეს, მაგრამ სიჩუმესა და წვიმაში ისევ ისე ისხდნენ

— ამხანაგო პიუსია, — თავშეკავეებით თქვა ჩებურნიმ. — მითხარი, გე-
თავება, ეს რა უბედურებაა? ადგნენ ახლა და თვალიდან მოგვცილდნენ, სანამ
ამათი დახოცვა არ დაგვიწყია, — ამათ გამო რევოლუცია ველარსაით წაგვი-
მართავს...

— ახლავე, ამხანაგო ჩებურნი, — კონკრეტულად მოისაზრა პიუსიამ და
რევოლუციური ამოიღო.

— მოშორდი აქაურობას! — უთხრა მან ყველაზე ახლოს მყოფ ნახევარ-
ბურჟუას.

ნახევარბურჟუამ გასაცოდავებულ ხელებში თავი ჩარგო და გაბმით ატი-
რდა, ისე რომ გულის გამაწვრილებელი ზღუქუნი არ წამოუწყია. პიუსიამ
ბოხჩას ცხელი ტყვია დაახალა — ნახევარბურჟუას ფეხებში უმაღ ძალია მო-
ეცა და რევოლუციის კვამლში ხელად წამოხტა, ხოლო პიუსიამ ბოხჩას ხელი
წამოავლო და შორს გასტყორცნა.

— უამისოდ წახვალ, — გადაწყვიტა მან. — პროლეტარიატმა ნივთები
გაჩუქა, მაშასადამე, იმ ნივთებიანად უნდა მოგვეტყორცხლა, ახლა კი ნაჩუქარს
უკანვე გართმევთ.

პიუსიას ხელქვეითებმა ძველ ჩევენგურელ მოსახლეთა ბოხჩებსა და კა-
ლათებს სროლა აუტეხეს, — პოდა, ნახევარბურჟუები ჩევენგურის წყნარი შე-
მოგარენისკენ წელა, დამფრთხალნი გაემართნენ.

ქალაქში თერთმეტი ბინადარი დარჩა; ათ მათგანს ეძინა, ხოლო ერთი
გამოყრუებულ ქუჩებში დაეხეტებოდა და იტანჯებოდა. მეთორმეტე კლავდი-
უშა გახლდათ, მაგრამ იგი, როგორც საერთო ბედნიერების წედლეული, სა-
განგებო სახლში სახიფათო მასობრივი ცხოვრებიდან განცალკევებით ბინა-
დრობდა.

შუალამისას წვიმამ გადაიღო და გამოფიტული ცა გაირინდა. მღუმარე
და დაცარიელებული, შემზარავი ჩევენგური ზაფხულის ნაღვლიანმა წყვდიად-
მა შთანთქა. ჩებურნიმ ფრთხილად დახურა ყოფილი ზავინ-დუვაილოს სახ-
ლის გამოღებული ჭიშკარი და გაიფიქრა, ქალაქიდან ძაღლები სად გადაიკარ-
გნენო; ეზოებში მხოლოდ ძველთაძველი ძირხენა და კეთილსახილველი ნა-
ცარქათამა ხარობდა, ხოლო სახლებს შიგნით, მრავალი საუკუნის მანძილზე
პირველად, მძინარეთა ამოოხვრა აღარ გაისმოდა. ჩებურნი დროგამოშვებით
რომელიმე ოთახში შედიოდა, საღად შემორჩენილ სავარძელში ჯდებოდა და
ბურუნუთს ყნოსავდა, რათა რაღაც მაინც ეკეთებინა და რაიმე ხმაური გაეგონა.
ქარადებში ზოგან შინგამომცხვარი ფუნთუშები დასტებად ეწყო, ხოლო ერთ

სახლში ბოთლით იდგა საეკლესიო ღვინო — ვისანტი ჩებურნიმ ბოთლში სა-
 ცობი ღრმად ჩატენა, რათა პროლეტარიატის მოსვლამდე ღვინო არ
 დაჰკარგოდა, ფუნთუშებს კი ჭურჭლის ტილო გადააფარა, რომ არ დასდებოდა.
 ყველა ბინაში განსაკუთრებით კარგად ლოგინები იყო გაწყობი-
 ბილ-გასწორებული, გატაკეცილი თეთრეული გრილად დასუფთავებული
 აფუმფულებული ბალიშები ზედ თავის მიმდებელსდა ელოდა, რათა ყოველი
 კაცი მოესვენებინა; ჩებურნი ერთ საწოლზე წამოწვა, რათა გაესინჯა, მაგრამ
 უმაღლესი სირცხვილი და მოწყენილობა იგრძნო იმის გამო, ასე სასიამოლო რაიმე
 იწვა, თითქოს ეს საწოლი რევოლუციაში ტანჯვა-წვალების სანაცვლოდ მი-
 ეღო. თუმცა ამდენი გაწყობილი სახლი ცარიელი იდგა, ჩევენგურელ ბოლშე-
 ვიკთა იმ ათკაციანი რაზმიდან ღამის გასათევად სასიამოვნო ადგილი არც ერთს
 არ უძებნია, ყველანი მაყრულად დაწვნენ აგურით ნაგებ საერთო სახლში, რომელიც
 დაჯავშნული ჰქონდათ ჯერ კიდევ ჩვიდმეტ წელში, რევოლუციის იმ-
 დროინდელი მიუსაფრობის ქაშის. თვით ჩებურნისაც თავის ბინად ეს თბილი,
 მყუდრო და გაწყობილი ოთახები კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ის აგურით
 შენობა მიაჩნდა.

მთელი ჩევენგური უსამშველო კაეშანს მოეცვა მსგავსად მამისეული სახ-
 ლისა და ეზო-ყურისა, საიდანაც ცოტა ხნის წინ კუბოში ჩაწვენილი დედა
 გამოასვენეს და დაობლებული ბიჭის დარად დედაზე ნალვლობდა მესერი,
 ძირხვენები და მიტოვებული წინკარი. ჰოდა, აი, ახლა ბიჭში თავი მიაყრდნო,
 ბორკლიან ფიცრებს ხელი მოუთათუნა და შუქმიმქრალი სამყაროა სიბნელე-
 ში ატირდა, ხოლო მამამ ცრემლები შეიმშრალა და შეიღს უთხრა, არა გი-
 შავს, მერე ყველაფერი კარგად იქნება, მწუხარებას შეეგუებიო. ჩებურნის
 თავის გრძნობათა ჩამოყალიბება მხოლოდ მოგონებების წყალობით შეეძლო,
 ხოლო მომავლისკენ ბნელით მოცული მომლოდინე გულით მიემართებოდა,
 მხოლოდ ნაპირებს შეიგრძნობდა რევოლუციისას და გზა-კვალი ამის შედეგად
 არ ებნეოდა. მაგრამ იმ ღამით ჩებურნის არც ერთი მოგონება არ ეჩმარებოდა
 ჩევენგურის მდგომარეობის განსასაზღვრავად. სახლები ჩაბნელებული იდგა
 — იქაურობა სამუდამოდ არა მარტო ნახევარბურჟუაზებმა, წვრილფეხა ცხო-
 ველებმაც მიატოვეს; ძროხებიც კი არსად ჩანდა — სიცოცხლემ იქაურობაზე
 ხელი აიღო და ველის შამბნარში ჩასაკვდომად გაემართა, ხოლო თავისი უსუ-
 ლო ბედ-იღბალი თერთმეტ კაცს ჩააბარა — ამ მათგანს ეძინა, ერთი კი ბუნ-
 დოვანი ხიფათის მოლოდინში დამწუხრებული დაეხეტებოდა.

ჩებურნი ღობის ძირას მიწაზე ჩამოჯდა და წამოზრდილი ბირკავა ორი
 თითით სათუთად მოსინჯა: ბირკავაც ცოცხალი იყო და ახლა კომუნისში იცო-
 ხვრებდა, ალიონი რატომღაც დიდხანს იგვიანებდა, ჯერ იქნა და ველარ-
 ირიყრაყა, არადა, უკვე დრო იყო ახალი დღის დადგომისა. ჩებურნი გაიღურა
 და შიში დაეუფლა — ვაითუ, დილით მზე აღარ ამოვიდესო; ფიქრობდა,
 დილა როდისმე მოალწევს თუ არა, — ძველი სამყარო ხომ — აღარ არსებ-
 ბობსო!

სალამოსპირის დამჭლევებული ღრუბლები უძრავ ალაგას უძლურად
 ჩამოშვებულიყო, მთელი მათი ჩამოღვრილი ძალა სინოტივისა ველის შამბ-
 ნარმა გაზრდა-გამრავლებისთვის მოიხმარა; ქარიც წვიმასთან ერთად ქვემოთ
 ჩამოეჭინა და სადღაც ბალახთა სიმჭიდროვეში დიდი ხნით ჩაწვა. ჩებურნის
 აბსოვდა თავისი ბავშვობისდროინდელი ასეთივე გამოცარიელებული, უძრავი
 ღამეები, როცა მის სხეულში ვიწროობა და მკუმუნვარება იბუდებდა, ძილი

კი არ ეკარებოდა; ჰოდა, იგი, პატარა, უსაკო, ლუმელზე თვალგახელილი იწვა მდუმარე და ჩახუთულ ქოხში; მაშინ მუცლიდან ყელამდე მომდინარე რაღაც მშრალსა და ვიწრო ნაკადს გრძნობდა, ერთთავად გულს რომ უტოკებდა და ბავშვურ გონებას ცხოვრების კაეშნით მსჭვალავდა; ქალღმერთი შეწუხებული პატარა ჩებურნი ლუმელზე ტრიალებდა, ბრაზობდა და იტყუებდა, ეჩვენებოდა, რომ მისი სხეულის წიაღში აღმა-დაღმა ჭია დაცოცავდა და უღიტიანებდა. ჩებურნის ასეთივე სულისშემხუთავი, მღელვარე ფორიაქი შესდგომოდა ჩვენგურში იმ ღამით, რომლის წყვილიაღმაც, შესაძლოა, სამყაროში შექტი საუკუნოდ ჩაახშო.

— ხვალ ხომ ყველაფერი კარგად იქნება, თუ მზე ამოვა. — თავს იმშვიდებდა ჩებურნი. — კომუნის გამო ნახევარბურჟუასავით რამ დამამგლოვიარა!...

ნახევარბურჟუები ახლა ალბათ სადმე ველზე მიიმალნენ ანდა ჩვენგურიდან შორეთისაკენ ნელი ნაბიჯით მიემართებოდნენ. ისინი, ყველა ასაკსრულთა მსგავსად, თავდაჭერებულობის უქონლობით გამოწვეულ იმ მღელვარებას არ განიცდიდნენ, რა მღელვარებაც გულში უტრიალებდა ბავშვებსა და პარტიის წევრებს, — ნახევარბურჟუებს მომავალი ცხოვრება ბედუკულმართად ესახებოდათ და არა სახიფათოდ და იდუმალებით მოცულად, ხოლო ჩებურნის ხვალინდელი დღისა ეშინოდა, რადგანაც ის პირველი დღე უხერხული და შემზარავი იქნებოდა, თითქოსდა სიქალწულე შესაუღლებლად მომწიფებულებიყო და ხვალ ყველანი უნდა დაქორწინებულიყვნენ.

ჩებურნიმ სირცხვილისაგან სახეზე ხელები აიფარა, დიდხანს იყო ასე გაყუჩებული და უაზრო თავდაფდასხმულობა გულს უმღვრევდა. სადღაც შუა ჩვენგურში მამალმა იყივლა და ჩებურნის გვერდით წყნარად ჩაუარა ძაღლმა, თავისი პატრონის ეზო-კარი რომ მიეტოვებინა.

— მურა, მურა! — მოუხმო ძაღლს გახარებულმა ჩებურნიმ. — მოდი აქ, მოდი!

მურა ჩებურნის მორჩილად მიუახლოვდა და გამოწვდილ ხელზე დაყნოსა. კაცის ხელს გულკეთილობისა და ნამჯის სუნი უდიოდა.

— მურა, თავს კარგად გრძნობ? მე კი — არა!

მურას ბალანში ბირკავას თესლები გახლართოდა, ხოლო გავა ტალახში აგლესილი ცხენის ჩონჩორიკით დასვროდა. ეს იყო პატრონის ერთგული სოფლის ძაღლი, რუსული ზამთრისა და ღამეების მცველი, საშუალო შეძლების ეზო-კარის ბინადარი.

ჩებურნიმ ძაღლი სახლში შეიყვანა და თეთრი ფუნთუშებით გაუმასპინძლდა. ძაღლს ფუნთუშები სახიფათოდ ეჩვენებოდა და გულის კანკალით ჭამდა, რადგან გაჩენის დღიდან ასეთი რამისთვის პირი არ დაეკარებინა. ჩებურნიმ ძაღლს შიში შეამჩნია და შინგამომცხვარი ვაშლის გულიანი ღვეზელის ნაჭერიც გამოუძებნა. მაგრამ ძაღლი ღვეზელს არ ჭამდა, მხოლოდ სუნავდა და ირგვლივ გაფიციციებული უტრიალებდა, ბედის ნაწყალობევს არ ენდობოდა; ჩებურნიმ შეიცადა, სანამ მურა ღვეზელს მიეჩვეოდა და შეჭამდა, მერე ადგა და თვითონ გადაყლაპა, რომ ძაღლისთვის მისი უვნებლობა ეჩვენებინა. მურას გაუხარდა, სიწამლავის შეჭმას თავი რომ აარიდა, და იატაკზე კუდით მტვრის დაგვას მოჰყვა.

— შენ, გეტყობა, ღარიბი კაცის ძაღლი უნდა იყო, ბურჟუისა არ იქნები! — შეუყვარდა მურა ჩებურნის. — რაც გაჩენილხარ, გამტკიცული ფქვი-

ლისგან გამომცხვარი არაფერი გიჭამია; ჰოდა, ახლა ჩვენგურში იცხოვრე.

გარეთ ორმა მამალმა კიდევ დაიყვილა. „მაშ სამი ფრთა ფრინველი გვყოლია, — დაიანგარიშა ჩებურნიმ, — ერთი სული პირუტყვიც“.

სახლიდან გარეთ გასულ ჩებურნის უმალ შესცივდა. მან ახლა სხვაგვარი ჩვენგური იხილა: ჯერ კიდევ შორეული მზის ნაცრისფერ მსუქანს — განათებული, სიგრილემორეული გულლია ქალაქი; სახლებში ცხარეობს სუბურად შეიძლება, ხოლო ქუჩებში სიარული არ გაძნელებოდა, იმიტომ რომ ბალახი კვლავინდებურად იზრდებოდა, და ბილიკებიც ძველებურად მიემართებოდა. დილის შუქს ფერადოვნება ემატებოდა და მჭკნარი, ცრიატი ღრუბლები ამ შუქში ინთქმებოდა.

— მაშ მზე ჩვენი იქნება! — თქვა ჩებურნიმ და აღმოსავლეთისკენ ხელი ხარბად გაიწოდა.

ორმა უსახელო ფრინველმა იაპონელს თავზე გადაუფრინა. ორივენი მესერზე ჩამოსხდნენ და ბოლოები ააქანქარეს.

— თქვენც ჩვენთანა ხართ?! — მიესალმა ფრინველებს ჩებურნი, მერე ჯიბიდან მუჭით ნამცეცები და თამბაქოს ნაფხვენი ამოიღო და მიუყარა: — ჭამეთ, გეთაყვა!

ჩებურნის ახლა უკვე ძილი უნდოდა და აღარაფრისა რცხვენოდა. იგი აგურით ნაშენი საერთო სახლისკენ მიდიოდა, სადაც ათი ამხანაგი იწვა, მაგრამ გზად ოთხი ბელურა შემოხვდა. ბელურებმა ცრუმორწმუნეობის გამო იფრთხილეს და ლობეზე გადაფრინდნენ.

— მე თქვენი იმედი მქონდა! — უთხრა ბელურებს ჩებურნიმ. — თქვენ რომ ჩვენი სისხლხორცეული ფრინველები ხართ; ოღონდ ახლა ნულარაფრისა ნულარ გეშინიათ — ბურუტები აღარ არიან: იცხოვრეთ, გეთაყვა!

აგურის სახლში ცეცხლი ენთო; ორ ამხანაგს ეძინა, ხოლო რვათა პირადმა იწვნენ და ზემოთ მდუმარედ იცქირებოდნენ; დაღვრემილ პირისახეზე მრუმე ფიქრთა მდინარეა აღბეჭდოდათ.

— რატომ არა გძინავთ? — ჰკითხა მღვიძარეებს ჩებურნიმ. — ხვალ პირველი დღე გვაქვს. — მზე უკვე ამოვიდა, ფრინველები ჩვენკენ მოფრინავენ, თქვენ კი შეშინებულელები სულ ტყუილად წევხართ...

ჩებურნი ნამჯაზე წამოწვა, მაზარა ტანქვეშ ამოიკეცა, დადუმდა, ჩათბა და ძილს მიეცა. ფანჯრის მიღმა ნამი უკვე ცისკენ მიიწევდა, რათა შეგებებოდა პირშიშველ მზეს, რომელმაც ჩვენგურელ ბოლშევიკებს არ უღალატა და ახლა მათ ზემოთ ამოიმართა. მთელი ღამის უძინარი პიუსია გულდასვენებულნი წამოდგა, კომუნისტების პირველი დღის პატივსაცემად ხელ-პირი საგულდაგულად დაიბანა და გასუფთავდა. ღამა ოთახს იმქვეყნიურ ყვითელ შუქსა ჰფენდა და პიუსიამ სიამოვნების იმგვარი განცდით ჩააქრო, რასაც რაიმეს მოსპობა-განადგურება ანიჭებდა, მერე კი გაახსენდა, რომ ჩვენგურს არავინ გუშავობდა — კაპიტალისტებს შეეძლოთ, თვითნებურად შემოსახლებულიყვნენ და მაშინ ბოლშევიკები იძულებულნი იქნებოდნენ, ღამა მთელ ღამეს კვლავ ანთებული ჰქონოდათ, რათა ნახევარბურჟუებს სცოდნოდათ, რომ კომუნისტები შეიარაღებულნი ისხდნენ და თვალზე ძილს არ იკარებდნენ. პიუსია სახურავზე ავიდა და მზის მძვინვარე შუქისგან მღულარე ნამით დაფარული თუნუქის გვერდით ჩამოჯდა. მერე კი მზესაც მიაპყრო სიამაყითა და პიროვნული თანამგრძობელობით გამსჭვალული თვალელები.

— დააწვიქ, რომ ახლა ქვიდანაც კი რამე აღმოცენდეს, — ყრუ მგზნე-

ბარებით ჩაიჭურჩულა პიუსიამ: ყვირილისათვის სიტყვები არ ჰყოფნიდა — საკუთარ ცოდნას არ ენდობოდა. — დააწექ! ერთხელ კიდევ მარტო შენ ხელები აღფრთოვანებით პიუსიამ, რათა მზეს თიხასა, ქვებსა და ჩვენი გურზე შუქის დაწინებვაში მიხმარებოდა.

თუმცაღა მიწას მზე პიუსიას გარეშეც ფიცხად დაეჭირებოდა და ცბრომოდდა — პოდა, ღონემიხდილმა, მისუსტებულმა მიწამ თავისი წიაღიდან უწინარესად ბალახთა წვენი და თიხნარების სინოტივე დაძრა. შეირხა და მთელი აქოჩრილი ველი ამტელვარა, ხოლო მომთმენი, დაძაბულ მზე მომეტებით ვარვარდებოდა და ქვავდებოდა.

პიუსიას მზის გააღმასებისგან კბილებქვეშ ღრძილები აქვავდა: „მზე უწინ ამგვარად არასოდეს ამოსულა, — შედარება თავის სასარგებლოდ მიხარა პიუსიამ, — ახლა სიმამაცე ზურგში ჟრუანტელივით მივლის, როგორც სასულე მუსიკის გრილისას“.

პიუსიამ ახლა მეორე მხარეს გაიხედა, მზე საითკენაც გაემართებოდა, რათა შეემთწმენინა, გზად ხომ არაფერი დააბრკოლებსო, გაიხედა და განაწყენებულმა ნაბიჯი უკან გადადგა: ჩვენი გურის განაპირას, იქვე ახლოს, ვუშინდელი ნახევარბურჟუები დაბანაკებულიყვნენ: ალიგ-ალიგ ცეცხლი გაეჩაღებინათ, თხები საძოვარზე გაეშვათ, ხოლო დედაკაცები ნაწვიმარზე მდგარ გუბეებში თეთრეულს რეცხავდნენ თავად ნახევარბურჟუები და შემციობებულები რაღაცას ჩიჩქნიდნენ, ალბათ მიწურებს თხრიდნენ, სამი ნოქარი კი ქვედა საცვლებისა და ზეწრებისგან კარვის გამართვას ცდილობდა, სუფთა პიერზე ტიტვლები მუშაობდნენ — ოღონდაც თავშესაფარი და ქონება შეეკოწიწებინათ.

პიუსიამ უმაღლეს ყურადღება მიაქცია, ნახევარბურჟუებს ამდენი მანუფაქტურული მისალა საიდანა აქვთ, საკმაოდ მკაცრი ნორმა ხომ მე თვითონ დაგუდგინეო!

პიუსიამ მზეს, როგორც წართმეულ ქონებას, შესაბრალისი მზერა მიაპყრო, მერე გამხდარი, ძარღვებამოყრილი ყელი ფრჩხილებით მოიფხანა და მნათობს მოკრძალებითა და პატივისცემით ასძახა:

— მოიცადე, ძალას უცხოებზე ნუ დახარჯავ!

ცოლებსა და დებს, სისუფთავესა და მაძღრისად ჭამა-სმას გადაჩვეული ჩვენი გურელი ბოლშევიკები როგორც მოუხერხდებოდათ, ისე ცხოვრობდნენ, — ხელ-პირს საპნის ნაცვლად ქვიშით იბანდნენ, სახელოებითა და ძირხვენის ფოთლებით იმშრალეებდნენ, ქათმებს კვერცხს თვითონ უსინჯავდნენ და კვერცხებს საქათმეებშიც დაეძებდნენ, ხოლო ძირითად წვნიანს უცნობი დანიშნულების მქონე რკინის კასრით დილიდანვე დგამდნენ და თითოეული ბოლშევიკი, როცა ცეცხლს ჩაუვლიდა, რაზედაც კასრი იყო შემოდგმული, შიგ ყრიდა ახლომახლო ამოსულ სხვადასხვა მხალეულს — კინჭარს, კამას, ნაცარქათამას და სხვა საჭმელად გამოსადეგ ბალახეულს; იქვე ჩაუძახებდნენ ხოლმე რამდენიმე ქათამს და ხბოს ბარკალს, თუ ხბოს ხელში დროზე მოიგდებდნენ, — პოდა, წვნიანი გვიან ღამემდე იხარშებოდა, სანამ ბოლშევიკები რევოლუციის საქმეებს მოილევდნენ და ჭამისთვის მოიცლიდნენ, სანამ წვნიანის ჭურჭელს ხოჭოები, პებლები და კოლოები არ შეესეოდნენ, მაშინ ბოლშევიკები ჭამდნენ — დღეში ერთხელ — და გულხალვათად ისვენებდნენ.

პიუსიამ კასრს ჩაუარა, რაშიაც წვნიანი უკვე იხარშებოდა, მაგრამ შიგ არაფერი ჩაუვლია.

მან საკუჭნაოს კარი გამოაღო, იქიდან ტყვიამფრქვევის ლენტებით სავსე, გვერდშეჭეჭვილი მძიმე ვედრო გამოიტანა, მერე ამხანაგ კირეის მიუბრუნდა, რომელიც კვერცხებს უმაღ ყლაბავდა, და სთხოვა, ტყვიამფრქვევა გამოაგორე და უკან გამომყევო. კირეი მშვიდობიან დღეებში ტყვიამფრქვევით ტბაზე დადიოდა სანადიროდ და თითქმის ყოველთვის თითქმის ~~თითქმის~~ თუ არა, ერთი ყანჩა მაინც მოჰქონდა. წყალში ტყვიამფრქვევით ~~თითქმის~~ დახრცვაც სცადა, მაგრამ იშვიათად ახვედრებდა. კირეის პიუსიასთვის არ უკითხავს, სად მივდივართო, ტყვიამფრქვევს ხალისით დაუშენდა ყველაფერს, ცოცხალი პროლეტარიატის გარდა, და ეს წინასწარ ახარებდა.

— პიუსია, გინდა, ციდან ბელურა ახლავე ჩამოგიყიროვო! — თავს იწონებდა კირეი.

— შე შენ გაჩვენებ ჩამოყიდავებას! — გაუწყრა მას განაწყენებული პიუსია. — გუშინწინ ქათმებს ბაღში შენა ცხრილავდი?

— სულ ერთია, ის ქათმები მაინც ხომ ვინმეს უნდა შეეჭამა...

— სულ ერთი სულაც არ არის: ქათამი ხელით უნდა მოგუდო. ტყვიას ტყუილ-უბრალოდ თუ დახარჯავ, ვიღაც ბურჯუა ცოცხალი გადარჩება...

— კარგი, პიუსია, ამისთანა რამეს მეტად აღარ ვიზამ.

ნახევარბურჟუეების ბანაკში კოცონები ჩაქრა, — მაშასადამე, საუზმე უკვე მოამზადეს და დღეს ცხელი კერძის გარეშე არ დარჩებოდნენ.

— გუშინდელ ხალხს ხომ ხედავ? — დაანახა პიუსიამ კირეის ნახევარბურჟუეები, ჩამქრალი კოცონების ირგვლივ მცირე კოლექტივებად რომ ისხდნენ.

— ვხედავ, მაშ! ახლა სადღა წამივლენ?

— შენ კიდევ ტყვიებს ქათმებზე ხარჯავდი! მანქანა სასწრაფოდ პირდაპირ მიიყენე, თორემ ჩებურნი გაიღვიძებს და ეს ნარჩენები გულს შეუწუხებს..

კირეიმ ტყვიამფრქვევი მარჯვე ხელებით მკვირცხლად გააწყო და ვაზნების ლენტი თავის ალაგას მიმართა. იგი თან ტყვიამფრქვევის სახელურს ატრიალებდა, თან იმასაც ასწრებდა, რომ ტყვიების სწრაფმდინარი წაკვეთის ტაქტზე ხელები მყისიერად გაეთავისუფლებინა და აკოპანგმენტის მისაცემად საკუთარ სახეზე, პირსა და მუხლებზე აეტყაბუნებინა. ამ დროს ტყვიები მიზანს კარგავდა, ბალახს გლეჯდა და მიწას აქეთ-იქით ფანტავდა.

— მტერს თვალი ნუ მოაცილე, მიზანი გაასწორე! — ეუბნებოდა კირეის უქმად მწოლიარე პიუსია. — ნუ ჩქარობ, ლულა არ გაახურო!

მაგრამ კირეი ტყვიამფრქვევის მუშაობასთან საკუთარი სხეულის შეთავსებას ისე ვერ შეძლებდა, თუ მის ხმას ხელებსა და ფეხებს არ ააყოლებდა.

ჩებურნიმ აგურის სახლის იატაკზე აქეთ-იქით ტრიალი იწყო; თუმცა ჯერ არ გამოღვიძებოდა, მისი გული ისე ზუსტად აღარ ფეთქავდა იმის გამო, რომ მახლობლად ტყვიამფრქვევის თანაბარი ბათქუნი გაისმოდა. ტყვიამფრქვევის ხმა მის გვერდით მძინარე ამხანაგმა შეეგმაც გაიგონა, მაგრამ გადაწყვიტა, არ გაიღვიძებო, იფიქრა, უთუოდ კირეი ისვრის სადღაც ახლოს, რათა წვნიანისთვის ფრინველი მოინადიროსო. შეეგმა თავზე მაზარა წაიხურა, ჩებურნისაც წაახურა და ამგვარად ტყვიამფრქვევის ხმა წაახშო. ჩებურნის მაზარის ქვეშ სული შეეხუთა და აქეთ-იქით ტრიალს კიდევ უფრო უმატა, სანამ მაზარა სულ არ გადაიხადა, ხოლო როცა სუნთქვა გაითავისუფლა, გაიღვიძა კიდევაც, რადგან იქაურობა ავისმომასწავებლად ჩამყუდროებულიყო.

მზემ უკვე კარგა აიმაღლაურა და ჩევენგურში კომუნიზმი დილიდან უთუ-
ოდ დადგა.

ოთახში კირვი შემოვიდა და იატაკზე ვედრო დადგა, რაშიც ცარიელი
ლენტები ვწყო.

— საკუჭნაოში შეიტანე! — გარედან შემოსდახა ^{საკუჭნაოში} კეჭისა და ვეიამფრქვე-
ვი წინკარში შემოაგორა. — მანდ რას აბრაგუნებ, ხალხი არ გააღვიძო!

— ეს ხომ ახლა დამსუბუქებულია, ამხანაგო პიუსია! — თქვა კირვიმ და
ვედრო თავის მუდმივ სამყოფელში — საკუჭნაოში შეიტანა.

ჩევენგურში ნაგებობანი საუკუნო სიმტკიცის მქონე გახლდათ, რაც სავ-
სებით შესაფერისი გახლდათ იქაური კაცის ყოფისა, ვინც ერთგული იყო სა-
კუთარი გრძნობებისა და ინტერესებისა, რომ მათი მსახურებისგან წელში
წყდებოდა და ქონების დაგროვების შედეგად ბერდებოდა.

სამაგიეროდ, შემდგომში პროლეტარებს ამგვარ მკვიდრად ნაშენ ნაგე-
ბობათა ხელით აღგილგადანაცვლებაზე გასაჭირი დაადგათ, იმიტომ რომ უსა-
ძირკველად დადგმულ შენობათა ქვედა გვირგვინებს წანაზარდი წარმოექმნა
და ნიადაგში ბორჯი ღრმად გაეღვა. ამის გამო ჩებურნის გამგებლობისა და
სოციალიზმის უამს სახელების გადაადგილების შემდეგ ქალაქის მოედანი ნახ-
ნავს დაემგვანა: პროლეტარები ხის სახლებს ძირფესვიანად თხრიდნენ და ასე-
ვე, ფესვებიანად მიათრევდნენ. ჰოდა, იმ საძნელო დღეებში, როცა შაბათო-
ბებს აწყობდნენ, ჩებურნი ნანობდა, რომ ნარჩენ არამზადათა კლასი განდევ-
ნა და ამოწყვიტა: ახლა ისინი, ის არამზადები, საკმაოდ განაწამები პროლე-
ტარიატის ნაცვლად შეძლებდნენ ამ ბორჯგადგმული სახლების გადაადგილე-
ბას. მაგრამ ჩევენგურში სოციალიზმის დადგომის პირველ დღეებში ჩებურ-
ნიმ არ იცოდა, რომ პროლეტარიატს შავ მუშათა დამხმარე ძალა დასჭირდე-
ბოდა. სოციალიზმის სულ პირველ დღეს კი, როცა ჩებურნიმ გაიღვიძა და
ნახა, მასზე აღრე ამობრწყინებული მზის სხივებში გახვეული მთელი ჩევენ-
გური რა კარგი სახილველი იყო, ისერიგად დაიშეღებული შეიქნა, რომ პრო-
კოფის სთხოვა, მაშინათვე სადმე წასულიყო და ლატაკები ჩევენგურში მოეწ-
ვია.

— პროშა, წადი, — წყნარად უთხრა მან პროშკას, — თორემ ჩვენ ისე
ვართ გამეჩხერებულნი, რომ უამხანაგებოდ მალე დავნალვლიანდებით.

პროკოფიმ ჩებურნის მოსაზრება დაუდასტურა:

— ცხადია, ამხანაგო, ჩებურნი, უნდა მოვიწყვიოთ: სოციალიზმი მასობ-
რივი საქმეა... ლატაკების გარდა აღარაფერ მოვიყვანოთ?

— ყველანი მოიყვანე, გარეშენიც, — მითითების მიცემა დაასრულა
ჩებურნიმ. — პიუსია გაიყოლე და გზას გაუდექი, როგორც კი ლატაკს დაინა-
ხავ, მაშინვე წამოიყვანე, რომ გავიამხანაგოთ.

— გარეშენიც მოვიყვანო? — ჰკითხა პროკოფიმ.

— გარეშენიც მოიყვანე, სოციალიზმი ჩვენთან უკვე ფაქტია.

— ამხანაგო ჩებურნი, მასების მხარდაჭერის გარეშე ყოველი ფაქტი არა-
მდგრადია.

ჩებურნი მიუხედა.

— მე ხომ გითხარი, რომ დავნალვლიანდებით-მეთქი, — განა ეს სოცია-
ლიზმია? ნეტავი რას მიმტკიცებ, როცა მე თავადაც ვგრძნობ!

პროკოფი ჩებურნის აღარ შეპაექრებია და უმაღვე ტრანსპორტის გამო-

საძებნად გაემართა, რათა პროლეტარიატის მოსაყვანად წასულიყო. მან ჩვეენ-
გურის ირგვლივ ველები მოიარა, შუადღისას მოხეტიალე ცხენი იპოვა და
პიუსიას დახმარებით ფაეტონში შეიბა. საღამოთი პროკოფიმ ეკიპაჟში ორი
კვირის საგზალი ჩაილაგა და ჩვეენგურის ზღუდის მიღმა — დახარჩენი ქვეყ-
ნიერებისკენ გაემართა; თვითონ ფაეტონია შიგნით იჯდა და გენერალური
გამიჯვნის რუკას ათვალთვლებდა, რათა გზა-სავალი ამოერჩია. მან სა-
ზიდის გაწევას გადაჩვეულ ცხენს მიერეკებოდა. ცხრა ბოლშევიკის სტატუსს
უკან მიჰყვებოდა; ისინი თვალს აღევნებდნენ, ფაეტონი როგორ მიდიოდა,
რადგან სოციალიზმისას ასეთი რამ პირველად ხდებოდა და შიშობდნენ, ვაი-
თუ ბორბლები ჩვენს ნებას არ დაემორჩილოსო.

— პროშა, გამოსამშვიდობებლად გასძახა ჩეპურნიმ. — ჭკუას, ძალა და-
ჯანე და ზუსტი ელემენტი მოგვიყვანე, ჩვენ კი ქალაქს დავიცავთ.

— უპ, განაწყენდა პროკოფი. — რაო, პროლეტარიატის უნახავი ვარ?
ხანში შესული ბოლშევიკი ყვევი, სამოქალაქო ომის წყალობით რომ
ჩასუკებულიყო, ფაეტონთან მივიდა, პროკოფის მისწვდა და გამშრალ ტუ-
ჩებში აკოცა.

— პროშა, უოხრა მერე, — ქალების მოძებნაც არ დაგავიწყდეს, თუნდაც
მათხოვრები იყვნენ, ისინი, ძმობილო, ალერსისათვის დაგვჭირდებიან, თორემ,
ხომ ხედავ —, შენ გაკოცე.

— ამისთანა რამეს ჯერ მოეშვი, — აღკვეთა მისი მოთხოვნა ჩეპურნიმ.
— შენ ქალს, როგორც ამხანაგს, პატივს ისე კი არ სცემ, გარემომცველ სტიქი-
ონად მიგაჩნია... პროშა, ქალები სურვილის მიხედვით კი არა, სოციალური
ნიშნით უნდა მოიყვანო. თუ დედაკაცი მეგობარი იქნება — აქეთკენ გამოამ-
გზავრე, ხოლო თუ პირიქით აღმოჩნდება, მაშინ ფელისკენ გააძვევ!

ყვევს თავისი სურვილის საჭიროების მტკიცება არ დაუწყია, რადგან სო-
ციალიზმი, სულ ერთია, მაინც აღსრულებული იყო და ქალები სოციალიზმში
მაინც აღმოჩნდებოდნენ, თუნდაც იდუმალი ამხანაგების სახით. მაგრამ ჩეპურ-
ნის თავადაც არ შეეძლო, ამის შემდგომ მიმხვდარიყო, პირველდაწყებითი
კომუნიზმისთვის ქალის მავნეობა რაში მდგომარეობდა, თუკი ქალი ლატაკი
და ამხანაგი იქნებოდა. მან მარტო ეს იცოდა, რომ უწინდელ ცხოვრებაში
ქალის სიყვარული და მისი მეშვეობით გამრავლება მუდამ არსებობდა, მაგ-
რამ ეს უცხო და ბუნების კუთვნილი რამ იყო და არა ადამიანური და კომუ-
ნისტური; ჩვეენგურში ხალხის ყოფისთვის ქალი მისაღები იქნებოდა უფრო
შშრალი და ადამიანური სახით და არა სრული სილაშაზით, რაც კომუნიზმის
ნაწილს არ შეადგენდა, იმიტომ რომ ქალური ბუნების სილაშაზე არსებობდა
კაპიტალიზმის დროსაც, ისევე, როგორც იმ ხანაში არსებობდა მთები, ვარსკ-
ვლავები და სხვა არაადამიანური მოვლენები. ასეთ წინათგრძნობათა გამო ჩე-
პურნი მზად იყო, ჩვეენგურში ყოველი ქალის გამოჩენას მისაღებოდა, ვისი
ახეც დალდასმული იქნებოდა სილატაკის სევდითა და ჯაფისგან მოწვევნილი
სიბერით, — მაშინ ეს ქალი მარტო საამხანაგოდ გამოდგებოდა, ჩაგრული მა-
სის წიაღში განსხვავებული არ იქნებოდა და, მაშასადამე, ცალკეულ ბოლშე-
ვიკებს გამხრწნელ ცოდნის მოყვარულობას არ აღუძრავდა. ჩეპურნი ჯერ-
ჯერობით მარტო კლასობრივ ალერსს აღიარებდა, ქალის ალერსს კი უარყოფ-
და. კლასობრივ ალერსს იგი ისე შეიგრძნობდა, როგორც თავისმაგვარი პრო-
ლეტარი ადამიანით გატაცებას, — ბურჟუა და ქალის ქალური ნიშან-თვისება-
ნი კი ბუნებას პროლეტარისა და ბოლშევიკის ძალთა ქმედების გარეშე ჰქონ-

და შექმნილი ჩებურნი საბჭოთა ჩევენგურის უვნებლობაზე მომჭირნედ ზრუნაედა და ამის გამო სასარგებლოდ მიიჩნევდა ნიშანდობლივ ფაქტს, რომ ქალაქი გლუვსა და მწირ ველზე მდებარეობდა, ჩევენგურის ზემოთ ცაუ ველს წააგავდა და არსად შეიმჩნეოდა ბუნების ლამაზი ძალები. რაც ადამიანებს კომუნიზმისგან და ერთმანეთის მიმართ განკერძოებულუფროსგან განარიდებდა.

შეზღოძოძოძო

იმავე დღეს, როცა პროკოფი და პიუსია პროლეტარიატის მოსაყვანად გაემართნენ, სალამო ხანს ჩებურნიმ და ევევმა ქალაქის ირგვლივ შემორტყმულ ლობეს ჩამოუარეს და მარგილები გაამაგრეს, რადგან ახლა მოვლა-პატრონობა ლობეებსაც სჭირდებოდა, მეტე ღამის სიმყუდროვეში ლენინის ქკუაგონებაზე ერთხანს ისაუბრეს და იმ დღის საქმიანობა ამით მოამთავრეს, დასაძინებლად როცა წვებოდნენ, ევევმა ჩებურნის ურჩია, ხვალ ქალაქში რაიმე სიმბოლოები ჩამოვარიგოთ, ამას გარდა, სახლებს ჩამოვუაროთ და იატაკები მოვრეცხოთ, რათა მოახლოებულ პროლეტარიატს ყველაფერი წესრიგიანად დაეახვედროთ.

ჩებურნი დაეთანხმა, იატაკები მოვრეცხოთ და მაღალ ხეებზე სიმბოლოები ჩამოვარიგოთ — ხვალ ამ საქმიანობას რომ შეუდგებოდნენ, ეს ახარებდა კიდევაც. რადგან დაღამებისთანავე სულიერი მღელვარება დაეუფლებოდა ხოლმე. ჩევენგურს კომუნიზმი რომ მოევლინა, ალბათ უკვე მთელმა ქვეყნიერებამ, მთელმა ბურჟუაზიულმა სტიქიონმა იცოდა, და გარემომცველი საფრთხე ახლა, მით უმეტეს, მოახლოებული იქნებოდა, წყვიდადში ჩაძირულ ველებსა და ხეობებს თუ მიაყურადებდნენ, იქნებ თეთრების არმიათა თქარათქურს ანდა ფეხშიშველა ბანდიტების რაზმთა ნელ შარიშურს გაიგონებდნენ — მაშინ ჩებურნი ველარ ხილავდა ვერც ბალახს, ვერც ჩევენგურის ცარიელ სახლებს, ვერც კომუნიზმის პირველდამწყები ქალაქის თავზე მობრიალე ამხანაგადქმნილ მზეს, უნდა გამოსთხოვებოდა თვით ქალაქსაც, რომელიც მზად იყო, დასუფთავებული იატაკები და გაცივებულბული ჰაერი დაეხვედრებინა ამჟამად სადღაც მოხეტიალე, უცნობი, მიუსაფარი, ადამიანთა პატივისცემასა და საკუთარი არსებობის მნიშვნელობას მოკლებული პროლეტარიატიანთვის. ჩებურნის მხოლოდ ერთი რამ ამშვიდებდა და ალაგზნებდა, სადღაც მოსკოვის მახლობლად თუ ვალდაის მთებში, როგორც პროკოფიმ რუკაზე დაადგინა, შორეული, იდუმალი ადგილი რომ იყო, რომელსაც კრემლი ერქვა, და იქ, ლამპასთან, ლენინი იჯდა, ფიქრობდა, არ ეძინა და წერდა, ნეტავი ახლა იქ რას წერდა? ჩევენგური ხომ უკვე არსებობდა, მაშ უკვე დრო იყო, ლენინს კი არ ეწერა, პირი ებრუნა, კვლავ პროლეტარიატს შერწყმოდა და მასთან ერთად ეცხოვრა. ჩებურნი ევევს ჩამორჩა და ჩევენგურის ფეხდაუკარებელ ქუჩაში რბილ, სასიამო ბალახზე წამოწვა. მან იცოდა, რომ ლენინი ახლა ჩევენგურზე და ჩევენგურელ ბოლშევიკებზე ფიქრობდა, თუმცა ჩევენგურელი ამხანაგების გვარები გაგონილი არა ჰქონდა. ლენინი ალბათ ჩებურნისთან გამოსაგზავნ წერილსა წერდა, ავალეებდა, თვალზე ძილი არ მიიკარო, ჩევენგურს უღარაჯე, მთელი მდაბიო, სახელუქონელი ხალხის გრძნობა და სულისდგმა გულთან მიიზიდე, ნურაფრის შიში ნუ გექნება, რადგან ისტორიის ხანგრძლივი დრო-ჟამი დასრულდა, ხოლო სილატაკემ და მწუხარებამ ისე იმატა, ამქვეყნად სხვა აღარა დარჩა რა, — შენ და შენი ამხანაგები მელოდეთ, სტუმრად გეწვევით, რათა თქვენი კომუნიზმი ვიხილოთ. ჩევენგურში თავმოყრილ ყველა ტანჯულს გადავეხვიო და ქვეყნიერებაზე უბედურების სვლას

ბოლო მოვულო. შემდეგ ლენინი ჩვენიგურგლებს სალამს უძღვნიდა და უბრძანებდა, ჩვენიგურში კომუნიზმი საუკუნოდ განამტკიცეთ.

ახლა კი ჩებურნი გულდამშვიდებული და დასვენებული წარდგა; მხოლოდ მცირედენ სინანულს გრძობდა იმის გამო, რომ ერთ ბურჟუასაც კი ვერსად მოიხელთებდა და არც ზედმეტი მებრძოლი ვაჟლები დაეჭვებინათ კრემლისკენ ახლავე ფეხით გაგზავნიდა და ჩვენიგურიდან ლენინისადმი მისი გაატანდა.

— აი, სად იქნება ალბათ უკვე ძველი კომუნიზმი — უთუოდ კრემლში, — შური არ ასვენებდა ჩებურნის, — იქ ხომ ლენინია... ვინ იცის, იქნებ კრემლშიაც იაპონელს შეძახიან — ეს სახელი ხომ ბურჟუაზიამ შემარტვა. ახლა კი არავინ არის, იქ რომ გაგზავნო და ჩემი ნამდვილი გვარი შევატყობინო...

აგურის სახლში ლამბა ენთო, რვა ბოლშევიკს არ ეძინა და რაღაც განსაცდელს მოელოდა. ჩებურნი მათთან მივიდა და უთხრა:

— ამხანაგებო, რამე თავად უნდა მოიფიქროთ — პროკოფი ახლა აქ არ არის, თქვენი მაგიერობა რომ გასწიოს... ქალაქს მომსვლელთათვის კარი კიღია აქვს, მაგრამ იღუპა არსად გვიწერია — მახლობლად ჩავლილი ამხანაგები ვერ შეიტყობენ, აქ ვინ, ანდა რისთვის ცხოვრობს. იატაკებიც მისახელია — უნდა მოვრეცხოთ, შევეშა ეს უწესრიგობა კარგად შეამჩნია; ხოლო სახლებს განიავება ესაჭიროება, თორემ მიდიხარ და ყოველი მხრიდან კვლავ ბურჟუაზიის სუნი გცემს... ახლა ჩვენ უნდა ვიფიქროთ, ამხანაგებო, თორემ აქ რისთვისა ვართ, მიტხარით ერთი, გეთაყვა!

ჩვენიგურელმა ბოლშევიკებმა დაირცხვინეს და ყოველი მათგანი დაფიქრებას შეეცადა. კირეიმ საკუთარ თავში ამტყდარ ხმაურს მიაყურადა; იქიდან აზრების მოდენას იქამდე უცადა, სანამ ზღულმოდგინებისა და სინხლის მოწოდებისგან ყურებში გოგირდი არ აუთუხთუხდა. მაშინ კირეი ჩებურნისთან ახლოს მივიდა და დარცხვენელმა მორიდებით აუწყა:

— ამხანაგო ჩებურნი, ქკუას რომ ძალას ვატან, ყურებიდან ჩირქი გამომდის, აზრი კი არა და არ გამოტყურა...

ჩებურნიმ კირეის სხვა, პირდაპირი დავალება მისცა ფიქრის ნაცვლად:

— შენ ახლა გასწი და ქალაქს გარშემო უარე... ნახე, საიდანმე რამე ხმა ხომ არ მოისმის: იქნებ ვინმე დაეხეტება, იქნებ იმე დგას და ეშინია. მაშინათვე სული არ გააფრთხობინო, აქ ცოცხალი მომგვარე, რომ მისი ავკარგიანობა შევეამოწმოთ.

— აი, ეგ კი შემძლია, — დაეთანხმა კირეი, — ლამე დიდია, სანამ ჩვენ აქ ფიქრს ვუნდებით, მთელ ქალაქს ველში გააჩოჩებენ...

— ნამდვილად მაგრე იქნება, — შეფიქრიანდა ჩებურნი, — უქალაქოდ კი გინდა გვიცოცხლია და გინდა არა, კვლავ მარტო იღუპისა და ომის ანაბარა დავრჩებით.

კირეი გარეთ გავიდა კომუნიზმის სადარაჯოდ, დანარჩენი ბოლშევიკები კი ისზღნენ, ფიქრობდნენ და უსმენდნენ, ფითილი ლამფიდან ნავთს როგორ იწოდდა. გარეთ ისეთი სიჩუმე გამეფებულიყო, ლამის წყვდიადისა და ბრძოლით მონაპოვარი ქონების ყრუ სიცარიელეში უგზო-უკვლოდ მიმავალი კირეის ფეხის ხმა დიდხანს გაისმოდა და მერე თანდათან მიწყდა.

უქმად მარტო ეფევი არ მჯდარა. — მან სიმბოლო მოიგონა, რაც ერთხელ ველზე ბრძოლების დროს სამხედრო მიტინგზე ჰქონდა გაგონილი. ამხანაგებს უთხრა, სუფთა ქსოვილი მომეცით და ზედ ისეთ რამეს დავწერ, ახლო-

მახლო პროლეტარები თუ გამოჩნდებიან და წაიკითხავენ, ისე გაიხარებენ, ჩვეენგურს გვერდით აღარ ჩაუვლიანო, ჩებურნი ბურჟუის ნაქონ სახლში თვითონ შევიდა და იქიდან სუფთა ტილო მოიტანა. ევევმა ტილო ხელით გაისწორა, სინათლეზე გახედა და მოიწონა.

— აფსუსია, — თქვა ევევმა ტილოს თაობაზე. უჩინოდ მოდგინება და ქალის სუფთა ხელების გარჯილობაა შიგ ჩაქსტყმტქსსკსტტტი იქნებოდა, ასეთი ფაქიზი რამეების კეთება ბოლშევიკ დედაკაცებსაც ესწავლათ.

ევევი პირქვე გაწვა და ტილოზე ასოების ხატვა ღუმლიდან გამოღებულ ნახშირით დაიწყო. ყველანი ევევის ირგვლივ იდგნენ და თანაუგრძობდნენ, იმითომ რომ ევევს რევოლუციის რაობა ერთბაშად უნდა გამოეხატა, რათა ყველას შეეება ეგრძნო.

საერთო მოთმინების შემყურე ევევი ჩქარობდა, საკუთარ მეხსიერებაში გზას ბეჭითად მიიკვლევდა და ჩვეენგურის სიმბოლო მალე დაასრულა:

„ამხანაგო ლატაკებო, ყოველგვარი კეთილმოწყობილობა და ყოველი ნივთი მთელს ქვეყნიერებაზე თქვენი შექმნილია, ახლა ყოველივე დაანგრეთ და უკეთესი რამ — ერთმანეთი გსურთ, ახლომახლო გზებზე ჩავლილებს ჩვეენგურში ამიტომაც ვიწვევთ.“

ჩებურნიმ სიმბოლო ყველაზე უწინ მოიწონა:

— მართალია, — თქვა მან, — მეც ამასვე ვგრძნობდი; ქონება ხომ მხოლოდ მიმდინარე სარგებლობის მომტანია, ხოლო ამხანაგების შეძენა აუცილებლობა გახლავთ; უამხანაგოდ ვერაფერს სძლევ და თავადაც ლეშად გადაიქცევი.

ტილოს ჩამოსაკიდად რვავე ბოლშევიკი გაემართა, სიმბოლო უკაცრიელ ქალაქში ჩაატარეს, გატკეპნილ გზაზე გაიტანეს და გზის პირას ქოკზე დაამაგრეს, სადაც შეიძლებოდა, ხალხი გამოჩენილიყო. ჩებურნი მუშაობის დაწყებას არ ჩქარობდა — შიშობდა, ყველანი დასაძინებლად დაწვეებიან და მეორე კომუნისტური ღამე მარტოდმარტომ უნდა გავატარო სევდამორეულმა და შეშფოთებულმაო; ამხანაგთა შორის ფაციფუცში გულს იოხებდა და შინაგანი ძალების ამდაგვარად ხარჯვისას შიშს ნაკლებად გრძნობდა. როცა ტილო გაჭიმეს და ორივე მხრეს კარგად მოარგეს, შუალამის ქარმაც დაქროლა, ჩებურნი ამან გაახარა; რაკი ბურჟუები აღარ არიან, ხოლო ქარი წინანდებურად ქრის და ქოკები ირხევა, მაშ ბურჟუაზია დანამდვილებით ბუნებრივი ძალა არ ყოფილაო.

კირეის ქალაქის ირგვლივ განუწყვეტლივ უნდა ევლო, მაგრამ მისი ფეხის ხმა არსაიდან მოისმოდა; ღამის გრილი ქარი ქროდა და რვა ბოლშევიკი ამ ქარში გვერდიგვერდ იდგა. ისინი ველზე ამტყდარ ხმაურს აყურადებდნენ. რათა ერთმანეთი დაეცვათ უცაბედი ღამეული ხიფათისგან, რაც მღელვარე წყვდიადიდან მოულოდნელად შეიძლებოდა შემოჰფეთებოდათ. ევევს არ შეეძლო, მტრისათვის დიდხანს ეცადა და ეს მტერი არ მოეკლა; იგი ველს მარტო გაუყვა, რათა იქაურობა დაეზვერა, ხოლო შეიდი კაცი მის დაბრუნებამდე რეზერვში დარჩა, რათა ქალაქი მარტო კირეის ამარა არ დაეგდოთ. ბოლშევიკები გასათბობად მიწაზე წამოწვნენ და ღამის სიბნელეში ყური გაამახვილეს, იქნებ მტერმა წყვდიადი მოიხელთა და მალვით გვეპარებაო.

რალაც ხმადაბალი დრჭიალი ჩებურნიმ ყველაზე უწინ გაიგონა, მაგრამ

ვერ გაარჩია, ეს ხმა შორს გაისმა თუ ახლოს; ჩევენგურისკენ რაღაც მოემართებოდა და ხიფათს უქადდა; მაგრამ ეს იდუმალი საგანი ძალზე ნელა მოძრაობდა — შესაძლოა, სიმძიმისა და სიმძლავრის გამო მოიზღაზნებოდა, ანდა დაზიანებული და ძალაგამოღებული იყო და ამიტომ ყოვნდებოდა.

ჩებურნი წამოდგა და მასთან ერთად ყველანი წამოიმართნენ, მგზნებარე, შეკუმშულმა ცეცხლმა უცხო, ღრუბლიანი სივრცე შეყვებულად გააჩნა, თითქოს ვიღაცის სიზმარში დაისი ჩანავლდაო, — და სროლის ბიძგმა წაწოლილ ბალახს ქარივით გადაუქროლა.

ჩებურნი წინ გაიჭრა, დანარჩენი ექვსი კაციც კვალდაკვალ მიჰყვა და წესისამებრ მწკრივად გაიშალა. სროლა აღარ განმეორებულა. ჩებურნიმ იქამდე ირბინა, სანამ ომისა და რევოლუციის ქარცეცხლში გამოვლილი გული ყელში არ მოებჯინა; მერე კი მიტოვებული ჩევენგურისკენ გაიხედა. ჩევენგურში შუქი ენთო.

— ამხანაგებო, ყველანი გაჩერდით! — შეჰყვირა ჩებურნიმ. — მტერმა გვერდი აგვიარა. ევევო, კეშა, აქეთ წამოდით! პიუსია, ყველას ჯიჭურ დასცხე! საით წახვედი? ხომ ხედავ, რომ კომუნისტმა ძალა გამომილია...

ჩებურნიმ მიწიდან წამოდგომა ვეღარ შეძლო, გული სისხლით ერთიანად ისე გასტენოდა და დამძიმებოდა, გამხდარი და დასნეულებული იწვა, ნაგანი ხელში ჩაებლუჯა; იარაღმომარჯვებული ექვსი ბოლშევიკი თავს დასდგომოდა. ისინი ველსა და ჩევენგურს გასცქეროდნენ და მიწაზე გართხმულ ამხანაგსაც თვალს არ აცილებდნენ.

— ნუ მივატოვებთ! — თქვა კეშამ. — იაპონელი ხელში აიყვანეთ და ჩევენგურისკენ დავიძრაოთ — ძალაუფლება ჩვენ იქა გვაქვს. უოჯახო კაცი მართო რატომ უნდა დავაგდოთ...

ბოლშევიკები ჩევენგურისკენ გაემართნენ. ჩებურნი ხელით დიდხანს არ უტარებდათ, იმიტომ რომ გული მალე ჩაუცხრა და თავის პატარა ალაგასვე ჩაუდგა. ჩევენგურში ვიღაცას მშვიდი, შინაური შუქი ენთო, ხოლო ველზე არაფერი ღრჭიალებდა. ველზე სიარულს ნაჩვევი ბოლშევიკები მხედრული ნაბიჯით მდუმარედ მანამდე მიაბიჯებდნენ, სანამ ფანჯრიდან განათებული ბალახი და გზის გატკეპნილ შუა ალაგზე ამ ბალახის ჩრდილი არ დაინახეს, ბოლშევიკები ბრძანების გარეშე მწკრივად დადგნენ, მკერდი მტრის მანათობელი ფანჯრისკენ მიაქციეს, იარაღი შემართეს და მინა შაშხანების ბათქიი შელევნეს.

ბინაში შუქი ჩაქრა, და იქ წარმოქმნილი წყვედიადიდან ამოზიდულ ჩარჩოს ტრილში კირეის ნათელი სახე გამოჩნდა; იგი შვიდ კაცს გამოსცქეროდა, ცდილობდა გამოეცნო, ესენი ვინ არიან, ჩევენგურში ჩემს გარდა, კომუნისტის ღამეული გუშაგის გარდა, ვინ ისვრისო.

ჩებურნიმ აზრი მოიკრიფა და კირეის შეუყვირა:

— ცარიელ ქალაქში ჩუმად რას უზიხარ და ნავთს რასა წვაავ, როცა ბანდიტი ველზე ლაღად დადის? ქალაქი ობლად რატომ მიატოვე, როცა პროლეტარიატი აქ მარშით უნდა შემოვიდეს? ეს როგორ იქნება, გეთაყვა!

გონს მოსულმა კირეიმ უპასუხა:

— მე, ამხანაგო ჩებურნი, მეძინა და სიზმრად მთელ ჩევენგურს, როგორც ხიდან, ისე ვხედავდი, — ირგვლივ სიცარიელე იყო, ხოლო ქალაქში — უკაცრიელობა... ფეხით როცა მიდიხარ, მაშინ კი ცოტა რამეს ხედავ და ქა-

რი, როგორც ბანდიტი. ყურში ჩაგჩურჩულებს: ესროლე, თუ გინდა! სხეული იმას არა აქვს და არაფერი...

— გახს რატომღა წვაავდი. შე გონება შეზღუდულია? — შევეკითხა ჩებურნი.

— პროლეტარიატმა ბინა რითღა გაინათოს, როცა აქ შემოგრიადდება? პროლეტარიატს ხომ კითხვა უყვარს — პარტიული ხარ და რა უნდა გეცოდინებოდეს; შენ კი მისი კუთვნილი ნაფთი დაწვი!

— ამხანაგო ჩებურნი, სიბნელეში დაძინება არ შემიძლია. თუ მუსიკას არ ვისმენ, — გაუმხილა კირეიმ. — ძილი მზიარულ, სინათლით გაჩახჩახებულ ალაგას მიყვარს... ისე არ შემიძლია, ბუზი მაინც უნდა ბზუოდეს...

— მაშ წადი და მღვიძარემ ქალაქის გარშემო იარე. — უთხრა ჩებურნიმ. — ჩვენ კი ქვევის საშველად წავალთ... შენი სიგნალის გამო ამხანაგი სულ მივატოვეთ...

შვიდი ამხანაგი ჩვეენგურის განაპირას გავიდა; იქ ველის პირისპირ დაწვენენ და მიიყურადეს. სადმე შორს რამე ხომ არ ღრჭიალებს, ანდა ქვევი უკან ხომ არ მოაბიჯებს, ან იქნებ უკვე მკვდარია და დილამდე მარტო უნდა იწვესო. კირეი მოგვიანებით მოვიდა და ბალახზე მწოლიარეებს უთხრა:

— თქვენ აქ წევხართ, იქ კი კაცი იღუპება; იმის გადასარჩენად მე თვითონ წავიდოდი, მაგრამ ქალაქა ვდარაჯობ...

კეშამ კირეის უპასუხა, არ შეიძლება, პროლეტარიატი მარტო ერთ ქვევის ვანიცვალათ — ბანდები ქალაქს დაწვავენ, თუ ყველანი ერთი პიროვნების ქვევის გადასარჩენად გავეშურებითო.

— ქალაქს მე ჩავაქრობ, — შეპირდა კირეი, — აქ კეზია, ხოლო ქვევი იქნებ უკვე სული განუტევა, პროლეტარიატს რას ელით, როცა არსად ჩანს, ქვევი კი იყო.

ჩებურნი და კეშა წამოხტნენ და ლამის სიბნელით მოცული ველისკენ გაიჭრნენ. ჩვეენგურზე ახლა აღარ წუხდნენ. დანარჩენი ხუთი ამხანაგიც მათ ფეხდაფეხ მიჰყვა.

კირეი ღობის გადაღმა გადავიდა, თავქვეშ ძირხვენების ფოთლები ამოიღო და დაწვა. რათა მტრისთვის ვათუნებამდე მიეყურადებინა.

ღრუბლები ქვევით ჩამოეშვა და ხმელეთის კიდვზე ჩალაგდა; ცა შუი ალაგას გადაიწმინდა. ვარსკვლავი კირეის ჩამოჰყურებდა, კირეი ვარსკვლავს ასცქეროდა და მოწყენილობას აღარ გრძნობდა. ჩვეენგურიდან ყველა ბოლშევიკი გავიდა, მარტო კირეი იწვა ბალახზე, ირგვლივ კი ველი იმპერიისავით შემორტყმოდა. „ამქვეყნად სულ ვარ და ვარ, — ფიქრობდა იგი, — მერე რისთვისა ვარ? ალბათ იმისათვის, რომ თავს ძალიან კარგადა ვგრძნობ — მთელი რევოლუცია ხომ ჩემზე ზრუნავს, ჰოდა, ძალაუნებურად ნაამები ვრჩები... მარტო ამჟამად არის საქმე ცუდად; პროშკა ამბობდა — ასე იქნება, ხანამ პროგრესი არ დასრულდება, მერე კი ბედნიერების კარი სიცარიელეში ერთბაშად გაიღებაო... ეს ვარსკვლავი რიდას მაქნისია: სულ ანთია და ანთია! ამას რაღა სწადია? ჩამოვარდნილიყო მაინც, დაეთვალე რეზი. არა, არ ჩამოვარდება, იქ ღმერთის მაგივრად მეცნიერება აჩერებს... გათენდებოდეს მაინც, ვწევარ მარტოდმარტო და მთელი კომუნიზმი მიპყრია — ახლა ჩვეენგურიდან რომ გავიდე, აქედან კომუნიზმიც წავა, თუმცა იქნებ სადმე დარჩეს კიდევაც... ეს კომუნიზმი ან სახლებია, ანდა მარტო ბოლშევიკები!

კირეის ყელზე რაღაც დაეწვეთა და მაშინვე გაშრა.

— წვეთავს, — იგრძნო კირეიმ. — ღრუბლები არსად არის და საიდანღა

წვეთავს? მაშასადამე, იქ რაღაც გროვდება და საითაც მოებრინება, იქით მიფრინავს. პირში ჩამეწვეთე, — თქვა კირეიმ და ხახა დააფჩინა, მაგრამ იქ აღარაფერი უცვიოდა. — მაშ გვერდით ჩამოაწვეთე, — ასძახა ცას კირეიმ და მახლობელ ძირხვეწაზე მიუთითა, — მე კი ნულარ მომეყარები, მომასვენე; ცხოვრებამ დღეს როგორღაც დამღალა...

კირეიმ იცოდა, რომ მტერი სადღაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ მტრის არსებობას ვერ გრძნობდა უბადრუკ, მოუხნავ ველზე, მით უმეტეს, განწმენდილ, პროლეტარულ ქალაქში, ჰოდა, გულმშვიდად დაიძინა, როგორც უცილობელი გამარჯვების მომპოვებელმა.

ჩეპურნის კი, პირიქით, პირველ პროლეტარულ ღამეებში ძილისა ეშინოდა და ახლა მტრისკენ რომ მიემართებოდა, ესეც უხაროდა, ოღონდაც კარს მომდგარი კომუნიზმის წინაშე სირცხვილითა და ძრწოლით არ გატანჯულიყო, ყველა ამხანაგი გვერდით ჰყოლოდა და მათთან ერთად ემოქმედა. ჰოდა, ღამის წყვდიადით მოცულ ველზე მიყრუებული, უცხო სივრცისკენ მიაბიჯებდა და უგუნურ გულს იმ იმედით ასულდგმულეებდა, რომ დაღლილ, მიუსაფარ ბანდიტებს წაეწვოდა და ქარში გათოშილი მტრების სხეულს უკანასკნელ სიბოსაც წარსტაცებდა.

— რას ისვრის ის წყეული ამ სიმყუდროვეში, — ბუტბუტებდა ბრაზმორეული ჩეპურნი. — ცხოვრების დაწყებას არ გეაცლის!

სამოქალაქო ომის ქარცეცხლგამოვლილ ბოლშევიკებს შუალამის წყვდიადისთვის თვალი მიჩვეული ჰქონდათ და მოშორებით უცხო შავი საგანი შეამჩნიეს; მიწაზე თითქოს გრძელი, გათლილი ქვა თუ ფილა იდო. ველი აქ ტბის ზედაპირივით გლუვი იყო და ეს უცხო საგანი აქაურობის კუთვნილი ვერ იქნებოდა. ჩეპურნიმ და მასთან ერთად მიმავალმა ბოლშევიკებმა ფეხი შეანელეს და უცხო საგანს დააკვირდნენ, რათა იქამდე მანძილი განესაზღვრათ. მაგრამ მანძილი ვერ გაიანგარიშეს; შავი საგანი თითქოს უფსკრულს იქით იდო — ღამეულ შამბნარს წყვდიადი აგორებულ ტალღად ექცია და თვალზომის მისადაგებას აბრკოლებდა. მაშინ ბოლშევიკებმა რევოლვერები შემართეს და წინ სირბილით გაექანნენ.

სწორფერდა შავი სხეული აღრქიალდა; ხმაზე ეტყობოდა, ახლოს უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ წვრილ-წვრილი ცარცოვანი ქვები იმსხვრეოდა და მიწის ქერქს ხრაშინაოში გაჰქონდა. ბოლშევიკები ცნობისმოყვარეობისგან ერთ ადგილას გაჩერდნენ და რევოლვერები ძირს დაუშვეს.

— ახლა კი ცხადია, ეს ჩამოვარდნილი ვარსკვლავია! — თქვა ჩეპურნიმ, ხანგრძლივი და სწრაფი სირბილისგან გულის აგზნებას ვერა გრძნობდა. — ჩვენგურში წავიღოთ და ხუთი მხრიდან გავაშანდაკოთ. ეგ მტერი კი არ არის, ჩვენთან, კომუნიზმში მოფრენილი მეცნიერებაა...

კომუნიზმისკენ ვარსკვლავებიც რომ მოილტვოდნენ, ამით გახარებული ჩეპურნი მიწაზე ჩამოჯდა, ჩამოვარდნილმა ვარსკვლავმა ღრქიალი და მოძრაობა შეწყვიტა.

— ახლა ყოველნაირი სიკეთის მოლოდინი უნდა გექონდეს, — ყველას განუმარტა ჩეპურნიმ. — ჩვენთან ვარსკვლავებიც მოფრინდებიან, იქიდან ამხანაგებიც ჩამოეშვებიან, შესაძლოა, ფრინველებიც აღაპარაკდნენ მეორედ შობილი ბავშვებივით. — კომუნიზმი სახუმარო საქმე არ გეგონოთ, იგივე მეორედ მოსვლა გახლავთ!

ჩეპურნი მიწაზე გაიშოტა, გადაავიწყდა ღამეც, ხიფათიც, უკაცრიელი

ჩვენი გურიც, და ცოლი გაახსენდა, არასოდეს რომ არ გაახსენებია. მაგრამ მის ქვეშ ცოლი კი არა, ველი იყო, ამიტომ ფეხზე წამოხტა.

— ეს იქნებ ინტერნაციონალის გამოგზავნილი რაიმე დახმარება ანდა მანქანაა, — წამოიწყო კეშამ, — იქნებ თუჯის შორია და თავისით დაგორავს ბურჟუების გასასრესად... რაკილა ჩვენ აქ ვიბრძვით, მაშინ ინტერნაციონალსაც ვახსოვართ.

პიოტრ ვარფლომევიჩი ვეკოვოიმ, ყველაზე ხნიერმა ბოლშევიკმა, ჩალის ქუდი მოიხადა, თავი მოიშიშვლა და ახლა უცხო სხეულს ცხადად ხედავდა, ოღონდ ვერ გაეხსენებინა, ეს რა იყო. ნამწყემსარს მთელი სიცოცხლე მინდორში ჰქონდა გატარებული და თვალი ისე ჰქონდა გაწაფული, ღამით გაფრენილ ჩიტსაც სცნობდა, ხე რა ჯიშისა იყო, რამდენიმე ვერსის მანძილზე შეატყობდა. შეგრძნებანი მის სხეულს თითქოს წინ წამძღვარებოდა და მათი შემწეობით ყოველნაირი მოვლენის რაობას ისე შეიცნობდა, ახლოს მისვლა არცა სჭირდებოდა.

— ეს უთუოდ შაქრის ქარხნიდან გამოტანილი ბაკია, — ისეთნაირად თქვა ვეკოვოიმ, თითქოს საკუთარ თავს ჯერ მაინც არ ენდობოდა. — ბაკი უნდა იყოს, ქვეშ ხომ ქვეები ღრატუნობდა; ალბათ კრუტიოვოელი გლეხები მიათრევდნენ და შინამდე ვერ მიათრიეს... სიმძიმე სიხარბეზე ძლიერი გამოდგა — უნდა გაეგორებინათ, ისინი კიდევ მიათრევდნენ...

მიწა ისევ ახრამუნდა — ბაკმა ნელა იწყო შემოტრიალება და ბოლშევიკებისკენ გამოგორდა. მოტყუებულმა ჩეპურნიმ აძრულ ბაკთან პირველმა მიიბრინა და ათი ნაბიჯის მანძილიდან ტყვია დაახალა, რის გამოც რკინის ქანგი სახეში შეეყარა. მაგრამ ბაკი ჩეპურნიისა და მისი ამხანაგებისკენ ჯიქურ მოემართებოდა და ბოლშევიკებმა ნელი ნაბიჯით უკან დახევა იწყეს. ბაკს რა ამოძრავებდა, შეტყობა არ ხერხდებოდა, რადგან იგი თავისი სიმძიმით მშრალ ნიადაგს აღრიჭინებდა და ჩეპურნიის არ უცდიდა, რომ დაჰკვირვებოდა და მიმხედარიყო, ხოლო გათენებისკენ მიხრილმა ღამემ ველს უკანასკნელი სუსტი შუქიც წარსტაცა, რასაც მანამდე ცის თაღზე აქა-იქ მიმოზნეული ვარსკვლავები ჰფენდა.

ბაკმა სვლა შეანელა და ადგილზე რხევა იწყო; ეტყობა, გზად რაღაც ამონაბურცი მიწა დახვდა და მისი წინააღმდეგობის დაძლევის ცდილობდა, მერე კი მთლად ჩაწყნარდა და გაინაბა. ჩეპურნი უფიქრელად რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან სიმღერა გაიგონა, ვიღაც ქალმა მოქანცული, ნაღვლიანი ხმით წამოიწყო:

წუხელ ვნახე სიზმარი,
ვითომ თევზი ვიყავი...
ხან ვცურავდი, ხან არა,
ცოცხალი და პატარა...

ქალმა სიმღერა აღარ დაასრულა, თუმცა ბოლშევიკები მზად იყვნენ, მოსმენა განეგრძოთ, კიდევ დიდხანს იდგნენ და გაფაციცებულნი უცდიდნენ, ბაკში მყოფი როდის დაიმღერებდა. მაგრამ მას სიმღერა აღარ გაუგრძელებია, აღარც ბაკი შერხეულა — რკინის შიგნით მომღერალი არსება ალბათ დაიქანცა და ბაკის ფსკერზე დაწვა, სიტყვები და მუსიკა დაავიწყდა.

— უსმენთ? — სწრაფად ჰკითხა ბოლშევიკებს შევემა ისე, რომ ბაკის იქიდან არ გამოჩენილა; სხვაგვარად რომ მოქცეულიყო, მოულოდნელად გამოჩენილი მტერი ეგონებოდათ და მოკლავდნენ.

— ვუსმენთ, — უპასუხა ჩეპურნიმ. — მეტს აღარ იმღერებენ?

— არა, — თქვა შევემა. — ამ ქალმა უკვე სამჯერ იმღერა ჩემდენი საათია, მაგათ დევნასა და მწყემსვას ვუნდივარ. ეგენი შიგნიდან უკმაყოფილოდ და ბაკიც შეტრიალდება. ბაკს ერთხელ ვესროლე, მაგრამ სულ ტყუილად.

— შიგნით ვინ არის? — ჰკითხა შევეს კეშამ.

— მეც ვერ მივმხვდარვარ, — უპასუხა შევემა. — ალბათ ვიღაც ჰკუანაკლული ბურჟუა ქალია თავის ძმასთან ერთად. სანამ თქვენ გამოჩნდებით, ერთმანეთს კოცნიდნენ, მერე ძმა რატომღაც მოკვდა, ქალმა კიდევ მარტომ დაიწყო სიმღერა...

— თევზაობა სწორედ ამიტომაც მოინდომა, — მიხვდა ჩეპურნი, — მასადაამე, ცხოვრების თავიდან დაწყება სურს! როგორი ამბავია, გეთაყვა!

— ეგ ნაღდად ასეა, — დაუდასტურა შევემა.

— ახლა რა უნდა ვქნათ? — ამხანაგებთან მოთათბირებას შეუდგა ჩეპურნი. — ამ ქალს გულში ჩამწვდომი ხმა აქვს, ხოლო ჩევენგურში ხელოვნება არ გაგვაჩნია... იქნებ ბაკიდან ამოვიყვანოთ, რომ გამოცოცხლდეს?

— არა, — უარყო შევემა. — ეს ახლა ძალზე დასუსტებულია, თანაც ჰკუანაკლულია... ანდა რით უნდა ვასაზრდოოთ; ეს ხომ ბურჟუაა. უბრალო ქალი რომ ყოფილიყო, სხვა საქმე იქნებოდა. თორემ ასე მარტო გადმონათქვამი შემოგვრჩება... ჩვენ ხელოვნება კი არა, თანაგრძნობა გვესაჭიროება.

— რა ვქნათ? — ჰკითხა ყველას ჩეპურნიმ.

ყველანი დუმდნენ, რადგან ბურჟუა ქალს წაიყვანდნენ თუ დატოვებდნენ, დიდი განსხვავება არ იქნებოდა. ხეირი არც ისე ექნებოდათ და არც ასე.

— მაშინ ხევში გადავუშვათ, ჩვენ კი უკან გავბრუნდეთ და იატაკები მოვრეცხოთ, — ამოცანა გადაწყვიტა ჩეპურნიმ. — თორემ პრთკოფი ახლა უკვე შორს იქნება წასული. შესაძლოა, ხვალ პროლეტარიატი გამოგვეცხადოს.

ბოლშევიკებმა ბაკს ხელები მიაბჯინეს, რვანივე ერთად მიაწვინენ და ველზე ჩევენგურის საპირისპიროდ გააგორეს, იქით, სადაც ერთი ვერსის დაშორებით მიწის დაქანება იწყებოდა, მერე კი ხრამით მთავრდებოდა. სანამ ბაკს მიაგორებდნენ, შიგ რაღაც რბილი გული აქეთ-იქით დასრიალებდა, მაგრამ ბოლშევიკები ჩქარობდნენ, ბაკს სისწრაფეს უმატებდნენ და უკვე გაჩუმებულ ჰკუანაკლულ ბურჟუა ქალს ყურადღებას არ აქცევდნენ. მალე დაღმართი დაიწყო, ბაკი ხრამისკენ თავისით დაექანა, ბოლშევიკებმაც ხელი უშვეს და ერთ ალაგას გაჩერდნენ.

— ეს შაქრის ქარხნის ქვაბია, — თავისი მახსოვრობის გასამართლებლად თქვა კეშამ, — მე კი სულ ვფიქრობდი, ეს რა მანქანაა-მეთქი.

— ჰო-ო, — ჩაილაპარაკა ჩეპურნიმ. — მასადაამე, ქვაბი ყოფილა; იტრიალოს ახლა, ჩვენ არაფერში გვჭირდება, უმაგისოდაც იოლას გავალოთ...

— მე კი მეგონა, დიდი არაფერია, მიგდებული მორია-მეთქი, — წამოიწყო კეშამ. — ეს კი თურმე ქვაბი ყოფილა!

— ქვაბია, — თქვა ვეკოვოიმ, — მოქლონილი ქვაბი.

ქვაბი კვლავ ველზე მიგორავდა და იქაურობას თუმცა შორდებოდა, ხმა

კი არ ელუოდა, პირიქით, ემატებოდა, უფრო მძლავრი ღრჭიალი და გუგუნნი გაჰქონდა, იმიტომ რომ სიჩქარის მატება განვლილი სივრცის მატებას სჭარბობდა. ჩებურნი ჩაცუცქდა და ქვაბის აღსასრულის გასაგონებლად ყური გაიმახვილა. უცერად გუგუნ-გრიალი მიწყდა — მაშ ქვაბი ხრამის კიდეს მოსწყდა, პაერში გაფრინდა და ფსკერისკენ დაექანა. ნახევარწუთის შემდეგ იგი ხრამის ბლანტ ქვიშაში ჩაენარცხა და ისეთი მშვილქისებურა ხმა გამოსცა, თითქოს ვილაცამ მარდი ხელებით დაიჭირა და შეიფარაო.

ჩვეენგურელები დამშვიდდნენ და უკან გამობრუნდნენ; ველს ნელა მიუყვებოდნენ; იქაურობას მომავალი დღის მოახლოებული შუქისგან უკვე ნაცურისფერი დასდებოდა.

კირეი ჩვეენგურის განაპირა ლობესთან კვლავინდებურად იწვა, თავი ძირხვენაზე ეღო და, რადგან გვერდით არავინ ჰყავდა, საკუთარ ყელზე ხელი თვითონვე შეკოებხვია. კირეის გვერდით ჩაუარეს, მას კი არაფერი გაუგონია, სიზმრად თავისი ცხოვრების საწყისისკენ მიდრეკილიყო, საიდანაც მის სხეულში ბავშვობასა და მყუდროების გამათბობელი შუქი მოედინებოდა.

ჩებურნი და ქვევი განაპირა სახლებში დარჩნენ და ჭიპ ცივი წყლით იატაკების მორეცხვას შეუდგნენ. დანარჩენმა ექვსმა ჩვეენგურელმა წინ გასწია; დასალაგებლად უფრო უკეთესი სახლები უნდა ამოერჩიათ. ჩაბნელებულ ოთახებში მუშაობა ძნელდებოდა, ნივთებს მიძინებისა და მივიწყების სუნი უდიოდა; ბევრ საწოლზე ბურჟუების კატები იწვნენ, თავიანთი პატრონების ბინებში რომ დაბრუნებულიყვნენ; ბოლშევიკებმა კატები გარეთ გარეკეს, ლოგინები აბერტყეს და ხელახლა გაასწორეს, თან უკვირდათ, ასეთი თეთრეული რა საჭიროა, დაღლილ კაცს რაში არგიაო.

ჩვეენგურელებმა გათენებამდე მხოლოდ თვრამეტი სახლის დალაგება-დასუფთავება მოასწორეს, ჩვეენგურში კი ბევრად მეტი სახლი იყო. მერე ყველანი პაპიროსის მოსაწევად ჩამოსხდნენ და ასევე მსხდომარეებს ჩაეძინათ; ზოგს საწოლზე ჰქონდა თავი მიდებული, ზოგს კომოდზე, ზოგს კი გაბურძგნული თავი ლამის მორეცხილ იატაკამდე ჩაეკიდა. ბოლშევიკები ამოხოცილი კლასობრივი მტრის სახლებში პირველად ისვენებდნენ და ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

კირეის ჩვეენგურში მარტოდმარტოს გაეღვიძა — არ იცოდა, რომ ღამით მისი ყველა ამხანაგი დაბრუნდა. აგურის სახლშიც არავინ აღმოჩნდა — მაშ ჩებურნი ან ბანდიტებს გაეკიდა და შორს ჩარჩა, ანდა დაჭრილი მოკვდა; თანამებრძოლებიც ერთიანად ამოუწყდა, და ყველანი უცხო ალაგას ეყარნენ.

კირეი ტყვიამფრქვევში შეება და ქალაქის განაპირას მიათრია, იმ ალაგას, სადაც წუხელ თვითონ ეძინა. მზემ საკმაოზე აიმაღლაურა და მთელი უკაცრიელი ველი გაანათა, სადაც ჭერჭერობით არც ერთი მტერი არ ჩანდა. მაგრამ კირეიმ იცოდა, რომ ჩვეენგური და იქ არსებული მთელი კომუნიზმი უვნებლად უნდა დაეცვა; ამიტომაც ტყვიამფრქვევი მარჯვედ დააყენა, რათა ქალაქში პროლეტარული ხელისუფლება განემტკიცებინა, ხოლო თავად ტყვიამფრქვევს გვერდით მოუწვა და გარემოს დათვალიერებას შეუდგა. იწვა რამდენხანსაც შეძლო, მერე იმ ქათმის შეჭმა მოუნდა, გუშინ ქუჩაში რომ ნახა, მაგრამ ტყვიამფრქვევის უმეტვალყურეოდ დატოვება არ შეიძლებოდა — ეს იგივე იქნებოდა, კომუნიზმის შეიარაღება თეთრი მტრისთვის რომ ჩაებარებინა, — ჰოდა, კირეი ერთხანს კიდევ იწვა და ცდილობდა, ჩვეენგური და-

ცვის ისეთი ხერხი მოეგონებინა, რომ ქათამზე სანადიროდ წასვლა შეძლებოდა.

...რა იქნება, ქათამი ჩემთან თავისით მოვიდოდეს, — უიქრობლა კირეი. — სულ ერთია, მაინც ხომ შევჭამ... პროშვა მართალს ამბობს — ცხოვრება სრულებით არ არის ორგანიზებული, თუმცაღა, ახლა ჩვენს ქომუნისშია: ქათამი თავისით უნდა მოვიდეს..."

კირეიმ ქუჩას გასწვრივ გახედა — ქათამი ჩემთან მოდის თუ არაო, ქათამი არ მოდიოდა, მარტო ძაღლი მოჩანჩალებდა; დანადგლიანებულმა ძაღლმა არ იცოდა, უკაცრიელ ჩევენგურში ვისთვის ეერთგულა; ადამიანებს ეგონათ, რომ ძაღლი ქონებას იცავდა, მაგრამ მან ქონება მიატოვა, რაკილა ხალხი სახლიდან წავიდა; პოდა, არც ბედნიერებას გრძნობდა კირეიმ ძაღლს მოუხმო და ბეწვიდან ბირკავის თესლები გააცალა. ძაღლს კირეისთვის სევდიანი თვალები მიეპყრო და შემდგომ ხვედრს ელოდა. კირეიმ ძაღლი ტყვიამფრქვევზე ღვედით მიაბა და ქათამზე სანადიროდ გულდამშვიდებული გაემართა, ჩევენგურში ხომ ჩამიჩუმი არაფრისა არ გაისმოდა და ძაღლის ხმას ყველგან გაიგონებდა, თუ ველზე მტერი ანდა ვინმე უცნობი გამოჩნდებოდა. ძაღლი ტყვიამფრქვევთან ჩაყუნცდა, თან კუდი აატოკა, რითაც კირეის ატყობინებდა, ჩემი სიფხიზლისა და გულმოდგინების იმედი იქონიეო.

კირეი ქათამს შუადღემდე დაეძებდა, ხოლო ძაღლი მთელი იმ ხნის მანძილზე უკაცრიელ ველს გასცქეროდა და ერთხელაც არ წამოუყეფია. შუადღისას მახლობელი სახლიდან ჩებურნი გამოვიდა და ტყვიამფრქვევთან ძაღლი შეცვალა, სანამ კირეი ქათამს დაიჭერდა და მოიყვანდა.

ჩევენგურელებმა იატაკის რეცხვას კიდევ ორი დღე მოანდომეს, ხოლო სახლების კარ-ფანჯრები გამოღებულნი ჰქონდათ, რათა იატაკები გამშრალიყო, ხოლო ბურჯუაზიული ჩაგუბებულნი ჰაერი ველის ქარს გაენიავებინა. მესამე დღეს ჩევენგურში ვიღაც ხელჯონიანი ფაქიზი კაცი მოვიდა, კირეიმ მხოლოდ მოხუცებულობის გამო რომ არ მოკლა.

— შენ ვინა ხარ? — ჰკითხა მან ჩებურნის.

— მე ბოლშევიკების პარტიის წევრი ვარ, — განუცხადა ჩებურნიმ. — ხოლო აქ კომუნისშია.

კაცმა ჩევენგურს თვალი მოავლო და თქვა:

— ვხედავ, მე კი პოჩების მაზრის საადგილმამულო განყოფილების შეფრინველობის ინსპექტორი ვარ. პოპეჩის მაზრაში პლიმუტროკების მოშენება გვინდა. პოდა, აქაურ ხელმძღვანელებთან მოვედი, რომ ვთხოვო, იქნებ ერთი მამალი და ერთი წყვილი დედალი საჩიშედ მოგვცენ... სახაზინო ქალაქი თანა მაქვს, რომელიც ყველას ავალდებულებს დავალების შესრულებაში ხელი შემიწყონ. უკვერცხოდ ჩვენი მაზრა ფეხზე ვერ დადგება...

ჩებურნის უნდოდა, ამ კაცისთვის ერთი მამალი და ერთი წყვილი დედალი მიეცა — რაც არ უნდა იყოს, სიბჭოთა ხელისუფლება თხოულობსო, — მაგრამ ჩევენგურის კარ-მიდამოებში ფრინველს ვერსად ხედავდა და კირეის ჰკითხა, ჩევენგურში ცოცხალი ქათმები სადმე თუ არისო.

— ქათმები აქ აღარსად არის — თქვა კირეიმ. — ცოტა ხნის წინ ერთი ქათამი კიდევ იყო, მაგრამ მე მთლიანად შევჭამე. ქათმები რომ იყოს, ასე შეწყუბებული კი არ ვიქნებოდით...

პოჩებელი კაცი დაფიქრდა.

— თუ ასეა, ბოდიშს ვიხდი... მაშინ მანდატის უკანა მხარეს წამიწერეთ, რომ მივლინება შევასრულე — დაამოწმეთ, ჩვეენგურში ქაბები რომ არ არის,

ჩეპურნიმ ქალაქი აგურზე დააფინა და ზედ დამამოწმებელი დასკვნა წააწერა: „კაცი ჩამოვიდა და წავიდა, ქათმები არა გვყავს, არცერთი რაზმის მომარაგებაზე გავხარჯეთ. ჩვეენგურის რევერენსის თანამდროშარე ჩეპურნი.“

— რიცხვი დააწერეთ, — სთხოვა ჩეპურნის პოჩებიდან მოვლინებულმა კაცმა. — ამა და ამ თვის ესა და ეს რიცხვი; თარიღის გარეშე რევიზია საბუთს დაიწუნებს.

მაგრამ ჩეპურნიმ არ იცოდა, ახლა რა თვე და რა რიცხვი იყო — ჩვეენგურში გასული დროის ათვლა გადაავიწყდა, მხოლოდ ეს იცოდა, რომ ზაფხული იდგა და კომუნის მებუთე დღე იწურებოდა. ამიტომ წააწერა: „ზაფხული 5 კომ.“

— აი, აგრე, — დაკმაყოფილდა მექათმე, — ეს საკმარისია; მთავარია, რალაც უწეროს მადლობელი გახლავართ.

— მაშ გასწი, — უთხრა ჩეპურნიმ. — კირეი, ქალაქის გასასვლელამდე მიაცილე, რომ აქ არ დარჩეს.

სალამოთი ჩეპურნი მიწაყრილზე ჩამოჯდა; ცის დასალიერს ვასცქეროდა და მზის ჩასვლას უცდიდა. ყველა ჩვეენგურელი აგურის სახლთან დაბრუნდა; პროლეტარიატის დასახვედრად იმ დღისთვის უკვე ორმოცი სახლი ჰქონდათ დალაგებულ-დასუფთავებული. შიმშილის მოსაკლავად ჩვეენგურელები ექვსიოდე თვის წინ გამომცხვარ ღვეზელებს და მაშინდელ ჩამწნილებულ კომბოსტოს ჰამდნენ, ჩვეენგურელ ბურჟუაზიას თავისი კლასის საჭიროებაზე მეტი რომ დაემზადებინა, რადგან უდავო არსებობის იმედით სულდგმულობდა. ჩეპურნის შორიახლოს სიმშვიდისა და ბინადრობის მდგმურმა კრიტიკამ თავისი გაბმული ჰანგი წამოიწყო. მდინარე ჩვეენგურკას თავზე ბინდისპირის სიტბო ისე აიჭრა, როგორც ნაჯაფი, დაქანცული მიწის გაბმული ამოოხვრა სიბნელის წიაღში მყუდროების ჩამოდგომამდე.

„ახლა სულ მალე აქეთკენ მასები დაიძვრებიან, — წყნარად გაიფიქრა ჩეპურნიმ. — ცოტაც და, ჩვეენგურში კომუნისმი აგუგუნდება, მაშინ უცაბედად კარს მომდგარი ყოველი არსება აქ ნუგეშს ჰპოვებს საყოველთაო ურთიერთსიყვარულში...“

ქვევი ყოველდღიურად, სალამო ხანს, ჩვეენგურის ბალ-ბოსტნებსა და მდელოებზე მიმოდიოდა, იქაურობას ათვალერებდა, ფეხქვეშ დაიყურებოდა, ყველა წვრილმან არსებას აკვირდებოდა, რაც კი მიწის პირას გამოჩნდებოდა, და მათ მიმართ სიბრაღულს გრძობდა. ძილის წინ ქვევს ჩვევად ჰქონდა, მომავალ საინტერესო ცხოვრებაზე ნატვრით ეფიქრა და ერთხანს ედარდა დიდი ხნის წინ გარდაცვლილ მშობლებზე, — რომელნიც თავიანთ ბედნიერებასა და რევოლუციას ვერ მოესწრნენ. ველი აღარ ჩანდა; მხოლოდ წერტილივით კრთოდა შუჭი აგურის შენობაში, ვითარცა ერთადერთი დამცველი, რაც იქ მყოფთ მტრისა და იჭვინეულობისაგან დაიფარავდა. ქვევი იქითკენ გაემართა, დადუმებული, წყვედიადისგან მისუსტებულ ბალახზე მიაბიჯებდა და როცა იქაურობას მიუახლოვდა, მიწაყრილზე ჩამომჯდარი, ძილგამფრთხალი ჩეპურნი დაინახა.

— ზიხარ? — უთხრა მას ქვეშა. — მაშ მეც ჩამოვქდები და ჩუმიდ გიქ-
ნები.

ჩვენი გურელი ბოლშევიკები იატაკზე დაფენილ ნამჯახზე იწვნენ; ყველანი
უკვე ძილს მინებებოდნენ, ცნობამიხდილნი ბუტბუტებდნენ, სიზმრად/რაღაცას
ხედავდნენ და ილიძებოდნენ. მარტო ჩვენი გურის საგუშაგოდ გასულ კეშას
არ ეძინა, ქალაქს გარშემო უვლიდა, ველზე მიაბიჯებდა და ხეებზე უფლებდა.

— როცა ოშია, ანდა რევოლუცია, ადამიანები რატომღაც ერთთავად სიზ-
მრებს ხედავენ. — თქვა ქვეშა. — ხოლო მშვედლობიანობის უამს ასე არ არის:
ყველას არხეინად სძინავს.

ჩეპურნი სიზმრებს თავადაც გამუდმებით ხედავდა, არც კი იცოდა, ეს
სიზმრები საიდან მოედინებოდა და მის გონებას რატომ აშფოთებდა. პროკო-
ფი ალბათ განუმარტავდა, მაგრამ ეს საჭირო კაცი ამჟამად იქ არ იყო.

— როცა ჩიტს ბუმბული სცვივა, მე მინახავს, მძინარე როგორ გალობს,
— გაიხსენა ჩეპურნი. — თავი ფრთის ქვეშა აქვს შეყოფილი, გარშემო ბუმ-
ბულია, არაფერი არა ჩანს. წყნარი ხმა კი გაისმის...

— ამხანაგო ჩეპურნი, კომუნიზმი რაღა არის? — ჰკითხა მას ქვეშა. —
კირეი მეუბნებოდა, კომუნიზმი ზღვაში ერთ კუნძულზე იყო, კეშა კი ამბო-
ბდა, კომუნიზმი ჰკვიანი ადამიანების გამოგონილი არისო...

ჩეპურნის უნდოდა, კომუნიზმის რაობაზე დაფიქრებულყო, მაგრამ ეს
არ უქნია; გადაწყვიტა, პროკოფის დალოდებოდა და მისთვის თავად ეკითხა.
მაგრამ უეცრად გაახსენდა, რომ ჩვენი გურში კომუნიზმი უკვე არსებობდა,
და ქვეშა უთხრა:

— როცა პროლეტარიატი თავისთვის მარტო ცხოვრობს, კომუნიზმი თავ-
ვისით გამოუდის. მითხარი ერთი, გეთაყვა, ზად გინდა, რომ იცოდე, როცა
უნდა იგრძნო და ადვილზე მიაგნო! კომუნიზმი ხომ მასების ურთიერთდამა-
კავშირებელი გრძნობაა; აი, პროკოფი ღატაკებს მოიყვანს და კომუნიზმი
გაძლიერდება. — მაშინ კომუნიზმს უმაღლესი შეამჩნევ...

— მაშ გარკვევით არაფერიც ცნობილი? — არ ეშვებოდა ჩეპურნის ქე-
ვეი.

— რით, მე მასა ვარ, თუ რა გგონია? — განაწყენდა ჩეპურნი. — ლენინი
რომ ლენინია, კომუნიზმი რა არის, იმანაც არ უნდა იცოდეს, იმიტომ რომ
ეს ერთბაშად მთელი პროლეტარიატის საქმეა და არა თითო კაცისა... პროლე-
ტარიატზე ჰკვიანი, ცხადია, ვერ იქნები...

კეშა ველზე ხველებით აღარ დადიოდა — ხმების გაბმული ბუბუნნი გა-
იგონა და შამბნარში შეიშალა, რათა გამვლელთა ვინაობა-სადაურობა უკე-
თესად ამოეცნო. მაგრამ ბუბუნნი მალე შეწყდა; კეშას ყურამდე ოდნავდა აღ-
წევდა ერთ ადვილას შექუჩებული ხალხის ჩოჩქოლი — ფეხის ხმა სრულებით
არ გაისმოდა, თითქოს იქ მყოფნი ფეხშიშველანი იყვნენ და რბილად დააბი-
ჯებდნენ. კეშა იმ შორეული მხრისკენ წასასვლელად დაიძრა და ჩვენი გურის
შამბნარს შეერია, სადაც ძმურად იზრდებოდა პური, ნაცარქათამა და ჰინჭარი,
— მაგრამ მალე უკანვე დაბრუნდა და გადაწყვიტა, ხვალინდელი დღის შუქს
დალოდებოდა; შამბნარიდან ბალახთა და თავთავთა მწიფობის სურნელი მოე-
დინებოდა — იქ ქვაკვი და ბუჩქ-ბუჩქად ამოსული ჰინჭარი ერთმანეთს არას
აყენებდა, ერთიმეორეს ჩახვეოდა და იცავდა. — ეს მცენარეულობა არავის
დაუთესია, არც მათი ზრდისთვის შეუშლია ხელი ვინმეს, მაგრამ შემოდგომა
როცა დადგებოდა, პროლეტარიატი ჰინჭარს წენიანში ჩაიყრიდა, ხოლო ქვაკვი

პურთან და ნაცარქათამასთან ერთად მოაგროვებდა და ზამთრის საზრდოდ შეინახავდა: უფრო შორს, ველის სიღრმეში, თავის ნებაზე ხარობდა მზესუმზირა, წიწიბურა და ფეტვი, ხოლო ჩვეენგურის შიგნით, ბალბოსტნებში, — ყოველნაირი ბოსტნეული და კარტოფილი. ჩვეენგურელი ბუჩუქუნია, უკვე სამი წელია, არაფერს თესავდა და რგავდა. რადგან მჭარბდნენ მოსვლას მოლოდა, მაგრამ მცენარეები თავისი მშობლებისგან მრავლდებოდნენ და ერთმანეთს შორის პურისა და ჭინჭრის საგანგებო თანათარდობა დააწესეს: პურის ერთ თავთავზე — სამი ძირი ჭინჭარი. ჩებურნი გაბარდულ ველს როცა უხუტებდა, ყოველთვის ამბობდა, აქაურობაც ახლა უკვე მარცვლოვან მცენარეთა და ყვავილთა ინტერნაციონალია. რის გამოც ყოველი ლატაკი უზრუნველყოფილია, უშრომლად, ექსპლუატაციის ჩაურევლად მოწეული საზრდო ყველას თავსაყრელი ექნებაო. ამის შედეგად ჩვეენგურელები ხედავდნენ, რომ ადამიანი ბუნების წყალობით შრომას აღარ ეჩაგვრინებოდა: ბუნება უქონელ მჭამელს თავად უძღვნიდა საჩუქრად ყოველგვარ საზრდოს და ყოველივე აუცილებელს. თავის დროზე ჩვეენგურის რეკომმა დაადგინა, რომ დამარცხებული ბუნების მორჩილება უნდა დაეფასებინათ: გადაწყვიტეს, მომავალში მისთვის ძეგლი დაედგათ, რომელიც ასეთნაირი იქნებოდა: საერთო მზის ქვეშ ველურ ნიადაგზე აღმოცენებული ხე ადამიანს ორი ნუყრიანი ტოტით ეხვეოდა.

ქეშამ თავთავი მოწყვიტა, მოუმწიფებელი, გაღეული მარცვლები პირში მოიქცია, ნედლი გული გამოუწუწუნა, მერე გამოწუწუნული მარცვლები პირიდან გამოყარა და მათი გემო გადაავიწყდა: ჩვეენგურის აბალახებული გზარბილად ააშრიალა საზიდარმა. ქეშას ესმოდა, პიუსია ცხენს რომ შეუძახებდა ხოლმე, ხოლო პროშკა მღეროდა:

ქარი ტბაზე ტალღებს არხევს,
მეთევზე ტბის ფსკერზე წევს,
ობოლს სძინავს და სიზმარში
ლასლასით დააბიჯებს

ქეშამ პროკოფის ფაეტონთან მიირბინა და ნახა, რომ პროკოფი და პიუსია ხელცარიელნი მოდიოდნენ — პროლეტარიატი არ მოკყავდათ.

ჩებურნიმ ყველა მთვლემარე ბოლშევიკი უმაღვე ფეხზე წამოყარა, კარს მომდგარ პროლეტარიატს ზეიმით შევეგებოთ და მიტინგი გავმართოთო, მაგრამ პროკოფიმ უთხრა, პროლეტარიატი დაქანცულია და ველზე, ყორღანის უკან, ქარისგან დაფარულ, მყუდრო მხარეს წევს, რათა გათენებამდე გამოიძინოსო.

— პროლეტარიატი აქვთ ორკესტრით მოემართება და წინ ბელადი მოუძღვის, თუ ისე მოდის? — ჰკითხა ჩებურნიმ პროკოფის.

— ამხანაგო ჩებურნი, ხვალ პროლეტარიატს საკუთარი თვალით მთლიანად ნახავ, — უთხრა პროკოფიმ, — მე კი ნუ შემაწუხებ, მე და პაშკა პიუსიამ ათაი ვერსი მაინც გავიარეთ — ველზე ზღვა ვნახეთ და სვია ვჭამეთ... მერე ყველაფერს მოგახსენებ და ჩამოგიყალიბებ.

— კარგი, პროშა, შენ იძინე, ხოლო მე პროლეტარიატს მოვინახულებ, — გაუბედავად თქვა ჩებურნიმ.

მაგრამ პროკოფი არ დაეთანხმა.

პროლეტარიატს ნუ შეაშფოთებ, ისედაც გატანჯულია... მალე მზე ამოვა და ყორღანიდან ჩვევნივენი თვად გამოსწევს...

მთელი დანარჩენი ღამე ჩებურნი ძილგამფრთხალი იჯდა — ღამეა ჩააქრო, რათა ყორღანზე მძინარენი მათი ნავთის დახარჯვით არ შეეშფოთებინა, და საკუჭნაოდან ჩვევნივენი რეკომის დროშა გამოიტანა. ამას გარდა, თავის ქუდზე დამაგრებული ვარსკვლავი გააკრიალა და უპატრონოდ მიტოვებული, დიდი ხნის წინ გაჩერებული საათი ამუშავა. სავსებით მრმზადებულმა ჩებურნიმ თავი ხელებზე ჩამოიყრდნო და გადაწყვიტა, არაფერზე ეფიქრა, რათა დრო მალე გასულიყო და ღამე გალულიყო. მართლაც, დრო მალე გავიდა, რადგანაც დრო ჭკუაა და არა გრძნობა. ხოლო ჩებურნი ჭკუას ფიქრით არ იმძიმებდა. ნამჯა, რაზედაც ჩვევნივენი ეძინათ, გრილი ნამისგან ოდნავ დაინესტა; დილა ძალას იკრებდა. ახლა კი ჩებურნიმ ხელში დროშა დაიჭირა და ჩვევნივენი იმ განაპირა უბნისკენ გაემართა, რომლის გადაღმაც იყო ის ყორღანი, სადაც ქვეითად მოსულ პროლეტარიატს ეძინა.

ჩებურნი დროშით ხელში ღობესთან ასე ორ საათს იდგა, განთიადის დადგომას და პროლეტარიატის გამოღვიძებას მოელოდა. იგი ხედავდა, მზის შუქმა დედამიწაზე ჩამოწოლილი ჩანისლული წყვედიანი როგორ ჩანთქა, ქარებისგან გამოფიტული, წყლით ჩამორეცხილი შიშველი ყორღანი გაანათა და სახილველად მოსაწყენი, შიშველი ნიადაგი გამოაჩინა. ჩებურნის გაახსენდა ერთი მივიწყებული სანახაობა, მსგავსი ამ უბადრუკი ყორღანისა, ბუნების ძალებს რომ დაედრღნა, ვინაიდან ვაკეზე იყო წამოზიდული. ყორღანის ფერდობზე ხალხი იწვა და ახლად ამონათებულ მზეზე ძვლებს ითბობდა; ეს ადამიანები ვილაც სიცოცხლეგამქრალი, უზარმაზარი არსების ჩონჩხისგან დარჩენილ და მიმობნეულ ძველთაძველ შავ ძვლებს მიაგავდნენ. ზოგი პროლეტარი იჯდა, ზოგიც იწვა და თავისი ნათესავი თუ მეზობელი გულში ჩაეხუტებინა, რათა მალე გამთბარიყო. შარვლისამარა ბერიკაცი წამომდგარიყო და ნეკნებს იფხოჭნიდა, ხოლო მის ფეხთით ვილაც ყმაწვილი გაუნძრევლად იჯდა და ჩვევნივენი გასცქეროდა, არ სჯეროდა, რომ იქ მისთვის სახლი ჰქონდათ გამზადებული, სადაც ღამეს მუდამ გაათევდა. ორი მწოლიარე კაცი ერთმანეთს თავს უხილავდა, ისე, როგორც ქალებმა იციან; მაგრამ თმაში კი არ ჩაპყურებდნენ ერთიმეორეა, ტილებს თითებით დაეძებდნენ და ისე იჭერდნენ. არც ერთ პროლეტარს ჩვევნივენივენი გული რატომღაც არ მიუჩქაროდა, ალბათ არ იცოდნენ, რომ იქ მათთვის კომუნიზმი, მოსასვენებელი და საერთო ქონება უნდა დაეხვედრებინათ. ნახევარი ხალხი მხოლოდ წელამდე იყო შემოსილი, მეორე ნახევარს კი მარტო ერთი მთლიანი შემოსაცმელი ჰქონდა, ან მაზარა ეცვა, ან კილოფი ჰქონდა წამოსხმული, ხოლო მაზარისა და კილოფის ქვეშ გამომხმარ-გამოჯვკილი, ავდარს, ხეტიალსა და ყოველგვარ გასაქირს მიჩვეული, შიშველი სხეული შეემალა.

ჩვევნივენივენი ყორღანზე დაბინავებული პროლეტარიატი გულგრილობას შეეპყრო. იქ მყოფნი ზედაც არ უყურებდნენ მათკენ მომზირალ კაცს, ქალაქის განაპირას განმარტოებით რომ იდგა და ხელში ძმობის დროშა ეჭირა. ქვემოთ უდაბური და მიუსაფარი ველი განფენილიყო, ხოლო ველს ზემოთ ამოსულ, გუშინდელი დღის ჯაფით დაქანცულ მზეს შუქი ისე გამოსცარიელებოდა, თითქოს უცხო, მივიწყებულ ქვეყანას დაჰნათოდა, სადაც ძებორციელი არ ჰქონებდა ყორღანზე უპატრონოდ მიტოვებულ ადამიანთა გარდა, რომელნიც ერთმანეთს სიყვარულისა და ნათესაობის გამო კი არ ეკვროდნენ, არა-

მედ იმის გამო, რომ სამყოფი ტანსაცმელი არ მოეძვევებოდათ. პროლეტარიატი არც შემწეობას მოელოდა, არც მეგობრობას, წინასწარ გრძობდა, უცხო ქალაქში რა ტანჯვაც უნდა განეცადა, ამიტომ ყორღანიდან ფეხს მოცვლას არ აპირებდა და ძალაგამოღებული ძლივსლა ტოკავდა. მძინარეებზე იდაყვ-დაყრდნობილი ბავშვები პროლეტარიატს შორის აქა-იქ ანაქსტრუქსადამიან-ნებივით იხილდნენ, — ფიქრს მხოლოდ ისინი ეძლეოდნენ, რისკსავეტროსებს ეძინათ, ანდა აუადმყოფობდნენ. ბერიკაცმა ნეკნების ფხოვნას თავი ანება, კვლავ გულადმა გაიშოტა და ბიჭი გვერდით მოიწვინა, რათა კანი და ძვლები სუსხიანი ქარის ქროლისგან დაეფარა. ჩებურნიმ შეამჩნია, რომ მარტო ერთი კაცი ჭამდა — პირში მუჭით რალაცას შეიყრიდა, მერე ლეჭავდა და თან მუშტს საფეთქელში იცემდა, რათა თავის ტკივილი ჩაეამებინა. „ყოველივე ეს ასეთ-ნაირადვე სად მინახავს?“ — გახსენებას ცდილობდა ჩებურნი. მაშინაც, როცა ჩებურნიმ ეს პირველად ნახა, სიზმრის ბურანში მზე ამოდიოდა, ველზე ქარი ქროდა და სტიქიონებისაგან ფერდებგამოხრულ, ჩაშავებულ ყორღანზე არ-არსებული გულგრილი ადამიანები იწვნენ, რომელთაც შემწეობა ესაჭიროე-ბოდათ, იმიტომ რომ პროლეტარები იყვნენ, მაგრამ ვერ დაეხმარებოდნენ, რად-განაც ერთადერთი და მცირედი ნუგეშით — ერთმანეთთან უმიზნო შეკავში-რებით კმაყოფილდებოდნენ; ამ შეკავშირების წყალობით პროლეტარები ქვეყ-ნიერებაზე დაეხეტებოდნენ და ველებში ჯგუფ-ჯგუფად ეძინათ. უწინ საშო-ვარზე სხვებთან ერთად ჩებურნიც დადიოდა, ფარდულეებში ამხანაგებით გარ-შემორტყმული და უცილობელ უბედურებათაგან მათი თანაგრძობით დაზ-ღვეული ცხოვრობდა, მაგრამ არასდროს დაფიქრებულა, თუ ამგვარ, ურთი-ერთთან განუყრელი ცხოვრებისას თავად რა სარგებლობა მოჰქონდა. ახლა იგი საკუთარი თვალით ხედავდა ველსა და მზეს, რომელთა შუა მოქცეულ ყორღანზე ადამიანები იმყოფებოდნენ, მაგრამ ისინი არც მზეს და არც მიწას არ ფლობდნენ, და ჩებურნიმ იგრძნო, რომ ველის, სახლების, საკმლისა და ტანსაცმლის ნაცვლად, რაც ბურჟუეზმა თავისთვის მოიპოვეს, ყორღანზე მყოფ პროლეტარებს ერთმანეთი გააჩნდათ, იმიტომ რომ ყოველ ადამიანს რა-ღაც უნდა ჰქონდეს; როცა ადამიანები ქონების მფლობელნი არიან, მაშინ ამ ქონებაზე ზრუნვას უნდებიან და თავიანთ ძალ-ღონეს თვინიერად ხარჯავენ, მაგრამ როცა არაფერი გააჩნიათ, მაშინ იმას ცდილობენ, ერთიმეორეს არ განშორდნენ და ძილში ერთმანეთი სიცივისგან დაიფარონ.

ბევრად უფრო ადრეულ ხანაში — ვერც მოგონებინა, როდის: ერთი წლის წინ თუ ბავშვობაში — ჩებურნის უნახავს ეს ყორღანი, აქ შემოსახ-ლებული კლასობრივი ლატაკები და სწორედ ეს გრილი მზე, ველზე მყოფი მცირეოდენი ხალხისთვის ჯაფას რომ არ ეწეოდა. ასეთი რამ უკვე იყო ერთხელ, მაგრამ როდის — თავის სუსტ გონებაში მოძიებას ჩებურნი ვერ შეძლებდა; ჩებურნის მოგონების განმარტებას მარტო პროკოფი თუ მოახერხებდა და უთუოდ იმასაც გაუძნელდებოდა, რადგან ყოველივე, რაც ჩებურნიმ ახლა იხილა, დიდი ხნის წინათვე იცოდა, მაგრამ დიდი ხნის წინათ ეს ვერ იქნე-ბოდა, ვინაიდან თვით რევოლუცია ახლახანს დაიწყო. ამის გამო ჩებურნი შეეცადა, თავისი მოგონება პროკოფის მაგივრად თვითონვე ჩამოეყალიბებინა; იგი ახლა შეშფოთებას და მღელვარებას გრძობდა ყორღანზე გართხმული პროლეტარიატის გამო და ერთთავად ფიქრობდა, დღევანდელი დღე გაივლის — ოდესღაც ხომ უკვე იყო და გაიარა; მაშ ახლა წუხილი ამოა — სულ ერთია, ეს დღე მაინც დასრულდება, როგორც ის დღე დასრულდა და დავიწ-

ყებას მიეცათ. „მაგრამ ასეთ ყორღანს, მით უმეტეს ქვეითი პროლეტარიატიურთ, რევოლუციის გარეშე ვერ შეამჩნევ, — ფიქრობდა ჩეპურნი, — თუმცაღა დედაჩემიც ორჯერ დავმარხე: კუბოს მივყვებოდი. ვტიროდი და მახსენდებოდა — ამ კუბოს ერთხელ უკვე მივაცილებდი, მივცავდებოდი და დღემდე ტუჩებს ვკოცნიდი, — ჰოდა, გადავრჩი... მაშ, ახლა გადავრჩები; ერთი და იგივე სადარდელის მეორედ გადატანა მაშინაც გამოსდებოდა. აბა, რა არის ეს, გეთაყვა?“

„მეჩვენება, რომ მახსენდება, ნამდვილად კი არასოდეს არაფერი ყოფილა, — პროკოფი რაკილა იქ არ იყო, ამის გამო გონივრულად ჩამოაყალიბა ჩეპურნიმ. — გასაჭირი მადგია, ჰოდა, შინაგანი ღვთისმოსავი სტიქიონი მეხმარება, არაფერი გიშავს, ეგ უკვე იყო და ახლა არ მოკვდება, როგორც გივლია, ისევე იარე, შენს კვალს გაუყევით. კვალი კი არსად არის და არც შეიძლება რომ იყოს — ყოველთვის წინ მიემართები, თანაც სიბუნელეში მიდიხარ... ჩვენნი ორგანიზაციიდან რატომ არავინ გამოჩნდა? პროლეტარიატი ყორღანიდან იქნებ იმიტომ არ ჩამოდის, რომ პატივისცემის გამოხატვას მოეღის?“

აგურის სახლიდან კირეი გამოვიდა. ჩეპურნიმ გასძახა, მთელს ორგანიზაციას აქ მოუხმე, რადგანაც მასები გვეწვივნენ და დროა, შევეგებოთო. კირეის მოთხოვნით ორგანიზაციამ გაიღვიძა და ჩეპურნისთან მივიდა.

— რა ხალხი მოგვიყვანე? — ჰკითხა ჩეპურნიმ პროკოფის. — თუკი იმ ყორღანზე პროლეტარიატია, მაშ მითხარი, გეთაყვა, რატომ არ მოდის და თავის ქალაქში არ ბინავდება?

— იქ პროლეტარები და გარეშენი არიან, — უთხრა პროკოფიმ. ჩეპურნი შეფიქრიანდა.

— ვინ გარეშენი? კვლავ ნარჩენი არამზადების ფენა?

— მე ქვემძრომი ვარ თუ წევრი? — ახლა კი განაწყენდა პროკოფი. — გარეშენი არიან — გარეშენი, ესე იგი — არავინ. ისინი პროლეტარიატზე უარესნი გახლავან.

— მაინც ვინ არიან? კლასობრივი მამა ხომ ეყოლებოდათ, გეთაყვა! შამბნარში ხომ არ მოგიგროვებია, სოციალური ადგილიდან მოიყვანე.

— ისინი უმამონი არიან, — განმარტა პროკოფიმ. — არსად არ უცხოვრიათ, სულ დაეხეტებიან.

— საითკენ მიეხეტებიან? — პატივისცემით იკითხა ჩეპურნიმ, რადგან ყოველგვარი შეუცნობელისა და სახიფათოს მიმართ ღირსეულობის განცდა გააჩნდა. — საითკენ მიეხეტებიან? ეგებ საჭიროა, რომ შევაჩეროთ?

პროკოფიმ ასეთი შეუგნებელი შეკითხვის გამო განცვიფრება გამოხატა:

— როგორ თუ საითკენ მიეხეტებიან? ცხადია — კომუნიზმისკენ; ჩვენთან სულ შეჩერებულნი იქნებიან.

— მაშ წადი და სასწრაფოდ მოუხმე, რომ წამოვიდნენ! უთხარი, ქალაქი თქვენია, ყველაფერი დალაგებულ-დასუფთავებული დაგხვდებათ, ხოლო ღობესთან ავანგარდი დგას და პროლეტარიატს ბედნიერებას უსურვებს და კიდევ იმას... უთხარი, მთელ სამყაროს-თქო. მთელი სამყარო ხომ მაინც იმათი იქნება.

— მთელ სამყაროზე უარს თუ იტყვიან? — წინასწარ იკითხა პროკოფიმ. — ჯერჯერობით იქნებ მარტო ჩვენგური იმყოფინონ...

— მაშ სამყარო ვიღას ექნება? — თეორიაში თავგზა აებნა ჩეპურნის.

— ვისა და, ჩვენ გვექნება, როგორც ბაზა.

— შე არამზადა, ჩვენ ხომ ავანგარდი ვართ — ჩვენ ვეკუთვნივთ იმათ, ისინი კი არ გვეკუთვნიან.. ავანგარდი ადამიანი ხომ არ არის, ცენტრალი სხეულის უსულო მცველია, ხოლო პროლეტარიატი ადამიანი გახლავს! გასწი ახლა სასწრაფოდ, შე ნახევრად ნაძირალავ!

პროკოფიმ სწრაფად შეძლო ყორღანზე მყოფი პროლეტარიატისა და გარეშეთა დარაზმვა. ყორღანზე ხალხი ბლომად აღმოჩნდა, იმაზე მეტი, რაც ჩებურნიმ დაინახა, — ასამდე, ან ორასამდე კაცი იქნებოდა, თანაც ყველანი სხვადასხვანაირი გარეგნობისანი იყვნენ, თუმცა საჭიროების მიხედვით ერთგვაროვანი — ერთიანად პროლეტარიატი.

ხალხი ხრიოკი ყორღანიდან ჩამოვიდა და ჩევენგურისკენ გამოემართა. ჩებურნი პროლეტარიატს ყოველთვის გულმხურვალედ შეიგრძნობდა და იცოდა, რომ პროლეტარიატი ამქვეყნად არსებობდა მოუღალავი, ერთსულოვანი ძალის სახით, რაც მზეს ბურჟუაზიის კადრების გამოკვებაში ეხმარებოდა, რადგან მზე მხოლოდ სიმამლისთვის არის საკმარი და არა სინარბისათვის; იგი ხვდებოდა, ცარიელ ალაგას ამტყდარი ხმაური, ყურში რომ ჩაესმოდა, როცა ველზე ღამეს ათევდა, იყო გუგუნი ჩაგრულთა შრომისა, გუგუნი მსოფლიო მუშათა კლასისა, ვინც დღისით და ღამით წინ მიემართებოდა, რათა საზრდო, ქონება და მყუდროება მოეპოვებინა თავისი პირადი მტრებისთვის, რომელნიც ჯაფით წარმოქმნილ პროლეტარულ ნივთიერებათა წყალობით მრავლდებოდნენ. პროკოფის შემწეობით ჩებურნის ჰქონდა დამაჯერებელი თეორია, რომ მშრომელნი არაორგანიზებული ბუნების მიმართ მხეცურად მოქმედნი და მომავლის გმირები იყვნენ; მაგრამ თავისთვის ჩებურნიმ აღმოაჩინა ერთი დამამშვიდებელი საიდუმლო, რომ პროლეტარიატი ბუნების ჰერეტიკით კი არ ტკბებოდა, არამედ ამ ბუნებას შრომის მეშვეობით ანადგურებდა. — ბუნებისთვის ბურჟუაზია ცხოვრობდა და მრავლდებოდა, — ხოლო მუშა კაცი ამხანაგთათვის არსებობდა და რევოლუციას ქმნიდა, ერთი რამ კი უცნობი იყო — სოციალიზმის დროს შრომა საჭირო იქნებოდა, თუ საზრდოობისთვის მარტო ბუნებრივი თვითდინება იკმარებდა? აქ კი ჩებურნი პროკოფის უფრო მეტად ეთანხმებოდა იმის თაობაზე, მზის სისტემა კომუნიზმს ცხოვრების ძალას დამოუკიდებლად რომ მისცემდა, ოღონდაც კაპიტალიზმს არ ეარსება, ხოლო ყოველგვარი შრომა და გულმოდგინება ექსპლუატატორების მოგონილი რომ იყო, რათა მზისგან მიცემული პროდუქტების გარდა არანორმალური დანამატიც დარჩენოდათ.

ჩებურნი ჩევენგურში მომავლის ერთსულოვან გმირებს მოელოდა, მაგრამ ნახა, რომ ეს ხალხი მტკიცე სვლით კი არ მოემართებოდა, თავის გუნებაზე მოაბიჯებდა; ნახა ისეთი ამხანაგები, არსად რომ არ შეხვედროდა — ადამიანები, როელთაც ღირსშესანიშნავი კლასობრივი გარეგნობა და რევოლუციური ღირსება არა ჰქონდათ, — ესენი იყვნენ ვიღაც უსახელო გარეშენი, ყოველგვარი მნიშვნელობისა და სიამაყის გარეშე, მოახლოებული მსოფლიო ზეიმისგან განცალკევებით რომ ცხოვრობდნენ; გარეშეებს იმასაც კი ვერ შეატყობდი, რა ასაკისანი იყვნენ, — მხოლოდ სილატაკის დაღი აჩნდათ და ამქვეყნად ყველასთვის უცხოებს თავისით ნაზარდი სხეულის გარდა არაფერი ებადათ; ამის გამო გარეშენი მჭიდროდ შეჯგუფებულნი მოდიოდნენ და თვალი ერთმანეთისკენ უფრო ეჭირათ, ვიდრე ჩევენგურისა და ჩევენგურელი პარტიული ავანგარდისკენ.

ერთმა გარეშემ წინ მიმავალი ბერიკაცის შიშველ ზურგზე მჭდარი ბუზი დაიჭირა და მერე იმ ალაგას ხელი მოუთათუნა, რათა განაკაწრო ანდა შეხების რაიმე კვალი არ დაეტოვებინა, ხოლო ბუზი მიწაზე რისხვიან დაანარცხა და ისე მოკლა. — ჰოდა, ჩეპურნის გაოცება დაეუფლა და გარეშეთა მიმართ განწყობა ბუნდოვნად შეეცვალა. შესაძლოა, ესენი, პროლეტარებმა — და გარეშენი, ერთიმეორეს ამქვეყნად არსებობისთვის მინიჭებულნი — ერთმანეთს საკუთრებითა და ავლადიდებით ემსახურებოდნენ, და ამის გამო იყო, ერთმანეთს ასე მზრუნველად რომ უცქეროდნენ, ხოლო ჩევენგურს ნაკლებად ამჩნევდნენ, ამხანაგებს ბუზებისგან იცავდნენ და ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც ბურჟუაზია საკუთარ სახლებსა და პირუტყვს უფრთხილდებოდა.

ყორღანიდან ჩამოსულნი უკვე ჩევენგურთან მივიდნენ. რაკილა თავისი აზრების სახოვნად ჩამოყალიბება არ შეეძლო, ჩეპურნიმ პროკოფის სთხოვა, ჩემი სათქმელი შენა თქვიო, და პროკოფიმაც ქალაქის განაპირას მოსულ პროლეტარებს ხალისით მიმართა:

— ამხანაგო უქონელო მოქალაქენო! ქალაქი ჩევენგური თუმცა თქვენ მოგეცათ, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ გადატაკებულებმა ხელი მიპყრო მტაცებლობას, არამედ იმისთვის, რომ მთელ მოპოვებულ ქონებას სარგებლიანობა ექნეს და ქალაქის მთლიანობისთვის ფართო ძმური ოჯახი ჩამოყალიბდეს. ახლა ჩვენ გარდაუვალად ძმები და ერთი ოჯახი ვართ, რომდენადაც ჩვენი მეურნეობა სოციალურად ერთ კარმიდამოდ არის გაერთიანებული. ამიტომ აქ პატიოსნად იცხოვრეთ — რევკომის წინამძღოლობით!

ჩეპურნიმ შეეცა ჰკითხა, ტილოზე წაწერილი და ქალაქის განაპირას სიმბოლოდ დაკიდებული სიტყვები, რისათვის მოიგონეო.

— მე იმ სიმბოლოს მოსაგონებლად არ მიფიქრია, — მოახსენა შეეცმა, — ჩემით კი არა, მახსოვრობის საშუალებით მოვისაზრე... სადღაც მქონდა გაგონილი, თავი რაღას არ შემოინახავს...

— მოიცადე! — უთხრა ჩეპურნიმ პროკოფის და ჩევენგურელთა ირგვლივ მდგარ ქვეით ლატაკთა მასას პირადად მიმართა:

— ამხანაგებო!... პროკოფიმ ძმები და ერთი ოჯახი გიწოდათ, მაგრამ ეს ნაღდი სიცრუეა: ძმები რომ ვიყოთ, მაშ მამაც გვეყოლებოდა, ხოლო ჩვენთაგან მრავალნი გაჩენის დღიდან აშკარად უმამონი გახლავართ. ჩვენ ძმები კი არა, ამხანაგები ვართ. ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის ქონებასაც წარმოვადგენთ და ფასულობასაც, რადგან სხვა უძრავი თუ მოძრავი ქონების მარაგი არ გავაჩნია... ამას გარდა — კარგი იქნებოდა, ქალაქის იქითა მხრიდან რომ მოსულიყავით, იქ ჩვენი სიმბოლო ჰკიდია, სადაც ნათქვამია, თუმცა არ ვიცით, ვის მიერ, მაგრამ, სულ ერთია, ხომ მაინც წერია და ჩვენ ეს გვწადია: უმჯობესი იქნება მთელი კეთილმოწყობილი ქვეყნიერება დაფანგრიოთ, სამაგიეროდ კი ერთიმეორე შიშველ-ტიტველნი შევიძინოთ; ამიტომაც, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით უწინარეს ყოვლისა! მე დაგასრულე და სალამს გადმოგცემთ ჩევენგურის რევკომის სახელით...

• ყორღანიდან ჩამოსული პროლეტარები და გარეშენი ადგილიდან დაიძრნენ და ქალაქში შესასვლელად გაემართნენ, არც რაიმე უთქვამთ და არც ის უცდიათ, რომ ჩეპურნის წარმოთქმული სიტყვა თავიანთი შეგნების განსავითარებლად გამოეყენებინათ. სასიცოცხლო ძალები მხოლოდ მიმდინარე მომენტში არსებობისთვის ჰყოფნიდათ; ისინი ყოველგვარი მარაგის გარეშე ცხოვრობდნენ, იმიტომ რომ ბუნებისა და დროში არ ყოფილა მიზეზი არც მათი

დაბადებისა და არც ბედნიერებისა — პირიქით, ყოველი მათგანის დედა თავდაპირველადვე ატირდა, როცა გამვლელი და დაკარგული მამისგან შემთხვევით განაყოფიერებული შეიქნა; დაბადების შემდეგ ამქვეყნად შეცდომით მოვლენილნი და გარეშენი აღმოჩნდნენ — თავიანთ წილად წუთისოფელში არაფერი დახვედრიათ, იმაზე მცირედიც კი, რაც თავისი თესვით, კვებით, ალაგის და საერთო ნიადაგში თავისი სამყოფი მუქთა საკვების მქონე ბალახის ღერსა აქვა.

გარეშენი ხომ თავიდანვე ისე იყვნენ შობილნი, ღვთისგან ნაწყალობევი არაფერი გააჩნდათ: ჭკუა და გრძნობათა სიუხვე არც შეიძლებოდა, რომ ჰქონოდათ, იმიტომ რომ მშობლებმა სხეულის ჭარბი ძალოვნებით კი არა, ღამეული კაეშნითა და სევდიან ძალთა უილაჯობით ჩასახეს. — ეს იყო თავდაუიწყება ამქვეყნად მალვით, იღუმალად მცხოვრები ორი ადამიანისა. — თუ ისინი ძალზე აშკარად და ბედნიერად იცხოვრებდნენ, მაშინ მათ მოსპობდნენ ნამდვილი ადამიანები, რომელნიც სახელმწიფოს მოსახლეობად ირიცხებოდნენ და ღიშეს საკუთარ კარ მიდამოში ათევდნენ. ჭკუა გარეშეებს ვერც ექნებოდათ — ჭკუა და ცხოველმყოფელი გრძნობები მართო იმ ადამიანთა კუთვნილება შეიძლებოდა ყოფილიყო, ვისაც სხეულში თავისუფალი მარაგი გააჩნდა და თავი თბილ ჭერქვეშ ჰქონდა შეფარებული, გარეშეთა მშობლებს კი ჭაფით გალუული და უზომო მწუხარებით გამოკმული სხეულის ნაშთებიდა ჰქონდათ შერჩენილი, ხოლო ჭკუა და სასიყვარულო-გრძნობიერი მჭმუნვარება, როგორც უმაღლესი ნიშნები, მოსვენებისა და ნაზად მკვებავ ნივთიერებათა უკმარისობის გამო გაჰქრობოდათ. ჰოდა, გარეშენი თავიანთი დედების სხეულთა წიაღიდან წუთისოფელს განსაცდელთა მსხვერპლად მოველინენ, იმიტომ რომ დედებმა ისინი მაშინვე მიატოვეს, მშობიარობით მისუსტებულებმა ფეხზე წამოდგომა როგორც კი შეძლეს, რათა შვილის დანახვა ვერ მოესწროთ და მისი სამუდამო სიყვარული გულში უნებლიეთ არ ჩასახოდათ. მართოდ შთქნილ პატარა გარეშეს არავის იმედო არ უნდა ჰქონოდა, თავისი შიგნეულის სითბოს გარდა არაფერი შეეგრძნო და მომავალი ადამიანი დამოუკიდებლად შეექმნა საკუთარი თავისგან; ირგვლივ გარემომცველი სამყარო იყო განფენილი, ხოლო გარეშე ბავშვი მის წიაღში იწვა და ტიროდა, რითაც ეწინააღმდეგებოდა მშობლიური სითბოს საუკუნოდ დაკარგვას — პირველ მწუხარებას, რაც მთელ სიცოცხლეში განუშორებლად გაჰყვებოდა.

კლასობრივი სოლიდარობის, მიწიერი ჩვევებისა და სიმშვიდის წყალობით მყუდროდ მცხოვრებმა, სახელმწიფოსათვის საიმედო, ბინადარმა ადამიანებმა ირგვლივ დედის მუცლის მსგავსი გარემო შექმნეს და ამის მეშვეობით იზრდებოდნენ და უმჯობესდებოდნენ, როგორც გარდასულ ბავშვობაში მყოფნი; ხოლო გარეშე სამყაროს უმაღლ შეიგრძნობდნენ, როგორც სიცივეს, დედის ცრემლებით დაღობილ ბალახს და მარტოობას, რისგანაც მათ მარად მზრუნველი დედობრივი ძალები ვერ იფარავდა.

ადრინდელი არსებობა, ისევე როგორც დედამიწაზე განვლილი სივრცე, შესაბამისი წარსული, დაძლეული ცხოვრებისა, გარეშეებს ახსენდებოდათ ვითარცა დაკარგული დედისათვის უცხო რამ, რის გამოც იგი ოდესღაც ეწამებოდა. მაშ რაღა იყო ის თბილდასახლებული გზები, რომელთა სახითაც გარეშეთა წარმოსახვაში სამყარო განივრცობოდა?

საკუთარი მამა გარეშეთაგან არც ერთს ენახა, ხოლო დედა ახსოვდათ, როგორც მარტოოდენ ბუნდოვანი წუხილი სხეულისა დაკარგული მყუდრო-

ების გამო — წუხილი. რაც გამანადგურებელ კაემნად ექცათ, როცა ასაკ-სრულნი შეიქნენ, დაბადების შემდეგ ბავშვი დედისგან არათუ არასოდეს არ გამოდის, მას იგი უყვარს; თბილი გარემოცვა კი დედებს არასოდეს არ უშინებიათ, თუმცადა მათგან უმაღლე, თანაც სამუდამოდ მიტოვებულნი იყვნენ. ხოლო წამოზრდილი ბავშვი მამის მოელის, იგი უკვე მთლად აღზრდილი ბავშვის ძა-ლებით და დედის გრძობებით. — თუნდაც მისი მუცლიდან გამოსვლისთანავე მიტოვებული იყოს — ბავშვს ცნობისმოყვარე სახე სამყაროსკენ აქვს მიპყრობილი. უნდა, რომ ბუნების ნაცვლად ადამიანებს დაუკავშირდეს, და როცა დედის სიბოძო მოყირჭდება, როცა მისი აღერსიანი ხელები ცხოვრებისკენ ლტოლვას შეუბოროტავს, მის უპირველეს მეგობარ-ამხანაგად მამა გარდა-იქცევა.

ბიჭობაში შესულ არც ერთ გარეშეს მამა და შემწე არ უბოვია, დედამ შობა მაინც, ხოლო უკვე შობილს და ამქვეყნად არსებულს მამა გზად არც კი შემოპყრია; ამიტომაც მამა დედის მტრად და მოძულედ გარდაიქმნება — ვინც არასოდეს არსაიდან არ გამოჩნდება და ნიადაგ შემწეობის გარეშე დატოვე-ბულ, უძლურ შვილს ბედნავსი ცხოვრებისთვის გაწირავს.

მთელი ცხოვრების მანძილზე უმამობა იყო გარეშეთა ხვედრი. მათი ცხო-ვრება ცარიელ მიწაზე მიედინებოდა პირველი ამხანაგის გარეშე, ვისაც შე-ეძლო, შვილებისთვის ხელი ჩაეკიდა და ხალხთან მიეყვანა, რათა სიკვდილის შემდეგ მათთვის მემკვიდრეობად თავის მაგივრად ეს ხალხი დაეტოვებინა. გარეშეებს ამქვეყნად მხოლოდ მამა აკლდათ, და იმ ბერიკაცმა, ყორღანზე ნეკ-ნებს რომ იფხოჭნიდა, ჩვეენგურში შესვლის მერე სიმღერა წამოიწყო და ეს სიმღერა თავად მასაც აღვლვებდა:

ქარს ვინ გამიღებს ნეტავ,
მხეცი თუ უცხო ჩიტი?...
სადა ხარ ახლა, მამა, —
ვთქვი, რომ ეს არ ვიცი!...

თითქმის ყოველმა მათგანმა, ვის მოსვლასაც ჩვეენგურის ბოლშევიკური ორგანიზაცია მიესალმა, ადამიანი საკუთარი თავისგან თავისივე ძალებით შექ-მნა, მკონებელთა სიშმაგით და სილატაკის სასიკვდილო შემოტევით გარემო-ცულმა. — ყველანი ერთბირად თვითნაზარდი ადამიანები იყვნენ; ბალახი სა-კვირველი არ არის, როცა მდელიოზეა ამოპული, ბევრია, ერთმანეთს მჭიდ-როდ ეკვრის და ამით თავს იცავს, ხოლო მის ქვეშ ნიადაგი ტენიანია, — ასე თავის გადარჩენა, განსაკუთრებული მოწადინებისა და საჭიროების გარეშე გა-ზრდა არ გაძნელდება: მაგრამ საოცარი და საიშვიათოა, როცა შამბნარიდან ქარიშხლით გამოტაცებული უთვისტომო თესლი შიშველ თიხაზე ანდა მო-ხეტიალე ქვიშაზე დაეცემა და ეს თესლი ახალ სიცოცხლეს ბადებს — განმარ-ტობულს, ქვეყნიერების უდაბურ მხარეთაგან გარემოცულს, მინერალებიდან საზრდოს მოძიების უნარით აღჭურვილს.

სხვა ადამიანები თავიანთი ძვირფასი სიცოცხლის განსამტკიცებლად და განსავითარებლად მთელი შეიარაღებით იყვნენ აღჭურვილნი, გარეშეებს კი ქვეყნიერებაზე ფეხის მოსაკიდებლად ერთადერთი იარაღი — უსუსურ სხეულ-ში ჩარჩენილი მშობლიური სიბოძო გააჩნდათ, მაგრამ გარეშეებს, სახელის უქონლებს, ესეც ჰყოფნიდათ, თავი რომ გადაერჩინათ, ასაკსრულნი შექმნი-

გიძლია, შიგ შურუბები ჩახრახნო. ისინი მსოფლიო რევოლუციის უამს მთელ ქვეყნიერებას ფეხშიშველანი შემოივლიან...

პროლეტარებმა და გარეშეებმა ჩვენიგურის სახლებს თავი ერთიანად შეაფარეს და ცხოვრება კვლავინდებურად განაგრძეს. ჩებურნი გარეშეებისკენ გაემართა, მათ შორის გამხდარი ბერიკაციის მოძებნას აპირებდნენ. რათა რევკომის რიგგარეშე სხდომაზე მოეწვია, სადაც საკმაოდ მოგროვებული საორგანიზაციო საქმეები უნდა განეხილათ. პროკოფი ამ განზრახვას სავსებით დაეთანხმა და აგურის სასახლეში რეზოლუციის პროექტების დასაწერად დაჯდა.

გამხდარი ბერიკაცი შაპოვის ყოფილი სახლის იატაკზე იწვა; გვერდით სხვა კაცი ეჯდა, რომელზეც იტყოდნი, ასე იციდან სამოც წლამდე იქნებოდა; ეს კაცი სადღაც ნაშოვნ ბავშვის შარვალს არღვევდა, რათა ისე გაეფართობინა, ტანზე როგორმე მორგებოდა.

— ამხანაგო, — მიმართა ჩებურნიმ ბერიკაცს, — კარგი იქნებოდა, აგურის სახლში მოსულიყავი, იქ რევკომის სხდომა გვაქვს და აუცილებლად გვჭირდება.

— მოვალ, — შეჰპირდა ბერიკაცი, — როგორც კი წამოვდგები, მაშინვე იქით გამოვწვევ; გულ-მუცელი ამტკივდა, გამივლის თუ არა, წამოვალ.

პროკოფი ამ დროს უკვე ქალაქიდან მოსულ რევოლუციურ ქალღმედებს უჯდა, თუმცა ნათელი დღე იდგა, ლამპა მაინც ენთო. ჩვენიგურის რევკომის სხდომა სანამ დაიწყებოდა, ლამპას ყოველთვის ანთებდნენ ხოლმე და მანამდე ენთო, სანამ ყველა საკითხს არ განიხილავდნენ — პროკოფი დვიანოვის აზრით სწორედ ამით იქმნებოდა თანამედროვე სიმბოლო, რაც იმას იუწყებოდა, რომ მზიური სიცოცხლის ნათელს ლამამიწაზე ადამიანის გონების ხელოვნური შუქი უნდა შენაცვლებოდა.

რევკომის საზეიმო სხდომაზე ჩვენიგურის მთელი ძირითადი ბოლშევიკური ორგანიზაცია მოვიდა, ხოლო მოსულ გარეშეთაგან ზოგიერთნი ფეხზე იდგნენ და სხდომას სათათბირო ხმით ესწრებოდნენ. ჩებურნი პროკოფის გვერდით იჯდა და საერთოდ კმაყოფილი იყო — რევკომმა მაინც რომ შეძლო, ქალაქი მანამდე შეენარჩუნებინა, სანამდე იქ პროლეტარული მასა შესახლდებოდა; ჰოდა, ახლა კომუნიზმი ჩვენიგურში სამუდამოდ განმტკიცებული გახლდათ. მხოლოდ ბერიკაცი, შესახედავად ყველაზე უფრო გამოცდილი პროლეტარი აკლდათ; შიგნეული ალბათ ისევ სტკიოდა. ამიტომ ჩებურნიმ ბერიკაციის მოსაყვანად შეევი გაგზავნა; მას ჯერ საკუჭნაოში რაიმე დამამშვიდებელი ბალახის ნაყენი უნდა მოეძებნა, ბერიკაციისთვის დაელევიინებინა და მერე სხდომაზე ფრთხილად მოეყვანა.

ნახევარი საათის შემდეგ შეევი ბერიკაცთან ერთად მოვიდა; შეევეს ბერიკაციისთვის ძირხვენის ნაყენი დაელევიინებინა, ზურგი და მუცელი კარგად დაეზილა და ახლა იგი ფრთხილად გამოცოცხლებული ჩანდა.

— დაჯექი, ამხანაგო, — უთხრა პროკოფიმ ბერიკაცს, — ხომ ხედავ, შენ მიმართ რამხელა სოციალური ზრუნვა გამოვაგლინეთ, კომუნიზმში ასე მალე არ მოკვდები!

— მოდი, დავიწყეთ, — დაადგინა ჩებურნიმ. — რაკი კომუნიზმი დიდგა, რალა საჭიროა, პროლეტარიატი კომუნიზმს მოვაცილოთ და კრებებით გავაცდინოთ. პროშკა, გუბერნიის ცირკულარები წაიკითხე და ამ ცირკულარების შესაბამისად ჩვენი ფორმულირებები ჩამოაყალიბე.

— ცირკულარი საგანგებო ფორმით კრებსითი ცნობების მიცემის თაო-

ბაზე, — დაიწყო პროკოფიმ, — რაც ერთვის ჩვენს ცირკულარს ნომერ 238101-ს, ასო „ა“, ასო „ს“ და კიდევ „ჩ“, მაზრაში ნების განვითარებისა და ნებთან დაკავშირებით დაპირსპირებული კლასების ძალთა გაღვივების ხარისხის, ტემპისა და გამოვლინების, აგრეთვე მათი საწინააღმდეგო ზომებისა და ნების მკაცრ კალაპოტში ჩაყენების შესახებ.

— აბა, ახლა ჩვენ იმათ რა უნდა ვუპასუხოთ? — ჰკითხა ჩეპურნიმ პროკოფის.

— მე იმათ ცხრილს შევუდგენ, სადაც ყველაფერს ნორმალურად ჩამოვუყალიბებ.

— ჩვენ ხომ გარეშე კლასთა ძალები არ გაგვიღვიძებია, ისინი თვითონ გაქრნენ კომუნიზმის შედეგად, — შეედავა პროკოფის ჩეპურნი და მერე ბერიკაცს მიუბრუნდა: — შენ რას ფიქრობ, გეთაყვა!

— ასე შესაწყნარებელი იქნება, — დაასკვნა ბერიკაცმა.

— ასედაც ჩამოაყალიბე: — უკლასებოდ ყოფნა შესაწყნარებელია, — მიუთითა პროკოფის ჩეპურნიმ. — ახლა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები განვიხილოთ.

შემდეგ პროკოფიმ დირექტივა წაიკითხა კერძო ვაჭრობის მომძლავრების სანაცვლოდ სამომხმარებლო კოოპერაციის სასწრაფოდ ჩამოყალიბების თაობაზე, რამდენადაც კოოპერაცია სოციალიზმისკენ და იმას იქით მიმავალი ნებაყოფლობითი ხსნილი გზაა მასებისა.

— ეს ჩვენ არ გვეხება, ჩამორჩენილი მაზრებისათვის არის განკუთვნილი, — დირექტივა უარყო ჩეპურნიმ, რადგანაც გულში გამუდმებით უღვიოდა უმთავრესი აზრი ჩევენგურში კომუნიზმის დასრულების შესახებ. — აბა, შენ ამას როგორ ჩამოაყალიბებდი? — ჰკითხა ჩეპურნიმ ბერიკაცს, რათა მისი აზრი შეეტყო.

— შესაწყნარებელია, — ჩამოაყალიბა ბერიკაცმა.

მაგრამ პროკოფიმ სხვა რაღაც მოისაზრა.

— ამხანაგო ჩეპურნი, — თქვა მან. — იმ კოოპერაციისათვის საჭირო საქონელი იქნებ წინასწარ გვეთხოვა: პროლეტარიატი ხომ კარს მოგვადგა და მისთვის სანოვაგის მომარაგებაა საჭირო!

გაოცებული ჩეპურნი აღშფოთდა.

— ველზე ხომ ყველაფერი თავისით არის მოსული — წადი, ანგელოზა და პურის თავთავი მიკრიფ-მოკრიფე და ჭამე! მზე ხომ ანათებს, ნიადაგი სუნთქავს და წვიმა მოდის — მეტი რაღა გვესაჭიროება? კიდევ გინდა, რომ პროლეტარიატს თავი ამო ჯაფაში შეარგვევინო? ჩვენ ხომ სოციალიზმზე შორს გავალწიეთ, იმაზე უკეთესი რამ გვაქვს.

— შენს აზრს ვუერთდები, — დაეთანხმა პროკოფი. — ერთი წუთით განზრახ დავივიწყე, კომუნიზმი ჩამოყალიბებული რომ გვაქვს. მე ხომ სხვა ალაგები მივიარ-მოვიარე; იქიდან კი სოციალიზმამდე დიდი მანძილია, იმათ ჯერ კოოპერაცია უნდა გაიარონ და მის წიაღში იტანჯონ... შემდგომ პუნქტად გვაქვს ცირკულარი პროფკავშირების შესახებ — საწევრო ანარიცხების დროულად შეტანისათვის ხელშეწყობის თაობაზე...

— ხელი ვის უნდა შევუწყოთ? — იკითხა ყვევმა.

— იმათ, — ნებადაურთველად და მოუსაზრებლად უპასუხა კირეიმ.

— ვის იმათ? — აზრზე არ იყო ჩეპურნი.

— მითითებული არ არის, — ცირკულარში მოიძია პროკოფიმ.

— მისწერე, რომ მოგვითითონ, რა მიზნით და ვისთვის არის განკუთვნილი ეს ანარიცხები, — ფორმულირების ჩამოყალიბებას ეჩვეოდა ჩეპურნი. — ეგ იქნებ უპარტიო ქალაქია, ანდა ამ ანარიცხებით, შემოსავლიან თანამდებობებს აყალიბებენ, თანამდებობა კი, ძმობილო, ქონებაზე უარესი/ნუ გგონია — მაშინ იმათ, ნარჩენ არამზადებს ისევ უნდა შეებრძოდნენ, როცა აქ ყოველ კაცს სულში მთელი კომუნიზმი უდევს და ყოველმა მათგანმა ქალისით ინახავს...

— ამ საკითხს ჯერჯერობით გონებაში ჩავინიშნავ, რადგანაც აქ კლასობრივი გაურკვეველობაა, — დაადგინა პროკოფიმ.

— გონებაში ჩაიდე, — კვერი დაუკრა ქვევმა. — გონებაში მუდამ ნარჩენების ალავია, რაც ცოცხალია, ის კი იხარჯება და გონებას არ გააჩნია.

— ჩინებულია, — დაეთანხმა პროკოფი და შემდეგ განაგრძო. — ახლა იმას გვთავაზობენ, ჩამოვაყალიბოთ საგვეგმო კომისია, რათა ამ კომისიამ ცხოვრება-ქონების მთელი შემოსავალ-გასავლის ციფრი და რიცხვი შეადგინოს დასასრულამდე...

— რის დასასრულამდე: მთელი ქვეყნიერებისა თუ მარტო ბურჟუაზიისა? — დაზუსტება მოითხოვა ჩეპურნიმ.

— აღნიშნული არ არის. წერია — „მოთხოვნილებები, დანახარჯები, შესაძლებლობები და დოტაციები მთელ აღდგენით პერიოდზე მის დასასრულამდე.“ შემდეგ კი გვთავაზობენ: „ამისათვის ჩამოყალიბდეს გვეგმა, სადაც თავი უნდა მოეყაროს მთელ წინამძღვრულ, შეთანხმებულ და რეგულარულ-შეგნებულ მუშაობას, რათა კაპიტალისტური მეურნეობის კაკაფონიური სტიქიონისგან მიღებულ იქნას სიმფონიის პარმონია, გამაერთიანებელი უმაღლესი საწყისისა და რაციონალური ნიშნისა“.* ყველაფერი მკაფიოდ არის დაწერილი, იმიტომ რომ დავალებათ...

ახლა კი ჩვეენგურის რევეკომმა თავი ისე ჩაქინდრა, როგორც ერთმა კაცმა. ქალაქიდან უმაღლესი გონების სტიქიონი იფრქვეოდა და ჩვეენგურელებს ქანცს უღევდა, რადგან წინასწარ გააზრებაზე უფრო მეტად განცდას იყვნენ ნაჩვევნი. ჩეპურნიმ ბურჟუთს დაყნოსა, რათა აღგზნებულიყო და პროკოფის მორჩილად სთხოვა:

— პროშა, რაიმე ცნობა მოგვაწოდე.

ბერიკაცმა დასევდიანებულ ჩვეენგურელებს გახედა, ყველას მოთმინებით დააცქერდა, თავისთვის ერთხანს რაღაცაზე წუხდა, მაგრამ მათთვის სანუგეშო არაფერი უთქვამს.

— მე რეზოლუციის პროექტი გამზადებული მაქვს: ცნობა ამას ვერ ამოწურავს, — თქვა პროკოფიმ, ქალაქლების დასტას მიუტრიალდა და ქექვა დაუწყა. ამ ქალაქლებში ჰქონდა ჩანიშნული ყველაფერი, რაც ჩვეენგურელ ბოლშევიკებს დავიწყებოდათ.

— ეს ვისთვის არის საჭირო: იმათთვის თუ აქაურებისათვის? — წამოიწყო ბერიკაცმა. — მე იმ ქალაქიდან წაკითხულზე ვამბობ: ვისზე საზრუნავია წერილში ჩაწერილი — ჩვენზე თუ იქაურებზე?

— ნამდვილად ჩვენზე, — განმარტა პროკოფიმ. — ჩვენი მისამართით არის გამოგზავნილი, ხმამაღლა წასაკითხად კი არა, აღსასრულელებლად.

ჩეპურნის დაქანცულობამ გაუარა, მან თავი ააწვია: მტკიცე გრძნობა მომწიფებული ჰქონდა.

— ხომ ხედავ, ამხანაგო, იმათ უნდათ, რომ უქკვიანესებმა ცხოვრების

მიმდინარეობა ერთხელ და სამუდამოდ, სამარადეთამოდ მოიგონონ — იქამდე, სანამ ყოველი კაცი მიწაში არ ჩაწვება. უნდათ, რომ გარეშეებმა სიმდოვრეს თავი ვერ დააღწიონ და თავიანთ არსებაში ნამეტობის ვაჟდლონ.

— მერედა, ეს ვის ესაჭიროება? — იკითხა ბერიკაცმა და მთელი ქვეყნიერების მოვლისას შთაბეჭდილებებისგან წამხდარი თვალემაჩინების მიღებას მიუღწეოდა.

— ვისა და, ჩვენ სხვას ვის უნდა ესაჭიროებოდეს, გეთაყვა? — ლელავდა ჩებურნი.

— ჩვენ ჩვენი თავს საუკეთესოდ ვიცხოვრებთ. — განმარტა ბერიკაცმა. — ეგ სიგელი ჩვენი კი არა, მდიდრის კუთვნილებაა მდიდრები როცა ცოცხლები იყვნენ, ჩვენ იმათზე ვზრუნავდით, ხოლო ლატაკზე დარდით თავს ნურავინ შეიწუხებს — ლატაკი ცარიელ ალაგას ყოველგვარი მიზეზის უქონლად არის გაზრდილი. ლარიბ-ლატაკი თავისთავად გონიერზე გონიერია — სხვებს სურვილის გარეშე მთელი ქვეყნიერები სათამაშოსავით აუშენა, ხოლო საკუთარ თავს ძილშიაც მოუვლის, იმიტომ რომ თავისთვის თუ არა, სხვისთვის მაინც რაღაცას გააკეთებს, ხოლო ყოველი მათგანი ძვირფასია...

— ბერიკაცო, შენ საესებით შესაწყნარებლად ლაპარაკობ. — დაასკვნა ჩებურნიმ. — პროშა, ასედაც ჩამოაყალიბე: პროლეტარიატმა და მის რიგებში მყოფმა გარეშეებმა მთელი საცხოვრებელი ქვეყნიერება თავად, თავიანთი მზრუნველობით ჩამოაყალიბეს; პოდა, ამიტომაც თავდაპირველ მზრუნველობაზე მზრუნველობა სამარცხვინო და საძრახისია, ხოლო ჩვენი გურში უჭკვიანესი კანდიდატები არა გვყავს-თქო. ხომ ასეა, ბერიკაცო?

— ასე შესაწყნარებელი იქნება. — შეაფასა ბერიკაცმა.

— ქალაქების გადამწერმა ღურგალს სახლი რომ აუშენოს, არსად გაგონილა. — აზრი გამოთქვა ყვევმა.

— მწყემსმა თვითონ იცის, რძე როდის უნდა დალიოს, — თავის მხრივ დაუმატა კირეიმ.

— ადამიანი ბრიყვულად ცხოვრობს მანადე, სანამ ბოლოს არ მოუღებ, — გაისმა პიუსიას ხმაც.

— მიღებულია თითქმის ერთხმად, — შეაჯამა პროკოფიმ. — გადავდივართ მიმდინარე საკითხებზე, რვა დღის შემდეგ გუბერნიაში პარტკონფერენცია ჩატარდება და იქ ჩვენგან დელეგატს იწვევენ, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების თავმჯდომარე უნდა იყოს...

— ჩებურნი, შენ გაემგზავრე, ამ საკითხს განხილვა რაღად უნდა, — თქვა ყვევმა.

— განხილვა საჭირო არ არის, რაკილა წერილობით ნაბრძანებია, — მიუთითა სხდომას პროკოფიმ.

გარეშე ბერიკაცი ჩაცუცქდა და ასე, ჩაცუცქულმა დღის წესრიგის დარღვევით, განუსაზღვრელად იკითხა:

— თქვენ მაინც ვინა ხართ?

— ჩვენ რევკომი ვართ, მაზრაში რევოლუციის უმაღლესი ორგანო, — ზუსტად უპასუხა პროკოფიმ. — რევოლუციური ხალხისგან საგანგებო უფლებამოსილებანი გვაქვს მოცემული ჩვენი რევოლუციური სინდისიერების ფარგლებში.

— მაშასადამე, თქვენც უჭკვიანესები ყოფილხართ, ისეთ ქალაქებს რომ წერენ, სადაც სიკვდილამდე ყველაფერი განსაზღვრულია, — მიხვდა ბერიკა-

ცი, თან ფიქრობდა და თანაც ამ ნაფიქრალს ხმამაღლა წარმოსთქვამდა.

— მაშასადამე, ასეა, სრულუფლებიანი ღირსებით დაუდასტურა პროკოფიმ.

— თქო, — მაღლიერებით თქვა ბერიკაცმა. მე კი ვდგავარ და ვგრძნობ, რომ ნებაყოფილობით სხედხართ — სერიოზულ საქმეებს არ გვაძლევენ.

— არა, არა, — უთხრა პროკოფიმ, — ჩვენ აქ მთელ საქალაქსა და მაზრას განუწყვეტილად ვხელმძღვანელობთ, რევოლუციის დაცვაზე მთელი საზრუნავი ჩვენ გვაკისრია. მიხვდი, ბერიკაცო, ჩვენგურში მოქალაქედ ვისი წყალობით იქეცი? ჩვენი წყალობით.

— თქვენი წყალობით? — ჰკითხა მას ბერიკაცმა — მაშინ ჩვენ მაღლობას გიხდით.

— არა ღირს, — მაღლობაზე უარი უთხრა პროკოფიმ. — რევოლუცია სამსახური და მოვალეობაა. შენ მხოლოდ ჩვენს განკარგულებებს დაემორჩილე; მაშინ ცოცხალი იქნები და თავსაც საუცხოოდ იგრძნობ.

— მოიცა, ამხანაგო დვანოვო, — ჩემს ნაცვლად შენს თანამდებობას ნუ განადიდებ, — სერიოზულად გააფრთხილა ჩეპურნიმ პროკოფი. — ხანდაზმული კაცი ხელისუფლებისათვის აუცილებელი სირცხვილის თაობაზე შენიშვნას გვაძლევს, შენ კიდევ მის ნათქვამს აბუნდოვანებ. ილაპარაკე, ამხანაგო გარეშე.

ბერიკაცი ერთხანს დუმდა — ყოველი გარეშეს გონებაში ჭერ აზრი კი არ იზადებოდა, არამედ ბნელი სითბოს ერთგვარი წნევა წარმოიშობოდა, შემდეგ კი ეს სითბო თანდათან ნელდებოდა და როგორღაც გამოითქმებოდა.

— ვდგავარ და გიცქერით, — განუცხადა ბოლშევიკებს ბერიკაცმა იმის თაობაზე, რასაც ხედავდა. — საქმიანობა უგერგილო გაქვთ, ხალხს კიდევ მედიდურად ელაპარაკებით, თითქოს ბეჭობზე ისხდეთ, ხოლო გარეშენი ტაფობში იყვნენ. აქ სწეული ადამიანები უნდა დასხა, ვაინაჩრობით რომ იარსებონ და დარჩენილი სიცოცხლე როგორმე გალიონ. თქვენ ხომ დარაჯის იოლი საქმე გაკისრიათ. ჭერ ისევ მაგარი ხალხი ხართ, უფრო ძნელად უნდა ცხოვრობდეთ...

— რათ, მაზრის თავმჯდომარეობა ხომ არ მოგესურვა? — პირდაპირ შეეკითხა ბერიკაცს პროკოფი.

— ღმერთმა დამიფაროს, — დაიმორცხვა ბერიკაცმა. — ჩემს სიცოცხლეში ღამის ყარაულადაც კი არ მივლია და ჯოხი არ მიკაკუნებია. მე იმას ვამბობ, რომ ხელისუფლება უგერგილოების საქმეა, აქ ისეთი ხალხი უნდა დასვა, ვინც სხვა არაფერში არ იფარგებს, თქვენ კიდევ ხომ ყველანი ვარგისიანები ხართ.

— ვარგისიანებმა რა უნდა აკეთონ? — არ ეშვებოდა პროკოფი ბერიკაცს, რათა კითხვა-კითხვით დიალექტიკამდე მიეყვანა და სირცხვილი ექმია.

— ვარგისიანებმა კიდევ უნდა იცხოვრონ: მესამე ალაგი აღარსად არის, კაცმა თავი რომ შერგოს.

— რისთვის უნდა იცხოვრონ? — შეეკითხა არ დაუგვიანა პროკოფიმ.

— რისთვის? — შეყოვნდა ბერიკაცი, რადგან სწრაფად აზროვნება არ შეეძლო. — თუნდაც იმისათვის, რომ ცოცხლებს კანი და ფრჩხილები ეზრდებოდეთ.

— ფრჩხილები რილასთვის ესაჭიროებათ? — ბერიკაცის ჩიხში მომწყვდევა დააპირა პროკოფიმ.

— ფრჩხილები ხომ მკვდარია, — ჩიხს თავი დააღწია ბერიკაცმა. — კაცს შიგნიდან უზრდება, რათა, რაც მკვდარია, შიგნით არ დარჩეს, კანი და ფრჩხილები ადამიანს ირგვლივ ეკვრის და იცავს.

— ვისგან იცავს? — შეკითხვებს თანდათან უძნელებდა პროკოფი.

— რა თქმა უნდა, ბურჟუაზიისგან, — კამათის არსს ჩაქურნი.

— კანი და ფრჩხილები საბჭოთა ხელისუფლებაა, არ შეგიძლია, შენით რომ ჩამოაყალიბო?

— თმა რაღაა? — დაინტერესდა კირეი.

— თმაც მატყლივითაა, — თქვა ბერიკაცმა. — ცხვარს კრეკენ, მაგრამ არა სტკივა.

— მე კი მგონია, რომ ცხვარს ზამთარში შესცივა და მოკვდება. — შეედავა ბერიკაცს კირეი. — ჩემს ბაღლობაში ერთხელ კნუტი გავკრიჭე და თოვლში ჩავფალი — არ ვიცოდი, კნუტი ადამიანი იყო თუ არა. შერე კნუტს ცხელება დაეწყო და გაიტანჯა.

— რეზოლუციაში ასე ვერ ჩამოვაყალიბებ, — განაცხადა პროკოფიმ. — ჩვენ ხომ მთავარი ორგანო გაზღავართ, ხოლო ბერიკაცი დაუსახლებელი ადგილებიდან მოვიდა, არაფერი გაეგება და ამბობს, რომ ჩვენ მთავრები კი არა, ვიღაც ღამის დარაჯები და ქვედა კვალიფიკაციისანი ვართ. სადაც მხოლოდ უხვირო ხალხი უნდა დააყენო, კარგებმა კი უორლანებზე და უკაცრიელ ალაგებში იარონ. ამ რეზოლუციის ქალაქზე დაწერაც არ შეიძლება, იმიტომ რომ ქალაქსაც მუშები ხელისუფლების სწორი ხელმძღვანელობის წყალობით ამზადებენ.

— ძალიან ნუ განაწყენდები, — პროკოფის მრისხინება დააოკა ბერიკაცმა. — ხალხი ცხოვრობს, ხოლო ზოგ-ზოგი გასაჭირის გამო მუშაობს, შენ კი ოთახში ზიხარ და ფიქრობ, თითქოს იმათი ამბაყი სულ იცოდეს, ან თვითონ მათ საკუთარი შეგრძნებები არ ჰქონდეთ.

— ეჰე, ბერიკაცო, — ბოლოს და ბოლოს ჩიხში მოიმწყვდია პროკოფიმ. — აი, თურმე რა გდომებია! როგორ ვერ მიმხვდარხარ, ხომ საჭიროა დაქსაქსული ძალების ერთ განსაზღვრულ კალაპოტში ორგანიზება და შეკავშირება! ჩვენ მართლ საფიქრალად კი არ ვსხედვართ, არამედ პროლეტარული ძალების თავმოყრისა და მათი მჭიდროდ შეკავშირებისთვის ვიღვწით.

ხნიერი პროლეტარი ვერა და ვერ დარწმუნდა:

— თუკი შენ მათ თავს უყრი, — მაშასადამე, იმათ თავადაც ერთმანეთი სურთ. მე ხომ გეტბნები, შენი საქმიანობა ნაღია, — მაშასადამე, ამ საქმეს ყოველი კაცი, თუნდაც უძლური, თავს გაართმევს; შენს საქმეს ღამითაც კი არ მოიტაცებენ..

— იქნებ გინდა, რომ ჩვენ ღამით ვიმოღვაწეოთ? — ჰკითხა დარცხვენილმა ჩეპურნიმ ბერიკაცს.

— სანამ ხალისი გაქვთ — გირჩევნიათ, ღამით იმოღვაწეოთ, — ნება დართო გარეშე ბერიკაცმა; — დღისით ქვეითად მიმავალი გვერდით ჩავივლით, რა ენაღვლება, თავისი გზა აქვს, თქვენ კი შეგრცხვებათ: ვსხედვართ, სხვის სიცოცხლეზე ვფიქრობთ თვით ცოცხლის ნაცვლად, ხოლო ცოცხალმა გვერდით ჩავვიარა და, შესაძლოა, ჩვენთან აღარც დაბრუნდეს...

ჩეპურნიმ თავი ჩაქინდრა და იგრძნო, სირცხვილის აღმური როგორ შემოენთო: „თანამდებობის გამო რომ ვარ მთელ პროლეტარიატზე ჰკვიანი, ეს აქამდე როგორ არ ვიცოდი? — ბუნდოვნად იტანჯებოდა ჩეპურნი. — რანაი-

რი ჭკვიანი ვარ, როცა მრცხვენი და პროლეტარიატისა მეშინია იმის გამო, რომ მის მიმართ პატივისცემა მაქვს!"

— ასედაც ჩამოაყალიბე. — უთხრა ჩეპურნიმ პროკოფის, როცა რევკომი დუმდა. — ამის შემდგომ რევკომის სხდომები ღამით დაიწყო. ბოლო ივურის სახლი პროლეტარიატს გავუთავისუფლოთ. *პროკოფი* *გამოსავალის მოძებნას შეეცადა.*

— რა საფუძველი გვექნება, ამხანაგო ჩეპურნი? დასასარუთებლად შესაჭიროება.

— საფუძველი გესაჭიროება? ჩამოაყალიბე... სირცხვილი და თივის მოჭრადლისით მცხოვრები პროლეტარიატისა და გარეშეთა წინაშე, თქვი, რომ უმნიშვნელო საქმეები, სასირცხვილოთა მსგავსად, მართებულია, სიბნელეში დასრულდეს...

— ცხადია. — დაეთანხმა პროკოფი. — ღამით ადამიანს გულისყურის მოკრება უკეთ შეუძლია, რევკომი სადღა გადავიყვანოთ?

— რომელ ფარდულშიც გინდა. — დაადგინა ჩეპურნიმ. — ამოარჩიე, რომელიც უარესია.

— მე კი, ამხანაგო ჩეპურნი, ტაძარს ვარჩევდი. — შესწორება შეიტანა პროკოფიმ. — ასე მეტი წინააღმდეგობანი იქნება, შენობა ხომ პროლეტარიატისთვის ისედაც შეუფერებელია.

— შესაფერისი ფორმულირებაა. — დაასვენა ჩეპურნიმ. — ეს დაამტკიცე. კიდევ რა არის ქალაქში? მალე დაამთავრე გეთაყვა.

პროკოფიმ ყველა დარჩენილი საქმე პირადი გადაწყვეტილების მისაღებად გადადო და სხდომას მხოლოდ ერთი — ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი და სწრაფადგანსახილველი რამ მოახსენა.

— კიდევ არის რღვევის სალიკვიდაციოდ და მუშათა კლასის საჭიროებისთვის გამართულ შაბათობათა ფორმით ორგანიზება მასობრივი მწარმოებლური შრომისა, რამაც მასები წინსვლისთვის უნდა აღაფრთოვანოს და დიად წამოწყებად იქცეს.

— რის დიად წამოწყებად? — კარგად ვერ გაიგო ქვევმა.

— ცხადია, კომუნიზმის წამოწყებად. — განმარტა ჩეპურნიმ. — ჩამორჩენილი რაიონები მხოლოდ ახლა იწყებენ, ჩვენ კი დავასრულეთ.

— რაბან დავასრულეთ, მაშ გობია, არ დავიწყეთ. — უმაღლესთაგან სხდომას კირვიმ.

— კირიუშა! — შენიშვნა მიიქცა მას პროკოფიმ. — კომპტაციით ხარ შემოყვანილი, პოდა, შენთვის იჯექი.

გარეშე ბერიკაცი მთელი ამ ხნის განმავლობაში მიგიდაზე დახვავებულ ქალაქებს ხედავდა: მაშასადამე, ამ ქალაქებს მრავალი ადამიანი წერდა — ასოები ხომ სათითაოდ გამოჰყავთ და თითოეულის დაწერაზე ჰკუთნებარება, — ერთი კაცი ამდენ ფურცელს ვერ წაახდენს, მარტო ერთი რომ წერდეს, მისი მოკვლა იოლად შეიძლება. მაშასადამე, ყველას მაგიერ ერთი კაცი კი არა, მთელი გუნდი ფიქრობს, მაშინ უმჯობესია, მათგან თავი იაფად გამოიყიდოს და ჯერჯერობით პატივით მოექცე.

— იმ ჯაფას ჩვენ მუქთად ვიტვირთავთ. — უკვე უკმაყოფილოდ წარმოთქვა ბერიკაცი. — იაფად გაგირიგდებით და ადგილიდან დაეძრავთ, ოღონდ შემდგომ განხილვას მოგშვით, ეს ხომ საწყენია.

— ამხანაგო ჩეპურნი, ჩვენს წინაშე პროლეტარიატის ნებაა. — ბერიკაცის ნათქვამის შედეგად დაასვენა პროკოფიმ.

მაგრამ ჩეპურნიმ მხოლოდ გაიკვირვა:

— რა დასვენაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მზე უბოლწევიყო და ცოლას გავა! ჩვენ ხომ ვზის მიძართ სწორი დამოკიდებულ ვართ! აკვანია, ხოლო ჭაფია საჭიროება არა გვაქვს. თავდაპირველად უნდა ჩამოვაყალიბოთ.

— რა უნდა ვაკეთოთ, ამის გამოვნახეთ. — აღუთქვა ჩეპურნის ბერიკაცმა. — ხალხი ცოტა გყავთ, კარ-მიდამოები კი ბევრი გაქვთ. — ეგება, სახლები უფრო მჭიდროდ გადავადგილოთ, რათა ერთმანეთთან ახლოს ვიცხოვროთ.

— ბაღების გადატანაც შეიძლება — ბალი უფრო მსუბუქია, — დაადგინა კირეიმ. — ბაღებთან ჰაერი მსუყუა და იქაურობას მაწიერობა გააჩნია.

პროკოფიმ ქალაქებში ბერიკაცის აზრის დამადასტურებელი მიწერილობა აღმოაჩინა: თურმე ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული ჰქონდათ უკვირანეს ადამიანებს, ვისაც ქალაქების ქვემოთ ხელი გაურკვევლად მოეწერათ და ამის გამო უცნობნი დარჩენილიყვნენ; ახლა მხოლოდ ისღა რჩებოდა, რომ საკუთარი ცხოვრების მდინარეება სხვის მიერ ჩაწერილ აზრთა მიხედვით მწყობრად წარემართათ.

— ჩვენ გვაქვს მიწერილობა, — ქალაქებს ათვალერებდა პროკოფი. — რის საფუძველზედაც ჩევენგური სრულ გადაგეგმარებას და კეთილმოწყობას ექვემდებარება. ამის გამოისობით სახლები დანამდვილებით უნდა გადაადგილდეს, აგრეთვე ბაღების სუშუალებით სუფთა ჰაერის მოდუნა უზრუნველყოფილ იქნეს.

— კეთილად მოწყობითაც შესაძლებელია, — თანხმობა განაცხადა ბერიკაცმა.

ჩევენგურის მთელი რევეკომი თითქოს შეჩერდა — ჩევენგურელებმა ხშირად არ იცოდნენ, მერე რა უნდა მოეფიქრებინათ, ამიტომაც ისბდნენ და რაღაცას ელოდნენ, ხოლო სიცოცხლე მათ წიაღში თვითდინებით მიემართებოდა.

— ამხანაგებო, სადაც დასაწყისია, დასასრულიც იქ არის. — თქვა ჩეპურნიმ, ის კი არ იცოდა, მერე რას იტყოდა. — ჩვენს პირისპირ მტერი არსებობდა, ხოლო ჩვენ რევეკომიდან ვნესტრავლით, ახლა მტრის ჩაცვლად პროლეტარიატი წარმოსდგა, ჰოდა, ან პროლეტარიატი უნდა დავენესტროთ, ანდა რევეკომი საჭირო აღარ იქნება.

ჩევენგურის რევეკომში სიტყვებს ადამიანთა მიმართ არ წარმოთქვამდნენ, თითქოს ამ სიტყვების წარმოთქმა ორატორთა პირადი, ბუნებრივი საჭიროება ყოფილიყო; ამის გამო მათ ნათქვამს ხშირად არც საკითხები გააჩნდა, არც წინადადებები, არამედ მარტოოდენ განცვიფრება და იკვნეულობა მოეძვეებოდა, რაც რეზოლუციის საფუძველს კი არ წარმოადგენდა, მხოლოდ რევეკომის განცდებს კვებავდა.

— ვინა ვართ ჩვენ? — ამის თაობაზე ხმამაღლა პირველად ფიქრობდა ჩეპურნი, — მთელი მსოფლიოს ქვეყნების ჩაგრულ ადამიანთა ამხანაგები ვართ და სხვა არაფერი! ჰოდა, მთელი კლასის თბილ დინებას წინ არ უნდა გავასწროთ, არც ჩგუფად ვიდგეთ, როგორც ამ კლასს სწადია, ხოლო თვით კლასმა მთელი ქვეყნიერება შექმნა და მის მაგიერ რატომ უნდა ვიტანჯოთ და ვიფიქროთ? რას იტყვით, გეთაყვა? განაწყენებული ის არის, და ამის გამო თა-

მამად შეუძლია, არამზადათა ნარჩენებს მიგვათვალოს! სხდომა ამით დავასრულოთ — ახლა ყველაფერი გასაგებია და ყველას გული დაწყნარებული გვაქვს.

გარეშე ბერიკაცს დროდადრო შიგნულში ქარები დაუვლიდა და მუცელი მტკივნეულად გვრემდა — ეს უთანაბრო კვების გამო სჭირდა. ხოგჯერ დიდი ხანი ისე გაივლიდა, ნამცეც საჭმელსაც ვერ მოიგდებდა. მაგრამ როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, ჭამით ინთილას იკრავდა, რის გამოც კუჭი გადაეჭანცებოდა და გატანჯული შიგანი ამოხეთქვას ლამობდა. ასეთ დღეებში ბერიკაცი ყველას გაეცლებოდა ნოლმე და სადღაც განმარტოებით სულდგმულობდა. მან ჩვეენგურშიც იხარბა და მაგრად გამოქდა, რეკომის სხდომის დასრულებამდე ვაივაგლახით გაძლო და უმაღვე შამბნარს შეეფარა, იქ პირქვე დაწვა და ტანჯვას მინებდა. ჩვეულებრივ დროს რაც ძვირფასად მიაჩნდა, რაც სიამესა ჰგვრიდა, ყველაფერი მიავიწყდა.

ჩებურნი იმ საღამოს გუბერნიისკენ იმავე ცხენით გაემგზავრა, პროლეტარიატის მოსაყვანად რომ იყო ნამყოფი; მარტოდმარტომ გასწია შეღამებისას იმ სამყაროს წყვდიადისკენ, რომელიც ჩვეენგურში, დიდი ხანია, გადავიწყებული ჰქონდა. მაგრამ ქალაქის განაპირა ღობეს ოდნავ გასცდა თუ არა, რაღაც ხმები შემოესმა, სნებამორეული ბერიკაცი რომ გამოსცემდა, და იძულებული შეიქნა, იგი მოექებნა, რათა შეემოწმებინა მიზეზი იმ სიგნალებისა, მთელ ველს რომ აყრუებდა. შემოწმების მერე კვლავ გზა განაგრძო უკვე დარწმუნებულმა, რომ სწეული კაცი კონტრევოლუციონერია, მაგრამ ეს არ კმაროდა — საჭირო იყო იმის გადაწყვეტა, ტანჯულთათვის კომუნიზმში რა უნდა ექნათ. ჩებურნი დაფიქრებას აპირებდა ყველა სწეულზე, ვინც კი კომუნიზმში იქნებოდა, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ ახლა მის ნაცვლად მთელ პროლეტარიატს უნდა ეფიქრა, პოდა, ტვინის ქყლეტისგან გათავისუფლებულმა, მომავლის სიმართლით უზრუნველყოფილმა, თავისი არსებობის მსუბუქი შეგრძნებით ჩათვლიმა ეულად მიმავალ, მოხრიგინე საზიდარში; თან თვლემდა და თან ოდნავ ნაღვლობდა ამყამად ჩვეენგურში მძინარე პროლეტარიატზე. „ცხენებს, ძროხებს, ბელურებს რაღა უნდა ვუყოთ?“ — უკვე ძილში წამოიწყო ფიქრი ჩებურნიმ, მაგრამ ეს გამოცანები უმაღვე უკუაგდო, რათა უფრო მშვიდად დანდობოდა მთელი კლასის გონების ძალას, იმ კლასისას, რომელმაც შეძლო, გამოეგონებინა არა მარტო ამქვეყნად არსებული ქონება და ყველა ნაკეთობა, არამედ ამ ქონების მცველი ბურჟუაზიაც; არა მარტო რევოლუცია, არამედ პარტიაც, რომელიც კომუნიზმის დადგომამდე რევოლუციას უნდა გაფრთხილებოდა.

საზიდრის აქეთ-იქით ბალახი უკან მიეჭანებოდა, თითქოს ჩვეენგურში ბრუნდებო, ხოლო სანახევროდ მძინარე კაცი წინ მიემართებოდა და ვერ ხედავდა ვარსკვლავებს, რომელნიც თავს დაჰნათოდნენ ჩაბურული სიმადლიდან, საუკუნო, მაგრამ უკვე მისალწევი მომავლიდან, იმ წყნარი სამყოფლიდან, სადაც ვარსკვლავები ისე მიედინებოდნენ, როგორც ამხანაგები — არც ძალიან შორიშორს, რათა ერთიმეორე არ დავიწყებოდათ, და არც ძალიან ახლო-ახლოს, რათა ერთმანეთს არ შერწყმოდნენ და ერთმანეთისგან განსხვავება და ერთიმეორისკენ ამო სწრაფვა არ დაჰკარგოდათ.

გუბერნიის ქალაქიდან უკან გამობრუნებულ პაშინცევს გზად კობიონკი-

ნი წამოეწია და ისინი ჩევენგურში ცხენებზე ამხედრებულნი მხარდამხარ შე-
მოვიდნენ:

კობიონკინი ჩევენგურს, როგორც ძილს, ისე მისცემოდა. მის წყნარ კო-
მუნიაში სხეულში დავლილ თბილ მყუდროებასავით შეიგრძნობდა და არა
როგორც გულის მცირე, მშფოთვარე წილში განმარტოებულნი მალეუ-
იდეას. ამიტომ კომუნიაში სრული შემწეობა უნდოდა, რათა მის მიმართ
ლტოლვა ერთბაშად აღძვროდა, რადგანაც როზა ლუქსემბურგს კომუნიაში
უყვარდა, ხოლო კობიონკინი როზას პატივსაც სცემდა.

— ამხანაგი როზა ლუქსემბურგი ქალია! — განუმარტავდა კობიონკინი
პაშინცევის. — აქ კი ისეთი ხალხი ცხოვრობს, გულადმა რომ არის გაშლარ-
თული და ღიბზე ძაფები აქვს გადაჭიმული, ხოლო ზოგს ყურში საყურე გა-
ურჯვია, — მე მგონი, ამხანაგი ლუქსემბურგისთვის ასეთი რამ უხამსობა
იქნებოდა, აქ დაირცხვენდა და ჩემსავით ექვი აღედვრებოდა. შენ რას იტყვი?
პაშინცევი ჩევენგურს სრულებით არ ამოწმებდა — მთელი მისი არსი
უკვე იცოდა.

— რატომ დაირცხვენდა, — თქვა მან, — ისიც რევოლუციონარი დედა-
კაცი იყო, აქ, უბრალოდ, რევოლუციური ნაკრძალია, როგორც მე მქონდა,
და შენი თვალთა გაქვს ნახული, როცა იქ ღამე გაათიე.

კობიონკინმა გაიხსენა პაშინცევის ხუტორი, უსიტყვო მაწანწალები, ბა-
ტონისეულ სახლში ღამეს რომ ათევდნენ, გაახსენდა თავისი მეგობარ-ამხანა-
გი ალექსანდრ დვანოვი, ვისთან ერთადაც უბრალო და უკეთეს ადამიანთა
შორის კომუნიაში დაეძებდა.

— შენ მარტო თავშესაფარს გქონდა ექსპლუატაციისგან გზააბნეული კა-
ცისათვის, — კომუნიაში შენთან არ წარმოქმნილა. აქ კი იგი გაპარტახების შე-
დეგად იშვა — ირგვლივ უსიცოცხლო ხალხი დაიარებოდა, აქ მოვიდა და უმო-
ძრაოდ ცოცხლობს.

პაშინცევისთვის ეს სულ ერთი იყო: ჩევენგურში ყოფნა მოსწონდა, აქ
ძალღონის მოსაჯრებად და რაზმის თავმოსაყრელად ცხოვრობდა. რათა შემდ-
გომში თავის რევოლუციურ ნაკრძალში შეჭრილიყო და იქ მივლინებულ სა-
ყოველთაო ორგანიზატორთათვის რევოლუცია წაერთმია. პაშინცევი უმეტესად
გარეთ იწვა, ოხრავდა, ბურანში ჩაძირულ ველს აყურადებდა. საიდანაც იშ-
ვითად რაღაც ხმები მოესმოდა.

კობიონკინი ჩევენგურში მარტო დადიოდა და მთელს დროს პროლეტარე-
ბისა და გარეშეთა თვლიერებას ანდომებდა. რათა შეეტყო, მათთვის როზა
ლუქსემბურგი ნაწილობრივ ძვირფასი მაინც თუ იყო, მაგრამ მათ მისი სახე-
ლიც კი არ გაეგონათ, თითქოს როზა ამოდ მომკვდარიყო და თავი მათთვის
არ გაეწირა.

ჩევენგურში მოსულმა პროლეტარებმა და გარეშებმა ბურჟუაზიის მო-
ნარჩენი საჭმელი მალე მოათავეს და კობიონკინის იქ ყოფნისასვე მარტო
ველზე მოპოვებული მცენარეულობითდა იკვებებოდნენ. ჩეპურნის არყოფ-
ნაში პროკოფიმ ჩევენგურში შაბათობით მუშაობა შემოიღო, მთელ პროლე-
ტარიატს ქალაქისა და იქაური ბაღების ხელახლა განლაგება დაუწესა. გარე-
შენი სახლებს კი მიაჩოჩებდნენ და ბაღებიც ერთი ადგილიდან მეორეზე გა-
დაჰქონდათ, მაგრამ ამას შრომის გულისთვის კი არ სჩადიოდნენ, არამედ
იმისათვის, რომ ჩევენგურში მშვიდად ყოფნისა და ღამისთვის სახლური
გადაეხადათ, ამას გარდა, ხელისუფლებისა და პროშკას ვალი მოეშორებინათ.

გუბერნიიდან დაბრუნებულმა ჩეპურნიმ პროკოტის განკარგულებანი გადასაწყვეტად პროლეტარიატს დაუტოვა იმ იმედით, რომ პროლეტარიატი მუშაობას იმით დაასრულებდა, რომ სახლებს, როგორც თავისი ჩაგვრის ნაკვალევს, გამოუსადეგარ ნაწილებად დაშლიდა, და ამქვეყნად ყოველგვარი თავშესაფრის გარეშე იცხოვრებდა, ერთიმეორეს მარტოდენ საკლასო ცხოველს სხეულით გაათბობდა. ამას გარდა, არც ის იყო ცნობილი, კომუნისში სამთარი თუ დადგებოდა, იქნებ გამუდმებით ზაფხულის სითბო იქნებოდა, რაკილა მზე კომუნისში პირველსავე დღეს ამოვიდა, და ამის გამო მთელი ბუნებაც ჩევენგურს მხარში ედგა.

მიეღინებოდა ჩევენგურის ზაფხული, დრო ცხოვრების პირუკუ უიმედოდ მიემართებოდა, მაგრამ ჩეპურნი პროლეტარიატთან და გარეშეებთან ერთად შეჩერდა ზაფხულისა, დროისა და ყველა მღელვარე სტიქიონის წიაღში, სიხარულით აღესილი მშვიდად ცხოვრობდა და სამართლიანად მოელოდა, რომ პროლეტარიატი, ვისაც ამიერიდან აღარავინ შეაწყუბებდა, ცხოვრების საბოლოო ბედნიერებას შექმნიდა. ეს ბედნიერება ცხოვრებისა ამქვეყნად უკვე არსებობდა, ოღონდ გარეშეთა არსებაში იყო ჩამალული, თუმცა იქაც ასევე ნივთიერებას. ფაქტსა და აუცილებლობას წარმოადგენდა.

მარტო კობიონკინი დადიოდა ჩევენგურში ბედნიერებისა და მშვიდი იმედის გარეშე. იგი ჩევენგურის წესსა და რიგს შეიარაღებული მარჯვენით დიდი ხნის წინვე მოშლიდა, ალექსანდრ დვანოვს მოლოდინი რომ არ ჰქონოდა, ვინც ჩევენგურს თავით ბოლომდე შეაფასებდა. მაგრამ თმენის დრო რაც უფრო ხანგრძლივდებოდა, კობიონკინის ვულ გრძნობას ჩევენგურელი კლასი მით უფრო აფორიაქებდა. კობიონკინს ჰოგჯერ ეჩვენებოდა, რომ ჩევენგურელ პროლეტარიატს მასზე მეტი გასაჭირი აღგა, მაგრამ ისინი კობიონკინზე მაინც უფრო თვინიერნი იყვნენ, შესაძლოა იმიტომ, რომ იდუმალად მეტ ძლიერებას გრძნობდნენ; კობიონკინს ნუგეშად როზა ლუქსემბურგი ჰყავდა, ხოლო ჩევენგურში მოსულებს წინ სასიხარულო არაფერი ჰქონდათ და არც სიხარულს ელოდნენ, იმით კმაყოფილდებოდნენ, რითაც ყველა უქონელი ადამიანი ცხოვრობს — თავისნაირ ადამიანებთან, განვლილი გზების თანამგზავრებთან და ამხანაგებთან თანაარსებობით.

კობიონკინს ერთხელ თავისი უფროსი ძმა გაახსენდა, რომელიც ყოველ საღამოს თავის შეყვარებულთან მიდიოდა, უმცროსი ძმები კი ქოხში მარტო რჩებოდნენ და უმისობის გამო ნაღვლობდნენ; მაშინ მათ კობიონკინი ანუგეშებდა: ჰოდა, ისინიც თანდათან ერთიმეორესთან ნუგეშს პოულობდნენ, რადგანაც ეს მათთვის აუცილებელი იყო, ახლა კობიონკინი ჩევენგურის მიმართ ასევე გულგრილი შეიქნა და თავის სატრფოსთან — როზა ლუქსემბურგთან გამგზავრება მოესურვა, ხოლო ჩევენგურელებს სატრფოები არ ჰყავდათ, ამიტომ მარტოდ დარჩენა და ერთმანეთის განუგეშება მოუწევდათ.

გარეშეებმა თითქოს წინასწარ იცოდნენ, რომ ჩევენგურში მარტონი დარჩებოდნენ, ამის გამო არც კობიონკინისგან მოითხოვდნენ რაიმეს და არც რეკომისგან — იმათ იდეები და განკარგულებები ჰქონდათ, თავად კი მხოლოდ არსებობის აუცილებლობა გააჩნდათ. დღისით ჩევენგურელები მინდვრებში დაეხეტებოდნენ, მხალეულს კრეფდნენ, ძირხვენებს თხრიდნენ და ბუნებაში მოპოვებულ ნედლ საკვებს მაძრისად ჰამდნენ, ხოლო საღამოთი ქუჩაში ბალახზე წვებოდნენ და მღუმარედ ჩაიძინებდნენ. კობიონკინიც მათ შორის წვებოდა, რათა ნაკლებად დასევდიანებულიყო და დრო-ჟამი სწრაფად გაე-

ლია. ხანდახან გამხდარ ბერიკაცს, იაკოვ ტიტჩის ესაუბრებოდა, რომელმაც თურმე ყველაფერი იცოდა, რაზედაც სხვები მხოლოდ ფიქრობდნენ. ანდა დაფიქრებაც კი ვერ შეძლეს; თავად კობიონკინმა ზუსტად არაფერი იცოდა, იმიტომ რომ ისე ცხოვრობდა, თავის არსებობას ფიზიკური და დამხსომებელი ცნობიერებით არ იცავდა.

იაკოვ ტიტჩის საღამოობით ბალახში წოლა უყვარდა — მჭიდროდ სხვებს ასცქეროდა და თავს იშოშმინებდა იმაზე ფიქრით, რომ არსებობდა შორეული მნათობები, იქ ადამიანთაგან განუცდელი ცხოვრება მიედინებოდა. რაც მისთვის მისაწვდომი და მისთვის განკუთვნილი არ იყო; იაკოვ ტიტჩი თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, ჩაძინებულ მეზობლებს ხედავდა და მათ მაგივრად სევდას ეძლეოდა: „იქ ცხოვრება არც თქვენ გელირსებათ, — მერე წამოდგებოდა, რათა ყველასთვის ხმამალლა მიელოცა: — დაე ნუ გველირსება, სამაგიეროდ, ნივთიერება ერთნაირია: რაც მე ვარ, ვარსკვლავიც ისაა, — ადამიანი თავზედ არ არის, რაიმეს სიხარბის გამო კი არა, აუცილებლობის გამო ითავისებს.“ კობიონკინიც იწვა და ისმენდა, იაკოვ ტიტჩი საკუთარ გულს ამგვარად როგორ ესაუბრებოდა. „სხვები ერთთავად გებრალება, — საკუთარ თავს მიმართავდა იაკოვ ტიტჩი. — ადამიანის მწუხარე სხეულს უცქერი და გეცოდება — გაიტანჯება, მოკვდება და მალე განგეშორება, საკუთარი თავის მიმართ სიბრალულს კი არასოდეს განიცდი, როცა გაგახსენდება, რომ მოკვდება და დაგიტირებენ, მაშინაც დამტირებელნი გებრალება, ვინც მარტონი უნდა დატოვო.“

— ბერიკაცო, ასეთ ბუნდოვან რამეებს რა გალაპარაკებს? — ჰკითხა იაკოვ ტიტჩის კობიონკინმა. — კლასობრივი ადამიანი რა არის, არ გაგეგება, წევხარ ასე და ლაპარაკობ...

ბერიკაცი გაჩუმდა, მთელი ჩევენგურიც ასევე მდუმარებას მოეცვა.

ხალხი გულაღმა იწვა, მათ ზემოთ ნელა ქუფრდებოდა გულმძიმე, ჩაბინდული ღამე, — ისეთი წყნარი, რომ გეგონებოდა, ზოგჯერ იქიდან წარმოთქმული სიტყვები ჩამოისმისო, და მძინარენი ცას ოხვრით ეპასუხებოდნენ.

— წყვედიადივით რას დუმხარ? — ხელახლა ჰკითხა ბერიკაცს კობიონკინმა. — ვარსკვლავზე დარდობ? — ვარსკვლავებიც ოქრო-ვერცხლივით ჩვენ არ გვერგება.

იაკოვ ტიტჩის თავისი ნალაპარაკევის გამო არ ერცხვინებოდა.

— მე კი არ ვლაპარაკობდი, არამედ ვფიქრობდი, — თქვა მან. — სანამ სიტყვას არ იტყვი, ჰკვიანი ვერ შეიქნები, იმიტომ რომ მდუმარებას ჰკუთარ მოეპოვება — მარტო ტანჯვა-გრძნობებისა...

— მაშასადამე, ჰკვიანი ყოფილხარ, რაკილა მიტინგივით ლაპარაკობ? — ჰკითხა კობიონკინმა.

— ჰკვიანი ამის გამო არ გაემხდარვარ.

— მაშ რის გამო? ამხანაგურად მასწავლე, — სთხოვა კობიონკინმა.

— ჰკვიანი იმიტომ შევიქენი, რომ უდედმამოდ, ხალხის დაუმარებლად თავი ადამიანად ვიქციე, რამდენი საჭმელ-საზრდელი უნდა მომეპოვებინა და მომეხმარებინა — შენს ჰკუთარ ხმამალლი გაიხარე.

— ალბათ ჭარბი! — ხმამალლა გაიხარა კობიონკინმა.

იაკოვ ტიტჩმა ჯერ ამოიოხრა ფარული სინდისიერების გამო და მერე კობიონკინს გაუშეღაფნა:

— ჰეშმარიტად, ჭარბია, სიბერის ჟამს წევხარ და ფიქრობ, ჩემს შემდგომ

დედამიწა და ადამიანები როგორ იქნებიანო? რამდენი რამ მოვიმოქმედე, რამდენი საქმელი შევქამე, რამდენი გასაჭირი გამოვიარე და ჭკუა-გონებაში რამდენი საფიქრალი გამოვატარე, თითქოს მთელი ქვეყნიერება ჩემ ხელეში გავლიე. სხვებს კი მართო ჩემი ნაცონილა დარჩათ, ბოლოს კი ვნახე, რომ სხვებიც ჩემნაირნი არიან, სხვებიც მცირეწლოვნობიდან თეფერებულ სხეულებს მიათრევენ და ყველანი უძლებენ.

— მცირეწლოვნობიდან რატომ? — ვერ მიხვდა კობიონკინი. — ობლად ხარ გაზრდილი, თუ თვითონ მამაშენმა მიგატოვა?

უშამოდ გავიზარდე. — თქვა ბერიკაცმა. — მის მაგივრად უცხო ადამიანებს უნდა მივჩვეულიყავი. უნუგეშოდ გავზრდილიყავი და მთელი ცხოვრება ასე გამეტარებინა...

— თუ მამა არა გყოლია, მაშ ადამიანებს ვარსკვლავების დარად რატომ აფასებ? — გაიკვირვა კობიონკინმა. — ადამიანები უფრო ძვირფასად უნდა მიგაჩნდეს იმათ გარეშე თავის შესაფარებელი არსადა გაქვს, შენი ბინა მათ შორის არის მოქცეული... ნამდვილი ბოლშევიკი რომ იყო, მაშინ ყველაფერი გეცოდინებოდა, ასე კი დედ-მამით ობლად დაბერებული ხარ და მეტი არაფერი.

ქალაქის შუა ილაგას პირველყოფილი მღუმარებიდან ბავშვის გმინვა ამოიზარდა და ეს ხმა ყველამ გაიგონა, ვისაც არ ეძინა, — დედამიწას ღამე ისე წყნარად ეფინა და თვით დედამიწა ღამის საბურველში ისე იყო გახვეული, თითქოს არ არსებობდა. გატანჯული ბავშვის ხმას კიდევ ორი ხმა აპყვა — იმ ბავშვის დედის ქვითქვითი და შემაშფოთებელი ჭიხვინი პროლეტარული ძალისა. კობიონკინი მაშინვე წამოდგა, ძილის სურვილი მთლად დაეკარგა, ხოლო უბედურებას მიჩვეულმა ბერიკაცმა თქვა:

— პატარა ბავშვი ტირის, — ან ბიჭი იქნება, ანდა გოგო.

— პატარები ტირიან, ბებრები კი წვანან, — ბრაზიანად დაადანაშაულა ბერიკაცი კობიონკინმა და წავიდა, რათა ცხენისთვის წყალი დაეღვინებინა და მტირალი დაეშოშმინებინა.

გზებზე მათხოვრად მავალი ქალი, ჩვეულებრივში გარეშეთაგან განცალკევებით რომ იყო მოსული, ბნელ წინკარში იჯდა, შეილი მუხლებსა და ხელებზე გადაეწვინა და ხშირ-ხშირად ასუნთქავდა, რათა თბილი სუნთქვით ბავშვს დახმარებოდა.

ბავშვი წყნარად და მორჩილად იწვა, სწეულებისაგან მსურველების მარწუხებში ეულად მომწყვდებულს სატანჯველისა არ ეშინოდა, მხოლოდ დროდადრო გმინავდა და ამ გმინვაში ჩივილზე უფრო მეტად სევდა გამოსჴვიოდა.

— რა გაწუხებს, რა გაწუხებს, ჩემო კარგო? — ეუბნებოდა დედა. — მითხარი, სადა გტკივა და იმ ადგილს გაგიობობ, იმ ადგილს გაკოცებ.

ბიჭუნა დუმდა და დედას ნახევრად მოხუჭული თვალებით უცქეროდა. მის თვალებს დედის საჩება უკვე გადავიწყებული ჰქონდა; სხეულია წყვდიადში განმარტოებული გული ისეთი მოწადინებით, ისე გაშმაგებით, ისე იმედლიანად ძგვრდა, თითქოს ბავშვისგან განცალკევებული არსება, მისი მეგობარი ყოფილიყო და თავისი ცხოველყოფელი სიცოცხლის სისწრაფით სიკვდილის ბოლშიან ნაკადთა ამოშრობას ლამობდა; დედა ბავშვს მკერდზე ხელს უსვამდა, სურდა, იქ ჩამალულ ეულ გულს მიხმარებოდა, თითქოს იმ სიმსადუნებდა, რომლითაც ახლა შვილის მიღუღული სიცოცხლე ხშიანობდა, რათა ეს სიმი არ დადუმებულიყო, როგორმე დაესვენა.

დევით დედა ახლა არა მარტო მგრძნობიარე და ნაზი იყო, არამედ ჭკუაა და მოსაზრებულობასაც იჩენდა — ეშინოდა, რაიმე არ დაევიწყებოდა, ბავშვისთვის დახმარება არ დაეგვიანებინა და ყველაფერი გაეკეთებინა, თუ რამ იცოდა, თუ რამ შეეძლო.

იგი გაფაციცებით იხსენებდა მთელ ცხოვრებას, თავისი და ბავშვისასაც — თუ რამ ენახა, — რათი იქიდან ამოერჩია ყოველივე მისი ზრდა და ბავშვის ტანჯვის შესამაუბრებლად გამოადგებოდა, — ჰოდა, ამ ქალაქში, გზად რომ შემოეყარა და სახელი რა ერქვა, ესეც არ იცოდა, ჭურჭლის, წამლებისა და თეთრეულის უქონელმა გლახაკმა დედამ შეძლო, ნაზად მოპყრობის გარდა შეიღოს მკურნალობითაც დახმარებოდა; საღამოთი კუჭი თბილი წყლით გამოურეცხა, სხეული ცხელსაფენებით გაუთბო, მოსამაგრებლად შაქრიანი წყალი დაალევიანა და გადაწევიტა, მანამდე არ დაეძინა, სანამ შეიღო ჭერ კიდევ ცოცხალი იჯნებოდა.

მაგრამ ბავშვს სატკივარი არ უნელდებოდა და მისი ხურვება შემოგზნებული სხეულისგან დედას ხელები უოფლიანდებოდა. ბიჭს სახე დაემანჭა, განაწყენებულმა ამოიკვნესა იმის გამო, ასე რომ უჭირდა, ხოლო დედა გვერდით ჰყავდა და არაფერს აძლევდა. მაშინ დედამ ძუძუ მისცა, თუმცა ბიჭი უკვე მეხუთე წელში იყო გადამდგარი. ბავშვი დიდი ხნის წინ დაჩუტულ ძუძუს მიეკრა და გაწყალებული რძის ნარჩენების წოვა ხარბად დაიწყო.

— აბა, რაიმე მითხარი, — ემუდარებოდა დედა, — მითხარი, რა გინდა ბავშვმა გათეთრებული, დაბერებული თვალები გამოახილა, შეიცადა, ვიდრე რძეს გამოსწოვდა, და წვალეებით უთხრა:

— მინდა, რომ ვიძინო და წყალში ვცურავდე; მე ხომ ავად ვიყავი, ახლა კი დავიქანცე, ხვალ გამაღვიძე, რომ არ მოგკვდე, თორემ დამავიწყდება და მოგკვდები.

— არა, შვილიკო, — უთხრა დედამ, — მე სულ გიდაარაჯებ, ხვალ სამათხოვროდ ჩამოვიღო და ძროხის ხორცს გიშოვი.

— ხელი ჩამჭიდე, რომ მათხოვარმა დედაკაცებმა არ მომიტაცონ, — ამბობდა ბიჭი და თანდათან სუსტდებოდა, — იმათ არაფერს აძლევენ და ისინიც ქურდობენ... მე შენთან ისე მომეწყინა, რომ ჯობდა, გზა აგბნეოდა.

დედამ უკვე ბურჯანში წასულ შვილს დახედა და გული სიბრაღულმა ჩასწვა.

— ჩემო საყვარელო, თუ ამქვეყნად ყოფნა აღარ გიწერია, — ჩურჩულებდა იგი, — გირჩევნია, ძილში მოკვდე, თლონდაც ნუ გაიტანჯები; არ მინდა, რომ ეწამებოდე, მინდა, რომ თავს აუღო გრილად და მსუბუქად გრძნობდე...

ბიჭი ჭერ მშვიდი ძილის სიგრილეს მიეცა, ხოლო შემდეგ ერთბაშად შეპყვირა, თვალები გაახილა და დაინახა, რომ დედას მისთვის თავში ხელები ჩაეჭიდა და აბვიდან ამოჰყავდა, სადაც იგი რბილ პურებს შორის თბილად იწვა. ახლა მისი სუსტი სხეული, ოფლიანობისა და სხეულებისგან ბალნით რომ შემოსილიყო, ნაწილ-ნაწილ იშლებოდა, და დედა ამ ნაწილებს შიშველ მათხოვარ დედაკაცებს ურიგებდა.

— დედაჩემო, — ეუბნებოდა იგი დედას, — შენ სულელი მათხოვარი ხარ, როცა დაბერდები, ლუქმაპური ვინ უნდა გაქამოს? მე ისედაც გამხდარი ვარ, შენ კიდევ ჩემ თავს ნაწილ-ნაწილ სხვებს ურიგებ.

მაგრამ დედას მისი ნათქვამი არ ესმოდა, შვილს უკვე მდინარის მკვდარ კენჭებს დამსგავსებულ თვალებში ჩასცქეროდა, ვერ ამჩნევდა, რომ იგი უკ-

ვე ნაკლებად იტანჯებოდა, და თვითონ ისეთი გულის გამაწვრილებელი ხმით გაჰკიოდა, რომ ბიჭს გულგრილობა ეუფლებოდა.

მე ვმკურნალობდი, ვუფრთხილდებოდი, დამნაშავე არა ვარ, ამბობდა დედა, რათა შემდგომ წლებში დარდიან თავი დაეხსნა.

ჩვეენგურელთაგან პირველნი ჩებურნი და კობიონკინი, მოვეფინე.

— რა გინდა? — ჰკითხა მათხოვარს ჩებურნი.

— მინდა, რომ ჩემმა შვილმა ერთ წუთს კიდევ იცოცხლოს. — თქვა დედამ.

კობიონკინი დაიხარა და ბიჭს თითები მოუთათუნა — მას მიცვალებულნი უყვარდა, იმიტომ რომ როზა ლუქსემბურგიც მათ შორის იმყოფებოდა.

— ერთი წუთი რას გარგებს? — უთხრა მათხოვარს კობიონკინმა. — წუთი გაივლის, ბიჭი ხელახლა მოკვდება და შენ ისევ აკივლდები.

— არა, — აღუთქვა დედამ. მაშინ ტირილს აღარ დავიწყებ — დამახსოვრება ველარ მოვასწარი, ცოცხალი რანაირი იყო.

— ეგ შეიძლება, — თქვა ჩებურნი. — თავადაც დიდხანს ვიყავი ავად და კაპიტალიატური სასაკლაოდან ფერშალი გამოვედი.

— ეს ხომ უკვე გარდაცვლილია, რატომღა აწუხებ? — ჰკითხა კობიონკინმა.

— მერე რა მოხდა, რას ბრძანებ, გეთაყვა? — მკაცრად თქვა გულდაიმედებულმა ჩებურნი. — შეძლებს, ერთ წუთს კიდევ რომ იცოცხლოს, რადგანაც დედას სწადია: ცოცხლობდა-ცოცხლობდა, ახლა კიდევ გადაივიწყდა! უკვე გაყინული რომ იყოს, ანდა მატლი ჰყავდეს დახვეული, სხვა ამბავი იქნებოდა; ბავშვი ჯერაც ცხელია — შიგნით კიდევ მთლად ცოცხალია, მარტო გარედან არის მკვდარი.

სანამ ჩებურნი ცდილობდა, რომ ბავშვი ერთ წუთს კიდევ ეცოცხლებინა კობიონკინი მიხვდა, რომ ჩვეენგურში არავითარი კომუნისში არ არსებობდა — ქალმა ბავშვი აქ სულ ახლახანს მოიყვანა და აქ მოუკვდა.

— ჩხირკედელაობაა მოეშვი, მაგას უკვე ველარ ჩამოაყალიბებ, — მითითებას აძლევდა კობიონკინი ჩებურნის. — რაკილა გული აღარ იგრძნობა, მაშასადამე, ადამიანი გამჭრალია.

ჩებურნი ფერშლურ საქმიანობას თავს მაინც არ ანებებდა, ბიჭუნას მკერდზე ეფერებოდა, ყურებს ქვემოთ ყელზე ხელებს უთათუნებდა, ბავშვის პირიდან ჰაერის ამოწოვას ცდილობდა და გარდაცვლილის გამოცოცხლებას მოელოდა.

— გული, აბა, რა შუაშია, — თავდავიწყებით ამბობდა ჩებურნი და, მედიცინის რწმენას მინდობილი, გულმოდგინედ საქმიანობდა. — გული, აბა, რა შუაშია, რას ბრძანებ, გეთაყვა? სული ხომ ყელშია, განა ეს ამას წინათ არ დაგიმტკიცე?!

— კარგი, ყელში იყოს, — ეთანხმებოდა კობიონკინი, — სული იდეაა და სიცოცხლეს კი არ იცავს, არამედ ხარჯავს: ხოლო შენ ჩვეენგურში ისე ცხოვრობ, სრულებით არ შრომობ და ამის გამო ამბობ, გული არაფერ შუაში არ არისო: გული მთელი ადამიანის მოჯამაგირეა, გული მშრომელი ადამიანი გახლავს, ხოლო თქვენ ყველანი ექსპლუატატორები ხართ და კომუნისში არ გაგაჩნიათ!...

დედამ ჩებურნის ცხელი წყალი მოუტანა, რათა მას მკურნალობისთვის მოეხმარებინა.

— ნუ იტანჯები. — უთხრა ჩეპურნიმ. — ამის მაგივრად ახლა მთელი ჩვენი გური გაიტანჯება. შენ მხოლოდ ცოტაოდენ წილს იღობდე. როდის ამოისუნთქავს? — თან უსმენდა ჩეპურნის და თან ვეუბნებოდა დედა.

ჩეპურნიმ ბავშვი ხელში აიყვანა, მისი სხეული მკერდში მსხვინებდა. შუა მოიჭცია და ტერფები ძირს დააყრდნობინა. რათა როგორც ცოცხალი ფეხზე ისე მდგარიყო.

— ყველაფერს რა უჭკუოდ აკეთებ? — გულისტკივილით უსაყვედურა დედამ ჩეპურნის.

წინკარში პროკოფი, ყევეი და იაკოვ ტიტჩი შემოვიდნენ. ისინი განზე დადგნენ და არავისთვის არაფერი უკითხავთ. რათა ხელი არ შეეშალათ.

— ჭკუა აქ არაფერ შუაშია. — განუმარტა დედას ჩეპურნიმ. — ყველაფერს მახსოვრობით ვაკეთებ. ბიჭს ერთი წუთი უჩემოდაც უნდა ეცოცხლა — აქ კომუნიზმი და მასთან ერთად მთელი ბუნება მოქმედებს. სხვა ალაგას შვილი ვუშინვე მოგიკვდებოდა. ჩვენი გურის გამოისობით არის. ერთი დღით მეტი რომ იცოცხლა — მე შენ გეუბნები.

„საესებით შესაძლებელია, რომ სწორედ ასე იყოს.“ — გაიფიქრა კობიონკინმა და გარეთ გაიხედა, რომ ენახა, ჰაერში, ჩვენი გურში, ანდა ჩვენი გურის ზემოთ, ზეცაში, თვალთ შესამჩნევი რაიმე თანამგრძობელობა ხომ არ არსებობდა, მაგრამ აქ ამინდი იცვლებოდა. ქარი შამბნარს აშრილებდა. ხოლო პროლეტარები გაცივებული მიწიდან წამოშლილიყვნენ და ლამის გასათევად სახლებისკენ მიდიოდნენ.

„იქ ყველაფერი ერთი და იგივეა, როგორც იმპერიალიზმის დროს. — გადაიფიქრა კობიონკინმა, — ამინდი ისევე მღელვარებს და კომუნიზმი არსადა ჩაის. — იქნებ ბიჭმა უეცრად ამოისუნთქოს — ესეც ხომ შეიძლება.“

— ბავშვს ნულარ გატანჯავთ. — უთხრა დედამ ჩეპურნის. როცა მან ბიჭს მორჩილ ბავშვებში ოთხი წვეთი ზეთი ჩაასხა. — დაე, დაისვენოს. აღარ მინდა, რომ მიუკაროთ, რადგან მეუბნებოდა. დაეიქანცეო.

ჩეპურნიმ ბიჭს თითებით ჩამოვარცხნა შეწებებული თმა. უკვე რომ უმუქდებოდა, რადგანაც გარდაცვლილის აღრიანი ბავშვობა დასრულდა. წინკარის სახურავზე დამამშვიდებელი წვიმის წვეთები სწრაფად აწკაპუნდა, მაგრამ უცაბედად ამოჭრილმა ქარმა ველს ჩამოუქროლა. წვიმა მიწას მოსწყეიტა და შორეული წყვდიადისკენ გაიყოლა. შემდეგ კი გარეთ კვლავ მყუდროებამ დაი-სადგურა; მარტო ეგ იყო. რომ იქაურობას სინესტისა და თიხის სუნის აედინა.

ახლა ბიჭი ამოისუნთქავს და თქვენ შემოგხედავთ. — თქვა ჩეპურნიმ. ხუთივე ჩვენი გური ბავშვის გაუცხოებული სხეულისკენ დაიხარა, რათა უმაღლესი შეეჩინათ ჩვენი გურში მისი სიცოცხლის განმეორება. რადგან ეს ძალზე ხანმოკლე იქნებოდა. ბიჭი ჩეპურნის მუხლებზე მდუმარედ იჯდა. ხოლო დედამისმა თბილი წინდები გახადა და მისი ფეხებიდან ანადენ ოფლის სუნს ენოსვა დაუწყო. გაიარა იმ წუთში, რომლის დროსაც ბავშვს შეეძლო ეცოცხლა, რათა დედამისს დაემახსოვრებინა და გული ამით ენუგეშებინა; მერე კი ბიჭი კვლავ მოკვდებოდა; მაგრამ ბიჭს სიკვდილისგან ორგზის გატანჯვა არ ეწადა. ჩეპურნის მკლავებზე აღრინდებულად მკვდარი ესვენა — პოდა. დედა ამას მიხვდა.

— არ მინდა, რომ ჩემმა შვილმა თუნდაც ერთ წუთს იცოცხლოს. — უარი თქვა დედამ. — მერე ისევ უნდა მოკვდეს და იტანჯოს, სჯობია. ასევე დარჩეს.

„აბა, ეს რანაირი კომუნიზმია? — ეჭვი საბოლოოდ განუმტკიცდა კობიონკინს; იგი ღამის ნოტიო სიბნელით მოცულ ეზოში გავიდა. — მისი მეშვეობით ბავშვმა ერთხელაც ვერ შეძლო ამოსუნთქვა, ადამიანი მის დროს მოველინა აქაურობას და მოკვდა. აქ კომუნიზმი კი არ არის, აქაურობას ჭირი შეჰყრია. ამხანაგო კობიონკინო, დროა, აქედან შორს გაემგზავრო...“

კობიონკინმა სიმბნევის მოზღვავება იგრძნო, რაც შორეულსკენ მიმავლის და მოიძეღის თანამგზავრია; იგი ღამის სევდამორეული უცქეროდა ჩევენგურს, რადგან იქაურობას მალე სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა; ყველა გზად შემოხვედრილ ადამიანს, აგრეთვე იმ სოფლებსა და ქალაქებს, რომელთაც ტოვებდა, კობიონკინი შეუნიღობდა ხოლმე: მის განუხორციელებელ იმედებს განშორება გამოისყიდოდა. ღამიანობით კობიონკინი მოთმინებას კარგავდა — წყვილი და ძილში ადამიანთა უმწეობა მისწრაფებას უღვიძებდა, უმთავრეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოში დაზვერვა ჩაეტარებინა, იმიტომ რომ ის სახელმწიფოც წყვილიადში იყო ჩანთქმული, ხოლო კაპიტალისტები შიშვლები იყვნენ, — ამ დროს შეიძლებოდა, მათთვის ბოლო მოგედო, ხოლო ალიონზე კომუნიზმი გამოგეცხადებინა.

კობიონკინი თავის ცხენთან მივიდა, შეათვალიერა და ხელითაც მოსინჯა რათა დანამდვილებით სცოდნოდა — შეეძლო თუ არა, რა წუთსაც დასჭირდებოდა, ცხენზე მაშინვე შემჯდარიყო და გზას გასდგომოდა; აღმოჩნდა, რომ შეეძლო: პროლეტარული ძალა ისეთივე მძლე ჩანდა და მზად იყო, შორეთსა და მომავლისკენ მიმავალ გზას გასდგომოდა წარსულ ქამს გადალახული გზების მიგავსად.

ჩევენგურის განაპირა ღობესთან მუსიკა ახმიანდა — ეტყობა, ვიღაც გარეშეს გარმონი ჰქონდა და, რადგან ძილი არ ეკარებოდა, უძილობისა და მართობის ნალველს იქარვებდა.

ასეთი მუსიკა კობიონკინს არასოდეს არ გაეგონა — ჰანგი სიტყვებს თითქმის გამოთქვამდა, სულ ცოტადა აკლდა, რომ გამოთქმა დაესრულებინა, და ამის გამო ეს სიტყვები განუხორციელებელ სევდად რჩებოდა.

— ჯობდა, მუსიკას დაესრულებინა იმის გამოთქმა, რაც სურს, — ღელავდა კობიონკინი. — ხმის მიხედვით იგი თავისკენ მიხმობს, ახლოს მიხვალ და ჰანგს მაინც არ დაასრულებს.

თუმცაღა, კობიონკინმა ღამეული მუსიკისკენ მაინც გასწია, რათა ჩევენგურელ ადამიანებს ბოლომდე დაჰკვირვებოდა და მათ წიაღში შეემჩნია, რა იყო კომუნიზმი, რასაც თვითონ ვერანაირად შეიგრძნობდა. შიშველ ველზეც კი, სადაც ორგანიზებულობა არ შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო, კობიონკინი თავს უკეთ გრძნობდა, ვიდრე ჩევენგურში; მაშინ ის და საშა დვანოვი ცხენებს გვერდიგვერდ მიაჭენებდნენ და როცა თვითონ დანალვლიანდებოდა, დვანოვისაც ნალველი ეუფლებოდა, მათი ნალველი ერთმანეთისკენ მიემართებოდა და შეხვედრისას შუა გზაზე ჩერდებოდა.

ჩევენგურში კი ნალველის გამზიარებელი ამხანაგი კობიონკინს არ ჰყავდა და იმიტომ მისი ნალველი ველისკენ მიემართებოდა, შემდეგ მრუმე ჰაერის სიცარიელისკენ მიიწევდა და იქ, სიმარტოვეში იღვოდა. „კაცი უკრავს, — უსმენდა კობიონკინი, — აქ კომუნიზმი არ არსებობს და მუსიკოსს სევდისაგან ძილი არ ეკარება, კომუნიზმში მუსიკას ბოლომდე ათქმევინებდა თავის სათქმელს, მუსიკა დასრულდებოდა და კაცი, ჩემთან მოვიდოდა, ახლა კი რცხვენია, სათქმელი რომ ვერ დაუსრულებია“.

ჩევენგურში შესვლაც ძნელი იყო და გამოსვლაც — სახლები ქუჩების გარეშე, არეულ-დარეულიდ, თანაც ახლო-ახლოს იდგა, თითქოს ადამიანები ერთმანეთს საცხოვრებელთა მეშვეობით ჩახუტებიანო, ხოლო სახლებს შორის წარმოქმნილ ხეობებს შამბნარი მოსდებოდა; შამბნარის გადათელვა კი ჩევენგურელებს არ შეეძლოთ, იმიტომ რომ ფეხშიშველანი მსხვერპლი შამბნარიდან თავი ოთხმა კაცმა ამოყო; მათ კოპიონკინს უხარუხარად უყურებდნენ.

— ცოტა ხანს მოიცადე.

ერთი მათგანი ჩებურნი იყო; მას თან ახლდნენ ისინი, ვინც მომაკვდავი ბავშვის ირგვლივ იდგნენ.

— მოიცადე, — სთხოვა კოპიონკინს ჩებურნიმ. — შესაძლოა, ბიჭი უჩვენოდ უფრო მალე გაცოცხლდეს.

კოპიონკინი შამბნარში გადავიდა და მათთან ერთად ჩამოჯდა; მუსიკა შეწყდა და ახლა კარგად ისმოდა, იაკოვ ტიტიჩს მუცელში ქარები და ნაკადები როგორ უბუყბუყებდა, რის გამოც იგი მხოლოდ ოხრავდა და ტკივილს ითმენდა.

— ბიჭი რატომ მოკვდა? ის ხომ რევოლუციის შემდეგ დაიბადა, — იკითხა კოპიონკინმა.

— პროშა, მართლაც რატომ მოკვდა? — კითხვა გაიმეორა გაცოცხლებმა ჩებურნიმ.

პროკოფიმ ეს იცოდა.

— ამხანაგებო, ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ სოციალური პირობების შედეგად იბადება, ცხოვრობს და კვდება.

კოპიონკინი ახლა კი ფეხზე წამოდგა; მისთვის ყოველივე ცხადი შეიქნა. ჩებურნიც წამოდგა — მან ჯერ არ იცოდა, უბედურება რაში მდგომარეობდა, მაგრამ სევდამ და სირცხვილმა გული წინასწარვე დაუმდულრა.

— მაშასადამე, ბავშვი შენი კომუნიზმის გამო მოკვდა? — მკაცრად ჰკითხა პროკოფის კოპიონკინმა. — კომუნიზმი შენთვის ხომ სოციალური პირობაა! ამის გამო არც არსებობს. ახლა ყველაფერზე პასუხს გაგებინებ, კაპიტალისტური სულის პატრონო! რევოლუციას მთელი ქალაქი რომ წაჰგლიჯე... პაშინცევო! — გასძახა კოპიონკინმა ჩევენგურისკენ.

— ჰაუ! — უპასუხა სადღაც მიყრუებულ ალაგას მყოფმა პაშინცევმა.

— სადა ხარ?

— აქ გახლავარ.

— გაემზადე და აქეთ წამოდი!

— გამზადება რად მინდა, საქმეს ისედაც მოვუვლი.

ჩებურნი ერთ ალაგას იდგა, არ ეშინოდა, მაგრამ სინდისი ქენჯნიდა იმის გამო, ჩევენგურში მყოფი ყველაზე პატარა ბავშვი კომუნიზმისგან რომ დაიღუპა, თავის გამართლება კი ვერ ჩამოეყალიბებინა.

— პროშა, ეს მართლა ასეა? — ხმადაბლა ჰკითხა მან პროკოფის.

— მართლა ასე გახლავს, ამხანაგო ჩებურნი, — უპასუხა პროკოფიმ.

— მაშ ახლა რა უნდა ვქნათ? მაშასადამე, ჩვენ კაპიტალიზმი გვაქვს? ანდა, ბავშვმა ის ერთი წუთი იქნებ უკვე იცოცხლა? მაშ სად გაქრა კომუნიზმი, მე ხომ თვითონ ვნახე, ჩვენ ხომ მისთვის ადგილი დაუცარიელეთ...

— თქვენ სულ ღამით უნდა იართო და ბურჟუაზიამდე მიიღწიოთ, — ურჩია ჩებურნის კოპიონკინმა. — სიბნელეში მძინარეებს უნდა შეუტოოთ და დაიმორჩილოთ.

— ამხანაგო კობონკინო, იქ ელექტრული დენი ანთია, — გულგრილად უთხრა ყველაფრის მცოდნე პროკოფიმ. — ბურჟუაზიას ცვლები აქვს დაწესებული დღისით და ღამით და ასე ცხოვრობს, მუდამ მოუცლელად.

ჩეპურნი მათხოვარ ქალთან წავიდა, რათა შეეტყო, ვარდაცვლილი ბიჭი სოციალური პირობებისგან ხომ არ გაცოცხლდა. დედას ბიჭო ოთახში მიეყვანა, საწოლზე დაეწვინა, თვითონაც გვერდით მოსწოლოდა და დაეძინა, ჩეპურნი საწოლში მწოლიარეებს თავს დაადგა; იდგა ასე და ჭოჭმანობდა — ვერ გადაეწყვიტა, ქალი გაელვიდებინა თუ არა: პროკოფიმ ჩეპურნის ერთხელ უთხრა, როცა იდამიანს გულზე დარდი შემოაწვება, ან უნდა დაიძინოს, ან რაიმე გემრიელი შეჭამოს. ჩევენგურში გემრიელი საჭმელი არსად იყო და ქალმა სანუგეშოდ ძილი ამოიჩინა.

— გძინავს? — ხმადაბლა ჰკითხა ქალს ჩეპურნი. — თუ გინდა, რაიმე გემრიელს გამოგიძებნით. აქ, სარდაფებში, ბურჟუაზიას საჭმელი აქვს დარჩენილი.

ქალს მღუმარედ ეძინა; ბიჭი დედას ზედ გადმოსწოლოდა, პირი ღია ჰქონდა, თითქოს ცხვირი გასჭედია და პირით სუნთქავსო; ჩეპურნიმ შეამჩნია, რომ ბავშვის კბილები აკლდა, — სარქვევ კბილები დასცვეთოდა, ხოლო მუდმივი კბილები ჯერ არ ამოსვლოდა.

— გძინავს? — ქალისკენ დაიხარა ჩეპურნი. — სულ ასე რას გძინავს?

— არა მძინავს, — თვალები გაახილა მათხოვარმა ქალმა. — დავწექი და ჩამთვლიმა.

— დარდისაგან თუ ისე?

— ისე, — უხალისოდ თქვა ნაშინარევმა ქალმა; მარჯვენა ხელი ბავშვისთვის ქვემოდან ამოედო და მისკენ არ იყურებოდა, რადგან, როგორც ნაჩვევი იყო, ისევ თბილსა და მძინარეს შეიგრძნობდა. მერე მათხოვარმა ქალმა წამოიწია და გაშიშვლებული ფეხები დაიფარა; ფეხებში სიმსუქნის მარაგი კიდევ შერჩენოდა, რაც იმისთვის გამოადგებოდა, შვილებს კვლავაც თუ იყოლიებდა. «ესაც ხომ რიგსახი ქალია, — შეამჩნია ჩეპურნიმ, — ვიღაცა ალბათ ამასაც ეტრფადა».

ბავშვი დედის ხელს მოსცილებოდა და ახლა გულადმა იწვა სამოქალაქო ომში ბრძოლის ველზე დაცემულივით: სახე მწუხარე ჰქონდა, რის გამოც ასრულსა და შეგნებულს ემგვანებოდა; მხოლოდ და მხოლოდ გაწყალებული პერანგი ემოსა — კუთვნილება მისი კლასისა, ვინც დედამიწაზე მუქთად ცხოვრების საძიებლად დაეხეტება. დედამ იცოდა, რომ მისმა შვილმა სიკვდილის განცდა უკვე გადაიტანა, ეს განცდა სიკვდილისა დედის დარდზე და განშორების სევდაზე უფრო მტანჯველი იყო. — მაგრამ ბიჭი არავის არ შესჩიოდა, მარტო იწვა მომთმენი და თვინიერი, შეგუებული იმას, რომ ცივ საძარეში უნდა წოლილიყო და მრავალი გრძელი ზამთარი გათოშილს გაეტარებინა. უცხო კაცი კი მათ საწოლთან იდგა და რაღაცას მოელოდა.

— მაშ სრულებით არ ამოუსუნთქავს? შეუძლებელია — აქ ძველი დროება ხომ არ გგონია!

— არ ამოუსუნთქავს, — უპასუხა დედამ. — მე იგი სიზმრად ვიხილე. ცოცხალი იყო და ხელჩაკიდებულნი ტრიალ მინდორზე მივდიოდით, თბილოდა, მაძღრები ვიყავით; მინდოდა, რომ ხელში ამეყვანა, მაგრამ მითხრა: — არა, დედა, ფეხით უფრო სწრაფად წამოვალ, მოდი, ორივემ რამე მოვიფიქ-

რომ, თორემ მათხოვრები ვართო. წასასვლელი კი არაა გვექონდა, ამიტომ თრმომში ჩავჯექით და ორივენი ავტარდით...

— აბა, რა გატირებდათ, — დაამშვიდა ჩეპურნიმ. — ჩვენ შეგვეძლო, რომ შენი შვილისთვის ჩვეენგური სამემკვიდრეოდ გვეჩუქებინა, ან კი ეს არ ინდომა და მოკვდა.

— ჩვენ მინდორში ვისხედით და ვტიროდით: სიცოცხლისუნარი თუ არა ვართ, მაშ რისთვისა ვცოცხლობთო... ჩემმა ბიჭუნამ მიხატა ჩვენია, რომ მოკვდეს, შენთან ერთად გრძელ გზებზე სიარული მომბეზრდა, სულ ყველაფერი ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივეაო. მე კი ვუთხარი: — კარგი, მოკვდი, იქნებ შენთან ერთად სული მეც ამომძვრეს-მეთქი. ის გვერდით მომიწვა, თვალები დახუჭა, მაგრამ სუნთქავდა, ცოცხალი იწვა და სიკვდილი ვერ მოეხერხებინა. მითხრა: — დედა, ვერ შევძელიო მე ვუთხარი: — კარგი, რახან არ შეგიძლია, გზას კვლავ ნელ-ნელა გავუდგეთ. იქნებ სადმე გაჩერება ჩვენც შევძერსო-მეთქი.

— შენი შვილი ახლა იყო ცოცხალი შენს გვერდით? ამ საწოლზე?

— ჰო, აქ იყო. კალთაში მეწვა და სუნთქავდა, სიკვდილს ვერ ახერხებდა. ჩეპურნის გულზე მოეშვა.

— მაშ ჩვეენგურში რანაირად მოკვდებოდა, რას ბრძანებ, გეთაყვა? აქ ხომ მისთვის პირობები ბრძოლით გვაქვს მოპოვებული... განა არ ვიცოდი, ცოტა ხანს მაინც რომ ისუნთქებდა, ოღონდ შენ არ უნდა ჩაგძინებოდა, დედამ ჩეპურნის ეული მზერა მიაპყრო.

— კაცო, შენ რაღაც სხვა გინდა: ჩემმა პატარამ რაც სული დალია, მას მერე მკვდარია.

— მე არაფერიც არ მინდა, — სწრაფად უპასუხა ჩეპურნიმ. — ჩემთვის ესაც ძვირფასია, ძილში მაინც ცოცხალი რომ გესიზმრა. — მაშასადამე, შენს სიზმარში მაინც ჩვეენგურში ცოტა ხანს კიდევ იცოცხლა...

მწუხარებითა და თავისი სიფიქრალით გულჩანისლული ქალი ერთხანს დუმდა.

— არა, უთხრა მერე ჩეპურნის, — შენთვის ჩემი შვილი კი არ არის ძვირფასი, შენი ფიქრები გესაქიროება! მომცილდი და გარეთ გადი, მე მარტო ყოფნასა ვარ მიჩვეული; დილამდე ჩემს შვილთან ერთად კიდევ დიდხანს უნდა ვიწვევ, იმასთან ყოფნის დროს ნუ მახარჯვინებ!

ჩეპურნი მათხოვრის სამყოფლიდან გავიდა; კმაყოფილი იყო იმით, რომ ბიჭმა თუნდაც სიზმარში, თუნდაც დედის გონებაში თავისი სულის ნაშთით მაინც იარსება, და ჩვეენგურში ერთბაშად და სამუდამოდ არ მოკვდა.

მაშასადამე, ჩვეენგურში კომუნიზმი არსებობდა და ადამიანთაგან განცალკევებით მოქმედებდა. თუ ასეა, მაშ სად იმყოფებოდა? მათხოვარი ქალის სამყოფლიდან გასულმა ჩეპურნიმ ვერ შეძლო, ღამის სიბნელით მოცულ ჩვეენგურში კომუნიზმი ცხადად შეეგრძნო, ან დაენახა. თუმცა კომუნიზმი უკვე ოფიციალურად არსებობდა. „ადამიანები არაოფიციალურად ნეტავ რანაირად არსებობენ? — უკვირდა ჩეპურნის. — მიცვალებულებთან ერთად სიბნელეში წვანან და თავს კარგად გრძნობენ! სულ ამოდ ირჯებიან.“

— ჰა, რა ნახე? რა იყო? — ჰკითხეს ჩეპურნის გარეთ დარჩენილმა ამხანაგებმა.

— ძილში სუნთქავდა, სამაგიეროდ, სიკვდილი თვითონ ეწადა, მაგრამ მინდორში როცა იყო, სიკვდილს ვერ ახერხებდა, — უპასუხა ჩეპურნიმ.

— მაშ ამის გამო მომკვდარა, ჩვენგურში როგორც კი მოვიდა, — მიხვდა ქვევი, — ჩვენთან თავისუფლება იგრძნო: უნდოდა — იცოცხლებოდა, უნდოდა მოკვდებოდა.

— სავსებით ცხადია, — ჩამთავალიბა პროკოფიმ, — რომ არ მომკვდარიყო, თანაც სიკვდილის სურვილი ჰქონოდა, განა ეს წყურთუფებისთვის უნდა იქნებოდა?

— ჰა, რას იტყვით, გეთაყვა? — ყოველგვარი ეჭვი გაიფანტა ჩებურნიმ; პროკოფის თან კვერს უკრავდა და თან ეკითხებოდა, რადგან თავდაპირველად ვერ მიხვდა, მის ნათქვამში რა იგულისხმებოდა, მაგრამ რაკილა ნახა, რომ მოსული ბავშვის ბედ-იღბალმა საერთო კმაყოფილება გამოიწვია, თვითონაც სიხარული იგრძნო, ამ ამბავში რაიმე სასიხარულოს მართო კობიონკინი ვერ ხედავდა.

— მაშ ის ქალი რატომ არ გამოვიდა და ბავშვთან რად მიიმალა? — ყველა ჩვენგურული გაკიცხა კობიონკინმა, — ესე იგი, იქ თავს უკეთ გრძნობს, ვიდრე თქვენს კომუნიზმში.

იაკოვ ტიტჩი მდუმარედ ყოფნას იყო მიჩვეული და თავის მცდელობათა მდინარებას გრძნობათა სიმყუდროვეში მიმოაქცევდა, მაგრამ როცა განაწყენდებოდა, შეეძლო, ხმამაღლა ეთქვა ის, რასაც სწორად მიიჩნევდა, და მართლაც თქვა: — ის ქალი თავის შვილთან იმიტომ დარჩა, რომ იმათ სისხლი და თქვენი კომუნიზმი საერთო აქვთ, თუ მიცვალებულს მოშორდება, მაშინ საფუძველაც გამოგეცლებათ.

კობიონკინი გარეშე ბერიკაცის მიმართ უკვე პატივისცემას გრძნობდა და მისი სწორად ნათქვამი კიდევ უფრო განამტკიცა.

— თქვენთან, ჩვენგურში, მთელი კომუნიზმი ამჟამად ბნელ ადგილას — ქალისა და მისი ბიჭის სიახლოვეს იმყოფება, ჩემს არსებაში კომუნიზმი წინ რის გამო მიემართება? იმის გამო, რომ მე როზასთან უმთავრესი რამ მაკავშირებს, თუმცა იგი ასპროცენტიათი მკვდარია!

პროკოფის სიკვდილის ამბავი ფორმალობად მიაჩნდა და ქვევს უყვებოდა, რამდენ ქალს დაკავშირებოდა, უმაღლესი, დაბალი, თუ საშუალო განათლების მქონეებს — ცალ-ცალკე თითოეული ჯგუფისას, ქვევი შურით უსმენდა, იგი მხოლოდ წერა-კითხვის უცოდინრებს, უკულტუროებს და მორჩილ ქალებს იცნობდა.

— ისეთი მომხიბლავი ქალი იყო! — რაღაცის მოყვალას ამთავრებდა პროკოფი, — პიროვნების განსაკუთრებული ხელოვნება გააჩნდა — იგი, გესმის, დედავაცი კი არა, ქალი იყო, რაღაც ისეთი, გესმის... ისეთნაირი..

— ალბათ კომუნიზმისნაირი, — გაუბედვად უპასუხა ქვევი.

— დაახლოებით, ჩემთვის ეს საზარალო იყო, მაგრამ სურვილს ვერ ვიკლებდი, იგი პურსა და ქსოვილებს ითხოვდა — ის წელიწადი მთლად სილატაისა იყო, — ხოლო მე ცოტა რამ შინ მიმქონდა — სოფელში დედა, მამა და ძმები მყავდნენ, — ვიფიქრე, ერთი შენი — დედამ მშობა, შენ კი მომსპობმეთქი, პოდა, შინ წყნარად მივედი — იმ ქალზე ვნაღვლობდი, სამაგიეროდ, შინ სარჩო მივიტანე და ოჯახი გამოვკვებე.

— იმ ქალს რა განათლება ჰქონდა? — ჰკითხა პროკოფის ქვევი.

— ყველაზე უმაღლესი, ერთხელ საბუთები მაჩვენა — შვიდ წელიწადს მართო პედაგოგიას სწავლობდა, მოსამსახურეთა შეილებს სკოლებში ასწავლიდა.

კოპიონკინმა ველზე მოხრიგინე საზიდრის ხმას ყური მოჰკრა და გაიფიტრა, იქნებ საშა დვანოვი მოდისო.

— ჩებურნი, — მიმართა მან ჩებურნის, — როცა საშა ჩამოვა, პროშეა აქედან უნდა გააძეო, ეს ნამდვილი ქვემძროშია.

ჩებურნი ახლაც დაეთანხმა

— მე კარგს უკეთესზე ყოველთვის გაგიცვლი: შეგჩნდეს გეგნაყვა, გზას გაუყენო. საზიდარმა ჩევენგურის შორიახლოს ჩაიხრიგინა, ქალაქისკენ არ შემოუხვევია, მაშასადამე, ადამიანები კომუნის გარდა სადღაც კიდევ ცხოვრობდნენ, ის კი არა, საითკენღაც მიემგზავრებოდნენ.

ერთი საათის შემდეგ ყველაზე დაუცხრომელი, ყველაზე ფხიზელი ჩევენგურელებიც ახალ, ცინცხალ დილამდე მოსვენებას მიეცნენ. პირველად კირეიმ გაიღვიძა, გუშინ, შუადღისას რომ დაიძინა და გაბმით ეძინა, მან ახლა დაინახა, რომ ქალს ბევში მკლავებზე გადაეწვინა და ქალაქიდან გადიოდა. კირეი ჩევენგურიდან თავადაც წავიღოდა, იმიტომ რომ მობეზრდა იმის გარეშე ცხოვრება და მარტო იმის ამარა ყოფნა, რაც ბრძოლით მოიპოვეს; რაკილა იმი ადარ იყო, კაცს ნათესავთა შორის უნდა ეცხოვრა, ხოლო კირეის ნათესავები შორს იყვნენ — შორეულ აღმოსავლეთში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, თითქმის დედამიწის კიდეზე, საიდანაც იწყებოდა ცა, რომელიც კაპიტალიზმსაც და კომუნისმსაც ერთგვარი გულგრილობით გადაჰფარებოდა. კირეიმ ვლადივოსტოკიდან პეტროგრადამდე მთელი გზა ფეხით გაიარა. მიწას საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი იდეებისთვის წმენდდა და ჩევენგურამდე ასე მოალწია. აქ კი იმდენ ხანს იძინა, სანამ არ დაისვენა და არ მოიწყინა. ღამის მობით კირეი ცას ასცქეროდა და წყნარ ოკეანეს ადარებდა, ხოლო ვარსკვლავები იმ გემთა სინათლეებს ახსენებდა, მიწის მშობლიური სანაპიროების მიღმა შორეული დასავლეთისკენ რომ მიცურავდნენ. იაკოვ ტიტჩიც დაცხრა; მან ჩევენგურში ლაფნიას ქალამნები იპოვნა, თეჟა ამოაკრა და მქისე ხმით ნაღვლიან სიმღერებს მღეროდა. მხოლოდ თავისთვის რომ ჰქონდა განკუთვნილი. ეს სიმღერები მის გულს შორეთისკენ სვლის მაგივრობას უწევდა. მაგრამ ქალამნებიც უკვე გამზადებული ჰქონდა წასასვლელად — ცხოვრებისთვის მარტო სიმღერები არ იკმარებდა.

კირეი ბერიკაცის სიმღერებს უსმენდა და ეკითხებოდა: — იაკოვ ტიტჩი, რაღაზე დარდობ, რაც იცოცხლე, განა არ გეყოფაო?

იაკოვ ტიტჩი თავის სიბერეს უარყოფდა — მიაჩნდა, რომ ორმოცდაათი წლისა კი არა, ოცდახუთისა იყო, რადგან სიცოცხლის ნახევარი ძილსა და ავადმყოფობაში გაატარა — ეს ანგარიშიში კი არა, ზარალში ჩასათვლელი არისო.

— ბერიკაცო, სად წახვალ? — ეკითხებოდა კირეი. — აქ მოწყენილობა გაწუხებს, იქ კიდევ გაგიჟირდება, ორივე მხრიდან მომწყვდებული ხარ.

— შუაში გავივლი და გზას ისე დავადგები — ლამისაა, სული გამძვრეს; მიდიხარ კაცი და ყველასათვის უცხო ხარ, საკუთარ თავსაც არ სჭირდება; სიცოცხლე საიდანაც მომეცა, იქვე დაბრუნდება და გაქრება.

— ჩევენგურში ყოფნაც ხომ სასიამოვნოა!

— ქალაქი ცარიელია, აქ გამვლელი კაცი თუ მოისვენებს: ოღონდ სახლები საჭიროების გარეშე დგას, მზე დაქინებით არ აცხუნებს და ადამიანი შეუბრალებლად ცხოვრობს: ვინ მოდის, ვინ მიდის, ანგარიშს არავინ უწევს, იმიტომ რომ ჰქონება და საჭმელი იაფია.

კირეი ბერიკაცს არ უსმენდა, რადგან ამჩნევდა, რომ იგი ცრუობდა:

— ჩებურნი ხალხს პატივსა სცემს, ხოლო ამხანაგები ნამდვილად უყვარს.

— იმას საჭიროების გამო კი არა, ვრძნობათა სიჭარბიხგან უყვარს: მისი საქმიანობა გაქრება... ხვალ აქაურობას უნდა მოვცილდე.

კირეიმ კი არ იცოდა, სად ჯობდა, რომ ყოფილიყო: უკვე ჩებურნი — მოსვენებით და თავისუფლად, თლონდ უქმად, თუ სხვა შინაგანად უფრო გაუსაძლის ქალაქში.

ჩევენგურში, ისევე როგორც კომუნიზმის დადგომის პირველი ხანიდან, ამის შემდგომაც მზიანი დღეები იდგა, ხოლო ღამიანობით ახალი მთვარე მოჩანდა. მისი გამოჩენა არავის შეუმჩნევია, ყურადღება არავის მიუქცევია, მხოლოდ ჩებურნიმ გაიხარა, თითქოს კომუნიზმისთვის მთვარეც აუცილებელი ყოფილიყო. ჩებურნი დილით მდინარეში ბანაობდა, ხოლო დღისით შუა ქუჩაში ელაცის დაგდებულ ხეზე იყო ჩამომჯდარი, და ხალხსა და ქალაქს ისე უცქეროდა, როგორც მომავლის გაფურჩქენას, როგორც საყოველთაო გულისთქმის განხორციელებას და იმის საწინდარს, რომ თავს გაითავისუფლებდა გონებრივი ძალაუფლებისგან, — სამწუხარო მართო ის იყო, რომ ჩებურნის ყოველივე ამია გამოთქმა არ შეეძლო.

ჩევენგურის ირგვლივ და მის შიგნით პროლეტარები და გარეშენი დახეტიალობდნენ, ველ-მინდვრებსა და ბურჟუათა ნაქონ კარ-მიდამოებში მზა საზრდოს დაეძებდნენ და კიდევაც პოულობდნენ, რაკილა აქამდე ცოცხლებმა მოაწიეს. ზოგჯერ რომელიმე გარეშე ჩებურნისთან მივიდოდა და შეეკითხებოდა:

— რა უნდა ვაკეთოთ?

ჩებურნი პასუხად მხოლოდ გაიჭვირვებდა ზოლმე:

— მე რას შეკითხები? — შენი აზრი შენგანვე დამოუკიდებლად უნდა მომდინარეობდეს. ჩვენ სამეფო კი არა, კომუნიზმი გვაქვს.

გარეშე იდგა და ფიქრობდა, მაინც რა უნდა ეკეთებინა.

— ჩემგან არაფერი მომდინარეობს, — იტყოდა იგი, — გაფუყვას უკვე შევეცადე.

— შენც იარსებე და აზრი მოიგროვე, — ურჩევდა ჩებურნი, — მაშინ იქნებ შენგან რაიმე გამომდინარდეს.

— შიგნით რაცა მაქვს, არსად წამივია, — მორჩილად აღუთქვამდა ჩებურნის გარეშე. — მე ისა გკითხე, გარეთ რატომ არაფერი არ არის: რამე საზრუნავი გაგვიჩინე!

ახლა სხვა გარეშე მოვიდოდა და საბჭოთა ვარსკვლავის რაობას გამოპკითხავდა. ადამიანს უმთავრეს ნიშნად ახლა ვარსკვლავი რატომა აქვს და არა ჯვარი, ანდა რგოლით? ამისთანა კაცს ჩებურნი პასუხისთვის პროკოფისთან აგზავნიდა. ის კი განუმარტავდა, წითელი ვარსკვლავი საერთო ხელმძღვანელობით გაერთიანებულ და ცხოვრების სისხლით შეღებილ დედამიწის ხუთ კონტინენტს აღნიშნავსო. გარეშე ამას მოისმენდა და მერე ისევ ჩებურნისთან ბრუნდებოდა, რათა განმარტება შეემოწმებინა. ჩებურნი ვარსკვლავს ხელში დაიჭერდა თუ არა, უმაღლესად დაინახავდა, რომ იგი ხუთი კონტინენტი კი არა, ადამიანი იყო, რომელსაც ხელ-ფეხი გაეშალა, რათა სხვა ადამიანს მოხვეოდდა. გარეშემ არ იცოდა, რა საჭირო იყო, სხვა ადამიანს რომ მოხვეოდა. მაშინ ჩებურნი ნათლად ეტყოდა, ეს ადამიანის ბრალი არ არის, უბრალოდ, სხეული სხვის მოსახვევად აქვს გამართული, ხელ-ფეხს ისე ვერსაით წაიღებს, თუ ვინ-

მეს არ მოეხეიათ. — ჯვარიც ხომ ადამიანია. — გაახსენდებოდა გარეშეს. მაგრამ ცალფეხა რატომ არის. ადამიანს ხომ ორი ფეხი აქვსო. ჩებურნი ამის მიზეზსაც მიხედებოდა: — ადრე ადამიანებს უნდოდათ, ერთმანეთს მარტო ხელებით ჩასკიდებოდნენ. მაგრამ ერთიმეორე ასე რაქილა, ვერ შეეკავეს, ამიტომ ფეხებიც გაშალეს და მოსახვევად გააშხალესო. გარეშე — ჩებურნი პასუხით დაკმაყოფილდებოდა: ნაღდად ასეაო, — იტყოდა, და თავისი გზით წავიდოდა.

სალამოთი წვიმა დაიწყო, იმიტომ რომ ახალ მთვარეს პირის ბანის ქამი დაუდგა. ცა მოიღრუბლა და ადრე ჩამობინდდა. ჩებურნი სახლში შევიდა და სიბნელეში დაწვა, რათა დაესვენა და გულისყური მოეკრიბა. მოგვიანებით ჩებურნისთან ვიღაც გარეშე მივიდა და საერთო სურვილი განუცხადა — ეკლესიის ზარებით სიმღერების ჩამორეკვა გვწადია, ის კაცი, ვისაც მოვლ ქალაქში ერთი გარმონი ჰქონდა, სადღაც წავიდა და გარმონიც თან წაიღო, ხოლო აქ დარჩენილნი უკვე მიჩვეულები არიან მუსიკას და მოცდა აღარ შეუძლიათო. ჩებურნიმ უპასუხა, ეს ჩემი კი არა, მუსიკოსების საქმეაო, მალე ჩვენგურში ეკლესიის ზარების რეკვა გაისმა: წვიმის შხაპუნის ზარების ხმას ანელებდა და ადამიანის ხმას ამგვანებდა; გეგონებოდათ, ვიღაც სულის მოუთმებლად მღერისო. ზარების წკრიალსა და წვიმის შხაპუნში ჩებურნისთან კიდევ ერთი კაცი მივიდა, ვისი სახის ცნობაც მდუმარედ ჩამოწოლილ სიბნელეში უკვე აღარ შეიძლებოდა.

— რა გინდა? — ჰკითხა შემოსულს მთვლემარე ჩებურნიმ.

— აქ კომუნიზმი ვინ მოიგონა? — იკითხა მოსულმა კაცმა ბებრული ხმით. — გვინდა, რომ კომუნიზმი თვალსაჩინოდ გვაჩვენო.

— წადი და პროკოფი დვანოვს დაუძახე. ან ვინმე გარეშე კაცი ნახე, — კომუნიზმს ყველანი გაჩვენებენ.

ხნიერი ბერიკაცი გარეთ გავიდა, ხოლო ჩებურნიმ დაიძინა. — ახლა ჩვენგურში ტკბილ ძილს ეძლეოდა.

— მითხრა, რომ წავიდეთ და შენი პროშკა მოვძებნოთ; იმან ყველაფერი იცისო. — უთხრა ხნიერმა კაცმა თავის ამხანაგს, ვინც გარეთ უცდიდა და არაფრად აგლებდა. წვიმაში რომ სველდებოდა.

— წავიდეთ და მოვძებნოთ, მე იგი ოცი წელია, აღარ მინახავს, ახლა დიდი იქნება.

ხნიერმა კაცმა ათიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, მერე გადაიფიქრა:

— საშა, მოდი, პროშკა ხვალ მოვძებნოთ; ახლა კი გვირჩევნია, საჭმელი და ლამის გასათევი მოვნახოთ.

— კარგი, ამხანაგო გოპნერო. — უთხრა მას საშამ

მათ საჭმლისა და ლამის გასათევის ძიება დაიწყეს. მაგრამ ვერაფერი იპოვეს: თურმე ძებნა საჭირო არც იყო. ალექსანდრ დვანოვი და გოპნერი კომუნიზმსა და ჩვენგურში იმყოფებოდნენ. სადაც ყველა კარი ღია დახედებოდათ, იმიტომ რომ სახლები ცარიელი იყო და ყოველი დამხედური ახლად მოსულს სიხარულით ეგებებოდა. რადგან ჩვენგურელებს ქონების ნაცვლად მარტოდენ მეგობრების შეძენა შეეძლოთ.



ფრანგულიდან

თარგმნა რენე კალანდიაშვილი

საოჯახო

დედა ქსოვს ქურთუკს
ვაყი ომობს
და დედა თვლის რომ ეს სავსებით ბუნებრივია
მამა კი ნეტავ რას აკეთებს ამუშაოდ იგი?
ის საქმით არის დაკავებული
მისი ცოლი კვლავ ქსოვს ქურთუკს
მისი ვაყი ომში იბრძვის
ის საქმითაა დაკავებული
იგი თვლის რომ ეს სავსებით ბუნებრივია ასე თვლის მამა
ხოლო ვაყი მისი ვაყი
რას პოულობს ნეტავ იგი?
ვაყი ვერაფერს ვერ პოულობს აბსოლუტურად ვერაფერს ვერ პოულობს
მისი ვაყი
ვაყიშვილის დედა ქსოვს ქურთუკს მამა ომობს იგი ხომ იბრძვის საწყურთროში
ნეტავ როდის დაამთავრებს ომობანას მისი ბიჭი
და მამამისთან ერთად როდის მოჰკიდებს საქმეს ხელს
მაგრამ იქ ომი გრძელდება დედა განაგრძობს ქსოვას
მამა განაგრძობს ჩალიჩს
ვაყიშვილი კი მოკლულია და ის აწი ვეღარ განაგრძობს ომს
მამა და დედა სვენებ-სვენებით მიდიან სასაფლაოზე
მამას და დედას მიაჩნიათ რომ ეს სავსებით ბუნებრივია
ცხოვრება გრძელდება სიცოცხლე ქსოვა ომი საქმეები
საქმე და ომი ქსოვა და ომი
საქმეები საქმეები და საქმეები
სიცოცხლე სასაფლაოსთან ერთად.

1946

ცვალებადი პეიზაჟი

ორი საგნიდან ერთი მოვარეა
ხოლო მეორე მზე

ლატაკი მშრომელები არც კი ზედავენ ამ ორ საგანს
მათი მზე არის მტვრის წყურვილი და გუდრონის მძიმე ოფლი
და თუ ისინი მუშაობენ პირდაპირ მზის შუაგულზე

— მაშინ ხომ მათი საქმიანობა თვით მათგან მაღავეს მზეს ნუღი
მათი მზე არის მზის დაკვრა
მთვარის შუქი კი მუშებისთვის რომლებიც ღამით მუშაობენ
ნიშნავს ბრონქიტს აფთიაქს და ათას უსიამოვნებას მოწყენილობას
და როდესაც მუშა იძინებს მას აკვანს ურწყევს უძილობა
და როდესაც მუშა იღვიძებს მას აღვიძებს გამოღვიძების ნება
იგი ზედავენ ყოველდღიურად საწოლის წინ აყუდებულ
ბინძურ სიფათს სამუშაოსი
რომელიც ავად იცინის და მასხრად იგდებს მუშას
მაშინ ის დგება
მაშინ პირს იბანს

და შემდეგ კი გარეთ გადის ნახევრად მძინარე
და მიდის ქუჩაში ნახევარმღვიძარი ნახევარმძინარი მუშა
და იგი ჯდება ავტობუსში
სამსახური მუშაკი

ავტობუსი შოფერი მებილეთე
და ყველა მუშა არის ნახევრად მღვიძარე ნახევრად მძინარე
ისინი გადაკვეთენ გაყინულ პეიზაჟს

განთიადსა და ღამეს შორის გაშეშებულ მუნჯ პეიზაჟს
ფანჯრებისა და აგურების ყრუ პეიზაჟსადრეფნებით და გამკოლი ქარით
პეიზაჟი დაბნელება

პეიზაჟი საპყრობილე
პეიზაჟი უპაერო უსინათლო უსიცილო და წელიწადის დროთა გარეშე
პეიზაჟი გაყინული მუშათა ქალაქებისა

რომელიც შუა ზაფხულშიც კი არის ისეთივე ვით შუა ზამთარში
პეიზაჟი ჩამქრალი
პეიზაჟი არაფრით

პეიზაჟი ექსპლუატირებული მშვიერი გადაყლაპული გაქონილი
პეიზაჟი ნახშირიანი
პეიზაჟი ბრელოს მტვრით

პეიზაჟი გამყარებული საპოხი ზეთისა
პეიზაჟი წინდიანი
პეიზაჟი დაყვერილი წებოიანი წაშლილი გადაგდებული და ისევ უარყოფილი

და მიგდებული ჩრდილში
კაპიტალის მძლე ჩრდილში
მოგების ჩრდილში

ამ პეიზაჟზე ოდნავ ანათებს მნათობი
ერთადერთი
რიოში მზე

ბუნდოვანი მზე
დაასში ჩასვენებული მზე
მზე ძალი კაპიტალისა

ყველი სპილენძის მზე

მოხუცი მზე ბუკის დამკვრელი
 მოხუცი მზე სანაწილესი
 მოხუცი მზე ქუჭრუტანისა
 საზიზლარი მზე მის ხელმწიფისა
 მზე აუსტერლიცისა
 მზე ვერდენისა
 მზე ფეტიში
 მზე სამფერა და უფერო
 მნათობი დამარცხებათა
 მნათობი სისაძაგლისა
 მნათობი ხელჩართული ბრძოლის უსასრულო სასაკლაოსი
 მნათობი სულმდაბლობისა
 მზე უსიცოცხლო.



და პეიზაჟი უკვე თითქმის აშენებული და დანგრეული
 უკვე თითქმის გაღვიძებული და თანაც თითქმის დაძინებული
 ქრება ომში უბედურებაში დავიწყებული
 და შემდეგ ისევ წამოიწყებს საბოლოო ომს
 და ხელახლა საკუთარ თავს ჩრდილში აშენებს
 და კაპიტალი იცინის
 მაგრამ ოდესმე აღმოხდება ჭეშმარიტი მზე
 ნამდვილი მყარი წითელი მზე რევოლუციის
 და ისინი დაითვლიან თავიანთ თავს
 და გაუგებენ ერთმანეთს
 და ნახავენ თავიანთ რიცხვს
 და შეხედავენ ჩრდილს
 და ლაღად გაიცინებენ
 და წინ წავლენ
 და კაპიტალს უკანასკნელად მოესურვება რომ შეუშალოს ხელი მათ სიცილს
 ისინი კი მას მოკლავენ
 და ისინი მას დამარხავენ მწირ მიწაში გაღატაკებულ პეიზაჟის ქვეშ
 და ესაა ის ღარიბული პეიზაჟი მოგებათა მტვრის ნაგვის და ქვანახშირისა
 ისინი მას დაწვავენ
 ისინი მას მოსპობენ
 და ისინი სხვა პეიზაჟს შექმნიან მხნე სიმღერებით
 სრულიად ახალ მშვენიერ პეიზაჟს
 ჭეშმარიტ ცოცხალ პეიზაჟს
 უამრავ საგანს შექმნიან მზისგან
 და თვით ზამთარსაც გაზაფხულად გადააქცევენ.

1946

ეს სიუჟარული

ეს სიუჟარული
 ასე მძვინვარე
 ასე სუსტი



ასე ნაზი
 და ასე სასოწარკვეთილი
 ეს სიყვარული
 ლამაზი როგორც დღე
 და ცუდი როგორც ღრო
 როცა დრო არის ცუდი
 ეს სიყვარული ასე ნამდვილი
 ეს სიყვარული ასე ლამაზი
 და ბედნიერი ასე
 ასე მხიარული
 და ასე სასაცილო
 შიშისგან აკანკალებული როგორც ბავშვი ყრუ სიბნელეში
 და ასე თავდაჯერებული
 მსგავსია იმ ადამიანის რომელიც ღამით მშვიდად არის
 ეს სიყვარული სხვებს რომ აშინებს
 რომელიც სხვებს აიძულებდა ელაპარაკათ
 რომელიც სხვებს აიძულებდა ფერი წასვლოდათ
 ეს სიყვარული რომელსაც უკვე კარგა ხანია უთვალთვალევენ
 თუნდაც იმიტომ რომ ჩვენ თვითონ ვუთვალთვალებდით
 დევნილი დაჭრილი გათელილი მოთავებული უარყოფილი მივიწყებული
 თუნდაც იმიტომ რომ ჩვენ თვითონ მივსდევდით უკან
 ჩვენ დაგვოდეთ
 ჩვენ გავქვლეთ მივასიკვდილეთ
 ჩვენ დაგვმეთ და გადავივიწყეთ
 ეს სიყვარული მთლიანობაში
 ჯერაც ცოცხალი
 და მზიანი
 ეს შენია
 ეს ჩემია
 იგი რომელიც იყო და არის
 მარად ახალი, საგანი
 და რომელიც არ შეცვლილა
 იგი ისევე ნამდვილია როგორც მცენარე
 იგი ისევე ცახცახაა როგორც ფრინველი
 იგი ისევე თბილია და ცოცხალია როგორც ზაფხული
 ჩვენ ორივეს შეგვიძლია
 სვლა და უკან დაბრუნება
 ჩვენ შეგვიძლია დავიწყება
 და შემდეგ ჩვენ შეგვიძლია კვლავ დაძინება
 გამოღვიძება ისევე ტანჯვა და დაბერება
 კვლავ დაძინება
 ოცნება სიკვდილზე
 გამოღვიძება გაღვიძება და გაცინება

და კვლავ გაახალგაზრდავება
 იქ რჩება ჩვენი სიყვარული
 ჩიუტი როგორც ფაშატი ვირი
 ცოცხალი როგორც სურვილი
 სასტიკი როგორც ხსოვნა
 სულელი როგორც სინანული
 მეტეხი როგორც სუვენირი
 გულგრილი როგორც მარმარილო
 ლამაზი როგორც დღე
 და სუსტი როგორც ბავშვი
 იგი გვიყურებს ჩვენ მომცინარე
 და იგი ჩვენთან საუბრობს თან არაფერს ამბობს
 და მე მისი ხმა მესმის ვცახცახებ
 და მე ვყვირი
 მე ვყვირი შენთვის
 მე ვყვირი ჩემთვის
 შენ გვევადრები
 გებვეწები
 გემუდარები
 შენთვის ჩემთვის და ყველა სხვაათათვის
 და რომელთ უყვართ ერთმანეთი
 დიან მე მას ვეძახი ისევ
 შენთვის ჩემთვის და ყველა სხვაათათვის
 რომლებსაც მე არც კი ვიცნობ
 დარჩი იქ
 სადაც შენ იმყოფები
 იქ სადაც შენ უკვე იყავი ოდესღაც
 დარჩი იქ და
 არ გაინძრე
 აღარ წახვიდე
 ჩვენ ისინი ვართ რომლებიც უყვართ
 და თუმცა ჩვენ დაგივიწყეთ შენ
 ხოლო შენ გახსოვს ჩვენი შეცოდებანი
 და განა მხოლოდ ჩვენთან იყავი შენ ამ მიწაზე
 ნუ დაგვრთავ ნებას მათაც ნუ დართავ რომ გულგრილებად გადაიქცნენ
 მარად უფრო შორს
 და ნებისმიერ ადგილას გვამცნე
 ნეტავ სად ცხოვრობ
 უფრო გვიან კი რომელიმე ტყის კუთხეში
 ხსოვნის ხშირ ტყეში
 ანაზღეულად მოგვევლინე
 გამოგვიწოდე ხელი და
 გადაგვარჩინე



ზარმაცვი

ის ლაპარაკობს არა თავით
 მაგრამ გულით კი ამბობს დიანს
 ის პოს ეუბნება რაც მას უყვარს
 ის ლაპარაკობს მასწავლებელთან
 ის დგას
 მას ეკითხებიან
 და ყველა პრობლემა დასმულია
 უეცრად იგი გიყივიით იცინის
 და მტვრიანი ჩვრით შლის ყველაფერს

ციფრებს და სიტყვებს
 თარიღებს სახელებს
 ფრაზებს და მახვებს
 და მასწავლებლის მუქარისდა
 ეჭიჭნივად
 ნიჭიერ ბავშვებს გულიან
 ხითხითში
 სხვადასხვა ფერის ცარციოთ ხელში
 უბედურების შავ დაფაზე
 ის ხატავს სახეს ბედნიერების

1946

პირდაპირი გზა

თითოეულ კილომეტრზე
 ყოველწლიურად
 შუბლდასაზღვრული ბერიკაცები
 უჩვენებენ ბავშვებს გზას თუ მიმართულებას
 რკინაბეტონის ქესტიით.

1946

დილის საუზმე

მან დადგა ყავა
 ლამაზ ლამბაქზე
 მან რძე ჩაასხა
 ყავის ფინჯანში
 ჩაყარა შაქარი
 რძიან ყავაში
 პატარა კოვზით
 და აურია
 და მან დალია რძიანი ყავა
 და ისევ დადგა ფინჯანი
 ჩემთვის არ უთქვამს სიტყვაც
 მან მოუკიდა
 სიგარეტს
 მან გააბოლა ბოლის
 რგოლს მიადევნა რგოლი

მან ჩამოფურთხა ფერფლი
 ნაცრისფერ საფერფლეში
 ჩემთვის არ უთქვამს სიტყვაც
 არ შეუბედავს ჩემთვის
 იგი წამოდგა
 მან დაიხურა
 თავისი ქუდი საკუთარ თავზე
 მან საწვიმარი მოისხა თვისი
 თუნდაც იმიტომ რომ გარეთ წვიმდა
 და ის წავიდა აუჩქარებლად
 წვიმაში
 ჩემთვის არ უთქვამს სიტყვაც
 არ შეუბედავს ჩემთვის
 მე თავზე უხმოდ შემოვიხვიე
 ათრთოლებული ხელები ჩემი
 და ავკვითინდი მწარედ

1946

წითელი ცხენი

აჰა სიცრუის მანუებზე
შენი ღიმილის წითელი ცხენი
ბრუნავს
ტრიალებს



და მე იქ ვდგავარ
რეალურობის ნაღვლიანი მათრახით
ხელში

და სათქმელი არაფერი მაქვს
შენი ღიმილი ისეთივე ნამდვილი არის
ვით ჩემი ოთხი ჭეშმარიტება

1946

რომ შეიქმნას ჩიტის პორტრეტი

უპირველესად დახატეთ გალია
გამოღებულ კარით
შემდეგ დახატეთ
რაიმე ლამაზი
რაიმე მარტივი
რაიმე მშვენიერი
რაიმე სასარგებლო
რაც იმ ჩიტს გამოადგება
შემდეგ კი დადგით ნახატი ხესთან
ბაღში

ან თუნდაც ტყეში
და დაიმაღლეთ ჩუმად ხის უკან
არ ამოიღოთ სიტყვა
და არ გაინძრეთ დიდხანს...
ხანდახან ჩიტი მოფრინდება საოცრად მაღლ
მაგრამ ჩიტს ისიც შეუძლია რომ ითმინოს მრავალი წელი
მანამდე სანამ არ გადაწყვეტს
ნუ მიეცემით სასოწარკვეთას
ელოდეთ

ელოდეთ თუნდაც წილობით
რადგან სიწარაფეს ან ვნებავთ ზოზინს ჩიტის მოსვლასთან არა აქვს
კავშირი არავითარი
თანაც არ არის მთავარი ნახატის წარმატებისთვის
როცა მოფრინავს ჩიტი
თუ ის მოფრინავს ნაღდად
უნდა იყოს ღრმა სიჩუმე
ლოდინი სანამ იგი შეფრთხილდება იმ გალიაში
და როცა იგი შევა

აქ საჭიროა კარის დაკეტვა ჩუმად სათუთო ფუნჯით
 შემდეგ კი უნდა გადავშალოთ ზედიზედ ყველა გისოსი
 ვეცადოთ ასე გულმოდგინედ რომ არ შევცხოთ ჩიტის არც ერთ ზრთას
 ბუმბულს



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

შემდეგ დავხატოთ ხე
 ამოვარჩიოთ ხის რტოებიდან ერთი ყველაზე მშვენიერი
 ჩიტისთვის

ასევე უნდა დახატოს მშვიანე ფოთლები და გრილი სით
 მზის მოცახცახე მტვერი
 ხმაური მხეცთა და ბაღახის ნაზი შრიალი ზაფხულის პაპანაქების უამს
 და შემდეგ უნდა ველოდოთ სანამ აღარ დაიწყებს გალობას ჩიტი
 თუკი არ მღერის ჩიტი

მაშინ ეს კუდი ნიშანი არის
 ნიშანი იმისა რომ ნახატი კუდი გაბლავთ
 მაგრამ თუ ჩიტი გალობს ეს არის კარგის ნიშანი
 ღიახ ნიშანი იმისა რომ თქვენ შეგიძლიათ მოაწეროთ ამ ნახატს ხელი
 რმ შემთხვევაში თქვენ
 ფრთხილად ააცლით თქვენს ჩიტს ერთ ბუმბულს
 და თქვენს სახელსაც მიაწერთ
 სადმე სურათის კუთხეში

1946

პარიზი ლამით

ერთი მეორის მიყოლებით სამი ასანთი ავანთუ ლამით
 პირველი რათა დავიწახო შენი სახე მთლიანობაში
 მეორე რათა დავიწახო შენი თვალები
 უკანასკნელი რათა ვნახო შენი ტუჩები
 და მთელი წყვილი რათა მხოლოდ მან გამახსენოს ეს ყველაფერი
 შენ რომ გიხუტებ გულში.

1946

ბარბარა

ოი გაიხსენე ბარბარა
 თავსხმა წვიმა მოდიოდა ბრესტის ზემორე
 და შენ ამაყად მიაბიჭებდი
 ვალიმებული მილიოდი
 ვაბრწყინებული აღტაცებული
 და თავსხმა წვიმით ვანბანილი მიაბიჭებდი
 ოი გაიხსენე ბარბარა
 თავსხმა წვიმა მოდიოდა ბრესტის ზემორე
 და შენ შეგხვდი სიამის ქუჩაზე
 შენ აღიმოდი



ქართული
ბიბლიოთეკა

და მეც შენს მსგავსად ვიღიმოდი
 ოხ გაიხსენე ბარბარა
 შენ რომელსაც მე არ ვიცნობდი
 შენ რომელიც მე არ მიცნობდი
 გაიხსენე
 გაიხსენე ის დღე მაინც
 არ დაივიწყო იგი
 და დაიყვირა იმან უცებ შენი სახელი
 ბარბარა

და შენ წვიმაში გარბოდი მისკენ
 თავსხმა წვიმით განბანილი ალტაცებული გაბრწყინებული
 და ჩაეხუტე გულში
 ოხ გაიხსენე ეგ ბარბარა
 ნუ გეწყინება თუ მოგმართავ შენობით რადგან
 ყველას ვინც მიყვარს მე შენობით ვესაუბრები
 თუნდაც მაშინ როცა ისინი მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი
 და მაშინაც კი როცა სრულიად არ ვიცნობ მათ
 ოხ გაიხსენე ბარბარა

არ დაივიწყო
 შენ ეს წვიმა ასე ბრძენი და ბედნიერი
 ვინაც განბანა ბედნიერი სახე შენი
 და ეს ქალაქი იმდენადვე ბედნიერი
 ეს წვიმა ზღვის ზემოთ
 ატენალის ზემოთ
 ოხ ბარბარა

რა უგუნური რამეა ომი
 და რა შეგემთხვა სადა ხარ ახლა
 ამ რკინის კოკისპირულ წვიმის ქვეშ
 ფოლადისა და სისხლის წვიმაში
 ან ის რომელიც შენ გეხვეოდა
 სიყვარულით და აღფრთოვანებით
 დაიღუპა თუ დაიკარგა ან იქნებ ჭერაც ცოცხალი არის
 ოხ ბარბარა

განუწყვეტლივ წვიმს ბრესტის ზემოთ
 წვიმს ისე როგორც ეს იყო უწინ
 მაგრამ ამჟამად ეს წვიმა სხვა და ყველაფერი დაღუპულია
 ეს წვიმა სამგლოვიაროა საშინელია და ვარაშით სავსეა იგი
 და თვით ეს ქვექა-ქუხილიც აღარაა ჩვეულებრივი
 ფოლადისა და სისხლის ღრუბლები
 მხოლოდ უბრალო ღრუბლები არაა
 რადგან ისინი სკდებიან მძიმედ
 ვით მომაკვდავი ძაღლები
 რომლებიც წყალში გაუჩინარდნენ
 თავსხმა წვიმაში იქ ბრესტის ქვემოთ
 და აბრწყინებიან სიშორეში

ბრესტიდან ისე შორს ლპებთან
და იქ უჩინარდებიან უგზო-უკვლოდ და სამარადისოდ.

1946



ქართული
წიგნიწიგნი

კატა და ჩიტი

გულსევედიანი უსმენს სოფელი
სიმღერის ველზე დაჭრილ ჩიტის ბოლო გალობას
ის ერთადერთი ფრინველია ამ სოფლის მკვიდრი
თუმცა კატაც ერთი არის სოფელში თანაც
მან სანახევროდ შეჭამა ჩიტი
და ფრინველმაც შეწყვიტა მღერა
ხოლო კატამ მიატოვა გრძელი კრუტუნნი
და დრუნჩის უკვე არ ილოკავს ბოროტმოქმედი
ჰოდა სოფელი დიდის ამბით ასაფლავებს ერთადერთ ფრინველს
კატა თხერმანისტერი მოწვეულია გასვენებაზე
იგი დინჯი და თავდახრილი მიდის ჩალის კუბოს უკან
რომელშიც წევს მკვდარი ჩიტი
ხოლო ის კუბო მიაქვს ქალწულს
რომელიც ცხარე ცრემლით ტირის
და კატამ როცა დაინახა ეს ამბავი ქალწულს უთხრა
ო რომ მცოდნოდა მე ეს შემთხვევა
შენ ასე დაგანაღვლიანებს ჯანი გავარდეს
მთლად შეგვამდი ჩვენს ძვირფას ფრინველს
ხოლო შემდეგ შენ გეტყობდი რომ თავად ვნახე
როგორ აფრინდა იგი
და გადაფრინდა ცხრა მთას იქით
იმ სიშორეში
საიდანაც არ ბრუნდებიან უკან
მაშინ ნაკლებად იდარდებდი
ასეა რადგან მოწყენა და სინანული

ნახევრად არცაა საჭირო.

1946

□

ილიჯე ტომანი, მიროსლავა ტომანოვა

სოკრატე



ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანი
თარგმნა გურამ გოგიავილიძე

8

დელოსზე სიმღერა და მუსიკა მიწყდა. გასრულდა აპოლონის დღესასწაული. მიმლოცველებით სავსე წმინდა ტრიერი ათენს გაბრუნდა.

გემბანის ქვემო სამყოფელში -- ჭილოფზედ მოცეკვავე ტინდარეოსი იწვა. იქვე იყვნენ სხვა მოცეკვავენი, მომღერალნი, დეკლამატორნი, მუსიკოსნი. ტინდარეოსი სრულიად ქანცაწვეტილი იყო ამდენი დღის როკვის, ნადიმების, ღამის თავგადასავლების შემდეგ. გაქონილი ტანი ოფლისა და მტკრისგან ექავებოდა.

იწვა. ხელები და ფეხები გაეფარჩხა. იმის მარჯვენა ხელისგულზედ თავი დაედო ახალგაზრდა ფლეიტისტ ქალს ანაქსიბიას. დელოსზედ ესენი უცხონი ჩამოვიდნენ. უკან ერთმანეთის საყვარელნი ბრუნდებიან.

დღეს უცვლელი თანამიმდევრობით ენაცვლებოდა ღამე. მაგრამ ძილსა და სიფხიზლეს შორის არ იყო თანაბარი მონაცვლეობა. ამ ღამესაც ასე მოხდა. არც ზღვას ეძინა, არც ვარსკვლავიან ცას, არც მენიჩბეთ, ფხიზლობდნენ მიმლოცველნიც.

ტალღები აქანავებდნენ ტრიერს, ზღვის თითებით ათამაშებულს.

ანაქსიბიას თბილი ხუჭუქთმიანი თავი მსუბუქად ირწეოდა ტინდარეოსის ხელისგულის აკვანში.

მოცეკვავე სატრფოსკენ მიბრუნდა, მეორე ხელის თითებით ფრთხილად მოუსინჯა თვალები -- დახუჭული თუ აქვსო. ქუთუთოები დაშვებული ჰქონდა, მაგრამ ბავთ ქანკალით წართქვეს:

— ტინდარეოს...

— არ გძინავს?

— რა დიდებულად ცეკვავდი! ასე მგონია, ახლა შენთან ერთად ვცეკვავ, და ეს ისე მომხიბლავია, აღარც ძილი შემიძლია, აღარც ღვიძილი...

ვილაც მწოლარემ წყნარად იკითხა:

— იმას თუ ფიქრობთ რომელიმე, რომ ჩვენს გემს ათენში სიკვდილი მიაქვს?

ტინდარეოსმა ხმით იცნო მომღერალი დიომედე. მიუგო:

დასასრული. დასაწყისი იხ. № 1, 2, 3-4, 1991.

— ვიცი — ჩვენ სიკვდილის გემით მივცურავთ.

— და რომ იმისი მკვლელი ვართ, ესეც თუ იცი?

— ვიცი: ის ახალგაზრდებისთვის მოკვდება, ჩვენთვის, რომელთაც თითქოსდა გვრყვნის. მაგრამ გაზვიადება არ უნდა, დიომედე, თუ ჩვენ იმისი მკვლელი ვართ, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ახალგაზრდები გვრყვნენ. ანაქსიბიამ თავი წამოსწია, მაგრამ ტინდარეოსმა მისი სხეულისგულზე დაადებინა. დიომედემ დაინახა, ფლეიტისტი ქალის სანდალოებისფეროვანის ნელსურნელებზე გაჰკრა ფიქრმა.

— მართალი ხარ: ახალგაზრდობა დანაშაული კი არა, სილაშაზეა. უძილო ღამე თითქოს თანამოსაუბრეთ ეძებდა, ადამიანთაც არ აძინებდა.

ტიდარეოსი შორთხმით დაჯდა — მშვენიერი ფეხები ჰქონდა, მოხდენილი — ბუნებითაც, ვარჯიშითაც.

— ის ამბობს: ღმერთებზედ იმედის დამყარება არა კმარა, არც კი ვიცით, მართლა არსებობენ თუ არაო. ის ამბობს: შეიცან თავი შენო, მართალს ამბობს, თავი ჩვენი ვერ შეგვიცვნია, როგორც საქიროა, და თავშეუცნობელნი უცნობთ და უხილავთ უნდა ვემორჩილებოდეთ? ან იქნებ ის უნდათ, რომ ლანდებივით პაერში დავქროდეთ ფეხქვეშ ნიადაგამოცლილნი?

— ენას კბილი დააჭირე, ძვირფასო, — შეაწყვეტინა კითარედმა, რომელიც ტინდარეოსს ცეკვებზედ ახლდა ხოლმე, — ეგ მკრეხელობასა ჰგავს! ანაქსიბიამ გამაფრთხილებლად მიაღო ტინდარეოსს პატარა ხელისგული პირზედ, იმან ხელი დაუკოცა და მკაცრად ჰკითხა:

— ვინა თქვა, რომ ვმკრეხელად? ისე ვკითხულობ, ამბობენ, ახალგაზრდებს აპოლონი მფარველობსო, მაგრამ გეკითხებით, როდის და რომელ თქვენგანს ურჩია რამე? ვის შეეწია?

მთვლემარე მოცეკვავე ქალთაგან ერთმა — ნეფელემ წამოიწია:

— და მაგას შენ ამბობ, ვისაც ალბათ ახლაც გტკივა ფეხები აპოლონის პატივსაცემად იმდენი ცეკვის შემდეგ?

ტიდარეოსი შეეპასუხა:

— მართალია, შევთხოვდიო აპოლონს, სიცოცხლის, სიმართლის, წესრიგის მცველს, ჰარმონიისა და მშვენიერების შემოქმედს, აწ კი ათენში უსამართლო სიკვდილი მიგვაქვს! ეს არის ჰარმონია? მშვენიერება?

ნეფელემ, რომლის სულში ჯერაც არ ჩამქრალიყო დღესასწაულით აღძრული გზნება, მიუგო:

— მაგრამ ჯერ ხომ არ მომკვდარა! მე ცეკვით ვემუდარებოდი აპოლონს, შევთხოვდი, რომ თავისი ისრებით დაემსხვრია ციკუტით სავსე თასი, სოკრატეს პირთან რომ მიუტანდნენ! — და აქაც, მომკვდინებელ ტრიურზედ, ალტკინებულმა შესძახა: — ო, აპოლონ, სინათლისა და სიხარულის ღმერთო, ისმინე ჩემი!

— ყველას გვისმინე! — შესძახეს სხვებმაც.

და დადუმდნენ, თითქოს ელოდნენ, რომ აპოლონი მართლა გამოეხმაურებოდა და რაღაცას ანიშნებდა კიდევ... მაგრამ ტრიერი ისევ ისე ირწყოდა ტალღებზედ, და ნიჩბებს მძიმე, მლაშე ცრემლები სდიოდა.

— ო, აპოლონ, მშველდოსანო, მიზანაუცდენელო ჩუბინო, მიაწვდინე ისარი შენი იმის საკანს! — შესძახა ისევ ნეფელემ, ოღონდ კიდევ უფრო მგზნებარედ. — დაამსხვრიე შხამიანი ფილა!

ტინდარეოსმა ხმა დაადევნა:

— მაგით თავის ღვთაებრივ ვალს მოიხდიდა. — შერმე ^{ჰკითხა:} აპო-
ლონს მზე უყვარს, დილეგში კი ბნელა. მითხარ, ნეფელე, ხომ არ ასცდება
იმ საჯანს იმისი მზერაც და ისარიც?

ამ სიტყვებით განგმირულმა ნეფელემ კვლავინდებურად ^{უხარბო} ასცდებულმა
წაიჩურჩულა:

— დაცინვას კაცი არ მოუკლავს. მაგრამ იცოდე, ძაან ატარტალებ მაგ
შენს უნას. შენც არ გაუსინჯო შხამს გემო.

— რას ამბობ, ლამაზო ნეფელე! მე არა ვარ იმისი თანაბარი პატივისა
და დიდების ღირსი. ერთადერთი, რაც მე და სოკრატეს საერთო გვაქვს, ახალ-
გაზრდობაა.

ტინდარეოსმა ანაქსიბიას ხელი წელზედ შემოჰხვია და თვითონაც გულ-
ში ჩაიხუტა.

— ის ადამიანთ ცხოვრებას ასწავლის, სათნოების სწავლა შეიძლებაო,
ამბობს. ვარსკვლავთ არ გასცქერის, არც იმ ქვეყანაში ჩაიციქირება, აქ იყავ,
ადამიანო, დედამიწაზედ და აქ მიაღწიე სიკეთესო. მერედა, ჩვენც ხომ ეს
გვინდა, ახალგაზრდებს!

დიოქედემ ტინდარეოსს მეგობრულად გაუღიმა.

— შენც ჩემსავით იმისი კაცი ხარ.

— რაკი საშიში გახდა ანტიესთვის და მისთა მსგავსთათვის, ვინაც დე-
მოკრატია თავდაყირა დააყენა. მან, თავად ახალგაზრდამ, ჩვენი ახალგაზრდო-
ბის დაცვა ითავა. მაშასადამე, ჩვენთვის კვდება.

ახლა, როცა სოკრატეს სიკვდილამდგამულსტად იმდენივე რჩებოდა, რამ-
დენიც იმათ გემს ატიკის ნაპირებამდე, მისჯილზედ სულ უფრორე მომეტე-
ბული გულისტკივილით ფიქრობდნენ.

ქარმა იალქნების მუცლები დაბერა, მენიჩბენი თანაზომიერად უსვამდ-
ნენ გრძელ ნიჩბებს...

ტრიერი წინ გაეჭანა, აღარ ირწეოდა, დანასავით ქრიდა ზღვას. ტრიერის
კორპუსი ოდნავდა ირჩეოდა.

გემბანის ქვეშ მწოლარეთ უმაღ იგრძნეს ეს ცვლილება. ანაქსიბია წყნა-
რად ატირდა.

— რა იყო, ჩემო თავუნია?

— ძალიან ჩქარა მივცურავთ.

საუბრობდნენ, პლატონის მონის მოტანილ ღვინოს შეექცეოდნენ. სოკ-
რატემ უკვე იცოდა, რომ სიმიაშ და კებეტმა არქონტთან ვერაფერს მიაღწიეს.
ღვინოს წრუბავდა, ყოველ ყლუპს ენით იგემოვნებდა.

— ჯერეთ ყველაფერი არ მიანდერძებია თქვენთვის, — ნელა ალაპარა-
კდა სოკრატე, შეჭოკმანდა, მაგრამ მაინც განაგრძო: — კიდევ ჩემი ტკივილი
დამრჩა, ძვირფასნო.

მეგობრები დუმდნენ.

მან გაიღიმა:

— ვერ გამოიცანით, რომელი ტკივილი?

იმათ მომაკვდინებელი ტრიერი დაუდგათ თვალწინ — მძლავრფრთიანი

შავი ფრინველი, სისხლისფრად შეღებილი. დედის ნავთსაყუდლისკენ მიფრინავს...

— მაშ, არ იცით, რა ტკივილია, ჩემთვის ყველაზედ ახლომყოფელი?
 იმათ არც ახლა გასცეს პასუხი. ვერ გაბედეს ფიქრის განდობა. მაშინ
 თვითონ წართქვა:

— მხოლოდ ერთი ტკივილია ადამიანის ღირსი — იმის შეგნების ტკივილი, რომ რისი მიღწევაც სურდა, ვერ მიადწია.

— მერედა, მაგას შენ ამბობ, სოკრატე? — გაუკვირდა კრიტონს. — შენი ერთი ყველაზედ მცირე დამსახურებაც საკმარისია, რომ კმაყოფილება და სიამაყე განიცადო.

— ახალგაზრდობა აზროვნების მამას გიწოდებს. — საჩქაროდ დაურთო აპოლოდორემ.

სოკრატემ ხელები გაშალა.
 — ეპ, ჩემო უგნურნო, კეთილნო ჩემნო, ნუ მანუგეშებთ, სიტყვას ბანზედ ნუ მიგდებთ, რაზედ მტკივა გული? იმაზედ ილაპარაკეთ!

— არცრა არსებობს ისეთი, რომ შენ ტკივილი მოგაყენოს. — შესძახა აპოლოდორემ.

— მეც ვიყავ შენსავით ახალგაზრდა. — უბასუხა სოკრატემ. — დიდხანს, დიდხანს, ლამის დღევანდელ დღემდე. მხოლოდ წინ ვიყურებოდი, მაგრამ მოგეხსენებათ, ახლა უკვე დროა, და უკან უნდა მივიხედო, უნდა ავწონო ამ ნახევარი საუკუნის მანძილზედ გაწეული შრომა. მერედა, რით შევაფასო? იმით ხომ არა, რასაც ჩემზედ ამბობენ? ან იქნებ იმით, რაც ოდესმე მითქვამს? სხვათა მიმართ თუ უღმობელი ვარ, — საკუთარი თავი როგორღა შევიცოდო, როგორაც ვინმე უსააკომ? ძაღლსა ვფიცავ, არ ვისურვებდი, ამ ქვეყნით აგრე წასვლას!

კრიტონი ძველ მეგობარს გადაეხვია:
 — რით იტანჯავ თავს, ძმაო? რითა გეტანჯავ?
 — სიმართლით. — მიუგო სოკრატემ. — უკეთუ მე არ ვიტყვი სიმართლეს ჩემს თავზედ, სხვანი იტყვიან. და ვინ იცის, როგორ დაამაზინებენ!

— მაგას სწორს ამბობ, გეთანხმები. — კრიტონმა უფრო მაგრად ჩაიკრა გულში სოკრატე. — მაგრამ ანდერძის თქმას ნუ ჩქარობ, დაიცა — ჯერეთ ჩვენ დაგვაცალე, რომ სხვა რამ უფრო გადაუდებელი გითხრათ.

სოკრატემ ნათქვამი ერთი ყურიდან მეორეში გაუშვა აღარ შეეძლო იმისი გადადება. რაც გულზედ ტვირთად აწვა.

— შემომხედეთ, ჩემო ძვირფასნო, — თქვენ ხომ ჩემი სისხლი სისხლთაგანი ხართ, — როგორია ჩემი სამკალი? მე ყოველთვის იმას ვქადაგებდი, სათნოების სწავლა შეიძლება-მეთქი. ასეა თუ არა? თქვენ მიპასუხებთ, ეგრეთა რას ვეყრდნობოდი ძირითადად? რასა და, იმას, რომ ცოდნა ადამიანს სამართლიან ადამიანად აქცევს. ასეა თუ არა? თქვენ მეტყვით, ეგრეთა კიდევ პერიკლეს დროიდან პირველ სოფისტთა თანა ნიადაგ ხელს ვუწყობდი იმას, რომ ათენში ფესვი გაედგა უფრო ღრმა განათლებას. ბევრი თქვენგანი, ჩემთა მოწაფეთაგან, თავად გახდა მოძღვარი. ათენი რომ ხელოვნებათა და მეცნიერებათა დედად ითვლება, ამაში ნაწილობრივ ჩემი და თქვენის დაე მცირე დამსახურებაც არის. მაგრამ ასეა თუ არა?

— უსათუოდ, — მიუგო ახლა პლატონმა. — და, მგონი, რომ სწორედ ეს გარემოება მეტყველებს შენი ტკივილის საწინააღმდეგოდ.

— ეგ მოჩვენებითია, კეთილო, პლატონ, ერგასი წელიწადია! ბევრი წიხ-
ლიც მომხვედრია ბაზრობებზედ, ბევრი სილაც მიგემია იმისგან, ვისთვისაც
სასარგებლო რამ მიჩვენია. ახლა რა? ახლა, ჩემი ცხოვრების დასრულებად? რას
გადავეყარე?

ყველა დუმდა, ანტისტენემ ფიალა შეუღვსო, როცა სოკრატემ უჩილა ბა-
გესთან მიიტანა, ხელი აუკანკალდა, ღვინის წვეთებში შეუღვინა თეორი-
კრიტონი. იმან ამას ყურადღება არც მიაქცია, მაგრამ მეგობრები შეაძრწუნა
წითელი ლაქების დანახვამ.

სოკრატემ იკითხა:

— მართალია თუ არა ის ყველაფერი, რასაც მრავალი წელიწადი ვქადა-
გებდი, საითაც მიმყავდი?

ყველამ თავი დაუქნია, თუმცა ერთგვარი უხერხულობით.

— ვხედავ, მიდასტურებთ. — სოკრატე სულ უფრო უახლოვდებოდა
თავის ტკვილს. — ყოველ მტკიცებას სურვილისამებრ შეიძლება რომ დაე-
თანხმონ ან არ დაეთანხმონ, მაგრამ მტკიცების სისწორე ფაქტებით უნდა შე-
მოწმდეს. მერედა, როგორია ფაქტები? რა გავაუმჯობესე? ვინ? განა ამასწი-
ნებზედ ათენის დაცემასზედ არ გვქონდა საუბარი?

აპოლოდორე შესცქეროდა საჯნის კედელს, რომელიც თვალთავან ათე-
ნას მარმარილოს სიდიადეს ფარავდა, და საშინელ ტარტაროსს ხედავდა.

კრიტონის ხელი გამხმარივით თავისთავად ჩამოცურდა სოკრატეს მხრები-
დან. სოკრატემ თავისკენ შემოაბრუნა აპოლოდორე:

— აი შენ კი, ჩემო უმრწემესო, უთუოდ პატიოსნად მეტყვი, რასაც მი-
ვალწიე.

— არა, არ ვეტყვი! — შესძახა ელდანაკრავმა ჭაბუკმა. — არაფერსაც
არ ვეტყვი!

— ჩემი კითხვა გაიგე კი? — არ ეშვებოდა სოკრატე.

— არაფერსაც არ ვეტყვი! არ შემიძლია!

— მაშ სიმართლეს შენგანაც ვერ გავიგონებ.

აპოლოდორემ სახე ხელებით დაიფარა და ვედრებით წართქვა:

— მაპატიე, ძვირფასო, რასაც ვფიქრობ, მაგრამ ეს ხომ სიმართლე არ
არის!

— ნუ დატანჯე ბიჭი! — უსაყვედურა სოკრატეს კრიტონმა, — რაღა მა-
გას ჩააცვიდი?

— იმიტომ რომ თქვენ ყველანი ჩიუტად დუმხართ! — აენტო სოკრა-
ტე. — ეს კი მეტყვის.

აცანცახებულ აპოლოდორეს თავში ერთი აზრი უტრიალებდა: სოკრატე
მთელი სიციცხლე ადამიანების გასაუმჯობესებლად რუდუხებდა, მაგრამ ათენის
ბოლოდროინდელმა დამცრობამ ყოველივე ნაღვაწ-ნაამაგარი წყალში ჩაუ-
ყარათ. მაშ, იქნებ სულაც ამო იყო სოკრატეს გარჯა? იქნებ სულაც არავის
აჭირდება? მერედა, ახლა რაღა დროსია ამისი თქმა, როცა აღარაფრის თა-
ვი აღარა აქვს, აბა, როგორ ატყინოს გული?

— მე მთელი სიციცხლე მეყვარები! — აღმოხდა აპოლოდორეს.

სოკრატემ აღერსიახად გაუღიმა:

— რაკი აგრეა, შენს სიყვარულს ახლაც დამიმტკიცებ და მიპასუხებ:
მარტო ცოდნა საკმარისია, რომ ადამიანი სამართლიანი და სათნო გახდეს?

საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს და ადამიანთან ერთად ბედნიერად გრძნობდეს თავს მთელი საზოგადოება?

— არა, არ არის საკმარისი... — ერთი ამოსუნთქვით წარმოთქვა ამოლოდორემ.

— დალოცვილი ყოფილიყავ, ჩემო უმრწემესო, — შეგებრუნ უბოესუნთქა სოკრატემ. — შენ პირველმა ამართვი ტკივილი, და რაკისგან შეგებრუნა. — მზერა დანარჩენთ მოავლო.

— ოღონდ შენი ტკივილი მეტად დიდია, — უთხრა კრიტონმა. — დიდია შენთვის და ყველა ჩვენგანისთვის, აი რატომ შეგვაშინა მაგ ტკივილმა...

— არა, ჩემო კეთილო მეგობარო, — შეედავა სოკრატე. — ტკივილს არ უნდა გავეჭვოთ, მოვალენი ვართ, რომ ისიც ბოლომდე შევიცნოთ. ყოველივე იმან, რისთვისაც მთელი სიცოცხლე ვიბრძოდი, ვერ მიმიყვანა იჭამდე, რისი იმედოც მეცა მქონდა და თქვენცა გქონდათ. ცალკე ადამიანის კეთილდღეობისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობისთვის რაღაც სულ სხვა რამ არის საჭირო.

— მერედა, არც შენ იცი, ძვირფასო მოძღვარო, რაც არის საჭირო?

სოკრატე აღელდა, სახე წამოუწითლდა:

— არ ვიცი! რას წამოვდე ფეხი? რატომ ვერ წარვემატე? უწინდელი ჩემი მტკაცება — „ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“, რასაც ოდესღაც ის მიზანი ჰქონდა, რომ ადამიანნი მეტი და მეტი ცოდნის შესაძენად წაეხალსებინა. — დღეს, ძვირფასო, სხვა აზრს იძენს; დღეს ეს ჩემი „არ ვიცი“ მე გულის მიმძიმებს.

მოწიფეთ აზლოს მიიწიეს, მაგრამ არ იცოდნენ, რით ენუგეშებინათ ის თვითონ ამეტყველდა:

— სამყაროს წონასწორობა დარღვეულია, დიდი ხანია, წინააღმდეგობა ესე, პირველად მხოლოდ ბზარი, თანდათან უძირო უფსკრულად იჭყვევა, რაც უშუაშედ ყოფს სახელმწიფოთ და ადამიანთ. — სოკრატეს ძლეღვარება სულ უფრო მატულობდა და აშინებდა მეგობართ. — ტარტაროსი, რაზეც ამბობენ, მიწისქვეშა სამეფოს წიაღშია და საშინელ დამნაშავეთ საშუღამეაშოდ აქვთ მისჯილით. — აქვე, ათენში აღმოჩნდა, და შიგ ცოცხალი ადამიანნი იტანჯებიან, დიდნი და პატარანი, სრულიად უდანაშაულო არსებანი. მერედა, სწორია? მოვურჩინე თუ არა ჩემი საუბრებით ჩვენი დიდებული ქალაქის საეუღს იარა ესე? განა ძალუძთ ამა ტარტაროსის მსახლობელთ ისე ლამაზად ცხოვრება, როგორაც მე წარმოშიდგენია და თქვენ წარმოგიდგენიათ? ვითომ ჩვენს სიტყვას შეუძლია, რომ საქმეს წაადგეს, და თავისუფალ მოქალაქეთ მონეშსავით მძიმე უღელს აღარ ადგამდნენ? განა სწორია, რომ მონა ადამიანად კი არა, უბრალო ცოცხალ იარაღად ანდა ნივთად მიაჩნდეთ? მაგრამ უკეთუ მონას ადამიანად ვაღიარებთ, რადგან არაფრით ჩვენგან არ განირჩევა, სიღარიბისა გარდა, განა სწორი იქნება, რომ ადამიანის უფლებებს მოკლებული იყვეს? თავისი გვარტომის სახელს არ ეძახდნენ და მხოლოდ თიკუნი ვრქვას? რომ თავის შვილთ, მონა ქალთაგან შობილთ, თვითონ ვერ იკუთვნებდეს, რომ ისინი შინაურ ცხოველებსავით მონათმფლობელის ქონების სათვალავში ირიცხებოდნენ? ეს ერთნი, ახლა ამა უფსკრულის წიაღ მყოფთ არ იკითხავთ? იმათ, ვინაც ასეთი წესით ცხოვრობს: „ვისაც ბევრი აქვს, კიდევ იმას მიეცეს და მიემატოს?“ განა სწორია, რომ ზოგთ ათასობით მონა ჰყავდეთ, როგორც უნდათ, ისე ყიდულობდნენ და ჰყიდიდნენ, სისხლსა სწო-

ვდნენ და მონათა შრომით მეფურ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ? განა სწორია, რომ ერთი და იმავე საზოგადოების ადამიანთ საკუთრების კედელი ყოფდეს, რომელი კედლის გამოც ადამიანი ადამიანს ველარ ხედავს, ადამიანს ადამიანი სძულს? — სოკრატე კშინავდა. — გაჭირვების ბოროტებაც ისევე აფუჭებს ადამიანს, როგორაც ოქროს ბოროტება. რა გაგაწყობს ეს უფრო უთანასწორობასთან? აქ თავდება ჩემი სიბრძნე, აქ იწყება ჩემი ტკივილი, ჩემი ტანჯვა.

ყველამ საკუთარივით იგრძნო სოკრატეს ტკივილი. გაჩუმდნენ, როგორც ჩუმდებიან ადამიანები უბედურების წინაშე.

მხოლოდ ანტისთენემ მოკრიბა ძალ-ღონე და გაუბედა:

— სოკრატე, შენ ყოველთვის იმაზედ გვესაუბრები, რაც სასარგებლო და საჭიროა. აბა რატომ ავიტყვივით თავი იმისთვის, რისი შველაც არ შეიძლება? უკეთუ სამუდამოდ ასე უნდა იყვეს, რა აზრი აქვს ჩვენს მეცადინეობას?

სოკრატე წამოდგა. მხრებში სწვდა ანტისთენეს. შეანჯღრია:

— რას ლაპარაკობ?! როგორ თუ სამუდამოდ ასე იქნება და არაფრის შეცვლა არ შეიძლება? როგორ ფიქრობთ, განა სიტყვას კი ჩამოვაგდებდი ამაზედ. საქმის ცვლილება რომ არა მწამდეს? უკეთუ ადამიანის გამოცვლის შესაძლებლობა მჯერა, აბა როგორ არ უნდა მჯეროდეს მთელი საზოგადოების გამოცვლის შესაძლებლობა? არ ვიცი, რომელი მხრიდან მოვკიდოთ საქმეს ხელი, მაგრამ ვიცი: ამ ცვლილებას ისევ ადამიანი მოახდენს! აი რატომ არ არის ადამიანისთვის ჩემი ზრუნვა ტყუილ-უბრალო, და არც კიდევ თქვენი ზრუნვა იქნება ამაო. ამიტომ, ჩემო საყვარელო, გაიტკივილეთ ჩემი ტკივილი და ნუ მიატოვებთ ადამიანს! როგორაც ის მე მწამს, თქვენც ისე იწამეთ!

სოკრატემ ხელი გაუშვა ანტისთენეს მხრებს; პლატონს გადახედა:

— ნუ ნაღვლობთ და ნურც იმისი შეგეშინდებათ, რაც გითხარით. დიდხანს ვებრძოდი მარტოდმარტო ბოროტების პიდრას, მაგრამ ახლა, სოკრატე, კოსნო, თქვენ უკვე ბევრნი ხართ. რასაც ჩემი სიცოცხლის ბოლოს ჩაეწვდი, თქვენთვის გადმომიცია, ახალგაზრდებო, და ჩემი უკანასკნელი შემეცნებიდან ახალზედ გადადიეთ. არ მოეშვათ, ვის მიზიდვასაც შეიძლებთ, ყველანი თქვენს საქმეში ჩააბით. როგორც დღემდე იცვლებოდა სამყარო, ჩვენ შემდეგაც ისევე შეიცვლება. მაგრამ ერთი ტვინი და ერთი წყვილი ხელი საამისოდ ცოტაა. მაშ, თქვენც იდექით, ჩემო სისხლნო სისხლთაგანნო, იმათ შორის, ვინაც ქვეყანას უკეთესისკენ გაუკვლევს გზას.

სოკრატემ თვალი გადააქო დაღვრემილ მეგობართ. შუბლზედ ხელი მოისვა.

— რა მომდის? რა მოგვდის? ძალსა ვფიცავ! სმა დაგვავიწყდა... დაახსნი, აბოლოდორე!...

პლატონის გარდა ყველამ დალია. სოკრატემ შეამჩნია....

— რა იყო, ყმაწვილო? ფერი აღარა გაქვს! გტკივა რამე?

პლატონი კედელს მიეყრდნო და უთხრა:

— მტკივა. შენი ტკივილი ამტკივდა.

— სიწყნარე მინდა. წადით ყველანი, — უბრძანა შეჭირვებულ შინაურთ, — შენ დარჩი, დიდონა.

დიდონა ჩიქის ტყავზედ დაჯდა. შორიგ ბრძანებებს დაელოდა. პლატონი ლოგინში იწვა, მძიმედ სუნთქავდა. სოკრატეს ტკივილი თავის ტკივილად ექცა მაგრამ ის მოძღვარივით ჩანმაგარი არ იყო. სოკრატეს განმარტებლობა და ამტანობა არა ჰქონდა. პლატონს ავიყებდა ათენში არსებული დასწრისპირე-ბულობის ის უფსკრული, რომელიც სოკრატემ დაანახვა. საშინელ ანდერძს უტოვებს მოძღვარი!

პლატონს ციებ-ცხელების კანკალი აუვარდა. ფეხები გაეყინა. ფეხის-გულეები და ნაკუთალები უცვივდებოდა. ახალგაზრდა მონა ქალმა დიდონამ ავადმყოფს ირგვლივ რამდენიმე ტაფა შემოუწყო. გავარვარებული შეშის ნაკვერცხლებით სავსე.

ავადმყოფს ვერც ნაკვერცხლების მხურვალეობამ გაუთბო ფეხები. კვამლი ახრჩობდა. ხველება აუვარდა. პლატონმა ტაფათა აღება ბრძანა.

დიდონა ფეხშიშველი დადიოდა. თითქოს გარდისფერი ფეხისგულეებით ეფერებოდა მეანდრულად დაგებულ შავ-ფეთრ სახეებიან იატაკს. წყნარი ნაბიჯი პლატონს არ აღიზიანებდა. მაგრამ ქალს ტაფა დაუვარდა და იატაკზედ ელარუნი გაიღო.

— რა ქენი, უბედურო?! — შეჰყვირა პლატონმა.

— მაპატიე, ბატონო... როცა შენ ავადმყოფობ, მეც ავად ვარ, სულ ვკანკალებ...

პლატონს გაუღიმა — ავადმყოფს არ დაუნახავს; მივიდა — მან ვერ შენიშნა. ხოლო ბაგეებით რომ შეეხო იმის ფეხისგულს, პლატონი შეკრთა და თითქოს შეშინებულმა უეცრად შესძახა:

— კარგი ხარ, კეთილი ხარ, მაგრამ ახლა სიმშვიდე მინდა.

ქალი შორჩილად ჩამოშორდა, ჩიქის ტყავზედ დაჯდა, რომ ავადმყოფის-თვის ეთვალთვალა.

პლატონი გაჭირვებით სუნთქავდა. თავზედ რაღაც უჭერდა. მოვიგდები-ნებო, იფიქრა. მაგრამ თითებს ოდენ თფლიანი თმა ეწებებოდა. გულზედ რაღაც მძიმედ აწვა. ხელით მოისინჯა, მაგრამ არცრა აწვა ქიტონის მსუბუქი ქსოვილის გარდა.

დიდონა ხედავდა — პლატონი სულ რაღაცას ეწინააღმდეგებოდა, რაც აუტანლად ტანჯავდა. პლატონს ქუთუთოები დაუწითლდა. გუგებიც ჩაუწით-ლდა. თვითონ თვალებიც დღეს ავადმყოფური ჰქონდა, რა გრძნობიერია! შუ-ქიც კი გმირავს. დიდონა ადგა. ფრთხილად, რგოლები არ გაჟღარუნდესო, ფარ-დები გასწია. სამყოფელში ნელსურნელება მიმოაფრქვია. უფრო ადვილად ისუნთქებსო.

პლატონი ფიქრით აქედან შორს იყო. თავისი ნატიფი ფუფუნებიდან ბნელ საკანში გადაინაცვლა. იქ მან სოკრატეს უთხრა: უკეთუ ათენში სიმშ-ვიდესა და უშიშროების ვერ ვპოვებ, წავალო.

შუბლი შეიკრა. არქონტთ უარი თქვეს კებეტისა და სიმიას მიერ შეთ-ვაზებულ ფულზედ, სასჯელი ჩარიმით არ შეცვალებს. ექვი არ არის, აქ ვერც მე ვიქნები უშიშრად. უნდა ვემზადო წასასვლელად. სოკრატეს მოწინააღმ-დეგე მარტო ანიტე როდია. სოკრატეს ჩამოშორება ანიტესავით სხვა გავლე-ნიან კაცთაც სურთ.

და როცა ეს მოხდება, მეკვდარი სოკრატე თან გაიყოლებს მომდევნო

მსხვერპლთ. მე უკვე გადაბმულივითა ვარ სოკრატესთან... მე, ცოცხალმა, ცოცხლებისკენ უნდა ეზიდო ის... არაერთარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს, რომ მკვდარმა სოკრატემ მკვდრებთან წამიყვანოს. საქმეს კი ასეთი პირი უჩანს... პლატონი შეირბა, შიშმა მოიცვა. ტკივილის ბასრი ბრწყინებები ტვინში ღრმად ჩაესო შეპყვირა.

— ხომ არაფერი გნებავს? — გამოეხმაურა დიდონა.

— კი, — მიუგო. — დამიკოცნე, შუბლი, სახე, საფეთქლები, თმა.

ამა თხოვნით გაბედნიერებულმა დიდონამ სურვილი შეუსრულა.

მაშინ პლატონის აზრები კიდევ უფრო შორს გაფრინდნენ. სიცილია? კარგად იცნობს სირაკუსეელ ტირანს დიონისეს. იმას შეეკედლოს თავის სამუშაოიანად? თუ სადმე სხვაგან წავიდეს?

დიდონა პლატონს შუბლს უკოცნიდა, მისი ტუჩების აბრეშუმით ნაზი კანი ოფლის წვეთებს სწმენდდა.

— კი, — მალლად წარმოთქვა.

დიდონას ეგონა, პლატონმა ამ სიტყვით ჩემი ალურსით კმაყოფილება გამოხატაო, სიხარულით აენტო, ბაგეებით დააკვდა იმის ხელისგულთ, ვითარცა მტაცებელი რამ ფრინველი...

— კი, სიცილია, — გულზედ მოეშვა პლატონს. — შენ რა, აგერია? არ იცი, სადა მაქვს ტუჩები?

ქალმა ტუჩები დაუკოცა.

— ხომ არ გაწვალე? — ჰკითხა.

ახლა თავისი ქიტონის ქსოვილში და ქალის თხელ პეპლოსში პლატონმა თავის მკერდზედ იგრძნო დიდონას მკვრივი ძუძუსთავეები.

— არა, შენგან არაფერი არა მტკივა.

— გაურნავ?

— ჩემი სნეულება სულის სნეულებაა, და მე თვითონვე უნდა ვძლიო. მაგრამ შენ მიმსუბუქებ ტკივილს.

— ჩემი სულიც სნეულია, — თქვა დიდონამ, — ნუ დამსჯი იმისთვის, რასაც გეტყვი...

— შენ კარგად იცი — მე ისე არ გექცევი, როგორაც მონას. შენ ჩემი კეთილისმსურველი ხარ. ჩემი ტკბილი მეგობარი.

— შენ კი, ჩემო ძვირფასო, კი არ მიმსუბუქებ, მიღრმავებ ტკივილს, რაც შენ ბედნიერება მიჩვენე, ჩემთვის მხოლოდ აჩრდილია ბედნიერებისა...

დიდონა ადგა. წითელ-ყავისფერი პეპლოსი ემოსა, იტალიური ფიჭვის ფერისა. თმაში მწვანე ბაფთა ჰქონდა ჩაწნული. ოქროს საყურეები ეკიდა, და ამ საყურეებშიც იყო ის მოუსვენრობა, რაც თვით დიდონას არსებაში. ლამაზია და ალბათ იცის კიდევ, რომ ლამაზია, გაიფიქრა პლატონმა, და უთხრა:

— აჩრდილიო, ამბობ? მაგრამ აჩრდილნიც ხომ ცხოვრების განუყრელი თანამგზავრნი არიან! ზოგჯერ მშვენიერებით სინამდვილესაც აღემატებიან.

დიდონას თვალებში დაფარულმა ბრაზმა გაიელვა.

— რაც უფრო მშვენიერია აჩრდილი, მით უფრო მწარეა მისი ვაქრობის შემდეგ ცხოვრება...

პლატონი მოიღუშა:

— ნანობ, რომ აგიყვანე?

— ჰოც და არაც, — დიდონა თავს ვერ იოკებდა. — შენ, თავად ბედ-

ნიერი, შენი ბედნიერების ნამცევით მიჳრი, როგორაც მტრედთ უყრიან საკენკს. დიდხანს მიხლება დუღუნი, ვიდრე ველირსებოდე.

აქაც სოკრატეა, გაიფიქრა პლატონმა, რა ზუსტად შედავს ბეროკაცი ამ ადამიანთს პლატონმა ისევ აღერსიანი, მშვიდი ზმით მყოფი.

- შენის აზრით, მე ცუდი კაცი ვარ, დიდობა?
- არა, აფროდიტესა ვფიცავ!
- მაშ — კარგი?
- კი.

— მაგრამ არც კარგ ადამიანს შეუძლია ყველაფრის ქმნა, რაც სხვათ კარგი ჰგონიათ. არის, ჩემო მზეთუნახავო, ზოგ-ზოგი ნივთი რამ, რომლის შეცვლაც შეიძლება და არის ისეთიც, რომელაც ისეთივე უნდა დარჩეს.

დიდონამ გაუგო, მონა დარჩება მონად, მფლობელი — მფლობელად პლატონმაც გაძიგო: მეტად ბევრი უფლება მივეცი თავს, მან უმშვენიერესი აჩრდილი მაჩუქა, მე კი უკმაყოფილო ვარ, მაგრამ რა მომეღის ხვალ? როგორ არ ვიფიქრო ამაზედ? როგორ არ მუშინოდეს?

- დამტება, — თქვა მხევალმა ავინთო შუქი?
- აანთე.

დიდონა მორჩილად გაერდა, რომ შემობრუნდა, ხელთ ანთებული კვარი ეჭირა და იმით სუფველა ბაზმა აანთო პლატონს შეხედა, ქიტონი იმის სახეზედ ოდნავ უფრო თეთრი იყო, ტკივილი კვალად ტკივილდებოდა, პლატონი საბეზედ ხელს ისვამდა, თითქოს დიდონას კოცნა უნდა რომ აღიდგინოსო, უკანასკნელი კოცნა... საწყალი ჩემი დიდონა!

მთელი ერთი დღე ლოგინში, ღამეც ლოგინში, ტკბილ სიმშვიდეში, დიდონას ნაზი ზრუნვა — და პლატონმა მრიკეთა, აბაზანა, სხეულის მსუბუქი დახელა, გემრიელი საუზმე და ავადმყოფი ჯვებზედ დადგა.

პერისტილში გამოვიდა, სადაც დასვენებას იყო მიჩვეული, სავარძელში ჩაჯდა სვეტნარის ჩრდილქვეშ შინ ეს იყო იმისი საყვარელი ადგილი, აქ უბრძანებდა ხოლმე პატარა შავიდის, საწერ-კალმის გამოტანას და წერდა, აქ ვარდების სურნელებაში იწერდა თავის მოგონებებს, აქ თავს უყრიდა სოკრატეს აზრებს, ყალიბში ასხამდა და სრულყოფილ ლიტერატურულ ნაწარმოებებად აქცევდა.

დღესაც ასე ქნა, თავის დამოკიდებულებას ეძებდა იმის მიძართ, რასაც სოკრატე თავის ტკივილს უწოდებდა, იმ მძიმე მოვალეობის მიძართ, რასაც პლატონი ამ ანდერძში ხედავდა: არჩევდა, უანალოზებდა — ამოდ, რამსიმორიდან ხედავს სოკრატე აუცილებელ ცვლილებებს სახელმწიფო წყობილებაში! ჩანს, სახელმწიფოს უმონებოდ წარმოდგენა სურს, მაგრამ განა ეს შესაძლებელია? მაშინ ვინლა იმუშავებს? რამსიმორეზედ იყურება ეს ბეროკაცი? პლატონმა ხელში ლერწმის კალამი შეათამაშა... ან იქნებ სულაც წინასწარმხედველია? პლატონმა გაიცინა, თავის თავს უბასუხა: ბავშვდება ბეროკაცი...

- კივა, რატომ აცივდა ისევ? ხუთჯ კვალად იმის ქვის დილუგში ვარ, რა ხდება სულ იმას რატომ ვუტრიალებ?

მოკლე დორიულ ქიტონზედ გრძელი ქლაძინდი მოისხა, ჭრელად ფრიხვე-

ლებამოქარგული. არ უნდა იფიქროს! არ უნდა იფიქროს! ფიქრი ტკივილია. მტანჯველია.

ამოჩუბჩუხებულ შადრევანს მიაშტერდა, ბავშვობიდანვე ხსენებდა „საოცარ ძმას“ უწოდებდა. შადრევანი წყნარად თრიალვდა, ხუბჩუხებდა, შეიდფრად მოლივლივე ქოჩორს ქარის მზარეს ხრიდა, წყლის ნაშიშხალში ცისარტყელა ციაგებდა.

პლატონი სილამაზით გარემოცული იზრდებოდა. ყველა ნივთი, რაც კი შინ ჰქონდათ, ზარაფრთი თუ სახმარი, ხელოვნების ნაწარმოები იყო. ისინი სიცარიელის შიშისგან ათავისუფლებდნენ. ამ ნივთთა მოყვანილობა, ფერი, ფიგურებისა და ძველი თქმულებების მთელი სცენების გამონათქვამები პლატონს წარმოდგენას უღვიძებდა. აზრის სიმდიდრესა სძღვნიდა.

ეს თქმულებები სიყმაწვილიდან უყვარდა. ყოველ მათგანში ღრმა აზრს ეძებდა. ყმაწვილის წარმოსახვაში ისინი განასახიერებდნენ დედამიწისა და სიცოცხლის წარმოშობისა და არსებობის საიდუმლოებას. განასახიერებდნენ ღმერთებისა და ტიტანების ბედ-იღბლის საიდუმლოებას, რომელ ბედ-იღბალსაც ბევრი რამ ამსგავსებდა ადამიანთა ბედ-იღბალთან რეალურ და არარეალურ მოვლენათა ერთმანეთში არევის წყალობით.

რასაც უნდა მოხვედროდა თვალი — ფარდებს, მოზაიკას, ფერწერას, რასაც უნდა შეხებოდა ხელი — ფიალას, სანათს, ძვირფასეულობის შესანახ ლუსკუმას, — ყველგან ფრთიანი ჰერმესი, პეგასი, ეროსი, ურჩხულებთან შეპყრობილი გმირები ან ერთიმეორესთან შეჭიდებული გმირები ჩანდნენ. რაც ღმერთი თუ ღვთაება იყო — ტყისა, წყალთა თუ მთის დემონები, სატირები და ნიმფები, — სულ ადამიანის ცხოვრების ნაწილად მოკვდავის თავზედ დატეხილ ღრამად თუ ტრაგედიალ გამოიყურებოდნენ...

სოკრატე უარყოფს ოლიმპიელ და სხვა ოფიციალურ ღმერთთა არსებობას: ამ მეტისმეტად ხორციელ, ხშირად ველურ ღმერთებს ის უპირისპირებს წარმოდგენას უზენაეს, უფრო სრულყოფილ ღვთაებაზედ, და ამ ღვთაებას უკავშირებს სიკეთის, სილამაზის, სათნოების ცნებებს.

პლატონი, რომელიც ყმაწვილკაცობაშივე ჩახვდა სოკრატეს ამ შეხედულებებს, უფრო შორს წავიდა. გადაადგილა ეს უღმერთო ღვთაება კაცობრივი სამყაროს საზღვრებს მიღმა, და, როგორც თვითონ ღმერთი, ისე განსაზღვრა სიკეთის იდეა. ამიტომ არსებული კანონების საპირისპიროდ პლატონი სოკრატეში, ამ კეთილ და სამართლიან კაცში, უაღრესად ღვთისმომშიშ ადამიანსაც ხედავდა.

პლატონმა ამოიხბრა, რა მშვენიერი შეიძლებოდა რომ ყოფილიყო ქვეყნიერება! მაგრამ საამისოდ ყველაფერი, რაც ცხოვრებას შეადგენს, ჰარმონიით უნდა იყოს გამსჭვალული. პლატონს საშინლად უნდოდა, რომ დაეშოშმინებინა ყოველივე მღელვარე, თავაწყვეტილი, მოუწესრიგებელი. სოკრატესგან განსხვავებით, ის თავს უკეთ გრძნობდა განმარტოების ეპოს ან რჩეულთა საზოგადოებაში, ვიდრე მოფუსფუსე ადამიანებით სავსე ბაზარში. პლატონს ისე ჰქონდა წარმოდგენილი, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას სიკეთისა და წესრიგის ატმოსფერო, და ფიქრობდა, რომ ასეთი სახელმწიფოს სათავეში ბრძენი კაცი — ფილოსოფოსი უნდა დაეყენებინათ. მაგრამ ფილოსოფოს გამგებელზედ რომ ოცნებობდა, პლატონი თავის თავს იმას აღარ ეკითხებოდა, თუ ვისი ინტერესები უნდა დაეცვა იმ ფილოსოფოსს? პლატონი სოკრატესავით ფართოდ ვერ ხედავდა, გარშემო მყოფთ ერთნაირად ვერ არჩევდა.

მოსახლეობას ის წოდებების მიხედვით ყოფდა. მრავალთა ინტერესებს ითვალისწინებდა. მაგრამ მონათ ამ წრეში არ ახვედრებდა, თუმცა ათენში თითქმის იმდენივე მონა იყო, რამდენიც თავისუფალი მოქალაქე და თანაც იყოდა, რომ თავიანთ მფლობელებზედ ბევრად უფრო განათლებული და კეთილშობილი მონებიც იყვნენ! თვითონაც შეხვედროდა ასეთებს და სოკრატესგანაც გაეგონა — და მაინც მონათ მისი ოცნების ზღურბლზედ წაუყვანოდა.

და აი, სოკრატე ახლა ისევ თავს ახვევს ამ პრობლემას. პლატონმა კალამი განზე გადადო დღეს სამუშაოს გული ვერ დაუდო. ეგების მაშინ, ოდეს სოკრატეს ამბავი გასრულდება... და როცა პლატონი ათენიდან სადმე შორს იქნება...

— დიდონა! — დაუძახა. — გხედავ! დაფნის ბუჩქის უკან იმალები და ჩუმჩუმად თვალს მადევნებ, რატომ? ვამოდი, მიცეკვე რამე!

დიდონა ბუჩქებიდან ცეკვა-ცეკვით გამოძვრა, ქანდაკებებსა და ყვავილებს შორის გასრიალდა, მოქნილ ტოტსავეთ ირბეოდა, მოსხმული პეპლოსი უფრიალებდა და კოსტა თეძოებს ზედ წელამდე უშოშვლებდა. გამკვირვალე ქსოვილში ჩანდა, როგორ უკრთოდა მკერდზედ აუძუები.

პლატონი ტკბებოდა ამ წუთებით — მშობლიურ კერასთან ცოცხალ და არაცოცხალ მშვენიერებასთან მწუხარე გამომშვიდობების წუთებით.

დიდონას მიუხედავად, ქალს შეეშინდა, ხელში ხანჯალი რომ დაუნახა, მაგრამ მორჩილად მიუახლოვდა, ცეკვა-ცეკვით თავი უკან გადაიგდო და შიშველი ყელი მიუშვირა. პლატონმა აკოცა, მერმე ბუჩქს ხანჯლით რამდენიმე პატარა ყვითელი ვარდი შეაჭრა და ქალს თმა დაუშშვეს.

— შენი ცეკვა თვით მოძრაობის პოეზიაა, ამად გამკობ ვარდის გვირგვინით, ქალს სახე გაუბრწყინდა, ნეტლე, თუ ხვდება, რომ ეს დამშვიდობების დღეებია? ვერა, იღიმება, ეს კარგია, არ მინდა ამისი ცრემლის ხილევა.

ჯერ კარის ჩაქუჩის კაკუნი მოესმა, მერე ნაცნობი ხმა, გაუკვირდა, რამ აიძულა ბებერი კრიტონი, რომ პირადად მისდგომოდა კარს? ბუნდოვანი შიშით მოცული აკანკალდა...

თხელი ქსოვილის კალთებნაოჭიანი პიმატიონით მოსილი კრიტონი მარმარილოს სვეტებს შუა ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა პლატონისკენ, და მიუხედავად სიბერისა, ნაბიჯი მწყობრი და მტკიცე პქონდა.

— ჰაირე, ძვირფასო.

პლატონი შესაგებებლად გაეშურა, ხელები გაშალა, გულში ჩაიკრა.

— ჰაირე, ძვირფასო სტუმარო!

— შენ მჭირდები, ემაწვილო.

პლატონის მღელვარებაში იმატა.

— მე?

— სწორედ შენ, მიხარია, რომ უკვე მოიკეთე.

კრიტონმა — სულაც არა როგორც სტუმარმა, არამედ უფრო როგორც მასპინძელმა, პლატონი სვეტნარის ჩრდილში გაიყვანა, მარმარილოს სკამზედ დასხდნენ, მოპირდაპირე მზარეს ცბიერი ეროსი ბავშვური საბით იღიმებოდა და მშვილდმომარჯვებული პირდაპირ გულში უმიზნებდა სიყვარულის ბასრ ისარს.

— სიყვარული, — გაიღიმა კრიტონმა. — დიას, სიყვარული თავისი ძალით მრავალნაირია... საიდუმლო ცხოება მოგიტანე.

— სასიამოვნო? — პლატონს უხდოდა, ეს სტუმრის კილოთი შეეცყო.

— ჯერეთ მხოლოდ იმედი, რომ სასიამოვნო იქნება. — ამოიხრა კრიტონმა და მიუთხრო, რომ მეგობრებთან ერთად ყველაფერი ილოხა სოკრატეს გასაქცევად. გაქცევა საჭიროა დღეს ღამით. წმინდა ტრიერი ~~შევა~~ დაუნახავთ პორიზონტზედ ეგინასთან. ხვალ სოკრატეს საკანს ხალხის ბრბო მცველნი მიაწყდებიან, გაქცევა შეუძლებელი გახდება.

— დღეს ღამით მოხერხდება? — ხარბად იკითხა კრიტონმა.

— ალბათ, იმედი უნდა ვიქონიოთ. მეციხოვნეთ და დარაჯთ საკმაო ფული შევძლევნი, რათა შემთხვევით დაუდევრობა გამოიჩინონ... თუმცა სოკრატეს ისედაც ძალზედ დაუდევრად დარაჯობენ — ალბათ არა შემთხვევით.

— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შენს წამოწყებაში საშიში არაფერია? საკუთარ თავსაც და სხვასაც საფრთხეში ხომ არ ჩააგდებ?

— ჩავაგდებ. — მიუგო კრიტონმა. — შენც ჩავაგდებ, ნუ გეშინია.

— სიყვარული გამოქმედებს.

— სოკრატემ დაიმსახურა.

მე ჩემი თავი მყავდა მხედველობაში, ძვირფასო მეგობარო, როცა სოკრატეს გადასარჩენად გინდა, რომ რამე ჩამადენინო, ამით ჩემს მიმართ სიყვარულს იჩენ. — ჩაილაპარაკა პლატონმა.

ამ სიტყვებმა კრიტონი გაახარა, ასე ნამდვილი მეგობრები ლაპარაკობენ. და მან პლატონს სთხოვა, დამეხმარე, რომ სოკრატე დავიყოლიოთ, გაქცევაზედ დაგვეთანხმოსო. პლატონს გაუკვირდა — რა მცირეს, რა უმნიშვნელო რამესა მთხოვსო!

— მაგას რა დახმარება უნდა! სოკრატეს გაეხარდება კიდევ!

— დარწმუნებული ხარ?

— არჩევნის წინაშეა, რატომ უნდა აირჩიოს უარესი? მერე როგორ უყვარს სიცოცხლე!

— მაგრამ სასამართლოზეც ხომ დაამტკიცა, რომ არის ზოგი რამ საგანი, რომელიც სიცოცხლეზედ ძვირად უღირს?

პლატონმა ისეთი დამაჯერებელი დაყენებით უბასუხა, თითქოს წინ თვითონ სოკრატე უდგასო.

— ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რასაც ის ადამიანსა და საზოგადოებას უყენებს, სამართლიანობაა. შენ კი შენი წინადადებით სამართლიანობას აღადგენ: გაქცევაზედ უარის თქმით სოკრატე ნებაყოფლობით დაემორჩილება უსამართლობასა და უკანონობას.

— ვიცი ეგ, ახალგაზრდა მეგობარო. — უთხრა კრიტონმა, — მაგიტომაც ვცდილობ უარის თაყიდან აცილებას, იმისი სიყვარული, კიდევ უფრო ათენის სიყვარული მაიძულებს ზრუნვას იმისთვის, რომ ქალაქმა თავი არ შეირცხვიხოს ამ სასამართლო მკვლელობით.

პლატონმა უეცრად სიმშრალე იგრძნო ყელში, ამან სტუმართმოყვარეობის მოვალეობა მოაგონა, რასაც ასე ცუდად ასრულებდა. ტაში შემოჰკრა გამოვიდა მონა, ორივე დესპოტს თავი დაუკრა. პლატონმა ჰკითხა:

— რომელ ღვინოს ინებებ, ძვირფასო სტუმარო?

— თეთრს.

წუთში მოიტანეს კრატერი ღვინისა და წყლის შესაზავებლად, აგრეთვე ოქროს ფიალები, რომლებზეც მოცეკვავ ბაკქანტები იყვნენ გამოსახულნი.

კრიტონმა ფიალა ხელში შეაბრუნა, ატეხილი ღვინო შეათვალა.

— როგორ ფიქრობ, პლატონ, რატომ მოვედი სწორედ ამ თხოვნით შენ-

თან? შენ, ძვირფასო, ყოველ წუთს მზადა ხარ ათენის მისატოვებლად, აქ თავად თქვი. უკეთუ ეს ასე უმტკივნეულოდ მიგაჩნია, ყველაზედ არცაღ სწორედ შენ დაარწმუნებ იმასაც. მეგობარი ელადაში შენც ხევი გყავს და მეც სოკრატეს თავშესაფრის პოვნა არ გაუჭირდება. თუკი ეცოდინება, რომ სადმე სამშობლოს გარეთ შეგხვდება, შენში იქაც იპოვნის ^{საქტისკმ მათქმს} იქნებ ამან გადააწყვეტინოს გაქცევა.

პლატონი აენტო:

— ათენის მითოვება არც ჩემთვის იქნება უმტკივნეულო, ძვირფასო კრიტონ! მაგრამ უკეთუ მსურს ფილოსოფოსის დანიშნულების, სოკრატესმიერი შვილის დანიშნულების ასრულება — წავალ, თუმცა გულისტკივილით. — მარმარილოს პერისტილი დაანახვა, ქანდაკებებით დამშვენებული, აგრეთვე თავისი საყვარელი შადრევანი, „საოცარი ძმობილი“. — შეხედე ამ ალერსიან კერას — ეს ჩემი კანი და ტყავია, უამისოდ სისხლისგან დავიცლები, მაგრამ უნდა წავიდე, სხვანაირად ვალს ვერ აღვასრულებ.

კრიტონმა ხელი მოუჭირა:

— ვხედავ, ჩემი არჩევანი სწორია, გავეჩქაროთ სოკრატესკენ.

სიკვდილზედ ფიქრობს, იმისთვის ემზადება — ხვალ წასასვლელია... ამ ორს კი სურთ, რომ შემოაბრუნონ, უკან გაგზავნონ, სიცოცხლის გზაზედ!

მეტისმეტად მოულოდნელია. სოკრატემ საწოლს ჩაავლო ხელი, რომ არ დაცემულიყო, გულზედ ცეცხლი მფედო, სულის მოთქმა გაუჭირდა. სიტყვა ვერ დაეძრა.

ისინი კი, თვალებანთებულნი რომ მოვიდნენ და თავისუფლება შესთავაზეს, ახლა შეშინებულნი შესცქერიან ამ ამბით შეშფოთებულს. გაუძლებს კი ამ სიმძიმეს?

აპოლოდორე ახლოს მიუჯდა, მხრებზე მოეხვია, ხელი შეაშველა. სოკრატე არ ეწინააღმდეგებოდა აი — სული მოითქვა ცეცხლმოდებული გული ნელნელა უგრძობდებოდა.

კრიტონმა გადაწყვიტა, რომ ამ საუბრის დასწრება სოკრატეს მხოლოდ იმ მეგობართ და მოწაფეთ შეეძლოთ, ვინც გაქცევის მომზადებაში განდობილი იყო და დახმარებაზედ თანხმობა განაცხადა.

ეს რამდენიმე კაცი ახლა პირდაპირ იატაკზედ იჯდა, ქვეშ დახვეული პიმატიონები ეგოთ, ან ფეხზედ იდგნენ, დაძაბულნი და გარინდებულნი, ფერფლისფერნი, მაგრამ საკნის ბინდში თითქოს კიდევ უფრო ფერმიხდილნი ჩანდნენ.

სოკრატემ შეამჩნია, რომ დააფრთხო და შეაშინა ისინი, აპოლოდორეს, რომელიც ზურგს უმაგრებდა, ხელი დაუჭირა, მუხლზედ დაიდო და ამეტყველდა:

— მეგობარნო! ნუთუ იმან გაგაოცათ, რომ თქვენმა ცნობამ ლამის ძირს დამაგდო? ბერიკაცს, რომელსაც სახვალიოდ უკვე ციკუტას უწყავენ, თქვენ ახალ დაბადებას უმზადებთ — და გინდათ, რომ თვალის არ დაახამბამოს? და შენ, შენ, ჩემო კრიტონ, გგონია, რომ აგრე რიგად მერჩის ღონე? შენ კი, ძვირფასო პლატონ, ვისაც ადამიანზედ მეტად წარმოგიდგენივარ, გიკვირს, რომ ამა ამბავმა აგრე გამაოცა? — თითოთ დაემუქრა. — ჩუმად, ჩუ-

მად! დგახართ და ტიტანურ ლეგენდებს პყვეებით ჩემზედ უკვე ბევრი რამით გაწყობეთ ახალგაზრდანი, ჩიტმა მომიტახა ამბავი თქვენთვის, თქვენთა სკოლათათვის: თქვენთა პაპირუსთათვის ჩინებულნი რამ მახალა კიდევ ერთი და უკრობელი ამბავი. სოკრატე ქეშმართი ფილოსოფოსის სიმშვილით ხვდება როგორც უსაშინელეს, ისე ყოვლის უფრო სასნამოვნო ამბავს. სულელნი! — გაიცინა. — განა არ იცით, რარიგ მიყვარს სიცოცხლე? უფროსად ყოველ ლუკმას მოწიწებით ვღეჭავ, მანამ ვღეჭავ, სანამ ტკბილი უფროსი მომეჩვენება, არცა კიდევ ღვინის სმა ვიცი დაუგემოვნებლად... ახლა მზის ხილვას არ იკითხავთ! — მაღალ ჭერში გამოკვეთილ პატარა დოღაბს ახედა. — ისევ ყოველ დილას უნდა მივემშვიდობო... პაირე, ჩემო ოქროს ბურთო! დილის მზე სულაც არ არის მწველი, პირდაპირ თვალებში მაცქერინებს...

— ველოდათ, რომ გაგახარებდით, — უთბრა გრძობამორეულმა კრიტონმა.

სოკრატემ ხმამალალი სიცილით დაფარა მღელვარება.

— იმ სახარულმა, აქედან ცოცხალი გავალო, პაპა სოკრატე ლამის ჭკუაზედ შეშალა პირდაპირ იწვის, კიდევ მოუნდა ქუჩა-ქუჩა ხეტიალი, ყოველ შემხვედრთან ბლაღუნნი... ათენში მეორე ამისთანა მოღაპარიც არ მოიძებნებოდა. — აქ შებორძიკდა თავისი ათენის ხსენებაზედ, მაგრამ უმაღ გაიმაგრა თავი. — სიტყვას გაუბაძს მოვაკრეთ, ხელოსანთ, ჩამოსულთ, შეგირდთ და იმათ, ვინაც პალესტრებში ვარჯიშობს, და ზოგ რამეს, ძილშიც დუღუნებს, როგორც ქსანთიბეც ადასტურებს.

რადაც უცნაურად ხვდება სიცოცხლისკენ შემობრუნებასო, გაიფიქრა პლატონმა.

სოკრატე თანდათან მშვიდდებოდა, თუმცა მხიარულ კილოს ინარჩუნებდა — სწორედ ამის წყალობით ახერხებდა დამშვიდებას.

მადლობის თქმა მმართვეს, ჩემო მეგობარნო, — კრიტონსა და სხვათ ისე დაუკრა თავი, არც წამომდგარა. — მაგრამ ამით საკუთარ თავზედ უამრავ უბედურებას იტეხთ — და სულ იმის გულისთვის, რომ თესალიაში კრიტონის მეგობართან ერთად გემრიელი კერძების ჭამა შემაძლებინოთ. გამოდის, რომ ისევე იქნება, როგორაც პრიტანიუმშია, ოდნავ სხვაგვარად, რას იზამ, ურიგო არ იქნებოდა — დრმა სიბერემდეც კი...

— ურიგო არ იქნებოდა, და დაიმსახურე კიდევ — განსაკუთრებით ათენელთა უმადურობის შემდეგ, — მიუგო მაშინვე პლატონმა.

სოკრატემ გაიღიმა.

— ცხადია, ეს სრულებითაც ის არ არის, რომ იქ, სადმე, ფერწასული ასფოდელლოთი მოფენილ მდელოზედ ვიჯდე და რადამანთისს ვედავო, ღვთისმოსშიში ვარ თუ უღმერთო. წარმოდგენილი მაქვს — იქ სულ დაიბნევიან, ვერ გაარკვევენ, როგორ მომექცნენ: ტარტაროსში ჩემი ჩაგდება არ ეგების — მე ხომ ღვთისმოსშიში ვარ, ხალხო ელისიაშიც არ შემიშვებენ, რადგან უღმერთო ვარ.

გაჩუმდა, გაიფიქრა: ციხიდან რომ გავიქცე, იგივე მომელისო, აღარც ათენის მოქალაქე ვიქნები, აღარც იმ პოლისისა, სადაც კრიტონი გამაგზავნილს. ეს აზრი განდევნა და დაუმატა:

— რა სჯობს იმას, რომ კვალად ვესაუბრები პლატონს, რომელიც თესალიაში ჩამოსვლას მპირდება, უეჭველია, ბევრი თქვენგანიც მომინახულებს... ზოგი სახედრით, ზოგიც ცხენით, ასე და ამგვარად „სააზროვნო“ ჩემი, დრო-

ებით აქ, დილეგში გადმოტანილი. კიდევ უფრო შორს გადავა. აგრე მაქვს ეს ყოველივე წარმოდგენილი, ძვირფასო კრიტონ, და თქვენც, დანარჩენთაც არა?

ერთიმეორეს არ აცლიდნენ. პპირდებოდნენ, არ მიგატოვებო. სადაც არ უნდა აღმოჩნდეთ. მხოლოდ კრიტონმა უბასუხა სხვათაგანს.

— ძალიან იოლად უყურებ, ძმაო ამ ამბავს. იცინის, უნდა შენი მხიარული დემოკრიტე გაგონდებია... კარგი განწყობილება გიბრუნდება.

— მე ვიტყვოდი, — მიუგო სოკრატემ, — რომ თქვენს ბებერ მოძღვარს ჯერეთ არ განუცდია ასეთი სიკეთე, როგორც ახლა, რადგან აქამდე არცრა სიკეთე არ მომვლენია იმ ფიალის შესაცვლელად... თქვენ იცით, რა ფიალასაც ვგულისხმობ.

სოკრატე ხედავდა, რარიგ ახარებდა მეგობართ იმისი სიხარული, და წყნარი მეოცნების ღიმილით უსმენდა კრიტონს, აჩქარებით რომ მოუთხრობდა, თუ როგორ გულმოდგინედ მოიფიქრა და მოაწყო ყველაფერი. მეციხოვნე და მისი მსახურნი უკვე მოესყიდა. ის კაცი კი, ვინაც ღამით დილეგს გააღებდა და ვისაც დაატყდებოდა მთელი პასუხისმგებლობა, თვითონაც იმავე ღამეს გაიქცეოდა. იმას, რაც არქონტ ბასილევსს სახელმწიფო ხაზინისთვის არ მიეღო, ხალისით მიითვლიდნენ ეს წვრილმანი კაცუნები, რომელთაც თან სწამდათ, რომ სოკრატეს განთავისუფლება სამართლიანი საქმე იყო.

— ეს ყველაფერი დამაჯერებლად და მომხიბლავად გამოიყურება. — შეაქო სოკრატემ. — არ მიკვირს, რომ ამდაგვარად წარმოგიდგენიათ საქმე, შენც კი, კრიტონ, ვისაც ცხოვრების დიდი გამოცდილება გაქვს. მაგრამ ნუ ვიჩქარებთ, — სთხოვა ძველ თანამოაზრეს. — არ ვიცი, ბევრ ვინმეს... უფრო სწორად, არიან თუ არა ქვეყნად ისეთნი კაცნი, ჩემს მდგომარეობაში რომ აღმოჩნდებოდნენ. ამაზედ მოვილაპარაკოთ. საამისოდ მთელი დღე გვაქვს.

— სიამოვნებით, ძვირფასო მეგობარო, — დაეთანხმა კრიტონი. — დღეს სხვა რამეზედ ლაპარაკი არც შეგვიძლია.


— ვთქვათ, — დაიწყო მსჯელობა სოკრატემ. — ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც კრიტონმა ბრძანა. და მე მშვიდობით გამოველ დილეგიდან. ახლა დახუჭეთ თვალები და წარმოგიდგინეთ ამაღამდელი ღამე და მე. ვინაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში რვაფეხასავით ვიყავი მიკრული ათებს, ახლა, ხანდაზმულობაში, ქურდსავით მოვიბარები ქალქის ალაყაფის კარიდან. ზურგს უკან ნაბიჯის ხმა მესმის, სვეტო ვეფარები... თ, რახანიჩი სამოსი მომიმზადეთ გასაქცევად? თქვენს მოძღვარს მწყემსს ადარებენ — გრძელ მწყემსურ ლაბადას ხომ არ მომასხამთ? თავზედ ალბათ ფართოფარფლებიან ქუდს ჩამომაფხატავთ! ქუდის თასმებს ნიკაბქვეშ შემოკრავთ, მაღალეულიან ზონრებიან ჩექმებს ჩამაცმევთ — რაღა დარჩება ჩემგან? მხოლოდ წვერულვაში! წვერ-ულვაში კი ბევრსა აქვს... მოკლედ, წარმოდგენილი მაქვს, როგორ გამომაწყობთ! სულ გავქრები ამა ქვეყნიდან...

— არაფერიც, — მიუგო კრიტონმა. — ჩვენ ხალხი ვიჭირავთ. ტახტრეევანდით წაგაბრძანებენ, ვითომ ექიმი ხარ და ავადმყოფთან მიგვეყვებარ...

— ექიმი ნამდვილად საჭიროა, მეგობარნო, და ახლავ თანაც, თქვენთვის, — საყვედურით შეაწყვეტინა სოკრატემ. — ჩემის დარდით ღამის კკუაზედ შეშლილხართ. თუმცა ხუმრობა იქით იყოს — მოდით ყველაფერი ავწონდავწონოთ გაქცევის სასარგებლო და საწინააღმდეგო.

— კარგი, ეგ შენი ჩვეულებრივი მეთოდია, — თავი დაუქნია კრიტონმა

და საკმაოდ დამაჯერებლად დასძინა: — ოღონდ გახსოვდეს, რომ ელად გ-
ძევს შენი სიცოცხლის გადარჩენა, შენივე ცოლ-შვილისა და ათენისთვის, შე-
ნივე მეგობართათვის!

ცოლი, შვილი, მირტო, მეგობრები, ათენი... თითქოს ვულ შველონდა
როგორც მაშინ, სასამართლოზედ, თვალთაც დაუბნელდა.  შენც გაუწყ-
და. ცოლი, შვილი, მირტო... სოკრატემ სახეზედ ხელუბნა — აიყვანა და თავი
მუხლებში ჩარგო.

— დალიე. — პლატონის ხმა გაარჩია. — გაგამხნევენს...

გასწორდა. თვალწინ სიბნელე ჭაჭრა.

— გმადლობ, პლატონ, უარს არ ვიტყვი. — ფიალა გამიართვა. — მო-
დი, ერთად დაგლიოთ და ვკამოთ. მძიმე აზრნი მეტ ძალას ითხოვენ, ვიდრე
მუშაობა ქვის სამტეხლოში.

სურვილი შეუხსრულეს თვითონ სოკრატე ცოტას ჭამდა. ვერ ლუკმა
წესიერად არც გადაეყლაბა, რომ ალაპარაკდა:

— რასაც თქვენ მთავაზობთ, ძვირფასნო, კარგი რამეც არის და ცუდიც.
მომხიბლავიც და ულამაზოც. კრიტონ, შენს ჩამოთვლაში დაგავიწყდა მთავარი
პიროსი, ანუ ჩემი, კიდევ ჩემთა მტერთა დასახელება.

— ამ სიაში იმათი ჩართვა. — მიუგო კრიტონმა, — მხოლოდ ავგიმსუ-
ბუქებს რაც შეიძლება შორს და რაც შეიძლება მალე წასვლის გადაწყვეტი-
ლებას.

ახლა სოკრატე უკვე თვითონ გადაეხვია აბოლოდორეს.

თქვენ მე სიკვდილის ნაცვლად სიცოცხლეს მთავაზობთ, ესე იგი, ყვე-
ლაზედ მშვენიერს. ყველაზედ უკეთესს თქვენის თვალსაზრისით, ერთგულ
მეგობართა თვალსაზრისით — კრიტონსა და პლატონს გადახედა, იქვე რომ
იდგნენ. კედელს მიყრდნობილნი. — ოჯახი მაქვს, ქსანთიბე, ლამპროკლე,
მირტო ბედნიერნი იქნებიან, თუ ეცოდინებათ, რომ სადღაც უშიშრად ცხოვ-
რობ და არცრა მაკლია. მაგრამ მაქვს თუ არა უფლება, რომ ესეგვარი ბედ-
ნიერება მივანიჭო? მაშინ ხომ ჩემი ოჯახი ლტოლვილის, კანონის დამრღვევის
ოჯახი იქნება? ხალხი თვალს აარიდებს, ხურგს შეაქცევს, ნამცეცი სიბრაღე-
ლიც არ ექნებათ იმათი. ხოლო აუ უსამართლოდ მომკლავენ, ხალხი ჩემს
ოჯახს ყველაფერს უხვად მისცემს, რისი მიცემაც შეუძლია. მაშინ ჩემები
უშიშრად და შეძლებულად იცხოვრებენ. განა ყოველივე თქმულიდან გამომ-
დინარე არა ჩანს, რომ უშიშროებასა და შეძლებულ ცხოვრებას მხოლოდ
ერთი ჩვენგანი უნდა ეზიაროს: ან ჩემი ოჯახი, ან მე?

კრიტონი ჭიუტად დუმდა.

— ძნელია შენი შედავება, მაგრამ მაინც შეგედავები. — დააოღვია დე-
მილი ანტისტენემ. — საკუთარ სიცოცხლეს შენ ოჯახის შეძლებულ ცხოვრე-
ბას და უშიშროებას უპირისპირებ. სიცოცხლე მეტია.

— მეშინია, ანტისტენე, ამ შემთხვევაში ჩემი სიკვდილი უფრო საჭიროა,
ვიდრე სიცოცხლე.

აბოლოდორე სოკრატეს ხელიდან დაუსხლტა და ფიცხლად შესძახა:

— მაგაში ვერავის ვერ დაგვარწმუნებ!

მაგრამ სოკრატემ მტკიცედ წართქვა:

— ვნახოთ, მაინც შევეცდები. სიკვდილი ყოველთვის სიცოცხლის მტერი
როდია. განა ხშირად სიკვდილი არ ეხმარება სიცოცხლეს უფრო მეტ სრულ-
ყოფაში? განა არა ხდება, რომ სიკვდილი უმაღლეს სულიერ ღირებულებათა

შობელ დედად იქცევა ზოლმე? მა, რას იტყვიტ, ჭილოსთფიის ტრფიალნო? თუ ვცდები?

ვერც ერთი იმათგანი ვერ უარყოფდა ამოტეშმარიტებას, რომელიც ბრავალჯერ შეემოწმებინა ისტორიას და თანამედროფობუტაყ, ცდსტურდებოდა მაგრამ მეგობართ სოკრატეს ისიცოცხლისთვის უკანსტულსტუნსტეიებამდე ბრძოლა გადაწყვიტეს, ახმაურდნენ

კრიტონი გააღიზიანა სოკრატეს წინააღმდეგობამ და კუშტად შეუძაბა:

— აბა რა ლოგიკაა, სოკრატე, იმაში, ზომ შენ ნებაყოფლობით უხრი ქედს უსამართლობას?!

დანარჩენთ ერთხმად დაუჭირეს მხარი, კრიტონი კი თავის აღშფოთებას აჩქარებით გამოხატავდა:

— ახლა მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია ამ უსამართლობის გამოსწორება, თავს რომ დაგატიხეს, — სხვას აბა ვისა აქვს ამისი თავი?

განაკრძე, კრიტონ, — სთხოვა სოკრატემ, — მგონი, სიტყვა ჯერეთ არ დაგისრულებია.

კრიტონი თვითონ სოკრატეზედ მეტად ლელავდა, თითქოს პირადად ის უხდა დალუბულიყო ამიტომ უცებ ვერ მოიბზრა, კიდევ რა უნდა ეთქვა.

ფერი დაკარგა.

— ათენის კანონები წმინდაა ყოველი მოქალაქისთვის, — დინჯად წარმოთქვა მან, — ყველა მოვალეა, რომ პატივი სცეს და დაემორჩილოს, მაგრამ აქ ზომ კანონი არ ყოფილა — აქ იყვნენ გაბოროტებული ადამიანნი, რომელთაც სოკრატეს განადგურება სურდათ! და ახლა ჩვენი კი არა, ამისი საქმეა ამ დილემის გადაწყვეტა.

კრიტონს გარედან რაღაც შრიალი შემოესმა, კარი გამოაღო, გაიხედა, ვინ არისო, მეციხოვნე იყო, რომელსაც გაქცევა უნდა შეემსუბუქებინა.

— რაო, თანახმა არ არის? — ჩურჩულით პკითბა მეციხოვნემ კრიტონს.

— დაგვეთანხმება — ოღონდ არკვევს.

— უყურე ერთი, რა ბრძენი ყოფილა...

— შენ აქ რათა ხარ?

გდარაჯობთ, ძალიან ხმაურობთ, თუ ვინმე გამოჩნდა, უმაღ გაგაფრთხილებთ.

საკახში კი გაისმოდა სოკრატეს მელოდიური ხმა, მგზნებარე, დამატყვევებელი:

— აბა, კანონებით შეიარაღებულან... თქვენ, ცოცხალნი, რომელთაც სიცოცხლე გინდათ, — პლატონს მიუბრუნდა, — კანონთ არ უნდა აღუდგეთ, არც მე აღუდგები, მაგრამ დღეს თუ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მე ამჟერად კანონთ უნდა დავემორჩილო, მაშინ სწორედ ჩემი სიკვდილი შეცვლის ამ კანონთ, ეს ერთი, მერრეც, ისევ ჩემი სიკვდილი შექმნის ისეთ პირობებს, როცა შეუძლებელი იქნება ამ კანონთა ბოროტად გამოყენება, მე მასამართლებდა პელიეა, რომელიც ამავე დროს უზუნაესი სასამართლოა, ამიტომ ველარავის მიგმართავ; ამრიგად, თუ ახლა განაჩენი სისრულეში იქნება მოყვანილი, საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით მოსამართლენი და სჯულმდებელნი იძულებულნი გახდებიან, რომ გადასინჯონ არსებული კანონნი და რაკილა ნაკლსა და ხინჯს აღმოუჩენენ, სახალხო კრებას ახალ, უფრო სრულყოფილ კანონპროექტს შესთავაზებენ, აგრე არ არის?

ვერაფინ შეედავა. სოკრატეს პლატონი შეეცოდა.

— აი ხედავ, ხედავ. ჩემო ბიჭო, შენ თვითონ და თანაც რა გულმოდგინედ მომიწიე ახლოს ციკუტიანი ფიალა...

პლატონი წამოწითლდა. მაგრამ არ დანებდა.

— დაე კანონთა სრულყოფის საქმეს ვინმე სხვა ზეარაკი შეეწიროს და არა შენ.

დანარჩენთაც შეუტიეს სოკრატეს.

— შენ თავს ნუ გასწირავ. ძვირფასო, საყვარელო!

— გთხოვთ! მეტი იფიქრე შენზედ და ჩვენზედ!

— ნუ გაგვაწბილებ — ერთი ღამელა დაგრჩა!

— ძალღსა ვფიცავ. თქვენ ძაწბილებთ! — აენთო სოკრატე. — სიკოფანტნი დაძვრებიან მთელს ქალაქში, ვგრძნობ, როგორ ძალღებსავეთ სუნავენ ჩემი ციხის კედლებსაც კი! ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილია. მაგრამ არა თქვენი. მთელი ჩემი ცხოვრება განსაზღვრავს ჩემი ბედ-იღბლის დასასრულსაც. განა კარგი იქნება, რომ თქვენ, ჩემთვის უძვირფასეს ადამიანთ, თქვენის უგუნურებით სწორ გზას ამაცდინოთ უკვე მიზანთან მისული? მაშ ხელი არ უნდა გკრა თქვენს საეჭვო ქველმოქმედებას და ჩემი გულისთვის სამართალში უნდა მიგცენ? მე ნაწილ-ნაწილ გაძღვევდით ჩემს თავს, რათა შემდგომ ნაწილ-ნაწილ მიგვეცათ სხვათათვის... სიბრძნეს მოუხმეთ! ჩვენვე ნუ ვავენებთ ერთიმეორეს! ჩვენ რომ ერთმანეთი გვიყვარს, მომეტებულად სწორედ ამ ჩემთვისაც და თქვენთვისაც უმძიმეს ჟამს უნდა გვიყვარდეს ერთურთი.

მეციხოვნეს, ზედ საკნის კარებთან რომ აყუდებულყო, მირტომ შიგ შეშვება სთხოვა. მეციხოვნემ უთხრა:

— ახლა ვერ შეგიშვებ.

— იქ ვილაცები არიან. მესმის... ან იქნებ იმას არ უნდა დღეს ჩემი ნახვა?

— ასეთი ბრძანება მაქვს. მეტს ვერაფერს გატყვი.

— მოგვიანებთ შეიძლება? — მირტომ თავისი აბზინდა ხელისგულზედ დაიდო და გაუწოდა, ნახე, რა ღამაზიანო.

მეციხოვნემ ხელი მაგრად მოუჭირა ხელზედ, რომ ძვირფასი ნივთი არ დაენახა.

— არ ავიღებ. შენგან არ ავიღებ.

— ის მაინც მითხარი, კეთილო კაცო, როდის შემიშვებ?

— ჯერ იმათ მოათავონ ლაპარაკი.

— რაზედ ლაპარაკობენ?

— არ ვიცი. — გაჭიუტდა მეციხოვნე.

— რა არ იცი, ყველაფერი გესმის.

— ვერ ვარჩევ, რაზედ მსჯელობენ. — მეციხოვნეს თან სურდა და თან არც სურდა თავის დაძვრენა.

— მეც დამაგდებინე ყური! იმათ სუყველას შენზედ კარგად ვცნობ. — და მირტომ ნაბიჯი გადადგა, რომ მეციხოვნეს გვერდით დასდგომოდა. — ლაპარაკის მიზღვევით ყველაფერს მივხვდები...

— აბა, აბა! კარებს მოშორდი, გეუბნები! — შეუყვირა მეციხოვნემ. — აგე სკამი, დაჯექი და იჯექი. თუ ჩამაცივდები, გაგაპანლურებ!

მირტო დაჯდა. მეციხოვნემ კარებს ყური მიადო.

სოკრატეს გვერდით გახსნილი ნაკრავი იდო, შიგ ზეთისხილი ეყარა, რამდენიმე მარცვალი, ფიქრში წასული სოკრატე თითო აწვალდა მარცვალთ. დამარილებული ზეთისხილი თითქმის შავი ფერისა იყო. „შავი ცერცვები“, მოიღუშა კრიტონი.

— სიკვდილს ეთამაშები, — უთხრა კრიტონმა, — თანაც იღიშები. რა გადაწყვეტე? ბოლოს და ბოლოს დაგვიჩერებ და წამოხვალ? ხომ არ გვათამაშებ?

— ცოტათი, როგორც თქვენ მათამაშებთ ცოტათი, კრიტონ. — სოკრატემ კიდევ ერთი ზეთისხილი გააგორ-გამოაგორა.

აქამდე რომ წელა გადიოდა, ნაშუადღევს დრო თითქოს ფრთაშესხმული გაფრინდა. ანტისტენე, რომელიც სოკრატეს სიახლოვეს დაკეცილ პიმატიონზედ იჯდა, ველარ უძლებდა ესოდენ დაძაბულობას — მოუთმენლად შეეხო სოკრატეს ხელს, რომლითაც ის ზეთისხილის მარცვალთ ათამაშებდა.

— დღეს რაღაც გაუგებრად ვარ, დამეხმარე, ამიხსენი — რა დასასრული განგისაზღვრა მთელმა შენმა ცხოვრებამ?

— თუ ფიქრობ, რომ კარგად ვიცხოვრე, მაშინ არც დასასრული უნდა იყვეს ურიგო. ხოლო უკეთეს დასასრული რამეთი უნდა განსხვავდებოდეს მთელი ჩემი ცხოვრებისგან, ალბათ იმით, რომ უნდა დაემჯობინოს ამ ჩემს ცხოვრებას, — უპასუხა სოკრატემ.

— ერთიც დამეხმარე, — სთხოვა ანტისტენემ. — მაინც ჯერ კიდევ არაფერი მესმის.

საკანში, სადაც დამჭენარი დაფნის სურნელება ტრიალებდა, მძიმე ღუმილი ჩამოწვა — არავინ ინძრეოდა, მხოლოდ პლატონის ხავილიანი სუნთქვა ისმოდა.

— კითხვით შენ მეკითხები, ანტისტენე. მაგრამ ჩემი მკვახე პასუხის ანდა პირდაპირ ვთქვათ, — აღსარების მოსმენა ყველას გინდათ. კეთილი და პატიოსანი. — სოკრატე შეეშვა ზეთისხილის მარცვალთ და თავის ერთგულ ხალხს მიუბრუნდა. — ჩემი საქმე აქ, ათენში დაიწყო და აქვე უნდა გასრულდეს...

— არა! — შესძახა შეშინებულმა აპოლოდორემ უნებურად.

— ნუ აწყვეტინებ! — შეუყვარა პლატონმა.

სოკრატემაც აუწია ხმას:

— ჩემი დავა გრძელდება, და ამ გაგანია პროცესის ეამს ვერ გავიქცევი. ეს იგივე იქნებოდა, რომ ჩემი სისუსტით ჩემთა მტერთა პოზიცია გამეძლიერებინა.

— კრიტონის მეგობართან იცხოვრებ, — მოაგონა ანტისტენემ.

სოკრატემ მწარედ გაიციხა:

— კრიტონის მეგობარი ჩემთა მტერთაგან ვერ მიხსნის, იმათ მე უნდა გავუხსნორდე. თანაც მეღვლეტი, როგორც მე, ხვალ უნდა მოკვდეს, და განა ჩემის მხრივ სწორი იქნება, რომ იმ დროს აქ არ ვიყო? მეღვლეს ათენის კანონთა დარღვევის გამო დასჯიან, მაგრამ მე თუ გავიქცევი, თავადაც იმავე კანონთა დამრღვევი გამოვალ, და მაშინ მეღვლეტი უკვე აღარ იქნება ჩემი მკვლელი. მაშასადამე, იმისი სასჯელი არ შეეფარდება იმის დანაშაულს, როგორაც ახლა ჩემი სასჯელი არ ეფარდება ჩემთა საქმეთ. სამართლიანი ათენელები დალოხდე-

ბიან იმისი გვამის წინაშე. და იცით, რა მოხდება? რა და, ბოროტმოქმედი მე-
ლეტი თანაგრძნობას აღძრავს ხალხში, რომელი თანაგრძნობაც დღეს მე მეკუ-
თვნის. მერედა. ეს გინდათ?

— ცხადია, არა, თუ ეგრე სვამ საკითხს... — წყენით მიუგო ანტისტენემ.

— მე კი არა ვსვამ. უკვე აგრე დგას. ახლა ანიტე განუწყობს მდიდარი
მეტყვე, გამომძალველი და მევახშე ანიტე სასჯელს გაეჭვს. როგორც ამბო-
ზენ, სადღაც ზღვის გადაღმა. თუ მეც გავეჭვები სასჯელს, ის უკვე აღარ
ეჭნება ჩემი მკვლელი. მაგრამ თუ ეს ჩემი მკვლელობა აღსრულდება, ნებისმი-
ერ ნაპირზედ, სადაც ის გემიდან გადმოვა, უცილოდ ქვებით ჩაქოლავენ. სო-
ფისტი ლიკონი, ანიტეს ბინძური პურისმტე... რა მოგივიდა, ანტისტენე?

აკანკალებულმა ანტისტენემ ყურთ დაიცო და შეჰყვირა:

— ველარ გისმენ!

— ახლა კი უნდა გამიძლოთ, ძვირფასო!

პლატონმა უთხრა:

— თქვი, სოკრატე ყველაფერი ამოთქვი. ბოლომდე უნდა გავიგოთ.

სოკრატე ლიკონს აღარ დაბრუნებია — იმისი საქმეც ხომ ისევე იყო,
როგორც წინა ორისა.

— ათენი! — ამოიოხრა სოკრატემ. — ათენზედ უნდა ვიფიქრო, როგორც
თავაზიანად მომაგონა კრიტონმა. იმაზედ ყველამ უნდა ვიფიქროთ. აი, შენ
კი, კრიტონ, ათენზედ არა ფიქრობ. შენ თესალიაში მაგზავნი შენს მეგობარ-
თან. ჩინებულია. მაგრამ მთელი ის პოლისი მტრულად არის განწყობილი ათენ-
თან და ათენის წყობილებასთან. ნუთუ არ დაფიქრებულხარ იმაზედ, რომ ისი-
ნი მასხრად იგდებენ ათენელს: აი იმ რეგვენთ თავიანთი ყველაზედ უფრო
ბრძენი კაცის მოწამელა უნდოდათ. ჩვენ კი, ნახეთ, მეფური პატივით ემო-
სავთო... ნუთუ არ გიფიქრია, რომ ისინი ტრაბახს დაიწყებენ: აი ჩვენ რამდე-
ნად უფრო უკეთესნი ვართ ათენელებზედ და რამდენად უკეთესია ჩვენი სა-
ხელმწიფოებრივი წყობილებაო? მერედა, მე გავხდე ამისი მიზეზი? ამ სი-
ბერეში იმ ცაცხლად ვიქცე, რომელიც სამშობლოს დაძიწვავს?

სოკრატეს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა. ხელით საწოლს დაეყრდნო.
ხელისგულის ქვეშ ზეთისხილის მარცვლები უსრიალებდა, სველები, ცივები.

კრიტონმა დაღლილი ხმით უთხრა:

— როგორც ვხედავ, ამაოდ ვეცადე შენს დახსნას, ძვირფასო...

მირტო წამოვარდა. მეციხოვნესთან მიიჭრა.

— შემისვი, ზევსს გაფიცებ... შემისვი!

— შენ რა, შევიშალე?

— მეც იქ უნდა ვიყვე! მე ის მიყვარს!

მეციხოვნემ უცნაურად გაიცინა:

— მეც მიყვარს.

— მერე, რას დაუუღებულხარ?... იქ რაღაც საშინელება ხდება. ხმაზედ
ვიცანი...

— მიუზვდი?

— მივუხვდი — უჭირს... გვერდით უნდა ვყავდე! მიყვარს!

— დამაცა! — მეციხოვნემ მოიშორა მირტო, შეიქყიტა, ყური მიუგდო.
სოკრატემ ხელი შეიწმინდა იმ ხელსახოცით, რომლითაც ზეთისხილი
მოუტახეს, და აღარაფერი უპასუხა კრიტონს.

აპოლოდორეს თვალები აუცრემლდა, თავი უკან გადასწია, რომ ცრემლი არ წამოსვლოდა.

— ერთი თვის წინათ როგორ მიხაროდა რომ ჩემთან მოხვედნით და შენს მარმარილოს ბიუსტს ნახავდი... ერთი სული მქონდა, რას იტყვოდი, ახლა კი შენ, თვითონ შენ...

ერონუსი
გინსინოთეა

სოკრატე მოლბა:

— თავს ხუ იტანჯავ, ძვირფასო, რა მნიშვნელობა აქვს, ჩემს თავს ვნახავდი თუ არ ვნახავდი: დაე სხვებმა ნახონ, რა სასაცილოდ გამოიყურებოდა კაცი, რომელიც ისეთი სერიოზული საქმით იყო დაკავებული, როგორც ადამიანის სულია. — აპოლოდორეს ქოჩორი აუჩეხა. — მაგრამ, იმედი მაქვს, შენი საქრეთელი არ იცრუებდა. ოღონდ ნოლა ცხვირი და გადმოკარკლული თვალები იდეალური ადამიანის თანაზომიერების თაობაზედ პოლიტიკეს დარჩებების თანახმად ხომ არ შემიცვალე?

აპოლოდორემ უკმაყოფილოდ მიუგო:

— პოლიტიკეს სახეებთან, იმის გასლექილ დორიფორთან რა შესაქმება! შენ ისეთი მომწონხარ, როგორიცა ხარ, ევრეთიც გამოგძერწე.

— მახინჯი არა? — გადაიხარხარა სოკრატემ.

იმის ხუმრობაზედ არავის გასცინებია.

— გესმის? უთხრა მეციხოვნემ მირტოს. — სოკრატე ხუმრობს მხიარულად არის, შენ კი რა ამბავი გაქვს, ნახავ, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

— ვითომ იცოცხლებს? — წამოსცდა მირტოს.

— გაჩუმდი, სულელო! ხუთუ ვერ იცი, სადა ხარ?! — აქოთქოთდა მეციხოვნე და ჩურჩულით დაუმატა: — იცოცხლებს.



კრიტონსაც და დანარჩენთაც წყალი გადაეწურათ. სოკრატემ ხელი უკრა ვაქცევის ყველა საბუთზედ, ერთი იმედილა რჩებოდა: პლატონი. ის კრიტონს დაპირებული იყო, დაგებმარებით. მაშ, რატომ აყოვნებს? ჩანს, განზრახ იტოვებს სიტყვას ბოლოსთვის, როგორც გამოცდილმა ორატორებმა იციან, გაიფიქრა კრიტონმა, და პირდაპირ უთხრა:

— ჩვენს უპირველეს ორატორს გერეთ თითქმის არაფერი უთქვამს.

— მართალია, მართალია, პლატონ! — აპყვნენ მეგობრები.

პლატონმა მართლაც ბოლოსთვის შემოინახა სიტყვა:

— სიკვდილის ფილას რომ დასცლი, ათენსა და მთელს ელადას შეაძრწუნებ. შენი სიკვდილი, სოკრატე, მოვლენა იქნება. შენის ცხოვრების გვირგვინი იქნება. შენით ალტაცებულნი იქნებიან უბირი ხალხიც და მეფენიც, ხოლო შენთა უსამართლო ბრალმდებელთ, ცოცხალთა თუ მკვდართ, აღუდგებიან მრავალნი და მრავალნი, უბრალონი და მწიგნობარნი, ისინი თავისთვის პატივად მიითვლიან შენს დაცვას — მეც შენი დამცველი ვიქნები.

სოკრატეს ზურგზედ კიანკველები აუფუთფუთდნენ. მყლაპავს და, შესაძლოა, სულაც მშთანთქას, მე კი უკვე სრულიად უძლური გავხდები ამის ამ აპოლოგიის წინაშე...

პლატონი განაგრძობდა:

— ჩემის აზრით, სოკრატე, მხოლოდ ერთი მიზეზი გაქვს, რის გულის-

თვისაც უნდა ეცადო, რომ ესეგვარ გვირგვინს თავი აარიდო: შენი დანიშნულება ცხოვრების მოძღვრის დანიშნულებაა. ყველა შენი მოსაზრება ჩვენს პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ვერაფერი შეედრება ამ შენი დანიშნულების ამაღლებულ მნიშვნელობას. რომლის წინაშე ყველაფერმა უკან უნდა დაიხიოს. განა, ძვირფასო, მშვენიერი და კეთილი საქმე არაა იქნებ, რომ ამ დანიშნულებას შესწირო ყოველივე სხვა?

სოკრატე ყურადღებით უსმენდა პლატონს. თან გაჩოჩდა, გაიწია აპოლოდორესგან, რომელიც ზედ ეკვროდა, გაიწია, რათა ყმაწვილს არ შეემჩნია, როგორ იტანდა კანკალი. და იმასა და თავის შუა ღვინით სავსე ფიალა ჩადგა.

— ადამიანის მიმართ რომ სიყვარული გაქვს, იმ შენს სიყვარულს ვუხმობ, — ესმოდა სოკრატეს პლატონის ხმა; სახით იმისკენ მიბრუნდა, — ადამიანის უფრო გაუკეთესება, გასათხოება და გაბედნიერება რომ გინდა, ამ შენს მოუკვლელ წყურვილს ვუხმობ. სადაც არ უნდა დასახლდე, შენი ხმა მაინც მოაღწევს ათენს, რამეთუ მთავარი შენი ხმის ძალა კი არა, შენთა იდეათა ძლიერებაა.

აპოლოდორემ ღვინიანი ფიალა გვერდზე მიდგა, თავი მხარზე ჩამოაღო სოკრატეს და ჩასჩურჩულა:

— თავს უშველე!

— შენ პირველი არ იქნები, ჩვენი ქალაქი სხვათაც დაუგდიათ. — განაგრძობდა პლატონი. — გაიხსენე! განა შენ არ დაეხმარე ანაქსაგორას გაქცევაში? ახლა ჩვენს დახმარებას რომ უარყოფ, განა ამით შენსავე საქციელს არ ეწინააღმდეგები?

— თავს უშველე! — ემუდარებოდა აპოლოდორე.

პლატონი კი განაგრძობდა:

— მართალია, იმის შემდეგ ანაქსაგორას დიდხანს აღარ უცოცხლია, განა მაინც მოასწრო და ბევრი სარგებლობა მოუტანა ფილოსოფიას. შენ რატომ აღარ გინდა, რომ უფრო მეტი არგო? შენ, ვინაც თავად ამბობ, ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ ადამიანის გამოწვლილვასო. — პლატონის იერიში ძლიერდებოდა. — მეტი წილი იმისა, რისი შეცნობაც გვინდა, წინ არის, ისე შორს არის, რომ თითქმის ვერც გაგვირკვევია. — შენ კი, ჩვენს მოძღვარს, ჩვენი შუა გზაზედ მიტოვება გინდა, იმის ნაცვლად, რომ წინ გაგვიძღვე? მოძღვარო, დარწმუნებული არა ვარ, რომ უშენოდ ისევე შემჭიდროებულნი ვიქნებით, როგორაც შენთან ერთად ვართ!

სოკრატეს დიდი თვალების მზერა, აქამდე მოწაფის ტუჩებზედ რომ იყო მიჯაჭვული, ახლა იმის თვალებს გაუსწორდა. წამით შეწყდა სიტყვიერი შეტაკება. აზრთა ჭიდილი მზერათა კრთაბრძოლამ შეცვალა.

პლატონმა გაუძლო ამ მზერას. ხელი გულზედ მიიღო.

— შენ წინაშეა შენი მოწაფე. შენ გამიტაცე ფილოსოფიით, მიჩვენე მისი საქიროება და სილაშქვა. მისი გულისთვის მე უარი ვთქვი პოლიტიკურ სარბიელზედ და პოეზიაზედ, მისი გულისთვის ვტოვებ ახლა თვითონ მშობლიურ სახლს, ჩემს ნიჟარას, კანს. ურომლისოდაც სისხლისგან უნდა დავიცუალო...

კრიტონი მოწონების ნიშნად თავს აქნევდა. სოკრატემ ღვინო მოსვა და ნელა წამოდგა ფეხზედ. პლატონი მოლოდინში დაღუბდა. სოკრატემ კრიტონი შეისწორა.

— აქ რაღაც შეხუთული პაერია. — თქვა მან. — დაფნის რტონი იქ.

კუთხეში, მთელს ჰაერს ნთქავენ... — შემდეგ ალერსით, თავაზიანად მიუბრუნდა პლატონს: — გმადლობ, ძვირფასო, გმადლობ მხარდაჭერასთვის...

პლატონი სახტად დარჩა. მეგობრები სახეზედ, სასოწარკვეთილებად ბეჭდილნი შესცქეროდნენ, მზერით სთხოვდნენ, კიდევ ილაპარაკეო, კიდევ სცადე, არ დანებდე, დაარწმუნეო... მაგრამ პლატონმა უკვე ამოწურა ყველაფერი, რაც კი სოკრატეს დასარწმუნებლად შეეძლო.

ის კი იმავე ალერსიანი ხმით განაგრძობდა:

— შენი მოწაფე ვარო, აღიარებ, შენთვის, ისევე როგორც ჩემთვის, ფილოსოფია ყველაფერზედ მაღალია. ცხოვრებაში ხორცშესხმული ფილოსოფია, მაგრამ ვისაც ფილოსოფია უყვარს, მოვალეა, რომ თავისი მოქმედება ამ სიყვარულს შეათანხმოს. ჩემი დანიშნულება მოძღვრებაა, კი ბატონო, თანახმა ვარ, ჩემი სიკვდილი ყველა თქვენგანისთვის უკანასკნელი გაკვეთილი იქნება.

— არა! — აღმოხდა აბოლოდორეს. — მაგას ნუ ამბობ!

— შენ თქვი, პლატონ, რომ სახლი შენი ნიყარაა, შენი კანია. ჩემი ნიყარა — მთელი ათენია. უიძისოდ არა მარტო უტყავკანო, არამედ უთვალო, უყურო და უენოც ვიქნებოდდი. ნახევარ კაცად ვიქცეოდი. ფილოსოფიის გულისთვის უარი ვთქვი პოეზიაზეო, პოლიტიკურ სარბიელზეო, არც ერთია მართალი და არც მეორე. შენ ოდენ შეუერთე პოეტს ფილოსოფოსი და პოლიტიკოსი, მაგრამ პოეტად დარჩი. ამაშია შენი უპირატესობა. ფილოსოფიის სიყვარულის გულისთვის ათენი უნდა დავაგდოო: სწორია, აწინდელი ათენი მუშაობისთვის ხელსაყრელ ნიადაგს არ გიქმნის. თუკი გრძნობ, რომ აუცილებელია, განშორდი, შენი გაქცევა უკანონო არ იქნება, თუ უკანონო ის იქნებოდა, მე თუ გავიქცეოდი. დროთა განმავლობაში თვითონვე გადაწყვეტ — იქნებ დაბრუნდე კიდევ. მე კი უკვე ველარ დავბრუნდები. მაგრამ ნურც აგრე რიგად გაშინებს ათენი. დაგემუქრება, მაგრამ რას გავნებს. შენ არ გავნებს.

პლატონი მიხვდა: სოკრატე მთლად კმაყოფილი არ არის ჩემიო. როგორც მე ვისურვებდი სხვანაირი სოკრატეს ხილვას, ასევე სოკრატეა იმის მოსურნე, რომ მეც სხვანაირი ვეხილეო. ამას უნდა, რომ ათენში მეც ფეხშიშველს მიეხეტიალაო...

სოკრატემ საკანს თვალი შეაგლო.

— ღამდება, ბიჭებო.

ყველამ სარკმელს ახედა, რომლის იქითაც ბინდი წვებოდა. კაეშანმა მოიცვა ყველანი. მალე უნდა წასულიყვნენ...

სოკრატემ პლატონს მიმართა:

— ძვირფასო, შენ ყურად არ გიღია ერთი ჩემი ანდერძთაგანი: ჩემი მძვინვარება. ფილოსოფიას ზოგჯერ ხამს — ჩირთიფირთს. ანუ პეიტრობას შეეშვას...

კრიტონი ელოდა, რომ პლატონი პასუხს გასცემდა, განმარტებას შეეცდებოდა, მაგრამ პლატონი დუმდა.

— მაშ, გადაწყვეტილია? — უბედური კაცის გამომეტყველებით წაიჩურჩულა კრიტონმა. — რჩები?

სოკრატემ ხელი ასწია, თითები გაფარჩხა:

— მე ის რვაფეხა ვარ, რამეს თუ ჩააფრინდა, რომ ველარ ააძრობ. თუმცა არა, აძრობა შეიძლება, როგორ არა, ოღონდ თავი უნდა გაუჩეჩქვო.

აბოლოდორემ სარეკლიდან სოკრატეს ჰიმატიონი აიტაცა, სახე ჩარგო შიგ და მწარედ აქვითინდა.

სოკრატემ ხელები დაუშვა.

— თქვენ, რა, ძვირფასნო, წინასწარ არ იცოდით, როგორი ყქნებოდა ჩემი გადაწყვეტილება? ებ, რა გაეწყობა, ღამდება... — გაიღიმა. — აი კიდევ ერთი სასიამოვნო დღე გავატარეთ ერთად... — ფილა ასწია, მაღლობა დიონისეს!



მეციხოვნემ სოკრატეს მეგობრებს პაემნის დასრულება სთხოვა.

პლატონი მხოლოდ ნებისყოფის დიდი ძალისხმევით უძლებდა თავბრუსხვევას. კარში რომ გამოდიოდა, სოკრატეს მიხედა. დილეგიდან გამოსვლა და გულის შეღონება ერთი იყო. კედელს მიეყრდნო. კრიტონმა თავისი ტახტრევანდი დაუთმო. სოკრატესგან ბოლო აბოლოდორე გამოვიდა.

არქონტის თერთმეტ მსახურთაგან საკანში ორნი შევიდნენ. არქონტის მსახურთ განაჩენის აღსრულებაზედ თვალყურის დევნება ევალებოდათ. იმ ორთ სოკრატეს ოფიციალურად შეატყობინეს, რაც მან უკვე იცოდა: ხვალ.

მირტო კი სულ იცდიდა. ჩამავალმა მზემ მარმარილოს სითეთრეს ნარინჯისფერ-ვარდისფერი ანარეკლი გადააკრა. შევარდისფერდნენ მაღალი კედლებიც, აკროპოლისის კლდოვანი ფერდობები, ამ შუქში პართენონიც გაბრწყინდა.

თითქმის უკვე ბნელოდა, როცა მირტო ისევ მივიდა კარებთან. ბუშტები დაუშინა. მეციხოვნემ ვიწრო ხვრელში გამოიხედა:

— რაღა ვინდა?

— შემიშვი!

— გვიანია.

— რაო, რა თქვენს? გაათავისუფლებენ?

— საიდან მოიგონე?

— აკი ამბობდი...

— მე რა ყურს მიგდებ! აქ, გოგო, ბოდავენ, მსჯელობენ, ჭკუა კი არა აქვთ.... ხვალ მოდი, გამოემშვიდობე....

ბინდი ჩამოწვა მზით გამთბარ პნიქსის ფერდობებზედ, ჩამუქდა ხშირი სალბიანი, ცხვრის ზურგივით ხუჭუჭი ბუჩქნარი, მოციმციმე ვარსკვლავებისკენ აიჭრა ჭრიჭინათა გაბმული ზრინი და ჭადრის ტოტებში მიმალულ ბუღბუღლთა ყეფა. მწუხრის ნამი დაეკიდა ბალახს. უფრო საგრძნობი გახდა დაფნისა და ოლეანდრის სურნელება.

შავმოსასხამიანმა ღამემ, დამამშვიდებელი ხმებითა და მათრობელა სურნელებით სავსემ, სოკრატეს დილეგის ვიწრო სარკმელშიაც შეატანა.

მისჯილი იწვა, სიამით ისუნთქავდა ღამეულ სურნელებას. იღიმებოდა და თანდათან ძილს ეძლეოდა. ნეტარ გრძნობას მოეცვა ძილის წინ: უველანი ჩემი ერთგულნი დარჩნენ, დღეს უფრო ჩემები არიან, ვიდრე დღემდე. ჩვენი დამშვიდობება, მთელი თვე რომ გაგრძელდა დელოსის დღესასწაულობის წყალობით, სიყვარულის აღიარების თვედ იქცა — იმათ მიმართ ჩემი სიყვა-

რულისა და ზემ მიმართ იმათი სიყვარულის აღიარების თვედ. აი, რაც სრული კეთილდღეობისთვის მინდობდა!

მეციხოვნემ მიაყურადა. დუმოლია. მეღვინე. საკნის მგორვე მარჯვს, რომ ბრძანდება, ტირის, ყვირის, ფეხებს აბრახუნებს კარზედ. აქ კი რა დუმოლია. მეციხოვნემ ფრთხილად შეაღო კარი, მიანათა: სოკრატეს მშვედლავი გულის ძილით ეძინა.

ო. ზევსო! — გაიფიქრა მეციხოვნემ, — იცის, რომ ხვალ უნდა მოკვდე და ბავშვსავით დაუძინო! — შუქს აეფარა და ფეხის წვერებზედ შემდგარი გამოვიდა.

სოკრატემ, როგორც ყოველთვის, ადრე გამოიღვიძა.

სარკმელს განთიადის ნისლი ებურა, საკანში სიცივე შემოქრილიყო. სადღაც მანლობლად ბუ ახშიახდა.

სოკრატე წამოდგა, პიმატრონში გაეხვია და ცქერა დაუწყო, როგორ ნათდებოდა სარკმელი.

მალე დადგება დღე.

უკანასკნელი.

რა არის, აგრე მაცდურად რომ მპირდება, სადღაც იქ შენი სიცოცხლე გაგრძელდებაო? სიცრუე ნუგეშად ინიღბება — მაგრამ ამით, პირიქით, უფრო მიძლიერებს შიშს სიკვდილის წინაშე... აქამდე გულდამშვიდებული ვიყავ, ახლა კი, უკანასკნელ დღეს, დადუმების, უმოქმედობის გარდუვალობა მაძრწუნებს...

ბნელი საკნის სანათური ფერმკრთალდებოდა.

სოკრატემ კარზედ დააკაკუნა, მეციხოვნე უმალ იქ გაჩნდა, რას მიბრძანებო, ჰკითხა.

სოკრატემ ნებართვა სთხოვა, მზეს მიმამშვიდობე, პორიზონტს, ანუ კინკროს რომ დაადგებო!

მეციხოვნეს სუნთქვა შეეკრა: მაშ, მაინც!..

— რა თქმა უნდა, სოკრატე, — სასწრაფოდ მიუგო, — წამო, გზას გიჩვენებ, ეზოს გავივლით, უკანა ჰიშკარს გაგიღებ, იქით გორაკის ფერდობია, იქ კი უკვე შენ თვითონ.

ჰიშკარში გავიდნენ, კაცის ჰაჭანება არსად ჩანდა.

მეციხოვნე უცებ გადაეხვია, აქოცა სოკრატეს:

— ესეც ესე... ახლა გაიქეცი, ღმერთთ დაგიფარონ.

და ჰიშკარში მიიმალა, ურდულმა გაიქრიალა.

სოკრატე ღრმად გაოცებული იდგა, ვითომ ახლა რატომ გადამეხვია? რატომ დამიკეტა ჰიშკარი? ალბათ ირგვლივ შემოვლა მომიხდება, მთავარ ჰიშკარამდე... სოკრატე მძიმე-მძიმედ აეიდა ბორცვის წვერზე, საიდანაც ჰიმეტოსის მთის მშვენიერი სანახები იშლებოდა, და უცებ გადაიხარხარა, აჰ, შენ კი რა გითხარი, ჩემო კეთილისმყოფელო! აწლა მიგიხვდი... ვაი, როგორ დაგენისლება მზერა, უკან რომ დაგიბრუნდები... ძაღლსა ვფიცავ, რამდენი კეთილი კაცი დადის ამ შეშლილს ქვეყანაზედ, ჩვენ კი ფიქრადაც არ მოგვდიან ისინი!

აღმოსავლეთით, ჰიმეტოსის მიღმა, უკვე რიქრაქის ალი ედებოდა ცისკიდურს, საიდანაც უნდა ამობრიალებულიყო სიცოცხლის მომნიჭებელი. აჰა, აი ისიც! სოკრატეს სუნთქვა შეეკრა, თითქოს დამუნჯდა, მდაბლად დაუკრა თავი, ხელები ალაპყრო და წყნარად, ძლივს-ძლივს წარმოთქვა ამ მოზეიმე ნათებისკენ სახემიპყრობილმა.

— შენ აქი ყველაფერი იცი...

უცებ მობრუნდა, მზემ თვალები არ დამინახოსო, და ბუნდოვანი სურათი წარმოუდგა: თეთრი მარმარილოს ქალაქი ცის ლურჯი თალის ქვეშ, კვიპაროსის სუნით გაქლენთილი...

სოკრატე პნიქსიდან დაეშვა, ციხის მთავარი ჭიშკარი მანძილით მოეფერა თავზარდაცემულ მეციხოვნეს და თავის საკანში შეეჭრა.

გამთენიის ქამს მირტომ თავისი ყვითელი თმა შეიკრიჭა. ქსანთიბე საწოლზედ იჯდა და ისე უყურებდა. გლოვის ნიშნად შეიკრიჭა. მთელი ღამე ესმოდა მირტოს ჩუმი ტირილი.

მირტომ თავსა და მხრებზედ ტილოს თბელი ქსოვილი მოიხვია. შეკრეჭილი თმა ბაფთით შეეკრა, გამოკვანდა: დასამშვიდობებლად რომ მივიღო, გადავცემ. ეცოდინება, რომ მუდამ იმასთან ვარ.

სიკვდილის სარეცელზედ გვერდით მივუწეები, ერთად წავალთ...

ფერწასულნი, მღუმარე სახით გამოცხადდნენ სოკრატესთან მეგობრები — თითქოს სიკვდილი იმათ ელოდათ და არა მოძღვარს.

სოკრატე ცოცხლად, მზიარულად შეეგება:

— მოდიო, მოდიო, ძვირფასნო! მოუთმენლად გელოდით!

— არის რამე ახალი? — ჰკითხა კრიტონმა.

— დროს თავისი დინებით მუდამ მოაქვს ახალი რამ...

— როგორ გაატარე ღამე? — ჰკითხა ანტისტენემ. — მგონი...

— ... მე თქვენზედ უკეთეს გუნებაზედ ვარ! — ღიმილით დაასრულა ანტისტენეს სათქმელი სოკრატემ. — მაგრამ ჭეშმარიტება უმაღლესი რამ არის: მეც მჭონდა მძიმე წუთი, თითქოს მაჭლაჭუნა მაწვა. მაგრამ დიდხანს არა. მზე ამოვიდა თუ არა, გუნებაზედ მოვედი. ბევრი ვიფიქრე, ჩემო უახლოესნო, ჩემი ყველაფერი გადმოგეცით თუ არა: პიმატიონის ჯიბენი გადმოვიტრიალე — არც ერთში არც ერთი ნამცეცი არ დამჩენია. მაგრამ რაღაც მაინც ვიპოვე: რაც არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ვიდრე სხვა ყველაფერი, რაც ვიანდერძეთ. არ მინდა, რომ თან წავიღო...

— რა არის ეგრეთი? — ვერ მოითმინა აპოლოდორემ.

— მომავლის ნათელი ჭკრეტა — და სიცილი, მეგობარნო.

დასჯის დღეს? სუყველას ტანში გასცრა. სიტყვა არავის დაუძრავს.

— პლატონი დღეს არ მოვა? — იკითხა უცებ სოკრატემ.

— ავად არის. — მიუგო კრიტონმა.

— ნეტავი მაჩვენა ის ავადმყოფობა, რომელიც ხელს შემიშლიდა აქ მოსვლაში! — აღშფოთებით შესძახა აპოლოდორემ. — ოთხზედ დავდგებოდი და ხოხვით მოვიდოდი.

— ნუ განსჯი ეგრე მკაცრად, ჩემო უმრწემესო. ის გუშინაც შეუძლოდ იყო, ბარბაცებდა. მეტისმეტად გრძნობიერია. — სოკრატე დანარჩენთ მიუბრუნდა და დასძინა: — ოდესმე მიხვდებით, ჩემო ძვირფასნო, რომ ეს ჩემი დიდებულნი დღეა და არა ბოროტი დღე. დამიჯერეთ, ეს აგრეა, და აღივსეთ პეშენი ჩემის მზიარულებით.

— განა მხიარულების თავი გვაქვს, როცა სულ რამდენიმე დღის წინათ შენი ტკივილი აგვატკივე? — შეედავა ანტისტენე.

— აი ხედავთ? ვგრეც ვიცოდი, რომ მთავარა რამ დაბავიწყდა ტკივილი და მხიარულება ერთიმეორეს არ გამორიცხავს! სერიოზული, საზრუნავი და მხიარულება — გულის ორი ნახევარია. სერიოზულობას მსხვერპლები აცოქირვეული, ქარაფშუტა, ზერელეა, ხოლო ვინც მხიარულებს — აქი კარის, მძვინვარე, მშრალი და უფხოა, რომელსაც ცხოვრების რწმეხა არა აქვს. მარადიული ცეცხლის წაღება, დოდონაში რომ ზევსის ტაძარია, იქიდან ოლიმპიურ თამაშობაზედ არც ისე ძნელია, თუმცა მანძილი დიდია: მორბენალნი ოლიმპიაში მისვლამდე ერთიმეორეს ეხაცვლებიან და ისე მიაქვთ. მაგრამ მარადიული ცეცხლის ტარება საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ იმას ძალუძს, ვის გულშიც წონასწორობა სუფევს. მაშ, დააფასეთ სიცილი, ჩემო ბიჭებო, რამდენიც არ უნდა იყოს ქვეყნად სიცილი, მოჭარბებული არასოდეს არ იქნება. ანდაზა კი ამბობს: მოყრანტალე ყორანს თუ მიჰყე, ლეშთან მიგიყვანსო.

სოკრატემ აბოლოდორეს მოტანილი ვაშლი აიღო, მადიანად ჩაკბიჩა.

— დიდად ცოდვილი ვარ, ჩემო საყვარელნო! წმინდანად ნუ გამომიყვანთ, რამდენი შეცდომა მაქვს ჩადენილი! სამაგიეროდ არასოდეს არცრა სიძნელეს არ გავქცევდვარ და ამიტომ დამნაშავე არა ვარ ყოველის უფრო მძიმე ცოდვაში — ადამიანისა და ცხოვრების მიმართ გულგრილობაში ეს ამბავი ძალზედ მახარებს ახლა, რა გაკვირვებულნი მიყურებთ? ალბათ ფიქრობთ: რა მშვიდად არის სოკრატე, სიკვდილამდე სულ რამდენიმე საათი დარჩენია და მაინც სუმრობსო. მშვიდად ვარ? განა მსუქლია სიმშვიდის შენარჩუნება იმას, ვინაც უწყის, რა მოელის სულ მალე? თუმცა ერთ რამეში კი უნდა დამეთანხმეთ: რაოდენ გულმოწყალეა ჩვენი ელადა მისჯილიადმი! გაიხსენეთ, რა რიგ სჯიან ბარბაროსულ ქვეყანათა შინა ნაჯახით ჰკვეთენ თავს: ნაწილ-ნაწილ აგლეჩინებენ ოთხ ბარს: ქოლავენ: ანწუნზედ სვამენ, ღომით უგდებენ შესაქმელად ანდა ცოცხლად აკრავენ ჭვარზედ — და ყოველივე ესა ბრბოს წინაშე ათასობით მაყურებლის თვალწინ ხდება. ჩვენი მშვენიერი კეთილი ელადა ადამიანს ათავისუფლებს ყოველივე ამისგან — მისჯილს ჩვენში ოდენ მეგობართა თანდასწრებით კობტად გამოქედოლ ფიალას აწვდიან... დამეთანხმებით, ძლიერია თავაზიანობისა და გემოვნების ელინური გრძნობა!

სოკრატე იცინოდა, და იმის სიცილში სულ არ იყო შიში, რომელიც აგრე რიგად თრგუნავდა მისთა მეგობართ.

— მაგრამ ჭერეთ ამაზედ ნუ ვიფიქრებთ, ჩემს თავს დავუბრუნდეთ: თქვენ უცილოდ ფიქრობთ, რა ეშმაკი ვინმეა ეს სოკრატეო! იანგარიშა, რომ იმ ერთი მომაკვდინებელი წამის გავლით ერთადერთ სწორ საქმეს მოიმოქმედებს, როგორაც ათენის, ისე მეგობართა, მიმდევართა, ოჯახისა — და თავისავე ხსოვნის სასარგებლოდაც კიო...

არავის უპასუხნია: ვარეთ, ციხის წინ, ხმაური ატყდა.

— გესმით? — თქვა სოკრატემ. — ხალხი ისე ირევა ჩემ გარშემო, როგორც ფუტკარნი დედა-ფუტკრის ირგვლივ. ათენელთაგან პატივი არც როდის მომაკლდება, და მაშინ არა მარტო თესალიის იმ ქალაქში შევალწევ, რომელიც შემირჩიე, ძვირფასო კრიტონ, არამედ მრავალ სხვა ქალაქშიც, რომელთა ამბავი არც გამიგონია, არცა კიდევ ვიცი, სად მდებარეობენ ანდა სად აღმოცენდებიან ოდესმე. განა ეს მცირე რამ სინარულია ჩემთვის?

გაჩუმდა. გარეთ ხმაური ძლიერდებოდა, აბლოვდებოდა. მეციხოვნემ კარი გააღო — შემოვიდნენ ქსანთიპე და ლამპროკლე.

მამაკაცი ადგნენ. სოკრატე ცოლს შეეგება და სარტყელთან მიიყვანა. ქსანთიპე ჩამოჯდა. წელგამართული იჯდა, სახე გამხდარი ჰქონდა, ქეთუთოები დასწითლებოდა. მშვენიერი შავი თმა მძიმე კვანძად მსუბარებდაშიც კი ღირსეულად ეჭირა თავი. რაღაც ამაღლებული იყო მთელს იმის გამოხედვაში.

კრიტონმა ყველას გასაგონად ჰკითხა, ხომ არ გავიდეთო.

— არა, არა, დარჩით! — ქსანთიპეს თმის კულული ჩამოუვარდა, სოკრატემ ფრთხილად გაუსწორა. — დარჩნენ არა, ჩემო იბა?

ქსანთიპემ სოკრატეს ხელის შეხება იგრძნო და გააკანკალა, იმისი ხმის სინაზეც დაიჭირა. მაგრამ მკაცრად დაიწყო:

— რა დღეში ჩაიგდე თავი! სუყველა გაკვირვებულია... — ქსანთიპემ თავი შეიკავა. მწარე-მწარე სიტყვების ნიაღვარს გზა აღარ მისცა. ლამპროკლეს უბრძანა, მამას დაემშვიდობე და შინ წადიო.

სოკრატემ გვერდით მოისვა შვილი და სთხოვა, დედისთვის იზრუნეო.

— დედას მოეფერე. ხომ გახსოვს, ამას წინათ რომ დაგარიგე, როგორ უნდა მოექცეს დედას კარგი შვილი!

სირაპუსა — ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო სიცილიაში, დაარსეს კორინთელებმა ძვ. წ. 784 წ. თავდაპირველად ქალაქს კუნძული ოსტიგია ეკავა, მაგრამ თანდათანობით გაიზარდა და კონტინენტურ ნაწილს ზილით უკავშირდებოდა. სირაკუსე გოდლედით იყო გარშემორტყმული და ხუთი ნაწილისგან შედგებოდა. სიცილიურ პურს აწვდიდა კორინთსა და სპარტის ხზვა ქალაქთ.

სოლონი (ძვ. წ. 640/635/638) — ათენელი კანონმდებელი და პოეტი. ძველი დროის შვიდ სახელგანთქმულ ბრძენთაგან ერთ-ერთი.

სოფისტები — „სიბრძნის მოძღვარნი“, მოგზაური ფილოსოფოსები და ორატორები,

რომლებიც მოღვაწეობდნენ საბერძნეთში ძვ. წ. V ს. მეორე ნახევარში და IV საუკუნის პირველ ნახევარში. მონათმფლობელური დემოკრატიის განვითარების პირობებში სოფისტებმა განმანათლებლური როლი შეასრულეს. განასხვავებენ სოფისტების ორ თაობას: უფროსი თაობის სოფისტებს (პროტაგორა, პიპია, გორგია) და უმცროსი თაობის სოფისტებს (ევთიდემე, თაქსიმაქე, კრიტონი, კალიკლე).

IV საუკუნიდან (ძვ. წ.) უმცროსი თაობის სოფისტებმა ხელი აიღეს პეშმარტების მიეზაზე და პრაგმატული მიზნით თავიანთთვის სასარგებლო შეხედულებების შერჩევებითი გამართლება დაიწყეს, ამ დროიდან სოფისტური მოძრაობა ცრუმეცნიერული გახდა, სახელი გაუტყდა.

სოფოკლე (ძვ. წ. 497/494, კოლონოსი, — 406 ათენი) ათენელი პოეტი, დრამატურგი „ოიდიპოს მეფის“ და სხვა ტრაგედიების ავტორი. ციტირებულია მიხი ტრაგედია „ანტიგონე“.

სოფროსინე — „კეთილგონიერება“, „ზომიერების გრძობა“, ტრადიციული (ჭერ კიდევ სოკრატემდე) ბერძნული ეთიკის ერთ-ერთი უმთავრესი ხატონება.

სტატიკონი — ხიჯრძის ძირითადი ძველბერძნული ზომა (დაახლ. 178 მ.).

სტიქსი — ქვესკნელის მდინარე.

სტრატეგოსი — მხედართმთავარი ძველ ბერძნულ პოლისებში ძვ. წ. VI ს. — ძვ. წ. I ს. შუა წლებში. ათენში ძვ. წ. 508 წლიდან 10 სტრატეგოსისგან შემდგარ კოლეგიას ირჩევდნენ. ერთი სტრატეგოსი პოპლიტებს სარდლობდა, მეორე — ფლოტს, — მესამე — ქვეყანას იცავდა, ორი სტრატეგოსი — პირუხს, დანარჩენები რიგრიგობით ჯარს სარდლობდნენ. სტრატეგოსებს ირჩევდა სახალხო კრება ერთი წლის ვადით ფილევების მიხედვით (თითო ფილედან თეთო).

სუნიონი — კონცხი ატიკის უკიდურეს სამხრეთში, ეგალია, ანაფლისტი ქალაქები ათენიდან სუნიონს მიშავალ გზაზე.

სტოლიონ — შენიშვნა, ახსნა-განმარტება (აქ ნახშიარია ირონიულად).

ტალანტი — წონის საზომი (დაახლ. 26 კგ.) და ფულის ერთეული (იხ. დრაქმა).

ტარტაროსი (მით.) — ბნელი უფსკრული ჰადესის ქვეშ. ქვესკნელის სამეფო, ხადაც ცოდვილნი იტანჯებიან.

ტატირატამა — იხ. დრაქმა.

ტირანი — სასტიკი მმართველი, რომელიც მოქმედებს თვითნებურად და ძალადობით; დებსოტი.

ტილესტარკონი — ელევსინურ მიხტერიებში ვანდობის ადგილი.

ტირძისფორა (მით.) — ცეკვებისა და ფერბულთა მუსა.

ტისაფორნე — სპარსელთა სატრაპი მცირე აზიაში (სარდისი) დაროსისა და არტაქსერქსეს დროს (ძვ. წ. 412—395) მხარს უჭერდა ალკიბიადეს და სპარტელთ — სპარსული ბედლისუფლებების მთავარი მოწინააღმდეგის — ათენის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტიტანები (მით.) — ურანოსისა და გეას შვილები, უფროსი თაობის ღმერთები, რომელთაც სძლიეს ზევსმა და სხვა უმცროსმა ღმერთებმა.

ტიტე — ბედისწერის, შემთხვევისა და ბედნიერების ქალღმერთი.

ტრაპეზიტი — ზარაფი, პიროვნება, რომელიც ცვლიდა, ინახავდა, სესხად იძლეოდა ფულს, იღებდა სარგებელს დიდი რაოდენობით (10—12-დან 36%-მდე); გირაოდ იტოვებდა მსესხებლის მოძრავსა და უძრავ ქონებას, პირველად გამოჩნდნენ ძვ. წ. VI ს-ში. ტრაპეზიტები ჩვეულებრივ მეტეკები, თავდაბნეილი, გააზატებული მონები იყვნენ.

ტრიპრი — ძველ საბერძნეთში, სამხედრო ზომადი, რომელსაც სამ იარუსად მქონდა ნიჩხები, გრძელი და ვიწრო იყო, შეავდა დაახლოებით 170 მენიჩზე და მებრძოლი (შეესახებაშება რომაელთა ტრირემას).

ტროა (მით.) — ტროადის მთავარი ქალაქი, დარდანელთან. ამ ქალაქთან ბერძნებს ათწლიანი ომი მქონდათ. ტროას უმღერა მემფროსმა „ილიადაში“; ისტორიულ ხანაში უკვე აღარ არსებობდა.

ტროას ცხენი (მით.) — უზარმაზარი ხის ცხენი, რომელიც ტროას ომის მეთვ წელს ათენას შთაგონებით ააგო ეპეოსმა. ბერძნებმა შიგ ოდისევსი და სხვა რჩეული გმირები ჩასხეს, ტროას წინ დატოვეს, თვითონ კი ვითომდა იქაურობას გაეცალნენ. ტროელები ბერძნებს შუაყვრობას ვერ მიუხვდნენ, ცხენი წყალობად ჩათვალეს და ქალაქში შეიტანეს. მხოლოდ ამოღონის ქურუმი ლოკოონი აღუდგა წინ ამ განზრახვას. ღამით ცხენიდან მეომრები გამოვიდნენ, კარიბჭეები დაადეს და ბერძნები ქალაქში შეუშვეს. ტროა დაეცა. ეს მითი ახახულია

პომერონის ეპოსში, ვერგილიუსის — „ენეიდაში“. გადატანითი მნიშვნელობით „ტროას ცხენი“ შუაგრობას, ვერაგობას აღნიშნავს.

ტიმფე მამუტიკა — ამქმელობა, სამუანო ხელოვნება.

ურანოსი (მით.) — ცის ღმერთი და სამყაროს მბრძანებელი. შუა გეგმაში „მეგრდფართო დედაშიწამ“ (უმაბროდ). შემდეგ მახვე შეეუღლა; მათი შვილები იყვნენ ცალთვალა ქიქლოპები, ჰეკატონქერიები ახსელა გოლიათები, ტიტანები, ურანოსმა ჰეკატონქერიები და ქიქლოპები ტარტაროსში ჩაყარა. აღსვლათებულმა გეამ აძულა ტიტანი მჭიდროდ შამა ტახტიდან ჩამოეგდოთ, კრონოსმა დაისაქურჩისა ურანოსი და თავად გაუზენაესდა (იხ. კრონოსის შენიშვნ.).



შალანბა — ძველ საბერძნეთში: ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა — ერთმანეთთან მიჯრითი მწყრივები.

შარბალიონი — ათენური კალენდრის თვე, შეესაბამება ჩვენს მაისს-ივნისს.

შარნაბაზი — ფარნაკს (სპარსეთის სატრაპი) ვაჟი, ბითინია და ფრიგიის სატრაპი, რომელმაც აღკობიადე მოაკვლევინა, ლაკედემონის (სპარტის) მოკავშირე პელოპონესის ომში.

შილია — (ძვ. წ. V ს. დასაწყ. ძვ. წ. დაახლ. 482-481) — ბერძენი მოქანდაკე, მაღალი კლასიკის წარმომადგენელი, ძველი ბერძნული ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი. ათენის აკროპოლისის რეკონსტრუქციის დროს პერიკლეს მთავარი თანაშემწე. მისი კმნილებებიდან განსაკუთრებით კოპულარულია ათენა პრომაქოსის ბრინჯაოს კოლოსალური ფიგურა, რომელიც სპარსელებზე გამარჯვების აღსანიშნავად აღმართეს აკროპოლისზე ძვ. წ. 460 წ., ქრონოლოგიკურად ქანდაკების ტექნიკით შეხრულებული ოლიმპიელი ზევასისა („მხოფლიოს შვიდ ნაოსრებათაგანი“) და ათენა პართენონის ქანდაკებები. ფიდიასეულ ღმერთების ქანდაკებებს ცოცხალ ადამიანთა ნიშან-თვისება აქვთ მინიჭებული, რაც უღმერთობაში ფიდიას დადანიშნულების საბაზი გახდა.

შილი — ძველ საბერძნეთში გვაროვნულ-ტომობრივი გაერთიანება, მოგვიანებით ტერიტორიული ოჯახები. ფილე იყოფოდა ფრატრიებად, ფილეს განაგებდა საბალზო კრება, უზწყვსთა ხაბკო, რელიგია, სასამართლო და სამხედრო ძალაუფლება ამორჩეული ფილობახილევსის ხელთ იყო. კლისთენეს რეფორმებში (ძვ. წ. 510—508) 4 გვაროვნულ ფილეს ნაცვლად შეიქმნა 10 ტერიტორიული ფილე და თითოეული 8 ნაწილად (ტრიტიად) დაიყო. ატიკაში ტერიტორიული ფილე მონათმფლობელური დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველს წარმოადგენდა. აქ ლაპარაკია ბეოტიის საზღვართან მდებარე ატიკურ ფილეზე. ანუ დემოსზე.

შილიოსტრატი — ძვ. წ. III ს. ბერძენი მწერალი-ისტორიკოსი, „სატრფიალო უხტართა“ ავტორი.

შირეა („ხუდი“) (მით.) — ამურის (ეროსის, ეროტის, კუპიდონის) სატრფო, მშვენიერი ურთოსანი ქალწული, რომელსაც იუპიტერმა უკვდავება მიანიჭა.

შალკილიტი — ნახევარკუნძული ეგეოსის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, თრაკიასა და მაკედონიას შორის.

შარტიტი (მით.) — აფროდიტეს თანამგზავრი, სილამაზის, ხაერთო სიმზიარულის, ნათელი და ხედნიერი ცხოვრების სამი ქალღმერთი.

შარშილი — პლატონის ბიძა, რომლის სახელი დაერქვა პლატონის ერთ-ერთ დიალოგს, თანამდებობის პირი ოცდაათი ტიტანის მთავრობის დროს.

შარონი (მით.) — ერებეს ვაჟი, ქვესკნელის სამეფოს ძველი მენავე, რომელსაც მოცვალებულთა სულები გადაჰყავს და გადმოჰყავს.

შარპსონტი — სოკრატეს მოწაფე და მიმდევარი, დემოკრატის მომხრე.

შარსონესი — (იხ. თრაკიის ქერსონესი).

შიტიონი — ძველ საბერძნეთში: მატყლის ან სელის გრძელი პერანგი (იცვამდნენ შონები, გლეხები და ახალგაზრდა ქალები), უხახელოებო იყო. ზემოდან წამოსახსმელს — შიმატიონს იმოსავდნენ.

შალშინილი — ძველი ბერძნებისა და რომაელების ხაზოსი (მამაკაცისა) ერთგვარი წამოსახსმელი, რომელსაც შესაკრავი ჰქონდა მარჯვენა მხარეზე ან გულზე (ცხენოსანთ ემოსათ).

შირეალოფანტიონი — „ოქრო და სპილოს ძვალი“. დიდი ქანდაკებების აგების ტექნიკა: კორპუსი იხისგან ერთდებოდა, სხეულის შიშველი ნაწილები სპილოს ძვლით პირკეთდებოდა, ხოლო შეჭობვა ოქროთი ჩდებოდა.

ბარის თვალბი (ანუ დიდი თვალბი) — საბერძნეთში სილამაზის ნიშნად ითვლებოდა, ღმერთად ჰერას ზარისთვალას (ბოროტს) უხმობდნენ.

წითელფიგურანი (შედარებით გვიანდელი) და შავფიგურანი (შედარებით არქაული) ხტილი — თიხის კურკლის მონატვის ორი ზერბი: პირველ შემთხვევაში ზავი ლაქით იფარებოდა ფონი, და ზედ გამოშვარი თიხის ფერის ფიგურები ჩნდებოდა ქლოტე შემთხვევაში კი — პირიქით.

სინკლიქოსე

ბალიპარნასი — ბერძნული ქალაქი მკირე აზიის ეგეოსის ხანაპიროს სამხრეთით (კარიასი).

ბაღენი (მით.) — მიწისქვეშა სამყაროს და მიცვალებულთა ხულების მბრძანებელი, კრონოსისა და რეას ვაჟი. ზევსისა და პოსეიდონის ძმა.

ბაირი, „პაირატი“ — „იხარე“, („გახაროდენ.“) „გაიხარეთ“. ბერძნული მიმშვიდობება.

ბარპინი (მით.) — შტაცებული ურჩხული, პარპიებს ზოგი ღმერთებს უწოდებს, ზოგი დემონებს, რომელთაც ქალის თავი, ფრინველის ტანი და კლანჭები ჰქონდათ.

ბებე (მით.) — ზევსისა და ჰერას ასული, ჰერაკლეს მეუღლე, მარადიული სიკაბუკის ქალღმერთი, ოლიმპზე მონადამე ღმერთებს მწდებოდა.

ბედონა — „სიამოვნება“, არისტოპე კირენელის (იხ.) ფილოსოფიის ცენტრალური ცნება.

ბედატმშბი — სიტყვასიტყვით „ას ხარს“ ნიშნავს. ზორვა, ანუ დიდი მსხვერპლშეწირვა ძველ საბერძნეთში, განსაკუთრებული შემთხვევის დროს. ვადატანით დიდი მსხვერპლის გაღებას, ომს, კირს, ხანადს ნიშნავს.

ბეკუბა, ბედაბა — ტროას მეფის პრიამის ცოლი, მრავალშვილიანი ჩნიერი დედა.

ბელიონი (მით.) — მზის ღვთაება.

ბელიბა — ძველ ათენში ნაოც მსაჯულთა სასამართლო, პეტრია დაარსა — სოლონმა ძვ. წ. V ს. ში. ეფიალტეს რეფორმებით შედიება ფუნქციები გაფართოვდა არეოპაგის ხარჯზე პელია შედგებოდა 8000 წევრისგან (ბელიასტებისგან), რომელთაც ირჩევდნენ 80 წელს მიღწეულ მოქალაქეთაგან. პელია ცალკადაც კომეგარებად იყო დაყოფილი, დემოკრატიული ზელისუფლების ხაერდენს წარმოადგენდა.

ბელისკონტი („მედებს ზღვა“) — ღმერთების სრუტე.

ბერბ (მით.) — ზევსის დი და ცოლი კორწინებისა და ოქანის მფარველი.

ბერბაქი (მით.) — ზევსისა და ალკმენეს ვაჟი, საბერძნეთის უდიდესი გმირი, რომელმაც დედაშიწა ბოროტ ძალთაგან იხსნა, ძალოვანი და მაშვრალი, ადამიანის კლასიკური სახე; პათის მიაგებდნენ როგორც ღმერთს, მეტადრე უბრალო ხალხი.

ბერბალიტი მფახრალი (ძვ. წ. დაახლ. 620 — დაახლ. 480) მეტსახელად „ბნელი“ — ბერძენი ფილოსოფოსი — მატერიალისტი, იონიური სკოლის წარმომადგენელი. თავისი ფილოსოფიური კოსმოლოგიური მოძღვრებით პერაკლიტე პრინციპულად დაუპირისპირდა სოკრატემდელ ფილოსოფოსო. პერაკლიტეს მიხედვით, კოსმოსის (სამყაროს) ცენტრალური სიმბოლოა „მარად ცოცხალი“ ცეცხლი, რომელიც არ შეუქმნია არავის არცა ღმერთთაგან, არცა კაცთაგან, იგი მუდამ იყო, არის და იქნება ცოცხალი ცეცხლი, ზომისებრ აგიზგიზებული და ზომისებრ ჩამქრალი“. მის ჩაქრობას შეიძლება რომ ჰქონდეს პირობითი, ფარდობითი ხასიათი, ამიტომ პერაკლიტეს აზრით — კოსმოსი არსებობს უხასრულო ქმნადობით დაფუძნებულ დროში. ამქვეყნად „უოველივე მიედინება“ („პანტა რეი“).

ბერმესი (მით.) — ტკვიანი, გაშვრიახი, მოზერხებული პერმესი ღმერთების ნების მაცნეა, ზევსის შიკრიკია, იგი მჭევრმეტყველების, გიმნასტიკურ შეჭიბრებათა და ვაჭრობის მფარველი ღვთაებაა.

ბერმები — ზევსისა და ატლანტის ასულის მათას ძის პერმესის გამოსახულებები იდგა გზებზე და ქუჩებში, საზოგადოებრივ მოედნებზე (ეს იყო პირითადად პერმესის თავიანი და ფალოსიანი ქვის ბოძები), მთელ საბერძნეთში წმინდა ბოძებად მიაჩნდათ.

ბესიონი — ბერძენი ეპიკოსი პოეტი; მოღვაწეობდა დაახლ. ძვ. წ. VIII — VIII საუკუნეთა მიჯნაზე. მოშეროსთან ერთად ითვლება ბერძნული ეპიკური პოეზიის მამამთავრად. მისი სახელით სრულად მოღწეულთა ორი პოემა „თეოგონია“ და „სამუშაოხი და დღენი“.

ბესპერიდები (მით.) — ხიმფები, ერებებს ასუდნი, რომელნიც უკიდურეს დასავლეთში ღმერთების ხალში ოქროს ვაშლებს დარაქობენ.

ბესტია (მით.) — ოქანის ცრის მფარველი ღვთაება.

პიტერა („დობილი“) — თავისუფალი ეოფაქცივის გაუთხოვარი ქალი ძველ საბერძნეთში. პეტერები პირველად გამოჩნდნენ კორინთოში აფროდიტეს სატაძრო პროსტიტუციასთან დაკავშირებით.

პიტერიანი („მეგობრული წრე“) — მოქალაქეთა ჯგუფების კავშირები, რომლებიც მებრძობები ძველ საბერძნეთში. ასე უწოდებდნენ როგორც ოფიციალურად აღიარებულ ჯგუფებს, ისე ხაიდუშლო პოლიტიკურ კავშირებს (უშეტესად ოლიგარქიული კავშირები).

პიპისტოსი — ზევსისა და პერას ვაჟი, სამკედლო ზედუჭნებს წარმოქმნის.

პიპათონი — კაცის (ზან ქალიხაც) გრძელი წამოსახსნელი, რომელსაც ქიტონის ზემოდან იმოსხედნენ.

პიპათოსი — შთა ატავაში (ათენის სამხრეთ-აღმოსავლეთით)

პიპარგოროები — შითური ნეტარმართალი ნაღბი დედამინის უკიდურეს ჩრდილოეთში. სადაც ზამთრობით სტუმრობს ათლონი.

პიპნოსი (მით.) — ძილის ღვთაება.

პიპია ელიდელი (ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარი) — თვალსაჩინო სოფიტი, ცნობილი როგორც მცოდნე უველა მეცნიერებისა და ზნეობისაც კი; სოკრატესთან მისი დავა-კამათი (რომლის დროსაც ის მუდამ მარცხდებოდა) აღწერილია პლატონის ორ დიალოგში.

პიპაროსი — საბერძნეთის ლეგენდარული ეპიკოსი პოეტი, რომელსაც მიეწერება „ილიადას“ და „ოდისეას“ ავტორობა.

პიპლიტი — მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მეომარი ძველ საბერძნეთში, აღჭურვილი იყო შუბით, მანვილით, გრძელი ფარით, მუზარადით, ჯავშნითა და ხაჩერნით.

პუსი — იხ. კოტილა.



თარგმნა ჯათო ბარბაქაძემ



იაკობის კიბე

თითქოს ტყე იყოს სამყარო და
მე იქ ოთხით ვიარებოდე.
შიშით განმმსჭვალავს
დაცვენილი ზიდან ფოთოლი.

სიზმარულში დაძირული, ამ ყველაფერს ვხატავ
და შემდეგ
ტყე — ჩემგან ქმნილი ეს სურათი, თეთრი თოვლით
დაიფარები.

პეიზაჟი იმქვეყნიური,
მეც იქ ვარ,
უკვე მერამდენე წელიწადია.

ქაშს ველი, ოდეს არაქაური სასწაული მიმისათუთებს,
გულს გამოთბობს და შიშს განაძევებს.
გამომეცხადე შენ, რომელსაც ყოველი მხრით
მოგელოდები

ო, ხელს ჩაკვიდებთ ერთმანეთს და
იაკობის კიბეზე რომ ავმალდებით, ჩვენ გავფრინდებით.

ბაღი

სალამო, ბაღი,
მთვარით ფენილი და შენ —
ზღაპარი, და რეზედის
ნაზი შეხება.

გულში ჩამიკრავ
თუ ამბორით დამასაჩუქრებ,
თუ მეტყვი: „წადი“,
და ხელის კვრით გამინაპირებ?

ნაწი შეხება სამყაროსი, შეყვარებული
მოდის საღამო,
რეზედის და ბაღის კეთილსურნელებით
აღვსილა იგი.



ქართული
საქმიანობა

ჩ ე მ ი ც რ ე მ ლ ე ბ ი

ჩემი ცრემლები განა მართლა ცრემლებია — ქვები
ცვივიან.

და გაღვებთან და მდინარეს შეერევიან,
წყალსმიცემული ყვავილებივით მიაქვს მდინარეს —
აი იგი, ჩემი სიცოცხლე, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო,
და მერე რისთვის?

აი იგი, ჩემი სიცოცხლე, ვსუნთქავ
და გელი.
მე შენ მოგელი,
ვიცი, აქვე ხარ, ჩემ გვერდით ხარ, მაგრამ ჩემგან
გადახვეწილ
რომელ შორეთში, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, და
მერე რისთვის?

გზათა და ტყეთა გადამლახავს
ძებორციელის სიტყვა ჯერ არ გამიგონია.
ღიმილით ვიწყებ ჩემს ყოველ დღეს
შენს მოლოდინში, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, და
მერე რისთვის?
დღეები დღეებს მისდევენ და ჩემი ჯვარი მდუმარედ
მიმაქვს.

ფეხს მკრავენ და ხელს მაშველებენ.
ქრება ნათელი და დღე ღამედ გადამტყვევია...
ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რისთვის დამიტყვევ შე?

ს ა მ უ ო ბ ლ ო

დუმს მშობლიური ჩემი მხარე...
შენი ღუმილით ჩემი სული აისხიბება...
ლოცვა ლოცვაა, — დღე და ღამე არასოდეს გამირჩევია
მაგრამ ცეცხლოვან მკერდს რამ უწამლოს?
კვლავ მუხლს მოვიყრი,
იმედი ჩემი ფარულია, იდუმალია.

უმზურვალესი ოცნებებით განათებული
ძღვნად ჩემი სისხლი მომირთმევია,
და ჩემი სუნთქვა —

ვითარცა ცრემლი, ჩემი თვალოვან დადენილი;
 მთლად სიცოცხლე მომირთმევია;
 აჰა მწვერვალზე ანაზდეული
 თრთოლვა ჰაერის ლურჯის, მკროლავის.
 ხოლო მე
 მშვიდად მოლიმარი,
 კუთვნილ სიჩუმეს დავენთქმები. განვესვენები.



აღბათ დიდია შენი წყრომა, მხარეო ჩემო,
 მაგრამ გავხსნილვარ,
 როგორც ბოცა საცობახდილი.
 როგორც ჭურჭელი, წყლით სავსე და ხელმისაწვდომი.
 განშორება წლითი-წლობით განმამტკიცებდა..
 ჯერ არ დადგება მიმწუხრი, რომ მე დავბრუნდები
 და ჩემს საფლაგზე
 ფერფლს მიმოაბნევი
 სამშობლოვ ჩემო!

დიდი ხანია

ჟამიდან ჟამზე მსურდა ვინმეს გავსიტყვებოდი,
 შორეთიდან გამომეხმო მაგნი, მსურდა.
 ძახილი ეგვი ფსკერზე შობილი, სულის სიღრმეს
 ამოარღვევდა.
 და ბაგეს ჩემსას მოსწყდებოდა ბუნდოვანი ლოცვა
 ვარდებზე, —
 რომ, მსგავსად ყველა ყვავილისა, ეყვავილათ
 მაშინ, როცა ჩემ წინაშე შენ აღმოჩნდებოდი.
 ვიხვეწებოდი და ვითხოვდი, აი რას ვითხოვ:
 კვლავ იქცეს ღამე სილამაზედ,
 ჟამი მესამე და უძილო როცა დადგება,
 და ღამემ ჩვენმა, ოდინდელმა და შორეულმა,
 თავის თავი გაიმეოროს.
 რათა მე, თითქმის შიშველი და არაფხიზელი,
 შენეული სამყოფისკენ გამოვემართო.

ხოლო შენ სად ხარ?

ძველი სიზმარი, და მე — სიზმარს თავდაღწეული.
 შენ გაიხსენებ გუშინდელ დღეს:
 როგორ გკოცნიდი,
 და ბანგი იყო და ბურანი შენი ალერსი —
 ჩვენ ხეებს შორის დავრბოდით და
 გეძებდი და შენი ძებნით არ ვიღლებოდი.

ხოლო შენ სად ხარ?

მერეკებიან, მაჩქარებენ
ზაფხული და მერე ზამთარი.
ზამთარი და კვლავ გაზაფხული.



საით?

შენს ხელში დღემდე ცოცხლობს, ჯერ არდამტკნარი,
კვლავ შეირბევა თაიგული ჩემეული
სიყმაწვილისდროინდელი ყვავილების და
ჩვენს საქორწილო ღამეს ელის — ჩემსას და შენსას.

მტვერს დაუფარავს, წელიწადთა მტვერს დაუფარავს
ცარიელი ჩემი ხელები.
ყველგან გეძიებ და გპოვებ ვერსად.

ხოლო შენ სად ხარ?

დღე ჩემეული, დღე ყოველი, უკუქცეული —
ჩვენ რომ ვიცხოვრეთ, იმ ღამისკენ დაეშურება,
გამიტაცებს თავისთან ერთად.

საით?

მე შინდა და არც შინდა დაბრუნება უკან —
არსაით.

იკეცებიან
ჩემი ფრთები,
მერე ისევ განიშლებიან, რათა მტკიცედ შემოგეხვიონ
და ჩემს გზებს მიგცენ — ცისკენ სავალ გზებს.
და ვიდრე ჩემი ფრენა გასტანს,
მე შენ გეძიებ.

ხოლო შენ სად ხარ?

მე ვიწვდი ხელებს.

ისევ და ისევ
ვცდილობ ფერებად განვასხეულო
სამყარო, შენგან ნაადრევად დატევილებული.
მწამს: სული ჩემი, ბაგე ჩემი
შენს შორეულ სიმაღლემდე მოიტანენ
ლოცვას,
ჩემს ძახილს.

ძახილი ეგე უსასრულო სიზმარია,
ჩემეული ნახატებიდან
შენს ფერხთით რომ დაედინება.

ხოლო შენ სად ხარ?



რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ეთერ მონიწრავიშვილმა

I თავი

ქალბატონმა ვენ რიდოკმა სარკიდან ოდნავ უკან დაიხია და ამოიოხრა.

— კეთილი, საკმარისია, — ჩაილაპარაკა თავისთვის. — მოგწონს, ჯეინ?

— მისს მარფლმა მუშტრის თვალით შეათვალიერა ლანვანელის შემოქმედება.

— ვფიქრობ, მშვენიერი კაბაა, — მიუგო მან.

— კაბა მართლაც კარგია, — თქვა ქალბატონმა ვენ რიდოკმა და ამოიოხრა. — გამხადე, სტეფანი, — უთხრა მოახლეს.

ხანშიშესულმა ქალარათმიანმა, თხელტუჩება მოახლემ ხელემაწეულ ქალბატონ ვენ რიდოკს კაბა ფრთხილად ზახადა.

ქალბატონი ვენ რიდოკი სარკის წინ ატმისფერი ატლასის პერანგის ამარა დარჩა. მას საოცრად წვრილი წელი ჰქონდა, ლამაზი მოყვანილობის ფეხებზე ნეილონის წინდები ეცვა. მის სახეს მუდმივი მასაჟებისა და ნელსაცხებლის სქელი ფენის წყალობით შორიდან მაინც ახალგაზრდული იერი დაჰკრავდა. კოხტად დავარცხნილი, მორუხო-მოციხფრო პორტენზიისფერი თმა ჰქონდა. პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო ამოგეცნოთ, თუ როგორ გამოიყურებოდა სინამდვილეში ქალბატონი ვენ რიდოკი. ყველაფერი, რაც შეიძლება ფულით გაკეთდეს, ამ ქალს მოუხერხებია. თანაც ამას ემატებოდა დიეტა, მასაჟები და სისტემატური ვარჯიშები.

რეთ ვენ რიდოკმა თავის მეგობარს გადახედა და გაეხუმრა:

— როგორ გგონია, ჯეინ, ვინმე იფიქრებს, რომ ჩვენ ტოლები ვართ?

მისს მარფლმა ერთგული მეგობრის შესაფერი პასუხი გასცა:

— ერთი წუთითაც არა, დარწმუნებული ვარ, — დაამშვიდა მეგობარი, — ხომ იცი, რომ მე ზუსტად მეტყობა ასაკი.

მისს მარფლი სანდომიანი, თეთრთმიანი, ხანში შესული ქალბატონი იყო, რომელსაც დანაოჭებულ სახეზე ნაზი ვარდისფერი დაჰკრავდა და ცისფერი, ფაიფურისებრი თვალეები მიაშიტურად უციმციმებდა. ქალბატონ ვენ რიდოკზე კი ვერაფერს იტყოდა, სანდომიანი ქალბატონიაო.

— კი გეტყობა, ჯეინ, — აღნიშნა ქალბატონმა ვენ რიდოკმა და ჩაიციხა. — მეც მეტყობა, ოღონდ ცოტა სხვაობაა. იცი, ჩემზე რას ამბობენ: რა მშვენიერად ინარჩუნებს ეს ბებერი კუდიანი ფიგურასო. კარგად იციან, რომ ბებერი კუდიანი ვარ! ოჰ, ღმერთო ჩემო, ნუთუ ასე გამოვიყურები?

იგი მძიმედ დაეშვა ატლასგადაკრულ სკამზე.

— კარგი, სტეფანი, — მიმართა მოახლეს, — შეგიძლია წახვრდე.

სტეფანიმ აკრიფა ტანსაცმელი და გავიდა.

— კეთილი მოხუცია სტეფანი, — თქვა რუთ ვენ რიდოკმა, — აგერ უკვე ოცდაათ წელზე მეტია ერთად ვართ, ის ერთადერთი ქალაქი, რომელშიც იცის, როგორ გამოვიყურები სინამდვილეში. ჯეინ, შენთან სალაპარაკო მაქვს.

მისს მარფლი ვადმოიხარა და მოსასვენად მოემზადა. მისი გარეგნობა როგორღაც ვერ ეხამებოდა ძვირფასი სასტუმროს მდიდრული საწოლი ოთახის ფონს — საკმაოდ ძველმოდური შავი კაბა ეცვა და დიდი, ბაზრის ჩანთა ეჭირა, მაგრამ ქალის ყოველი მოძრაობა იმაზე მეტყველებდა, რომ ის ნამდვილი მანდილოსანი იყო.

— ჯეინ, ძალიან შეწუხებული ვარ კერი ლუიზის მდგომარეობით.

— კერი ლუიზის? — გაიმეორა მისს მარფლმა და ფიქრებს გაჰყვა. ამ სახელმა შორეულ წარსულში დააბრუნა.

პანსიონატი ფლორენციაში. თვითონ — თეთრყირშიზი, ინგლისელი გოგონა, რომელიც კათედრალური ტაძრის ეზოში ცხოვრობდა, და მარტინების ორი ქალისშვილი — ამერიკელები, რომლებიც ინგლისელ გოგონას აღელვებდნენ თავიანთი უჩვეულო აქცენტებით, პირდაპირობითა და ენერგიულობით. რუთი ტანადი, მგზნებარე გოგონა იყო, მუდამ მეშვიდე ცაზე გეგონებოდათ. კერი ლუიზი კი მომცრო ტანისა იყო, მოხდენილი და სევდიანი.

— სულ ბოლოს როდის შეხვდი მას, ჯეინ?

— ოჰ, არც ისე დიდი ხნის წინ, ასე, ოცდახუთიოდე წელი იქნება მას შემდეგ. რა თქმა უნდა, შობის დღესასწაულს ყოველთვის ვულოცავთ ერთმანეთს.

რა უცნაურია მეგობრობა! ის, ახალგაზრდა ჯეინ მარფლი, და ორი ამერიკელი გოგონა. მათი გზები იმთავითვე გაიყარა, თუმცა ძველი სიყვარული, თითო-ოროლა წერილი და საშობაო ბარათი კი შემორჩათ. უცნაურია, რომ სწორედ რუთი გახლდათ ამ ორი დიდან ერთ-ერთი, ვისაც მისს მარფლი უფრო ხშირად ხვდებოდა. თუმცა რუთს სახლი, უფრო სწორად, სახლები, ამერიკაში ჰქონდა. მაგრამ გასაოცარი არაფერია. როგორც მისი წრის ყველა ამერიკელი, რუთიც კოსმოპოლიტი იყო. ერთ ან ორ წელიწადში ერთხელ ყოველთვის მიემგზავრებოდა ევროპაში, ლონდონიდან პარიზში მიდიოდა, შემდეგ რივიერაზე და ისევ უკან ბრუნდებოდა, თანაც ყოველთვის ცდილობდა გამოეძებნა დრო ძველ მეგობრებთან შესახვედრად. ასეთი შეხვედრები ხშირად ჰქონდა, იქნებოდა ეს კლარიჯში, სავოიაში, ბერკლიში თუ დორჩესტერში, გულითადი წვეულებები, სასიამოვნო მოგონებები და ნაჩქარევი, გულთბილი გამოთხოვება. რუთს არასოდეს ეცალა სენტ მერი მიდში ჩასასვლელად, მისს მარფლს კი არასოდეს უფიქრია იმაზე. ცხოვრება ხომ სწრაფად — tempo—მიექანება: რუთის ცხოვრება — კიდევ უფრო სწრაფად — presto — მიექანებოდა, მაშინ როცა მისს მარფლისა — მდორედ — adagio — მიედინებოდა.

ასე რომ, ეს ის ამერიკელი რუთი იყო, რომელსაც მისს მარფლი უფრო ხშირად ხვდებოდა, ვიდრე კერი ლუიზს, რომელიც ინგლისში ცხოვრობდა და აგერ უკვე ოც წელზე მეტია არც ენახა. უცნაურია, მაგრამ — ბუნებრივი. იმიტომ რომ, როცა ერთ ქვეყანაში ცხოვრობენ, არც ცდილობენ ძველ მეგობრებთან საგანგებოდ შეხვედრას, მიაჩნიათ, რომ ადრე თუ გვიან, მოულოდნელად მაინც ნახავენ ერთმანეთს. მაგრამ ასე არ ხდება. თუ სხვადასხვა წრეში

უწევთ ტრიალი, ჯეინ მარტლისა და კერი ლუიზის გზები არასოდეს შეყრილა, თუმცა ეს არც ისე ძნელი იყო.

— რატომ გაწუხებს კერი ლუიზის მდგომარეობა? — ქეთხა მისს/მარტლმა.

— მეც არ ვიცი, რატომ!

— ავად ხომ არ არის?

— ძალიან სუსტია, ყოველთვისაც ასეთი იყო, ვერ ვიტყვი, რომ ახლა ჩვეულებრივზე უფრო ცუდად გრძნობდეს თავს, ისევეა, როგორც ჩვენ ყველა.

— უბედურია?

— ო-ო, არა.

არა, შეუძლებელია, გაიფიქრა მისს მარტლმა, ძნელია კერი ლუიზი უბედურ ქალად წარმოიდგინო, თუმცა, მის ცხოვრებაში იყო ისეთი წუთები, როცა, ალბათ, უბედურადაც უგრძობია თავი, მაგრამ ეს აშკარად არავის დაუნახავს, იქნებ გასაჭირშია — შესაძლებელია: ან იქნებ უნდობლობა დაუფლებია — კი ბატონო, მაგრამ უბედური რომ იყოს — არასოდეს.

ქალბატონი ვენ რიდოკის სიტყვები დროულად გაისმა.

— კერი ლუიზს... — თქვა მან, — ამ ცხოვრებით არასოდეს უცხოვრია; მან არც კი იცის, რას ნიშნავს ეს, ალბათ სწორედ ეს მაწუხებს.

— მისი ფინანსური მდგომარეობა... — დაიწყო მისს მარტლმა, მაგრამ შეჩერდა და თავი გააქნია, — შეუძლებელია.

— არა, ეს თვით კერი ლუიზს ებება, — თქვა რუთ ვენ რიდოკმა, — კერი ლუიზი ყოველთვის მეოცნებე იყო; რა თქმა უნდა, მაშინ ეს მოღურად ითვლებოდა; ახალგაზრდობაში ყველანი მეოცნებენი ვიყავით, ეს ყველა გოგონას სენი იყო, ჯეინ, მახსოვს შენ კეთროვანთა მოვლაზე ოცნებობდი, მე კი მონაზნობა მიტაცებდა, შეიძლება, ეს ყველაფერი სისულელე იყოს, მაგრამ ქორწინება თავიდან ამოუგდებს ხოლმე ქალს ასეთ სისულელეებს; თუმცა, რაც არ უნდა ითქვას, მე არა ვარ უკმაყოფილო ჩემი ქორწინებით.

მისს მარტლმა გაიფიქრა, შერბილებულად ნათქვამიანო, რუთი ხომ სამჯერ იყო გათხოვილი, და სამივეჯერ უმდიდრეს მამაკაცებზე; და ყოველი მორიგი გაურა ხელს უწყობდა მისი ბალანსის გაზრდას ბანკში, რაც სულაც არ მოქმედებდა მის გუნება-განწყობილებაზე.

— რა თქმა უნდა, — თქვა ქალბატონმა ვენ რიდოკმა, — მე ყოველთვის მტკიცე ნასიათი მქონდა და ამიტომ სულიერად არასოდეს დავცემულვარ, ცხოვრებისაგან ბევრს არაფერს მოვიტხოვდი, მით უმეტეს — კაცებისაგან (ამან კარგის მეტი არაფერი მომიტანა), ზედმეტ განსაცდელსაც თავს ვარიდებ, მე და ტომის არაჩვეულებრივი მეგობრობა გვაკავშირებს დღესაც, ჯულიუსი კი ხშირად მეკითხება აზრს ბაზარზე. — უცებ სახე მოელრუბლა, — ეხვდები, რატომ ვწუხვარ კერი ლუიზზე, მას ყოველთვის ახირებული მამაკაცები მოსწონდა:

— ახირებული?

— ჰო მეოცნებეები, ეს კერი ლუიზის სუსტი წერტილია, მაშინ ის მშვენიერი გოგონა იყო, სულ რაღაც ჩვიდმეტი წლისა თუ იქნებოდა, ფართოდ გახეული თვალებით მისჩერებოდა იმ ბებერ გულბრანდსენს, რომელმაც მთელი თავისი ზრახვები გადმოუშალა, სიკეთე რომ უნდა მოეტანათ კაცობრიობისათვის, და თავბრუ დაახვია, ის უკვე ორმოცდაათს გადაცილებული იყო, როცა უკორწინეს, ქვრივი, უკვე მოზრდილი შვილების მამა, მხოლოდ და მხოლოდ მისი ფილანთროპული აზრების გამო შეირთო კერი ლუიზმა, იქდა და თვალებ-

ში შეჭყურებდა მოხიბლული, როგორც ღებღემონა ოტელოს. ბუდად იაგო არსად გამოჩნდა, თორემ ყველაფერს აურევდა. ასეა თუ ისე, გულბრანდსენი შავკანაანი არ ყოფილა არ ვიცი, შვედი იყო, ნორვეგიელი. თუ რაღაც ამის მსგავსი.

ფიქრებში ჩაძირული მისს მარფლი თავს უქნევდა, გულბრანდსენის სახელს ერთგვარად საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, რომელიც გონიერებით, გამჭრიახობითა და საოცარი პატიოსნებით ისეთი კოლოსალური ქონება შეიძინა, რაც მხოლოდ ჭეშმარიტ ქველმოქმედებას უნდა მოხმარებოდა. მის სახელს ჯერაც შერჩენოდა მნიშვნელობა: გულბრანდსენის ტრესტი, გულბრანდსენის კელევითი საზოგადოება, გულბრანდსენის დავრდომილთა თავშესაფრები. და ბოლოს, ყველასათვის კარგად ცნობილი კოლეჯი, რომელიც მან მუშათა შვილებისათვის გახსნა, სადაც ფართო განათლებას იღებდნენ.

— შენ ხომ იცი, კერი ლუიზი ფულის გამო არ გაქყვებოდა. — უთბრა რუთმა. — მე თუ საერთოდ გავყვებოდი, მხოლოდ ქონებისათვის, კერი ლუიზი კი არა, არ ვიცი, რა ეშველებოდა, გულბრანდსენი რომ არ მომკვდარიყო. როცა კერის ოცდათერთმეტი წელი შეუსრულდა, ეს ხომ საუკეთესო ისაკია ქვრივი ქალისათვის. მართალია, მან დიდი გამოცდილება მიიღო, მაგრამ მაინც ძალიან მიმნდობი და დამჯოლია.

შინაბერა უსმენდა მას და თავაზიანად თავს უქნევდა, სანამ გონების თვალს გადაავლებდა თავის ნაცნობ ქვრივებს, რომლებიც სენტ მერი მიდის დასახლებაში ცხოვრობდნენ.

— მართლაც დიდი ბედნიერება იყო, როცა კერი ლუიზმა ჯონი რესტარკზე იქორწინა, თუმცა, მან კერი მხოლოდ ფულისთვის შეირთო — ფული რომ არა, არც იქორწინებდა კერიზე, ჯონი საოცრად თავკერძა, ფუფუნების მოყვარული. უქნარა არამზადა გახლდათ, მაგრამ ასეთი კაცი ბევრად უფრო უვნებელია, ვიდრე ნებისმიერი ახირებული. ერთადერთი, რაც ჯონის სურდა, უზრუნველი ცხოვრება იყო. მას უნდოდა, კერი ლუიზს საუკეთესო მკერავებთან ევლო, იახტები და მანქანები ჰყოლოდათ და ერთად ყოფნით სიამოვნება მიეღოთ. ამგვარი მამაკაცი კი საიმედოა. მიეცი მას კომფორტი და ფუფუნება და კატასაფით მოპყვება კრუტუნს, თან საოცრად მომხიბვლელი იქნება, სერიოზულად არასოდეს მიმიღია მისი მხატვრობა და თეატრალური სისულელეები, კერი ლუიზი კი თავბრუდამბვეული იყო — ყველაფერ ამას ჭეშმარიტად მიიჩნევდა და ჯონისაც აიძულებდა ამით ეცხოვრა. მაგრამ იმ საშინელმა იუგოსლავმა ქალმა გამოიჭირა და გაიტაცა — ჯონის ნამდვილად არ უნდოდა გაპყოლოდა, კერი ლუიზს რომ დაეცადა და უფრო გონივრულად მოქცეულიყო, დაუბრუნდებოდა.

— ძალიან განიცადა? — იკითხა მისს მარფლმა.

— სასაცილოა, მაგრამ დანამდვილებით არც ვიცი, თავიდან საოცრად მიმტვევებელი იყო; შეიძლება შემდეგ განიცდიდა კიდევ, ძალიან მიმტვევებელია, საერთოდ. გაგიყვებით სწადდა ჯონისთან გაყრა, რათა მას და იმ ქალს ექორწინათ, თანაც ბინა შესთავაზა ჯონის ბიჭებს, რომლებიც ბირველი ქორწინებიდან ყავდა, ვინაიდან მათთვის ეს ხელსაყრელი იქნებოდა. საბრალო ჯონი კი იძულებული გახდა შეერთო ის ქალი და მასთან მტანჯველი ექვსი თვე გაეტარებინა. შემდეგ კი გააფრთხილებული ხევში გადაიჩეხა მანქანით. ამბობდნენ, უბედური შემთხვევა იყო, მე კი ვფიქრობ, ჯონის ხასიათის ბრალია ყველაფერი!

ქალბატონი ვენ რიდოკი გაჩუმდა, სარკე იღო და ყურადღებით შეათვა-

ლიერა საკუთარი თავი. შემდეგ ბინცეტი მოიმარჯვა და ერთი ღვინო წაიღო ამო-
იგლიჯა.

— რაღა დარჩენოდა ამის შემდეგ კერი ლუიზს გარდა იმის, რომ ლუის
სეროქოლდს გაპყლოდა ცოლად. კიდევ ერთი მეოცნებე! კიდევ ერთი ახირე-
ბული კაცი! არა, იმას კი არ ვამბობ, თითქოს ის კერის ერთგული იყო იყოს. ფიქ-
რობ, ძალიან ერთგულიც არის. მაგრამ ისიც იგივე სურვილიც აქვს. მუშაობ-
ბილი — სხვებს ცხოვრება გაუმჯობესოს. მაგრამ სინამდვილეში მისი იცო,
თუ ადამიანი თვითონ არ გაიმჯობესა ცხოვრება, სხვა ვერავინ უშველის.

— საინტერესოა, — ჩაილაპარაკა მისს მარფლმა.

— ოღონდ, რა თქმა უნდა, ყველაფერს თავისი მოღვაწეობა აქვს ისევე, რო-
გორც ტანსაცმელს (ძვირფასო, ნახე, როგორ ქვედაბოლოებს გვთავაზობს
კრისტიან დიორი?) რას ვამბობდი? ჰო, მოღვაწე ვლაპარაკობდი ფილანთრო-
პიაც მოღვაწე. გულბრანდსენის დროს განათლების სფეროში ეწეოდნენ ქველ-
მოქმედებას, მაგრამ ამან უკვე თავისი დრო მოჰყავს. განათლების საქმეში ახ-
ლა სახელმწიფოა ჩარეული. მიაჩნიათ, რომ განათლების უფლება ყველასა აქვს,
მაგრამ როცა უკვე მიიღებენ განათლებას, ამ უფლებას აღარაფრად აგდებენ.
არასრულწლოვანთა დამნაშაული — აი, რა იტაცებთ დღეს! ახალბედა თუ
პოტენციური დამნაშავენი. ამათზე მთელი ქვეყანა შეშლილი. უნდა ნახო
ლუის სეროქოლდის თვალები, სათვალის იქიდან ნაპერწკლებს რომ ჰყრიან,
ენტუზიაზმით ანთებული თვალები! ის მამაკაცთა იმ კატეგორიას მიეკუთვნე-
ბა, რომელთაც მოზღვავებული ძალა აქვთ. სიამოვნებით მიირთმევენ ბანანსა
და ნამცხვარს და მთელ თავიანთ ენერჯიას საქმეს ახმარენ. კერი ლუიზი ყვე-
ლაფერ ამას ულაპავს, როგორც ყოველთვის. მე კი ეს არ მომწონს. ჯერ მათ
მეურვეთა შეკრება ჰქონდათ და ერთმა აზრმა მოიცვა ყველა. გადაწყვიტეს
არასრულწლოვან დამნაშავეთათვის შეეკმნათ სასწავლო დაწესებულება, და-
კომპლექტებული ფსიქიატრებითა და ფსიქოლოგებით და ბევრი სხვა ვილაც-
ვილაცებით. ლუისი და კერი ლუიზიც იქ ცხოვრობენ. ამ ბიჭების გარემოც-
ვაში, რომლებიც არც თუ ისე ნორმალურები უნდა იყვნენ, იქაურობა სავსეა
პროფესიონალი თერაპევტებით, მასწავლებლებითა და ენთუზიასტებით — ნა-
ხევარზე მეტი სრულიად არანორმალურია; ამდენი ახირებული ერთად და
მათ შორის ჩემი პატარა კერი ლუიზი!

მან შეისვენა და უმწურო თვალები მისს მარფლს მიაპყრო.

მისს მარფლი შეშფოთდა:

— მაგრამ, რუთ, შენ არ მეუბნები, ასე რამ შეგაშინა.

— ხომ გეუბნები, არ ვიცი! სწორედ ეს მაწუხებს. ამასწინათ შევიარე
იქ და ვიგრძენი, რომ რაღაც ხდებოდა — გარემოში, სახლში; დარწმუნებული
ვარ, არ ვცდები. ყოველთვის მქონდა გარემოს შეგრძნების უნარი. გაბსოვს,
რომ ვიამბე, როგორ ვარწმუნებდი ჯულიუსს შერეული მარცვლეულს გაეყიდა.
სანამ გაკოტრდებოდა? განა მართალი არ ვიყავი? დიას, იქ რაღაც ხდება. მე
არ ვიცი, ეს იმ საშინელ ახალგაზრდა დამნაშავეებს ეხება, თუ ოჯახთანაა და-
კავშირებული. ვერაფერს გეტყვი ლუისი მხოლოდ თავისი ოცნებებით ცხოვ-
რობს, ირგვლივ ვერაფერს ხედავს; კერი ლუიზიც, ღმერთი იყოს მისი მფარ-
ველი, წარმტაცი ხედების, მომაჯადოებელი ბგერებისა და ოცნებებია გარდა
ვერასოდეს ვერაფერს ხედავდა, არც ესმოდა და არც ფიქრობდა სხვა რამეზე.
ეს მიმზიდველია, მაგრამ პრაქტიკული კი არა. იქ რაღაც უბედურება ხდება
და მინდა, ჯერ, პირდაპირ იქ გაემგზავრო და ზუსტად გაიგო, რა ხდება.

— მე? — აღმოხდა მისს მარფლს. — რატომ მე?

— იმიტომ, რომ შენ საოცარი ალლო გაქვს. მუდამ ისეთი სათუთი და მია-
მიტი იყავი, ჯეინ, მაგრამ თან არაფერი გოცუბდა. შენ უფრო იჭერებ
ხოლმე.

— ცუდი ხშირად დასტურდება კიდევ. — ჩაილაპარაკა მისს მარფლმა.

— საოცარია, რატომ გაქვს ასეთი ცუდი წარმოდგენა — მტკბარე ბუნე-
ბაზე, მაშინ, როცა ასეთ მშვენიერ, მშვიდ სოფელში ცხოვრობ. ნამდვილ სო-
ფელში.

— შენ არასოდეს გიცხოვრია სოფელში რუთ, ზოგჯერ ისეთი რამეები
ხდება ასეთ ნამდვილ, მშვიდ სოფლებში, რომ გოცუბდები.

— ოჰ, უნდა ვითხრა, რომ ვერაფრით გამოაცუბენ, მაშ, წახვალ და გა-
იგებ რა ხდება იქ, სტოუნიგეიტში, არა?

— კი მაგრამ, რუთ, გეოაჟვა, ეს ძნელი საქმე იქნება.

— არა, სულაც არა, მე უკვე ყველაფერი მოვიფიქრე, ხუ გამიჯავრდები,
მაგრამ იქ უკვე ნიადაგიც შევამზადე.

ქალბატონი ვენ რიდოკი ცოტა ხნით დადუმდა, მისს მარფლი უბერბუ-
ლად შეათვალიერა, სიგარეტს მოუკიდა და საკმაოდ აფორიაქებული ახსნა-
განმარტებას მოჰყვა.

— ალბათ დამეთანხმები, რომ ომის შემდეგ ამ ქვეყანაში საქმეები ცუ-
დად წაუვიდა იმათ, ვისაც ცოტა შემოსავალი აქვს, უნდა ითქვას, შენნაირ
ადამიანებს, ჯეინ.

— ჰო, რა თქმა უნდა ჩემი ძმისშვილის სიკეთე რომ არა, ნამდვილად
დიდი სიკეთე, არ ვიცი რა შეშველებოდა.

— ძმისშვილი არ ახსენო, — მიუგო ქალბატონმა ვენ რიდოკმა. — კერი
ლუიზმა არაფერი იცის მის შესახებ, თუნდაც იცოდეს, ის, ალბათ, რეიმონდს
იცნობს მხოლოდ როგორც მწერალს და წარმოდგენაც არა აქვს, რომ შენი
ძმისშვილია, კერი ლუიზი დავარწმუნე, ჩვენა ძვირფაა ჯეინს ძალიან უჭირა-
შეთქი, ზოგჯერ საჭმელსაც ძლივს შთულობს, მაგრამ თავმოყვარეობა იმის
ნებას არ აძლევს, რომ ძველ მეგობრებს დახმარებისთვის მიმართოს, ფულ-
საც ვერ შესთავაზებ-შეთქი კარგი იქნებოდა მისთვის მყუდრო გარემოში
დიდი ხნით უბრუნველი და უშფოთველი დასვენება, გემრიელი კერძები, ძვე-
ლი მეგობრების გვერდით ყოფნა-შეთქი. — რუთ ვენ რიდოკმა შეიცადა, შემ-
დეგ გამომწვევად დაუმატა, — აბა, ახლა შენ იცი, თუ გინდა გამიბრაზდი.

განცვიფრებულ მისს მარფლს კეთილი, ცისფერი ფაიფურისებრი თვა-
ლები გაუფართოვდა.

— რატომ უნდა გაგიბრაზდე, რუთ? მეტად გონებამახვილური და დამა-
ჯერებელი მოტივია, დარწმუნებული ვარ, კერი ლუიზი გამოეხმაურებოდა.

— ბარათი გამოგიგზავნა, ალბათ, შინ დაგხვდება, გულახდილად მითხა-
რი, ჯეინ, შენ მართლა არ ფიქრობ, რომ მე უტაქტოდ მოვიქეცი? ხომ არ გეწ-
ყინა...

ქალბატონ ვენ რიდოკს ენა დაემა, ხოლო მისს მარფლმა თავისი ფიქრე-
ბი მარჯვედ გამოხატა:

სტოუნიგეიტში მივდივარ როგორც ქველმოქმედების საგანი, ასე თუ
ისე, მოტყუებით, არა? ეს კიდევ არაფერი, თუ აუცილებელია, რადგან შენ
ფიქრობ, რომ აუცილებელია, მეც გემორჩილები.

ქალბატონი ვენ რიდოკი მიაჩერდა.

— რატომ? ამ ამბისა გაიგე რამე?

— არაფერი! უბრალოდ, შენ დარწმუნებული ხარ, რომ რაღაც ხდება. შენ კი ახირებული ქალი არა ხარ, რეთ.

— არა, მაგრამ მე გარკვევით არაფერი ვიცი.

— მახსოვს, — თქვა ფიქრებში ჩაძირულმა მისმა მარტვილმა მეგობარმა კვირა დღით ეკლესიაში, ეს იყო საშობაო მარხვის მეორე დღის ღამის ლემბლის უკან ვიჯექი და რომ ვაკვირდებოდი, სულ უფრო და უფრო მაწუხებდა მისი მდგომარეობა. იცი, დარწმუნებული ვიყავი, რაღაც საშინელი ამბავი იყო მის თავს, მაგრამ რატომ ვიყავი დარწმუნებული, ამის თქმა არ შემეძლო. საოცრად მტანჯველი გრძნობაა.

— მართლა ხდებოდა რაღაც?

— ჰო, მამამისი, მოხუცი ადმირალი, ძალიან უცნაურად იქცეოდა ბოლო დროს, ჰოდა, ზუსტად მეორე დღეს, ნახშირის უროთი გამოედევნა გრეისს, თან გააფთრებული ღრიალებდა, რომ ეს ანტიქრისტე თავის ქალიშვილად აჩვენებდა თავს. ძლივს გადაურჩა საბრალო გოგო. ადმირალი საგიჟეთში მოათავსეს, გრეისი კი რამდენიმე თვე იწვა საავადმყოფოში და როგორც იქნა, გამომჯობინდა, მაგრამ ეს მეტად მძიმე შემთხვევა იყო.

— ალბათ იმ დღეს, უეჭველად რაღაც წინათგრძნობა გქონდათ ეკლესიაში, არა?

— ვერ ვიტყვი, რომ ეს წინათგრძნობა იყო, უბრალოდ ჩემი ვარაუდი ფაქტზე იყო დაფუძნებული — ასეთი რამეები ყოველთვის ფაქტებს ემყარება, რაც არცთუ ისე იოლი შესამჩნევია ერთბაშად. მას საკვირაო ქული უკულმა ეხურა. არ შეიძლებოდა ამისათვის ყურადღება არ მიგვექცია, რადგან გრეის ლემბლი მეტისმეტად აკურატული ქალი იყო; ამას ვერც დაბნეულობას მიაწერდი და ვერც გულმაგიწყობას, ერთადერთი, რაც შეიძლებოდა გეფიქრა, ის იყო, რომ ჩქარობდა და სიჩქარეში ვერ შენიშნა, ქული უკულმა რომ დაიხურა. წარმოგიდგენია, თურმე მამამისმა მარმარილოს საშრობი მოუქნია და სარკე გატეხა. ქალმა საჩქაროდ დაავლო ხელი ქუდს, თავზე მოიგდო და სახლიდან გამოვარდა. მხოლოდ ის აღელვებდა, როგორმე ზრდილობის წესები დაეცვა და მოსამსახურეებს არაფერი შეეტყვოთ. მან ყველაფერი ეს „საყვარელი მამის მეზღვაურულ ხასიათს“ მიაწერა და აზრადაც არ მოსვლია, რომ მამამისს სინამდვილეში გონება არეული ჰქონდა, თუმცა, ამას აშკარად უნდა მიმხვდარიყო. მამა ყოველთვის შესჩიოდა, ვიღაცები მითვალთვალებენ, მტრები მყავსო, რაც, ჩვეულებრივ, ამ სენს ახასიათებს.

ქალბატონი ვენ რილოვი მოწიწებით შესცქეროდა თავის მეგობარს.

— შეიძლება, ჯენ, — თქვა მან, — ეს შენი სენტ მერი მიდი არცთუ ისე იდილიური თავშესაფარია, როგორც წარმომედგინა.

— ადამიანის ბუნება, ძვირფასო, ყველგან ერთნაირია. ზოგი რამ ქალაქში უფრო ძნელი შესამჩნევია, სულ ეს არის და ეს.

— მაშ, მიემგზავრები სტოუნიგეიტში?!

— მივემგზავრები. უსამართლობაა ალბათ ჩემი ძმისშვილის, რეიმონდის მიმართ, ვინმეს ვაფიქრებინო, რომ ჩემზე არ ზრუნავს. კიდევ კარგი ჩემი საყვარელი ბიჭი მექსიკაშია ექვსი თვით, ამ დროის განმავლობაში კი ყველაფერი დამთავრდება კიდევ.

— რა დამთავრდება?

— კერი ლუიზის მიწვევა ხანგრძლივი დროით ხომ არ იქნება, სამი კვი-

რით ალბათ, ან ერთ თვემდე, ეს კი საკმარისი იქნება.

— საკმარისი იქნება, რომ გაარკვიო, იქ რა ხდება, არა?

— დიახ, რომ გავარკვიო, რა ხდება.

— ჩემო ჯეინ, — თქვა ქალბატონმა ვენ რილოკმა, *შენს სთორად გწამს* საკუთარი თავისა, არა?

მისს მარფლმა ოდნავ შეფარული საყვედურით მიმართა:

— შენ გწამს ჩემი, რუთ. შემძლია მხოლოდ დაგარწმუნო, რომ ვეცდები შენი იმედები გავამართლო.

111030

სანამ სენტ მერი მიღში დაბრუნდებოდა (ოთხშაბათობით მგზავრობა იაფია), მისს მარფლმა მეტად პედანტურად და საქმიანად შეკრიბა გარკვეული ცნობები.

— მე და კერი ლუიზს მიმოწერა გვქონდა, მაგრამ უმეტესად საშობაო მისალოცებს ან საეკლესიო კალენდრებს ვუგზავნიდით ერთმანეთს. მე ფაქტები მაინტერესებს, რუთ, ძვირფასო, ამავე დროს ისიც, თუ ვის გადავეყრები სტოუნიგეიტის ოჯახურ გარემოში.

— კეთილი, შენ უკვე იცი კერი ლუიზისა და გულბრანდსენის ქორწინების ამბავი. მათ შვილი არ შესძენიათ, რასაც კერი ლუიზი ძალიან განიცდიდა. გულბრანდსენი ქვრივი იყო და მოზრდილი შვილებიც ჰყავდა. შემთხვევა მიეცათ თუ არა, ბავშვი სიყვანეს, ორი წლის პიბა — ასე ეძახდნენ ბავშვს — საყვარელი არსება იყო.

— სადაურია? საიდანაა წარმოშობით?

— მართლა, ახლა არ მახსოვს, ჯეინ; მითხრეს თუ არა. ალბათ ბავშვთა სახლიდანაა ან კიდევ, შეიძლება, გულბრანდსენმა გაიგო, ვინმეს ბავშვის გაშვილება უნდოდა და მოიყვანა. რატომ მეკითხები? ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია?

— ისე, ბავშვის წარმოშობა უნდა იცოდე, განაგრძე, გეთაყვა.

— შემდეგ, მოხდა ის, რომ კერი ლუიზი მიხვდა, ბოლოს და ბოლოს მასაც ეყოლებოდა შვილი. ექიმებისაგან გამიგია, ხშირად ხდება ასე.

მისს მარფლმა თავი დააქნია.

— ეს მეც ვიცი.

— მართლაც, ასე მოხდა. უცნაურია, მაგრამ კერი ლუიზი შეცბუნებული დარჩა, ხომ გესმის, რასაც ვგულისხმობ. ადრე, რა თქმა უნდა, გაგიყდებოდა სიხარულისაგან, მაგრამ მას ისეთი ერთგულებით უყვარდა პიბა, რომ მის წინაშე ლამის დამნაშავედ თვლიდა თავს ამ გაუგებრობისათვის. შემდეგ გაჩნდა მილდრიდი. იგი ძლიერ ულამაზო ბავშვი იყო. ძალიან ჰგავდა გულბრანდსენს, რომელიც ღირსეული და სოლიდური კაცი გახლდათ, მაგრამ საოცრად შეუხედავი. კერი ლუიზი ისე იყო მოწადინებული, არ განესხვავებინა აყვანილი შვილი საკუთარისაგან, რომ მგონი პიბას უფრო ანებივრებდა და მილდრიდი იჩაგრებოდა. ვფიქრობ, მილდრიდს გულს სტკენდა ეს, თუმცა მე მათ ხშირად არც ვხვდებოდი. პიბა მშვენიერი გოგონა დადგა, მილდრიდი კი უბრალო გარეგნობის გოგო იყო. ერთი გულბრანდსენი გარდაიცვალა, როცა მილდრიდს თბუთმეტი წელი შეუსრულდა. პიბას — თვრამეტი. ოცი წლის პიბა იტალიელ

მარკიზ დი სან სევერინოზე დაქორწინდა. ოპ, იგი ნამდვილი მარკიზი იყო, ვინმე ავანტიურისტი კი არა. პიპა, სხვათა შორის, მემკვიდრედაც/ეთვლებოდა (ბუნებრივია, სხვა შემთხვევაში სან სევერინო არ იქორწინებდა მასზე — ხომ იცი, იტალიელები როგორებიც არიან!). გულბრანდსენმა თანაბარი რაოდენობის თანხა დაუტოვა ანდერძით ორივეს — აყვანილსაც და ნამდვილ მემკვიდრესაც. მილდრიდმა სამღვდელს პირზე, სტრიტზე იქორწინა — შესანიშნავი პიროვნებაზე, თუმცა ქრონიკული სურდო კი ჰქონდა. მილდრიდზე ათი თუ ხუთმეტე წლით უფროსი იყო. დარწმუნებული ვარ, ბედნიერები იყვნენ.

შარშან გარდაიცვალა და მილდრიდი სტოუნგივეიტში დაბრუნდა, დედასთან საცხოვრებლად. რა დრო გასულა; მას მერე ორჯერ გავთხოვდი, მაგრამ იმათ დაეუბრუნდეთ. პიპა თავის იტალიელზე დაქორწინდა. კერი ლუიზი კმაყოფილი იყო ამ ქორწინებით. გვიდოს დახვეწილი მანერები ჰქონდა, ძალიან მომხიბვლელი ყმაწვილი და შესანიშნავი სპორტსმენიც გახლდათ. ერთი წლის შემდეგ პიპას ქალიშვილი შეეძინა და მშობიარობას გადაჰყვა. ეს საშინელი ტრაგედია იყო და გვიდოს სან სევერინო ძალიან მოტყდა. კერი ლუიზი ყაყმოდ ხშირად ჩადიოდა იტალიაში, სწორედ ამ დროს რომში ჯონი რესტარკის შეხვდა და მასზე იქორწინა. მარკიზმაც კვლავ იქორწინა და ძალიან დიდი სურვილი გაუჩნდა, რომ მისი პატარა გოგონა ინგლისში აღზრდილიყო თავის საოცრად მდიდარ ბებიასთან. ასე რომ, ყველანი სტოუნგივეიტში დასახლდნენ — ჯონი რესტარკი, კერი ლუიზი, ჯონის ორი ბიჭი — ალექსი და სტეფანი (ჯონის პირველი ცოლი რუსი იყო) და პატარა ჯინა. ამის შემდეგ, მილდრიდმა მალე მღვდელზე იქორწინა. მერე დაიწყო ჯონისა და იმ იუგოსლავი ქალის ამბავი, რასაც გაყრა მოჰყვა კიდევ. ბიჭები კი მაინც სტოუნგივეიტში ჩამოდიოდნენ არდადეგებზე და კერი ლუიზის ერთგულები იყვნენ. შემდეგ კი, მგონი, 1938 წელი იყო, კერი ლუიზი ლუისზე დაქორწინდა.

ქალბატონმა ვენ რიდოკმა შეისვენა.

— ლუისს ხომ არ იცნობ?

მისს მარფლმა თავი გააქნია.

— არა. მგონი, 1928 წელს ვნახე უკანასკნელად კერი ლუიზი. დიდი სიყვარულით დამპატიყა კოვენტ გარდენში — ოპერაში.

— მართლა? ლუისი მართლაც შესაფერისი პიროვნება იყო მისთვის, ის რევიზორთა ერთ-ერთი ცნობილი ფირმის თავკაცი იყო. მე მგონი, ისინი პირველად გულბრანდსენის მემკვიდრეობასთან და კოლეჯის ფინანსებთან დაკავშირებით შეხვდნენ ერთმანეთს.

ის მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი იყო, დაახლოებით კერი ლუიზის ასაკისა იქნებოდა, კაცი, რომელიც პატიოსანი ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ მაინც ახირებული გახლდათ და თავგამოდებით ცდილობდა ახალბედა დამნაშავეთა განთავისუფლებას.

რუთ ვენ რიდოკმა ამოიოხრა.

— როგორც ახლახან გითხარი, ჯეინ, ფილანთროპიაც მოდაა. გულბრანდსენის დროს განათლება იყო ქველმოქმედების საგანი, მანამდე კი გატირებულთათვის უფასო სასაბილოები გახსნით იყვნენ გატაცებულნი...

მისს მარფლმა თავი დაუკრა.

— დიან. მახსოვს — პორტვეინის თელე და ხბოს თავის წვნიანი ავადმყოფთათვის. დედაჩემი ხშირად ამზადებდა.

— მართალია, სხეულის კვებამ გზა მისცა გონების კვებას... ყველანი

შეშლილები იყვნენ დაბალი კლასის წარმომადგენელთა აღზრდა-განათლებაზე. კეთილი, ეს წარსულს ჩაბარდა, მალე, ასე მგონია, ძალიან მოდური იქნება, შვილები გაუნათლებლები დატოვონ, თვრამეტ წლამდე წიგნს არ გააკარონ. ასეა თუ ისე, გულბრანდსენის მეურვეობისა და განათლების ფონდი ერთგვარ სიძნელეებს განიცდიდა, რადგან სახელმწიფომ ჩაიბარა მისი ფუნქციები. ამ დროს გამოჩნდა ლუისი თავისი მხურვალე ენთუზიაზმით და შეწყვიტა არასრულწლოვან დამნაშავეთა შემოქმედებითი წვრთნა. მან დიდი ყურადღება დაუთმო საგანს, რომელიც მთავარი იყო მის პროფესიაში — ანგარიშგების შემოწმებას, სადაც ასპარეზი ეძლეოდა გონებაგამჭრიახი უმაწვილების თაღლითობას. ის სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეები არც ისე უჭკუონი იყვნენ და, რომ მათ გონება უჭრიდათ და ნიჭიც ჰქონდათ, ოღონდ სწორად უნდა წარემართათ.

— ამაში რაღაც ახრი კი დევს... — თქვა მისს მარფლმა, — მაგრამ ეს არ არის სრული ჭეშმარიტება. მახსოვს...

მან შეწყვიტა ლაპარაკი და საათს დახედა.

— ოჰ, ძვირფასო, 6³⁰-იანზე არ დამაგვიანდეს.

რუთ ვენ რიდოკი ჩაეკითხა:

— და შენ სტოუნივეიტში გაემგზავრები?

მისს მარფლმა წამოკრიფა თავისი დიდი ჩანთა და ქოლგა და განაცხადა:

— თუ კერი ლუიზი მეპატიეება...

— ის აუცილებლად დაგპატიეებს, ხომ წახვალ? მპირდები, ჯეინ?

ჯეინ მარფლი შეპირდა.

•••

III თავი

მისს მარფლი სადგურ მარკეტ კინდლში ჩამოვიდა მატარებლიდან. ერთმა კეთილმა ახალგაზრდა მგზავრმა ჩემოდანი ჩაატანინა. მისს მარფლმა, რომელსაც ბადურა, გახუნებული ტყავის ხელჩანთა და რაღაც ფუთები ეჭირა ხელში, მადლობისმთავარი რაღაც ჩაილაპარაკა:

— ძალიან თავაზიანი ბრძანდებით... ისე ძნელია ახლა მეზარგულის პოვნა, ისე ცოტანი არიან... მე ყოველთვის ვდელოვ მგზავრობის დროს.

სიტყვები სადგურის რადიოს ხმამ ჩაახშო, რომელიც ხმამაღლა და გაურკვეველად აცხადებდა, რომ მატარებელი 3. 18 იდგა პირველ ბაქანზე და საცა დაიძვრებოდა მეზობელი სადგურისაკენ.

მარკეტ კინდლი ერთი დიდი, ცარიელი, ქარისაგან დაუცველი სადგური იყო; აქა-იქ თუ დაინახავდით მგზავრებს ან რამე შენობას. სხვა სადგურებისაგან კი იმით განსხვავდებოდა, რომ ჰქონდა ექვსი ბაქანი და ერთი ჩიხი, სადაც ერთგვარიანი მატარებელი შედიდურად ქშინავდა.

მისს მარფლმა, რომელსაც უფრო ძველი, გაქუცული ტანსაცმელი ეცვა, ვიდრე ჩვეულებრივ იცვამდა (რა ბედნიერებაა, ძველი კოპლებიანი კაბა რომ არ გადაიადლო), ექვის თვალი მოავლო იჭაურობას, როცა ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა.

— მისს მარფლი თქვენ ბრძანდებით? — მან მისს მარფლის სახელი ისეთი შემართებით წარმოსთქვა, თითქოს მოყვარულთა თეატრის სპექტაკლში თამაშობსო. — მე სტოუნივეიტდან თქვენს დასახვედრად ჩამოვედი.

მისს მარფლმა მადლიერების გრძნობით ახედა ყმაწვილს, რომელმაც შეიძლება შენიშნა კიდევ ამ ხანდაზმული ქალბატონის უმწეო მდგომარეობა და მეტად გამსჭვალავი ცისფერი თვალები. ახალგაზრდა კაცის გარეგნობა მის ხმას არ შეესაბამებოდა. მაგრამ ეს ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოც კი: წამწამებსაც ნერვიულად ახამხამებდა.

— თქ, მადლობთ, — თქვა მისს მარფლმა. — აი, მხარდასმობა.

ქალმა შეამჩნია, რომ ყმაწვილმა ჩემოდანს ხელიც არ ახლო. მან თითოთ ანიშნა მეზარგულს, რომელიც ურიკით ყუთებს მიაგორებდა, მოსულიყო.

„გაიტანეთ, გუთაყვა, — უთხრა მან და ქედმაღლურად დაუმატა: — სტოუნიგეიტისაკენ“.

მეზარგულმა მხიარულად გადმოსძახა:

— ახლავე დიდხანს არ გალოდინებთ!

მისს მარფლი მიხვდა, რომ მისი ახალი ნაცნობი არც თუ ისე ნასიამოვნები უნდა დარჩენილიყო ამით. ისე გამოვიდა, თითქოს ბუკინგემის სასახლე არაფრად ჩააგდეს, თითქოს ის და ლებურნუმ როუდის № 3 ერთი ყოფილიყოს.

ყმაწვილმა ჩაილაპარაკა:

— თანდათან აუტანელი ხდება რკინიგზა!

გასასვლელისაკენ რომ მიუძღვოდა მისს მარფლს, თავი გააცნო:

— მე ედგარ ლოუსონი ვარ. ქალბატონმა სეროქოლდმა მოხოვა დაგხვედროდით, მე ბატონ სერექოლდს ვეხმარები საქმეებში.

ერთგვარი თავმომწონეობა იგრძნობოდა იმაში, რომ მოუცლელმა, საქმიანმა კაცმა, საკმაოდ მომხიბლავად, გვერდზე გადადო თავისი მნიშვნელოვანი საქმეები, რათა რაინდულად შეესრულებინა ბატონის მეუღლის თხოვნა და, მაინც, შთაბეჭდილება მთლიანად დამაკმაყოფილებელი არ იყო — ერთგვარად თეატრალიზებული ელფერი დაპკრავდა.

მისს მარფლი დაინტერესდა ედგარ ლოუსონის პიროვნებით.

ისინი გამოვიდნენ სადგურიდან და ედგარი ხანდაზმულ ქალბატონს იქითკენ გაუძღვა, სადაც საკმაოდ ძველი „ფორდი V. 8“ იდგა.

— წინ დაბრძანდებით ჩემ გვერდით, თუ უკან გირჩევნიათ? — ჰკითხა ედგარმა.

ამ დროს ახალი, ორადგილიანი პრიალა როლს ბენტლი კრუტუნით შემოსრიალდა სადგურის მოედანზე და ფორდის წინ შეჩერდა. იქიდან ახალგაზრდა ლამაზი ქალი გადმოხტა და მათკენ გაეშურა. მას უსუფთაო ველვეტის განიერი შარვალი და გაღეღილი უბრალო პერანგი ეცვა, რაც თითქოს ერთგვარად ხაზს უსვამდა იმას, რომ ეს ყმაწვილი ქალი არა მარტო ლამაზი, არამედ ამავე დროს მდიდარიც იყო.

— შენც აქა ხარ, ედგარ? მეგონა, შემაგვიანდებოდა. ეს მისს მარფლია, არა? მეც მის დასახვედრად მოვედი. — მან მისს მარფლს შესცინა და სამხრეთულ მზემოკიდებულ სახეზე ლამაზი კბილების რიგმა მომხიბვლელად გამოანათა. — მე ჭინა მქვია. — თქვა მან. — კერი ლუიზის შვილიშვილი ვარ. როგორ იმგზაურეთ? ალბათ საძაგლად, არა? რა მშვენიერი ბადურაა, მეც ასეთები მომწონს. ამას და პალტოს მე დავიჭერ, თქვენ უკეთ მოთავსდებით.

ედგარს სახე წამოენთო და შეეპასუხა:

— მისმინე, ჭინა, მე აქ მისს მარფლის შესახვედრად მოვედი, ასე გადაწყდა...

ჭინამ გაიღიმა და თეთრმა კბილებმა კვლავ გამოანათა:

— პო, ვიცი, ედგარ. უცებ ვიფიქრე, უმჯობესი იქნებოდა, მეც თუ მოვიდოდი. მისს მარფლს მე წავიყვან, შენ კი ბარგს დაელოდე.

მან მისს მარფლს კარი დაუხურა, მანქანას შემოუბრუნა ~~შეიქცა~~ მხრიდან, შიგ ჩახტა და სადგურიდან გამოასრიალა.

როცა მისს მარფლმა უკან მოიხედა, ედგარ ლოუსონის ~~სახეს~~ მოჰკრა თვალი.

— არა მგონია, ძვირფასო, ბატონი ლოუსონი კმაყოფილი დარჩენილიყოს, — თქვა მან.

ჯინამ გაიცინა.

— ედგარი დიდი იდიოტია, — თქვა მან. — ყველაფერს ისეთი ზარზე-იმით აკეთებს, იფიქრებს, ძალიან მოწადინებულიაო.

— ნუთუ არ არის მოწადინებული? — იკითხა მისს მარფლმა.

— ედგარი? — ჯინამ დაცინვაში გაუცნობიერებელი შეუბრალებლობა იგრძნობოდა. — ოჰ, ის ნამდვილი დარტყმულია.

— დარტყმული?

— სტოუნიგეიტში ბევრია დარტყმული, — თქვა ჯინამ, — ლუისისა და დიდედას გარდა, ბიჭების, მისს ბელევერის და ჩემ გარდა, რა თქმა უნდა. მაგრამ დანარჩენები... ზოგჯერ, ასე მგონია, მეც მათ ვემსგავსები თანდათან. დეილ: მილდრიდიც კი როცა სეირნობს, თავისთვია ბუტბუტებს; წარმოგიდგენიათ, სასულიერო პირის ქვრივი ამას აკეთებდეს?

მანქანა გამოვიდა სადგურიდან და სწორ, ცარიელ გზას გაუყვა, ჯინამ ერთი სწრაფად გადახედა თავის თანამგზავრს.

— თქვენ დიდედასთან ერთად სწავლობდით სკოლაში, არა? რა უცნაურია.

მისს მარფლი ძალიან კარგად მიხვდა, რასაც გულისხმობდა ის; ახალგაზრდებს ხომ დაუჭერებლად მიაჩნიათ, რომ ხანშიშესულები შეიძლებოდა ერთ დროს ახალგაზრდებიც ყოფილიყვნენ, ნაწნავები ჰქონოდათ და გამრავლების ტაბულისა და ინგლისური ლიტერატურის შესწავლაზე თავიც ეტეხათ.

— ეს ალბათ, — დაიწყო ჯინამ მოწიწებით, თან აშკარად ჩანდა, არ უნდოდა უტაქტოდ გამოსვლოდა, — ძალიან დიდი ხნის წინათ იყო.

— ნამდვილად ასეა, — უთხრა მისს მარფლმა. — ვფიქრობ, ეს აზრი ჩემთან შეხვედრისას გაგიჩნდათ, ასე არ არის?

ჯინამ თავი დაუკრა:—სწორად მიმიხვდით, დიდედას იცით, სულ არ ეტყობა ასაკი.

— დიდი ხანია არ მინახავს, მაინტერესებს, ძალიან შეიცვალა თუ არა.

— თმა, რა თქმა უნდა, გაუქალარავდა, — თქვა ჯინამ გაურკვეველად, — არტრიტის გამო უჯოხოდ უჭირს სიარული, ამ ბოლო დროს უფრო მეტად აწუხებს. ვფიქრობ... — უცებ მან შეწყვიტა და ჰკითხა, — ადრე ყოფილხართ სტოუნიგეიტში?

— არა, არასოდეს. მაგრამ ბევრი მსმენია.

— მართლაც საშინელი ადგილია, — თქვა ჯინამ მხიარულად, — რალაც გოტიკური სიმახინჯეა. ამას სტივი დიად ვიქტორიანულ სიბერფარეშოების ეპოქას ეძახის. მაგრამ რამდენადმე თავშესაქცევაცაა აქ ყველაფერი, რა თქმა უნდა, გასაოცარი გულმოდგინებით კეთდება. ყოველ ნაბიჯზე შეგიძლიათ ფენი წამოჰკრათ ფსიქიატრებს, რომლებიც არანაკლებ კმაყოფილნი არიან, ვიდრე ბოისკაუტთა რაზმის უფროსები. ყმაწვილი დამნაშავენიც განებერებულნი არიან, ყველა არა, რა თქმა უნდა. ერთმა მასწავლა, როგორ უნდა გააღო

საკეტი მავთულით, მეორემ კი, რომელსაც ანგელოზივით სახე ჰქონდა, ბევრი რამ ამიხსნა ამ მუქთახორებზე.

მისს მარფლმა გულისყურით მოისმინა ეს ინფორმაცია.

— ყველაზე ძალიან თავზე ხელაღებულებთან ურთიერთობა მომწონს. — თქვა ჯინამ, — მაინცდამაინც არ მიყვარს ხუმტურიანები. რას თქვამს უნდა, ლუისი და დოქტორი მავერიკი ფიქრობენ, რომ ყველა ისინი შექანებულები არიან, მათ მხედველობაში აქვთ ამ ყმაწვილების ჩახშული სურვილები. აწეწილი ოჯახური ცხოვრება და მათი დედების ჯარისკაცებთან ერთად გაქცევა და ბევრი სხვა ამგვარი. მე პირადად ვერ გამიგია, რატომ უნდა იყოს ასე. ხომ არიან ადამიანები, რომლებისთვისაც საშინელ ოჯახურ ცხოვრებას დალი არ დაუჩინევი.

— დარწმუნებული ვარ, ეს ძალიან რთული საკითხია, — თქვა მისს მარფლმა.

ჯინამ გაიცინა და თავისი მომხიბვლელი კბილები ისევ გამოაჩინა.

— ეს მე სულაც არ მაწუხებს, ვფიქრობ, ზოგ ადამიანს კი აქვს მისწრაფება ცხოვრება გარდაქმნას, გააუმჯობესოს, ლუისი ჰკუთას კარგავს ასეთ რამეებზე. მომავალ კვირას ბერლინში მიემგზავრება; პოლიციის სასამართლოში ერთი საქმეა გასარჩევი — ხუთჯერ უკვე სასამართლევი ბიჭისა.

— ის ყმაწვილი, სადგურზე რომ დამხვდა — ბატონი ლოუსონი... ბატონ სეროქოლდს ეხმარება, როგორც თვითონ მითხრა; მისი მდივანია?

— ოპ, ედგარს სამაგისო ჰკუთას სადა აქვს, მდივნად იმუშაოს, ისე იშვიათი ვინმეა, სასტუმროებში ჩერდებოდა ვიცე-კანცლერის ან სამხედრო მფრინავის სახელით, ისე სხებდა ფულს და მერე გაქრებოდა ნამდვილი უსინდისოა. მაგრამ ლუისს მკაცრ რეჟიმში ჰყავს ყველანი, ის ცდილობს, ყველამ ერთ ოჯახად იგრძნოს თავი, საქმეს უჩენს და ყველაფერ ამას აკეთებს იმისათვის, რომ მათ საკუთარი პასუხისმგებლობა იგრძნონ. შემოძლია ვთქვა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება რომელიმე მათგანმა სასიკვდილოდ გავვიმეტოს კიდევ, — ჯინამ მხიარულად გადაიკისკისა.

მისს მარფლს არ გასცინებია.

მათ შეუხვიეს მეტად შთამბეჭდავ კიშკარში, სადაც შეკარე ჯარისკაცივით იდგა. მანქანა გაუყვა შექერით ჩაყოლებულ ხეივანს, ხეივანი ცუდად იყო მოვლილი.

ჯინამ თავისი თანამგზავრის გამოხედვა რომ ამოიცნო, უთხრა: „ომის დროს აქ მებაღე არ ყოლიათ, არც მას შემდეგ უზრუნიათ ხეივანზე; ამიტომაც გამოიყურება ასე საშინლად“.

მათ მოუხვიეს და სტოუნიგივიც გამოჩნდა მთელი თავისი ბრწყინვალეობით. ზუსტად ისეთი იყო, როგორც ჯინამ თქვა, უზარმაზარი ვიქტორიანული გოტიკა — პლუტოკრატიის ერთგვარი ტაძარი. ფილანთროპიამ კი სახლს სხვადასხვა ფრთაზე დაუმატა დამხმარე შენობები, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ სტილით ძალიან არ განსხვავდებოდა, მაინც არღვევდა შენობის მთლიანობას და გაუგებარი ხდებოდა მისი დანიშნულება და მიზანი.

— რა საშინელებაა, არა? — თქვა ჯინამ ალერსით, — აი, დიდება ტერასაზეა, მე აქ გავაჩერებ მანქანას, თქვენ კი შეეგებეთ მას.

მისს მარფლი ძველი მეგობრისაკენ გაეშურა.

შორიდან პატარა, თხელი ფიგურა საოცრად ახალგაზრდული ეჩვენა,

მიუხედავად იმისა, რომ ჯობს ეყრდნობოდა და აშკარად ნელა მოდიოდა ტკივილების გამო. თითქოს ახალგაზრდა ქალი მოხუცს ბაძავდა.

— ჯეინ! — შესძახა ქალბატონმა სეროქოლდმა.

— ძვირფასო კერი ლუიზ!

ღიას, უეჭველად კერი ლუიზი იყო, საოცრად უცვლელი, უცვლელად განსაცვიფრებლად ახალგაზრდული. თუმცა, თავისი დისაგან განსხვავებით, ის არც კოსმეტიკურ საშუალებებს ხმარობდა და არც გრემს გასაახალგაზრდავებლად. შევერცხლილიყო, თუმცა ისედაც ვერცხლისფერი დაპკრავდა ქერა თმაზე ყოველთვის, ამიტომაც ფერი კოტათი თუ შესცვლოდა სახის კანა ისევ ის ვარდისფურცლის ფერი შერჩენოდა, თუმცა ახლა დამკვნარი ვარდისფურცლისას წააგავდა. თვალეებში ისევ ის სხივი ედგა და მიამიტური გამოუმეტყველება შერჩენოდა; ფიგურა — თხელი, ახალგაზრდული; თავი — ისევ ისე, ცნობისმოყვარე ჩიტივით ოდნავ წინ წამოხრილი.

— ჩემი ბრალია, — თქვა კერი ლუიზმა ალერსიანი ხმით, — ამდენი ხანი რომ არ მინახიხარ. რა დრო გავიდა მას შემდეგ, ძვირფასო ჯეინ, რა სისიამოვნოა, რომ ბოლოს და ბოლოს გვეწვია.

ტერასის ბოლოდან ჯინამ დაიძახა:

— დიდება, შინ შემოდით, აცივდა, ჯოლი გაგიბრაზდებათ!

კერი ლუიზმა წკრიალა ხმით გაიციხა.

— მუდამ ასე დამტრიალებენ თავს, — თქვა მან, — სულ იმას გაიძახიან, რომ მე მოხუცი ვარ.

— შენ კი ამას არ გრძნობ, არა?

— არა, ჯეინ, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ავადმყოფობა და ასეთი ტკივილები მაწუხებს, შინაგანად მე ისევ ისეთი ხალისიანი ვარ, როგორც ჯინა. ყველა ასეა ალბათ მხოლოდ სარკეში ჩანს ასაკი, ადამიანს კი არ სჯერა. ასე მგონია, რამდენიმე თვის წინ ვიყავით ერთად ფლორენციაში. გახსოვს ფროილან შუიჩი და მისი ფეხსაცმელები?

და ორი ხანში შეხული მანდილოსანი გულიანად იცინოდა თითქმის ნახევარი საუკუნის წინ მომხდარ ამბებზე.

მათ გვერდითა კარისაკენ გასწიეს. კარებში გამხდარი, შუახნის, ამპარტავანი მანდილოსანი შემოხვდათ. მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა, ეცვა კოხტად შეკერილი ტვიდის კოსტიუმი. მან გააფთრებით მიმართა კერი ლუიზს:

— ხომ არ გაგიყდით, კარა, ამდენ ხანს გარეთ რომ ხართ. სულ არ უფრთხილდებით თავს. რას იტყვის ბატონი სეროქოლდი?

— ნუ შეჩხუბები, ჯოლი. — შეევედრა კერი ლუიზი.

და მისს მარფლს მისს ბელევერი გააცნო.

— ეს მისს ბელევერია, რომელიც თითქმის ყველაფერია ჩემთვის: ძიძა, ურჩხული, მოდარაჟე ძაღლი, მდივანი, დიასახლისი და უერთგულესი მეგობარი.

ჯულიეტ ბელევერმა ჩაიფრუტუნა და ბარაქიანი ცხვირის წვერი გაუწითლდა; ეს სიფიცხის ნიშანი იყო.

— იმას ვაკეთებ, რაც შემიძლია, — თქვა ხრინწიანი ხმით. — შეშლილების ოჯახია. აქ წესრიგის დამყარება შეუძლებელია.

— საყვარელო ჯოლი, რა თქმა უნდა. შეუძლებელია. საინტერესოა, რატომ ცდილობ ამას. მისს მარფლს სად მოასვენებ?

— ცისფერ ოთახში წავიყვანო? — იკითხა მის ბელევერმა.

— დიახ, ჯოლი, გეთაყვა. შემდეგ ჩაიზე ჩამოიყვანე. მგონი, დღეს ბიბლიოთეკაში უსვამთ, არა?

ციხფერ ოთახში მძიმე, ძვირფასი, გაბუნებული ფარჩის ფარდები ეკიდა. ეს ფარდები, როგორც მისს მარფლმა შეამჩნია, ალბათ, ორმოცდაათი წლის მაინც იქნებოდა. აქვე მასიური, მდიდრული წითელი ხისა და საწოლიც ასეთივე მასიური წითელი ხისა იყო. მისს ბელევერმა გვერდით კარი, რომელიც სააბაზანოში გადიოდა. მისს მარფლისთვის მოულოდნელი იყო, ამ მეტად თანამედროვე ორქიდის ფერის, მოელვარე ქრომით მოპირკეთებული აბაზანის ხილვა.

ბრაზმორეულმა მისს ბელევერმა თქვა:

— ჯონ რესტარიკმა ათი სააბაზანო გააკეთა სახლში, როცა კარა შეერთო. ერთადერთი ეს გაუთანამედროვეებიათ აქ, დანარჩენი ყველაფერი უცვლელადაა. გადაკეთებაზე სიტყვასაც ვერ დასძრავდით ჯონ რესტარიკთან, ამის გაგონებაც კი არ უნდოდა. ამბობდა, რომ ეს სახლი ეპოქის სრულქმნილი ნიმუშიაო. თქვენ იცნობდით ოდესმე ჯონ რესტარიკს?

— არა, არასოდეს შევხვედრივარ. ქალბატონი სეროქოლდი და მე იშვიათად ვხვდებოდით, თუმცა მიმოწერა ყოველთვის გვექონდა.

— სასიამოვნო კაცი იყო, — თქვა მისს ბელევერმა, — არა, კარგი არასოდეს ყოფილა, რა თქმა უნდა! საძაგელი იყო, მაგრამ ოჯახში მის სიახლოვეს ყოფნა სიამოვნებდა ადამიანს. უსაზღვროდ მომხიბვლელი გახლდათ. განსაკუთრებით ქალებს მოსწონდათ ძალიან ბოლოს ამან დალუბა. სრულიად განსხვავდებოდა კარასაგან.

შემდეგ მკვახედ და საქმიანად განაგრძო:

— მსახური დაგეხმარებათ ბარგის გახსნაში. ჩაის დალევამდე ხომ არ დაიბანდით?

თანხმობა რომ შეიღო, მისს მარფლს უთხრა, კიბის ბაქანზე დაგელოდებითო.

მისს მარფლი შევიდა სააბაზანოში, ხელები დაიბანა და ორქიდის ფერის ლამაზ პირსახოცზე აჩქარებით შეიწმინდა. შემდეგ კუდი მოიხადა და ფაფუკი თმა შეისწორა.

კარი რომ გამოაღო, მისს ბელევერი უკვე კიბეზე ელოდებოდა. ისინი დაეშვნენ განიერ, ბნელით მოცულ კიბეზე, გაიარეს უზარმაზარი, ასევე ბნელი პოლი და შევიდნენ ოთახში, სადაც წიგნის თაროები ჭერამდე ასულიყო, დიდი ფანჯარა კი ხელოვნურ ტბას გადაჰყურებდა.

კერი ლუიზი ფანჯარასთან იდგა და მისს მარფლიც მას მიუახლოვდა.

— მეტად იმპოზანტური სახლია, — თქვა მისს მარფლმა, — ასე მგონია, დავიკარგები-მეთქი.

— ჰო, მესმის. დიდი უაზრო რამეა. ეს ერთმა მდიდარმა კაცმა ააშენა, არ ვიცი, ლითონის ნაკეთობათა მეწარმე იყო, თუ რაღაც ამგვარი. ამის შემდეგ მალე გაკოტრდა, თუმცა არც ეს ვიცი დანამდვილებით. აქ თოთხმეტი უზარმაზარი მისაღები ოთახი იყო. ვერ გამიგია, რა საჭიროა ერთ მისაღებ ოთახზე მეტი; ახლა კიდევ ეს უშველებელი საწოლი ოთახები, ამდენი უსარგებლო სივრცე. ჩემს ოთახს ხომ ძლივს გადალახავ — საშინლად დიდი მანძილი მაქვს გასაღვლელი საწოლიდან ტუალეტის მაგიდამდე, თანაც საოცრად ტლანქი, წითელი ფარდები ჰკიდია.

— არც გაგიახლებია და არც შეგიცვლია რაიმე ოთახში?

განცვიფრებულმა კერი ლუიზმა შეხედა:

— არა. ძირითადად ყველაფერი ისევ ისეა, როგორც მაშინ. ^{როცა ერთ-ერთან ერთად დავიწყე აქ ცხოვრება. მართალია, რამდენჯერმე ვაღიარებ, მაგრამ ისევ იმ პირვანდელ ფერზე. ასეთი რამეები მეორე ხარისხოვანია, ხომ ასეა? მე მინდა ვთქვა, რომ არ უნდა მჭირდებოდეს თავის მართლებას, ამდენ ფულს რომ ვხარჯავ ასეთ რამეებზე, მაშინ, როცა ამდენი საქმეა ირგვლივ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი.}

— ნუთუ არაფერი შეგიცვლიათ სახლში?

— ოჰ, როგორ არა, ბევრი რამ. მხოლოდ სახლის შუა ნაწილი შევინარჩუნეთ ადრინდელ მდგომარეობაში — დიდი დარბაზი და ოთახები აქეთ-იქიდან. ეს საუკეთესო ოთახებია. ჯონის, ჩემს მეორე ქმარს, ძალიან მოსწონდა ისინი და ამბობდა, მათ ხელს არ ვახლებო, არც გადავაკეთებო. ის ხომ მხატვარი იყო, დიზაინერიც და ეს საქმე კარგად ესმოდა. აღმოსავლეთი და დასავლეთი ფლანგები მთლიანად გადაკეთდა. ყველა ოთახი განცალკევდა და გაიყო ისე, რომ მასწავლებლებს სამუშაო ოთახებიცა აქვთ და საწოლი ოთახებიც. ბიჭები კი ყველანი კოლეჯის შენობაში ცხოვრობენ — აქედან კარგად მოსჩანს.

მისს მარფლმა პირდაპირ გაიხედა, სადაც დიდი, წითელი აგურის შენობები მოჩანდა ხეებში, შემდეგ მან თვალი მოჰკრა იქვე ახლოს რაღაცას და ჩაეღიმა.

— რა მშვენიერი გოგონაა ჯინა, — თქვა მან.

კერი ლუიზს თვალები გაუბრწყინდა.

— დიახ. მოგწონს? — ჰკითხა მან ალერსით, — ისე მიხარია, რომ დაბრუნდა... ომი რომ დაიწყო, ამერიკაში გავაგზავნე, რუთთან. რუთმა გაამბო რაიმე მის შესახებ?

— არა. ისე, ახსენა.

კერი ლუიზმა ამოიოხრა.

— საბრალო რუთი! ძალიან განიცადა ჯინას ქორწინება. ვარწმუნებდი, შენ არაფერში გადანაშაულებ-მეთქი. რუთს ვერ გაუგია, რომ ძველი ბარიერები დაინგრა, კლასობრივი განსხვავებულობის დრო წავიდა, უკიდურეს შემთხვევაში, მიღის.

— ჯინა სამხედრო სამსახურში იყო, როცა იმ ყმაწვილს შეხვდა. მაშინ ის მეზღვაური გახლდათ და კარგი რეპუტაციით სარგებლობდა, ერთ კვირაში იქორწინეს კიდევ. მართალია, ძალიან იჩქარეს, მაგრამ დროც არ ჰქონდათ, რომ კარგად გაეცნოთ ერთმანეთი და გაეგოთ, შეეწყობოდნენ თუ არა ერთმანეთს, თუმცა ახლა ასე ხდება. ახალგაზრდები ისევე იქცევიან, როგორც მთელი მათი თაობა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ისინი ზოგჯერ უკუკუოდ მოქმედებენ, მაგრამ მაინც იძულებული ვხდებით შევეგუოთ მათ გადაწყვეტილებას, რუთი მაინც საშინლად ღელავდა.

— შესაფერისად არ მოაჩნდა ეს ბიჭი?

— მუდამ იმას იმეორებდა, რომ არავინ არაფერი იცოდა ამ ბიჭის შესახებ. ის შუაგულ დასავლეთიდან ჩამოვიდა, არც ფული ჰქონდა და, ბუნებრივია, არც პროფესია. ასეთი ბიჭები ასობითაა ყველგან, მაგრამ რუთი მაინც არ იზიარებდა ჯინას შეხედულებას. მიუხედავად ამისა, მათ იქორწინეს. იანე გამეხარდა, როცა ჯინამ ჩემს მოწვევაზე თანხმობა თქვა და მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა. აქ ყველანაირი სამუშაოა და, თუ უოლტერი მოინდომებს, შე-

უძლია მედიცინა შეისწავლოს, ხარისხი დაიკვას, ან სხვა რამ გააკეთოს, ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ჯინას სახლია. რა ბედნიერებაა, როცა სახლში ასეთი თბილი, მზიარული და სიცოცხლით სავსე არსებაა, რა კარგია, რომ ისეც აქ არის.

მისს მარფლმა თავი დაუქნია და ფანჯარაში გაიხედა. ისევ იმ ორს შეხედა, ტბასთან რომ იდგნენ.

— მართლაც, შესანიშნავი წყვილია, — თქვა მან, — არ არის გასაკვირი, რომ ჯინას ის შეუყვარდა.

— ჰო, მაგრამ, ის... ეს ხომ უოლი არ არის, — ქალბატონ სეროქოლდს ენა დაება და ერთგვარი თავშეკავებით თქვა, — ეს სტივია, ჯონი რესტარკის უმცროსი ვაჟი. როცა ჯონი აქედან წავიდა, ბიჭებს არდადეგებზე წასასვლელი არსად ჰქონდათ, ამიტომ ისინი ჩემთან დარჩნენ. აქ, როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობენ თავს. სტივი საერთოდ აქ ცხოვრობს. მას თეატრალური ხელოვნება იზიდავს. ჩვენ, ხომ იცო, თეატრი გვაქვს, წარმოდგენებს ვმართავთ, ხელოვნების ამ სახეობის განვითარებას ვუწყობთ ხელს. ლუისი ამბობს, რომ ამ არასრულწლოვანთა უმეტესობას დანაშაულისკენ უბიძგებს თავის მოწონებისა და გამოჩენის სურვილი, მათ ხომ გაუბედურებული ოჯახური ცხოვრება აქვთ, ძარცვისა და ბინის გატეხვის შემდეგ კი გმირებად მიაჩნიათ თავი. ჩვენ ვაიძულებთ მათ თვითონ დაწერონ პიესები, თვითონვე ითამაშონ ამ პიესებში, თვითონვე დადგან და გააფორმონ სპექტაკლი. სტივი ხელმძღვანელობს თეატრს. დიდ მონდომებასა და ენთუზიაზმს იჩენს ამ საქმეში. საოცარია მისი თავდადება.

— მესმის, — თქვა მისს მარფლმა დინჯად.

ის შორსმხედველი იყო (რამდენადაც მისმა მეზობლებმა სენტ მერი მიდში იცოდნენ გამოცდილებით) და ნათლად დაინახა სტივენ რესტარკის მიმზიდველი, ხორბლისფერი სახე, როცა ჯინასთან პირისპირ იდგა და გატაცებით რაღაცას უყვებოდა. ჯინას სახეს ვერ ხედავდა, რადგან გოგონა ზურგით იდგა, მაგრამ სტივენ რესტარკის გამომეტყველებაში არ ცდებოდა.

— ჩემი საქმე არ არის, — თქვა მისს მარფლმა, — მაგრამ, მგონი, მივხვდი, კერი ლუიზ, რომ მას ჯინა უყვარს.

— ოჰ არა... — კერი ლუიზი შეწუხდა, — ოჰ, არა, მაგას ვერ დავიჭერებ.

— შენ ყოველთვის ღრუბლებში ფრენდი, კერი ლუიზ. აქ საექვო არაფერია.

IV თ ა ვ ი

სანამ ქალბატონი სეროქოლდი რაიმეს იტყოდა, მისი მეუღლე პოლიდან შემოვიდა, თან ხელში რამდენიმე გახსნილი წერილი ეჭირა.

ლუის სეროქოლდი ტანმორჩილი კაცი იყო, განსაკუთრებული გარეგნული მიმზიდველობა არა ჰქონდა, მაგრამ პიროვნული თვისებებით მაშინვე გამოარჩევდით... ერთხელ რუთმა თქვა, დინამო-მანქანას უფრო მოგაგონებთ, ვიდრე ადამიანსო. ჩვეულებრივ მთელი მისი არსება იმით იყო მოცული, რაც იმ წუთში მის ყურადღებას იპყრობდა, სხვას ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ.

— ცუდი ამბავია, ძვირფასო, — თქვა მან, — იმ ბიჭმა, ჯეკი ფლინტმა, ისევ ძველებური გაიხსენა. მე კი ნამდვილად მეგონა, რომ სწორ გზაზე იდგა, საიდანაც აღარ გადაუხვევდა. ის ყველაზე მტკიცე იყო. გახსოვს, რომ აღმო-

ვაჩინვთ, თურმე რკინიგზა იტაცებდა — მე და მავერიკი ორივე ვფიქრობდით, რომ თუ რაიმე სამუშაოს იშოვიდა რკინიგზაზე, აღარც მოეშვეებოდა და სწორადაც მოიქცეოდა. მაგრამ ისევ ძველი ამბავი განმეორდა. პიტომ ამანათების ფოსტა გაქურდა. იქ კი არაფერი ყოფილა ისეთი, მას რომ სჭირდებოდა თავისთვის, ან გასაყიდად. ეს კი იმის ნიშანია, რომ აქ ფსიქოლოგური მომენტი მოქმედებს. ჩვენ სინამდვილეში ძირისძირამდე არც ჩავყოლილვართ ამ სენს, მაგრამ მე არ ვაპირებ ამ საქმის მიტოვებას.

— ლუის, ეს ჩემი ძველი მეგობარია, ჯეინ მარფლი.

— ოჰ, გამარჯობათ, — მიმართა ბატონმა სეროქოლდმა დაბნეულად, — მოხარული ვარ... მას ეძებენ, რა თქმა უნდა. ისე, მშვენიერი ყმაწვილია. მართალია, ჭკუა ძალიან არ ამძიმებს, მაგრამ ნამდვილად კარგი ბიჭია. საშინელი ოჯახის შვილია. მე...

უცებ შეწყვიტა საუბარი და „დინამო-მანქანა“ სტუმარზე გადაერთო.

— დიახ, მისს მარფლ, მოხარული ვარ, რომ ჩამობრძანდით და ცოტა ხნით მაინც დარჩებით ჩვენთან. კაროლინს უდიდეს შვებას მისცემს, გვერდით რომ ძველი მეგობარი ეყოლება, რომელთანაც მოგონებებით გაერთობა. მას უმძიმს ასეთ გარემოში ყოფნა — ამ საბრალო არსებების ცხოვრება ზომ მწყუხარებით ავსებს ადამიანს.

მისს მარფლმა იგრძნო ამ კაცის მიმზიდველობა და მიხვდა, რაოდენ მონიბლული უნდა ყოფილიყო მისი მეგობარი. მისს მარფლს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ლუის სეროქოლდი ის კაცი იყო, ვინც მუდამ თავს იწონებს სხვათა წინაშე, აი რა დატვირთული ვარო. ამას შეიძლება ზოგიერთი ქალი გაელიზიანებინა. მაგრამ კერი ლუიზი კი არა, ლუის სეროქოლდმა სხვა წერილიც ამოარჩია.

— სასიამოვნო ახალი ამბებიც გვაქვს. ეს უილტშირისა და სომერსეტის ბანკიდანაა. ახალგაზრდა მორისი საქმეს შესანიშნავად ართმევს თავს. უფროსები უზომოდ კმაყოფილნი არიან მისით და, ალბათ, მომავალ თვეში დააწინაურებენ. ყოველთვის მჯეროდა, რომ უმთავრესი, რაც მას სჭირდებოდა, პასუხისმგებლობა იყო და კიდევ ფინანსური ოპერაციების ზედმიწევნით ცოდნა.

ლუისი მისს მარფლს მიუბრუნდა:

— ამ ბიჭების უმრავლესობამ არც კი იცის ფულის ყადრი. მათი წარმოდგენით ფული მხოლოდ კინოში შესასვლელად ან სოსისის ბუტერბროდის და სიგარეტის საყიდლადაა საჭირო — ამავე დროს, მათ გონება უჭრით არითმეტიკაში და ამითი ჟონგლიორობენ. დიახ, მე მჯერა მათი ცნობისმოყვარეობისა და ვწვრთნი მათ საბუღალტრო საქმეა და რიცხვებში. ამავე დროს, შინდა ვაზიარო ფულის შინაგან რომანტიკას, თუ შეიძლება ასე ითქვას. მივციტ მათ ცოდნა და პასუხისმგებლობა, დაე მართონ ოფიციალურად. მხოლოდ ასე თუ მივალწევთ უდიდეს წარმატებებს. ოცდათვრამეტიდან მხოლოდ ორმა გვიმტყუნა ერთი, სააფთიაქო ფირმაში მთავარი მოლარეა, ჭეშმარიტად პასუხსაგები ადვილია.

უცებ შეწყვიტა და მეუღლეს მიმართა: — ჩაის პუფრა უკვე გააწყვეს. ძვირფასო.

— მეგონა, აქ დავლევდით, ჯოლის ასე ვუთხარი.

— არა, დარბაზში. დანარჩენებიც იქ არიან.

— მე კი მეგონა, გარეთ უნდოდათ დალევა.

კერი ლუიზმა ხელმკლავით შეიყვანა მისს მარფლი დიდ დარბაზში. სუ-

ფრა მეტად ულაზათოდ იყო გაშლილი. ჩაის სერვიზი ლანგარზე უწესრიგოდ ელაგა. უბრალო თეთრი ფინჯნები როკინგემისა და სპოუდის ჩაის სერვიზის ნარჩენებში შერეულიყო. აქვე ეწყო რამდენიმე ნაჭერი პური და იაფფასიანი, უხარისხო ნამცხვარი, აგრეთვე იდგა ორი ფიალა ჯემიც.

შუახნის ჩასუქებული ქალარა ქალი მაგიდას მიუჯდა, ქალბატონმა სეროქოლდმა თქვა:

— ეს მილდრიდია, ჯეინ. ჩემი ქალიშვილი მილდრიდი. ბავშვობის მერე აღარ გინახავს.

რამდენადაც ეს მის მარფლმა შენიშნა, მილდრიდ სტრიტი ის პიროვნება იყო, რომელიც ყველაზე მეტად ერწყმოდა ამ სახლს. ის მდიდარი და ღირსეული ქალბატონი გახლდათ. მან გვიან, ოცდაათი წლის ასაკში იქორწინა ინგლისის ეკლესიის მსახურზე, და ახლა უკვე ქვრივი იყო. ის ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც სასულიერო პირის ქვრივს შეეფერებოდა. ამ შეუხედავ, პატივსაცემ მანდილოსანს ოდნავ დაღვრემილი, ფართო, უაზრო სახე და უსიცოცხლო თვალები ჰქონდა. მისს მარფლს გაახსენდა, რომ ბავშვობაშიც ძალიან შეუხედავი იყო.

— ეს კი უოლი ჰადია, ჯინას მეუღლე.

უოლი ზორბა ტანის ყმაწვილი იყო, უკან გადავარცხნილი თმა და მოღუშული გამომეტყველება ჰქონდა. მან უხერხულად დაუკრა თავი მისს მარფლა და ნამცხვარი ჩაიტენა პირში.

ამ დროს ჯინა სტივენ რესტარკთან ერთად შემოვიდა. ორივენი საოცრად მზიარულები ჩანდნენ.

— ჯინას ერთი მშვენიერი იდეა გაუჩნდა დეკორაციებთან დაკავშირებით, — თქვა სტივენმა. — იცი, ჯინა, შესანიშნავად აუღე ალლო სცენის გაფორმებას.

ჯინა ნასიამოვნები დარჩა ამით. ედგარ ლოუსონი შემოვიდა დარბაზში და ლუის სეროქოლდის გვერდით დაჯდა. როცა მას ჯინა დაელაპარაკა, თავი იაცე ეჭირა, თითქოს ვერც გაიგო.

მისს მარფლს ეს ყველაფერი შემაშფოთებლად მოეჩვენა და მოხარული იყო, რომ საშუალება მიეცა თავის ოთახში წასულიყო ჩაის შემდეგ მოსასვენებლად.

სადილად უფრო მეტი ხალხი შეგროვდა: ახალგაზრდა დოქტორი მავერიკი, ფსიქიატრი თუ ფსიქოლოგი, — მისს მარფლს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ამ ორ ცნებაზე, — რომლის საუბარი ფაქტიურად გაუგებარი იყო მისთვის, რადგან ის მთლიანად პროფესიული ენით მეტყველებდა: აქ გახლდათ ორი სათვალისიანი ახალგაზრდაც, რომლებიც კოლეჯში ასწავლიდნენ; ბატონი ბაუმგარტენი — შრომითი თერაპიის სპეციალისტი, და სამი მეტად მორიდებული ახალგაზრდა, რომლებიც ერთი კვირით „სტუმრად იმყოფებოდნენ“ ამ სახლში.

სადილი მაინცდამაინც მადისადმძვრელი არ გამოდგა, უგულოდ იყო მომზადებული და ასევე უგულოდ მორთმეული. სუფრასთან სამოსის მრავალფეროვნება იგრძნობოდა. მისს ბელევერს ძვირფასი შავი კაბა ემოსა; მილდრიდ სტრიტს საღამოს კაბაზე შალის ქაკეტი მოეცვა; კერი ლუიზს მოკლე, ნაცრისფერი შალის კაბა ეცვა; ჯინა გლეხის გოგონას სამოსელით ბრწყინავდა. უოლის არ გამოუცვლია, არც — სტივენ რესტარკს; ედგარ ლოუსონს მოზდენილი ლურჯი კოსტიუმი ეცვა; ლუის სეროქოლდს — საყოველთაოდ მიღე-

ბული სმოკინგი, ის ცოტას მიირთმევდა და თითქოს ყურადღებასაც არ აქცევდა, რა ედო თეფშზე.

სადილის შემდეგ ლუის სეროქოლდი დოქტორ მავერიკს წაყვავა კაბინეტში. შრომითი თერაპიის სპეციალისტი და მასწავლებლები თავიანთი ბუნაგისაკენ გაემართნენ. ის სამი „ტიპი“ კოლეჯში დაბრუნდა — იქნებდა სტუდენტი თეატრში წავიდნენ, რათა ჭინას იღვა განეხილათ. მილდრიდს უნდა გაურკვეველ ჩასაცმელს ქსოვდა, მისს ბელევერი კი წინდებს კემსავდა. უოლი ფრთხილად დაეშვა სკამზე, თავი უკან გადაჰკიდა და სივრცეს მიაშტერდა. კერი ლუიზი და მისს მარფლი ძველ ამბებს იგონებდნენ. საუბარი საოცრად არაბუნებრივად წარიმართა.

მხოლოდ ედგარ ლოუსონს ვერ ეპოვა მყუდრო ადგილი. ის ჯერ დაჯდა, შემდეგ ისევ მოუსვენრად წამოდგა ზეზე.

— რა ვქნა, წავიდუ ბატონ სეროქოლდთან? — წარმოთქვა მან საკმაოდ ხმამაღლა. — იქნებ, დავჭირდე.

— ოჰ, არა მგონია. ის დოქტორ მავერიკთან ერთად რამდენიმე საკითხის განხილვას აპირებდა ამ საღამოს, — მშვიდად მიმართა კერი ლუიზმა.

— მაშინ, რა თქმა უნდა, ხელს არ შეეუშლი, ვცდილობ, არასოდეს აღმოვჩნდე იქ, სადაც სასურველი არ არის ჩემი ყოფნა, ისედაც ბევრი დრო დავკარგე დღეს, სადგურში რომ წავედი, მაშინ, როცა ქალბატონ ჰადს სურდა თვითონ წასულიყო.

— მას უნდა ეთქვა თქვენთვის, — უთხრა კერი ლუიზმა, — მაგრამ, მგონი, ბოლო წუთებში გადაწყვიტა.

— ხომ ხვდებით, ქალბატონო სეროქოლდ, როგორ ცდილობს სულელურ მდგომარეობაში ჩაშაგდოს, გამასულელოს...

— არა, არა, — გაუღიმა კერი ლუიზმა. — თქვენ ასე არ უნდა ფიქრობდეთ.

— ვიცი, მე არც საჭირო ვარ და არც სასურველი... ძალიან კარგად ვგრძნობ ამას. სხვაგვარად რომ ყოფილიყო საქმე — მე რომ ჩემი ადგილი მქონოდა ცხოვრებაში, მაშინ ასე არ იქნებოდა, ნამდვილად არ იქნებოდა ასე... მაგრამ განა ჩემი ბრალია, რომ ცხოვრებაში საკუთარი ადგილი ვერ ვიპოვე?

— კარგი, ედგარ, უთხრა კერი ლუიზმა. — თქვენ სულ ტყუილად ბრაზობთ. ჭეინი თვლის, ძალიან თავაზიანად მოიქცევით, რომ დახვდით. ჭინას ახასიათებს მსგავსი, მოულოდნელი გამოხდომები — მას სულაც არ უნდოდა თქვენი განაწყენება.

— ოჰ, როგორ არ უნდოდა. მან ეს განზრახ გააკეთა, რომ დავემცირებინე.

— ოჰ, ედგარ...

— თქვენ იმის ნახევარიც კი არ იცით, რაც აქ ხდება, ქალბატონო სეროქოლდ. თუმცა, მეტს არაფერს ვეტყვით. მშვიდობის ღამეს გისურვებთ.

ედგარი გავიდა და კარი გაიჭახუნა.

მისს ბელევერმა წაიბუზღუნა:

— ველურივით იქცევა.

— ის ისეთი მგრძნობიარეა... ჩილაპარაკა კერი ლუიზმა.

მილდრიდ სტრიტმა ქსოვა შეწყვიტა და გესლიანად თქვა:

— მართლაც საძაგელი ყმაწვილია, შენ არ უნდა შეურიგდე ასეთ საქციელს, დედა.

— ლუისი ამბობს, რომ ის თავშეუკავებელია.

მილდრიდმა კვლავ გესლიანად თქვა:

— უხეშობისაგან ყველამ უნდა სცადოს თავის შეკავება. რა თქმა უნდა, ჭინა დამნაშავეა. ის ისეთი ჭარბშუტაა ყველაფერში. რასაც წაპრიწყებს... არაფერს აკეთებს ვარდა იმისა, რომ ურევს ყველაფერს. ერთ დღეს რომელიმე ყმაწვილს რომ იმედის ნაპერწკალს გაუღვივებს, მეორე დღეს შესწრაღ იგდება. რას უნდა მოელოდეთ მისგან?

უოლი ჰადმა იმ საღამოს პირველად ამოიღო ხმა და თქვა:

— ეს ბიჭი შეიშალა, აუღ ეს არის. ნამდვილად შეიშალა!

11

იმ ღამეს თავის საწოლ ოთახში მისს მარფლი ცდილობდა გაეხსენებინა სტოუნგიგეიტის თავისებურებები, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. აქ უამრავი მოვლენა და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მოვლენაც კი შეიმჩნეოდა. მაგრამ ვერ იტყოდიოთ, რომ ყველაფერ ამას რაიმე კავშირი ჰქონდა იმასთან, რასაც რუთ ვენ რიდოკი შეეწუხებინა. მისს მარფლი არ თვლიდა, რომ კერი ლუიზზე გავლენას ახდენდა, რაც მის გარშემო ხდებოდა. სტივენს ჭინა უყვარდა, ჭინას შეიძლება ყვარებოდა ან არ ყვარებოდა სტივენს. უოლტერ ჰადი აშკარად უკმაყოფილო იყო. აქ ისეთი ამბები ტრიალებდა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო და ხდებოდა კიდევ ყველგან, ყოველთვის. სამწუხაროდ, განსაკუთრებული არაფერი იყო; ასეთი საქმეები ჩვეულებრივ სასამართლოში გაყრით მთავრდება და თითოეული კვლავ იმედიაანად იწყებს ცხოვრებას. აშკარა იყო, მილდრიდ სტრიტი ეჭვიანობდა ჭინაზე და არ უყვარდა იგი. ეს, როგორც მისს მარფლი თვლიდა, ძალიან ბუნებრივი იყო.

მისს მარფლი რუთ ვენ რიდოკის ნათქვამზე ფიქრობდა: კერი ლუიზს იმედი აღარ ჰქონდა, რომ შვილი ეყოლებოდა და პიპა იშვილა, მაგრამ მალე აღმოაჩინა, რომ საკუთარი შვილი შეეძინებოდაო.

— ხშირად ხდება ასე, — უთქვამს მისს მარფლისათვის ერთ ექიმს, — შესაძლოა ამას იწვევს დაძაბულობის მოხსნა, შემდეგ კი ბუნებას თავისი გააქვს.

ექიმს ისიც უთქვამს, ხშირად ამას მძიმე შედეგი მოსდევს აყვანილი შვილისათვისო.

მაგრამ ამ შემთხვევაში ანუ არ მომხდარა. გულბრანდსენი და მისი მეუღლე, ორივე თავიანთ სცემდნენ პატარა პიპას. პიპამ ისე მტკიცედ დაიკავა მათ გულეებში ადგილი, რომ წარმოუდგენელი იყო მათი მხრით უყურადღებობა. გულბრანდსენი უკვე მამა იყო, მამობრივი გრძნობა მისთვის უცხო არ იყო. კერი ლუიზის დედობრივი წყურვილი პიპამ დააკმაყოფილა. ფეხმძიმობა შემაწუხებელი ჰქონდა და მშობიარობაც შესაბამისად მძიმე და ხანგრძლივი. შესაძლოა, კერი ლუიზი, რომელიც ოცნებებით ცხოვრობდა, იმედგაცრუებული დარჩა.

შერჩა ორი პატარა გოგონა. ისინი ერთად იზრდებოდნენ, ერთი ღამაში და მხიარული, მეორე — შეუხედავი და დაღვრეული. რაც ასევე, როგორც მისს მარფლი ფიქრობდა, არულიად ბუნებრივი იყო. რადგან, როცა გოგონას იშვილებენ, რა თქმა უნდა, ღამაზე ბავშვს არჩევენ. და, თუმცა, მილდრიდიც შეიძლებოდა იღბლიანი ყოფილიყო და მარტინებს დამსგავსებოდა, რომელთაც ქვეყნად მოავლინეს მშვენიერი რუთი და დახვეწილი კერი ლუიზი, ბუ-

ნებას არჩია, რომ იგი გულბრანდსენებს დამსგავსებოდა, დიდები, დონდლოები და მეტისმეტად შეუხედავები რომ იყვნენ...

თანაც კერი ლუიზს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ აყვანილ შვილს არასოდეს არ უნდა ეგრძნო თავისი მდგომარეობა, და ამის დასამტკიცებლად მეტისმეტად ანებიერებდა პიპას. ხოლო მილდრიდის მიმჭრეულს უურადლებას იჩენდა.

შინა-სინათლე

პიპა გათხოვდა და იტალიაში გაემგზავრა. მილდრიდი ერთხანს ერთადერთი ქალიშვილი იყო ოჯახში. მაგრამ შემდეგ პიპა გარდაიცვალა. კერი ლუიზმა პიპას ქალიშვილი სტოუნგიუითში ჩამოიყვანა და მილდრიდი კვლავ უყურადღებოდ დარჩა. შემდეგ ისევ ახალი ქორწინება, რესტორიკის ბიჭები. 1934 წელს მილდრიდი ცოლად გაჰყვა მღვდელ სტრიტს. დიდად განათლებულ კაცს, რომელიც სიძველეებით იყო გატაცებული. თხუთმეტი წლით მასზე უფროსს, და სამხრეთ ინგლისში გაემგზავრნენ საცხოვრებლად. შესაძლოა, მილდრიდი ბედნიერი იყო. ვინ იცის. ბავშვი არ ჰყოლია და იი, ახლა, კვლავ დაბრუნდა სახლში, სადაც გაიზარდა, და სადაც, გაიფიქრა მისს მარფლმა, არც ამჯერად გრძნობდა თავს განსაკუთრებით ბედნიერად.

ჯინა, სტივენსი, უოლი, მილდრიდი, მისს ბელევერი. რომელსაც მოსწონდა მკაცრი რეჟიმი, მაგრამ თავს ვერავის ახვევდა. ლუის სეროქოლდი — მთელი თავისი არსებით ბედნიერი კაცი. იდეალისტი, რომელსაც შეეძლო პრაქტიკულად განეხორციელებინა თავისი იდეალები. ამ პიროვნებათაგან ვერც ერთში ვერ აღმოაჩინა მისს მარფლმა ის, რისთვისაც აქ რუთის სიტყვებმა ჩამოიყვანა. კერი ლუიზს, მთელ ამ ორომტრიალში განმარტოებით რომ იდგა, თითქოს არავითარი საფრთხე არ ელოდა. ასე იყო მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ გარემოში ისეთი, რამაც რუთი ასე შეაშფოთა?.. ნუთუ მან, ჯენ მარფლმაც იგრძნო უკვე?

მაშ, ვინ არიან ის გარეშე ადამიანები, რომლებიც ამ მორევში ტრიალებენ — შრომითი თერაპიის სპეციალისტები, მასწავლებლები, ეს უწყინარი ყმაწვილები, თავდაჯერებული ახალგაზრდა დოქტორი მავერიკი, სამი ვარდისფერლოყება მიაშიტურთვალუბიანი ახალბედა დამნაშავე, ედგარ ლოუსონი...

და აქ, მისს მარფლმა, სახამ ჩაეძინებოდა, ფიქრი შეაჩერა ედგარ ლოუსონზე, გონების თვალთ მას დაუბრუნდა. ედგარ ლოუსონი ვიდაცას თუ რალაცას აგონებდა. რალაცამ დააეჭვა მის პიროვნებაში ედგარ ლოუსონი მოუწესრიგებელი პიროვნება იყო — ზუსტად ეს ფრაზა შეეფერებოდა მას, არა? მაგრამ, უეჭველია ეს არ შეეხებოდა და ვერც შეეხებოდა კერი ლუიზს?

გუხეხებაში მისს მარფლმა თავი გააქნია

ის, რაც მას აწუხებდა, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

V თ ა 3 0

მეორე დღით, მისს მარფლმა თავაზიანად რომ დააღწია თავი მასპინძელს, ბაღში გავიდა. იქაურობა ისეთ დღეში იყო, რომ გული ეტკინა. ერთ დროს კი თვალს ახარებდა შტერის ბუჩქები, მწვანე მდელოები, ყვავილების ბორდიურები, გაკრეჭილი ბზის ბუჩქებით შემოღობილი ვარდის ბაღი ახლა ეს ყველაფერი უყურადღებოდ მიეტოვებინათ. გაზონები გასაკრეჭი იყო, ყვავილებ-

საც სარვევლა მოსძალებოდა, ხოლო ბილიკებს ხავსი მოსდებოდა და არვინ იყო პატრონი. სამაგიეროდ, ბოსტნისთვის კარგად მოეველოთ. თანაც წითელი აგურის კედელი შემოერთყათ. როგორც ჩანს, იმიტომ აქცევდნენ ყურადღებას, რომ მას პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ასევე შემთავობათ დიდი იდვილი, სადაც ადრე გაზონები და ყვავილების ბაღი იყო, დასაჯობურთისა და ბოულინგის კორტებად ექციათ.

ყვავილებია ბორდიურს რომ ათვალიერებდა, მისს მარფლმა ენა სინანულით გააწკლაპუნა და აყვავებული ჯვარა მოწყვიტა.

ხელში ყვავილით რომ იდგა, ედგარ ლოუსონიც გამოჩნდა. დაინახა თუ არა მისს მარფლი, შეყოყმანდა და შეჩერდა. მისს მარფლმა მაშინვე უხმო ლოუსონს, რათა ამ უკანასკნელს თვალი არ აერიდებინა. როცა ლოუსონი მიუახლოვდა, მისს მარფლმა ჰკითხა, ხომ არ იცით, ბაღის სამუშაო იარაღები სად ინახებაო.

ედგარმა დაბნეულად უპასუხა, აქვე, სადღაც შებაღე იქნება, რომელსაც ეცოდინებაო.

— დასანანია ამ ყვავილების უყურადღებოდ მიტოვება, — თქვა მისს მარფლმა, — რომ იცოდეთ, როგორ მიყვარს ბაღი. — და, რადგან მას ფიქრადაც არ ჰქონია, ედგარი წავა იარაღის საძებნელადო, სწრაფად განაგრძო: — ასეთი საქმე შეიძლება მხოლოდ ხანში შესულმა, უსაქმურმა ქალმა გაიჩინოს. არა მგონია, ოდესმე თავი შეგეწუხებინათ ბაღის მოვლაზე ფიქრით, ბატონო ლოუსონ. თქვენ იმდენი ჰეშმარიტად მნიშვნელოვანი საქმე გევალებათ აქ, თქვენ ბატონ სეროქოლდთან ერთად ინაწილებთ პასუხისმგებლობას. უთუოდ დიდი ინტერესით ეკიდებით საქმეს.

ლოუსონმა სწრაფად და მოუთმენლად უპასუხა:

— დიახ, დიახ, ინტერესით ვეკიდები.

— თქვენ ალბათ დიდ დახმარებას უწევთ ბატონ სეროქოლდა.

ლოუსონს სახე მოეჭუფრა.

— არ ვიცი. დარწმუნებული არა ვარ. ყველაფერ ამის მიღმა...

მან ლაპარაკი შეწყვიტა. ფიქრებში წასული მისს მარფლი ლოუსონს მიაჩერდა. ეს იყო პათეტიკური, მომცრო ტანის ყმაწვილი, მუქი ფერის სუფთა კოატიუმში გამოწყობილი. ისეთი გარეგნობისა გახლდათ, მეორეჯერ არც შეხედავდით, ან კიდევ ვერც გაიხსენებდით...

იქვე უზოში მერხი იდგა, მისს მარფლი იქითკენ გაემართა და ჩამოჭდა. ედგარი წარბშეკრული იდგა მის წინ.

— დარწმუნებული ვარ, — ცოცხლად თქვა მისს მარფლმა, — რომ ბატონი სეროქოლდი ძალიან გენდობათ.

— არ ვიცი, — მიუგო ედგარმა, — ნამდვილად არ ვიცი.

შუბლი შეიკრა და უაზროდ ჩამოჭდა მისს მარფლის გვერდით:

— დიდი გასაჭირი მადგას.

— მესმის, — თქვა მისს მარფლმა.

ყმაწვილი სივრცეში რაღაცას მიაჩერდა.

— ეს დიდი საიდუმლოა, — წამოიძახა მან მოულოდნელად.

— მესმის, — მიუგო მისს მარფლმა.

— ჩემი ნება რომ იყოს...

— დიახ?

— თქვენც გაიმბობდით... დარწმუნებული ვარ, არავის ეტყოდით.

— ოჰ, არა, — მისს მარფლმა შეამჩნია, რომ ედგარი არც დაელოდა მის პასუხს.

— მამაჩემი, დიახ, მამაჩემი, ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნებაა. ამჯერად, არაფრის თქმა არ იყო საჭირო. მისს მარფლს მხოლოდ უნდა მოესმინა.

— ეს არიან იცის ბატონი სეროქოლდის გარდა, ^{უბრალოდ} უბრალოდ უნდა ვთქვათ, რომ გახმაურდეს, მამაჩემის საქმე შეიძლება ცუდად წავიდეს. — ედგარი მიუბრუნდი მისს მარფლს და ნაღვლიანი, მედიდური ღიმილით გაუღიმა. — იცით, მე უინსტონ ჩერჩილის შვილი ვარ.

— ო-ოჰ, — აღმოხდა მისს მარფლს, — გასაგებია. და, მართლაც გასაგები იყო მისთვის. ერთი სევდიანი ამბავი გაახსენდა, სენტ მერი მიღში რომ მოხდა. ედგარ ლოუჯონმა განაგრძო, და რასაც ის ყვებოდა, ყალბი ფამილიარობის იერი დაჰკრავდა.

— ამას ბევრი გამართლებაც ჰქონდა. დედაჩემი თავისუფალი არ იყო: ქმარი საგიჟეში ჰყავდა და ვერ გაეყრებოდა, გათხოვებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი გახლდათ. მე მათ არ ვადანაშაულებ. ყოველ შემთხვევაში, მგონია, რომ არ ვადანაშაულებ... მამაჩემი აკეთებდა იმას, რაც შეეძლო; გონივრულად, რა თქმა უნდა. სწორედ აქედან მოდის მთელი უბედურება. მას მტრები ჰყავს — ისინი მეც მმტრობენ. მათ მოახერხეს ჩვენი გათიშვა. სადაც არ უნდა წავიდე, მითვალთვალებენ და ყველგან საქმეს მიფუჭებენ.

მისს მარფლმა თავი გადააქნია.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, — აღმოხდა ქალს. — ლონდონში სამედიცინოზე ვსწავლობდი. ისინი გამოცდებზეც მოქმედებდნენ ფარულად — ჩემი პასუხები გადააკეთეს, ჩაჭრა უნდოდათ. ისინი ქუჩაშიც კი დამყვებოდნენ. სადაც არ უნდა წავიდე, ჩემზე ნადირობენ.

— იქნებ სცდებით, იქნებ ასე არაა, — დაამშვიდა მისს მარფლმა.

— იმას გეუბნებით, რაც დანამდვილებით ვიცი! ოჰ, რა ეშმაკები არიან. არასოდეს მომიკრავს თვალი მათთვის, ვერც ის გავარკვევ, ვინ არიან, მაგრამ აუცილებლად გავარკვევ... ბატონმა სეროქოლდმა ლონდონიდან აქ ჩამომიყვანა. მან სიკეთე გამოიკეთა, დიდი სიკეთე, მაგრამ, იცით, აქაც კი ვერ ვგრძნობ თავს უშიშრად. უვნებლად ვერ ვგრძნობ თავს. ისინი აქაც არიან, ჩემ წინააღმდეგ მოქმედებენ და სხვებსაც აიძულებენ შემიძულონ. ბატონი სეროქოლდი მეუბნება, რომ ვცდები, მაგრამ მან არ იცის, მან კიდევ, იცით, ზოგჯერ ვფიქრობ...

უცებ გაჩუმდა და წამოდგა.

— ეს საიდუმლოა, — თქვა მან, — ხომ გესმით, არა? მაგრამ, თუ თქვენ შენიშნავთ, ვინმე დამდევს, ე. ი. მითვალთვალებს, იმედი მაქვს, შემატყობინებთ.

ის წავიდა, ისევ ისეთი კოხტა, შემართული, მაგრამ არაფრის მაქნისი. მისს მარფლმა ცნობისმოყვარე მზერა გაადევნა.

უცებ ხმა შემოესმა:

— შეშლილები, ნამდვილი შეშლილები არიან. უოლტერ ჰადი იდგა მის გვერდით. ხელები ღრმად ჩაეყო ჯიბეებში და დაბღვერილი უყურებდა მიმავალ ედგარს.

— რა აკავშირებთ ერთმანეთთან ბოლოს და ბოლოს? — თქვა მან, — აქ ყველანი შეშლილები არიან, უმრავლესობა მაინც.

მისს მარფლს არაფერი უთქვამს, უოლტერმა განაგრძო:

— ეს ბიჭი, ედგარი... რა აზრისა ხართ მასზე? თვითონ ამბობს, რომ მამამისი ნამდვილად ლორდი მონტგომერია. განა ეს შესაძლებელია? არა! არც ერთი მათგანის შვილი არ არის, ვისზეც კი ამბობს, მამაჩემიაო.

— არა, — თქვა მისს მარფლმა, — ეს არ უნდა იყოს მართალი.

— ჭინას სულ სხვა რამ უეშობო — რაღაც მოჩმახა, თითქოს რუსეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე იყოს. ამბობს, თითქოს რომელიღაც დიდი მთავრის შვილია თუ კიდევ რაღაც ამგვარი. ეშმაკმა წაიღოს, ნუთუ ამ ბიჭმა არ იცის, ვინ არის სინამდვილეში მამამისი?

— ვფიქრობ, არ იცის, — თქვა მისს მარფლმა, — სწორედ ეს არის უბედურება.

უოლტერი მოწყვეტით დაეშვა სკამზე და კვლავ გაიშეორა:

— აქ ყველანი შეშლილები არიან.

— თქვენ არ მოგწონთ სტოუნიგეიტში ცხოვრება?

ყმაწვილი მოიღუშა:

— უბრალოდ, ვერ შევეგუე აქაურობას, ვერ შევეგუე, სულ ეს არის, ვერც ამ სახლს და ვერც ასეთ ცხოვრებას! ესენი მდიდრები არიან. მათ მაყუთი აქვთ. და შეხედეთ როგორ ცხოვრობენ: დაბზარული ძველებური ჭურჭელი და იაფფასიანი უბრალო ნივთები ერთმანეთშია არეული. მაღალი საზოგადოებისათვის შესაფერის მსახურებს ვერ ნახაეთ აქ, მხოლოდ შემთხვევით დაქირავებული მოსამსახურეები ჰყავთ, გობელენები, ფარდები, სკამების შალითები — ყველაფერი ატლასისა და ფარჩის — და კიდევ სხვაც ბევრი, მთლად ნადგურდება, იშლება დიდი ვერცხლის ჩაიდანი ჭუჭყისაგან გაყვითლებული და დალაქავებულია. ქალბატონ სეროქოლდს სულაც არ აწუხებს ეს. ხომ ნახეთ, როგორი კაბა ეცვა გუშინ სალაშოს — იდაყვებზე დაკემსილი, გაცვეთილი. არადა, შეუძლია მალაზიაში წავიდეს და შეუკვეთოს თავისი გემოვნებით, ბონდ სტრიტზე ან სადმე სხვაგან. მაყუთი? მაყუთში ცურავენ.

ერთხანს ყოყმანობდა, გაეგრძელებინა თუ არა საუბარი.

— მე შესმის, რას ნიშნავს იყო ლარიბი. ამაში დასაძრახი არაფერია, როცა ახალგაზრდა და ჯანმრთელი ხარ და მუშაობას არ თაკილობ. ბევრი ფული არასოდეს მქონია, მაგრამ მინდოდა სასურველი საქმისთვის მომეკიდა ხელი. გარაჟის გახსნა დავაპირე ცოტაოდენი გადანახული ფულით. ამაზე ჭინას ველაპარაკე. მან მომიამინა, თითქოს გამიგო. ჭინაზე თავიდან ბევრი არაფერი ვიცოდი. ყველა ფორმიანი გოგონა ერთმანეთს ჰგავს. მე იმას ვამბობ, რომ გარეგნობით ვერ გაიგებ, რომელია ფულიანი და რომელი არა. ვფიქრობდი, ჭინა ზედგამოჭრილი იყო ჩემთვის, თუნდაც განათლებით. მაგრამ, ეტყობა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონია, ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა და დავქორწინდით. ცოტაოდენი ფული მქონდა, ცოტაც ჭინას, როგორც თვითონ მითხრა. პოდა, გადავწყვიტეთ ბენზინის ჩასასხმელი სადგური გაგვეხსნა ჩემს მშობლიურ მხარეში — ჭინას ასე სურდა. ერთმანეთზე სიგიჟემდე შეყვარებული წყვილი ვიყავით. სიგიჟემდე შეყვარებული ბავშვები. მერე ჭინას ამპარტავანმა დეიდამ აღარ მზიხვენა... და ჭინამ მოინდომა ინგლისში ჩამოვსულიყავით დიდდამისის სანახავად. პო, ამაში ცუდი არაფერი იყო. ეს მისი სახლი გახლდათ და მეც საოცრად მინდოდა ინგლისის ნახვა. ბევრი მსმენოდა მის შესახებ, ასე რომ, ჩვენ ჩამოვედით სტუმრად — ასე ვფიქრობდი მე.

კიდევ უფრო მეტად მოედრებლა სახე:

— მაგრამ მოვტყუვდი. ჩვენ გამოკერილი ვართ, სულ ამას ჩავგვიჩინებენ. აქ დარჩით, აქ დასახლდითო. მეუბნებიან, რომ ჩემთვის პრავლადაა აქ საქმე. საქმე! მე ასეთი საქმე არ მიტაცებს — ყმაწვილი განგსტრები შექარყინულთ მოვამარაგო და თამაშით გავართო... რა აზრი აქვს ამას ყველაფერს? აქაურობა შეიძლება მშვენიერი იყოს, ნამდვილად მშვენიერი უფლებების ფულიანი ხალხი ვერ გრძობს რა იღბლიანია? ნუთუ არ ეხმობა ჩემს ქვეყნად არსად არის მსგავსი მშვენიერი ადგილი. და, რომ სწორედ მათ ხვდათ წილად ეს ადგილი? ნამდვილი სიგიჟე არ არის, იღბალს ხელი ჰკრა, როცა ხელთ გიბყრია? მაგათ ადგილზე სამუშაოს არც მოვძებნიდი. მაგრამ მე ისეთ საქმეა მოგვიდებ ხელს, რომელიც მიტაცებს. ვეცდები თავი დაეაღწიო აქაურობას. აქ, ასე მგონია, თბობას ქსელში ვარ გაბმული, ჯინა კი — ჯინა ვერ დავძარი აქედან. ეს ის გოგონა აღარ არის, რომელიც მე შტატებში შევირთე, არ შემოიძლია — ეშმაკმა დალახვროს — საუბარსაც კი ველარ ვახერხებ მასთან!

მისს მარფლმა დაამშვიდა:

— მესმის თქვენი.

უოლიმ სწრაფი მზერა სტუორცნა მას.

— თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, ვისაც ასე გადავუშალე გული. უფრო ხშირად ვდუმვარ, თითქოს წყალი მქონდეს პირში ჩავუბებული არ ვიცი, რითი მომხიბლეთ — თქვენ ინგლისელი ბრძანდებით, ნამდვილი ინგლისელი — მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, თქვენ დეიდაჩემ ბეტსის მაგონებთ, იქ სამშობლოში რომ მყავდა.

— მეტად სასიამოვნოა.

— ძალიან კეთილგონიერი იყო, — განაგრძო ფიქრებში წასულმა უოლიმ, — ისეთი სიფრიფანა ჩანდა, გეგონებოდა, წელში გადატყდებოდა, მაგრამ სინამდვილეში მაგარი ქალი იყო — დიახ, ქალბატონო, მაგარი ქალი.

უოლი ადგა.

— მაპატიეთ, ამდენს რომ გელაპარაკებით, — ბოდიში მოიხადა მან და მისს მარფლმა პირველად დაინახა მისი ღიმილი, საოცრად მომხიბველი ღიმილი ჰქონდა, და უოლი ჰადი, ეს მოუქნელი, პირქუში ბიჭი უცებ მშვენიერ, მიმზიდველ ყმაწვილად გადაიქცა. — მინდოდა გული ვინმესთვის გადამეშალა, მაგრამ სამწუხაროა, რომ თქვენ მოგახვიეთ თავს ჩემი გულისტკივილი.

— არა უშავს, ძვირფასო, — მიუგო მისს მარფლმა, — მეც მყავს ძმან-შვილი, ოღონდ, რა თქმა უნდა, თქვენზე ბევრად უფროსი.

მისს მარფლის ფიქრი წამით რეიმონდ უესტს მისწვდა, ცხოვრებაში უკვე გამობრძმედილ, თანამედროვე მწერალს. უოლტერ ჰადისაგან მასზე უფრო მეტად განსხვავებულ პიროვნებას ვერც კი წარმოიდგენდით.

— თქვენსკენ ახლა სხვები მოემართებიან, — თქვა უოლტერ ჰადმა, — იმ მანდილოსანს მე არ მოვწონვარ. ასე რომ, დაგტოვებთ, მომავალ შეხვედრამდე, მაღამ. გმადლობთ საუბრისათვის.

უოლი წავიდა. მისს მარფლმა მილდრიდ სტრიტს გახედა, რომელმაც მდელი გადმოსჭრა და მისკენ გამოემართა.

II

— როგორც ვხედავ, იმ საშინელი ახალგაზრდის მსხვერპლი ბრძანდებით, — უთხრა ქალბატონმა სტრიტმა ქოშინით, როცა სკამზე დაეშვა, — ეს ტრაგედიაა.

— ტრეგედია?

— ჯინას კორწინება. ეს ყველაფერი მის ამერიკაში გაგზავნას მოჰყვა. მაშინ მე დედას ეუთხარი, არ არის-მეთქი გონივრული ნაბიჯი. ბოლოს და ბოლოს, ეს ისეთი მივარდნილი ადგილია, ერთხელაც არ ყოფილა თავდასხმა-ძალიან მეჭავრება. როცა ადამიანები აურზაურს ტეხენ თავიანთი რჯახებით გამო და უფრო ხშირად კი თვით საკუთარი თავის გამო. *ერეკლე*

— ალბათ ძნელი გადასაწყვეტი იქნებოდა მაშინ, რა *სტრიტის* *სტრიტის* იყო. — თქვა ჩაფიქრებულმა მისი მარფლმა. — როცა საქმე ბავშვებს ეხებოდა, რა თქმა უნდა. თუ მტერი შემოიჭრებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ბავშვებს ცხოვრება მოუწევდათ გერმანული რეჟიმის პირობებში, თან დაბომბვის საშიშროებაც იყო.

— რა სისულელეა. — თქვა ქალბატონმა სტრიტმა. — ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით. მაგრამ დედა ყოველთვის განუსჯელად იტყუოდა, როცა საქმე ჯინას ეხებოდა. ძალიან ანებივრებდა და ათამამებდა. სულაც არ იყო საჭირო მისი იტალიიდან ჩამოყვანა.

— მამამისი ამის წინააღმდეგი არ ყოფილა. როგორც ვიცო.

— ოჰ, სან სევერიანო! ხომ იცით, იტალიელები რა ხალხია. ფულის გარდა არაფერი აინტერესებთ. პიპაც, რა თქმა უნდა, ფულის გამო შეირთო.

— ნუთუ. მე ყოველთვის მეგონა, რომ ძალიან ერთგული იყო პიპასი და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მისმა სიკვდილმა.

— უეჭველია, თავს იკატუნებდა, მაგრამ, დედამ რატომ თანაუგრძნო და დაეთანხმა უცხოელთან კორწინებაზე, წარმოუდგენელია. ჩემი ვარაუდით, თავი და თავი მაინც ჩვეული ამერიკელი უზრუნველობაა.

— ყოველთვის ვფიქრობდი, კერძო ლუიზი თითქოს ამ ქვეყნისა არ არის, სულ არ იცნობს-მეთქი ცხოვრებას.

— დიახ, ასეა. ამის მოთმენა აღარ შეეძლია. აუტანელია დედაჩემის ხუშტურები. უსაფუძვლო პირვეულობა და იდეალისტური გეგმები. თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, დეიდა ჯეინ, რას ნიშნავს ყველაფერი ეს. მე ვიცი და ეს მალაპარაკებს, რა თქმა უნდა; მე ამ გარეშოში ვიზრდებოდი.

მისს მარფლი შეცბა, როცა მას „დეიდა ჯეინი“ უწოდეს. ამავე დროს ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ დროისათვის. მის საშობაო საჩუქრებს, რომლებსაც კერი ლუიზის შვილებს უგზავნიდა, ასეთი წარწერა მქონდა: „სიყვარულით, დეიდა ჯეინისაგან“, და თუკი ოდესმე ის გაახსენდებოდათ, „დეიდა ჯეინს“ იტყოდნენ, რაც, მისს მარფლის ვარაუდით, არცთუ ისე ხშირად უნდა მომხდარიყო.

ის ჩაფიქრებული მისჩერებოდა მის წინ მჯდომ შუახნის ქალს, მის მოკუმულ ტუჩებს, ცხვირის ქვემოდან პირისკენ დაშვებულ ორ ღრმა ღარს. მჭიდროდ გადაქდობილ ხელებს.

მან გულთბილად უთხრა მილდრიდს:

— შენ ალბათ მძიმე ბავშვობა გამოიარე, არა?

მილდრიდ სტრიტმა მადლიერი თვალები მიანათა მას.

— ო-ოჰ, რა რიგ მოხარული ვარ, როცა ვინმეს ესმია ჩემი. ბევრმა არც კი იცის, ბავშვები რას განიცდიან. პიპა, ხომ იცით, როგორი მომზიბვლელი იყო, თან ჩემზე უფროსიც, და მეტ ყურადღებასაც აქცევდნენ მუდამ. დედაც და მამაც ათამამებდნენ, თუმცა გათამამება სულაც არ სჭირდებოდა. მე ყო-

ველთვის წყნარი ვიყავი, მორცხვი! პიპასთვის კი უცხო იყო მორცხვობა. ბავშვს ბევრი ტანჯვის ატანა ძალუძს, დეიდა ჯეინ.

— მესმის. — უთხრა მისს მარფლმა.

— რა ჩლუნგიანო მილდრიდი, ხშირად ამბობდა პიპა ჩემზე. მე კი მასზე უმცროსი ვიყავი და ბუნებრივია, შეუძლებელი იყო მასზე დავეწყოდი ისეთი უსიამოვნო ვრძობაა ბავშვისათვის, როცა დას უსიამოვნოა ანიჭებენ. რა მშვენიერი გოგონააო, ეუბნებოდნენ დედაჩემს. მე კი არასოდეს მამჩნევდნენ. მამაც მხოლოდ პიპას ეხუმრებოდა და ეთამაშებოდა, ვინმეს ხომ უნდა შეეძინია, რა აუტანელი იყო ეს ჩემთვის. მთელ- ყურადღება და პატივისცემა პიპასკენ იყო მიმართული. არც ისე დიდი ვიყავი, მივმხვდარიყავი, რომ ეს პიპას ბუნებიდან მომდინარეობდა.

მას ბაგე აუცახცახდა, შემდეგ ისევ გაუქვავდა.

— უსამართლობა იყო, ნამდვილად უსამართლობა, მე მათი ნამდვილი შვილი ვიყავი, პიპა კი აყვანალო; მე ამ ოჯახის ქალიშვილი ვიყავი, ის — ვილაც უცხო.

— ალბათ ამიტომაც იყვნენ ზედმეტად გულმოწყალები მის მიმართ. — უთხრა მისს მარფლმა.

— მათ ის უფრო უყვარდათ, — თქვა მილდრიდ სტრიტმა და შემდეგ დაუმატა, — ბავშვი, რომელიც აკუთარმა მშობლებმა უარყვეს, უფრო სწორად, უკანონო ბავშვი, — მან განაგრძო:

— ჭინაც ალი-კვალი დედა არის, მის ძარღვებშიც ცუდი სისხლი ჩქეფს; სისხლი თავისას გაიტანს. ლუისს შეუძლია სწამდეს თავისი შეხედულებები ცხოვრებაზე, მაგრამ ცუდი სისხლი მაინც თავისას გაიტანს: შეხედეთ ჭინას.

— ჭინა ძალიან მიმზიდველი გოგონაა? — თქვა მისს მარფლმა.

— მის ქცევებზე ამას ვერ იტყვი. — თქვა ქალბატონმა სტრიტმა. — დედას გარდა ყველა ამჩნევს, როგორ იქცევა სტივენ რესტარიკთან. ამაზრუნია, სხვა რა შეიძლება უწოდო ამას. შესაძლოა მისი ქორწინება უიღბლოა, მაგრამ ქორწინება მაინც ქორწინებაა და ქალს მოთმინება მართებს. ბოლოს და ბოლოს, თვითონ ისურვა იმ საშინელ ყმაწვილთან შეუღლება.

— ნუთუ ასეთი საშინელია?

— ოპ, ძვირფასო დეიდა ჯეინ! მე ის განგსტერად მესახება, ის ისეთი პირქუში და უხეშია, ხმასაც იშვიათად თუ ამოიღებს, ამით ის თავის უზრდელობასა და გაუთლელობას ამჟღავნებს.

— ფიქრობ, ბედნიერი არ უნდა იყოს, — თქვა მისს მარფლმა თანაგრძნობით.

— ვერ წარმომიდგენია, რატომ უნდა იყოს უბედური, ჭინას ქცევებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. აქ მისთვის ყველაფერს აკეთებენ. ლუისმა რამდენიმე ვარიანტი შეათავაზა, სადაც შეუძლო თავისი ნიჭისა და უნარის გამოვლენა, მაგრამ მას ურჩევნია თავი აარიდოს ყოველგვარ საქმიანობას.

მოულოდნელად მილდრიდს აღმოხდა:

— ოპ, რა აუტანელია აქაურობა, რა აუტანელია. ლუისი არაფერზე ფიქრობს ამ საშინელი ყმაწვილი დამნაშავეების გარდა, დედა კი სხვა არაფერზე ფიქრობს ლუისის გარდა. ყველაფერი, რასაც ლუისი აკეთებს, კარგია. შეხედეთ, რა მდგომარეობაშია ბაღი, სარეველებითაა დაფარული, სახლშიაც წესიერად არაფერია გაკეთებული, ოპ, მესმის, ოჯახი ძნელი მოსაეღებელია ჩვენს დროს, მაგრამ ეს საქმე როგორმე ხომ უნდა მოგვარდეს? ფული საქმა-

რისად აქვთ, უბრალოდ არავინ ზრუნავს. ეს რომ ჩემი სახლი იყოს... ის გაჩუმდა.

— ვშიშობ, — თქვა მისი მარფლა, — სიმაართლეს ვერ გავიგებ, ცხოვრება მართლაც შეიცვალა: ეს დიდი ოჯახები დიდი საზრუნავია. სეა თუ ისე, ალბათ ძალიან საწყენია თქვენთვის. აქ დაბრუნებულს ყველაფერი შეცვლილი რომ დაგხვდათ. ნამდვილად აქ ცხოვრება გორჩევენს სხვაგან, თქვენს საკუთარ სახლში?

მილდრიდ სტრიტს სახე აელეწა:

— ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი სახლია, — თქვა მან. — ეს მამაჩემის სახლი იყო; ამას არაფერი შეცვლის. აქ დარჩენა ჩემი ხედა და არჩევანიც გავაკეთებ. ოღონდ დედა არ იყოს ასეთი აუტანელი! მას თავისთვის ტახსაცმლის ყიდვაც კი არ შეუძლია. ჯოლის ეს ძალიან აწუხებს.

— მე მინდოდა მისი ბელევერზე მესაუბრა თქვენთან.

— მისი აქ ყოფნა დიდი ნუგეშია დედასთვის. მისს ბელევერს თავიანთს სცემს მას. უკვე დიდი ხანია, რაც ერთად არიან; ჯონ რესტაროკის ვროს მოვიდა ამ სახლში. დარწმუნებული ვარ, რა შვებისმოძგერელი იყო მისი აქ ყოფნა იმ სამწუხარო ამბების დროს. ალბათ, გაიგებდით, რომ რესტაროკი იმ საზიზღარ იუგოსლავიელ ქალთან ერთად გაიქცა — მეტად უზნეო არსება კი იყო, ალბათ ურიცხვი საყვარელიც ეყოლებოდა. დედა ძალზე ღირსეულად შეხვდა ამ ამბავს; უაღრესად მშვიდად გაშორებულა ქმარს, უფრო მეტიც, რესტაროკის ბიჭები არდადეგებზე თავისთან დაიტოვა. სულაც არ იყო ეს საჭირო. შეიძლებოდა სხვა გამოსავალიც ეპოვა. წარმოუდგენელი იქნებოდა, რა თქმა უნდა, რომ თავიანთ მამასთან და იმ ქალთან გაეშვა ბიჭები. ამიტომ დედამ ისინი აქ დატოვა... და მისს ბელევერი მისი ერთადერთი დასაყრდენი იყო ამ დროს. თუმცა ზოგჯერ ვფიქრობ, რაკი ყველაფერზე თვითონ ზრუნავს ჯოლი, ამით დედაჩემის დაბნეულობასა და უმწუხარობას უწყობს-მეთქი ხელს. მაგრამ, მართალია გითხრათ, არ ვიცი, რა ეშველებოდა უიმისოდ.

ის ცოტა ხნით გაჩუმდა და გაკვირვებულმა შენიშნა:

— აი, ლუისიც, რა უცხაურია. ის იშვიათად გამოდის ბაღში.

ბატონი სეროქოლდი ისე საქმიანად მიემართებოდა მათკენ, რა საქმიანადაც ეკიდებოდა საერთოდ ყველაფერს. ჩანდა, მილდრიდი არ დაუჩახავს. რადგან გონებაში მხოლოდ მისს მარფლი უტრიალებდა.

— ვწუხვარ, — მიმართა მან, — მინდოდა ჩვენი დაწესებულება დაიშვალე რეებიანა თქვენთვის და ყველაფერი შეჩვენებინა — კაროლინმა მთხოვა. სამწუხაროდ, ლივერპულში უნდა გავემგზავრო იმ ბიჭის თაობაზე, რკინიგზის საამანათო განყოფილების გაქურდვისთან დაკავშირებით. თქვენ კი მავერიკი გაგიწევთ მეგზურობას; რამდენიმე წუთში აქ გაჩნდება. მე ზეცაბდე ვერ ჩამოვალ. კარგი იქნება, თუ შევძელით სასამართლომდე არ მივიდეს საქმე.

მილდრიდ სტრიტი ადგა და წავიდა. ლუის სეროქოლდს არც ის დაუჩახავს, როგორ წავიდა იგი. მისი თვალები აქელი სათვადიდან სერიოზულად მისჩერებოდნენ მისს მარფლს.

— იცით, — თქვა მან, — მოსამართლეების აზრი ხშირად მცდარია. ზოგჯერ მეტისმეტად მკაცრები არიან. ზოგჯერ კი მეტისმეტად ლმობიერნი. თუ ამ ბიჭებს რამდენიმე თვეს მიუხვიახ, ისინი ჭკუას ვერ ისწავლიან — ეს ერთგვარი გასართობი კი იქნება მათთვის. სატრაბაზო გაუჩნდებათ გოგონებთან.

სამაგიეროდ მკაცრი განაჩენი ხშირად აფხიზლებს მათ და მაშინ კი ხვდებიან, რომ თამაში ამად არ ღირს, ან კიდევ, უმჯობესია, სულაც არ აიკიდონ სასჯელი. ისეთი გამოსასწორებელი სწავლება — კონსტრუქციული სწავლება, როგორც აქა გვაქვს...



მისს მარტლმა შეაწყვეტინა:

ბატონო სეროქოლდ, კმაყოფილი ბრძანდებით ჩემს მსწავლარა ბატონი ლოუსონით? ნუთუ ის... ნორმალურია?

— ძველებური ხომ არ გაუხსენებია? რა გითხრათ?

— მითხრა, რომ უინსტონ ჩერჩილის ვაჟია...

— რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა, ეს ჩვეულებრივი ამბავია, ის ხომ უქველია მიხვდებოდით. უკანონო შვილია, საბრალო ბიჭი, ამავე დროს ძალიან მორიდებულიცაა, ლონდონის ერთ-ერთი საზოგადოების რეკომენდაციით წამოვიყვანე. მის პიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ქუჩაში ვიღაცას, რომელიც, როგორც თვითონ თქვა, უთვალთვალებდა ტიპიური შემთხვევაა. დოქტორი მავერიკი გიამბობთ ყველაფერს. მე გავიკითხე მისი ამბავი და გაირკვა, რომ დედა ღარაბი. მაგრამ წესიერი ოჯახის შვილი იყო, პლიმუთიდან, მამამისი კი მეზღვაურა — ქალმა არც კი იცოდა მისი სახელი... ბავშვი მძიმე პირობებში აღიარდა, დაიწყო რაღაც-რაღაცების შეთხზვა მამამისზე და მოგვიანებით თავის თავზეც იცვამდა ფორმას და იკეთებდა იმ ჯილდოებს, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა, მეტად ტიპიური შემთხვევაა მაგრამ მავერიკი თვლის, რომ პროგნოზი საიმედო იქნება, თუ ვენდობით. მას აქ ააშუალება მივეცი, რათა თავისი თავი ებოვა და მიმხვდარიყო, რომ ის კი არ არის მთავარი, ვისი შვილია, არამედ — თვითონ რას წარმოადგენს. მე ვეცადე საკუთარი ნიჭისადმი რწმენა ჩამენერვა მისთვის. უკეთესობა თვალსაჩინო იყო: ამითი ბედნიერი ვიყავი, ახლა კი ამბობთ, რომ...

მან თავი გააქნია

— ის სახიფათო ხომ არ არის, ბატონო სეროქოლდ?

— სახიფათო? არა მგონია მას გამოუმტლავნებინოს თვითმკვლელობის განზრახვა.

— მე თვითმკვლელობა არა მაქვს მხედველობაში. ის მტრებზე მელაპარაკებოდა — თვალთვალზე, მაპატიეთ, ნუთუ ეს ხიფათის მომასწავებელი არ არის?

— ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასე გაუმძაფრდებოდა მდგომარეობა. მე მავერიკს დაველაპარაკებო, აქამდე ის იმედინად იყო — ძალიან იმედინად.

მან საათა დახედა:

— უნდა წავიდე, ოპო, აი ჩვენი ძვირფასი ჯოლიც, ის მოგხედავთ.

მისს ბელევერი მკვირცხლად მიუახლოვდა მათ და თქვა: — მანქანა კარებთანაა, ბატონო სეროქოლდ, დოქტორმა მავერიკმა დარეკა, დავბირდი. მისს მარტლს მე მოგიყვანო-მეთქი, ის კიშკაროან შეგვხვდება.

— მადლობთ, მე უნდა წავიდე, ჩემი პორტფელი სად არის?

— მანქანაში, ბატონო სეროქოლდ!

ლუის სეროქოლდი აჩქარდა, თვალი რომ გააყოლა, მისს ბელევერმა თქვა:

— ერთხელაც იქნება ეს კაცი გზაში დაღვევა სულს, მსგავსი მღელვარება და მოუსვენრობა ადამიანურ ბუნებას ეწინააღმდეგება. მას სულ რაღაც ოთხი საათი თუ აძინავს დღე-ღამეში.

თავისი საქმის ერთგულია, — აღნიშნა მისს მარტლმა.

— სხვა არაფერზე ფიქრობს, — დაუმატა მისს ბელევერმა დაუნდობლად. — არასოდეს უფიქრია მეუღლეზე ზრუნვა, ან კიდევ მისთვის ანგარიშის გაწევა. კერი ლუიზი კი მეტად საყვარელი არსებია, როგორც იცით, მისს მარფლს და სიყვარულს და ყურადღებას იმსახურებს. მაგრამ აქ არც არაფერზე ვიქრობენ და ზრუნავენ გარდა იმ უამრავი უსაქმური ბიჭისე, ანუ უსაქმურებისა, რომლებსაც იოლი და უწესო ცხოვრება სურთ და არც კბ [ფიქრობენ] ცოტათი თავი შეიწყუბონ. წესიერი ოჯახების წესიერმა შეილება რაღა დააშავეს? მათთვის რატომ არაფერს აკეთებენ? მაგრამ ბატონ სეროქოლდისა და ბატონ მავერიკის მსგავს ახირებულთათვის და ჩერჩეტ სანტიმეტალისტთა მთელ საკრებულოსათვის, აქ რომ გვყავა, პატიოსნება უინტერესოა. მე და ჩემი ძმები მძიმე პირობებში ვიზრდებოდით, მისს მარფლს, მაგრამ ვინ იყო ჩვენი თანამგრძნობი! ცხოვრება ახლა უფრო ლმობიერია.

მათ ბალი გადაკვეთეს, გაიარეს მესერში დატანებულ კიშკარში და მიადგნენ თალიან კიშკარს, რომელიც ერთი გულბრანდსენმა აღმართა კოლეჯის შესასვლელში, მკვიდრად ნაგები, საზარელი, წითელი აგურის შენობის წინ.

დოქტორი მავერიკი მათ შესახვედრად გამოეშურა და მისს მარფლმა გაიფიქრა, თავადაც შეშლილსა ჰგავსო.

— გმადლობთ, მისს ბელევერ, — თქვა მან, — ახლა მისს... მმ-მმ, ოპ, მისს მარფლს, დარწმუნებული ვარ, თქვენ გაინტერესებთ, რას ვაკეთებთ აქ, გაინტერესებთ, როგორ ვართმევთ თავს ამ დიდ პრობლემას. ბატონი სეროქოლდი დიდი ინტუიციითა და განჭვრეტის ნიჭით დაჯილდოებული კაცია. ზურგს სერ ჯონ სტილუელი გვიმაგრებს, ჩემი ძველი უფროსი. ის შინაგან საქმეთა სამინისტროში იყო, სანამ გადადგებოდა. სწორედ მისი გავლენის წყალობით დაგვირგვინდა ეს საქმე. ჩვენ რასაც მოგვიდეთ ხელი, მედიცინის პრობლემა — ეს უნდა შეეგნოთ კანონიერ ხელისუფალთ, ეს უნდა მოგვეხერხებინა ჩვენ. ფსიქიატრიამ ომის დროს დაიკავა ჯეროვანი ადგილი. აი ერთადერთი სიკეთე, რაც ამას მოჰყვა. ახლა, უპირველეს ყოვლისა, მინდა ნახოთ ჩვენი მიდგომა ამ პრობლემებისადმი. აიხედეთ...

მისს მარფლმა აიხედა და თაღზე ამოტვიფრული სიტყვები ამოიკითხა: იმედი ნუ მოგშლოდეთ აქ შემომსვლელთ.

— ხომ შესანიშნავია! ისეა ნათქვამი, შიგ გულში ხვდება ადამიანს. არც ვაგიჩნდებათ ამ ყმაწვილების დასჯის ან ლანძღვის სურვილი. აი ასეთი მოპყრობა სწყურიათ მათ. გვინდა ვაგრძნობინოთ, თუ რა კარგი ყმაწვილები არიან.

— ედგარ ლოუსონის მსგავსად? — ჰკითხა მისს მარფლმა.

— ის მეტად საინტერესო შემთხვევაა. უკვე ელაპარაკეთ ედგარს?

— ის მელაპარაკა. — მიუგო მისს მარფლმა და მორიდებით დაუმატა: — მაინტერესებს, ცოტათი გიყი ხომ არ არის?

ბატონი მავერიკი გამხიარულდა და გაეცინა:

— ცოტათი გიყები ყველანი ვართ, ძვირფასო ქალბატონო, — თქვა მან, როცა კარებში შეუძღვა, — ეს არსებობის საიდუმლოებაა; ჩვენ ყველანი ცოტათი გიყები ვართ.

VI თავი

საერთოდ ძალზე დამქანცველი დღე იყო.

მისს მარფლის აზრით ენთუზიაზმი შეიძლება თავისთავად მეტად დამლ-

ლელი ყოფილიყო. ის ერთგვარად უკმაყოფილოც კი იყო საკუთარი თავითა და რეაგირებით მოვლენებზე. აქ რაღაც ხდებოდა, რაღაც ამბავი იყო, შეიძლება ამბებიც კი, მაგრამ მას ჯერ ვერაფრისთვის მოეკრა თვალი, ვერაფერს ჩასჭიდებოდა. მოუსვენრად იყო, მისი გაურკვეველი ფიქრები თავს დასტრი-ალებდა ედგარ ლოუსონის პათეტიკურ, მაგრამ უმნიშვნელურ მოულოდნელებას. ოლ-ონდ ზუსტი პარალელი მოედია მეხსიერებაში, სხვა არაფერი უნდა...

მისს მარფლს გაახსენდა მისტერ სელკირკის ფურგონთან დაკავშირებუ-ლი ის უცნაური შემთხვევა, გაახსენდა დაბნეული ფოსტალიონი, მეზადე, რო-მელიც სულიწმინდის მოფენის დღესაც მუშაობდა, და აგრეთვე ზაფხულში მომხდარი საკვირველი ამბავი, მაგრამ იგი გულმოდგინედ იშორებდა თავი-დან ამ უსარგებლო მოგონებებს.

ის რაღაც, რასაც მისს მარფლი ზუსტად ვერც კი ხვდებოდა, ედგარ ლო-უსონის თავს ხდებოდა; ეს იყო ის, რაც შენიშნული ფაქტების მიღ-მა იმალებოდა. მაგრამ, მოგეკლათ, მისს მარფლი ვერ გეტყობდათ, ეს „რაღაც“, რაც არ უნდა ყოფილიყო, რანაირად ახდენდა გავლენას თავის მეგობარ კერი ლუიზზე. სტოუნიგეითით ამ არეულ ცხოვრებაში ადამი-ანთა წუხილი და სურვილები ერთმანეთს ეჯახებოდა. მაგრამ არც ერთი მათ-განი (რამდენადაც მისს მარფლი ხვდებოდა) არ ეხებოდა კერი ლუიზს.

კერი ლუიზი... უცებ მისს მარფლს გაახსენდა, რომ მხოლოდ ის ეძახდა ამ სახელს, გარდა რუთისა, რომელიც აქ არ იყო. მეუღლიათვის ის კარო-ლინა იყო, მისს ბელევერისათვის — კარა, სტივენ რესტარიკი ჩვეულებრივ მადონას ეძახდა. უოლისთვის ის ოფიციალურად ქალბატონი სეროქოლდი იყო, ჭინამ კი ირჩია დიდება დაეძახა, — ეს, როგორც თვითონ ახსნა, დიდ დედასა და დიდ ქალბატონსაც ერთად გულისხმობდა.

იყო თუ არა რაიმე ნიშანდობლივი იმ რამდენიმე სახელში, რომელიც კა-როლინ ლუიზ სეროქოლდს შეურჩიეს?

იყო თუ არა იგი თითოეულისათვის სიმბოლო და არა რეალური პიროვ-ნება?

როცა მეორე დღით კერი ლუიზი ეზოში გავიდა და თავის მეგობარს გვერდით მიუჯდა სკამზე, ჰკითხა, რას ჩაუფიქრებინარო, მისს მარფლმა ჩურ-ჩულთ უბასუხა:

— შენზე ვფიქრობ, კერი ლუიზ.

— რატომ ჩემზე?

— მიპასუხე გულახდილად — ხომ არაფერი გაწუხებს აქ?

— მაწუხებს? — ქალმა გაოცებული ცისფერი თვალები მიანათა, — კი მაგრამ, ჯეინ, რა უნდა მაწუხებდეს?

— რა ვიცი, ყველას რაღაც აწუხებს, — მისს მარფლს თვალები აუციმ-ციმდა. — მეც მაწუხებს, ხან ხუთცენტისანები არა მაქვს, ხან თეთრეული მაქვს დასაკერებელი, რაც მაინცდამაინც არ მეხალისება, ხან შაქარყინული ვერ მიშოვია, რომ შავი ქლიავის ჭინი დავაყენო. ოჰ, რამდენი წვრილმანია, რა ვიცი... პოდა, არაბუნებრივად მეჩვენება, როცა ამბობ, არაფერი მაწუხებ-სო...

— ვგონებ, უნდა მაწუხებდეს მართლაც, — თქვა ქალბატონმა სერო-ქოლდმა დაბნეულად. — ლუიზი ბევრს მუშაობს, სტივენნი ისე დაემონა თე-ატრს, რომ კამა ავიწყდება, ჭინა კი ძალიან გულფიცხია, მაგრამ მაგათი გარ-

დაქმნა მე სად შემიძლია — არ მესმის შენ როგორ ახერხებ ამას. ისე, ამგვარი წუხილი ალბათ წუხილად არც ჩაითვლება.

— მილდრიდი არ უნდა იყოს ბედნიერი, ასე არ არის?

— ოჰ, — ამოიოხრა კერი ლუიზმა, — მილდრიდი ბედნიერი არასოდეს ყოფილა. ის ჩვეულებრივი ბავშვიც არ იყო. სრულიად განსხვავებულია მიმზიდველი პიბასაგან.

— იქნებ, — ჩაურთო მისს მარფლმა, — მილდრიდს მიზეზიც ჰქონდა, ყოფილიყო უბედური?

კერი ლუიზმა შშვიდად უბასუხა:

— იმიტომ, რომ ეჭვიანი იყო? დიახ, ვფიქრობ, რომ ასეა. მაგრამ ადამიანებს განა ესაჭიროებათ მიზეზი განცდებისათვის. ისინი, უბრალოდ, ასეთები იბადებიან, ვინდა თუ არა, უნდა იტანჯონ. შენ ასე არ ფიქრობ, ჯეინ?

მისს მარფლს გაახსენდა მისს მონკრიფი, რომელიც ტირანი, ინვალიდი დედის მონა იყო. მისს მონკრიფი მუდამ მსოფლიოში მოგზაურობაზე ოცნებობდა. რარიგ გაიხარა სენტ მერი მიდმა, როცა ქალბატონი მონკრიფი ეკლესიის ეზოში მიწას მიაბარეს და მისს მონკრიფი, თავისი მცირედი შემოსავლით, ბოლოს და ბოლოს თავისუფლებას ეწია. გაახსენდა ისიც, რომ სამოგზაუროდ წასული მისს მონკრიფი პერესს ვერ გასცდა, სადაც „დედის ძველი მეგობრის“ სანახავად შეიარა. ის ისე შეძრა მოხუცის იბოქონდრიამ, რომ გააუქმა წინასწარ შეკვეთილი ბილეთები და ვილაში დასახლდა, რათა ახლა აქ დაემცირებინათ ქანცგამწყვეტი შრომით და კიდევ უფრო მეტად მოსწყურებოდა უფრო დიდი სიხარული და სიამოვნება.

მისს მარფლმა თქვა:

— ვფიქრობ, რომ მართალი ხარ, კერი ლუიზ.

— რა თქმა უნდა, ჩემი ასეთი უზრუნველი ცხოვრება ნაწილობრივ ჯოლის დამსახურებაცაა, ძვირფასი ჯოლი. ის ჩემთან ჩამოვიდა, როცა მე და ჯონი ახალი შეუღლებულები ვიყავით და თავიდანვე ასეთი კარგი იყო... ისე მივლის, როგორც ბატარა, უმწეო ბავშვს. რას არ გააკეთებს ჩემთვის. ზოგჯერ მრცხვენია კიდევ. დარწმუნებული ვარ, ჯოლის შეუძლია კაცი მოკლას ჩემი გულისთვის, ჯეინ. რა საშინელია ამის თქმა, არა?!

— ის მართლაც ერთგულია, — კვერი დაუკრა მისს მარფლმა.

— იცი, როგორ ბრაზობს, — გაისმა ქალბატონ სეროქოლდის სიცილი — მას სურს, რომ ყოველთვის ძვირფასი ტანსაცმელი ჩავიცვა და ძვირფასი სამკაულები ვატარო. და ფიქრობს, რომ ყველა ვალდებულია უპირატესობა მე მომანიჭოს და თითის წვერებზე იართოს ჩემს წინაშე. ის ერთადერთი პიროვნებაა, რომელზედაც არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს ლუისის ენთუზიანში. ეს ჩვენი საბრალო ბიჭები კი მისი აზრით განებივრებული დამნაშავეები არიან და ამდენ მზრუნველობას არ იმსახურებენ. ჯოლი ფიქრობს, რომ ეს ადგილი მეტიმეტად ნესტიანია და ჩემს რევმატიზმს ძლიერ ენებს, და, რომ მე უნდა გავემგზავრო ეგვიპტეში ან სადმე სხვაგან, უფრო თბილ და მშრალ ადგილას.

— რევმატიზმი ძალიან გაწუხებთ?

— ამ ბოლო დროს გამიმწვავდა. ვატყობ, სიარული მიჭირს. საშინელი სპაზმები მაქვს ფეხებში. ოჰ, კმარა... — ისევ ის მომაჯადოებელი ღიმილი გადაეფინა სახეზე. — აააკს თავისი გააქვს.

მისს ბელვეერი შემინული კარიდან გამოვიდა და მათკენ გაემართა:

— დეპეშაა, კარა, ტელეფონით გადმომცეს: შუადღისას ჩამოვალ, ქრისტიან გულბრანდსენი.

— ქრისტიანი? — გაიოცა კერი ლუიზმა. — არ მეგონა, თუ ინგლისში იყო.



— მუხის კაბინეტი გავუმზადო, არა?

— დიახ, გეთაყვა, ჯოლი. თანაც კიბეზე ასვლა არ დასწრებდა. მისს ბელევერმა თავი დაუქრა და სახლში შებრუნდა.

— ქრისტიან გულბრანდსენი ჩემი გერია, — თქვა კერი ლუიზმა, — ერთ-ერთი უფროსი ვაჟი. სულ რაღაც ორი წლით უფროსია ჩემზე. ის კოლეჯის არის. ქრისტიანი ერთ ღამეზე მეტს არ რჩება ხოლმე აქ. მეტისმეტად საქმიანი კაცია. დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ ექნება ლუისთან მოსალაპარაკებელი.

ქრისტიან გულბრანდსენი შუადღისას, ჩაისთვის ჩამოვიდა. ეს იყო ზორბა ტანის მამაკაცი, დინჯი და თანმიმდევრული მოსაუბრე, დიდი სიყვარულით მიესალმა კერი ლუიზს.

— როგორ ბრძანდება ჩვენი პატარა კერი ლუიზი? ოდნავადაც არ დაგტყობიათ ასაკი, სულ ოდნავადაც კი.

ხელი მხრებზე მოხვია და ღიმილით ჩააცქერდა. ამ დროს ვილაცამ სახელოზე მოქაჩა.

— ქრისტიან!

— აჰ, — შეტრიალდა ქრისტიანი. — ეს მილდრიდია? როგორა ხარ, მილდრიდ?

— ამ ბოლო დროს, რაღაც კარგად არა ვარ.

— ცუდია, ცუდი.

ბევრი მსგავსება ჰქონდათ ქრისტიან გულბრანდსენსა და მის ნახევარდას, მილდრიდს. თითქმის ოცდაათი წელი იყო მათ შორის განსხვავება ასაკში და თავისუფლად შეიძლებოდა მამა-შვილად ჩაგეთვალათ. თვით მილდრიდი ძლიერ ნასიამოვნები იყო მისი ჩამოსვლით, გამზიარულდა, ლაპარაკის საღერდელი აეშალა. მთელი დღე ამას იმეორებდა: „ჩემი ძმა,“ „ჩემი ძმა ქრისტიანი“, „ჩემი ძმა ბატონი გულბრანდსენი“.

— როგორ არის პატარა ჯინა? — იკითხა გულბრანდსენმა და ახლა ახალგაზრდა ქალს მიუბრუნდა. — შენ და შენი მეუღლე ისევ აქა ხართ?

— დიახ, ჩვენ თითქმის დავსახლდით აქ, არა, უოლი?

— ასე გამოდის, — თქვა უოლიმ.

გულბრანდსენმა თავისი პატარა გამჭრიახი თვალებით უოლი სწრაფად შეათვალიერა. უოლის, როგორც ყოველთვის, გაბრაზებული და პირქუში გამომეტყველება ჰქონდა.

— მაშ ასე, ისევ მთელ ოჯახთან ერთადა ვარ აქ, — თქვა გულბრანდსენმა.

მის ხმაში თითქოს გულითადობა იგრძნობა, მაგრამ სინამდვილეში არც თუ ისე გულითადი უნდა იყოსო, გაიფიქრა მისს მარფლმა. ტუჩებზე სიმკაცრე ეტყობოდა, ხოლო მის ქცევაში უგულისყურობა გამოსჭვიოდა.

როცა იგი მისს მარფლს წარუდგინეს, მახვილი მზერა სტყორცნა, თითქოს ზომავს და აფასებს სტუმარსო.

— არ გვეგონა, ინგლისში თუ იყავი, ქრისტიან, — უთხრა ქალბატონმა სეროქოლდმა.

- მოულოდნელად ჩამოვედი.
- სამწუხაროა, ლუისი რომ აქ არ არის, რამდენ ხანს დარჩები?
- ხვალ ვაპირებდი წასვლას, ლუისი როდის დაბრუნდება?
- ხვალ შეადღისას ან სიღამოს.
- ჩანს, კიდევ ერთი ღამით მოძინდება დარჩენს?
- რომ გეცნობებინა.
- ძვირფასო კერი ლუიზ, ჩემი გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო.
- ლუისის ჩამოსვლამდე დარჩები, არა?
- დიახ, ლუისი აუცილებლად უნდა ენახო.



მისს ბელვეერმა უთხრა მისს მარფლს: „ბატონი გულბრანდსენი და ბატონი სეროქოლდი, ორივე გულბრანდსენის ინსტიტუტის მუშაკები არიან. მუშაკები არიან აგრეთვე ქრომერის ეპისკოპოსის და ბატონი გილფოი“.

როგორც ჩანს, ქრისტიან გულბრანდსენის სტოუნიგეიტში ჩამოსვლა სწორედ გულბრანდსენის ინსტიტუტის საქმეებს ეხებოდა. ეს აშკარა იყო როგორც მისს ბელვეერისთვის, ასევე დანარჩენებისთვისაც. და მაინც მისს მარფლს სურვილი ჰქონდა ყველაფერი გაეგო.

ერთ-ორჯერ ამ ხანში შესულმა კაცმა შეფიქრიანებული მზერა ესროლა კერი ლუიზს შეუმჩნეველად — ამ მზერამ კი შეამფოთა კერი ლუიზის მეგობარი, რომელიც ქალს თვალყურს ადევნებდა კერი ლუიზის შემდეგ გულბრანდსენმა მზერა სხვებზე გადაიტანა, აკვირდებოდა თითოეულს, რათა ფარულად შეეფასებინა, რაც აშკარად უცნაური ჩანდა.

ჩაის შემდეგ მისს მარფლი თავაზიანად გაშორდა მათ და ბიბლიოთეკაში გავიდა მაგრამ მისდა გასაოცრად, როცა მოემზადა ქსოვის დასაწყებად, ქრისტიან გულბრანდსენი შემოვიდა და გვერდით მიუჯდა.

— თქვენ, ვფიქრობ, ჩვენი ძვირფასი კერი ლუიზის ძველი მეგობარი ბრძანდებით, არა? — თქვა მან.

— ჩვენ იტალიაში სკოლაში ერთად ვსწავლობდით, ბატონო გულბრანდსენ, ძალიან დიდი, დიდი ხნის წინათ.

— აჰ, დიახ, და თქვენ გიყვართ კერი ლუიზი, არა?

— რასაკვირველია, — თქვა მისს მარფლმა გულთბილად.

— ვფიქრობ, ყველას უყვარს, დიახ, მართლაც ასე ვფიქრობ, ასე უნდა იყოს, რადგან ის საყვარელი და მომხიბვლელი პიროვნებაა, მას შემდეგ, რაც მამამ იქორწინა მასზე, მე და ჩემმა ძმებმა მთელი სულითა და გულით შევიყვარეთ, თვითონაც საყვარელ დასავით გვექცეოდა ყოველთვის, ერთგული იყო მამაჩემისა და მისი იდეებისა, აკუთარ თავზე არასოდეს ფიქრობდა პირველ რიგში სხვების კეთილდღეობაზე ზრუნავდა.

— ის ყოველთვის იდეალისტი იყო, — თქვა მისს მარფლმა.

— იდეალისტი? დიახ, დიახ, ასეა, აღბათ ამიტომაცაა, რომ სწორად ვერ აფასებს პირობებს.

მისს მარფლმა მას განცვიფრებული თვალები შეანათა, კაცს მკაცრი სახე ჰქონდა.

— მითხარით, — მიმართა გულბრანდსენმა, — მისი განმრავლობის საქმე როგორ არის?

მისს მარფლი ისევ გაოცდა:

— ვფიქრობ, ძალიან კარგად უნდა გრძნობდეს თავს, ავტორიტისა თუ რევმატიზმის მიუხედავად.

— რევემატიზმის მიუხედავად? დიახ, გული? გული კარგად აქვს?

— რამდენადაც ვიცი... — მისს მარფლი კიდე უფრო გაოცდა. — მე ხომ კერი ლუიზი მხოლოდ გუშინ ვნახე დიდი ხნის შემდეგ. თუ თქვენ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაინტერესებთ, სხვა ვინმეს სკითხეთ. მაგალითად, მისს ბელევერს.

— მისს ბელევერს, დიახ, მისს ბელევერს, ან მილდრიდს.

— ან, როგორც ამბობთ, მილდრიდს.

მისს მარფლი შემცბარი ჩანდა.

ქრისტიან გულბრანდსენი დაჟინებით ჩააშტერდა.

— თითქოს დედა-შვილს შორის დიდი სიმპათიები არ უნდა იყოს, თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ვფიქრობ, რომ ასეა.

— მეც გეთანხმებით. საწყენია. მისი ერთადერთი შვილია, მაგრამ რას იზამ... ახლა, ეს მითხარით, მისს ბელევერი ნამდვილად ერთგულია კერი ლუიზის?

— დიახ, ასე უნდა იყოს.

— და, კერი ლუიზიც ძალიან ენდობა ამ მისს ბელევერს?

— ვფიქრობ, ასეა.

ქრისტიან გულბრანდსენმა წარბი შეიკრა. თითქოს საკუთარ თავს უფრო ელაპარაკებოდა, ვიდრე მისს მარფლს.

— აქ პატარა ჯინაცია, მაგრამ ის ისეთი ახალგაზრდაა, ძნელია... — იგი გაჩუმდა ცოტა ხნით. — ზოგჯერ, — განაგრძო გულახდილად. — არ იცი, რისი გაკეთება სჯობს. ძალიან მინდა არაფერში შევცდე. მეტად მაფიქრებს კერი ლუიზი, არ მინდა რამე დაუშავდე, რაიმე უბედურება შეემთხვეს ამ საყვარელ ქალბატონს. მაგრამ ეს ადვილი არ არის, დიახ, არც ისე ადვილია.

ამ დროს ქალბატონი სტრიტი შემოვიდა ოთახში.

— ოკ, ქრისტიან, შენ აქა ხარ? გვაინტერესებდა. სად იყავი. დოქტორ მავერიკს უნდა იცოდეს, ხომ არ ინებებდი მასთან ერთად რაიმე საკითხის გადაწყვეტას.

— ეს ის ახალგაზრდა ექიმი? არა, არა, ლუიზის დაბრუნებას დაველოდებო.

— ლუიზის სამუშაო ოთახში გელოდება, ხომ არ ვუთხრა...

— მე თვითონ დაველაპარაკები.

გულბრანდსენი სწრაფად გავიდა. მილდრიდ სტრიტმა თვალი გააყოლა მას და მერე მისს მარფლს მიაჩერდა:

— საინტერესოა, ხომ არაფერი მოხდა. ქრისტიანი რაღაც საკუთარ თავს არა ჰგავს... ვითხრათ მან რამე?

— მხოლოდ დედათქვენის ჯანმრთელობის ამბავი მკითხა.

— მისი ჯანმრთელობის ამბავი? რატომ უნდა ეკითხა თქვენთვის?

მილდრიდი გესლიანად ლაპარაკობდა. ფართო, ოთხკუთხედი სახე უწონოდ წამოუჭარხლდა.

— ნამდვილად არ ვიცი.

— დედა ძალიან კარგად გრძნობს თავს. საოცრად კარგად ამ ხნის ქალისთვის. ჩემზე ბევრად უკეთესად გრძნობს თავს, როგორც ვატყობ. — სანამ კიდეც რამეს იტყოდა, ცოტახნით შეისვენა: — ვიმედოვნებ, თქვენ ასეც უთხარით, არა?

— მართალი ვითხრათ, მე არაფერი ვიცი ამის შესახებ, — თქვა მისს მარფლმა. — ქრისტიანს კერი ლუიზის გულის მდგომარეობა ინტერესებდა.

— გულის მდგომარეობა?

— დიახ.

— კი მაგრამ, დედას გული არ აწუხებს, საერთოდ.

— მოხარული ვარ, ამას რომ ამბობთ, ძვირფასო.

— საიდან მოსდის ეს უცნაური აზრები თავში ამ ქრისტიანს, ღმერთო ჩემო.

— წარმოდგენა არა მაქვს, — თქვა მისს მარფლმა.

V I I თ ა ვ ი

მეორე დღემ ერთი შეხედვით მშვიდად ჩაიარა. თუმცა მისს მარფლს მი-
აჩნდა, რომ შინაგანი დაძაბულობა მაინც შეიმჩნეოდა. ქრისტიან გულბრანდ-
სენმა ეს დილა დოქტორ მავერიკთან ერთად გაატარა. მათ ინსტიტუტი დაათ-
ვალიერეს და იმსჯელეს ინსტიტუტის მიერ არჩეულ სწავლებისა და აღზრდის
მეთოდების ძირითად შედეგებზე. შუადღისას ჯინამ მანჭანით გაასეირნა ქრის-
ტიანი, შემდეგ კი მისს მარფლმა შეამჩნია, რომ სეირნობიდან დაბრუნებულ-
მა ქრისტიანმა დაარწმუნა მისს ბელევერი დაეთვალიერებინებინა მისთვის ბაღი.
მისს მარფლი მიხვდა, რომ ბაღის დათვალიერება მიზეზი იყო, რათა იგი გან-
მარტოებულყო ამ მკაცრ ქალთან. ხოლო თუ ქრისტიან გულბრანდსენის მო-
ულოდნელი ვიზიტი დაკავშირებული იყო მხოლოდ ინსტიტუტის საქმეებთან,
რატომ სურდა მისს ბელევერთან განმარტოება. მაშინ, როცა ეს უკანასკნე-
ლი სტოუნიგეიტის მხოლოდ ოჯახურ საქმეებში ერკვეოდა. მაგრამ ერთი კი
უდავო იყო, მისს მარფლს წარმოსახვის უნარი გაუცხოველი ყოველივენი, რაც
სტოუნიგეიტში ხდებოდა. ერთადერთი მართლაც უსიამოვნო ინციდენტი ამ
დღეს ოთხი საათისთვის მოხდა. მისს მარფლმა გადაახვია თავისი საქსოვი და
ეზოში გავიდა, რომ გაესეირნა სანამ ჩაის დასალევად დასხდებოდნენ. შემო-
უარა თუ არა განცალკევებით მდგარ შქერის ბუჩქებს, ედგარ ლოუსონს გა-
დაეყარა, რომელიც ბუზღუნით დააბოტებდა და კინალამ შეეჩახა.

ლოუსონმა სწრაფად თქვა: „მაპატიეთ.“ მაგრამ მისს მარფლი შეაკრთო
მისმა უცნაურად გაშტერებულმა თვალებმა.

— ცუდად ხომ არა ხართ, ბატონო ლოუსონ?

— ცუდად? კარგად როგორ უნდა ვიყო? შეშფოთებული ვარ, ძალზე
შეშფოთებული!

— რამ შეგაშფოთათ?

ახალგაზრდა კაცმა სწრაფად მიმოიხედა, მისმა ასეთმა ქცევამ გაანერვი-
ულა მისს მარფლი.

— შეიძლება თქვენ გაგიმხილოთ? — ეჭვისთვალით შეხედა მან ქალს.

— არ ვიცი. მართლაც არ ვიცი... მითვალთვალეზდნენ.

მისს მარფლმა რაღაც მოიფიქრა, მაგრამ ჩასჭიდა ხელი მკლავში ლოუ-
სონს.

— თუ ამ ბილიქს ჩავეყვებით... იქ, ახლომახლო, არც ხეებია და არც ბუ-
ჩქები. ვერავინ მოგვისმენს.

— არა, არა, თქვენ მართლაც ამბობთ... — ედგარმა ღრმად ამოიხუნთქა.

თავი დახარა და თითქმის ჩურჩულით თქვა. — ერთი აღმოჩენა გავაკეთე. სა-
ხარელი აღმოჩენა. — ედგარ ლოუსონი ცახცახმა აიტანა, თითქმის ^{გაიქცა} ~~ჩიროდა~~. —
ვინმეს ხომ უნდა ენდობოდეს? ვიღაცის ხომ უნდა გჯეროდეს... თითქმის/მატყუ-
ებდნენ, სულ მატყუებდნენ, მატყუებდნენ, რომ სიმართლე ^{არაა} ~~არაა~~. ამის
ატანა აღარ შემძლია რა ვერაგობაა. იცით, ის ერთადერთი ^{მეგობარია} ~~მეგობარია~~ ვისაც
მე ვენდობოდი, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ის ყოფილა ყველაფრის მიზეზი.
სწორედ ის ყოფილა ჩემი მტერი. სწორედ ის დამსდევდა და მითვალთვალე-
და, მაგრამ ამას ბოლო მოეღებოდა. ხმამაღლა ვეტყვი ყველაფერს, ვეტყვი, რომ
ვიცი, რასაც აკეთებდა.

— ვინ არის „ის“? — ჰკითხა მისს მარტლმა.

ედგარ ლოუსონი გაიჭიმა. შესაძლოა პათეტიკური და ღირსეული მოგ-
ჩვენებოდათ, მაგრამ სინამდვილეში სასაცილო იყო.

— მე მამაჩემზე გელაპარაკებით.

— ვიკონტი მონტგომერი გყავთ მხედველობაში, თუ უინსტონ ჩერჩილი?
ედგარმა ზიზღიანი მზერა ესროლა მისს მარტლს.

— ისინი მიაძულებენ ვიფიქრო, რომ... ცდილობენ სიმართლეს ვერ მივ-
ხვდე. მაგრამ ახლა ვიცი, მე ერთი მეგობარი მყავს, ნამდვილი მეგობარი. ეს
მეგობარი სიმართლეს მეუბნება და მიმახვედრა, როგორ მომატყუეს. კეთილი
მამაჩემი იძულებული იქნება პასუხი აგოს ყველაფერზე მე მის თავის ტყუი-
ლებს პირში მივახლი! მე მის სიმართლეს ვაუწყებ ვნახოთ, რითი იმართლებს
თავს.

და, უცებ, ედგარი მოწყდა ადგილიდან, გავარდა და პარკში გაუჩინარდა.
პირმოღუშული მისს მარტლი სახლისკენ გაეშუთა.

— ჩვენ ყველანი ცოტათი შეშლილები ვართ, ძვირფასო ქალბატონო. —
გაახსენდა დოქტორ მავერიკია ნათქვამი.

მაგრამ მისს მარტლს ეჩვენებოდა, რომ ედგარის საქმე ბევრად უფრო
სერიოზულად იყო.

11

ლუის სეროქოლდი შეიღის ნახევარზე დაბრუნდა. კიშკართან გაჩერა
მანქანა, პარკი გადაიარა და სახლისკენ გაემართა, მისს მარტლმა თავისი ფან-
ჯრიდან გამოიხვდა და დაიხახა, როგორ გამოეგება მას ქრისტიან ვულბრანდ-
სენი. მისალმების შემდეგ ორივენი შეტრიალდნენ და ტერასაზე ბოლთას სცემ-
დნენ ერთხანა.

მისს მარტლმა ფრთხილად მოიტანა თავისი სათვალე და თვალზე მოირ-
გო. ნუთუ ეს ჭიკჭიკთა გადაფრენაა, ნუთუ მათ გადაიფრინეს მოშორებით
მდგარი ხეების თავზე.

მისს მარტლს სათვალე ჩამოუცურდა და სანამ ისევ გაიკეთებდა, შენი-
შნა, რომ ორივე კაცი სერიოზულად იყო შეწყუხებული. მისს მარტლი უფრო
გადმოიხარა ფანჯარაში. მათი საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღწევდა მისს მარ-
ტლის ყურამდე. რომელიმე მათგანს რომ ზევით აეხედა, ნათელი იქნებოდა,
რომ აღფრთოვანებული ჩიტების მოთვალთვალის ყურადღება მიპყრობილი
იყო იმისკენ, რაც შორს იდგა მათი საუბრის თემისაგან.

... როგორ დავუმალოთ კერი ლუიზს... ამბობდა ვულბრანდსენი.

ცოტა ხნის შემდეგ ფანჯრის ქვეშ ჩაიარეს, ლუის სეროქოლდი ამბობდა:

„რომ შეიძლებოდეს მისგან დამალვა. გეთანხმებით, რომ სწორედ მას უნდა გავუწიოთ ანგარიში...“

მიყურადებულ ქალბატონს კიდევ რამდენიმე ფრაზა მოესმა გაურკვეველად.

„...მართლაც სერიოზულია...“ — „მიუტევებელია...“ — „...მეტად დიდი პასუხისმგებლობაა...“ — „ჩვენ ვალდებული ვართ, თუ შესაძლებელია გავა მივიღოთ...“

ბოლოს მისს მარფლმა გაიგონა ქრისტიან გულბრანდსენის სიტყვები: „აჰ, აცივდა. შინ უნდა შევიდეთ“.

შეშფოთებული მისს მარფლი ფანჯარას მოშორდა, რაც მან გაიგონა, იმდენად ფრაგმენტული იყო, რომ ჭირდა აზრის გამოტანა, მაგრამ ეს საკმარისი ვახდა იმისათვის, რათა დაედასტურებინა ის ბუნდოვანი წინათგრძნობა, რაც თანდათან ეუფლებოდა, ხოლო რუთ ვენ რიდოკს უკვე დიდი ხანია დაუფლებოდა და სჯეროდა, რომ უსაფუძვლო არ უნდა ყოფილიყო იგი.

რაც არ უნდა მომხდარიყო სტოუნიგეიტში, ყველაფერი პირდაპირ კერი ლუიზს ეჩებოდა.

III

სადილმა იმ საღამოს რალაცნაირად ნაძალადევად ჩაიარა. გულბრანდსენიც და ლუისიც, ორივე გათიშულები, ჩაძირული იყვნენ თავიანთ ფიქრში. უოლტერ ჰადი ჩვეულებრივზე უფრო გაბრაზებული იყურებოდა. ამჯერად ჯინასა და სტივენსაც დიდი არაფერი ჰქონდათ ერთმანეთისათვის ან მაგიდასთან მსხდომთათვის სათქმელი. და თუ სუფრასთან მაინც ისმოდა საუბარი, უფრო დოქტორ მავერიკის დამსახურება იყო, რომელმაც არ იქნა და აღარ დაასრულა პროფესიული კამათი ბატონ ბაუმგარტენტან, შრომითი თერაპიის ერთ-ერთ სპეციალისტთან.

როცა სადილის შემდეგ ყველა დარბაზში გავიდა, ქრისტიან გულბრანდსენმა ბოდიში მოიხადა მაშინვე და თქვა, მნიშვნელოვანი წერილი მაქვს და ააწერიო.

— მაშ, თუ ნებას დამრთავთ, ძვირფასო კერი ლუიზ, ჩემს ოთახში წავალ.

— ყველაფერი გაქვს, რაც დაგჭირდება, ჯოლი?

— დიახ, დიახ, ყველაფერი, საბეჭდი მანქანა მოვითხოვე და მომიტანეს კიდევ. მისს ბელევერი მეტად კეთილი და ყურადღებიანი ჭალია.

ქრისტიან გულბრანდსენი გავიდა დიდი დარბაზის მარცხენა კარიდან, რომელიც მთავარი კიბის ქვედა ბაქანთან იყო გაჭრილი, და გაუყვა დერეფანს, რომლის ბოლოს საწოლი ოთახი და სააბაზანო იყო განლაგებული.

როცა ის წავიდა, კერი ლუიზმა იკითხა:

— ამ საღამოს თეატრში არ მიდიხარ, ჯინა?

გოგონამ თავი გააქნია, წავიდა და დაჯდა ფანჯარასთან, რომელიც შემოსასვლელ ხეივანსა და კორტებს გადაპყურებდა.

სტივენმა გადახედა მას, დიდ როილს მიუჯდა და მშვიდად, მელანქოლიური მელოდია ააქლერა. შრომითი თერაპიის სპეციალისტებმა ბატონმა ბაუმგარტენტანმა და ბატონმა ლესიმ და დოქტორმა მავერიკმა ღამე მშვილობისა უსურვეს ყველას და წავიდნენ. უოლტერმა მაგიდის ღამპა ჩართო და რალაც უცნაური ჩხაკუნის შემდეგ დარბაზში თითქმის ყველგან ჩაქრა შუქი.

უოლტერმა ბუზლუნი დაიწყო.

— სულ ამ დაწყებული ჩამრთველის ბრალია. წავალ და დამკველს გამოვცვლი.

ის რომ დარბაზიდან გავიდა, კერი ლუიზმა ჩაილაპარაკა: — უოლტი კარგად ერკვევა ელექტრობაში და ამგვარ რამეებში. გახსოვს თქვენს კარგად გაართვა თავი ელექტროტაფას?

— ეტყობა, აქ ყველაფერს ის უნდა აკეთებდეს, — თქვა მილდრიდ სტრიტმა, — დედა, თქვენ დალიეთ წამალი?

მისს ბელევერი გალიზიანდა:

— უნდა გამოვტყდე, რომ ზულ დამავიწყდა ამ საღამოს. — წამოხტა და სასაღილო ოთახში შევიდა, საიდანაც მაშინვე დაბრუნდა პატარა ქიქით ხელში, რომელშიც ვარდისფერი სითხე ესხა.

კერი ლუიზმა ჩაიღიმა და მორჩილად გაუწოდა ხელი.

— რა საძაგელი რამაა, მაგრამ ვინ მაძლევს უფლებას, რომ დავივიწყო, — თქვა მან და სახე დაემანჭა.

ხოლო შემდეგ, საკმაოდ მოულოდნელად, ლუის სეროქოლდმა თქვა:

— მე არ ვაპირებდი ამალამ ამის მოტანას, ძვირფასო. დარწმუნებული არა ვარ, რომ ნამდვილად ვიხდებათ.

მშვიდად, მაგრამ ჩვეული ზომიერი ენერგიულობით გამოართვა ქიქა მისს ბელევერს და მუხის დიდ უელსურ ბუფეტზე დადგა.

მისს ბელევერმა გესლიანად მიუგო:

— ბატონო სეროქოლდ, ვერ დაგეთანხმებით. ქალბატონი სეროქოლდი ბევრად უკეთ გრძნობს თავს მას შემდეგ, რაც...

უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და მიბრუნდა.

წინა კარი მთელი ძალით ფართოდ გაიღო და ხმაურით მიჯახუნდა. ედგარ ლოუსონი დიდ ბნელ დარბაზში ზარ-ზეიმით შემოვიდა, თითქოს სცენის ვარსკვლავი იყო. შუა ოთახში დადგა და თეატრალური პოზა მიიღო. ეს სასაცილო ჩანდა, მაგრამ არც ისე სასაცილო იყო. ედგარმა თეატრალურად წარმოთქვა:

— როგორც იქნა, ვიბოვე, მოლალატეე!

მან ამ სიტყვებით ლუის სეროქოლდს მიმართა.

ბატონი სეროქოლდი მეტად გაოცებული დარჩა.

— ოჰ, ედგარ, რა მოხდა?

— ამას შენ მეუბნები, შენ? შენ იცი, რაც მოხდა. შენ მატყუებდი, მითვალთვალებდი, ჩემს მტრებთან ერთად ჩემს წინააღმდეგ მოქმედებდი.

ლუისმა მკლავში ჩაავლო ხელი:

— ჩემო ძვირფასო ბიჭუნა, ნუ დეღავ. ყველაფერი მშვიდად მიაბზე. ჩემს კაბინეტში წამოდი, — ლუისი გაუძღვა მას დარბაზიდან, გაიყვანა მარჯვენა კარიდან და გაიხურა კარი.

ამის შემდეგ კიდევ რაღაც ხმა გაისმა ოთახში — საკეტში გასაღების გადატრიალებისა.

მისს ბელევერმა მისს მარფლს შეხედა, მათ ერთი და იგივე აზრი უტრიალებდათ თავში: ლუის სეროქოლდი კარს არ ჩაკეტავდა.

მისს ბელევერმა გესლიანად წარმოთქვა: — ეს ახალგაზრდა, ჩემი აზრით, ჭკუაზე შეიშალა; ეს საშიშია.

მილდრიდმა თქვა: — მეტად თავდაუტყერელი ახალგაზრდაა, თან არც

მადლიერებასა გრძნობს იმის გამო, რაც მისთვის აქ გააკეთეს. შენ რაღაც უნდა იღონო, დედა.

კერი ლუიზმა ამოიხვნეშა:

— ის ხომ არაფერს აშაგებს. მას უყვარს ლუისი, ძალიან უყვარს.

მისს მარტლმა მას გამომცდელად გადახედა. ედგარს განმარტყველებას ში სიყვარულის კვალიც კი არ ჩანდა რამდენიმე წუთის წინ. ლუისს სეროქოლდს რომ ელაპარაკებოდა; ძალიან შორს იყო სიყვარულისგან. მისს მარტლს ადრინდელივით ახლაც კლავდა სურვილი გაეგო, კერი ლუიზმა განგებ შეაქცია თუ არა ზურგი რეალობას.

ჯინამ დაცინვით ჩაილაპარაკა:

— მას ჯიბეში რაღაც ედო, ედგარზე მოგახსენებთ; ჯიბეში რაღაცას ათამაშებდა.

სტივენმა კლავიშებს ხელი უშვა და წაიბუტბუტა:

— ამ დროს კინოფილმებში აუცილებლად რევოლვერი აქვთ-ხოლმე.

მისს მარტლმა ჩაახველა.

— ვფიქრობ, თქვენ მიხვდით, — მობოდიშებით თქვა, — რომ მას მართლა რევოლვერი ჰქონდა.

ლუისის ჩაკეტილი სამუშაო ოთახიდან ხმები აშკარად ისმოდა. ახლა, თითქოს უფრო გარკვევითაც კი. ედგარ ლოუსონი ყვიროდა, მაშინ, როცა ლუისს სეროქოლდმა ისევ ის მშვიდი ტონი შეინარჩუნა.

— სიცრუე, სულ სიცრუე! როგორ არ მოგწყინდა ამდენი სიცრუე! მამაჩემი ხარ. მე შენი შვილი ვარ. შენ მე უფლებები ჩამომართვი. მე ეს ადგილი უნდა დავიკავო. შენ გეზიზღები, შენ გინდა თავიდან მომიშორო.

ლუისის დამამშვიდებელი ჩურჩული მოისმა. მაგრამ შემდეგ ჩურჩული ისტერიულმა ხმამ დაფარა. ოთახიდან ბინძური სიტყვების კორიანტელი გამოდიოდა. ედგარმა, ეტყობოდა, მთლად დაკარგა თავშეკავება ლუისის სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა — „დამშვიდდი... ოღონდ დამშვიდდი... ხომ იცი, ეს მართალი არ არის...“ — მაგრამ ეს სიტყვები კი არ ამშვიდებდა, პირიქით, უფრო მეტად ააფთრებდა ყმაწვილს.

დარბაზში თანდათან ყველა გაჩუმდა და გაფაციცებით მიუგდეს ყური იმას, რაც ლუისის ჩაკეტილ სამუშაო ოთახში ხდებოდა.

— მე შენ გაიძულე მომიშინო! — დაიღრიალა ედგარმა. — მე შენ შეგიცვლი მაგ მედიდურ იერს, შურს ვიძიებ, გეუბნები, შურს ვიძიებ ყველაფრისათვის, რისთვისაც ასე ვეწამე!

ლუისს ხმა უწყდებოდა, სადღა ჰქონდა ჩვეული აუღელვებელი ტონი.

— დადე ეგ რევოლვერი!

ჯინამ წამოიკივლა:

— ედგარი მას მოკლავს. ის გაგიყდა. პოლიცია ან ვინმე არ უნდა გამოვიძახოთ?

გულდამშვიდებულმა კერი ლუიზმა ნაზად თქვა:

— ნუ წუხხარ, ჯინა, ედგარს უყვარს ლუისი, ის, უბრალოდ, ტრაგედიას თამაშობს, სულ ეს არის.

კარს იქიდან სიცილი მოისმა და მისს მარტლმა ჩათვალა, რომ ეს ნამდვილად სულთ ავადმყოფის სიცილი იყო.

— დიახ, მე რევოლვერი მაქვს, და დატენილიცაა, არა, ნურაფერს იტყვი,

ნურც გაინრძევი. შენ ბოლომდე უნდა მომისმინო, სწორედ შენ მოაწყე ეს შეთქმულება ჩემს წინააღმდეგ და ახლა დადგა დრო, პასუხი ეფო/შენს ნამოქმედარზე.

იარაღის გასროლის ხმის მსგავსი რაღაც რომ გაიგეს, ყველა შეკროა, მაგრამ კერი ლუიზმა თქვა:



— არაფერია, გარედან მოდის ეს ხმა — სადღაც პარკიდან.

ჩაკეტილი კარის იქიდან ედგარი მთელი ხმით ღრიალებდა:

— შენ ზიხარ მანდ, მე მიყურებ... მე მიყურებ... და ისე მაჩვენებ თავს. თითქოს არ ღელავ. რატომ მუხლებზე არ დაეცემი და პატიებას არ მთხოვ? უნდა გესროლო, გაფრთხილებ უნდა მოგკლა! მე შენგან უარყოფილი, საძულველი ვაჟი ვარ, ამიტომ ვინდოდა გადაგეძალე საერთოდ, თან შეთვალყურებები დამიყენე, რომ ენადირათ ჩემზე, შეთქმულებას აწყობდი ჩემს წინააღმდეგ, შენ, მამაჩემო. შენ აკეთებდი ამას! მე უკანონო შვილი ვარ, არა? ნაბიჭვარი! შენ კვლავ ტყუილებით მკვებავ, თავს კი მაჩვენებ, თითქოს კეთილგანწყობილი იყო ჩემს მიმართ ყოველთვის, ყოველთვის... შენ სიცოცხლის ღირსი არა ხარ. მე შენ არ გაცოცხლებ!

ისევ უწმაწური სიტყვების კორიანტელი დატრიალდა, რომელიღაც წამში მისს მარფლი მისს ბელევერის სიტყვებმა გამოარკვია:

— რაღაც უნდა ვიღონოთ, — თქვა მან და დარბაზიდან გავიდა.

ედგარმა, ეტყობოდა, შეისვენა სული მოითქვა, შემდეგ კვლავ დაიღრიალა:

— შენ უნდა მოკვდე, უნდა მოკვდე. შენ ახლა უნდა მოკვდე. ესეც შენ, სატანა, აი კიდევ!

ორი გასროლის ხმა გაისმა, ოღონდ ამჯერად პარკიდან კი არა, ზუსტად ჩაკეტილი კარის იქიდან.

ვიღაცამ, — მისს მარფლმა გაიფიქრა, რომ ეს მილდრიდი იყო, — წამოიკივლა:

— ოპ, ღმერთო ჩემო, რა გვეშველება?

ოთახიდან დაცემის ხმა მოისმა, შემდეგ კი რაღაც სხვა ხმა, ბევრად უფრო საზარელი: დაგუდული ქვითინი.

ვიღაცამ მისს მარფლს ჩაუარა და კარზე ბრახუნი ატეხა. ეს სტივენ რესტარიკი იყო.

— გააღეთ კარი. გააღეთ კარი! — დაიღრიალა მან.

მისს ბელევერი დარბაზში შემობრუნდა. ხელში გასაღების ასხმა ეჭირა.

— იქნებ მოარგოთ, — თქვა მან სულმოთქმელად.

ამ ღრთს ოთახში შეუქი ჩაირთო. დარბაზი ისევ გამოცოცხლდა ამ საზარელი ბინდის შემდეგ. სტივენ რესტარიკმა დაიწყო გასაღებების მორგება. გაიგონეს, როგორ გამოვარდა შიგნითა გასაღები საკეტიდან. შიგნიდან ისევ ის ველური, სასოწარკვეთილი ქვითინი ისმოდა.

უილტურ ჰადი ზანტად შემოვიდა ისევ დარბაზში, ადგილზევე გაქცევდა და იკითხა:

— მითხარით, რა ხდება აქ?

თვალცრემლიანმა მილდრიდმა უთხრა:

— იმ საშინელმა შეშლილმა ბიჭმა ბატონ სეროქოლდს ესროლა.

— გეთაყვა! — ახლა კერი ლუიზმა წამოიძახა. ადგა და კაბინეტისკენ

გაემართა. სტივენ რესტარკი ფრთხილად გასწია გვერდზე. — ნება მომეცე
დაველაპარაკო.

მან დაუძახა, ძალიან თბილად: — ედგარ, ედგარ... ~~შეძომიწვი~~ ედგარ,
გეთაყვა.

მათ გაიგონეს, როგორ მთარგეს შიგნიდან გასაღები ~~არცაღებო~~ უნეს და
კარი ნელა გაიღო. მაგრამ კარი ედგარს არ გაუღია. ეს ლუისს ~~სწამდა~~ იყო.
იგი მძიმედ სუნთქავდა, თითქოს ურბენიან, მაგრამ სხვაგვარი მღელვარება
არ ეტყობოდა.

— ყველაფერი რიგზეა, ძვირფასო, — თქვა მან, — ძვირფასო, ყველა-
ფერი კარგადაა.

— გვეგონა, თქვენ გესროლათ. — მიძართა მისს ბელევერმა ჩახლეჩილი
ხმით.

ლუის სეროქოლდმა წარბი შეიკრა და, ცოტა არ იყოს, მკაცრად წამოი-
ძახა:

— რა თქმა უნდა, ჩემთვის არ უსვრია.

ახლა ყველას შეეძლო კაბინეტში შეხედვა. ედგარ ლოუსონი მაგიდაზე
დამხობილიყო, ქვითინებდა და სუნთქვა ეკვროდა. რევოლვერი იატაკზე ეკ-
დო.

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ გასროლია ხმა გავიგეთ, — თქვა მილდრიდმა.

— ჰო, დიახ, მან ორჯერ გაისროლა.

— და აგაცდინათ?

— რა თქმა უნდა, ამაცდინა, — უკმეხად უპასუხა ლუისმა.

მისს მარფლის აზრით, მსგავსი რამ, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო,
რადგან გასროლა საკმაოდ ახლო მანძილიდან უნდა მომხდარიყო.

გალიზიანებულმა ლუის სეროქოლდმა წამოიძახა:

— მავერიკი სად არის? სწორედ მავერიკი გვჭირდება.

მისს ბელევერმა თქვა:

— მე მოვიყვან. პოლიციასაც ხომ არ დაუურევო?

— პოლიციას? რა თქმა უნდა, არა.

— რა თქმა უნდა, დაუურევოთ, — თქვა მილდრიდმა, — ის საშიშია.

ამ დროს ედგარი საშიში უკვე აღარ იყო, ის მთლად ახალგაზრდა, კაბ-
რალს და თანაც ამაზრზენი ჩანდა. მის ხმაში ახლა აღარ იგრძნობოდა საგულ-
დაგულოდ შეთვისებული კილო.

— მე არ ვაპირებდი ამის გაკეთებას, — კვნესოდა ის, — არც კი ვიცი,
რა დამემართა, ალბათ, შევიშალე.

მილდრიდმა ზიზღით ჩაიფრუტუნა.

— ნამდვილად შევიშალე. მე არ ვაპირებდი... გეთაყვა, ბატონო სერო-
ქოლდ, ნამდვილად არ ვფიქრობდი...

ლუის სეროქოლდმა ხელი მხარზე მოუთათუნა:

— ყველაფერი კარგად დამთავრდა, ჩემო ბიჭუნა. არაფერი მომხდარა.

— შეიძლებოდა მომეკალით, ბატონო სეროქოლდ.

უოლტერ ჰადმა ოთახი გადაკვეთა და მაგიდის უკან კედელს დააკვირდა.

— ტყვიამ აქ გაატანა, — თქვა მან. ჯერ მაგიდას ჰკიდა თვალი, მერე მის
უკან, სკამს. — ეტყობა, ცოტათი იცდა, — თქვა დაღვრემილმა.

— თავგზა ამებნა. ნამდვილად არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი. მეგონა, ყვე-
ლა უფლებმა ჩამომართვა. ასე ვფიქრობდი...

მისს მართლმა ის კითხვა დაუსვა, რაც უკვე კარგა ხანია აწვალდა.
— ვინ გითხრათ, — ჰკითხა მან, — რომ ბატონი სეროქოლდი მამათქვე-
სი იყო?

ერთი წამით ედგარის შეშლილმა სახემ ცბიერი გამომეტყველება მიიღო,
მხოლოდ ერთი წამით და უკვალოდ გაქრა.

— არავინ, — თქვა მან, — უბრალოდ, მქონდა ჩამჭდა.

უოლტერ ჰადი იატაკზე დაგდებულ რევოლვერს დასჩერებოდა.

— სად ეშმაკებში იშოვე ეს იარაღი? — ჰკითხა ედგარს.

— იარაღი? — ედგარიც დააჩერდა რევოლვერს.

— ძალიანა ჰგავს ჩემსას, — თქვა უოლტერმა, დაიხარა და აიღო —
ღმერთმანი, ჩემია! ჩემი ოთახიდან გამოიტანე, შე ტილიახო, შენა?!

ლუის სეროქოლდი ჩადგა შიშისაგან აწურულ ედგარსა და განრისხებულ
ამერიკელს შორის.

— ეს შეიძლება მერვეც გამოიძიოთ, — თქვა მან, — აჰ, მავერიკიც აქ
არის, ერთი გასინჯე ეს ყმაწვილი, მავერიკ.

დოქტორი მავერიკი პროფესიული ინტერესით მიუახლოვდა ედგარს.

— ასე არ უნდა მოქცეულიყავი, ედგარ, — უთხრა მან, — ხომ იცი, ასე
არ უნდა მოქცეულიყავი.

— საშიში გიყია, — გესლიანად ჩაილაპარაკა მილდრიდმა. — რევოლვერი-
დან ისროდა და თან ღრიალებდა, ბუდად ააცდინა ჩემს მამინაცვალს.

ედგარმა რაღაც წამოიქნავლა, დოქტორმა მავერიკმა უსაყვედურა ქალს:
— დაფიქრდით, ქალბატონო სტრიტ.

— უკვე ყელამდე ვარ, აღარ შემთქლია თქვენი ატანა... გეუბნებით, ეს
კაცი გიყია.

ედგარმა ნახტომი გააკეთა, რათა დოქტორი მავერიკისაგან თავი დაეღ-
წია და სეროქოლდს ფეხებში ჩაუვარდა.

— მიშველეთ, დამეხმარეთ, არ დაანებოთ მათ ჩემი თავი, თორემ წამიყ-
ვანენ და დამამწყვდევენ...

რა უსიამოვნო სურათია, გაიფიქრა მისს მართლმა.
ბრაზმორეულმა მილდრიდმა წამოიძახა: „გეუბნებით, ის...“

დედამ წყნარად შეაწყვეტინა:
— გეთაყვა, მილდრიდ, გაჩუმდი, ის ისედაც იტანჯება.

უოლტერმა ჩაილაპარაკა:
— ტანჯული, აი, ოინი, თუ გინდა, აქ ყველა გასულელდა.

— შე შივხუდავ ამას, — თქვა დოქტორმა მავერიკმა. — წამოდი ჩემთან,
ანლა ლოგინი და ძილის წამალია საჭირო, ყველაფერზე დილით მოვილაპარა-
კებთ, ანლა ხომ მენდობი?

აცახცახებული ედგარი წამიღგა, ეჭვისთვალით გადახედა ჯერ ახალგა-
ზრდა ეჭიმს და მერე მილდრიდ სტრიტს.

— მან თქვა, რომ შე გიყი ვარ.
— არა, არა, შენ გიყი არა ხარ.

ღარბაზში მისს ბელვეერის ნაბიჯების ხმა გაისმა, მას ტუჩები მაგრად
მოეკემა და სახეზე აღმური ასდიოდა.

— პოლიციას დავურეკე, — თქვა მოლუშულმა, — რამდენიმე წუთში
აქ იქნებიან.
შეშინებულმა კერი ლუიზმა წამოიყვირა: „ჯოლი!“

ედგარი აქვითინდა.

ლუის სეროქოლდმა სიბრაზისაგან წარბები შეჭკრა.

— მე ხომ გითხარი, ჯოლი, არ მინდოდა პოლიციის გამოძახება, აქ ექიმია საჭირო.

— შეიძლება, ასეა, — თქვა მისს ბელევერმა, — მაგრამ შე ჩემი მოსაზრება გამაჩნია. იძულებული ვიყავი, პოლიცია გამომეძახებოდა. ^{ბატონი გულობრან-დსენი მოჰკლეს.}

V I I I თავი

ერთი-ორი წუთი ვერაგინ გაარკვია, რას ამბობდა მისს ბელევერი.

კერი ლუიზმა სკეპტიკურად მიმართა:

— ქრისტიანს ესროლეს? მოკლეს? ოპ, მართლა? შეუძლებელია.

— თუ არ გჯერათ, — თქვა მისს ბელევერმა და ტუჩები სიბრაზისაგან მოკუმბა, — წადით და თქვენ თვითონ ნახეთ, — მიმართა მან არა იმდენად კერი ლუიზს, რამდენადაც ყველა იქ მყოფს.

მისს ბელევერი გაბრაზდა. მისი სიბრაზე მისივე გამკივან ხმაში გამელავნდა.

დაეჭვებული კერი ლუიზი ნელა გაემართა კარისკენ. ლუის სეროქოლდმა მას ხელი მხარზე დაადო.

— მოიცა, ძვირფასო. ნება მომეცი, მე წავიდე.

ლუის სეროქოლდი გავიდა. დოქტორმა მავერიკმა ეჭვის თვალი შეავლო ედგარს და ლუისს გაჰყვა. მისს ბელევერიც მათთან ერთად წავიდა.

მისს მარფლი ნაზად ემუდარებოდა კერი ლუიზს სკამზე დამჯდარიყო. ის დაჯდა. მის თვალეშში ძლიერი ტკივილი და თავზარდაცემა იკითხებოდა.

— ქრისტიანი მოკლეს? — იკითხა კვლავ კერი ლუიზმა.

ეს იყო შეცბუნებული ბავშვის ტკივილიანი ამოძახილი.

უოლტერ ჰადი ედგარ ლოუსონთან დარჩა, ზემოდან დასჩერებოდა, ხელში იარაღი ეჭირა, რომელიც ის-ის იყო იატაკიდან აიღო.

ქალბატონმა სეროქოლდმა ცნობისმოყვარედ იკითხა:

— ვის უნდა ესროლა ქრისტიანისთვის?

ეს ის კითხვა არ იყო, პასუხს რომ მოელოან.

უოლტერმა დაგუდული ხმით ჩაილაპარაკა:

— გიყვები! აქ ყველა შეიშალა!

სტივენი უფრო ახლოს მიიწია ჯინასკენ, თითქოს საფრთხისაგან უნდა დაიცვასო იგი. მისი ახალგაზრდული, შეძრწუნებული სახე ყველაზე ნათლად გამოხატავდა იმას, რაც ამ ოთახში ხდებოდა.

უცებ წინა კარი გაიღო და ცივ ჰაერთან ერთად ოთახში კაცი შემოიჭრა, რომელსაც გრძელი პალტო ეცვა. მისი გულითადი სალაში უჩვეულოდ თავზარდამცემი იყო.

— გამარჯობათ, რა ხდება აქ ამ ღამით? გზი საოცრად ბურუსიანია. ძლივს მოვიღწიე.

მღელვარებისაგან მისს მარფლს მოეჩვენა, რომ გაორებულიად ხედავდა. ხომ არ შეიძლებოდა, რომ ერთი და იგივე კაცი ერთდროულად ჯინასთანაც მდგარიყო და თანაც ოთახშიაც შემოსულიყო? შემდეგ მიხვდა, რომ ეს მხო-

ლოდ მსგავსება იყო და მეტი არაფერი. და, თუ კარგად დააკვირდებოდით, არც ისე ძლიერი მსგავსება. ეს ორნი აშკარად ძმებია იყვნენ და მსგავსებაც ნათესაური იყო, მეტი არაფერი.

სტივენ რესტარიკს ლამის ავადმყოფური სიგამხდრე ჰქონდა. ხალხი ახალ-მოსული უფრო ჩაფსკვნილი ჩანდა. კრაველის საყელოიანი პალტო ტანზე კოხტად მოერგო. ამ მოძხიბვლელ ახალგაზრდას, ეტყობოდა, წარმატება და კეთილგანწყობა მუდამ თან სდევდა.

მაგრამ მისს მარფლმა ერთი რამ შეამჩნია: მას თვალები შემოსვლისთანავე ჯინასკენ გაექცა.

ახალგაზრდამ ცოტათი დაეჭვებულმა იკითხა:

— თქვენ ხომ მელოდით? ხომ მიიღეთ ჩემი დეპეშა?

ის ახლა კერი ლუიზს ელაპარაკებოდა და თან მისკენ მიიწევდა.

კერი ლუიზმა თითქმის ანგარიშმიუცემლად გაუწოდა ხელი ახალმოსულს, კაცმა თავისი ხელი შეაგება და ნაზად ეამბორა. ეს პატივისცემის შესანიშნავი გამოხატულება იყო და არა რაღაც მოჩვენებითი თავაზიანობა.

კერი ლუიზმა ჩაილაპარაკა:

— რა თქმა უნდა, ალექს, ძვირფასო, უეჭველად... ოღონდ, იცით, უცნაური რამ მოხდა...

— რა მოხდა?

მილდრიდმა აცნობა, რაც მოხდა, მაგრამ ისე დაუნდობლად, რომ მისს მარფლს უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა.

— ქრისტიან გულბრანდსენი, — თქვა მილდრიდმა, — ჩემი ძმა ქრისტიან გულბრანდსენი მოკლული იპოვეს.

— ღმერთო დიდებულო! — აღმოხდა ალექსს ჩვეულებრივზე უფრო შეშფოთებულს. — თვითმკვლელობა გაქვთ მხედველობაში?

კერი ლუიზი შეიშმუშნა:

— ოჰ, არა, — თქვა მან. — თვითმკვლელობა შეუძლებელია, ქრისტიანი ამას არ ჩაიდენდა, არა.

— ძია ქრისტიანი არასოდეს მოიკლავდა თავს, დარწმუნებული ვარ, — თქვა ჯინამ.

ალექს რესტარიკი ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. თავისმა ძმამაც, სტივენმა, თავის დაქნევით დაუდასტურა, ასეაო, უოლტერ ჰადი აღშფოთებული მიაჩერდა მას. ალექსმა მოულოდნელად თვალი ჰკიდა მისს მარფლს და შუბლი შეიკრა, თითქოს სცენაზე რაღაც არასასურველი დეტალი შენიშნაო.

როგორც ჩანს, სურდა, აეხსნათ მისთვის, ვინ იყო ეს ქალი, მაგრამ ხმას არავინ იღებდა და მისს მარფლი კვლავ, უცხო, ხანში შესულ, ფუმფულა, მოძხიბვლელად შეცბუნებულ ხნიერ მანდილოსნად დარჩა მოსულისთვის.

— როდის? — იკითხა ალექსმა, — როდის მოხდა ეს?

— ახლახან, სანამ ჩამოხვიდოდით, — მიუგო ჯინამ, — დაახლოებით, ოჰ, სამი-ოთხი წუთის წინ ალბათ. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ სროლის ხმა გავიგონეთ ოღონდ ვერ გავარკვიეთ, საიდან მოდიოდა.

— ვერ გავარკვიეთ? რატომ?

— იცით, აქ სხვა რამ ხდებოდა... — უთხრა ჯინამ ყოყმანით.

— ნამდვილად, — თქვა უოლტერმა ხაზგასმით.

ჯულიეტ ბელევერი შემოვიდა დარბაზში ბიბლიოთეკის კარიდან.

— ბატონმა სეროქოლდმა გთხოვათ, ბიბლიოთეკაში დაიცადოთ. პოლი-

ციისათვის ასე უფრო ხელსაყრელი იქნებაო. ეს თქვენ არ გეხებათ, ქალბატონო სეროქოლდ. თქვენ მეტისმეტად თავზარდაცემული ხართ, კერი. მე ვუბრძანე, ცხელი სათბურები მოგართვან საწოლში, მე გაგყვებით ზემოთ... კერი ლუიზი წამოდგა და თავი გააქნია.

— მე ჯერ ქრისტიანი უნდა ვნახო, — განაცხადა მანქანულში.

— ოჰ, არა, ძვირფასო. თქვენი მღვღვარება დაუშვებელია.

კერი ლუიზმა ის ფრთხილად გასწია გვერდზე.

— ძვირფასო ჯოლი, თქვენ არ გესმით, — მიმოიხედა და დაიძახა: —

ჯეინ!

მისს მარფლი უკვე მისკენ მიდიოდა.

— ხომ წამოხვალ ჩემთან?

ისინი ერთად გაემართნენ კარისაკენ. დოქტორი მავერიკი კარში შეეჩხვრა მათ.

მისს ბელევერმა წამოიყვირა:

— დოქტორ მავერიკ, შეაჩერეთ იგი, რა სისულელეს სჩადის...

კერი ლუიზმა მშვიდად შეხედა ახალგაზრდა ექიმს და გაუღიშა.

დოქტორმა მავერიკმა კი ჰკითხა:

— მისი ნახვა გსურთ?

— უნდა ვნახო.

— გასაგებია, — კაცი განზე გადგა, — თუ თქვენ გრძნობთ, რომ ვალდებული ბრძანდებით, ქალბატონო სეროქოლდ... მაგრამ შემდეგ, გეთაყვა, წაბრძანდით თქვენს ოთახში და დაწექით, ნება მიეცით მისს ბელევერს, მოგხედოთ. გარწმუნებთ, ასე უნდა მოიქცეთ, თუმცა ჯერ ვერც გრძნობთ, როგორ შეგძრათ ამ ამბავმა.

— დიახ, თქვენ მართალი ხართ. გონივრულად მოვიქცევი. წავიდეთ, ჯეინ.

ქალები ოთახიდან გავიდნენ. მთავარი კიბის ქვედა ბაქანი უკან მოიტოვეს და დერეფანს დაუყვნენ. ხელმარჯვნივ მდებარე სასაღილო ოთახსა და მარცხნივ, სამზარეულოში გამავალ კარს ჩაუარეს, ჩაუარეს ტერასაზე გამავალ კარსაც და იმ კარს მიადგნენ, რომელიც მუხის კაბინეტში შედიოდა, სადაც ქრისტიან გულბრანდსენი დააბინავეს. ეს ოთახი მისაღებ ოთახს უფრო ჰგავდა თავისი მოწყობილობით, ვიდრე საწოლ ოთახს, სადაც ერთ მხარეს ნიშაში იდგა საწოლი, ხოლო ამ ოთახის კარი საგარდერობო ოთახსა და სააბაზანოში გადიოდა.

კერი ლუიზი ზღურბლზე შეჩერდა. ქრისტიან გულბრანდსენი იჯდა დიდ წითელი ხის მაგიდასთან და პატარა საბეჭდი მანქანა ედგა წინ. იგი გვერდზე იყო გადაწოლილი, მაგრამ სკამის მაღალი სახელურები საშუალებას არ აძლევდა იატაკზე გადმოვარდნილიყო.

ლუის სეროქოლდი ფანჯარასთან იდგა. ფარდები ოდნავ გადაეწია და ღამეს მისჩერებოდა გარეთ. მან მოიხედა და შუბლი შეიკრა.

— ჩემო ძვირფასო, არ უნდა მოსულიყავით აქ.

ლუის სეროქოლდი მიუახლოვდა ქალს, იმან კი ხელი გაუწოდა. მისს მარფლმა ერთი-ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

— ოჰ, დიახ, ლუის. მინდოდა მენახა. ხომ უნდა ვიცოდე, რა ხდება.

ქალი ნელა მიუახლოვდა მაგიდას.

ლუისმა გააფრთხილა:

— ხელი არაფერს ახლო. პოლიციას ყველაფერი ისე უნდა დაეახვედროთ, როგორც იყო.

— რა თქმა უნდა. იგი წინასწარი განზრახვით მოკლა ვილკამ. არა?

— დიახ, — ლუის სეროქოლდი გაოცებული ჩანდა უმჯობესდებოდა. — ვფიქრობ, თქვენ იცოდით ამის შესახებ.

— ვიცოდი, ქრისტიანი თავს არ მოიკლავდა, ისეთი კომპეტენტური პირვნება იყო, რომ შეუძლებელია ეს მხოლოდ და მხოლოდ უბედური შემთხვევა იყოს. ისლა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ... — ერთი წუთით შეჩერდა ქალი, — მოკლეს იგი.

ქალბატონმა სეროქოლდმა მაგიდას შემოუარა და მიცვალებულს დააჩერდა. სახეზე სინანული და სიყვარული აღებეჭდა.

— ძვირფასი ქრისტიანი, — თქვა მან, მეტად კეთილშობილი ადამიანი იყო.

ქალმა ნაზად გადაუსვა თავზე თითები

— ღმერთმა გაცხონოს. გმადლობთ, ძვირფასო ქრისტიან, — წაიჩურჩულა მან.

ლუის სეროქოლდმა ისე გრძნობამორეულმა წამოიძახა შემდეგი სიტყვები, რომ მისს მარფლს მისთვის ასეთი რამ მანამდე არ შეუშინებია:

— ღმერთს ვთხოვ, შემადლებინოს დაგიფარო განსაცდელისაგან. კაროლინ.

მისმა მეუღლემ ნაზად გააქნია თავი,

— თქვენ ვერაფერს დაიფარავთ, — მიუწყო ქალმა, — რაც მოსახდენია, ადრე თუ გვიან, უნდა მოხდეს. და, რაც უფრო მალე მოხდება, უმჯობესია, ახლა კი წავალ და დავწვები. იმედი მაქვს, აქ დარჩები, ლუის. სახამ პოლიცია მოვა.

— დიახ.

კერი ლუიზი შებრუნდა, მისს მარფლმა ხელი მოხვია მას.

I X თ ა ვ 0

ინსპექტორი კარი და მისი ამაღლა რომ ჩამოვიდა, მისს ბელევერი მარტო იყო დიდ დარბაზში. მან საქმიანად წარუდგინა მოსულებს თავი.

— მე ჩულოვებ ბელევერი ვარ, ბატონი სეროქოლდის თანაშემწე და მდივანი.

— ეს თქვენ იპოვეთ მოკლული და დაგვირეკეთ?..

— დიახ, თითქმის მთელი ოჯახი ბიბლიოთეკაშია, აი, აქედანაა გასასვლელი. ბატონი სეროქოლდი გულბრანდსენის ოთახში დარჩა, რომ ვინმემ ხელი არ ახლოს რამეს. დოქტორი მავერიკი, რომელმაც პირველად დაათვალიერა სხეული, მალე მოვა; ავადმყოფი გაიყვანა ფლიგელში. გნებავთ, გულბრანდსენის ოთახი გაჩვენოთ?

— თუ არ შეწყუნდებით.

კომპეტენტური ქალბატონია, ჩანს ყველაფერი გონებაში აქვს ჩაბეჭდილი. — გაიფიქრა ინსპექტორმა თავისთვის და ქალს დერეფანში გაჰყვა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ პოლიციური პროცედურების მანქანა სამოქმედო მზადყოფნაში იყო. ფოტოგრაფმა საჭირო სურათები გადაიღო. პოლი-

ციის ექიმი ჩამოვიდა და მას დოქტორი მავერიკი შეუერთდა. ნახევარი საათის შემდეგ, როცა სასწრაფო დახმარების მანქანამ ქრისტიან გულბრანდსენის გვამი წაიღო, ინსპექტორმა კარიმ ოფიციალური დაკითხვა დაიწყო.

ლუის სეროქოლდი მას ბიბლიოთეკაში გაუძღვა. ინსპექტორი/ ყურადღებით ათვალიერებდა მის ირგვლივ მყოფ ადამიანებს და ყურადღებას მიაქცევდა: ჭალარა, ხნიერი მანდილოსანი, შუაბნის ქალბატონი, მთხედრილი გოგონა, რომელსაც საჭესთან მჯდარს მოჰქრა თვალი სოფელში და მისი მეუღლე — ბრაზიანი გარეგნობის ამერიკელი, ორი ახალგაზრდა, ადამიანი ერთმანეთისაგან რომ ვერ გაარჩევდა, და მისს ბელევერი — ეს მარჯვე ქალი, რომელმაც დაურეკა და შემდეგ, როცა ჩამოვიდნენ, მიეგება მათ.

ინსპექტორმა კარიმ უკვე მოიფიქრა, როგორ უნდა წარემართა საუბარი.

— ვშიშობ, ყველაფერი ეს აგაღულვებთ თქვენ, — თქვა მან. — მაგრამ იმედი მაქვს, დიდხანს არ დაგაყოვნებთ ამ საღამოს. ხვალ უფრო დაწვრილებით გავარკვევთ ყველაფერს. პირველად მისს ბელევერმა აღმოაჩინა მოკლული გულბრანდსენი და ვთხოვ მას საერთო სიტუაციის მონახაზი გამიკეთოს, რათა ერთი და იგივე არ ვიმეოროთ. ბატონო სეროქოლდ, თუ გნებავთ, თქვენა მეუღლე მოინახულეთ, და, როცა მისს ბელევერთან დავამთავრებ საუბარს, შემდეგ მიჩნდა, რომ თქვენც გაგესაუბროთ. გასაგებია? იქნებ პატარა ოთახიც შევარჩიოთ, სადაც შეიძლება....

ლუის სეროქოლდმა თქვა: — ჩემი სამუშაო ოთახი, ჯოლი? — მისს ბელევერმა თავი დაუკრა და დაეთანხმა: — მეც ვაპირებდი, სწორედ ეგ ოთახი შემომეთავაზებინა.

მათ დიდი დარბაზი გაიარეს და მისს ბელევერიც ინსპექტორ კარისა და მის თანმხლებ სერჟანტს კაბინეტისკენ გაუძღვა.

მისს ბელევერი მოხერხებულად, მუშდროდ მოეწყო თავის სტუმრებთან ერთად. კაცი იფიქრებდა, გამოძიებას იგი ხელმძღვანელობსო და არა ინსპექტორი კარი.

თუმცა ის წუთიც დადგა, როცა ინიციატივა ინსპექტორის ხელში გადავიდა. ინსპექტორ კარის სასიამოვნო და დახვეწილი მანერები ჰქონდა. მშვიდი, სერიოზული და ოდნავ მორიდებულიც ჩანდა. ზოგიერთები კი სწორედ იმაში ცდებოდნენ, რომ სათანადოდ ვერ აფასებდნენ მის ღირსებებს, სინამდვილეში, ინსპექტორი ისევე კომპეტენტური იყო თავის საქმეში, როგორც მისს ბელევერი — თავისაში. მაგრამ მან ამჯობინა, არ გამოეხატა ეს.

ინსპექტორმა ყელი ჩაიწმინდა.

— ბატონი სეროქოლდისგან ძირითადი ჩვენება უკვე მივიღე. ბატონი ქრისტიან გულბრანდსენი უფროსი ვაჟი იყო განსვენებული ერიკ გულბრანდსენისა, რომელმაც დააარსა გულბრანდსენის სამეურვეო და ამხანაგობა და სხვა დანარჩენიც. ის აქაურობის ერთ-ერთი მეურვეთაგანი იყო და გუშინ მოულოდნელად ჩამოვიდა. ასეა, არა?

— დიახ.

ინსპექტორი კარი მოხიბლული იყო ქალის მოკლე პასუხებით. მან განაგრძო:

— ბატონი სეროქოლდი ლივერპულში იყო წასული. ის დაბრუნდა ამ საღამოს 6.30 მატარებელზე.

— დიახ.

— ამ საღამოს, სადილის შემდეგ, ბატონმა გულბრანდსენმა გამოაცხადა

სურვილი, თავის ოთახში ემუშავა, და როცა ყავა შემოიტანეს, მან სუფრა დატოვა. ასეა?

— დიახ.

— ახლა, მისს ბელევერ, მითხარით, გეთაყვა, როგორ აღმოაჩინებო მიცვალებული.

— ამ საღამოს ერთი არასასიამოვნო ინციდენტიც მოხდენს. ახალგაზრდა კაცმა, ფსიქიურად დაავადებულმა, მთლად დასუსტებულმა და ბატონ სეროქოლდს დაემუქრა, გესვრიო, ისინი ამ ოთახში იყვნენ ჩაკეტილები. ბოლოს ახალგაზრდამ გაისროლა. შეგიძლიათ ნატყვიარი კედელზე ნახოთ. საბედნიეროდ ბატონი სეროქოლდი არ დაშავებულა. გასროლის შემდეგ ეს უმაწვილი მთლიანად მოიშალა. ბატონმა სეროქოლდმა დოქტორ მაგერიკის მოსაძებნად გამაგზავნა, მაგრამ ის თავის ოთახში არ იყო. ბოლოს ერთ-ერთ თავის კოლეგასთან მივაგენი, შევატყობინე ყველაფერი და ისიც მაშინვე აქ მოვიდა. გზად ბატონი გულბრანდსენის ოთახში შევიარე. მინდოდა მეკითხა, ხომ არაფერს ისურვებდა, ცხელ რძეს ან ვისკის ძილის წინ. კარზე დავაკაკუნე, მაგრამ პასუხი არავინ გამცა, მაშინ გავაღე კარი და დავინახე გულბრანდსენი უკვე მკვდარი იყო. შემდეგ თქვენ დაგირეკეთ...

— რა შესასვლელები და გასასვლელებია სახლში? და როგორ არის განლაგებული ისინი? ვინმეს ხომ არ შეეძლო გარედან შეუმჩნევლად შემოსულიყო?

— ყველას შეუძლია შემოვიდეს ტერასაზე გამავალი გვერდითა კარიდან. ის არ იკეტება, სანამ ყველა არ დაიძინებს, რადგან ამ გზით შემოდინან და გადიან კოლეჯის შენობაში.

— თქვენ, მგონი, ორასი თუ ორას ორმოცდაათი ახალგაზრდა გყავთ ამ კოლეჯში, არა?

— დიახ, მაგრამ კოლეჯის შენობა კარგადაა დაცული. უნდა გითხრათ, რომ სრულიად შეუძლებელია ვინმემ უნებართვოდ დატოვოს კოლეჯი.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, ესეც უნდა გავარკვიოთ. ხომ არ მიუცია ბატონ გულბრანდსენს ვინმესთვის, ასე ვთქვათ, მტრობის მიზეზი? რაიმე არასასურველი გადაწყვეტილება ხომ არ მიუღია?

მისს ბელევერმა თავი გააქნია.

— ოჰ, არა. ბატონ გულბრანდსენს არაფერი ჰქონდა საერთო კოლეჯის ცხოვრებასთან, არც მის ადმინისტრაციულ საქმეებთან.

— რა იყო მისი ვიზიტის მიზეზი?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— მაგრამ იგი ხომ შეწუხდა, როცა გაიგო, რომ ბატონი სეროქოლდი აქ არ იყო და გადაწყვიტა დალოდებოდა?

— დიახ.

— ესე იგი, მას საქმე აქ მხოლოდ ბატონ სეროქოლდთან ჰქონდა, არა?

— დიახ. მაგრამ ეს იქნებოდა... ალბათ, ეს ინსტიტუტის საქმეებს ეხებოდა.

— დიახ. სავარაუდოა, ასე იყო. მას საუბარი ჰქონდა ბატონ სეროქოლდთან?

— არა, ვერ მოახერხა, რადგან ბატონი სეროქოლდი იმ დროს ჩამოვიდა, როცა უკვე სადილად სხდებოდნენ.

— მაგრამ სადილის შემდეგ ბატონმა გულბრანდსენმა თქვა, რაღაც მნი-

შენელოვანი წერილი მაქვს დასაწერიო, და წავიდა. მან არ შესთავაზა ბატონ სეროქოლდს, ვილაპარაკოთო?

მისს ბელევერმა ყოყმანი დაიწყო.

— არა, არ შეუთავაზებია.

— მართლაც უცნაურია, საკუთარ თავს თვითონვე შეუშალა ხელი, რომ ბატონი სეროქოლდი ენახა...

— დიახ, უცნაურია.

ეტყობა, მისს ბელევერს პირველად ახლა გაუელვა თავში, რომ ეს მართლაც უცნაური იყო და განცვიფრდა.

— ბატონი სეროქოლდი არ გაპყოლია მას თავის ოთახში?

— არა, ბატონი სეროქოლდი დარბაზში დარჩა.

— და, თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ, რომელ საათზე მოკლეს ბატონი გულბრანდსენი?

— შესაძლოა, გავიგონეთ კიდევ სროლის ხმა. თუ ასეა, ეს მოხდა ათის ოცდასამ წუთზე.

— გასროლის ხმა გაიგეთ და ამან არ შეგაშფოთათ?

— ისეთი უჩვეულო ვითარება იყო...

ქალმა აუხსნა საკმაოდ დაწვრილებით ყველაფერი, რაც ლუის სეროქოლდსა და ედგარ ლოუსონს შორის მოხდა.

— ასე რომ, არც ერთ თქვენთაგანს არ უფიქრია, რომ გასროლის ხმა შიგ სახლში გაისმა?

— არა. ნამდვილად არ მიფიქრია. ჩვენ ყველანი ისეთი დაძაბულები ვიყავით, იცით, გასროლის ხმა ვერც აღვიქვით.

შემდეგ მისს ბელევერმა საკმაოდ ბრაზმორეულმა ჰკითხა:

— თქვენთვის მოულოდნელია მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა ერთსა და იმავე სახლში ერთსა და იმავე დროს?

ინსპექტორმა კარიმ აღიარა, ნამდვილად მოულოდნელიაო.

— და მაინც ასე იყო, — თქვა მისს ბელევერმა უეცრად, — იცით, დარწმუნებული ვარ, სწორედ ამან მაიძულა შემევლო ბატონი გულბრანდსენის ოთახში მოგვიანებით. მე მინდოდა მეკითხა, ხომ არაფერს ინებებდა, მაგრამ, ამავე დროს, მინდოდა დამერწმუნებინა საკუთარი თავი, რომ ყველაფერი რიგზე იყო.

ინსპექტორი კარი წუთით მიაჩერდა მას.

— რამ გაფიქრებინათ, რომ შესაძლებელი იყო, იქ რაღაც მომხდარიყო?

— არ ვიცი. ვფიქრობ, გარედან გასროლის ხმამ. მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ შემდეგ გონებაში აღმიდგა, ჩემთვის ვიფიქრე, რომ ეს ძრავის ხმა იქნებოდა, ბატონი რესტარიკის მანქანისა...

— ბატონი რესტარიკის?

— დიახ, ალექს რესტარიკისა. ის ამ საღამოს ჩამოვიდა მანქანით, ჩამოვიდა ზუსტად ამ ამბების შემდეგ.

— გასაგებია, როცა თქვენ ბატონი გულბრანდსენის გვამი იპოვეთ, ხელი ახლეთ ოთახში რამეს?

— რა თქმა უნდა, არა, — თქვა მისს ბელევერმა საყვედურით, — ბუნებრივია, ვიცოდი, ხელი არაფრისთვის არ უნდა მეხლო და არც გადამეადგილებინა. ბატონ გულბრანდსენს თავში ესროლეს, მაგრამ იქ იარაღი არ ჩანდა, ასე რომ, დავრწმუნდი, ეს მკვლელობა იყო.

— ახლა კი, როცა ოთახში შეგვიყვანეთ, ისევ ისე იყო ყველაფერი, როგორც მაშინ?

მისს ბელევერი დაფიქრდა, თავი უკან გადასწია და თვალები მოკრულა. ინსპექტორი კარი მიხვდა, ამ ქალს თვალის მეხსიერება ჰქონდა.

— მხოლოდ ერთი ცვლილება იყო, — თქვა მან, — საბეჭდო მანქანაში არაფერი იდო.

— თქვენ გულისხმობთ, — თქვა ინსპექტორმა კარიმ, — რომ, როცა პირველად შეხვედით, საბეჭდო მანქანაში ბატონი გულბრანდსენის წერილი იდო, და რომ ის წერილი შემდეგ ამოიღეს?

— დიახ, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ქალაქის თეთრი კუთხე დავინახე ამოჩრილი.

— გმადლობთ, მისს ბელევერ. კიდევ ვინ შევიდა ოთახში ჩვენს ჩამოსვლამდე?

— რა თქმა უნდა, ბატონი სეროქოლდი. ის დარჩა იქ, როცა თქვენს შესახვედრად გამოვემართე. ქალბატონი სეროქოლდი და მისს მარფლიც შევიდნენ; ქალბატონმა სეროქოლდმა დაიყინა.

— ქალბატონი სეროქოლდი და მისს მარფლი... — თქვა ინსპექტორმა კარიმ. — რომელია მისს მარფლი?

— ხნიერი, ჭაღარა ქალი. ის ქალბატონი სეროქოლდის სკოლის მეგობარია. ოთხი დღის წინ ჩამოვიდა.

— კეთილი, მადლობთ, მისს ბელევერ. ყველაფერი ნათელია. ახლა ბატონ სეროქოლდთან გავარკვევ დანარჩენს. მისს მარფლი ხნიერი ქალია, არა? ჯერ მას დაველაპარაკები, შემდეგ შეუძლია მოისვენოს. უსამართლობა იქნება. ხნიერი ქალი ვალოდინოთ, — თქვა ინსპექტორმა კარიმ კეთილგანწყობით, — უთუოდ თავზარდაცემული იქნება ამ ამბებით.

— დაეუძახო?

— თუ არ შეწყუბებით.

მისს ბელევერი ვავიდა. ინსპექტორი კარიმ ჭერს მიაჩერდა:

— გულბრანდსენი... — წარმოთქვა მან, — მაგრამ, რატომ გულბრანდსენი? ამ შენობაში ორასამდე მოუწესრიგებელი, უცნაური ახალგაზრდაა. არც ერთ მათგანს არ უნდა ჰქონოდა მიზეზი, რომ ეს გაეკეთებინა. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთმა მაინც ჩაიღინა მაგრამ რატომ გულბრანდსენი? ის უცხო კაცი იყო ამ კედლებში.

სერჟანტმა ლეიკმა თქვა: „რა თქმა უნდა, ჩვენ ჯერ ყველაფერი არ ვიცით“. ინსპექტორმა კარიმ დაუმატა:

— ჯერჯერობით არაფერიც არ ვიცით...

ის წამოხტა და გალანტურად მიეგება მისს მარფლს, რომელიც ცოტათი აღელვებული ჩანდა. ინსპექტორმა მისი დამშვიდება სცადა.

— ახლა, ნუღარ ღელავთ, მადამ. — ხანში შესულებს მოსწონთ, როცა „მადამს“ უწოდებენ. გაიფიქრა ინსპექტორმა. მათთვის პოლიციელები დაბალი კლასის წარმომადგენლები არიან და პატივით მოპყრობას ითხოვენ მათგან. — ეს ყველაფერი მეტად აფორიაქებს ადამიანს, მესმის, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ ნათელი მოვფინოთ ყველაფერს, დიახ, ნათელი უნდა მოვფინოთ.

— ოპ, მესმის, — თქვა მისს მარფლმა. — რა ძნელიც არის ნათელი მოპფინო ყველაფერს, რადგან, როცა ერთ მოვლენას აქცევ ყურადღებას, შეუძლებელია მეორესაც მიაღვენო თვალი, ზოგი კი ხშირად ცდება და იმის მა-

ვივრად, რომ მთავარს მიაბჱროს ყურადღება, სულ სხვა რამეზე გადააქვს იგი. თუმცა ამის თქმაც კირს, ვინაიდან ძნელი გასარკვევია, მართლა/ასე იქცევიან თუ შენ გეჩვენება. ილუზიონისტები ასეთ რამეს არასწორ მიშართვლებას უწოდებენ, რა ჭკვიანები არიან, არა? ვერასოდეს ვხვდებოდე, როგორ/ახერხებდნენ ისინი თქროს თევზებით სავსე აკვარიუმის თვალდასრქმუნაწაჩენას, ეს არც ისე იოლი საქმეა, არა?

ინსპექტორი კარი ერთი შეიშმუშნა და მშვიდად თქვა:

— სავსებით მართალი ბრძანდებით. მაღამ, ეს-ეს არის მისს ბელევერისაგან ამ საღამოს დატრიალებულ ამბებს გავეცანი. დარწმუნებული ვარ, ყველანი ძალიან შეშფოთდებოდით.

— დიახ, ნამდვილად იცით, ყველაფერი ისე დრამატულად განვითარდა...

— პირველად აურზაური ატყდა ბატონ სეროქოლდსა და... — ინსპექტორმა თავის ჩანაწერში ჩაიხედა, — იმ ედგარ ლოუსონს შორის.

— უცნაური ახალგაზრდაა, — თქვა მისს მარფლმა. — ვგრძნობდი, რაღაც ამბავი იყო მის თავს.

— დარწმუნებული ვარ, იგრძნობდით, — დაეთანხმა ინსპექტორი კარი. — და შემდეგ, როცა ეს შფოთი დამთავრდა, ბატონი გულბრანდსენის ამბავიც შეიტყვეთ. გასაგებია, რომ თქვენ ქალბატონ სეროქოლდთან ერთად წახვედით გვამის სანახავად.

— დიახ, წავედი, მან მთხოვა გავყოლოდი. ჩვენ ძველი მეგობრები ვართ.

— კეთილი, და თქვენ ბატონი გულბრანდსენის ოთახისაკენ გაემართეთ რომელიმე თქვენგანს ხელი ხომ არაფრისთვის უხლია ოთახში?

— ოპ, არა. ბატონმა სეროქოლდმა გაგვაფრთხილა.

— შემთხვევით ხომ არ შეგინიშნავეთ, მაღამ, იყო თუ არა საბეჭდ მანქანაში წერილი, ანუ, მხედველობაში მაქვს, ქალაღლი?

— არ იყო, — წამსვე მიუგო მისს მარფლმა, — მე ეს მაშინვე შევნიშნე, იმიტომ რომ უცნაურად მომეჩვენა. ბატონი გულბრანდსენი იქდა საბეჭდ მანქანასთან ისე, რომ ეტყობოდა, რაღაცას ბეჭდავდა. დიახ, უცნაურად მომეჩვენა.

ინსპექტორმა კარიმ მას გამკოლავეი მზერა სტყორცნა:

— დიდხანს ესაუბრეთ ბატონ გულბრანდსენს ჩამოსვლისას?

— ცოტა ხნით.

— რაიმე განსაკუთრებულ ან საყურადღებოს ხომ ვერ გაიხსენებდით? მისს მარფლი ჩაფიქრდა.

— მან გამომკითხა ქალბატონ სეროქოლდის ჯანმრთელობის ამბავი. კერძოდ, მისი გულის მდგომარეობა აინტერესებდა.

— გული? ქალბატონ სეროქოლდს აწუხებს გული?

— რამდენადაც ვიცი, არა.

ინსპექტორი კარი ერთი წუთით გაჩუმდა, შემდეგ თქვა:

— გასროლის ხმა ხომ არ გაიგონეთ ამ საღამოს ბატონ სეროქოლდისა და ედგარ ლოუსონის ჩხუბის დროს?

— მე თვითონ არ გამიგია, ცოტათი ყურთ მაკლია, იცით, მაგრამ ქალბატონმა სეროქოლდმა აღნიშნა, პარკიდან მოისმაო.

— ბატონმა გულბრანდსენმა სადილის დამთავრებისთანავე დატოვა სუფრა, რამდენადაც გავიგე, ასეა არა?

— დიახ, თქვა, რომ წერილები უნდა დაეწერა.

— ბატონ სეროქოლდთან საქმიანი საუბრის სურვილი ხომ არ გამოუმჟღავნებია?

— არა, — მისს მარფლმა დაუმატა: — იციო, მათ მანამდე საუბრეს ცოტახნით.

— ისაუბრეს? როდის? მე გავიგე, რომ ბატონი სეროქოლდი მწორედ სადილისთვის დაბრუნდა.

— სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბატონი სეროქოლდი პარკში რომ შემოვიდა, ბატონი გულბრანდსენი მიეგება მას და ტერასაზე ერთად სეირნობდნენ.

— კიდევ ვინ იცის ეს ამბვი?

— მე მგონი, არაფინ, — თქვა მისს მარფლმა, — თუ რა თქმა უნდა, ბატონმა სეროქოლდმა არ უთხრა ქალბატონ სეროქოლდს. მე მხოლოდ შემთხვევით გავიხედე ფნჯრიდან, ჩიტებს ვუთვალთვალებდი.

— ჩიტებს?

— ჩიტებს, — თქვა მისს მარფლმა და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა, — ჭივჭივების გადაფრენა მეგონა.

ინსპექტორ კარის არ აინტერესებდა ჭივჭივები.

— ხომ არ... — იკითხა მან დელიკატურად, — შემთხვევით ხომ არ გაგიგონიათ, რაზე საუბრობდნენ?

გულუბრყვილო თვალები შეხვდა ინსპექტორის თვალებს.

— სამწუხაროდ, მხოლოდ თითო-ორი სიტყვა აღწევდა ჩემამდე, — თქვა მისს მარფლმა ნაზად.

— მაინც რა გაიგონეთ?

მისს მარფლი ცოტა ხნით გაჩუმდა, შემდეგ თქვა:

— მე არ ვიცი, მათი საუბრის ძირითადი საგანი რა იყო, მაგრამ იმ წუთში მათ ერთი რამ აწუხებდათ, როგორმე დაემალათ ქალბატონი სეროქოლდისთვის ის, რაზეც საუბრობდნენ. ბატონი გულბრანდსენი აღნიშნავდა, რომ უნდა გაფრთხილებოდნენ ქალბატონ სეროქოლდს. ბატონმა სეროქოლდმა კი თქვა: გეთანხმებით, ორივენი ხშირად ახსენებდნენ „დიდ პასუხისმგებლობას“ და, რომ მათ, სასურველია, „ვინმესგან რჩევა მიიღონ“.

მისს მარფლი შეჩერდა.

— ვფიქრობ, უმჯობესია, თვით ბატონ სეროქოლდს ჰკითხოთ.

— ასეც მოვიქცევი, მაგრამ სხვა არაფერს განუცვიფრებინართ ამ საღამოს?

მისს მარფლი ჩაფიქრდა.

— ყველაფერი ისე უჩვეულო იყო, ხომ იცით, რასაც ვგულისხმობ...

— რა თქმა უნდა.

მისს მარფლის გონებაში რაღაცამ გაიელვა.

— იყო კიდევ ერთი უცნაური ამბავი, ბატონმა სეროქოლდმა ხელი შეუშალა ქალბატონ სეროქოლდს რაღაც წამლის დაღვევაში, მისს ბელევერი ამან საშინლად აღაშფოთა. — მისს მარფლმა გაიღიმა, თითქოს ნათქვამის შერბილებას ცდილობსო: — მაგრამ ეს რა თქმა უნდა, ისეთი უმნიშვნელო რამაა...

— დიახ, რა თქმა უნდა, კეთილი, მადლობთ, მისს მარფლ.

როცა მისს მარფლი გამოვიდა ოთახიდან, სერჟანტმა ლეიკმა თქვა:

— ხნიერია, მაგრამ გამჭრიახი.

X თავი

ლუის სეროქოლდი შემოვიდა თუ არა კაბინეტში, წამსვე ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ის კარის მოსახურად შებრუნდა და ამით ერთგვარი იდუმალი გარემო შექმნა. შემდეგ მაგიდისაკენ გაემართა, შემოუჭრა და თავის სკამზე დაჯდა, თუმცა ის სკამი, რომელზეც ახლახან მისი მეგობარი იჯდა, თავისუფალი იყო. მისს ბელევერს სხვა სკამი მიეღვა მაგიდასთან ცალი მხრიდან და იმ სკამზე დაესვა ინსპექტორი, რითაც ვითომც უნებლიეთ სკამი შეენახა ლუის სეროქოლდის მოსვლამდე.

როცა დაჯდა, ლუის სეროქოლდმა გადახედა ორ პოლიციელს და ჩაფიქრდა. სახე ნაწამები და გადაღლილი ჰქონდა, ეს იმ კაცის სახე იყო, რომელმაც მკაცრი გამოცდა გაიარა, და იმან, ცოტა არ იყოს, განაცვიფრა ინსპექტორი კარი, რადგან, თუმცა ქრისტიან გულბრანდსენის სიკვდილი უმეტესად თავზარს დასცემდა ლუის სეროქოლდს, გულბრანდსენი მისი ახლო მეგობარი ან ნათესავი არ ყოფილა; მხოლოდ კერი ლუიზის მხრიდან იყვნენ დაახლოებულინი.

ერთი რამ იყო უცნაური, მაგიდები თითქოს შეებრუნებინათ, გეგონებოდათ, ლუის სეროქოლდი ოთახში პოლიციელებისათვის კითხვებზე პასუხის გასაცემად კი არ შემოსულა, არამედ იმისათვის, რომ საგამოძიებო კომისიას უთავმჯდომაროსო. ამან საკმაოდ აღაშფოთა ინსპექტორი კარი.

— ახლა, ბატონო სეროქოლდ...

ლუის სეროქოლდი კვლავ ფიქრებში იყო ჩაძირული. მან ამოიოხრა და თქვა: „რა ძნელი გასარკვევია, რა არის სწორი“.

ინსპექტორმა კარიმ უთხრა:

— ვფიქრობ, ჩვენ უნდა განვსაჯოთ ეს, ბატონო სეროქოლდ. ახლა ბატონი გულბრანდსენის შესახებ. ის მოულოდნელად ჩამოვიდა, რამდენადაც გავიგე:

— სრულიად მოულოდნელად.

— თქვენ არ იცოდით, ჩამოსვლას რომ აპირებდა?

— წარმოდგენაც არ მქონდა.

— და, თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, რისთვის ჩამოვიდა?

ლუის სეროქოლდმა მშვიდად თქვა:

— ოჰ, დიახ, ვიცი, რისთვისაც ჩამოვიდა. მან მითხრა.

— როდის?

— სადგურიდან ფეხით მოვედი. ის სახლიდან მითვალთვალებდა და რომ დამინახა, გამომეგება. სწორედ მაშინ მითხრა, რამ ჩამოიყვანა.

— მისი ჩამოსვლა გულბრანდსენის ინსტიტუტის საქმეებთან ხომ არ იყო დაკავშირებული?

— ოჰ, არა, გულბრანდსენის ინსტიტუტთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

— მისს ბელევერს ეგონა, რომ ამისთვის ჩამოვიდა.

— ბუნებრივია, ასე ეგონებოდა. გულბრანდსენი არც ცდილობდა ეს აზრი ვინმეს შეეცვალა. არც მე მიცდია, რა თქმა უნდა.

— რატომ, ბატონო სეროქოლდ?

ლუის სეროქოლდმა დინჯად თქვა:

— იმიტომ, რომ ჩვენ ორივენი ვთვლიდით, არ იყო საჭირო გაეგოთ მისი ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი.

— ნამდვილი მიზეზი რა იყო?

ლუის სეროქოლდი ერთი-ორი წუთით გაჩუმდა. ამოიხვნეშა.

— გულბრანდსენი ჩამოდიოდა რეგულარულად წელიწადში ერთჯერ მეურვეებთან შესახვედრად. უკანასკნელად სულ რაღაც ერთი თვის წინ ჩამოვიდა. მაშასადამე, ის აღარ უნდა გამოჩენილიყო კიდევ ხუთი თვე ვფიქრობ, ამასთან, ყველასათვის ადვილი მისახვედრი გახდა, რომ ესე-^{ესე-ესე} ის აქ ჩამოიყვანა, რაღაც სასწრაფო უნდა ყოფილიყო. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ნორმალური იქნებოდა, თუ ყველა ამას მაინც საქმიან ვიზიტად ჩათვლიდა, ხოლო ვიზიტის მიზეზად, გადაუდებელ სამეურნეო საქმეებს მიიჩნევდა. რამდენადაც ვიცი, გულბრანდსენი არ ცდილობდა ამ შთაბეჭდილების გაქარწყლებას, ან კიდევ ფიქრობდა, რომ არც უნდა ეცადა. დიახ, ალბათ ეს უფრო აბლოსაა ჭეშმარიტებასთან.

— ვშიშობ, ბატონო სეროქოლდ, რომ არ მესმის თქვენი.

ლუის სეროქოლდმა მაშინვე არ უპასუხა. შემდეგ ცოვად მიუგო:

— გასაგებია, რომ გულბრანდსენის სიკვდილთან დაკავშირებული ფაქტები, რომელიც მკვლელობა იყო, უმეტესად — მკვლელობა, მე უნდა წარმოგიდგინოთ. მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრათ, მე მალეღვებს ჩემი მეუღლის ბედი, მისი სულის სიმშვიდე, მე არ უნდა გკარნახობდეთ, ინსპექტორო, მაგრამ თუ თვითონ გამოძებნიოთ საშუალება, როგორმე დაუშალოთ მას გარკვეული ფაქტები, რამდენადაც ეს მოხერხდება. მადლობელი ვიქნები იცით, ინსპექტორო კარი. ქრისტიან გულბრანდსენი აქ საგანგებოდ ჩამოვიდა, რათა ეცნობებინა ჩემთვის, რომ დარწმუნებული იყო, ჩემს მეუღლეს უმოწყალოდ ნელ-ნელა წამლავდნენ.

— რა-ა?

კარი სექტიკურად გადმოიხარა.

სეროქოლდმა თავი დაუქნია.

— დიახ, ასე იყო. წარმოიდგინეთ, რა თავზარდამცემი იქნებოდა ეს ჩემთვის, მე თვითონ ამდაგვარი ეჭვი არ გამჩენია, მაგრამ როგორც კი ქრისტიანმა ეს მაცნობა, გამახსენდა, რომ ამ ბოლო ხანებში, რაღაც მსგავსი სიმპტომებს უჩიოდა ჩემი მეუღლე და ეს სავსებით ემთხვეოდა გულბრანდსენის ეჭვს. ფეხების კრუნჩხვა, ტყვივლები და დროდადრო ავადმყოფობა — რევმატიზმი ეგონა კერი ლუისს, ყველაფერი ეს კი ზუსტად ემთხვევა დარიხშანით მოწამვლის სიმპტომებს.

— მისა მარფლმა გვიამბო, რომ ქრისტიან გულბრანდსენმა მას გამოკითხა ქალბატონ სეროქოლდის გულის მდგომარეობა.

— ნუთუ? საინტერესოა. შეიძლება, ის ფიქრობდა, რომ გულის საწამლავს ხმარობდნენ, რათა ჩიდაგი მოემზადებინათ მოულოდნელი სიკვდილისათვის, რაც ეჭვს არ გამოიწვევდა. მაგრამ ვფიქრობ, დარიხშანს უფრო გამოიყენებდნენ.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ქრისტიან გულბრანდსენის ეჭვები უსაფუძვლო არ იყო?

— თქ, დიახ, მე ასე ვფიქრობ. ჯერ ერთი, გულბრანდსენი არ ჩამოვიდოდა ჩემთან ამის სათქმელად, ვიდრე არ დარწმუნდებოდა ფაქტების სისწორეში. ის ფრთხილი და ფხიზელი გონების კაცი იყო, დიდად გამჭრიახი, და ძნელად თუ ირწმუნებოდა რამეს.

— ეჭვის დამადასტურებელი რა საბუთები ჰქონდა?

— ამაზე ლაპარაკის დრო აღარ გვქონდა. ჩვენი საუბარი სწრაფად დამთავრდა, მხოლოდ მისი ჩამოსვლის მიზანი გაირკვა და კიდევ, შევთანხმდით, რომ არაფერი გვეთქვა ჩემი მეუღლისათვის, სანამ არ დავრწმუნდებით ამ ფაქტების სისწორეში.

— ვისზე ჰქონდა ეჭვი?

— მას ეს არ უთქვამს, ზუსტად, მგონი, არც იცოდა. შეიძლება ეჭვობდა მხოლოდ, ახლა ვფიქრობ, რომ მას ვილაცახე მართლა ჰქონდა ეჭვი, თორემ რატომ უნდა მოეკლათ?

— არავინ დაუსახელებია?

— არა, არავინ. ჩვენ შევთანხმდით, რომ საგულდაგულოდ გამოვიძიებდით ამ საქმეს. ქრისტიანმა შემომთავაზა, რჩევა დოქტორ გელბრეითს, კროუმერის ეპისკოპოსს ვკითხოთ. დოქტორი გელბრეითი გულბრანდსენების ძველი მეგობარია და ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი მეურვე. ის მეტად ჰკვიანი და გამოცდილი კაცია და შეეძლო მხარში ამოსდგომოდა და ნუგეში ეცა ჩემი მეუღლისთვის, თუ... თუ აუცილებელი იქნებოდა, ჩვენი ეჭვი გაგვემხილა მისთვის. ჩვენ ვფიქრობდით ყურად გველო გელბრეითის რჩევა, მიგვემართა თუ არა პოლიციისთვის.

— საკმაოდ უცნაურია, — თქვა კარიმ.

— გულბრანდსენმა სადილის შემდეგ დაგვტოვა, რათა წერილი მიეწერა დოქტორ გელბრეითისთვის. სწორედ იმ წერილს ბეჭდავდა, როცა ესროლეს.

— რა იცით?

ლუისმა მშვიდად თქვა:

— მე ამოვიღე წერილი საბეჭდი მანქანიდან. აქა მაქვს.

მან გულის ჭიბიდან ამოიღო დაეცეცილი ნაბეჭდი ფურცელი და კარის გაუწოდა.

ამ უკანასკნელმა მკაცრად მიუგო:

— თქვენ არ უნდა ამოგელოთ წერილი, არც ხელი უნდა გეხლოთ რაიმესთვის ოთახში.

— სხვა არაფერს შევხებივარ, ვიცი, მიუტევებელ დანაშაულად მიგაჩნიათ, რაც ჩავიდინე, მაგრამ მე ამის მიზეზი მქონდა. ვიცი, ჩემი მეუღლე მოინდომებდა ოთახში შემოსვლას და ვშიშობდი, წაიკითხავდა იმას, რაც აქ ეწერა. დარწმუნებული ვიყავი, სწორად არ ვიქცეოდი, ალბათ მომავალში რომ დამჭირვებოდა, კვლავ ასე მოვიქცეოდი. რალაც უნდა ვიღონო, რალაც, რომ გადავარჩინო ჩემი უბედური მეუღლე.

ინსპექტორ კარის აღარაფერი უთქვამს. მან ნაბეჭდი ფურცელი წაიკითხა:

„ძვირფასო დოქტორ გელბრეით, თუ შესაძლებელია, გთხოვთ, ჩამობრძანდეთ სტოუნიგეიტში, როგორც კი ამ წერილს მიიღებთ. აქ ძალიან მძიმე მდგომარეობაა და დავიბენი, არ ვიცი, თავი როგორ გავართვა. ვიცი, რა გულითადი სიყვარული გაქვთ შირებთ ჩვენს ძვირფას კერი ლუიზთან, და რაოდენ მნიშვნელოვანი იქნება მისთვის თქვენი აზრი იმ ყველაფერზე, რაც მას აღელვებს. რამდენად აუცილებელია, იცოდეს ყველაფერი? რა გავუმხილოთ ან რა დავუმალოთ? აი, ის კითხვები, რასაც პასუხი ვერ მოვუძებნე.

შორიდან რომ არ მოვუარო, მაქვს მიზეზი იმისა, რომ დარწმუნებული ვიყუ, ამ საყვარელსა და მიაშიტ ქალბატონს ნელ-ნელა წამლავენ. პირველად ამან დაშაეჭვა, როცა...“

აქ წყდებოდა წერილი.

კარიმ თქვა:

— და, როცა ამ ადგილს მიუახლოვდა, ქრისტიან გულბრანდსენს ეს-
როლეს?

— დიახ.

— მაგრამ რაღად ჩატოვეს ეს წერილი საბეჭდ მანქანაში?

— ვფიქრობ, ორი მიზეზი უნდა იყოს — ან მკვლელმა არ იცოდა, ვის
სწერდა გულბრანდსენი და რას ეხებოდა წერილი, ან ძალიან ჩქარობდა, შეი-
ძლება ვინმეს ფეხის ხმა მოესმა და მხოლოდ იმის დროლა პქონდა, გაპარუ-
ლიყო, რათა არავის შეენიშნა.

— და გულბრანდსენმა არც კი მიგანიშნათ ვისზე ეჭვობდა — თუკი მარ-
თლა ეჭვობდა.

ლუისი მცირე ხანს შეყოვნდა და უპასუხა:

— არა. — შემდეგ მოლუშულმა დაუმატა: — ქრისტიანი ძალზე პატიოსა-
ნი კაცი იყო,

— როგორ ფიქრობთ, იმ საწამლავს, დარიშხანია თუ რაღაც, რანაი-
რად აძლევდნენ?

— სწორედ ამაზე ვფიქრობდი, სანამ სადილისთვის ტანსაცმელს ვიცე-
ლიდი, და იმ დასკვნამდე მივედი, რომ საწამლავი შეეძლოთ წამლით, ტონუ-
სის მიმცემი წამლით, შეეპარებინათ ჩემი მეუღლისათვის, რომელსაც იგი სი-
სტემატურად სვამდა. რაც შეეხება საკვებს, ჩვენ ყველა ვიკვებებოდით ერთი
დი იგივე კერძებით და ჩემს მეუღლეს განსაკუთრებულად არაფერს უმზადე-
ბდნენ. ამიტომ ვინმეს შეეძლო საწამლავი წამლის ბოთლში ჩაეყარა.

— ჩვენ იმ წამლის ანალიზი უნდა გავაკეთოთ.

ლუისმა მშვიდად თქვა:

— მე უკვე ავიღე სინჯი. ამ საღამოს, სადილის წინ ავიღე.

მაგიდის უჯრიდან მან საცობიანი პატარა ბოთლი ამოიღო, რომელშიც
წითელი სითხე ესხა.

ინსპექტორმა კარიმ გაოცებულმა თქვა:

— თქვენ ყველაფერს ითვისებდით, ბატონო სეროქოლდ?

— მე მწამს, სწრაფი მოქმედებაა საჭირო. ამ საღამოს მე ხელი შევუშალე
ჩემს მეუღლეს წამლის მორიგი დოზის მიღებაში. ის იხევ იმ ჭიქაშია, ბუ-
ფეტზე დგას, დარბაზში, თვით ტონუსის მიმცემი წამლის ბოთლი კი სასადი-
ლო ოთახშია.

კარი მაგიდისკენ გადაიხარა. მან ხმას დაუწია და გულწრფელად და ში-
ნაურულად პკითხა:

— მაპატიეთ, ბატონო სეროქოლდ, მაგრამ რატომ გინდათ ასე ძალიან
თქვენს მეუღლეს დაუშალოთ? გეშინიათ, შიშმა არ აიტანოს? რა თქმა უნდა,
მისთვის უმჯობესი იქნებოდა, თუ გააფრთხილებდით.

— დიახ, დიახ. შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ, ვფიქრობ, თქვენ ვერ გა-
მიგეთ, თუ ჩემს მეუღლეს კაროლისს არ იცნობთ, ძნელი გასაგებია, ჩემი მე-
უღლე, ინსპექტორო კარი, იდეალისტია, სრულად მიმნდობი პიროვნება, არ
შეგცდები, თუ ვიტყვი, რომ იგი ბოროტებას საერთოდ ვერ ხედავს, არც ეს-
მის და არც თავად დასცდება ბოროტი სიტყვა, მისთვის წარმოუდგენელია.
რომ ვინმეს მისი მოკვლა სურდეს. თუმცა, ეს „ვინმე“ კი არ არის, ეს ის ადა-

მიანია — თქვენ უთუოდ ხედებით ამას — ვინც, ალბათ, ძალიან ახლოსაა და ძვირფასია მისთვის...

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— ჩვენ ვაბედულად უნდა შევხედოთ ფაქტებს. აგერ აქვე, ჩვენს ცხვირ-წინ ორასამდე ბიჭის გამრუდებული ცხოვრებაა. ესენი ხშირად ცდილობენ უხეში და უგუნური ქცევით გამოიჩინონ თავი. მაგრამ ამ შემთხვევაში, არც ერთ მათგანზე არ შეიძლება ეჭვის მიტანა. მომწამვლელად ამ ქმედროს ოჯახურ გარემოშია მოკალათებული. გადახედეთ იმ ხალხს, ვინც ამ სახლში ცხოვრობს: მისი მეუღლე, ქალიშვილი, შვილიშვილი, შვილიშვილის ქმარი, მისი გერი, რომელსაც საკუთარი შვილივით ექცევა, მისს ბელევერი, მისი ერთგული კომპანიონი და დიდი ხნის მეგობარი. ყველა ძალიან ახლობელი და ძვირფასია მისთვის — და მაინც ეჭვი გაჩნდა — ნუთუ რომელიმე ამათგანია.

კარიმ დინჯად დაუმატა:

— გარეშენიც ხომ არიან...

— დიახ, გარკვეული აზრით, დოქტორი მავერიკი, კიდევ ერთი-ორი თანამშრომელი, რომელიც ხშირად ჩვენთანაა, არიან მოსამსახურეებიც, მაგრამ გულწრფელად რომ ვთქვა, რა მიზეზი უნდა ჰქონოდათ?

ინსპექტორმა კარიმ თქვა:

— და არის კიდევ ერთი ახალგაზრდა — რა ჰქვია, ედგარ ლოუსონი?

— დიახ. მაგრამ ის ამ ბოლო დროს ჩამოვიდა ჩვენთან. არც მას აქვს რაიმე განსაკუთრებული მიზეზი. ვარდა ამისა, ისიც ძალიან შეეჩვია კაროლინს, როგორც ყველა.

— მაგრამ ის წონასწორობადაკარგული პიროვნებაა. რას იტყვით, თქვენ რატომღა შემოგიტიათ ამ საღამოს?

სეროქოლდმა მოუთმენლად აიქნია ხელი.

— ბავშვურად მოუვიდა. ფიქრადაც არ ჰქონია ჩემთვის რამე დაეშავებინა.

— მაშ რას ნიშნავს ის ორი ნატყვიარი კედელზე? მან თქვენ გესროლათ, არა?

— მას ჩემი მოკვლა არ უნდოდა. მან გაიხუმრა, სხვა არაფერი.

— საკმაოდ სახიფათო ხუმრობაა, ბატონო სეროქოლდ.

— თქვენ არ გესმით. ჩვენს ფსიქიატრს, დოქტორ მავერიკს უნდა ელაპარაკოთ. ედგარი უკანონო ბავშვია. რაკი უმამოა და მდაბიური წარმოშობისა, თავს იტყუებს და ინუგეშებს, ვითომც სახელოვანი კაცის შვილი იყოს. ეს კარგად ცნობილი ფენომენია, მერწმუნეთ. ის თანდათან ადგებოდა გამოსწორების გზას, მაგრამ შემდეგ, რაღაც მიზეზებმა შეაფერხეს. მან წარმოიდგინა, რომ მე „მამა“ ვარ მისი და მელოდრამატული თავდასხმაც მომიწყო. თან რევოლვერს ატრიალებდა და იმუქრებოდა. სულაც არ შევშფოთებულვარ. როცა მან რევოლვერიდან გაისროლა, იატაკზე დაეცა და ტირილი დაიწყო. დოქტორმა მავერიკმა გაიყვანა და დამამშვიდებელი წამალი მისცა. ხვალ დილით ის უეჭველად კარგად იქნება.

— თქვენ არ გსურთ საჩივარი აღძრათ მის წინააღმდეგ?

— ეს ალბათ ძალიან ცუდი იქნებოდა — მისთვის, რა თქმა უნდა.

გულწრფელად რომ გითხრათ, ბატონო სეროქოლდ, ასე მგონია, ის საგიჟეთში უნდა იყოს — ის, ვინც რევოლვერიდან ისვრის, რათა ეგოიზმი დაიკმაყოფილოს... საზოგადოებაზეც უნდა ვიფიქროთ, ხომ ასეა?

— ამ საკითხზე დოქტორ მაგერიეს ესაუბრეთ. — არწმუნებდა ლუისი ინსპექტორს. — ის პროფესიულ აზრს მოგახსენებთ, — დაუმატა მან. — საბრალო ედგარს ნამდვილად არ უსვრია გულბრანდსენისთვის, ის შეემუქრებოდა მოკვლით.

— სწორედ ამ საკითხისკენ მივდივართ, ბატონო სეროქოლდო, როგორც ჩანს, ვიღაცამ შესძლო გარედან შემოსულიყო და ესროლე გულბრანდსენისთვის, ვინაიდან ტერასის კარი ღია იყო. შივ სახლში კი მკვლელისთვის უფრო ვიწრო სარბიელია, და თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რაც თქვენ მიაჩნებთ, სწორედ ამას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. შესაძლებელია, რომ გარდა იმ ქალბატონისა, მისს მარფლისა, რომელიც შემთხვევით თავისი საწოლი ოთახის ფანჯრიდან იყურებოდა, არავინ იცოდა, რომ თქვენ და გულბრანდსენმა განმარტოებით ისაუბრეთ. თუ ასეა, გულბრანდსენისთვის შეიძლებოდა ესროლათ იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ თავისი ეჭვი თქვენთვის გამოეთქვა. რა თქმა უნდა, ჯერ ძალიან ადრეა იმის თქმა, თუ სხვა რა მიზეზები შეიძლება არსებობდეს. ბატონი გულბრანდსენი მდიდარი კაცი იყო, ხომ ასეა?

— დიახ. ის ძალიან მდიდარი კაცი იყო. მას ვაჟები და ქალიშვილები ჰყავს, და შვილიშვილებიც, ყოველი მათგანი უეჭველია დიდ მემკვიდრეობას მიიღებს მისი გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ არა მგონია, რომელიმე მათგანი ინგლისში იყოს. ისინი ყველა სოლიდური და ზედმიწევნით რესპექტაბელური ხალხია, რამდენადაც ვიცი, არც ერთი მათგანი არაა არამზადა.

— მტრები ხომ არ ჰყავდა?

— ვფიქრობ, არ უნდა ჰყოლოდა, ის... ის ნამდვილად არ იყო ამ ტიპის კაცი.

— ასე რომ, ყველაფერი ამ სახლის შიგნით, ამ ოჯახში ტრიალებს, არა? ვის შეეძლო ამ სახლში მყოფთაგან მისი მოკვლა.

ლუისი სეროქოლდმა დინჯად თქვა:

— ჩემთვის ძნელია ამის თქმა. აქ არიან მსახურები, ოჯახის წევრები და ჩვენი სტუმრები. თქვენი აზრით, ყველა მათგანზე შეიძლება ეჭვის მიტანა, არა? მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ, რამდენადაც ვიცი, ყველა გარდა მსახურებისა, დიდ დარბაზში იყო, როცა ქრისტიანი გავიდა, და სანამ მე იქ ვიყავი, არავინ გასულა.

— სულ არავინ?

— ვფიქრობ... — ლუისი დაიძაბა, რომ გაეხსენებინა. — ოჰ, დიახ, შუქი ჩაქრა და ბატონი უოლტერ ჰადი გავიდა შესაკეთებლად.

— ეს ახალგაზრდა ამერიკელია?

— დიახ, რა თქმა უნდა, მე არ ვიცი, რა მოხდა მას შემდეგ, მე და ედგარი აქ რომ შემოვედით.

— უფრო დაწვრილებით ვერაფერს მეტყვით, ბატონო სეროქოლდ?

ლუისი სეროქოლდმა თავი გააქნია.

— არა, ვწუხვარ, ვერ დაგეხმარებით. ეს... ეს სავსებით წარმოუდგენელია...

ინსპექტორმა კარიმ ამოიოხრა და თქვა:

— ბატონ გულბრანდსენს ესროლეს პატარა პისტოლეტიდან, ხომ არ იცით, ვინმეს ამ სახლში აქვს მსგავსი იარაღი?

— წარმოდგენა არა მაქვს. ვფიქრობ, რომ არა.

ინსპექტორმა კარიმ კვლავ ამოიოხრა და თქვა:
 — შეგიძლიათ თქვენებს უთხრათ, მოისვენონ. მათ დილით გავესაუბ-
 რები.

როცა სურთქოლდი ოთახიდან გავიდა, ინსპექტორმა კარიმ ლეიკს უთ-
 ხრა:



- აბა, რას იტყვით?
- იცის, ან ფიქრობს, რომ იცის, ვინც ეს გააკეთა, — თქვა ლე-
 იკმა.
- დიახ, გეთანხმებით. და, სულაც არ მოსწონს...

XI თავი

მეორე დილით საუზმეზე ჩასულ მისს მარფლთან ჯინა მიიჭი და მიესა-
 ლმა.

— პოლიცია ისევ აქ არის, — თქვა მან, — ამჯერად ისინი ბიბლიოთეკაში
 არიან. მათ სავსებით მოხიბლეს უოლი. ვერ გაუგია, რატომ არიან ასე წყნა-
 რად და განმარტოებით. ვფიქრობ, ალტაცებაში მოჰყავს ამ ამბებს. მე — არა,
 მე მეზიზღება ყველაფერი, საშინელება მგონია. როგორ ფიქრობთ, რატომ ვარ
 ასე აღელვებული? იმიტომ, რომ ნახევრად იტალიელი ვარ?

— სავსებით შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში ალბათ ამით აიხსნება,
 რომ გრძნობების გამომჟღავნებას არ ერიდებით.

ეს რომ თქვა, მისს მარფლმა ჩაიღიმა.

— ჯოლი გაავეებულია, — თქვა ჯინამ, მისს მარფლს მკლავზე ჩამოეკიდა
 და სასადილო ოთახისაკენ წაიყვანა. — ვფიქრობ, იმიტომ, რომ პოლიციელებ-
 ზი უფროსობენ; მათ ხომ დანარჩენებივით თავის ჭკუაზე ვერ ატარებს... ალ-
 ექსსა და სტივენს, — განაგრძო გესლიანად ჯინამ, როცა ისინი სასადილო ოთა-
 ხში შევიდნენ, სადაც ეს ორი ძმა უკვე ამთავრებდა საუზმეს, — არაფერი
 ანალვლებთ.

— ჯინა, ძვირფასო, — უთხრა ალექსმა, — რა სასტიკი ხარ. დილამშვი-
 დობისა, მისს მარფლ. ძალიანაც მანალვლებს. მიუხედავად იმისა, რომ არც ისე
 კარგად ვიცნობდი ბიძაშენ ქრისტიანს, მე ეჭვიმიტანილი ვარ. ვფიქრობ, შე-
 ნთვის ეს გასაგებია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ სახლს, როგორც ჩანს, სწორედ დროზე მოვუახლოვდი.
 რაღაც-რაღაცები რომ შეამოწმეს, აღმოჩნდა, რომ ძალიან დიდი დრო დამ-
 ჭირდა ტიშკრიდან სახლამდე მოსასვლელად. იგულისხმება, რომ ეს დრო საქ-
 მარისია იმისათვის, მანქანიდან გადმოვსულიყავი, სახლისთვის შემომევლო
 გვერდითა კარიდან შემოვსულიყავი, გულბრანდსენი მომეკლა და სირბილით
 დავბრუნებულიყავი მანქანასთან.

— სინამდვილეში რას აკეთებდი?

— ვფიქრობ, პატარა გოგონებმა ბავშვობიდანვე უნდა იცოდნენ, არ
 დასვან არადელიკატური კითხვები. რამდენიმე წუთი იდიოტივით ვუყურებდი
 ფარების სინათლის ციალს ნისლში და ვფიქრობდი, რა იქნება, სცენაზე რომ
 გამოვიყენო-მეთქი ასეთი ეფექტი, ჩემს ახალ ბალეტში „ლაიმპაუზი“.

— ხომ შეგეძლო ეს გეამბნა მათთვის.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ხომ იცი პოლიციელების ამბავი, ძალზე თავაზიანად გიხდიან მაღლობას, თან ყველაფერს იწერენ, შენ კი წარმოდგენაც არა გაქვს, რას ფიქრობენ სინამდვილეში, მხოლოდ იმას გრძნობ, რომ სკეპტიკურად არიან განწყობილი.

— როგორ გავიხარებ, ხათაბალაში გახვეულს რომ ვინმე დაგეგმავს. — თქვა სტივენმა თავისი უსიამოვნო, დაუნდობელი ლიმილირებული კრეატივის შიში არა მაქვს! გუშინ საღამოს დარბაზიდან არ გავსულვარ.

ჯინამ წამოიყვირა:

— ნუთუ შეუძლიათ იფიქრონ, რომ რომელიმე ჩვენთაგანია მკვლელი! — მას შავი თვალები გაუფართოვდა და შიში ჩაუდგა.

— არ თქვა ახლა, ვინმე შემოხეტებული იქნებოდაო, — თქვა ალექსმა და მარმელადს დასწვდა, — რა ბანალურია.

მისს ბელვერმა ოთახში შემოიხედა:

— მისს მარფლ, საუზმის შემდეგ ბიბლიოთეკაში უნდა იყო.

— ისევე თქვენ, — თქვა ჯინამ, — ჩვენზე ადრე.

ის ნაწყენი ჩანდა.

— ჰმ, ეს რა იყო? — იკითხა ალექსმა.

— არაფერი გავიგე, — უპასუხა სტივენმა.

— პისტოლეტიდან გაისროლეს.

— იმ ოთახში გაისროლეს, სადაც ძია ქრისტიანი მოკლეს. — თქვა ჯინამ, — ნეტავ რა მოხდა, გარეთაც გაისროლეს.

კარი კვლავ გაიღო და ოთახში მილდრიდ სტრიტი შემოვიდა, მას შავი კაბა ეცვა, ყელზე ონიქსის მძივი ეკეთა, საღამო ისე ჩაილულულა, რომ არავისთვის შეუხედავს და დაჯდა, შემდეგ ჩურჩულით თქვა:

— ჯინა, გეთაყვა, ჩაი მომაწოდე, საჭმელი არაფერი მინდა, მხოლოდ ერთი ნაჭერი დაბრაწული პური.

მან აიღო ცხვირსახოცი და ცხვირი და თვალები დელიკატურად მოიწმინდა, შემდეგ დაიხედა და ძმებს უაზროდ მიაჩერდა, სტივენი და ალექსი უხერხულად შეიშმუშნენ, ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს, მაშინვე აღგზნდნენ და გავიდნენ.

უცებ, მილდრიდ სტრიტმა სხვათაშორის წამოისროლა თუ მისს მარფლის გასაგონად, გაურკვეველი იყო: „შავი ლენტისკ კი არ უკეთიათ!“

— არა მგონია, — თქვა მისს მარფლმა მობოდიშებით, — წინასწარ სცოდნოდათ, რომ მკვლელი მოხდებოდა.

ჯინამ ჩაახველა, მილდრიდ სტრიტმა გესლიანად გახედა.

— უოლტერი სად არის ამ დილით? — იკითხა მან.

ჯინა წამოეწივით.

— არ ვიცი, არ მინახავს.

მრუსვენრად იჯდა, თითქოს დამნაშავე ბავშვიყო.

მისს მარფლი ადგა.

— შე ბიბლიოთეკაში მივდივარ, — თქვა მან.

II,

ლუის სეროქოლდი ბიბლიოთეკაში ფანჯარასთან იდგა, ოთახში სხვა არავინ იყო.

როცა მისს მარფლი ოთახში შევიდა, ის შემობრუნდა, მის შესახვედრად გაემართა და ხელი შეაშველა.

— ვიმედოვნებ, მიუხედავად გადატანილი მღელვარებისა, ცუდად არ გრძნობთ თავს, როცა კაცი პირისპირ შეეჯახება იმას, რაც უეჭველად მკვლელობაა, უდიდესი დარტყმაა მისთვის, მით უმეტეს, თუ აღრუ მსგავსი არაფერი შეხვედრია, ცხოვრებაში.

მისს მარფლს თავმდაბლობა ნებას არ აძლევდა ებასუხნა, რომ მკვლელობა ახალი ამბავი არ იყო მისთვის, ამიტომ მხოლოდ ესა თქვა: სენტ მერი მიღში არც ისე უსაფრთხოა ცხოვრება, როგორც გარედან ჩანსო.

— ამაზრზენი ამბები ხდება სოფელში, გარშემუხებით, — განაცხადა ქალმა. — იქ ისეთ გამოცდილებას იძენს ადამიანი, ქალაქში ვერასოდეს შეიძენს.

ლუის სეროქოლდი მოწყალედ უსმენდა, მხოლოდ ცალი ყურით. მერე სხვათა შორის თქვა:

— თქვენი დახმარება მჭირდება.

— რა თქმა უნდა, ბატონო სეროქოლდ.

— საქმე ჩემს შეუღლეს ეხება — კაროლინს. ვფიქრობ, თქვენ ის გიყვართ, არა?

— დიახ, რასაკვირველია, ის ყველას უყვარს.

— მეც ასე მეგონა, სჩანს, შევცდო. ინსპექტორ კარის ნებართვით უნდა გითხრათ ის, რაც ჯერ სხვამ არავინ იცის, ან, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ერთმა ადამიანმა...

მან მოკლედ უამბო მისს მარფლს ის, რაც ინსპექტორ კარის უამბო წინა ღამით.

მისს მარფლი შეძრწუნდა.

— დაუჭერებელია, ბატონო სეროქოლდ, ეს წარმოუდგენელია.

— მეც ასეთივე გრძნობა დამეუფლა, როცა ქრისტიან გულბრანდსენმა შემატყობინა ეს ამბავი.

— უნდა გითხრათ, რომ ძვირფას კერი ლუიზს ამქვეყნად მტერი არა ჰყავს.

— წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ ჰყოლოდა. მაგრამ თქვენ ხვდებით მთელი ამ ამბის აზრს? მოწამელა — თანდათანობით მოწამელა — წმინდა ოჯახური, შინაური ინტრიგაა, შეიძლება მკვლელი ჩვენი პატარა ერთსულოვანი ოჯახის ერთ-ერთი წევრია...

— ნუთუ ეს მართალია? დარწმუნებული ხართ, რომ ბატონი გულბრანდსენი არ ცდებოდა?

— ქრისტიანი არ ცდებოდა. იმდენად ფრთხილი კაცი იყო, უსაფუძვლოდ არაფერს იტყოდა. გარდა ამისა, პოლიციამ წაიღო კაროლინის წამლის ბოთლი და მისი შიგთავსის ცალკე სინჯი, ორივეგან დარიშხანი აღმოჩნდა. თუმცა ექიმის მიერ არ იყო გამოწერილი. დარიშხანის რაოდენობის დადგენას კი უფრო დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ წამალში რომ არის, ნამდვილად დამტკიცებულია.

— ახლა კიდევ ეს რევმატიზმი, სიარულს რომ უშლის... ყველაფერი ეს...

— დიახ, ფეხების კრუნჩხვა ტიპიურია, რამდენადაც მესმის. თანაც, სანამ

თქვენ ჩამოხვიდოდით, კაროლინს ერთი-ორჯერ კუჭის მწვავე შეტევა ჰქონდა. ქრისტიანის ჩამოსვლამდე ვერც კი წარმოვიდგენდი...

მან შეწყვიტა ლაპარაკი. მისს მარფლმა მშვიდად უთხრა ასე რომ. რუთი მართალი იყო!



კრისტიანული

— რუთი?

ლუის სეროქოლდმა გაიოცა. მისს მარფლს სახე აელეწა.

— ერთი რამ თქვენთვის არ მითქვამს. ჩემი აქ ჩამოსვლა არცთუ ისე შემთხვევითი იყო. თუ ნებას მომცემთ, აგიხსნით — ვშიშობ, მთლად გასაგებად ვერ ვთქვი. გეთაყვა, იქონიეთ მოთმინება.

ლუის სეროქოლდი უსმენდა, რასაც მისს მარფლი უამბობდა რუთის გაურკვეველ წუხილსა და დაყინებაზე.

— საოცარია, — შენიშნა მან, — წარმოდგენაც არ მქონდა.

— ყველაფერი ისე ბუნდოვანი ჩანდა. — თქვა მისს მარფლმა. — რუთმა თვითონაც არ იცოდა, რატომ აეკვიატა ეს გრძნობა. რაღაც მიზეზი ზომ უნდა ყოფილიყო — გამოცდილებით ვიცო, უმიზეზოდ არაფერი ხდება — ის კი დარწმუნებული იყო, რაღაც უბედურება ახლოვდებაო.

ლუის სეროქოლდმა მკაცრად თქვა:

— კეთილი. ეტყობა, ის მართალი იყო. ახლა, მისს მარფლ. ხედავთ, რა მდგომარეობაში ჩავვარდი. ვუთხრა თუ არა კერი ლუიზს ამის შესახებ?

დადარდიანებულმა მისს მარფლმა სწრაფად მიუგო: „ოპ, არა“, — და სახე კვლავ აელეწა. თან ეტვის თვალთ მიაჩერდა ლუისს. მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქრა.

— მაშ, თქვენც ისევე ფიქრობთ, როგორც მე? როგორც ქრისტიან გულბრანდსენი? კერი ლუიზი ჩვეულებრივი ქალი რომ იყოს, ამდენი საფიქრალე ზომ არ გვექნებოდა?

— კერი ლუიზი არ არის ჩვეულებრივი ქალი. მას ნდობა, რწმენა აქვს ადამიანების მიმართ და ამითი ცხოვრობს... ოპ, რა ცუდად გამოვხატავ სათქმელს, მაგრამ მე ვერ მოვისვენებ მანამ, სანამ არ გავიგებთ ვინ...

— დიან, ეს რთული საკითხია. მაგრამ თქვენ ხომ ხედავთ, მისს მარფლ, ამის დამალვაც ერთგვარი რისკია...

— მაშ ასე, თქვენ გინდათ რომ მე... როგორა ვთქვა?... თვალი ვადევნო კერი ლუიზს?

— იცით, თქვენ ერთადერთი პიროვნება ხართ, ვისაც ვენდობი. — უთხრა ლუის სეროქოლდმა გულლიად. — აქ ყველა თითქოს ერთგული ჩანს. არიან კი? თქვენი ერთგულება დიდი ხნიდან მოდის.

— მე ხომ სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ ჩამოვედი. — ჩაურთო მისს მარფლმა საქმიანად.

ლუის სეროქოლდმა გაიღიმა.

— სწორედ მაგიტომ გენდობით.

— ეს ანგარებიანი საქმე უნდა იყოს. — თქვა მისს მარფლმა მობოდიშებით. — მაგრამ ვინ ელოდა გამოჩენას, კერი ლუიზი რომ დაღუპულიყო?

— ფულთან! — თქვა მწარედ ლუისმა. — ბოლოს ყველაფერი ფულთან მიდის, ასე არ არის?

— კეთილი. დარწმუნებული ვარ ამ შემთხვევაშიც ასე იქნება, რადგან

კერი ლუიზი საყვარელი ადამიანია, უდიდესი ადამიანური მომხიბვლელობის პატრონი, და წარმოუდგენელიც კია, ვინმეს არ მოსწონდეს. ^{ვეუძლებელია} მას მტერი ჰყავდეს, როგორც თქვენ ბრძანეთ, ბოლოს ყველაფერ ფულთან მიდის, ვინაიდან ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ბატონე სკრუტონი, ხალხი ხშირად ფულისათვის აკეთებს ყველაფერს.

— ვფიქრობ, ასეა, დიახ. — შემდეგ განაგრძო: — ბუნებრივია, ინსპექტორმა კარიმ უკვე გაითვალისწინა ეს. ბატონი გილფოი ლონდონიდან ჩამოდის დღეს და დაწვრილებით ინფორმაციას მივიღებთ. „გილფოი, გილფოი, ჯეიმსი და გილფოი“ ვეჭილთა მეტად სახელგანთქმული ფირმაა. ამ გილფოის მამა გამგეობის ერთ-ერთი პირველი წევრი იყო. მათ შეადგინეს კაროლინის ანდერძიც და ერიკ გულბრანდსენისაც, მე გასაგები უნდა აგიხსნით...

— მადლობთ, — თქვა მისს მარფლმა კმაყოფილებით. — თორემ იურისპრუდენციაში არაფერი გამეგება.

— ერიკ გულბრანდსენმა კოლეჯს და სხვადასხვა ამხანაგობებსა და საქველმოქმედო საზოგადოებებს დიდძალი ფული შესწირა. აგრეთვე დიდი თანხა დაუტოვა და თანაბრად გაუნაწილა თავის ქალიშვილს, მილდრიდს, და აყვანილ შვილს, პიპას (ჯინას დედას), ხოლო თავისი უზარმაზარი ქონების დარჩენილ ნაწილზე მეურვეობა დააწესა, რომლის შემოსავალსაც გადაურიცხავდნენ კაროლინს მთელი ცხოვრების მანძილზე.

— მისი გარდაცვალების შემთხვევაში?

— მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი თანაბრად უნდა განაწილებულიყო მილდრიდსა და პიპას შორის, მაგრამ თუ ისინი კაროლინზე ადრე გარდაიცვლებოდნენ, მათ შვილებს უნდა დარჩენოდათ.

— ასე რომ, ფაქტიურად ყველაფერ ამას ქალბატონი სტრიტი და ჯინა განაწილებენ.

— დიახ, მართალია გულბრანდსენისასთან ვერ მოვა, მაგრამ თვითონ კაროლინსაც საკმაოდ დიდი ქონება აქვს, რომლის ნახევარიც ამ ოთხი წლის წინათ ჩემზე გადააფორმა. რაც შეეხება დანარჩენ თანხას, მან 10 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუტოვა ჯულიეტ ბელვეერს, ხოლო რაც დარჩა, თანაბრად გაუნაწილა ალექსს და სტივენ რესტარიკებს, თავის გერებს.

— ოპ, — თქვა მისს მარფლმა, — ეს ცუდია, ძალიან ცუდი.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სახლში ყველას ფინანსური ინტერესები ამოძრავებს.

— დიახ, თუმცა, იცით, დაუჯერებელია, რომელიმე ამათგანს მკვლელობის ჩადენა შეეძლოს. მე უბრალოდ არ შემიძლია... მილდრიდი ქალიშვილია მისი და უკვე საკმაოდ კარგად უზრუნველყოფილი. ჯინა ერთგული შვილიშვილია, ის ხელგამწილი და მფლანგველია, მაგრამ ანგარება მისთვის უცხო გრძნობაა, ჯოლი ბელვეერი ფანტიკურად ერთგულია კაროლინის, ორივე რესტარიკი ისე ზრუნავს კაროლინზე, თითქოს მათი ნამდვილი დედა იყოს. მათ იმდენი ფული არ ვააჩნიათ, რომ სალაპარაკო იყოს, მაგრამ კაროლინის შემოსავლის დიდი ნაწილი დაიხარჯა მათი საქმიანობისათვის — განსაკუთრებით ალექსის, უბრალოდ, ვერ დავიჯერებ, რომ რომელიმე ამათგანს შეეძლო განზრახ მოეწამლა კერი ლუიზი, რათა მისი სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობა მიეღო. ამას ვერც დავიჯერებ, მისს მარფლ.

— აქ ჯინას მეუღლეცაა, არა?

— დიახ, — თქვა ლუისმა მკაცრად, — აქ ჯინას მეუღლეცაა.

— თქვენ მასზე ბევრი არაფერი იცით. ძნელი მისაბვედრო არ არის, რომ ის აქ ბედნიერი არ უნდა იყოს. ლუისმა ამოიხვნეშა.



საქართველო

— ის აქაურობას ვერაფრით ვერ შეეგუა, ვერა. მას უნებურად და არც მოსწონს ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა აინტერესებდეს? ის ახალგაზრდაა, უხეში, და ისეთი ქვეყნიდანაა, სადაც კაცი იმ წარმატების მიხედვით ფასდება, რასაც ცხოვრებაში თავისით მიაღწევს.

— მაშინ, როცა ჩვენ აქ ხელმოცარულები გვიყვარს... — თქვა მისს მარფლმა.

ლუის სეროქოლდმა ეჭვიანი, გამჭოლავი მზერა სტუორცნა.

ქალს სახეზე აღმური მოედო და გაუგებრად ჩაიდუდუნა:

— ზოგჯერ ვფიქრობ, იცით, პირიქით უნდა იყოს-მეთქი... მე მხედველობაში მყავს ის ახალგაზრდობა, რომელთაც კარგი მემკვიდრეობა აქვთ და გონივრულად არიან აღზრდილი კარგ ოჯახებში, რომლებსაც შეუღრეკელი ხასიათი და ვაჟკაცობა აქვთ და ამავე დროს, უნარიც — წარმატებას მიაღწიონ ცხოვრებაში. ეს სწორედ ის ხალხია, თუ დაუფიქრდები, როგორც ქვეყანას სჭირდება.

ლუისმა წარბი შეიკრა. მისს მარფლმა სწრაფად განაგრძო, თან უფრო და უფრო ენთუბოდა სახე და უფრო და უფრო არეულად ლაპარაკობდა:

— არ გეგონოთ, არ გაფასებდეთ, რა თქმა უნდა, გაფასებთ, თქვენც და კერი ლუისსაც, თქვენს ნამდვილად კეთილშობილურ საქმესაც ვაფასებ — ქეშმარიტი თანაგრძნობაა, თანაგრძნობა ყველას სჭირდება, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ადამიანია მთავარი, სულ ერთია, იღბლიანი იქნება თუ უიღბლო, ამავე დროს (სამართლიანადაც) იღბლიანებს უფრო მეტი მოეთხოვებათ, მაგრამ ზოგჯერ ზომიერების გრძნობაზეც ვფიქრობ — ოპ, მე თქვენ არ მყავხართ მხედველობაში, ბატონო სეროქოლდ, მე ვერც ვეტყვით ზუსტად, რას ვგულისხმობ, მაგრამ ამ მხრივ ინგლისელები უცნაური ხალხია, მათ ომში მარცხითა და უკანდახევით უფრო მოაქვთ თავი, ვიდრე გამარჯვებებით, უცხოელები ვერასოდეს გაიგებენ რატომ ვამაყობთ დანკირკით, თავად ამგვარი რამის ხსენებას ერიდებიან. მაგრამ ჩვენ კი თითქოს ყოველთვის გვაცბუნებს გამარჯვება... და ისე ვიქცევით, გეგონება, სასიამოვნო არ იყოს ამაზე ტრაბახი. შეხედეთ ჩვენს პოეტებს, რაზე წერენ! მსუბუქი არტილერიის ბრიგადის მეტევაო, პატარა „რივენჯის“ დაღუბვა სპენიშ მეინშიო, კაცი თუ დაფიქრდება, მართლაც უცნაური ხასიათია! — მისს მარფლმა ღრმად ჩაისუნთქა. — ვფიქრობ, რომ უოლტერ ჰადისთვის აქაურობა მეტად უჩვეულოა.

— დიახ, — დაეთანხმა ლუისი, — მესმის თქვენი უოლტერმა ნამდვილად ისახელა თავი ომში. მის მამაცობაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება.

— ეს კი არაფერში არგია, — თქვა მისს მარფლმა გულწრფელად. — ომი ერთია, ყოველდღიური ცხოვრება კი სულ სხვა რამ და, ფაქტიურად, მკვლევლობა რომ ჩაიდინო, ვფიქრობ, ამისათვის სიმამაცეა საჭირო, ან კიდევ, უფრო ხშირად, პატივმოყვარეობაც კი. დიახ, პატივმოყვარეობა.

— მაგრამ ვერ ვიტყვოდი, რომ უოლტერ ჰადს საკმარისი მიზეზი ჰქონდეს.

— მართლა? — ჰკითხა მისს მარტლმა. — მას აქაურობა ეჩვენებოდა. აქედან წასვლა უნდა, თან ჯინას წაყვანასაც აპირებს. და თუ მას მართლა ფული უნდა, ჯინასთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მთელი ფული მიეღო, სანამ გაერკვეოდეს რომელი მათგანი უყვარს.

— რომელი მათგანი უყვარს?... გაიოცა ლუისმა.

მისს მარტლი გაოცებული იყო მგზნებარე რეფორმატორის სიბეცით.

— აი, რას ვამბობ. ორივე რესტარიკი შეყვარებულია ჯინაზე.

— ოჰ, შეუძლებელია, — თქვა ლუისმა დაბნეულად. შემდეგ განაგრძო: — სტივენი ფასდაუდებელია ჩვენთვის, ფასდაუდებელი. მან ისე აიყოლია ეს ყმაწვილები... დააინტერესა, შეაყვარა თეატრი. გასულ თვეში გასაოცარი წარმოდგენა უჩვენეს. დეკორაციები, კოსტიუმები, ყველაფერი. აღმოჩნდა, რომ, რასაც მუდამ ვეუბნებოდი მავერიკს, მართალია: ეს ბიჭები ცხოვრებაში დრამატული სიტუაციების ნაკლებობას მიჰყავს დანაშაულამდე. საკუთარი თავის დრამატულ მდგომარეობაში წარმოდგენა ყველა ბავშვის ბუნებრივი ინსტიქტია. მავერიკი ამბობს... აჰ, დიახ, მავერიკი... მინდა მავერიკმა ინსპექტორი კარი ნახოს ედგართან დაკავშირებით. ყველაფერი ეს უაზრობაა.

— სინამდვილეში რა იცით ედგარ ლოუსონის შესახებ, ბატონო სეროქოლდ?

— ყველაფერი, — თქვა ლუისმა, — ყველაფერი რაც არის, რაც საჭიროა ვიცოდე — მისი წარმოშობა, აღზრდა, საკუთარი თავისადმი უნდობლობა...

მისს მარტლმა შეაწყვეტინა:

— შეეძლო ედგარ ლოუსონს ქალბატონი სეროქოლდის მოწამვლა?

— შეუძლებელია, სულ რამდენიმე კვირის ჩამოსულია. და მაინც უაზრობაა! რატომ უნდა დასჭირებოდა ედგარს ჩემი მეუღლის მოწამვლა? რას მოიგებდა ამით?

— ფაქტიურად არაფერს, რამდენადაც ვიცი. მაგრამ შეიძლება რაიმე უცნაური მიზეზი ჰქონოდა. ხომ იცით, როგორი უცნაური პიროვნებაა.

— თქვენ გულისხმობთ მის თავშეუკავებლობას?

— არა, მთლად ამას არა. რამდენადაც ვატყობ, შემცდარი კაცი უნდა იყოს.

ეს სიტყვები ნათლად არ გამოხატავდა იმას, რასაც მისს მარტლი გრძნობდა: ამას ლუის სეროქოლდიც მიხვდა.

— დიახ, — ამოიოხრა მან, — ის ცდება, საბრალო ბიჭი. არადა, ისეთი აშკარა გაუმჯობესება ეტყობოდა. ვერ გამიგია, რა დაემართა...

მისს მარტლი ცნობისმოყვარეობით წამოიწია.

— დიახ, მეც ეს მაინტერესებდა. თუ...

მან შეწყვიტა საუბარი, რადგან ამ დროს ინსპექტორი კარი შემოვიდა ოთახში.

XII თავი

ლუის სეროქოლდი გავიდა. ინსპექტორი კარი დაჯდა და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა მისს მარტლს.

— მაშ, ბატონმა სეროქოლდმა გთხოვათ გეთვალთვალოთ? — თქვა მან.

— დიას, — დაუდასტურა ქალმა მორიდებით, — იმედო მაქვს საწინააღმდეგო არ გექნებათ...

— არა, რა თქმა უნდა. ვფიქრობ, კარგი აზრია. ბატონმა სეროქოლდმა იცის, რამდენად გამოსადეგი ბრძანდებით ამ საქმეში?

— კარგად ვერ ვავიგე, ინსპექტორო.

— მესმის. ბატონი სეროქოლდი ფიქრობს, რომ თქვენ მხოლოდ მშვენიერი ხანში შესული ქალბატონი ბრძანდებით, რომელიც მის მეუღლესთან ერთად სწავლობდა სკოლაში. — კარიმ თავი დაუქნია ქალს. — ჩვენ კი ვიცით, რომ თქვენ უფრო მეტი ფასი ვაქვთ, მისს მარფლ, არა? დანაშაულში მშვენივრად ერკვევით. ბატონმა სეროქოლდმა იცის დანაშაულის მხოლოდ ერთი ასპექტი — იმედის მომცემი ახალბედები. ზოგჯერ ძალიან მოსაბეზრებელია ეს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ შესაძლოა ვცდებოდე და ძველმოდურიც ვიყო, მაგრამ რამდენი წესიერი ყმაწვილია, რომელსაც ფეხზე დაყენება სჭირდება. მაგრამ პატიოსნება თავისთავად ჯილდოა. როდის იყო, მილიონერები ღირსეული ადამიანებისათვის ეწეოდნენ ქველმოქმედებას. კეთილი, კეთილი, ნუ მომაქცევთ ყურადღებას. მე ძველი ყაიდის კაცი ვარ, მინახავს ბიჭები და გოგონები, რომელთაც ცხოვრებაში არ გაუმართლდათ: მათ ცუდი ოჯახები აქვთ, უიღბლოები არიან და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილები. მაგრამ აქვთ სწრაფვა, მიაღწიონ გამარჯვებას. მეც სწორედ ასეთებისთვის დავტოვებდი ჩემს ფულებს, რომ მქონოდა. მაგრამ ფული მე არასოდეს მექნება, ვიქნები ჩემი პენსიისა და ერთი პატარა ბალისამარა. — მან თავი დაუკრა მისს მარფლს.

— ჩემი ხელქვეითი ბლეიკერი თქვენზე მელაპარაკებოდა წუხელ. მითხრა, კარგად უნდა იცნობდესო ადამიანის უკუღმართ ბუნებას, ახლა კი მომახსენეთ თქვენი აზრი, როგორ ფიქრობთ, ვინ არის საექვო? ის ამერიკელი ჯარისკაცი, ჯინას მეუღლე?

— ეს, — თქვა მისს მარფლმა, — ყველასთვის ხელსაყრელი იქნებოდა ინსპექტორმა კარიმ გულთბილად ჩაიღიმა.


— ერთმა ამერიკელმა ჯარისკაცმა შეუვარებული მომტაცა. — გაიხსენა მან, — ბუნებრივია, ცუდი აზრისა ვარ ჯარისკაცებზე. თანაც უოლტერ ჰადი თავის საზიანოდ იქცევა. არაპროფესიონალის თვალსაზრისიც საინტერესოა. ვის შეიძლებოდა მოეწამლა ქალბატონი სეროქოლდი ასე ჩუმად და ნელ-ნელა?

— კეთილი, — უთხრა მისს მარფლმა საზრიანად. — ადამიანის ბუნება, მოგეხსენებათ, როგორია, მაშინვე ქმარზე მიიტანს ეჭვს, ან კიდევ პირიქით — ცოლზე. პირველი ვარაუდი ყოველთვის ასეთია, როცა საქმე მოწამვლას ეხება. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მე თქვენ ყოველთვის გეთანხმებით. — მიუგო ინსპექტორმა კარიმ.

— მაგრამ, სინამდვილეში, ამ შემთხვევაში... — მისს მარფლმა თავი გააქნია, — არა, გულაზდილად, რომ გითხრათ, ბატონ სეროქოლდზე ამას ვერ ვიტყვი. იმიტომ, რომ, იცით, ინსპექტორო, ის მართლაც ერთგულია თავისი მეუღლისა. რასაკვირველია, მას შეეძლო ამის აშკარად გამომჟღავნება, მაგრამ ასე არ იქცევა. მისი ერთგულება ჩუმია, მაგრამ გულწრფელი. მას უყვარს თავისი მეუღლე და მე სავსებით დარწმუნებული ვარ, არ მოწამლავდა მას.

— რომ არაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ საამისო მიზეზიც არ გააჩნდა ქალბატონმა სეროქოლდმა უკვე დაუმტკიცა მას ფული.

— რა თქმა უნდა. — ცოვად თქვა მისს მარფლმა,  არის სხვა მიზეზებიც, ჯენტლმენმა ცოლის თავიდან მოშორება რომ მოინდომოს, მაგალითად, შეიძლება ახალგაზრდა ქალი უყვარდეს. მაგრამ ამის შესწავლის ვერცხვად ამ შემთხვევაში. ბატონ სეროქოლდზე ვერ იტყვი, რომ სასრყვარულო საქმეებით იყოს დაკავებული. ვშიშობ, — აღმოხდა მას თითქმის სინანულით. — ჩვენ უნდა გამოვრიცხოთ იგი.

— სამწუხაროა, არა? — ინსპექტორმა ჩაიციხა. — ყოველ შემთხვევაში, ის გულბრანდსენს ვერ მოჰკლავდა. ეჭვი არ არის, რომ ერთიმეორეზე აქ ყველაფერი გადაჯაჭვული. ქალბატონ სეროქოლდს ვინც წამლავს, გულბრანდსენიც იმან მოკლა, რათა ხელი შეეშალა მისთვის საიდუმლოს გამჟღავნებაში. ახლა ისა გვაქვს გასარკვევი, თუ ვის ჰქონდა გულბრანდსენის მოკვლის საშუალება გუშინ. ჩვენი ძვირფასი ეჭვმიტანილი — ეჭვი არ არის — ახალგაზრდა უოლტერ ჰადია. სწორედ მან ჩართო მაგიდის ნათურა, რომელმაც დამცველი გადაწვა. ამით საშუალება მიეცა დაეტოვებინა დარბაზი და მრიცხველთან მისულიყო. მრიცხველი კი სამზარეულოს დერეფანშია, რომელიც გადის მთავარ დერეფანში. გასროლის ხმაც სწორედ მაშინ გაისმა, როცა ის დიდი დარბაზიდან იყო გასული. ასე რომ, ის არის ეჭვმიტანილი № 1, რომელიც მშვენიერ ადგილზე იმყოფებოდა, რომ დანაშაული ჩაედინა.

— ეჭვმიტანილი № 2 ვინაა? — იკითხა მისს მარფლმა.

— ეჭვმიტანილი № 2 არის ალექს რესტარიკი, რომელიც მარტო იჯდა ჭიშკართან გაჩერებულ მანქანაში, და იქიდან აქ მოსვლას დიდი ხანი მოანდომა.

— კიდევ ვინმეა? — გადმოიხარა ინტერესით მისს მარფლი და უცებ მოაგონდა, რომ უნდა დაემატებინა: — ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, ამდენი რამ რომ მითხარით.

— ეს თავაზიანობა არ არის, — მიუგო ინსპექტორმა კარიმ. — თქვენი დახმარება მჭირდება. თქვენ თავად მიკარნახეთ ეს, როცა იკითხეთ: „კიდევ ვინმეა?“ ამიტომ თქვენი იმედი მაქვს. თქვენ იქ იყავით, დარბაზში, გუშინ საღამოს, და თქვენ შეგიძლიათ თქვათ, ვინ გავიდა...

— დიახ, დიახ, მე ვალდებული ვარ გითხრათ... მაგრამ შევძლებ? იცით, ისეთი ვითარება სუფევდა...

— თქვენ გულისხმობთ, რომ ყველა უსმენდით იმას, რაც კარს იქით, ბატონი სეროქოლდის კაბინეტში ხდებოდა?

მისს მარფლმა თავი დაუქნია.

— დიახ, ჩვენ ყველანი ისეთი შეშფოთებულები ვიყავით. ბატონი ლოუსონი მართლაც შეშლილს ჰგავდა. გარდა ქალბატონ სეროქოლდისა, რომელიც აუღელვებელი ჩანდა, ჩვენ ყველანი ვშიშობდით, რომ ლოუსონი რაღაც უბედურებას დაატეხდა თავს ბატონ სეროქოლდს. უვიროდა და საზარელ რაჩეებს ამბობდა. — ყველაფერი გარკვევით გვესმოდა, — ჰოდა, არც მუქის გამორთვა შემინიშნავს და არც სხვა რამ.

— თქვენ ფიქრობთ, რომ როცა ეს ამბავი ხდებოდა, ვინმეს შეეძლო დარბაზიდან გაპარვა. დერეფნის გავლა, ბატონი სეროქოლდის მოკვლა და ისევ უკან შემოპარვა?

— ვფიქრობ, ეს შესაძლებელი იქნებოდა...

— შეგიძლიათ დაბეჯითებით თქვათ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში დიდი დარბაზიდან არავინ გასულა?

მისს მარფლი ჩაფიქრდა.

— მე შემიძლია ვთქვა, რომ ქალბატონი სეროქოლდი იქ იყო, რადგან მე მას ვაკვირდებოდი. ძალიან ახლოს იჯდა კაბინეტის კარბანქანის განპირულა. გამაოცა იმან, რომ შეეძლო სიმშვიდევით შეენარჩუნებინა თავი.

— დანარჩენები?

— მისს ბელევერი გავიდა, მაგრამ ვფიქრობ, დარწმუნებულიც ვარ, ეს გასროლის შემდეგ მოხდა. ქალბატონი სტრიტი? ეს კი არ ვიცი. იცით, ის ჩემს უკან იჯდა. ჯინა იქით, მოშორებით ფანჯარასთან იყო, ვფიქრობ, მთელი ამ ხნის განმავლობაში იქვე დარჩა, თუმცა, რა თქმა უნდა, დარწმუნებული არა ვარ. სტივენნი პიანინოსთან იჯდა. მან შეწყვიტა დაკვრა, როცა ჩხუბი გაჩაღდა...

— შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმ მომენტმა, როცა თქვენ გაიგონეთ სროლის ხმა. — თქვა ინსპექტორმა კარიმ. — იცით, ეს ნაცადი ფანდია. ხდება ცრუ გასროლა, რომ დაფიქსირდეს მკვლელობის ჩადენის მომენტი, მაგრამ სინამდვილეში არასწორად ფიქსირდება. თუ მისს ბელევერმა მსგავსი რამ მოამზადა (რაც შორს არის სინამდვილისაგან, მაგრამ რა იცი...), მაშინ ის გავიდოდა, აშკარად, გასროლის შემდეგ, როგორც მოხდა კიდევ. არა, ჩვენ ვერ განვსჯით გასროლის მიხედვით. ქრისტიან გულბრანდსენის დარბაზიდან გასვლიდან იმ მომენტამდე, როცა მისს ბელევერმა ის უკვე მოკლული ნახა, არის შუალედი და ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მხოლოდ ისინი, ვისაც, ცნობილია, რომ არ ჰქონდა დარბაზიდან გასვლის საშუალება. ესენია ლუის სეროქოლდი და ახალგაზრდა ედგარ ლოუსონი, რომლებიც კაბინეტში იყვნენ, და ქალბატონი სეროქოლდი — დარბაზში. სამწუხაროა, რა თქმა უნდა, რომ გულბრანდსენი სწორედ იმ საღამოს მოკლეს, როცა ეს გაუგებრობა მოხდა სეროქოლდსა და ამ ახალგაზრდა ლოუსონს შორის.

— თქვენ ფიქრობთ, სამწუხაროა? — ჩაილაპარაკა მისს მარფლმა.

— ა? თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ჩემი აზრით, — წაიბუტბუტა მისს მარფლმა, — ეს ჩანაფიქრი უნდა ყოფილიყო.

— მაშ, თქვენ ასე ფიქრობთ?

— დიახ, ნებისმიერი მიხედვით, რომ ძალიან უცნაური იყო ედგარ ლოუსონის, ასე ვთქვათ, უცარი გაშმაგება, რადგან უკეთესობა ეტყობოდა უკვე. მას ჰქონდა ეს რაღაც უცნაური კომპლექსი, უმამობით იტანჯებოდა, უინსტონ ჩერჩილი და ვიკონტი მონტგომერი ჩაიჭედა თავში, რაც სავსებით ბუნებრივია ასეთი არეული გონების პატრონისთვის. არ დარჩენია არც ერთი გამოჩენილი ადამიანი, რომ არ ეფიქრა: მამაჩემიაო. მაგრამ, ჩემი ვარაუდით, ვილას ჩასჩიჩინებს, რომ ლუის სეროქოლდია მისი ნამდვილი მამა, რომ სწორედ ლუის სეროქოლდი სდევნის მას, რომ, წესით, ის უნდა ყოფილიყო სტოუნიგეიტის გვირგვინოსანი უფლისწული. ამ ჰკუასუსტმა ბიჭმა იმდენად გაითავისა ეს აზრი, რომ სიმამრებზე მივიდა, და, ადრე იქნებოდა თუ გვიან, აუცილებლად უნდა აეტეხა აყალმაყალი. განა ამაზე უკეთეს შირმას მოიფიქრებს კაცი? ყველას ყურადღება მიპყრობილი ექნებოდა ამ სახიფათო სიტუაციაზე... თანაც თუ ვინმემ წინასწარ მოფიქრებულად უზრუნველყო რევოლვერით...

— ჰმ, დიახ, უოლტერ ჰადის რევოლვერი.

— თქ, ღიან, — თქვა მისს მარფლმა, — მე ამაზე ვფიქრობდი, იცით, უოლტერს არ შეუძლია ადვილად ურთიერთობის დამყარება ადამიანებთან, პირქუშია და უდიერი, მაგრამ, არა მგონია, სულელი იყოს.

— მაშ, თქვენ არ ფიქრობთ, რომ ეს უოლტერს შეუძლო ჩაედინა?

— ვფიქრობ, ყველა ამოისუნთქავდა, ეს რომ უოლტერს ჩაედინა, მეტად უჩვეულად ედერს, მაგრამ ამას იმიტომ ვამბობ, რომ იგი უცხოა ამ სახლში.

— რას იტყვით მის მეუღლეზე? — ჰკითხა ინსპექტორმა კარიმ, — მასაც შეუძლებუქდებოდა მდგომარეობა?

მისს მარფლმა არ უპასუხა. ის ჯინაზე და სტივენ რესტარკზე ფიქრობდა, რომლებიც ერთად იდგნენ მისი ჩამოსვლის პირველ დღეს, და მას გაახსენდა, გუშინ სალამოს ალექს რესტარკი როგორ მიაჩერდა დარბაზში შემოსვლისთანავე ჯინას, ნეტა თავად რას ფიქრობდა ჯინა?

II

ორი საათის შემდეგ ინსპექტორი კარი გადაწვა სავარძელში, გაიზმორა და ამოიოხრა.

— კეთილი, — თქვა მან, — ჩვენ ბევრ რამეს მოვფინეთ ნათელი სერქანტი ლეიკი დაეთანხმა.

— მსახურები გამორიცხულია, — თქვა მან, — ისინი ერთად იყვნენ აკრიტიკულ მომენტში — ისინი, ვინც აქ ცხოვრობენ, ხოლო ვინც აქ არ იძინებს, ყველა შინ იყო წასული.

კარიმ თავი დაუჯრა, მას მეტიხმეტად გადაეღალა გონება.

მან ფიზიოთერაპევტები დაჰკითხა, აღმზრდელები და კიდევ, როგორც თვითონ უწოდებდა, „ორი ყმაწვილი კატორღელი“, რომელთაც რიგის მიხედვით იმ დამით ოჯახის წევრებთან ერთად სადილობა ერგოთ. მათი ნაამბობი ერთმანეთს ემთხვეოდა. კარის შეეძლო ისინიც გამოერიცხა. მათ ქცევა და ხასიათიც კი ერთნაირი ჰქონდათ. არც ერთი მათგანი არ იყო მარტოობის მოყვარული, რაც ხელსაყრელი იყო მათი ალიბისტვის. კარიმ დოქტორი მავერიკი ბოლოსთვის მოიტოვა, რადგან იგი, რამდენადაც შეეძლო განესაჯა, ხელმძღვანელი პირი იყო ინსტიტუტში.

— ახლა კი მას დავუძახოთ, ლეიკ.

ასე რომ, ახალგაზრდა ექიმიც ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა — კოპწია, მოხდენილი, თანაც რალაცნაირად მკაცრად იმზირებოდა პენსნეს იქიდან.

მავერიკმა დაადასტურა თავისი თანამშრომლების ჩვენებები და კარის დასკვნებსაც დაეთანხმა. კოლეჯის მკვიდრ კედლებში ვერსად ნახავდა კაცი რაიმე ღრიჭოს ან საძრომს. ამიტომ ქრისტიან გულბრანდსენის სიკვდილი არ შეიძლებოდა მიეწერათ იმათთვის, ვისაც, „ყმაწვილ პაციენტებს“ უწოდებდა. კარი ისე იყო დაჰიპნოზებული ამ გაცხოველებულ სამედიცინო გარემოცვაში.

— მაგრამ პაციენტები მაინც პაციენტები არიან, ინსპექტორო, — თქვა დოქტორმა მავერიკმა ღიმილით.

ეს ქედმაღლური ღიმილი იყო და ინსპექტორი კარი არ ჩაითვლებოდა

ნორმალურ ადამიანად, ცოტათი რომ არ განაწყენებულიყო მან პროფესიულად უთხრა:

— ახლა, რაც შეეხება თქვენს მოქმედებას, დოქტორო მავერიკე, შეგიძლიათ წარმოგიდგინოთ ამის ანგარიში?

— რა თქმა უნდა, მე ვეცდები ზოგადი მონახაზი გავუდგინოთ და დაახლოებით მაინც გითხრათ, როდის რა მოხდა.

დოქტორმა მავერიკმა დიდი დარბაზი ათის თბუთმეტ წუთზე დატოვა ბატონ ლეისისა და დოქტორ ბაუმგარტენთან ერთად. ისინი დოქტორ ბაუმგარტენის ოთახში შევიდნენ, სადაც სამივენი მკურნალობის მეთოდებზე საუბრობდნენ. ამ დროს მისს ბელვეერი მიიტრა მათთან და დოქტორ მავერიკს სთხოვა დიდ დარბაზში წაპყოლოდა, ეს იყო დაახლოებით ათის ნახევარზე, ის მაშინვე წავიდა დარბაზში, სადაც მთლად მოშვებული და ღონემიხდილი ედგარ ლოუსონი იხილა.

ინსპექტორი კარი შეიშმუშნა.

— ერთი წუთით, დოქტორო მავერიკე, თქვენი აზრით, ეს ყმაწვილი სულით ავადმყოფია?

დოქტორმა მავერიკმა ისევ ქედმაღლურად ჩაილიმა.

— ჩვენ ყველა სულით ავადმყოფები ვართ, ინსპექტორო კარი.

ხუმრობს, გაიფიქრა ინსპექტორმა, მან კარგად იცოდა, რომ ის სულით ავადმყოფი არ იყო, როგორადაც არ უნდა ჩაეთვალა თავი თვით დოქტორ მავერიკს.

— მას შეუძლია პასუხი აგოს თავის ქცევაზე? იცის, რასაც აკეთებს?

— სავსებით.

— მაშინ, მან ბატონ სეროქოლდს რევოლვერიდან რომ ესროლა, მკვლელობის მცდელობა ყოფილა.

— არა, არა, ინსპექტორო კარი, მსგავსი არაფერი იფიქროთ.

წამოდით, დოქტორო მავერიკე, კედელზე ორი ნატყვიარი ვიპოვე. ტყვიას მეტად სახიფათოდ უნდა გაველო ბატონი სეროქოლდის თავთან.

— შეიძლება, მაგრამ ლოუსონს არ ჰქონდა განზრახული ბატონი სეროქოლდის მოკვლა, ან თუნდაც დაჭრა. მას ძალიან უყვარს ბატონი სეროქოლდი.

— მეტად უცნაური გამოხატულებაა სიყვარულისა.

დოქტორმა მავერიკმა აკლავ გაუღიმა. ინსპექტორ კარის ეს ღიმილი აუტანელი მოეჩვენა.

— ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს, წინასწარგანზრახულია. ყოველთვის, ინსპექტორო, როცა თქვენ სახელი ან სახე გავიწყდებათ, ეს იმისი ნიშანია, რომ შეუცნობლად, მაგრამ მაინც გსურთ დაივიწყოთ.

ინსპექტორმა კარიმ უნდობლად შეხედა.

— ყოველთვის, როცა რაღაც წამოგცდებათ, უაზროდ არ ხდება. ედგარ ლოუსონი რამდენიმე ფუტის მოშორებით იდგა ბატონი სეროქოლდისაგან. მას ადვილად შეეძლო სასიკვდილოდ დაეჭრა ის, თუმცა კი ააცდინა, რატომ ააცდინა? იმიტომ, რომ მას უნდოდა აეცდინა, ეს ისე ადვილი გასაგებია. ბატონი სეროქოლდი საფრთხეში არ ყოფილა და თავადაც დარწმუნებული იყო ამაში, ის მიუხედავად ედგარს, რას ნიშნავდა ეს ფესტი — ეს იყო გამოწვევა და ვულისწყრომის გამოხატულება სამყაროს მიმართ, რომელმაც მას წაართვა ბა-

ვშვური ცხოვრების ელემენტარული აუცილებლობა — უსაფრთხოება და სიყვარული.

— ვფიქრობ, უნდა ვნახო ეს ყმაწვილი.

— რა თქმა უნდა, თუ გსურთ. წუხანდელმა მღელვარებამ კუჭი აუშალა, მაგრამ, დღეს უკეთესადაა. ბატონ სეროქოლდს ეს გაუხარებდა.

ინსპექტორი კარი დაჟინებით მიაჩერდა, მაგრამ დოქტორმა მსმენელი, როგორც ყოველთვის, სერიოზული იყო.

კარიმ ამოიოხრა.

— დარიშხანი ხომ არა ვაქვთ? იკითხა მან.

— დარიშხანი? — გაიკვირვა დოქტორმა მავერიკმა. აშკარად მოულოდნელი კითხვა იყო. — რა უცნაური კითხვაა. რატომ დარიშხანი?

— კითხვაზე მიპასუხეთ მხოლოდ.

— არა, არავითარი დარიშხანი არ გამაჩნია.

— მაგრამ რაღაც წამლები ხომ ვაქვთ?

— ოჰ, რა თქმა უნდა, ძილის წამლები, მორფიუმი — ბარბიტურატები, ჩვეულებრივი წამლები.

— ქალბატონ სეროქოლდს თქვენ მკურნალობთ?

— არა, დოქტორი განტერი მარკეტ კიმბლიდან, ოჯახის ექიმი. მე, რა თქმა უნდა, ექიმი ვარ, მაგრამ ფსიქიატრი.

— გასაგებია. კეთილი, დიდი მადლობა, დოქტორო მავერიკ.

როცა დოქტორი მავერიკი გავიდა, ინსპექტორმა კარიმ გადაულაპარაკა ლეიკს, ამ ფსიქიატრებმა თავი მომაბეზრესო.

— ახლა ოჯახის წევრები დაეკიდნოთ, — თქვა მან. — პირველად ახალგაზრდა უოლტერ ჰადს გავესაუბრები.

უოლტერ ჰადი წინდახედული პიროვნება აღმოჩნდა. მან ფრთხილად შეათვალიერა პოლიციელი, ეტყობოდა, უნდოდა მის სულში ჩაეხედა, თუმცა ისინი თანამოაზრეები იყვნენ.

სტოუნიგეიტში ელექტროგაყვანილობა ძალიან დაზიანებული იყო — მთელი სისტემა მოძველებული იყო. ვერც შეედრებოდა იმ გაყვანილობას შტატებში.

— ელექტრობა, დარწმუნებული ვარ, გარდაცვლილმა ბატონმა გულბრანდსენმა გაიყვანა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ელექტროგანათება სიახლეს წარმოადგენდა, — თქვა ინსპექტორმა კარიმ ღიმილით.

— გეთანხმებით! ოჰ, ეს მშვენიერი, ძველი ფეოდალური ინგლისი, დღემდე ასეთი დარჩა...

ის ელექტროდამცველი, რომელიც დიდ დარბაზში განათების რეგულირებას ახდენს, გაფუჭდა, და უოლტერი სწორედ იმის სანახავად გავიდა, შეაკეთა და ისევ დაბრუნდა.

— რამდენი ხნით იყავით გასული?

— ზუსტად ვერ გეტყვით. დამცველის ყუთი ისეთ მოუხერხებელ ადგილასაა, რომ მე კიბისა და სანთლის მოძებნა დამჭირდა. შეიძლება — ათი წუთი, ან შეიძლება, თხუთმეტი.

— გასროლის ხმა გაიგეთ?

— არა, მსგავსი არაფერი გამოგია. სამზარეულოსკენ რომ მიდიხართ, ორმაგი კარებია და ერთ-ერთ მათგანს თქვა აქვს აკრული.

— გასაგებია... და, როცა დარბაზში დაბრუნდით, რა ნახეთ?

— ყველანი ბატონი სეროქოლდის კაბინეტის კართან იყვნენ შეჯგუფული. ქალბატონმა სტრიტმა თქვა. ბატონი სეროქოლდი მოკლესო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო ბატონი სეროქოლდი უვნებელი გადარჩა: იმ სულელმა ააცდინა თურმე.



- თქვენ იცანით რევოლვერი?
- რა თქმა უნდა, ვიცანი! ჩემი იყო.
- უკანასკნელად როდის ნახეთ?
- ორი-სამი დღის წინ.
- სად ინახავდით?
- უჯრაში, ჩემს ოთახში.
- ვინ იცოდა, რომ იქ ინახავდით?
- რა ვიცი, მაგათ ამბავს რას გაიგებ.
- რას გულისხმობთ, ბატონო ჰად?
- ოჰ, აქ ყველანი გიყები არიან!
- როცა დარბაზში დაბრუნდით, ყველა იქ დაგხვდათ?
- ვის გულისხმობთ ყველაში?
- იმ ხალხს, დარბაზში რომ დატოვეთ, როცა დამცველის შესაკეთებლად წახვედით.

— ჯინა იქ იყო... ჭაღარა, ხანში შესული ქალბატონი და მისს ბელევერი... განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია ამისათვის. მაგრამ, მე მგონი, არ ვცდები.

— ბატონი გულბრანდსენი მეტად მოულოდნელად ჩამოვიდა გუშინწინ, არა?

— დიახ, მაგრამ არა მგონია, თავის ჩვეულებრივ საქმეებზე ჩამოსულიყოს.

— ვინმე ხომ არ აუღელვებია მის ჩამოსვლას?

უოლტერ ჰადი ცოტა ხანს ჩაფიქრდა, სანამ უპასუხებდა:

- არა, ამას ვერ ვიტყვოდი.
- ინსპექტორმა მის ქცევაში წინდახედულება კიდევ ერთხელ შენიშნა.
- თქვენ ხომ არ იცით, რისთვის ჩამოვიდა?
- გულბრანდსენის ამ ძვირფასი სამეურვეოს გამო, მე მგონი, მთელი „შემადგენლობა“ გაგიყებულა.

— თქვენ გყავთ ასეთი „შემადგენლობა“, როგორც თქვენ ამბობთ, შტატებში?

— ერთია კაპიტალის შეწირვა კოლეჯის შესანახად და მეორე — მორალური ზემოქმედების მოხდენა ადამიანებზე, რასაც აქ მიმართავენ, საკმარისად გვყავდა არმიაში ფსიქიატრები და ვიცნობ მაგათ. აქაც მრავლად ირევიან, დგანან და ამ ახალგაზრდა თავზეხელაღებულებს ჩალის კალათების მოწნასა და ჩიბუხების გამოთლას ასწავლიან. ბავშვური თამაშებია! გულისამაჩუყებელი!

ინსპექტორ კარის ამ კრიტიკაზე არაფერი უთქვამს. შესაძლოა, ეთანხმებოდა კიდევ. ყურადღებით შეათვალიერა უოლტერი:

- მაშ, თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ, ვის შეეძლო მოეკლა ბატონი გულბრანდსენი?
- ალბათ ერთ-ერთ მარჯვე ბიჭს კოლეჯიდან, რომელიც თავის ოსტატობას სრულყოფდა.

— არა, ბატონო ჰად, ეს გამორიცხულია. კოლეჯი, მიუხედავად აქ საგულ-
დაგულოდ შექმნილი თავისუფალი ატმოსფეროსი, მაინც საბატონოა. რო-
გორც კი მოსაღამოვდება, თავისუფლად ვერც ვერავინ შევა კოლეჯში და
ვერც ვერავინ გამოვა იქიდან, რომ მკვლელობა ჩაიდინოს.

— მე მათ გვერდს არ ივუვლიდი! ისე, თუ თქვენ გსურთ, შეიძლება შე-
აჩერეთ ახლობლებზე. ალექს რესტარიკზე გეუბნებით.

— ამას რატომ ამბობთ?

— მას ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, მანქანით მარტო შემოვიდა ბა-
ღში.

— რატომ უნდა მოეკლა მას ქრისტიან გულბრანდსენი?

უოლტერმა მხრები აიჩეჩა.

— მე აქ უცხო ვარ. არ ვიცი, რა ურთიერთობებია ოჯახში. შეიძლება იმ
კაცმა რამე გაიგო ალექსის შესახებ და უნდოდა სეროქოლდისათვის გაემ-
ხილა.

— მერე, ამას რა მოჰყვებოდა?

— მემკვიდრეობას ჩამოართმევდნენ. მას კი ფული სჭირდება — საკმაოდ
დიდი ფული, როგორც ამბობენ.

— თქვენ თეატრალურ საქმიანობას გულისხმობთ?

— თვითონ ასე ეძახის.

— მაშ, თქვენი აზრით რა არის?

უოლტერ ჰადმა კვლავ აიჩეჩა მხრები.

— წარმოდგენა არა მაქვს, — თქვა მან.

X I I I თ ა ვ ი

ალექს რესტარიკი სიტყვაუხვი იყო, თანაც ლაპარაკის დროს ხელებს
იქნევდა.

— ვიცი, ვიცი! მე იდეალური ექვმიტანილი ვარ. მე აქ მარტო ჩამოვედი
მანქანით და სახლისკენ მომავალს შემოქმედებითი განწყობილება შემექმნა.
სულაც არ მოველი, რომ თქვენ ამას გაიგებთ, ან როგორ უნდა გაიგოთ?

— როგორმე შევძლებ, — ჩაურთო კარიმ ცივად, მაგრამ რესტარიკმა
განაგრძო.

— ასე ხდება საერთოდ. ვერც გაიგებ, ისე უეცრად დაგეუფლება შთა-
გონება. აზრი — იდეა — სხვა ყველაფერი უკვალოდ ქრება! მე
მომავალ თვეში „ლაიმჰაუზის ლამეებს“ ვდგამ. მოულოდნელად, წუხელ შე-
საფერი გარემო შეიქმნა... იდეალური განათება. ბურუსი... ფარების შუქი
ჭრიდა ბურუსს, ისევ უკან ირეკლებოდა და ამ შუქში ბუნდოვნად მოჩანდა
მაღალი შენობები. ყველაფერი ხელს მიწყობდა! გასროლები, გაქცეული კა-
ცის ნაბიჯების ხმა და ელექტრომობტორის გუგუნე — ეს შეიძლებოდა ყო-
ფილიყო მდინარე ტემზაზე მიმავალი კატერის ხმა და ასეც ჩავთვალე. მაგრამ
რა უნდა მელონა, რომ სცენაზე მსვავსი ეფექტი მიმელო? და..

ინსპექტორმა კარიმ შეაწყვეტინა:

— გასროლის ხმა გაიგეთ? სად გაიგეთ?

— ბურუსში, ინსპექტორო, — ალექსმა ხელები ჰაერში შეათამაშა, ფუნ-

თუმა, კარგად მოვლილი ხელები ჰქონდა, — ბურუსიდან მოისმა. საოცარი მომენტი იყო.

— თქვენ არ მოგეჩვენათ, რომ რაღაც ცუდი ამბავი ხდებოდა?

— ცუდი? რატომ უნდა მომჩვენებოდა?

— ნუთუ სროლა ასეთი ჩვეულებრივი ამბავია? *სროლა*

— აჰ, ვიცოდი, ვერ გამიგებდით! გასროლის ხმებში *სროლა* მოერგო იმ სცენას, რომელსაც მე ვქმნიდი. მე მჭირდებოდა გასროლის ხმები, ხიფათი — თრიაქი—სიგიჟეები. რაში მაინტერესებდა, სინამდვილეში რა ხდებოდა? შეიძლება სადღაც გზაზე სატვირთო მანქანამ ჩაიარა და იმის ძრავა გამოსცემდა ასეთ ხმას, ან ვიღაც ბრაკონიერმა ბოცვერს ესროლა?

— ჩვეულებრივ, აქ მახეს უგებენ ბოცვერს.

ალექსმა ისევ განაგრძო:

— ან, ბავშვმა შუშხუნები აუშვა. მე სულაც არ ჩამითვლია, რომ ეს სროლის ხმა იყო. მე ფიქრით „ლაიმპაუზში“ ვიყავი, უფრო სწორად, კულისებში, და „ლაიმპაუზს“ ვუყურებდი.

— რამდენი გასროლა იყო?

— არ ვიცი, — თქვა გაღიზიანებულმა ალექსმა, — ორი თუ სამი; ორი — ზედიზედ, ეს კი მახსოვს.

ინსპექტორმა კარიმ თავი დაუქნია.

— მგონი, გაქცეული კაცის ნაბიჯების ხმა ახსენეთ, არა? საიდან მოისმოდა?

— ბურუსიდან. სადღაც სახლთან ახლოს უნდა ყოფილიყო.

ინსპექტორმა კარიმ მშვიდად ღჭვა:

— ეს იმას მოწმობს, რომ ქრისტიან გულბრანდსენის მკვლელი გარედან იყო შემოსული.

— რა თქმა უნდა, რატომაც არა? თქვენ ნამდვილად არ ფიქრობთ, რომ ვინმე სახლში მყოფთაგანმა გაისროლა?

ინსპექტორმა კარიმ ისევ მშვიდად თქვა:

— ჩვენ იძულებული ვართ ყველაფერი ვივარაუდოთ.

ინსპექტორო! — თქვა ალექს რესტარიკმა დიდსულოვნად. წვრილმანები, გაუთავებელი წვრილმანები, როდის მოხდა, სად მოხდა... და ბოლოს რა გამოდის აქედან? ეს გააცოცხლებს უბედურ ქრისტიან გულბრანდსენს?

— დამნაშავის დაჭერაც სრულიად საკმარისია, ბატონო რესტარიკ.

— ეს ველური დასავლეთის მიდგომაა!

— თქვენ კარგად იცნობდით ბატონ გულბრანდსენს?

— არც ისე კარგად, რომ მომეკლა, ინსპექტორო. მე მას ვხვდებოდე შიგადაშიგ ბავშვობიდან, მას შემდეგ, რაც აქ დავსახლდი, ის დროდადრო თუ გამოჩნდებოდა ხოლმე. ჩვენი საქმის ერთ-ერთი თავკაცია როგორც ტიპი, არ მაინტერესებდა. მას რაღაც კოლექცია აქვს, თუ არ ვცდები, მგონი, ტორვალდსენის ქანდაკებები... — ალექსს გააჩრუოლა. — ეს მის პიროვნებაზე მეტყველებს, არა? ღმერთო ჩემო, ეს მდიდრები...

ინსპექტორმა კარიმ ის გულდაგულ შეათვალიერა და ჰკითხა.

— საწამლავებში ერკვევით, ბატონო რესტარიკ?

— საწამლავებში? არ თქვათ ახლა, ჯერ მოწამლეს და მერე ესროლესო. ეს მეტად გიჟური დეტექტივი იქნებოდა.

— ის არ მოუწამლავთ. თქვენ ჩემს კითხვაზე არ გიპასუხიან.

— საწამლავს თავისებური მიმზიდველობა აქვს... მას არ ახასიათებს (რე-
ვოლვერის ან სხვა იარაღის მსგავსად ტყვიის სიტლანქე, ამ საკითხზე გარ-
კვეული ცოდნა მე არა მაქვს, თუ ამას გულისხმობთ.

— ოდესმე გჭონიათ დარიშხანი?

— სენდვიჩებში — როგორც წარმოდგენაშია? დაღწე—მცოდნეობა იდეაა.
როუზ გლაიდონს ხომ არ იცნობთ? ოპ, ეს მსახიობები, სახელმწიფოებრივები
ვართო, რომ ჰგონიათ! არა, დარიშხანზე არასოდეს მიფიქრია. დარწმუნებუ-
ლი ვარ, რაღაც შხამიანი ბალახის ან ბუზსაჭერი ქალაქისგან მიღებული ნა-
ყენი იქნება.

— ხშირად ჩამოდიხართ აქ, ბატონო რესტარო?

— გააჩნია, ინსპექტორო. ზოგჯერ რამდენიმე კვირით გადავიკარგები
ხოლმე, მაგრამ ვცდილობ, კვირის ბოლოს ყოველთვის ჩამოვიდე, როცა კი
მოვახერხებ. სტოუნიგეიტს ყოველთვის საკუთარ ოჯახად ვთვლიდი.

— ეს ქალბატონი სეროქოლდის დამსახურებაა?

— ქალბატონი სეროქოლდის ვალს ვერასოდეს გადავიხდი. სიმპათია,
თანაგრძნობა, სიყვარული...

— და საკმაოდ სოლიდური თანხა ამავე დროს, არა?

— ალექსს აღშფოთება დაეტყო.

— ის მე შვილივით მიყურებს და სწამს ჩემი საქმიანობისა.

— ოდესმე თუ უსაუბრია თქვენთან თავის ანდერძზე?

— რა თქმა უნდა. მაგრამ შეიძლება გკითხოთ, რატომ მისვამთ ასეთ
კითხვებს, ინსპექტორო? ქალბატონ სეროქოლდს ხომ არაფერი შემთხვევია?

— სჯობდა არ შემთხვეოდა, — უთხრა ინსპექტორმა მკაცრად.

— რას გულისხმობთ?

— თუ არ იცით, მით უკეთესი, — თქვა ინსპექტორმა კარიმ, — და,
თუ იცით, გაფრთხილდით.

როცა ალექსი გავიდა, სერუანტმა ლეიკმა თქვა:

— საოცრად ყალბი პიროვნებაა, ასე არ არის?

კარიმ თავი გააქნია.

— ძნელი სათქმელია. შეიძლება ჭეშმარიტი შემოქმედებითი ნიჭი არ
ასვენებს. შეიძლება უწყინარი ახალგაზრდაა, ოღონდ ეგაა, ბაქიაობა უყ-
ვარს. ვინ იცის, მართლა გაიგონა გაქცეულის ნაბიჯების ხმა? შემიძლია და-
გენიძლავოთ, რომ ეს მისი გამოგონილია.

— გარკვეული მოსაზრებით?

— გარკვეული მოსაზრებით. ჩვენ ჯერ იქამდე არ მივსულვართ, მაგრამ
მივალთ.

— ბოლოს და ბოლოს, სერ, ერთ-ერთი იმ გაქნილ ყმაწვილთაგანი შე-
იძლებოდა შეუმჩნევლად გამოსულიყო კოლეჯის შენობიდან. ალბათ რამდენ-
იმე ბინის ქურდიც იქნება მათ შორის, და თუ ასეა...

— სხვებს ჰგონიათ, რომ ჩვენ სწორედ ასე ვფიქრობთ; ხელსაყრელი-
ცაა, თავს დავდებ, რომ ასეა, ლეიკ.

II

— მე პიანინოსთან ვიჯექი, — თქვა სტივენ რესტაროკმა. — კლავიშებს
ფრთხილად ვაქდერებდი, როცა ლუისსა და ედგარს შორის ჩხუბი ატყდა.

— თქვენ რა გაიფიქრეთ ამ დროს?

— მართალი რომ გითხრათ, სერიოზულ ამბად არც ჩამიფიქრია, ის საბრალო ისედაც ხშირად ანთხევს ღვარძლსა და ბოლმას. იცოდა, ის მართლა გიჟი კი არ არის. მთელი ეს სისულელე სხვა არიფერია, თუ არა დაგუბებული გრძნობების გულიდან ამოხეთქვა. მართალი თუ გნებავთ, თქვენ ნაკლებნი ნერვებს ვუშლით მას, განსაკუთრებით კი ჯინა, რა თქმა უნდა.

— ჯინა? თქვენ ქალბატონ ჰადს გულისხმობთ: რატომ უშლის მას ნერვებს?

— იმიტომ, რომ ის ქალია, და თანაც ლამაზი ქალი. კიდევ იმიტომ, რომ ის თვლის, ედგარი სასაცილოდ იქცევა! ჯინა ნახევრად იტალიელია, ხომ იცით, იტალიელებს კი გაუცნობიერებელი უღმობღობა ახასიათებთ არავის მიმართ არ გრძნობენ სიბრალულს, არც მოხუცის და არც მახინჯის მიმართ, არც ცოტა თავისებური, უცნაური აღამიანები ებრალემათ თითოთ ჩვენება, დაცინვა უყვართ, სწორედ ამას აკეთებდა ჯინა, მეტაფორულად რომ ვთქვათ. აბუჩად იგდებდა ედგარს, ედგარი სასაცილო იყო, მედიდური და არსებითად სრულიად დაურწმუნებელი საჯუთარ თავში მას უნდოდა შთაბეჭდილება მოეხდინა, და მხოლოდ იმას ძილწია, რომ სულელურად გამოიყურებოდა ჯინას სულაც არ აწუხებდა, საბრალო ბიჭი ასე რომ იტანჯებოდა.

— თქვენ ამის თქმა გსურთ, რომ ედგარ ლოუესონს ქალბატონი ჰადი უყვარს? — იკითხა ინსპექტორმა კარომ.

სტივენმა მზიარულად უბასუხა:

— ოპ, დიას ბინამდვილესი მეტნაკლებად ყველა შეყვარებული კართ, ჯინა ყველას ასეთი მოგვწონს.

— მის მეუღლეს თუ მოსწონს ეს ამბავი?

— ძალზე გულგატეხილია. ისიც იტანჯება, საბრალო ბიჭი. იცით, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს, მე მხედველობაში მაქვს მათი ქორწინება! ადრე თუ გვიან ამას ბოლო უნდა მოედოს, თმი რომ არა, ისინა ერთმანეთს ვერც შეხვდებოდნენ.

— ეს ყველაფერი საინტერესოა... — თქვა ინსპექტორმა. — მაგრამ ჩვენ გადაფუხვიეთ საუბრის მთავარ საგანს: ვინ არის ქრისტოან გულბრანდსენის მკვლეელი?

— მართლაც, — თქვა სტივენმა, — მაგრამ მე ვერაფერს გეტყვით ამის თაობაზე, მე პიანინოსთან ვიჯექი და არც მიმიტოვებია, სანამ ჩვენი ძვირფასი ქალი არ შემოვიდა რაღაც დაეახვული ძველი გასაღებებით ხელში. მან სცადა ერთ-ერთი მათგანი კაბინეტის კარისთვის მოერგო.

— თქვენ პიანინოსთან დარჩით და დაკვრა განაგრძეთ?

— თქვენ ფიქრობთ, ჩაზი თბლიგატო ვუძღვენი ლუისის კაბინეტში გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას? არა, მე დაკვრა შეწყვიტა, როცა სიტუაცია დაიბადა. იმიტომ კი არა, რომ რაიმე ეჭვი შემეპარა ამ ამბის კეთილად დასრულებაში ლუისს, ისეთი მომხუხუხავი თვალები აქვს, რომ თავისუფლად შეუძლო მხოლოდ მზერით შეეჩერებინა ედგარი.

— და ძაიხც ედგარ ლოუესონმა მას ორჯერ ესროლა.

სტივენმა თავი გააქნია.

— ეს მხოლოდ სცების გათამაშება იყო, თავისთვის ერთობოდა. დედაჩემმა იცოდა ხოლმე ასე, ოთხი წლისა ვიყავი, როცა ის მოკვდა თუ გაიქცა.

ვილაც კაცთან ერთად, არ ვიცი, მაგრამ მახსოვს, როგორ ხტრიალებდა ხოლმე პისტოლეტს, როცა განრისხდებოდა. ერთხელ დამის კლუბშიც ამოიღო რევოლვერი და კედელს დაღი დაასვა. საუკეთესო მსროლელი ვახლდათ. ცოტა აურზაური გამოიწვია. ის რუსი მოცეკვავე იყო. ხომ იცით?

— რა თქმა უნდა. შეგიძლიათ მითხრათ, ბატონო რესტარაციონი გავიდა დარბაზიდან გუშინ ღამით, როცა თქვენ იქ იყავით? შიშ-შიშითაა

— უოლი შუქის ჩასართველად გავიდა, ჯულიეტ ბელევერი — გასაღების მოსაძებნად, კაბინეტის კარისათვის რომ მოურჯო. სხვა არავინ, რამდენადაც ვიცი.

— შეამჩნევდით, ვინმე რომ გასულიყო?

სტივენნი ჩაფიქრდა.

— ალბათ ვერა, თუკი თითისწვერებზე გაიპარებოდა და ასევე შემობარებოდა. დარბაზში ხომ ძალზე ბნელოდა, ამასთან კაბინეტში ხელჩართული ბრძოლა იყო. რომლისკენაც მთელი გულისყური გვქონდა მიპყრობილი.

— ვინმეში თუ ხართ დარწმუნებული, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში დარბაზიდან არ გასულა?

— ქალბატონი სეროქოლდი, დიახ, და ჯინა. შემიძლია დავიფიცო.

— მაღლობთ, ბატონო რესტარაცი.

სტივენნი კარისაკენ წავიდა. წამით შეჩერდა და დაბრუნდა.

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი? — იკითხა მან. — დარიშხანზე მოგახანებთ.

— თქვენ ვინ გითხრათ დარიშხანის შესახებ?

— ჩემმა ძმამ.

— აჰ, დიახ.

სტივენმა იკითხა:

— ქალბატონ სეროქოლდს დარიშხანს ასმევდა ვინმე?

— რატომ ახსენეთ ქალბატონი სეროქოლდი?

— მე წაკითხული მაქვს დარიშხანით მოწამვლის სიმპტომები. პერიფერიული ნევრიტი, არა? ცოტათ თუ ბევრად ემთხვევა იმას, რაც ამ ბოლო დროს მას სტანჯავს. და კიდევ, ლუისმა ხელი აუკრა, როცა ტონუსის მიმცემაში წამლის მიღებას აპირებდა წუხელ. მისი მოწამვლა ხომ არ უნდათ?

— ეს საკითხი ჯერ კიდევ გასარკვევია, — ოფიციალური კილოთი განაცხადა ინსპექტორმა კარიმ.

— თვითონ ქალბატონმა სეროქოლდმა იცის ამის შესახებ?

— ბატონი სეროქოლდი საოცრად მოწადინებული იყო, რათა ის არ აღელვებინათ ამ ამბით.

— აღელვება ის სიტყვა არ არის, ინსპექტორო, ქალბატონი სეროქოლდი არასოდეს მინახავს აღელვებული... ეს ამბავი ხომ არ დგას ქრისტიან გულბრანდსენის მკვლელობის უკან? მას ხომ არ აღმოუჩენია, რომ ქალბატონ სეროქოლდს წამლაედნენ, თუმცა ის როგორ აღმოაჩენდა? და მაინც მთელი ეს ამბავი მეტად უჩვეულო ჩანს, რაღაც უაზრობაა.

— თქვენ ამან ძალიან გაგაოცათ, ბატონო რესტარაცი, არა?

— დიახ, რა თქმა უნდა. როცა აღექსმა მიამბო, ვერაფრით დავიჯერე.

— თქვენი აზრით, ვის შეეძლო მიეცა დარიშხანი ქალბატონი სეროქოლდისათვის?

წამით სტივენ რესტარიკს დამცინავმა ღიმილმა გადაუარა მშვენიერ სახეზე.

— ჩვეულებრივი ადამიანი ამას არ ჩაიდენდა. თქვენ შეგიძლია მეუღლე გამორიცხოთ. ლუის სეროქოლდი ამით ვერაფერს მოიგებდა, ამასთანავე ის თაყვანს სცემს ამ ქალს. გადაიჩევა, ჩეკიც რომ წამოსტუმრებოდა?

- მაშ, ვინ არის? გაქვთ რაიმე მოსაზრება?
- ოპ, დიახ, უნდა გითხრათ, ეს უდავო ფაქტია.
- ამიხსენით, გეთაყვა.

სტივენმა თავი გააქნია.

— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს უდავო ფაქტია, სხვა არაფერი. ხომ არავითარი სამხილი არ არსებობს? თქვენ ალბათ არც დამეთანხმებით.

სტივენ რესტარიკი უდარდელად გავიდა, ინსპექტორმა კარიმ კი ფურცელზე კატების ხატვა დაიწყო. ის სამ რამეზე ფიქრობდა: 1. რომ სტივენ რესტარიკს დიდი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე; 2. რომ სტივენ რესტარიკმა და მისმა ძმამ ერთიანი ფრონტი წარმოადგინა; და 3. რომ სტივენ რესტარიკი ლამაზი მამაკაცი იყო, უოლტერ ჰადი კი ულამაზო.

მას აინტერესებდა კიდევ ორი რამ — რას გულისხმობდა სტივენი, როცა ამბობდა: ფსიქოლოგიურა თვალსაზრისით, და ხედავდა თუ არა იგი ჯინას, როცა პიანინოსთან იჯდა. მას უფრო ეგონა, რომ ვერ ხედავდა.

111

ბიბლიოთეკის კუშტ გოტიკურ გარემოში ჯინამ ეგზოტიკა შემოიტანა. თვით ინსპექტორმა კარიმაც კი ეშმაკურად მოწყურა თვალები, როცა ეს გაცისკროვნებული ახალგაზრდა ქალი წინ დაუჯდა, მაგიდაზე გადმოიხარა და მოუთმენლად თქვა: „გისმენთ!“

ინსპექტორმა კარიმ შეათვალიერა მისი წითელი ზედატანი, მუქი მწვანე განიერი შარვალი და უთხრა:

— ვხედავ, შავები არ გაცვიათ, ქალბატონო ჰად.

— არა მაქვს, — თქვა ჯინამ, — ვიცი, ერთი შავი კაბა მაინც საჭიროა ზედ მარგალიტის მძივით, მაგრამ არა მაქვს. მეჯავრება შავი ფერი. ვფიქრობ, საშინელია შავი სამოსი. მხოლოდ მდივნებმა, ოჯახის მწე ქალებმა და მათმა მსგავსებმა უნდა ჩაიცვან. თანაც ქრისტიან გულბრანდსენი ჩემი ნათესავი არც ყოფილა. ის დიდუდას ვერია.

— და, ვფიქრობ, კარგად არც კი იცნობდით.

ჯინამ თავი გააქნია.

— ის აქ ჩამოვიდა სამ-ოთხჯერ ჩემს ბავშვობაში. შემდეგ, ომის დროს მე ამერიკაში წავედი და სულ რაღაც ექვსი თვის წინ დავბრუნდი.

— თქვენ აქ საცხოვრებლად ჩამოხვედით? სტუმრად არა ხართ?

— მაგაზე ნამდვილად არც მიფიქრია, — თქვა ჯინამ.

— წუხელ დიდ დარბაზში იყავით, როცა ბატონი გულბრანდსენი თავია ოთახში წავიდა?

— დიახ. გამოგვემშვიდობა და წავიდა. დიდუდამ ჰკითხა, ყველაფერი თუ ჰქონდა, რაც სჭირდებოდა. მან დადებითი პასუხი ვასცა, ჯოლიმ ყველაფერზე იზრუნაო. შეიძლება ზუსტად ეს სიტყვები არა, მაგრამ რაღაც მსგავსი თქვა. ბოლოს ისიც დაამატა, წერილები მაქვსო დასაწერი.

— შემდეგ?

ჯინამ აღწერა ის სცენა, რომელიც ლუისსა და ედგარ ლოუსონს შორის გათამაშდა. ეს იგივე ამბავი იყო, რაც ინსპექტორ კარის აქამდე ბევრჯერ მოესმინა, მაგრამ ამ მონათხრობს სულ სხვა ელფერი ჰქონდა, ჯინას მეშვეობით ამ ამბავმა, სრულიად ახალი სახე მიიღო, უფრო დრამატული გახდა.

— ეს უოლის რევოლვერი იყო, — თქვა მან. — წარმოგიდგენიათ, ედგარს ჰქონდეს იმდენი ვაჟკაცობა, წაეიდეს და უოლის ოთახიდან რევოლვერი აწაპნოს. ვერასოდეს დავიჯერებ, რომ ის ასეთი ვაჟკაცია.

— შეგეშინდათ, როცა ისინი კაბინეტში შევიდნენ და ედგარ ლოუსონმა კარი ჩაკეტა?

— ოჰ, არა, — თქვა ჯინამ და დიდი, თაფლისფერი თვალები გაუფართოვდა, — მომეწონა კიდევ. ეს ისეთი უნიჭო თამაში იყო, იცით, და ისე საოცრად თეატრალური სცენა... ყველაფერი, რასაც ედგარი აკეთებს, ყოველთვის სასაცილოა, ერთი წუთითაც სერიოზულად ვერ მივიღებ.

— თუმცა რევოლვერი მაინც გაისროლა, არა?

— დიახ. მაშინ ყველამ გავიფიქრეთ, რომ მან მართლა ესროლა ლუისს.

— ამან გაგამხიარულათ? — თავი ვერ შეიკავა ინსპექტორმა, რომ არ ეკითხა.

— ოჰ, არა. შეძრწუნებული ვიყავი. ყველა შეძრწუნდა, დიდედას გარდა. მას თვალის არ დაუხამხამებია.

— საყურადღებოა.

— სრულიადაც არა. დიდედა ასეთი პიროვნებაა. არაამქვეყნიური. ის ისეთ ადამიანებს მიეკუთვნება, რომელთაც არ სჭერათ, თუ შეიძლება რაიმე ცუდი მოხდეს. ძალიან საყვარელი ქალია.

— ვიდრე ეს სცენა თამაშდებოდა, ვინ იყო დარბაზში?

— ოჰ, ყველა იქ ვიყავით, გარდა ძია ქრისტიანისა, რა თქმა უნდა.

— ყველა არა, ქალბატონო ჰად. ზოგი გავიდა და შემოვიდა.

— ნუთუ? — იკითხა ჯინამ დაბნეულად.

— თქვენი მეუღლე, მაგალითად, შუქის ჩასართავად გავიდა.

— დიახ. უოლის ეხერხება რალაცების შეკეთება.

— როგორც ვხვდები, სროლის ხმა მიაი არყოფნის დროს გაისმა. და ყველამ ჩათვალეთ, პარკიდან მოდისო.

— ეს არ მახსოვს... ოჰ, დიახ, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც შუქი აინთო და უოლისც დაბრუნდა.

— სხვა ხომ არავინ გასულა დარბაზიდან?

— მგონი, არა. არ მახსოვს.

— თქვენ სად იჯექით, ქალბატონო ჰად?

— იქით, ფანჯარასთან.

— ბიბლიოთეკის კართან?

— დიახ.

— თვითონ თუ გახვედით დარბაზიდან?

— გავედი? ამ მღელვარების დროს? რა თქმა უნდა, არა.

ამ აზრმა ჯინა აღაშფოთა.

— დანარჩენები სად ისხდნენ?

— ვფიქრობ, უმეტესობა ბუხრის ირგვლივ, დეიდა მილდრიდი ქსოვდა,

ასევე დეიდა ჭეინიც — მისს მარფლი, დიდდა უსაქმოდ იჯდა.

— ბატონი სტივენ რესტარიკი?

— სტივენი? ის თავდაპირველად პიანინოზე უკრავდა არ ვიცი, მოგვიანებით სად წაფიდა.

— მისა ბელევერი?

— მოუსვენრად იყო, როგორც ყოველთვის. დამჭდარს ვერასოდეს ნახავთ. გასაღებს თუ რაღაცას ეძებდა. — უცებ ჭინამ თქვა: — რას იტყვით დიდდას ტონუსის მიმცემ წამალზე? ფარმაცევტს შეეცდომა ხომ არ მოუვიდოდა მისი დამზადებისას?

— ეს რატომ უნდა გეფიქრათ?

— იმიტომ, რომ ბოთლი გაქრა, ჯოლი კი, გეგონებოდათ, ნემსებზე ზისო, ვერ ისვენებდა, ალელვებული მიდი-მოდიოდა და ყველგან ეძებდა, ალექსმა უთხრა, პოლიციელმა წაიღო, მართალია?

კითხვაზე პასუხის გაცემის მაგივრად ინსპექტორმა კარიმ მიუგო:

— თქვენ ამბობთ, მისა ბელევერი დელავდაო?

— ოჰ! ჯოლი ყოველთვის მოუსვენრადაა. — თქვა ჭინამ ქარაფშუტულად, — მოსწონს ფუსფუსი, ზოგჯერ მიკვირს კიდევ, როგორ უძლებს მას დიდდა.

— კიდევ ერთი კითხვა, ქალბატონო პად, თქვენ თვითონ როგორ ფიქრობთ, ვინ მოკლა ქრისტიან გულბრანდსენი და რატომ?

— ვფიქრობ, ერთი იმ შერეკილთაგანი ჩაიღუნდა. მკვლელები ცოტა უფრო გონიერები არიან. მე ვგულისხმობ იმას, რომ ისინი ადამიანს კლავენ არა გასართობად, არამედ იმისათვის, რათა შემდეგ გატეხონ სალარო, მოიპარონ ფული ან ძვირფასეულობა, ზოგიერთმა შერეკილმა კი — იცით, სუფით ავადმყოფს რომ ეძახიან — შეიძლება ეს გასართობად გააკეთოს, არ მეთანხმებით? ვერ წარმომიდგენია, მია ქრისტიანის მკვლელობის სხვა რა მიზეზი შეიძლებოდა, თუ არა გართობა, ასე არ არის? თუმცა ეს რა გართობაა, მაგრამ...

— საბაბზე არ გიფიქრიათ?

— დიახ, სწორედ მაგას მოგახსენებთ, — თქვა ჭინამ საამო ხმით, — არც გაქურდული იყო და არც მსგავსი არაფერი მომხდარა, ასე არ არის?

— მაგრამ, იცით, ქალბატონო პად, კოლეჯის შენობა ჩაკეტილი და გადაარაზული იყო, ვერაფერ შეძლებდა უნებართვოდ იქიდან გამოსვლას.

— არ დამიჯერებთ, მაგრამ, — გაიცინა ჭინამ მხიარულად, — ის ბიჭები ყველგან გაძვრებიან! მათ უამრავი ხრიკი მასწავლეს.

— მხიარული გოგონაა. — თქვა ლეიკმა, როცა ჭინა გავიდა. — პირველად ვნახე ასე ახლოს, მშვენიერი ფიგურა აქვს -- უცხო ტანი, თუ იცით, რას ვგულისხმობ.

ინსპექტორმა კარიმ ცივად შეხედა, სერჟანტმა ლეიკმა სასწრაფოდ დაუმატა: ხალისიანი გოგონაა, ჩანს, ეს ყველაფერი ართობს, თქვენი თქმისა არ იყოს.

— ნეტა მართალი თუა სტივენ რესტარიკი, ეგენი ერთმანეთს დაშორდებიანო, რომ ამბობს, შეამჩნიე, ყველანაირად ცდილობდა დავერწმუნებინეთ, რომ უოლტერ პადი მანამ დაბრუნდა დიდ დარბაზში, სანამ იმ გასროლას გაიგებდნენ.

— რაც სხვათა ჩვენებების თანახმად ასე არ არის, ხომ?

— ნამდვილად.

— ჯინას არც ის უხსენებია, რომ მისს ბელევერი დარბაზიდან გავიდა გასაღების მოსაძებნად.

— არა, — თქვა ფიქრში წასულმა ინსპექტორმა. — არ უხსენებია...

უჩინებელი
გონიერება

X I V თ ა ვ ი

ქალბატონი სტრიტი ბევრად უფრო მოვრგო ბიბლიოთეკას, ვიდრე ჯინა ჰადი. ქალბატონ სტრიტის გარეგნობაში ეგზოტიკური არაფერი იყო. მას შავ კაბაზე ონიქსის გულსაბნევი ეკეთა. ხოლო მოხდენილად დაეარცხნულ ქალბატონმაზე ბადე ეხურა. როგორც ინსპექტორმა კარიმ შენიშნა, ისე გამოიყურებოდა, როგორც სასულიერო პირის ქვრივს შეეფერებოდა, რაც მეტად უცნაური იყო, რადგან აღამიანები იშვიათად თუ გამოიყურებიან ისე, რაინც სინამდვილეში არიან. მის მაგრად მოკუმულ ტუჩებსაც კი ასკეტური იერი დაჰკრავდა. სახეზე ქრისტიანული მოთმინება აღბეჭდოდა, შესაძლებელია, ქრისტიანული სულიერი სიმტკიცეც, მაგრამ როგორც კარი ფიქრობდა, არავითარ შემთხვევაში, ქრისტიანული გულმოწყალება. უფრო მეტიც, ნათელი იყო, რომ ქალბატონი სტრიტი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს.

— ვფიქრობ, უნდა შეგეტყობინებინათ, როდის ისურვებდით ჩემთან საუბარს, ინსპექტორო, იძულებული ვიყავი, მთელი დღია თქვენს ლოდინში გამეტარებინა.

როგორც კარიმ დაასკვნა, ქალბატონ სტრიტს ღირსების გრძნობა შელახვოდა, ამიტომაც აღარ დააყოვნა, მისი დაშოშმინება სცადა.

— მაპატიეთ, ქალბატონო სტრიტ, თქვენ ალბათ არ გეცოდინებათ, რატომ მიმდევრობით შევუდექით დაკითხვას. ჯერ ნაკლებმნიშვნელოვანი ჩვენებები მოვისმინეთ, რათა, ასე ვთქვათ, გამოგვერიცხა იპინი. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ის პიროვნება შემოგვეჩაბა ბოლოსათვის, ვის თვალსაზრისსაც დავეყრდნობოდით. ეს ის მოწმე უნდა ყოფილიყო, რომლის მეშვეობითაც შევძლებდით გაგვეჩვენა და შეგვემოწმებინა ის ინფორმაცია, რაც აქამდე მივიღეთ.

ქალბატონი სტრიტი აშკარად მოლბა.

— ოჰ, მესმის, მე სულ ვერ გავიაზრე...

— ახლა, ქალბატონო სტრიტ, თქვენ ის ქალი ბრძანდებით, ვისაც დინჯად შეუძლია განსაჯოს, ვინაიდან უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება გაქვთ მიღებული და, თანაც ეს თქვენი ოჯახია; თქვენ ამ ოჯახის ქალიშვილი ბრძანდებით და შეგიძლიათ მითხრათ ყველაფერი იმ ხალხის შესახებ, ვინც აქ ტრიალებს.

— მართლაც შემიძლია, — თქვა მილდრიდ სტრიტმა.

— მაშ ასე, როცა იმ საკითხს შევეხებით, თუ ვინ მოჰკლა ქრისტიან გულბრანდსენი, თქვენ დიდი დახმარების გაწევა შეგიძლიათ.

— ეს კიდევ გაურკვეველია? ნუთუ კიდევ არ არის ნათელი, ვინ მოჰკლა ჩემი ძმა?

ინსპექტორი კარი თავისი სკამის ზურგზე გადაესვენა და ხელი პატარა ულვაშზე გადაისვა.

— დიდი დაკვირვება გვმართებს, — თქვა მან, — თქვენ ფიქრობთ, რომ ნათელია?

— რა თქმა უნდა, საბრალო ჯინას ქმარი, ის საძაგელი ამერიკელია მკვლეელი, მხოლოდ ის არის აქ უცხო. ჩვენ სრულებით არაფერი ვიცით მის შესახებ, ის უსათუოდ ერთ-ერთი იმ სახითათო ამერიკელ განგსტერთაგანია.

— მაგრამ ამას არავითარი კავშირი არა აქვს ქრისტიან გულბოანდსენის მკვლელობასთან, ასე არ არის? უოლტერს რატომ უნდა მუქუნული?

— იმიტომ, რომ ქრისტიანმა რაღაც გამოუჩხრიკა. გულბოანდსენმა ჩამოვიდა ისე მოულოდნელად უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ დარწმუნებული ხართ ამაში, ქალბატონო სტრიტ?

— რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ, ქრისტიანს უნდოდა, რომ ეფიქრათ, თითქოს მისი ვიზიტი სამეურნეო საქმეებს ეხებოდა, მაგრამ ეს სისულელეა. ის აქ სულ რაღაც ერთი თვის წინ იყო და მას შემდეგ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ასე რომ, ქრისტიანმა რაღაც საიდუმლო საქმის მოსაგვარებლად ჩამოვიდოდა. მან უოლტერი უკანასკნელი ვიზიტის დროს ნახა და შეიძლება იგი შეიცნო კიდევ. ან მის შესახებ შტატებში შეაგროვა ცნობები

ბუნებრივია, ქრისტიანს აგენტები ჰყავს მთელ მსოფლიოში — და აღმოაჩინა მეტად სახითათო რამ. ჯინა ქარაფშუტა გოგოა, ასეთი იყო ყოველთვის. მხოლოდ მას შეეძლო ცოლად გაჰყოლოდა ისეთ კაცს, ვისზეც არაფერი იცოდა — კაცებზე ჰკუთას კარგავდა ყოველთვის; სულ ერთი იყო მისთვის, პოლიცია ეძებდა, უკვე ცოლიანი იყო, თუ სულაც ვინმე საეჭვო პიროვნება იმ დანაშაულებრივი სამყაროდან, მაგრამ ჩემი ძმა, ქრისტიანი ადვილად არ მოტყუვდებოდა დარწმუნებული ვარ, ის ამ საქმეებში, მოსაგვარებლად ჩამოვიდოდა. ამხილეთ უოლტერი, პირზე წაადექით და მოახსენეთ, ვინც ბრძანდება, ბუნებრივია, ქრისტიანი უოლტერმა მოკლა.

ინსპექტორმა კარიმ ვეება ჟღვანში მიიხატა ერთ-ერთ კატას თავის ბლოკნოტში და თქვა:

— დი-ახ.

— არ მეთანხმებით, რომ ასეც მოხდებოდა?

— შესაძლებელია, დიახ. — შენიშნა ინსპექტორმა.

— სხვა რა თვალსაზრისი შეიძლება არაებობდეს? ქრისტიანს მტერი არასოდეს ჰყოლია ვერაფრით ამიხსნია, აქამდე რატომ არ დაამატიმრეთ უოლტერი.

— იცით, ქალბატონო სტრიტ, ჩვენ ამისათვის მოწინეთა ჩვენებები უნდა მოგვეპოვებოდეს.

— თქვენ სრულიად ადვილად შეგიძლიათ მათი მოპოვება თუ ამერიკაში დებეშას გააგზავნით.

— დიახ, ჩვენ გავარკვევთ ბატონ უოლტერ ჰადის ვინაობას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. მაგრამ მოვლენებს წინ ნუ გავუხსნრებთ, ჯერ მოტივი უნდა დავადგინოთ, არის საშუალება, რა თქმა უნდა.

— ის ქრისტიანს ფეხდაფეხ გაჰყვა იმ მიზეზით, რომ შუქი გამოირთო.

— ხომ გამოირთო?

— ამას ის ადვილად მოახერხებდა.

— მართალია.

— ამან თავის მართლების საშუალება მისცა ის გაჰყვა ქრისტიანს თავის ოთახში, ესროლა მას, მერე შეაკეთა დამცველი და დაბრუნდა დარბაზში.

— მისი მეუღლე კი ამბობს, რომ მანამდე დაბრუნდა, სანამ თქვენ გასროლის ხმას გაიგონებდით.

— სულაც არა! ახლა ყველაფრის თქმა შეუძლია. *იტალიელები არ არიან გულწრფელნი, თანაც იგი კათოლიკეა.*

ინსპექტორმა კარიმ არ გაიზიარა ასეთი თვალსაზრისი.

— თქვენ ფიქრობთ, რომ მეუღლეს უოლტერის თანამგზავნი იყო? მილდრიდ სტრიტს ყოყმანი დაუტყო:

— არა, არა. მე ასე არ ვფიქრობ. — საკმაოდ განცვიფრებული ჩანდა იმის გამო, რომ თავად ეს აზრადაც არ მოსვლია ქალმა განაგრძო: — ნაწილობრივ შეიძლება ეს იყოს მოტივი — ხელი შეეშალა ჯინასთვის, სიმართლე გაეგო მასზე, ბოლოს და ბოლოს, ჯინა ხომ მისთვის არსებობის წყაროა.

— ამასთან, ძალიან ლამაზი გოგონაც არის.

— ოჰ, დიან, ყოველთვის ვამბობდი, რომ ჯინა მშვენიერი გოგონაა. იტალიაში ბევრია ჯინასნაირი ლამაზი, რა თქმა უნდა, მაგრამ მე თუ მკითხავთ, უოლტერ ჰადი ფულმა უფრო მიიზიდა, სწორედ ამისთვის ჩამოვიდა და სეროქოლდებთან დასახლება გადაწყვიტა.

— რამდენადაც მესმის, ქალბატონი ჰადიც საკმაოდ შეძლებულია.

— ამემად არა, მაშინვე იგივე რაოდენობის თანხა უანდერძა ჯინას დედას, რაც მე, მაგრამ, რა თქმა უნდა, პიპამ ჰერის ეროვნება მიიღო (მგონი, კანონი ახლა უკვე შეიცვალა); ამას დაემატა ომი და ის, რომ მისი ქმარი ფაშისტი იყო, ამიტომ ჯინას ძალზე მცირე ქონება აქვს. დედაჩემი ანებივრებს მას, ხოლო მისი ამერიკელი დეიდა, ქალბატონი ვენ რიდოკი, წარმოუდგენელ თანხას ხარჯავდა, რათა ომის დროს, რაც მოისურვებდა, ყველაფერი ეყიდა მისთვის. მიუხედავად ამისა, უოლტერი ფიქრობს, რომ დედაჩემის გარდაცვალებამდე ბევრს ვერაფერს დაეპატრონება, შემდეგ კი ჯინას საკმაოდ დიდი ქონება გადაეცემა.

— და თქვენც, ქალბატონო ატრიტ.

მილდრიდ სტრიტს სახე წამოენთო.

— და მეც, როგორც ამბობთ, მე და ჩემი მეუღლე ყოველთვის წყნარად ვცხოვრობდით. ის ძალიან ცოტას ხარჯავდა, მხოლოდ წიგნებს თუ იყიდდა — დიდი სწავლული იყო. ჩემი საკუთარი ფული კი თავისთავად გაორმაგდა. ის საკმარისზე მეტია, ვიდრე მე ყოველდღიური საჭიროებისათვის ვხმარობ. თუმცა ნებიამიერ ადამიანს აქვს უფლება, თავისი ფული სხვის კეთილდღეობას მოახმაროს. ვფიქრობ, რომ შემკვიდრებით მიღებული ფული როგორც მუურვეს ისე ჩამაბარეს და ეს მოვალეობა წმიდათაწმიდაა.

— მაგრამ ფული ხომ სამეურვეოდ არ გადმოგეცემათ, ასე არ არის? — თქვა კარიმ განგებ გაჩიუტებულმა. — ის სავსებით თქვენი კუთვნილება იქნება.

— ოჰ, დიან, მაგ აზრით კი, ასეა. სავსებით ჩემი იქნება.

ეს ბოლო სიტყვა ისე გაისმა, რომ ინსპექტორმა კარიმ სწრაფად ასწია თავი. ქალბატონი სტრიტი მას არ უყურებდა. თვალები უბრწყინავდა და თხელ ტუჩებზე საზეიმო ღიმილი დასთამაშებდა.

— ასე რომ, თქვენი აზრით — და, რა თქმა უნდა, თქვენ საკმარისად გქონდათ შესაძლებლობა, ასეთი დასკვნა გამოგეტანათ — ბატონ უოლტერ ჰადს იმ ფულის ხელში ჩაგდება უნდა, რომელსაც მისი მეუღლე ქალბატონი

სეროქოლდის გარდაცვალების შემდეგ მიიღებს. სხვათა შორის, ის სუსტად არის, არა, ქალბატონო სტრიტი?

— დედაჩემს ყოველთვის სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა

— მართალია, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის ადამიანები ხშირად ჯანმრთელებზე დიდხანს ცოცხლობენ.

— დიახ, მეც ასე მგონია.

— თქვენ არ შეგიძინებიათ, ამ ბოლო დროს დედათქვენის ჯანმრთელობა რომ გაუარესდა?

— მას რევმატიზმი აწუხებს, ადამიანი რომ აააკში შედის, ყოველთვის რაღაც აწუხებს. არავითარი სიმპათია არა მაქვს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც განუწყვეტლივ უჩივიან ავადმყოფობასა და ტკივილებს და ერთ ალიაქოთს ტყვენ.

— ქალბატონი სეროქოლდი იქცევა ასე?

მოდრიდ სტრიტი წუთით გაჩუმდა, ბოლოს თქვა:

— არა, თვითონ არა, სხვები ატეხავენ ხოლმე ალიაქოთს. ჩემი მამინაცვალი ძალზე მზრუნველი მეუღლეა. რაც შეეხება მისს ბელევერს, ის სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს, ყოველ შემთხვევაში, მისს ბელევერი ძალიან ცუდ ზეგავლენას ახდენს ამ ოჯახზე. ის აქ დიდი ხნის წინათ ჩამოვიდა და მისი ერთგულება დედაჩემის მიმართ თუმცა თავისთავად მომხიბვლელია, ნამდვილ სასჯელად გადაიქცა. ის დედაჩემს ტირანად მოევიწყა, ნამდვილ ტირანად. მთელი ოჯახი მის ხელშია მეტისმეტად გავიდა თავს. ვფიქრობ, ზოგჯერ ლუისსაც აღიზიანებს. არც იქნება გასაოცარი, თუ ერთ დღეს აქედან დაითხოვს. მისს ბელევერს უტაქტოა, საოცარი უტაქტო, და მამაკაცისთვის ძნელი ასატანია. მისი მეუღლე მთლიანად დამონებული ჰყავდეს ვიღაც უფროსობის მოყვარულ ქალს.

ინსპექტორმა კარიმ თავაზიანად დაუქნია თავი.

— მესმის... მესმის...

ის ყურადღებით მიაჩერდა ქალს.

— არის კიდევ ერთი რამ, რასაც კარგად ვერ ჩაეწვდი, ქალბატონო სტრიტი, ძმები რესტორიკების ადგილი ამ ოჯახში.

— მეტად სულელური გულჩვილობაა, იმათმა მამამ ჩემი საბრალო დედა ფულისთვის ითხოვა, ორი წლის შემდეგ კი ვიღაც უზნეო იუგოსლავიელ მომღერალთან ერთად გაიქცა. საოცრად უღირსი პიროვნება იყო. დედაჩემი იმდენად გულკეთილი ქალი აღმოჩნდა, რომ ეს ბიჭები შეეცოდა და — ვინაიდან ლაბარაკიც არ შეიძლებოდა იმაზე, რომ არდადეგები გაეტარებინათ ასეთი ზნეობის ქალთან — ადგა და თითქმის იშვილა ისინი. მას შემდეგ აქ არიან ეს მუქთახორები, ოპ, დიახ, უნდა გითხრათ, ამ სახლში უამრავი უქნარა იყრის თავს.

— ალექს რესტორიკს ჰქონდა საშუალება ქრისტიან ვულბრანდსენი მოეკლა. ის თავის მანქანაში მარტო იყო, როცა კიშკრიდან აქეთ, სახლისკენ მოდიოდა... რას იტყვით სტივენზე?

— სტივენი ჩვენთან იყო დარბაზში. მე არ მომწონს ალექს რესტორიკი

— ის თანდათან უზრდელობას ავლენს, ისიც წარმომიდგენია, რა უწყესო ცხოვრებას ეწევა, მაგრამ მე მას მკვლელად ვერ ჩავთვლი. ვითომ რატომ უნდა მოეკლა ჩემი ძმა?

სწორედ ამ საკითხს ვუბრუნდებით ჩვენ ყოველთვის, ასე არ არის?

— თქვა ინსპექტორმა კარიმ გულწრფელად. — რა იცოდა ქრისტიან გულბრანდსენმა ისეთი, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის?

— ნამდვილად უოლტერ პადი იქნება მკვლეელი, — თქვა ქალბატონმა სტრიტმა დიდის ამბით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— თუ ვინმე უფრო ახლობელი?

მილდრიდმა გესლიანად იკითხა:

— რას გულისხმობთ?

ინსპექტორმა კარიმ დინჯად მიუგო:

— ბატონი გულბრანდსენი შეწუხებული ჩანდა ქალბატონ სეროქოლდის ჩანმრთელობით, როცა აქ ჩამოვიდა.

ქალბატონი სტრიტი მოიღრუბლა.

— კაცები ყოველთვის ნერვულობდნენ დედაზე, მით უმეტეს, რომ მას სუსტი ჩანმრთელობა აქვს. ვფიქრობ, ეს დედასაც მოსწონს. ასე რომ არ იყოს, ქრისტიანი ჯულიეტ ბელვეერს მოუსმენდა.

— თქვენ არ გაწუხებთ დედათქვენი ჩანმრთელობა, ქალბატონო სტრიტ?

— არა, ვიმედოვნებ, ეს ჩემს კეთილგონიერებაზე შეტყველებს, ბუნებრივია, დედა ახალგაზრდა აღარ არის...

— და სიკვდილი ყველას ეწვევა, — თქვა ინსპექტორმა კარიმ, — მაგრამ არა დანიშნულ ვადაზე ადრე. აი, რა უნდა ავიშოროთ თავიდან.

ინსპექტორი მრავალმნიშვნელოვნად ლაპარაკობდა მილდრიდი უეცრად წამოენთო.

— რა ბოროტებაა, ნამდვილი ბოროტება. ჩანს, აქ სხვას არავის აწუხებს ეს ამბავი. რატომ? მე ერთადერთი სისხლით ნათესავი ვარ ქრისტიანისა. დედასთვის ის მხოლოდ გერი იყო, ჯინასთან მას არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონია, ის ჩემი ღვიძლი ძმა იყო.

— ნახევარი ძმა, — სიტყვა შეაშველა ინსპექტორმა კარიმ.

— ნახევარი ძმა, დიას. მაგრამ ჩვენ ორივე ასაკში განსხვავების მიუხედავად გულბრანდსენები ვიყავით.

კარიმ დაამშვიდა.

— დიას, დიას, მესმის თქვენი...

თვალცრემლიანმა მილდრიდ სტრიტმა ოთახი დატოვა. კარიმ ლეიკს გადახედა.

— მაშასადამე, იგი დარწმუნებულია, რომ უოლტერ პადია მკვლეელი, — თქვა მან, — ერთი წუთითაც არ დაუშვა ის აზრი, რომ შეიძლება სხვა ვინმე იყოს.

— და შეიძლება მართალიცაა.

— რა თქმა უნდა. უოლის კანდიდატურა ემთხვევა. მარჯვე შესაძლებლობა და მოტივი, თუ მას სასწრაფოდ სჭირდება ფული, მისი სიღედრი უნდა მოკვდეს. ასე რომ, უოლი ჩუმად უყრის საწამლავს ტონუსის მიმცემ წამალში და ქრისტიან გულბრანდსენი რაღაცნაირად ხვდება ამას ან იგებს ამის შესახებ. დიას, ზუსტად ემთხვევა. — ის შეჩერდა და მერე განაგრძო: — სხვათა შორის, მილდრიდ სტრიტს ფული უყვარს... შეიძლება არ დახარჯოს, მაგრამ უყვარს. ზუსტად არ ვიცი, რატომ... შეიძლება ის ძუნწია, ძუნწივით იტაცებს ფული, ან უყვარს ძალაუფლება, რასაც ფული იძლევა. იქნებ ქველმოქმედებისათვის სჭირდება? მილდრიდიც გულბრანდსენია, იქნებ უნდა მას გაეჭიბროს.

— რთულია, არა? — თქვა სერჟანტმა ლეიკმა და თავი მოიქექა.

ინსპექტორმა კარიმ თქვა:

— უმჯობესია, ვნახოთ ის შეშლილი ახალგაზრდა, ედგარ ლოუსონი, და ამის შემდეგ წავიდეთ დიდ დარბაზში, გადავხედოთ, ვინ სად იყო და თუ... რატომ... როდის... ჩვენ ბევრი საინტერესო რამე მოვისმინეთ ამ დღით.

გენერალისთვის

11

ინსპექტორი კარიმ დარწმუნდა, რომ გაუჭირდებოდა პიროვნების სწორი შეფასება სხვისი შეხედულებებისამებრ.

ედგარ ლოუსონი ამ დღით ყველამ თავისებურად დაახასიათა, მაგრამ ახლა რომ აკვირდებოდა კარიმ, მისი პირადი შეხედულება საოცრად განსხვავებული იყო.

ედგარს მასზე არ დაუტოვებია „ახირებულის“, „საშიშის“, ან „ამპარტავანის“, ან, თუნდაც, „არანორმალურის“ შთაბეჭდილება. ეტყობოდა, სავსებით ნორმალური ყმაწვილი იყო, მაგრამ ძალზე დარდიანი და მორიდებული. ის ახალგაზრდა ჩანდა, ცოტათი ბანალური, ამასთანავე საკმაოდ პათეტიკურიც.

ედგარს ძალიან უნდოდა საუბარი და თავის მართლება.

— ვიცი, ძლიერ ცუდად მოვიქეცი. ვერ გეტყვით, რა დამემართა, ნამდვილად არ ვიცი. აურზაური კი ავტეხე. პისტოლეტიდან ვესროლე ბატონ სეროქოლდს, რომელიც ასეთი კეთილი და სულგრძელი იყო ჩემ მიმართ. — მან ხელები ნერვულად მოეფშვინტა. საკმაოდ შესაბრალისი ხელები და გაძვალტყავებული მაჯები ჰქონდა. — თუკი პასუხი უნდა ვაგო ამისთვის, ახლავე წამოგყვებით. ღირსი ვარ ამისა. მე დამნაშავედ ვცნობ თავს.

— არავითარი ბრალდება არ არის თქვენ მიმართ წაყენებული, — თქვა ინსპექტორმა კარიმ მტკიცედ. — ასე რომ, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს დაგაკავოთ. ბატონ სეროქოლდს თუ დავუჯერებთ, პისტოლეტიდან გასროლა უბრალოდ შემთხვევითი ამბავი იყო.

— სწორედ ამიტომ არის ის კარგი პიროვნება. ბატონი სეროქოლდის მსგავსი ადამიანი არ დაბადებულა! მან ჩემთვის ყველაფერი გააკეთა, მე კი ასე ვუხდი სამაგიეროს.

— რამ გაიძულათ ასე მოქცეულიყავით გუშინ საღამოს?

ედგარი დაიბნა.

— რა ვიცი, თავი კი გავიმასხარავე.

ინსპექტორმა კარიმ ცივად უთხრა:

— ეტყობა, ასეა. ბატონ სეროქოლდს თქვენ მოწმეების თანდასწრებით უთხარით, რომ აღმოაჩინეთ ის თქვენი მამა იყო. მართალია ეს?

— არა, არ არის მართალი.

— როგორ მოგივიდათ ეს აზრი თავში? ვინმემ შთაგაგონათ?

— იცით, ეს ცოტა ძნელი ასახსნელია.

ინსპექტორი კარიმ დაფიქრებული შესცქეროდა მას. შემდეგ კეთილმოსურნელ უთხრა:

— გასაგებია, რომ გეძნელებათ, მაგრამ იქნებ როგორმე მოახერხოთ.

— კეთილი. იცით, ბავშვობაში მძიმე დღეები გადავიტანე. ბიჭები დამცინოდნენ, მამა რომ არ მყავდა. მეუბნებოდნენ, ბუში ხარო, რაც ნამდვი-

ლად ასე იყო. დედაჩემი ხშირად სვამდა და ყოველთვის კაცები მოდიოდნენ მასთან. მამაჩემი უცხოელი მეზღვაური იყო, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბინძური სახლი ნამდვილ ჯოჯობეთად იქცა ჩემთვის. შემდეგ დავრწმუნდი ფიქრი, ვინ იცის, მამაჩემი უბრალო უცხოელი მეზღვაური კი არა, ვინმე სახელოვანი კაცია-მეთქი, და რალაც-რალაცები შევთხზე. ბავშვურობის მონახვენი იყო: ვითომ ახალდაბადებული შემცვალეს, სინამდვილეში კი წინასწარ შემკვიდრე ვიყავი — აი რალაც ამდაგვარი მოვიგონე. შემდეგ სხვა სკოლაში გადავედი და იქაც ვცადე ერთი-ორჯერ გადამეკრა სიტყვა, რომ მამაჩემი ნამდვილად ბრიტანეთის ფლოტის აღმირალი იყო. თანდათან ეს მეც კი დავიჭერე და ამის შემდეგ თავი ისე ცუდად აღარ მიგრძნია. — ედგარ ლოუსონი შეჩერდა, მერე განაგრძო: — შემდგომ, მოგვიანებით, სხვა აზრები მომივიდა თავში. ვჩერდებოდი სასტუმროებში და ვყვებოდი თანსაირ მოგონილ ამბებს: რომ მე სამხედრო მფრინავი ვიყავი, ან კიდევ დაზვერვაში ვმუშაობდი. შემდეგ ყველაფერი ერთმანეთში ამერია, და ტყუილს ტყუილი ემატებოდა. ოლონდ არასოდეს მიცდია ამითი ფული მეშოვნა. მე ვტრაბახობდი მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხს ჩემზე უფრო დიდი წარმოდგენა ჰქონოდა. მე არ მინდოდა უპატიოსნო ადამიანი ვყოფილიყავი, ბატონი სეროქოლდი და დოქტორი მავერიკიც დაგიმორწმებენ ამას, მათ მთელი ჩემი თავგადასავალი იციან.

ინსპექტორმა კარიმ თავი დაუქნია, მას უკვე შესწავლილი ჰქონდა ედგარის საქმე და მისი ჩვენებები პოლიციაში.

— ბოლოს ბატონი სეროქოლდის მეშვეობით გონს მოვეგე, აქ ჩამომიყვანა, მითხრა, მდივანი მჭირდება, დამეხმარეო. ვეხმარებოდი კიდევ. მართლა ასე იყო. ოლონდ სხვები დამცინოდნენ, ისინი ყოველთვის სასაცილოდ მიგდებდნენ.

— ვინ სხვები? ქალბატონი სეროქოლდი?

— არა, ქალბატონი სეროქოლდი არა, ის ნამდვილი ლეღია — ყოველთვის ნაზი და კეთილი. სამაგიეროდ ჯინა მეტყეოდა როგორც რალაც ბინძურს, სტივენ რესტარიკიც, ქალბატონი სტრიტი ზემოდან გადმომყურებდა, რაკი ჯენტლმენი არა ვარ, ასევე მისს ბელევერიც. თვითონ კი რას წარმოადგენს? დაქირავებული კომპანიონია, სხვა ხომ არაფერი?

კარიმ შენიშნა, რომ ედგარი თანდათან აღელდა.

— ასე რომ, მაინცდამაინც დიდ თანაგრძნობას არ იჩენდნენ ისინი თქვენ მიმართ, არა?

ედგარმა მოუთმენლად წამოიძახა:

— ეს იმიტომ, რომ მე ნაბიჭვარი ვიყავი. მე რომ ნამდვილი მამა მყავდეს, ისინი ასე არ მომეტყეოდნენ.

— ამიტომ თქვენ მიისაკუთრეთ რამდენიმე სახელოვანი მამა?

ედგარი გაწითლდა.


— მე ყოველთვის ვტყუოდი, — ჩაიბუტბუტა მან.

— დაბოლოს, ისიც კი თქვით, რომ ბატონი სეროქოლდი მამათქვენია. რატომ?

— იმიტომ, რომ ეს მათ ერთხელ და სამუდამოდ გააჩუმებდა, ასე არ არის? ის რომ მამაჩემი ყოფილიყო, ისინი ვერაფერს გამიბედავდნენ.

— დიახ, მაგრამ თქვენ მას დააბრალებთ, რომ იგი მტერია თქვენი, და რომ გდევნით.

— ვიცი... — მან შუბლი მოისრისა. — ცუდად გამოძღის ხოლმე, ზოგჯერ მართლა არ ვიქცევი სწორად. ყველაფერი ამერია...
— და თქვენ რევოლუციური ბატონ უოლტერ ჰადის ოთახიდან გამოიტანეთ?



ედგარი დაიბნა.

— მე-ე? იქ ავიდე?

— არ გახსოვთ, სად აიღეთ?

ედგარმა უთხრა:

— მე მინდოდა ბატონ სეროქოლდს დავმუქრებოდი, მინდოდა შემეშინებინა. ეს ისევ ისე ბევრჯერად მომივიდა.

ინსპექტორმა კარიმ მოთმინებით ჰკითხა:

— სად იშოვეთ რევოლუციური?

— თქვენ თვითონ არ თქვით ახლა — უოლტერის ოთახში.

— გაგახსენდათ?

— უთუოდ მის ოთახში ვიპოვიდი, აბა, სხვანაირად როგორ მოხვდებოდა ჩემს ხელში?

— არ ვიცი, — მიუგო ინსპექტორმა კარიმ, — ალბათ ვიღაცამ მოგცათ? ედგარი გაჩუმდა. შეცბუნებული ჩანდა.

— ნუთუ ასე მოხდა? — შემდეგ გაცხარდა: — არ მახსოვს, ისე აღელვებული ვიყავი. ბაღში რომ მიმოვდიოდი, სიბრაზისაგან თვალები დამეშინდა. ვფიქრობდი, ყველა მე მითვალთვალებდა, მყარაულობდა, ჩემს დაჭერას ლომობდა, ის მშვენიერი ხანში შესული ქალბატონიც კი... ახლა ველარ გამიგია, რა დამემართა. ალბათ გავგიჟდი. არ მახსოვს, სად ვიყავი და რას ვაკეთებდი!

— იქნებ გახსოვთ, ვინ გითხრათ, რომ ბატონი სეროქოლდი მამათქვენია?

ედგარი კვლავ შემცბარი მიაჩერდა.

— არაფის უთქვამს, — თქვა კუშტად, — მე თვითონ მომივიდა აზრად. ინსპექტორმა კარიმ ამოიოხრა. უკმაყოფილო იყო, მაგრამ დაასკვნა, რომ ამჯერად ახალს შეტს ვერაფერს გაიგებდა.

— კეთილი, მომავალში დაუფიქრებლად ნაბიჯს ნუ გადადგამთ. — უთხრა ედგარს.

— დიახ, სერ. დიახ.

როცა ედგარი გავიდა, ინსპექტორმა კარიმ თავი წელს გააქნია.

— ეშმაკმა დალახვროს ეს პათოლოგიური ტიპები!

— თქვენ ფიქრობთ, რომ ის გიჟია, სერ?

— ბევრად უფრო ნაკლებად გიჟია, ვიდრე წარმომედგინა. ვინეზაჩლუნგი, ტრაბახა, მატყუარა — თან რაღაც საამოდ გულუბრყვილოცაა ამავე დროს. ჩემის აზრით, ადვილად დამყოლია.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ვინმე აქეზებს?

— ოჰ, დიახ, ამაში მისს მარფლი მართალი იყო. ის გამჭრიახი ქალია. ნეტა ვიცოდეთ, ვინ აქეზებს. ედგარი არ გვეუბნება. ეს რომ ვიცოდეთ... წავიდეთ, ლეიკ, დაწვრილებით აღვადგინოთ ის სცენა დარბაზში.



— აქედან შესანიშნავად ჩანს ყველაფერი.

ინსპექტორი კარი პიანინოსთან იჯდა, სერუანტი ლეიკი ფანჯარასთან, ტბას რომ გადაჰყურებდა, კარიმ განაგრძობდა: ურჩუნეუაა

— ნახევრად თუ შევბრუნდები პიანინოს სკამით და კაბინეტის კარს მივაჩერდები, თქვენ ვეღარ დაგინახავთ.

სერუანტი ლეიკი ფრთხილად წამოდგა და ჩუმად წავიდა კედელ-კედელ ბიბლიოთეკის კარისაკენ.

— ოთახის ეს კუთხე ჩაბნელებული იყო მხოლოდ კაბინეტის კართან ერთო შუქი არა, ლეიკ, მე თქვენ ვერ შეგნიშნეთ, როგორ გახვედით. ბიბლიოთეკიდან თქვენ შეგეძლოთ გასულიყავით დერეფანში, ორ წუთში მუხის კაბინეტთან გაჩნდებოდით, ესროდით გულბრანდსენს და ბიბლიოთეკის გავლით თქვენს ადგილას ფანჯარასთან დაბრუნდებოდით. ბუხართან მსხდომი ქალები ვერ დაგინახავდნენ, რადგან ზურგშექცევით იყვნენ. ქალბატონი სეროქოლდი აქ იჯდა, ბუხარის მარჯვენა მხარეს, კაბინეტის კართან ახლოს, ყველამ დაამოწმა, რომ ის არ განძრუვლა და, რომ ის ერთადერთი პიროვნება იყო, რომელიც ყველას ყურადღების ცენტრში ექცეოდა. მისს მარჯლი აქ იყო, ქალბატონ სეროქოლდთან იდგა და კაბინეტის კარისაკენ იყურებოდა. ქალბატონი სტრიტი ბუხარის მარცხნივ იჯდა — იმ კართან ახლოს, რომელიც დარბაზიდან დერეფანში გადის და ეს ყველაზე ბნელი კუთხეა, მას შეეძლო ჩუმად გასულიყო და შემოსულიყო და, შესაძლებელია. — კარიმ უცებ ჩაიცინა: — და მეც შეშეძლო, — ის მოსწყდა პიანინოს სკამს, გვერდულად გაჰყვა კედელს და კარებში გაუჩინარდა. — ერთადერთი, ვისაც შეეძლო შეემჩნია, რომ მე პიანინოსთან არ ვიჯექი, ჯინა ჰადი იყო, ზომ გაბსოვთ, რა თქვა ჯინამ: სტივენსი თავიდან პიანინოსთან იჯდა, მერე არ ვიცი, სად იყო.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, ის სტივენია?

— არ ვიცი, ვინ არის, — თქვა კარიმ. — ის არც ედგარ ლოუსონი იყო, არც ლუის სეროქოლდი, არც ქალბატონი სეროქოლდი, არც მისს ჯინ მარჯლი რაც შეეხება დინარჩენებს... — მან ამოიოხრა, — ალბათ ამერიკელია. შუქიც მის ბედზე გამოირთო... მიუხედავად ამისა, იცით, მე მომწონს ეს ყმაწვილი. შუქის გამოირთვა მაინც არ არის სამხილი.

ჩაფიქრებული დააქცერდა პიანინოს გვერდით დალაგებულ ნოტებს: „პინდემითი? ეს ვინ არის? არასოდეს მსმენია. მოსტაკოვიჩი! ეს რანაირი გვარებია“. ადგა, ძველებურ პიანინოს სკამს დახედა და მერე თავი აპხადა.

— აქ ძველმოდური მუსიკაა, პენდელის ლარგო, ჩერჩის სავარჯიშოები. ამათი უმრავლესობა მოხუცი გულბრანდსენისეულია. ერთ მშვენიერ ბაღში — მღვდლის ცოლი მღეროდა ხოლმე ჩემს პავშვობაში...

ის შეჩერდა — ზელში ამ სიმღერის ვაყვითლებული ფურცლები ეჭირა, დაბლა კი შოპენის პრელუდიებზე პატარა ავტომატური პისტოლეტი ესვენა.

— სტივენ ჩესტარიკი! — წამოიძახა გახარებულმა სერუანტმა ლეიკმა.

— ახლა ნუ მოჰყვები დასკვნების გაკეთებას. — გააფრთხილა ინსპექტორმა კარიმ. — ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ.

მისს მარფლმა კიბე გაიარა და ქალბატონი სეროქოლდმა საწილი ოთახის კარზე დააკაკუნა.



ქართული

— შეიძლება, კერი ლუიზ?

— რა თქმა უნდა, ჯეინ, ძვირფასო.

კერი ლუიზი სარკიანი მაგიდის წინ იჯდა და ვერცხლისფერი მკვრივი ხნიდა მან თავი მოაბრუნა.

— პოლიციას? რამდენიმე წუთში მზად ვიქნები.

— თავს ხომ კარგად გრძნობ?

— დიახ, რა თქმა უნდა. ჯოლიმ მიიძულა ლოგინში მესაუზმა, ჯინა ისე შემოვიდა თითისწვერებზე საუზმით ხელში, თითქოს მომაკვდავი ვიყო! არა მგონია, ვინმეს ესმოდეს, რომ ისეთი ტრაგედია, როგორც ქრისტიანის სიკვდილია, ნაკლებ შემადრწუნებელია მოხუცისათვის, რადგან ბევრი უნახავს მთელი სიცოცხლის მანძილზე და იცის, რომ ამტკვეყნად ყველაფერი უმნიშვნელოა.

— დიახ, — თქვა მისს მარფლმა ყოყმანით.

— შენც ხომ ასე ფიქრობ, ჯეინ? დარწმუნებული ვარ, რომ ასეა.

მისს მარფლმა დინჯად მიუგო:

— ქრისტიანი მოკლეს.

— დიახ... მე მესმის, რასაც მეუბნები. შენ ფიქრობ, ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს?

— შენ ასე არ ფიქრობ?

— ქრისტიანისთვის არა. — თქვა კერი ლუიზმა უბრალოდ. — ამას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს მკვლელისთვის.

— შენ ეჭვი გაქვს ვინმეზე?

ქალბატონმა სეროქოლდმა თავი დაბნეულად გააქნია.

— არა, წარმოდგენა არა მაქვს, ვინ არის, ან რა მიზეზი უნდა ჰქონდეს. შეიძლება ამას რაიმე კავშირი ჰქონდეს ქრისტიანის ერთი თვის წინ ჩამოსვლასთან. ვინაიდან, სხვა შემთხვევაში, არა მგონია, ასე მოულოდნელად უმიზეზოდ ჩამოასულიყო. ეს ამბავი ნამდვილად იჭიდან იწყება. სულ ვფიქრობ და ვფიქრობ, მაგრამ უჩვეულო ვერაფერი გამიხსენებია.

— სახლში ვინ იყო მაშინ?

— ჰო! იგივე ხალხი, ვინც ახლა არის აქ — დიახ, ალექსი ლონდონიდან ჩამოვიდა მაშინ და, ოპ, დიახ, რუთიც აქ იყო.

— რუთი?

— ჩვეულებრივ შემოიქროლა.

— რუთი, — თქვა მისს მარფლმა კვლავ. იგი დაძაბული ფიქრობდა ქრისტიან გულბრანდსენი და რუთი? რუთი შეწუხებული და ცუდი წინათგრძნობით შეპყრობილი ჩამოვიდა აქედან, მაგრამ არ იცოდა რატომ. რაღაც არ არის იქ საქმე კარგადო, სულ ეს იყო, რისი თქმაც რუთს შეეძლო. ქრისტიან გულბრანდსენმა იცოდა, ან ეჭვობდა რაღაცაა, რასაც რუთი ვერ მიმხვდარიყო. მან იცოდა ან ეჭვობდა, რომ ვიღაც კერი ლუიზის მოწამვლას ლამობდა. როგორ დაეხატა ქრისტიან გულბრანდსენს ამგვარი ეჭვი? რა დაინახა ან რა გაიგო ასეთი? ნუთუ ის, რაც რუთმაც დაინახა და მოისმინა, მაგრამ სათანადოდ ვერ შეაფასა? მისს მარფლს სწაღდა გაეგო, რა შეიძლებო-

და მომხდარიყო. საკუთრივ მისი გაურკვეველი წინათგრძნობა, რომ ის რა-
ღაცა (რაც არ უნდა ყოფილიყო ის) ედგარ ლოუსონთან იყო დაკავშირებული,
ნაკლებ სარწმუნო ჩანდა. რადგან რუთს ედგარი არც კი უხსენებია.
მისს მარფლმა ამოიოხრა.

— ყველანი რაღაცას მიმაღავეთ, ასე არ არის? — ლუიზმა.

მისს მარფლი შეერთა, როცა მისი მშვიდი ხმა დაეძვინკინა.

— ამას რატომ ამბობ?

— იმიტომ, რომ მიმაღავეთ, არა, ჯოლი არა, დანარჩენები კი ყველანი
მიმაღავეთ, ლუისიც კი. ის შემოვიდა, როცა ვსაუზმობდი და შევნიშნე, ძა-
ლიან უცნაურად იქცეოდა. მან ჩემი ყავა მოსვა და ცოტა ნამსხვარი და მარ-
მელადიც კი შეჭამა. ეს ძალზე უჩვეულო იყო, იმიტომ, რომ იგი ყოველთვის
სვამს ჩაის, მარმელადი კი არ უყვარს. ასე რომ, ის სხვა რამეზე ფიქრობდა,
და მე მგონი, დაავიწყდა კიდევ თავისი საუზმე. მას ავიწყდება პალმე ჭამა
და ასეთი რაღაც-რაღაცები, თან ისეთი შეწუხებული და შეფიქრბინებული
ჩანდა.

— მკვლელობა... — დაიწყო მისს მარფლმა.

კერი ლუიზმა სწრაფად მიუგო:

— ოჰ, მესმის. საშინელებაა არასოდეს მქონია ასეთ საქმეებთან კავში-
რი. შენ გქონია ასეთი შემთხვევა, არა, ჯეინ?

— დიახ... დიახ... რა თქმა უნდა. მქონდა, — აღნიშნა მისს მარფლმა.

— რუთმა მითხრა.

— როდის, ამას წინათ რომ იყო იქ ჩამოსული? — ჰკითხა მისს მარ-
ფლმა ცნობისმოყვარეობით.

— არა, ვფიქრობ, ეს მაშინ არ უთქვამს, არც კი მახსოვს.

კერი ლუიზი ბუნდოვნად ლაპარაკობდა, თითქოს დაბნეულად.

— რაზე ფიქრობ, კერი ლუიზ?

ქალბატონმა სეროქოლდმა ისე გაიღიმა, თითქოს ეს-ეს არის საიდანღაც
შორიდან დაბრუნდაო.

— ახლა ჯინაზე ვფიქრობდი, — თქვა მან, — და იმაზეც, რაც შენ სტი-
ვენ რესტაროზე მითხარი. ჯინა საყვარელი გოგონაა და მას მართლა უყვარს
უოლი დაწმუნებული ვარ უყვარს.

მისს მარფლს არაფერი უთქვამს.

— ჯინასნაირ გოგონებს ცოტა ცელქობა უყვართ, — თქვა ქალბატონმა სერ-
ოქოლდმა დამტკბარი ხმით. — ისინი ახალგაზრდები არიან და სიამოვნებთ
საკუთარი ძალის შეგრძნება. ეს ბუნებრივია. ვიცო, უოლი ჰადი ისეთი კაცი,
ვისაც ჯინას მეუღლედ ვერც კი წარმოვიდგენდით. ჩვეულებრივ ვითარებაში
ალბათ ვერც შეხვდებოდა მას, მაგრამ შეხვდა და შეუყვარდა კიდევ. ეჭვიც
არ მეპარება, თვითონ უკეთ იცის თავისი საქმე.

— უეჭველია, — თქვა მისს მარფლმა.

— მაგრამ აუცილებელია, ჯინა ბედნიერი იყოს.

მისს მარფლმა უცნაურად გადახედა მეგობარს.

— ვფიქრობ, აუცილებელია, ყველა ბედნიერი იყოს.

— ოჰ, მართალი ხარ, მაგრამ ჯინა მაინც განსაკუთრებულია. როცა დე-
დამისი, პიპა, ავიყვანეთ, ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ექსპერიმენტი აუცილებლად
წარმატებით უნდა დაგვეგვირგვინებინა. იცი, პიპას დედა...

კერი ლუიზი გაჩუმდა. მისს მარფლმა ჰკითხა: — ვინ იყო პიპას დედა?

- კერი ლუიზმა განაგრძო:
- მე და ერიკი შევთანხმდით, რომ ამას არავის ვეტყვოდი, თვითონ პიპამ არაფერი იცოდა თავის წარმოშობაზე.
- ძალიან მინდა ვიცოდე, — თქვა მისს მარტლმა.
- ქალბატონი სეროქოლდი ყოყმანობდა.
- ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა არ არის, — თქვა მისს მარტლმა. — მე აუცილებლად უნდა ვიცოდე. მე დუმილიც შემიძლია.
- შენ ყოველთვის შეგეძლო საიდუმლოს შენახვა, ჯეინ, — გაიღიმა მოგონებებში წააულმა კერი ლუიზმა. — დოქტორმა გელბრეითმა, კროუმერის ეპისკოპოსმა იცის, სხვამ არაფერს. პიპას დედა კეთრინ ელზუორთი იყო.
- ელზუორთი შეს ის ქალი ხომ არ არის, დარიშხანით რომ მოწამლა თავისი ქმარი? საკმაოდ გახმაურებული ამბავია.
- დიახ.
- ჩამი ახრჩვეს?
- დიახ. მაგრამ, დანამდვილებით არ იციან, მართლა მან მოწამლა თუ არა. მისი ძეუღლე დარიშხანის მჭამელი ყოფილა — მაშინ ბევრი არაფერი გაეგებოდათ მსგავსი რამეებისა.
- კეთრინ ელზუორთი ბუზის საჭერ ქალიღებს ვლინთავდა.
- ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მოსამსახურის ჩვენება გარკვეულ წილად ღვარძლით იყო აღსავსე.
- და პიპა მისი ქალიშვილია?
- დიახ. მე და ერიკმა გადაწყვიტეთ ბავშვისთვის ახალი ცხოვრება გვეჩუქებინა — სიყვარულით და მზრუნველობით აღსავსე, რაც ასე სჭირდებოდა გოგონას, მივალწიეთ კადეც. პიპა გახალისდა ძნელია წარმოიდგინოთ მასზე უფრო საყვარელი და ბედნიერი არსება.
- მისს მარტლი დუმდა.
- კერი ლუიზმა ზურგი შეაქცია სარკეს.
- მე მზადა ვარ. ახლა შევიძლია სთხოვო იმ ინსპექტორსა თუ ვილაცას. სთხოვე, ჩემს მისაღებ ოთახში პობრძანდეს. იმედი მაქვს, უარს არ იტყვის.

I I

ინსპექტორ კარის უარი არ უთქვამს. მოხარულიც კი იყო, რომ შემთხვევა მიეცა ქალბატონი სეროქოლდი თავის სამფლობელოში ეხილა. სანამ ელოდებოდა, იქაურობას ცნობისმოყვარე თვალი მოაგლო. ეს ოთახი სულაც არ შეესატყვისებოდა იმას, რასაც ინსპექტორი „მდიდარი ქალის ბუდუარს“ უწოდებდა.

აქ ძველებური ტახტი და საკმაოდ მოუხერხებელი ვიქტორიანული დროის ხისზურგიანი სკამები იდგა. ჩითები უკვე მოძველებული და გახუნებული იყო, მაგრამ მეტად მიმზიდველნახატიანი: ზედ ბროლის სასახლე გამოესახათ. ეს ყველაზე პატარა ოთახი ვახლდათ ამ სახლში, თუმცა თანამედროვე სახლების მისაღებ ოთახებზე დადი მაინც იყო. ამ ოთახში სიმყუდროვე იგრძნობოდა, აქ პატარა მაგიდებს, ძველებურ ნივთებსა და ფოტოსურათებს მოეყარათ თავი. კარიმ შეხედა ორი პატარა გოგონას ძველ სურათს — ერთი შავგვრემანი და მხიარული, მეორე კი ულამაზო, შუბლზე ჩამოყრილი ხშირი ქოჩრის ქვევიდან მოღუშული იყურებოდა. ამ დილით ინსპექტორმა კარიმ

სწორედ ეს გამომეტყველება დაიჭირა. „ბიბა და მილდრიდი“ ეწერა ფოტოზე. აქვე ერთი ვულბრანდსენის ფოტოც ეკიდა კედელზე, ოკროსტერ მუყაოზე დაკრული და მძიმე შავი ხის ჩარჩოში ჩასმული. კარში ახლა სისიამოვნო გარეგნობის მაშაკაცის ფოტო შენიშნა, რომელსაც თვალები სიცილისაგან მოჭუტული ჰქონდა, და ივარაუდა, რომ ეს ჯონ რესტარტი უნდა ყოფილიყო. ამ დროს კარი გაიღო და ქალბატონი სეროქოლდი შემოვიდა.

ქალს თაღბი ემოსა, მოლივლივე და გამჭვირვალე თაღბი. მისი პატარა მოვარდისფრო თეთრი სახე კიდევ უფრო უჩვეულოდ პატარა ჩანდა ვერცხლისფერი თმის გვირგვინქვეშ. კერი ლუიზის სისუსტემ გული მოუწურა ინსპექტორ კარის, ახლა მისთვის ბევრი რამ ნათელი გახდა, რამაც დილას განაცვიფრა. მიხვდა, რატომ იყო ხალხი ასე მოწადინებული დაეცვათ კაროლინ ლუის სეროქოლდი ყველაფრისაგან, რაც მას ააღელვებდა.

და მაინც, ინსპექტორი კარი ფიქრობდა, რომ კერი ლუიზი ისეთი ქალი არ იყო, რომელიც ადვილად აღელდებოდა...

ქალბატონი სეროქოლდი მიესალმა და დაჯდომა შესთავაზა, მერე თვითონაც გვერდით მიუჯდა. ინსპექტორი კარი უფრო ნაკლებ ცდილობდა მის თანამოსაუბრეს თავისუფლად ეგრძნო თავი. ვიდრე ქალბატონი სეროქოლდი. ინსპექტორმა შეკითხვები დაიწყო. ქალბატონი სეროქოლდი ძალდაუტანებლად და უყოყმანოდ პასუხობდა. შუქის ჩაქრობა, ედგარ ლოუსონსა და მის მეუღლეს შორის ჩხუბი, გასროლის ხმა, რომელიც მათ გაიგეს...

— ხომ არ მოგეჩვენათ, რომ გასროლა სახლში იყო?

— არა, მე გავიფიქრე, რომ გარედან გაიხმა. ვიფიქრე ალბათ მანქანის ძრავის ხმა-მეთქი...

— როცა თქვენი მეუღლე და ის ყმაწვილი ლოუსონი ჩხუბობდნენ კაბინეტში, ხომ არ შეგიძინევიათ ვინ გავიდა ოთახიდან?

— უოლი უკვე გასული იყო სინათლის შესაკეთებლად. მისს ბელევერიც მალე ფეხდაფეხ გაჰყვა რალაციის მოსაძებნად. მაგრამ არ მახსოვს, რას ეძებდა.

— კიდევ ვინ გავიდა დარბაზიდან?

— რამდენადაც ვიცი, სხვა არავინ.

— რომ გასულიყო, გაიგებდით, ქალბატონო სეროქოლდ?

ის ერთი წუთით ჩაფიქრდა.

— არა. ვფიქრობ ვერა.

— თქვენ მთლიანად ჩართული იყავით იმ ამბებში, რაც კაბინეტში ხდებოდა?

— დიახ.

— და თქვენ წინათგრძნობამ გიკარნახათ, რა შეიძლებოდა მომხდარყო იქ?

— არა, არა, ამას ვერ ვიტყვოდი, მე არ ვფიქრობდი, რომ იქ რაიმე მართლა მოხდებოდა.

— მაგრამ ლოუსონს ხომ რევოლვერი ჰქონდა?

— დიახ.

— და თქვენს მეუღლეს ემუქრებოდა?

— დიახ, მაგრამ ედგარს არ უნდოდა.

ამ სიტყვებზე ინსპექტორმა კარიმ ისევ ის ჩვეული გაღიზიანება იგრძნო, ამჯერად ქალბატონი სეროქოლდის მიზეზით.

— შეუძლებელია ამაში დარწმუნებული ყოფილიყავით, ქალბატონო სეროქოლდ.

— მაგრამ მე ხომ დარწმუნებული ვიყავი, ჩემს გულში, რა თქმა უნდა. ახალგაზრდები რას ეძახიან — სცენის გათამაშებას? მეც სწორედ ეს ვიფიქრე. ედგარი ხომ ჯერ ბიჭია, ზედმეტად ემოციური, სულელი და თავი რომანის თავზეხელაღებულ გმირად წარმოიდგინა. დარწმუნებული ვიყავი, არასოდეს ისროდა იმ რევოლვერიდან.

— მაგრამ ხომ გაისროლა, ქალბატონო სეროქოლდ.

კერი ლუიზმა გაიღიმა.

— ვფიქრობ, შემთხვევით გაუვარდა.

ისევ გაღიზიანდა ინსპექტორი კარი.

— ეს შემთხვევით არ მომხდარა. ლოუსონმა ორჯერ გაისროლა და თქვენს შეუღლეს დაუმიზნა: ტყვიები ოდნავ აცდა მას.

კერი ლუიზი ჯერ აღელდა, მერე კი დანადგლიანდა.

— ამას ვერ დავიჯერებ, ოპ, დიახ... — თქვა მან, მაგრამ მიხვდა, ინსპექტორი შეედავებოდა და სასწრაფოდ დაუმატა: — რასაკვირველია, უნდა დავიჯერო, რადგან თქვენ მეუბნებით, ასეაო. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, ამას უბრალო ახსნა უნდა ჰქონდეს. იქნებ დოქტორმა მავერიკმა ამიხსნას.

— ოპ, დიახ. დოქტორი მავერიკი კარგად აგიხსნით, — მიუგო კარიმ მკაცრად. — დოქტორ მავერიკს ყველაფრის ახსნა შეუძლია, დარწმუნებული ვარ.

მოულოდნელად ქალბატონმა სეროქოლდმა თქვა:

— ვიცი, ბევრი რამ, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ, თქვენ სისულელედ და უაზრობად მიგაჩნიათ, ფსიქიატრებიც ზოგჯერ ძალიან გამაღიზიანებლები არიან. მაგრამ, იცით, ჩვენ წარმატებებს ვაღწევთ. ჩავარდნებიც გვაქვს, და ამავე დროს — წარმატებებიც. და რის გაკეთებასაც ჩვენ ვცდილობთ, ფასეულია. თუმცა, შესაძლოა, თქვენ არც დაიჯეროთ, ედგარი ჩემი შეუღლის ერთგულია. ის სულელური აზრი, რომ ლუისი მამამისია, იმიტომ აეკვიტა, რომ ასეთი მამა უნდოდა ჰყოლოდა. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, ასე მოულოდნელად რატომ უნდა გამძვინვარებულყო. ის ბევრად უკეთ გრძნობდა თავს, პრაქტიკულად ნორმალურად. მე მას ყოველთვის ნორმალურ პიროვნებად ვთვლიდი.

ინსპექტორს ამ საკითხზე კამათი არ დაუწყია. მან თქვა:

— რევოლვერი, რომელიც ედგარ ლოუსონს ჰქონდა, თქვენი შვილიშვილის შეუღლეს ეკუთვნის. სავარაუდოა, ლოუსონმა უოლტერ ჰადის ოთახიდან გამოიტანა. ახლა მითხარით, ოდესმე გინახავთ ეს იარაღი?

ინსპექტორმა პატარა შავი რევოლვერი გაუწოდა.

კერი ლუიზმა დახედა:

— არა, მე მგონი, არა.

— პიანინოს სკამში ვიპოვე, ახალ გასროლილი იყო. ჩვენ ჯერ არ მოგვეცა საშუალება გულდასმით შეგვემოწმებინა, მაგრამ ვფიქრობ, ეს სწორედ ის იარაღია, რომლითაც ბატონ გულბრანდსენს ესროლეს.

ქალი უნდობლად უყურებდა.

— და თქვენ ეს პიანინოს სკამში იპოვეთ?

— ძველი ნოტების ქვეშ. ეს ნოტები, უნდა ვითხრათ, დიდი ხნის გადაუშლელია.

- დამალული იყო?
- დიახ. ვახსოვთ, ვინ იჯდა პიანინოსთან წუხელ?
- სტივენ რესტარკი.
- ის უკრავდა.
- დიახ. ჩუმად. მშვენიერ მელანქოლიურ მელოდებას!
- როდის შეწყვიტა დაკვრა, ქალბატონო სერაქაძე?
- როდის შეწყვიტა? არ ვიცი.
- მაგრამ ხომ შეწყვიტა? მთელი ამ ჩხუბის განმავლობაში ხომ არ უკრავდა?
- არა, მუსიკის ხმა მიწყდა.
- ის პიანინოს სკამიდან აღგა?
- არ ვიცი. წარმოდგენა არა მაქვს, რას აკეთებდა, სანამ კაბინეტის კართან მივიდოდა გასაღების მოსარგებად.
- როგორ ფიქრობთ, რა მიზეზით შეიძლებოდა სტივენ რესტარკის ესროლა ბატონი გულბრანდსენისათვის?
- ვერაფრითარ მიზეზს ვერ ვხედავ, — თქვა ჩაფიქრებულმა ქალმა, — მე არ მჯერა, რომ მან ეს გააკეთა.
- შესაძლოა, გულბრანდსენმა რაღაც ისეთი აღმოაჩინა, რაც მას გამოაშკარავებდა.
- ვფიქრობ, შეუძლებელია.
- ინსპექტორ კარის დიდი სურვილი ჰქონდა ეთქვა, ხანდახან ლორებიც დაფრინავენ, თუმცა ჩიტები არ არიანო. ეს ბებიამისის ანდაზა იყო. მისს მარფლს, გაიფიქრა მან, ეს უეჭველად ეცოდინებო.

III

კერი ლუიზი განიერ კიბეზე ჩამოვიდა. კიბის ძირში სამი ადამიანი შეეყარა: ჯინა გრძელი დერეფნიდან მოდიოდა, მისს მარფლი — ბიბლიოთეკიდან, ხოლო ჯულიეტ ბელევერი დიდი დარბაზიდან.

ჯინამ პირველმა დაილაპარაკა:

— ძვირფასო! — წამოიძახა მხურვალედ. — ხომ კარგადა ხართ? ხომ არ შეგაშინეს, ან დაკითხვის დროს ხომ არ გაწამეს?

— რა თქმა უნდა არა, ჯინა. რა უცნაური აზრები გაწუხებეს! ინსპექტორი კარი მეტად მომხიბვლელი და თავაზიანი აღმოჩნდა.

— ასეც უნდა ყოფილიყო, — თქვა მისს ბელევერმა. — ახლა, კერი, მე თქვენი ყველა წერილი და ამანათი აქა მაქვს. თქვენთან ამოტანას ვაპირებდი.

— ბიბლიოთეკაში შემოიტანეთ, — უთხრა კერი ლუიზმა.

ოთხივენი ბიბლიოთეკაში შევიდნენ.

კერი ლუიზი დაჯდა და წერილების გახსნა დაიწყო. ოცი-ოცდაათი იქნებოდა.

გახსნილ წერილს კერი ლუიზი მისს ბელევერს აწოდებდა, ის კი ახარისხებდა, თან მისს მარფლს უხსნიდა:

— სამი ძირითადი კატეგორიაა, ერთი — ბიჭების ნათესავეებისგან. იმათ დოქტორ მავერიეს გადავცემ ხოლმე. თხოვნის წერილებს მე თვითონ ვპასუხობ. დანარჩენი კი პირადია. კარა მითითებას მაძლევს, როგორ ვუპასუხო მათ.

წერილები რომ დაახარისხა, ქალბატონმა სეროქოლდმა ყურადღება ამა-
ნათს მიაქცია. ზონარი მაკრატლით გაჭრა და სუფთა ქალაქი შემოაცალა
შოკოლადის მიმზიდველ ყუთს, რომელიც ოქროსფერი ბაბთით იყო შეკრუ-
ლი.

— ვილაცას ჩემი დაბადების დღე ჰგონია, — ღიმილზე დასცქეროდა
მა სეროქოლდმა.

მან ბაბთა შეხსნა და ყუთი გახსნა. შიგ სავიზიტო ბარათი იდო. კერი
ლუიზი, ცოტა არ იყოს, გაოცებული დასცქეროდა.

— „სიყვარულით, ალექსისაგან“, — წაიკითხა მან. — რა უცნაურია,
ფოსტით მიგზავნის შოკოლადს, როცა იმავე დღეს ჩამოსვლას აპირებს.

მისს მარფლი აწრიალდა. სწრაფად თქვა:

— ერთი წუთით მოიცადეთ, კერი ლუიზ, ჯერ არ შექამოთ.

ქალბატონი სეროქოლდი შეცბა.

— მე ვაპირებდი ყველასთვის შემომეთავაზებინა.

— მოითმინე, ჯერ არა. დაიცადე, სანამ ვიკითხავდე... ხომ არ იცით,

ალექსი სახლშია, ჯინა?

ჯინამ სწრაფად მიუგო: „მგონი, ახლახან დარბაზში იყო“.

ჯინა წავიდა, კარი შეაღო და ალექსს დაუძახა.

ალექს რესტარკი მაშინვე ზღურბლზე გამოჩნდა.

— ძვირფასო მადონა! თქვენ უკვე ფეხზე ხართ, ხომ არაფერი მომხდა-
რა? — ქალბატონ სეროქოლდისკენ გაემართა და ნაზად აკოცა ორივე ლოყა-
ზე.

მისს მარფლმა უთხრა:

— კერი ლუიზს სურს მადლობა გადაგიხადოთ შოკოლადისთვის.

ალექსი გაოცდა.

— რომელი შოკოლადისთვის?

— ამ შოკოლადისთვის, — მიუგო კერი ლუიზმა.

— მაგრამ, მე არ გამომიგზავნია თქვენთვის შოკოლადი, ძვირფასო.

— ყუთში თქვენი ბარათია. — უთხრა მისს ბელვეერმა.

ალექსმა შიგ ჩაიხედა.

— მართლაც ასეა. უცნაურია, ძალზედ უცნაური... მე ნამდვილად არ გა-
მომიგზავნია.

— განსაცვიფრებელი ამბავია, — თქვა მისს ბელვეერმა.

— რა საუცხოო შოკოლადია, — თქვა ჯინამ და ყუთში ჩაიხედა, — შე-
ხედეთ, დიდედ, შუაში, თქვენ რომ ალუბლის ლიქორიანი შოკოლადი გიყ-
ვართ, ისეთებია.

მისს მარფლმა ფრთხილად, მაგრამ გაბედულად მოაშორა მას ყუთი.

უსიტყვოდ გაიტანა ოთახიდან და ლუის სეროქოლდის საძებნელად წავიდა.

საკმაოდ დრო დასჭირდა ამისთვის, რადგან ბატონი სეროქოლდი კოლეჯში გა-
დასულიყო — იგი დოქტორ მავერიკის ოთახში იპოვა. მისს მარფლმა ყუთი
მის წინ მაგიდაზე დადო და მოკლედ აცნობა, რაც მოხდა. ლუის სეროქოლდს
სახეზე მოულოდნელად სიმკაცრე და სიმტკიცე აღებუქდა. ის და დოქტორი
მავერიკი ფრთხილად იღებდნენ შოკოლადებს ერთიმეორის მიყოლებით და
თან ყურადღებით სინჯავდნენ.

— ვფიქრობ, — თქვა დოქტორმა მავერიკმა, — რომ ამითში, რომლებ-

იც გვერდზე გადავდე, ნამდვილად რალაცაა შერეული, ხედავთ, როგორი ხორკლიანია შიგნიდან? ახლა კი მათი ანალიზი უნდა გაკეთდეს.

— კი მაგრამ, ეს წარმოდგენელია, — თქვა მის მარტულმა ყველა რატომ უნდა მოწამლულიყო ამ სახლში!

ლუისმა თავი დაუქნია, სახე კვლავ გაფითრებული დასმკნებლად მქონდა.

— დიახ, ეს ულმობლობაა, ადამიანის არად მიჩნევა — მის წარმართება მან. — უმკველია, ყველა ცალკე გადადებული შოკოლადი ალუბლის ლიქიორითაა სავსე, ეს კაროლინის საყვარელი შოკოლადია, ასე რომ, ხომ ხედავთ, ვილაცამ იცოდა ამის შესახებ.

მის მარტულმა წყნარად თქვა:

— თუ ეს ასეა, როგორც თქვენ ეჭვობთ, თუ ამ შოკოლადში საწამლა-ვია, მაშინ, ვფიქრობ, კერი ლუიზმა უნდა გაიგოს, რაც ხდება, და ფრთხილად იქნება.

ლუის სეროქოლდმა დინჯად თქვა:

— დიახ, უნდა გაიგოს, რომ ვილაცა მის მოკვლას ლამობს, ვფიქრობ, ამის დაჯერება გაუჭირდება.

XVI თავი

— მოიცათ, მისს, მართალია, რომ ვილაც საზიზღარი საწამლავეში ურევს ხელს?

ჯინამ შუბლიდან თმა უკან გადაიყარა და იქით გაიხედა, საიდანაც ჩრინწიანი ჩურჩული შემოესმა. ჯინას ლოყები და შარვალი საღებავით დაეთხუპნა ის და მისი რჩეული თანაშემწეები მომავალი წარმოდგენის — „დაისი მდინარე ნილოსზე“ — დეკორაციებს ხატავდნენ.

ვინც ახლა ეს იკითხა, ერთ-ერთი ამ თანაშემწეთაგანი გახლდათ, ერნი ის ბიჭი იყო, რომელმაც ჯინას ასე კარგად ასწავლა საკეტის გაღება. ერნი ხურო იყო და საოცრად მოქნილი თითები ჰქონდა, დეკორაციების დამზადებისას ყველაზე დიდი ენთუზიაზმით გამოირჩეოდა. ახლა წვრილი თვალები სასიამოვნო მოლოდინით გაბრწყინებოდა და უციმციმებდა.

— ეს აზრი საიდან მოგივიდა? — ჰკითხა აღშფოთებულმა ჯინამ.

ერნიმ ცალი თვალი მოჭუტა.

— მთელი საერთო საცხოვრებელი ამაზე ლაპარაკობს, — თქვა მან. — მაგრამ მოიცათ, მისს, ჩვენგან ამას არავინ ჩაიდენდა, შეუძლებელია, ქალბატონ სეროქოლდს არავინ არაფერს დაუშავეს. — თვით ჯენკინზიც კი, სხვა საქმეა, ის ბებერი ძუენა რომ ყოფილიყო, ქალბატონს კი ვერავინ გაიმეტებდა და მოსაწამლად ვერც მე.

— მისს ბელევერზე ასე ნუ ლაპარაკობ.

— მათბათეთ, მისს, წამომცდა, რომელი საწამლავე იყო, მისს? სტრიქნინი ხომ არა? კაცს წელში ღუნავს და ტანჯვით კლავს, ან იქნებ ციანიდმეფეა იყო?

— არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ, ერნი.

ერნიმ კვლავ თვალი ჩაუკრა.

— ვერ ხვდებით! ასე ამბობენ, ბატონი ალექსის ხელი ურევიათ, ლონდონიდან შოკოები ჩამოუტანიათ, მაგრამ ეს ტყუილია, ბატონი ალექსი ასეთ რამეს არ ჩაიდენდა, არა, მისს?

— რა თქმა უნდა, არა, — თქვა ჯინამ.

— ამის ჩამდენი უფრო ბატონი ბაუმგარტენი იქნება. ფიზმომზადების გაკვეთილზე ისე საზარლად იმანჭება ხოლმე, რომ ვფიქრობ, ვერც ხომ არ არის-მეთქი.



— ამაყალე ეს სკიპიდარი გზიდან.
ერნიმ რალაც ჩაიდუდუნა და დაემორჩილა:

— აქ რანაირად ცხოვრობენ? გუშინ მოხუცი გულბრანდსენი გაასიღეს, ახლა ვილაც მომწამვლელი გამოჩნდა, როგორ გგონიათ, ერთი და იგივე პიროვნება ხომ არ არის? რას იტყოდით, მისს, რომ გითხრათ, მე ვიცი, ვინც ჩაიდინა-მეთქი ეს?

— შეუძლებელია, შენ რაიმე იცოდე ამის შესახებ.

— ოჰ, ვითომ რატომ? წარმოიდგინეთ, წუხელ გარეთ ვიყავი და რალაც დავიჩახე.

— როგორ იქნებოდი გარეთ? შვიდი საათი რომ დარეკავს, კოლეჯი იკეტება,

— რომ დარეკავს... როცა მინდა, მაშინ მოვახერხებ გასვლას, მისს, ბოქლოში ვერ დამაკავებს. გავდივარ და ვსეირნობ ბაღში ღინამ უთხრა:

— ტყუილებს თავი დაანებე, ერნი.

— ვინ ტყუის?

— შენ, შენ სტყუი და ისეთ რამეს იკვები, რაც არასოდეს გაგიკეთებია.

— თქვენ ასე გგონიათ, მისს, დაიცადეთ, სანამ პოლიციელები მოვლენ და გამომკითხავენ ყველაფერს, რაც წუხელ ვნახე.

— კეთილი, რა ნახე?

— ა-ა — თქვა ერნიმ, — ხომ არ გინდათ, გაიგოთ?

ღინა მიეჭრა ერნის, მაგრამ ერნიმ უკან დაიხია. ამ დროს მეორე მხრიდან სტივენნი შემოვიდა და ღინას მიუახლოვდა. მათ დეკორაციებზე დაიწყეს ლაპარაკი. შემდეგ სახლისკენ ერთად წავიდნენ.

— ყველამ გაიგო დიდედასა და იმ შოკოლადების ამბავი, — თქვა ღინამ. — მე ბიჭებს ვგულისხმობ. ნეტა, როგორ მოახერხეს?

— ერთგვარი ადგილობრივი სიგნალების მეშვეობით.

— თანაც მათ ალექსის ბარათის შესახებ იციან, სტივენ, უფკველია, სისულელეა, ალექსი რატომღა ჩადებდა ბარათს ყუთში, თუკი უკვე აქ მოდიოდა.

— დიახ, მაგრამ ვინ იცოდა, აქ რომ მოდიოდა? მან ეს მოულოდნელად გადაწყვიტა და დებეშაც გამოაგზავნა. შესაძლოა, ყუთი იმ დროისთვის უკვე გამოგზავნილი იყო, და რომ არ ჩამოსულიყო, იმ ბარათის ჩადება მშვენიერი იდეა იქნებოდა, რადგან ალექსი მართლაც უგზავნის ხოლმე კაროლინოს შოკოლადებს... ვერ გამიგია, უბრალოდ, ის...

— ის, თუ რატომ დასჭირდათ დიდედას მოწამვლა, — ჩაურთო ღინამ. — ვიცი, წარმოუდგენელია! ის ისეთი სათნოა, რომ უკლებლივ ყველა თაყვანს სცემს.

სტივენმა არაფერი უპასუხა. ღინამ გამგმირივად გადახედა.

— ვიცი, რასაც ფიქრობ, სტივ!

— საინტერესოა.

— შენ ფიქრობ, რომ უოლი თაყვანს არ სცემს, მაგრამ იცოდე, უოლი არავის არ მოწამლავს, ამაზე ფიქრიც კი სასაცილოა.

- ერთგული შეუღლე!
- ნუ შელაპარაკები ასე დამცინავად
- დაცინვა არც მიფიქრია. მე მართლა ვფიქრობ, რომ ერთგული ხარ, ამიტომაც გეთაყვანები. მაგრამ, ძვირფასო ჯინა, როდემდე უნდა ვიყო?
- რას გულისხმობ, სტივ?
- შესანიშნავად იცი, რასაც ვგულისხმობ. შენ დასრულდით ერთმანეთს ვერ შეეთვისეთ. არ გაგიმართლათ. ეს მანაც კარგად უნყის. თქვენ შორის განხეთქილება ყოველდღეა მოსალოდნელი. რის შემდეგაც ორივე უფრო ბედნიერები იქნებით.
- ჯინა აღშფოთდა:
- რა სისულელეს ამბობ.
- სტივენმა გაიცინა.
- უნდა დამეთანხმო, რომ თქვენ ვერავის მოატყუებთ, თითქოს შენმა-ტყბილებულად ცხოვრობდეთ, ან თითქოს უოლი აქ ბედნიერი იყოს.
- ო-ო, არ ვიცი, რა დაემართა, — ჯინა ატირდა, — სულ გაბრაზებულია. ცოტას ლაპარაკობს: არ ვიცი, რით დავებმარო. რატომ ვერ ერთობა აქ? ერთ დროს ისე მხიარულად ვიყავით. ყველაფრით ვხარობდით, ახლა კი ასე შეიცვალა, ახვა მგონია. ასე რატომ იცვლებიან ადამიანები?
- მე ვიცვლები?
- არა, ძვირფასო სტივ. შენ ყოველთვის სტივი ხარ. განათვს, არდადეგებზე როგორ დაგდევდი კუდში?
- და რა დასანანიია, რომ მაშინ შენზე ასე ვფიქრობდი — საბრალო პატარა ჯინა-მეთქი. პო, ახლა როლები შეიცვალა და შენ სამაგიეროს მიხდი, ასე არ არის, ჯინა?
- ჯინამ სწრაფად უპასუხა:
- ნამდვილი იდიოტი ხარ, — და სწრაფადვე განაგრძო, — როგორ ფიქრობ, ერნი ტყუოდა? მან თქვა, თითქოს წუხელ ნისლში დაეხეტებოდა. თან ჩამიკრა, რომ მკვლელის შესაბებ რაღაც-რაღაცები იცის. როგორ ფიქრობ, შეიძლება ეს სამართლედ იყოს?
- სამართლედ? რა თქმა უნდა, არა. ხომ იცი, როგორი ტრაბახაა. რას არ მოიგონებს, ოღონდ ყურადღება მიიქციოს...
- პო, ვიცი, მაინც მაინტერესებდა.
- ისინი ერთად, გვერდიგვერდ, უსიტყვოდ მიდიოდნენ.

I I

ჩამავალი მზის სხივებმა სახლის დასავლეთი ფასადი გაანათა. ინსპექტორმა კარიმ იჭითკენ გაიხედა.

— ეს ის ადგილია, სადაც თქვენ მანქანი გააჩერეთ წუხელ? — იკითხა მან.

ალექს რესტორიკმა უკან დაიხია. თითქოს უნდოდა შეემოწმებინა.

— ეს ძალიან ახლოა, — თქვა მან — ზუსტად ძნელი სათქმელია. რადგან ნისლი იყო ჩამოწოლილი. თუმცა, შესაძლოა, ნამდვილად ის ადგილი იყოს.

ინსპექტორმა კარიმ მოათვალისწინა იჭაურობა, რათა საკუთარი თვალთ შეეფასებინა.

მოკირწყლული ხეივანი თანდათან უხვევდა და ამ ადგილას შვერის საფარვლიდან სახლის დასაველეთი ფსაადი მოჩანდა თავის ტერასით. ურობმელის ღობეებითა და კიბით, რომელიც გაზონებში ეშვებოდა ამის შემდეგ გზა ისევ იკლავებოდა. ხეების რიგში გადიოდა. ტბასთან უხვევდა და სახლის აღმოსავლეთით მთავრდებოდა.

ეროვნული
ბიზნისი

— დოჯეთ! — დაიძახა ინსპექტორმა კარიმ.

პოლიციის კონსტებლი დოჯეთი, რომელიც ყოველთვის შზადყოფნაში იყო, ადგილს მოსწყდა. შეიჭრა გაზონებში, რომლებიც სახლის დიაგონალურად იყო გაშენებული, ტერასა მიუახლოვდა და გვერდითი კარით შინ შევიდა. რამდენიმე წამში ერთ-ერთი ფანჯრის ფარდა ძლიერად შეტოკდა შემდეგ კონსტებლი დოჯეთი კვლავ გამოჩნდა ბაღის კართან და სირბილით ისევ მათთან დაბრუნდა, თან ორთქლმავალივით ქშიხავდა.

— ორი წუთი და ორმოცდაორი წამი. — თქვა ინსპექტორმა კარიმ და წამშზომი გააჩხაკუნა, რომლითაც დრო ჰქონდა დანიშნული. — მეტი დრო ამ საქმეს არ დასჭირდებოდა. ასე არ არის?

იგი სასიამოვნო კილოთი ლაპარაკობდა.

— მე ისე სწრაფად ვერ დავრბივარ, როგორც თქვენი კონსტებლი. — აღნიშნა ალექსმა. — ვხვდები, თქვენ ჩემი სავარაუდო მოქმედება დააფიქსირეთ.

— მე მხოლოდ ის დააფიქსირე, რომ თქვენ გქონდათ შესაძლებლობა მკვლელობა ჩაგვდინათ. სულ ეს არის. ბატონო რესტარიკ, მე თქვენ არავითარ ბრალდებას არ გიყენებთ. ჯერჯერობით.

ალექს რესტარიკმა თავაზიანად მიმართა კონსტებელ დოჯეთს. რომელიც ისევ ქშიხავდა.

— მე ასე სწრაფად სირბილ არ შემიძლია. მაგრამ უკეთესად ნავარჯიშევი ვარ.

— მარშან ზამთარში გადატანილი პრონქიტის შემდეგ ასე ვარ. — თავი იმართლა დოჯეთმა.

ალექსი ინსპექტორს მიუბრუნდა.

— მართალია, ცდილობთ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენოთ და შეამოწმოთ ჩემი რეაქცია (უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ მსახიობები, ო-ო, ძალზე მგრძობობიარე ხალხი ვართ! ფაქიზი მცენარეები). — ხმაში მას დამკინავი კილო შეეპარა. — მაგრამ ხუთუ გჯერათ, რომ მე ამ საქმესთან რაიმე კავშირი მაქვს? ამას როგორ გავაკეთებდი, რომ მოწამლული შოკოლადებით სავსე ყუთი გამეგზავნა ქალბატონი სეროქოლდისათვის და შიგ ჩემი ბარათი ჩამედო.

— ჩვენც სწორედ ასე ვფიქრობთ. აქ ისეთი საქმეა, რასაც ორმოც ბლეფს ეძახიან. ბატონო რესტარიკ.

— ოპ, მესმის, რა გამჭრიახი ბრძანდებით პო. ბართლა, ის შოკოლადები მოწამლულია?

— ექვსი შოკოლადი, რომელიც ალუბლის ლიქიორით იყო გაყდენთილი, მოწამლული აღმოჩნდა; დიახ, ისინი აკონიტს შეიცავდა.

— მე ეს საწამლავი არ მიყვარს, ინსპექტორო, პირადად მე კურარეს ვამჯობინებ.

— კურარე სისხლში შესაყვანია, ბატონო რესტარიკ, და არა ეუქში.

— რა კარგადაა გათვითცნობიერებული პოლიცია, — თქვა ალფრთოვანებული ალექსმა.

ინსპექტორმა კარიმ ერთი ჩუმად გადახედა ყმაწვილს და შეამჩნია, რომ მას ოდნავ წვეტიანი ყურები და არაინგლისური, უფრო სწორად ^{არა} მონღოლური ტიპის საბე ჰქონდა, თვალები ეშმაკურად უციმციმებდა. ვერ ამოიცნობდით, რას ფიქრობდა ალექს რესტარიკი. სატირი იყო, თუ ფაფნი? ალბათ, ნაპატივეები ფაფნიო, გაიფიქრა უცებ ინსპექტორმა კარიმ და რაღაც უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა.

ჰევიანი მატყუარა — ასე შეაფასა მან ალექს რესტარიკი. თავის ძმაზე უფრო ჰევიანი იყო. დედა რუსი ჰყავს თუ ვიღაც ამდაგვარი, როგორც გაიგო, „რუსები“ ინსპექტორ კარისტვის იგივე იყო, რაც „ბონები“ იყვნენ ადრეულ მეცხრამეტე საუკუნეში და რაც „ჰუნები“ მეოცე საუკუნის დასაწყისში. ყველაფერი, რაც რუსეთს უკავშირდებოდა, ინსპექტორი კარის აზრით ცუდი იყო, და თუ ალექს რესტარიკი გულბრანდსენის მკვლელი აღმოჩნდებოდა, ინსპექტორი დიდ კმაყოფილებას იგრძნობდა. მაგრამ, სამწუხაროდ, კარი არ იყო დარწმუნებული, რომ მკვლელი სწორედ ალექსი იყო.

კონსტებლმა დოჯითმა სული რომ მოითქვა, ალაპარაკდა:

— როგორც მითხარით, ფარდები ჩამოვაფარე, სერ, და ოცდაათამდეც დავითვალე. შევამჩნიე, რომ ფარდა ერთგან კაუჭზე არ ეკიდა და ჩამოწეული იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ გარედან შუქის დანახვა შეიძლებოდა.

ინსპექტორმა კარიმ ალექსს ჰკითხა:

— თქვენ წუხელ ფანჯარაში შუქი შენიშნეთ?

— სახლი საერთოდ არ დამინახავს, ისეთი ნისლი იყო, ხომ გეუბნები.

— ნისლი არათანაბარია, სხვათა შორის, ზოგჯერ ერთი წუთით ალაგ-ალაგ გადაიწმინდება.

— ისე არ გადაწმინდილა, რომ სახლი — მთავარი ნაწილი დამენახა, გიმნაზიის შენობა კი იქვე ახლოს ნისლში ბუნდოვნად მოჩანდა, თითქმის არარეალურად, ნავსადგურის საწყობების ილუზიას ქმნიდა. როგორც გითხარით, მე „ლაიმპაუზს“ ვდგამ და...

— დიახ, მითხარით, — დაეთანხმა ინსპექტორი კარი.

— ზოგს ჩვეულებად აქვს, იცით, ყველაფერი თეატრალურ დეკორაციად აღიქვას, და არა რეალობად.

— ალბათ ასეა. და მაინც დეკორაციები საკმაოდ რეალურია, ასე არ არის, ბატონო რესტარიკ?

— არ ვიცი, ზუსტად რას გულისხმობთ, ინსპექტორო.

— კეთილი, გეტყვით. დეკორაციები ხომ რეალური მასალისაგან კეთდება: ტილო იქნება, ხე, საღებავი თუ მუყაო. ილუზიად მხოლოდ მაყურებლის თვალი აღიქვამს, თორემ თავისთავად დეკორაცია ილუზია არაა, როგორც მოგახსენეთ, საკმაოდ რეალურია.

ალექსი მას მიაჩერდა.

— იცით, ძალიან საგულისხმოა თქვენი შენიშვნა, ინსპექტორო. ამან ერთი იდეა მომაწოდა.

— მომავალი ბალეტისთვის?

— არა, მომავალი ბალეტისთვის არა... ღმერთო ჩემო, ნუთუ ყველანი სულელები ვართ?

ინსპექტორმა და დოჯითმა მდელიობი გადაიარეს და სახლში დაბრუნდნენ (ალექსმა თავისთვის გაიფიქრა, ალბათ ნაკვალევს ეძებენო, მაგრამ შეცდა. ნაკვალევის სანახავად დილაადრიანვე გამოსულიყვნენ ისინი, მაგრამ უწყვეტად რადგან 2 საათზე კოკისპირულად გაწვიმებულიყო და წაფუჭებულიყო (ალექსმა ნელა აიარა გზა, თან ინსპექტორთან საუბრისას დაბადებულ იდეაზე ფიქრობდა, რამდენად შესაძლებელია მისი ხორცშესხმაო).

ამ დროს მისი ყურადღება ჯინამ მიიპყრო, ტბასთან ბილიკზე რომ სეირნობდა. სახლი ოდნავ შემადლებულზე იდგა და ხრეშით დაფარული გზა თანდათან დაბლა ეშვებოდა ტბისაკენ, რომელიც გარშემორტყმული იყო შქერითა და სხვა ბუჩქებით. ალექსი დაეშვა ამ ხრეშიან ბილიკზე და ჯინა მოძებნა.

— რომ შეიძლებოდეს მაგ უაზრო ვიქტორიანული ურჩხულის გაქრობა, — თქვა მან, თან თვალებს ჭუტავდა, — შესანიშნავი გედის ტბა იქნებოდა, ხოლო შენ გედი იქნებოდი. თუმცა, რომ დავფიქრდები, თოვლის დედოფლობა უფრო მოგიხდებოდა. ისეთივე ულმობელი ხარ, სხვას არას დაეძებ, ოღონდ შენი გაიტანო. არც სიბრალოე გაგაჩნია, არც სიკეთე და არც თანაგრძნობა. ნამდვილი ქალი ხარ, ჯინა ძვირფასო.

— რა ღვარძლიანი ხარ, ძვირფასო ალექს!

— იმიტომ, რომ თავს არ გატყუებინებ? საკუთარი თავით კმაყოფილი ხარ, ირა, ჯინა? ყველას შენს ნებაზე გვატარებ. მეც, სტივენსაც და იმ შენს ზოქობა, გულუბრყვილო ქმარსაც.

— სისულელეს ამბობ.

— ოჰ, არა. სტივენს უყვარხარ, მეც მიყვარხარ, უოლი კი საშინლად უბედურია, სხვა რა უნდა უნდოდეს ქალს?

ჯინამ შეხედა და გაიცინა.

ალექსმაც თავი დაუკრა.

— შენში არის პატიოსნების მარცვალი, რაც მე ასე მახარებს. პატიოსნება ლათინთა თვისებაა და იმათი მოგდგამს. ტყუილად იკატუნებ თავს, თითქოს გამომწვევი არ იყო, და, რომ თითქოს ძალიან წუხარ, როცა კაცებს ატყვევებ, მოგწონს ხომ, მამაკაცებს რომ უყვარხარ? იმ საბრალო პატარა ედგარ ლოუსონსაც კი!

ჯინა დაჟინებით მიაჩერდა, შემდეგ დინჯად, სერიოზულად დაიწყო:

— ეს დიდხანს არ გრძელდება, ხომ იცი. ქალები ბევრად უფრო ცუდ დღეში არიან, ვიდრე მამაკაცები. ისინი ყველაფერს უფრო მტკივნეულად განიცდიან. შვილები ჰყავთ და მეტისმეტად ზრუნავენ მათზე. როგორც კი მომხიბვლელობა დაეკარგებათ, მათ საყვარელ მამაკაცებს გული უცივდებათ. ლალატობენ, ყურადღებას აღარ აქცევენ და თავიდან იშორებენ. მე არ ვაღიანაშაულებ მამაკაცებს. ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი. არ მიყვარს ბებერი, მახინჯი ან ავადმყოფი ადამიანები, ან კიდევ ისინი, სულ მუდამ რომ წუწუნებენ, ან ედგარივით სასაცილონი არიან თავიანთი მედიდურობითა და ქედმაღლობით. შენ ამბობ, რომ ულმობელი ვარ? თვით სამყაროც ულმობელია! ადრე თუ გვიან ჩემს მიმართაც ულმობელი იქნება! მაგრამ ჭერ ახალგაზრდა ვარ, სასიამოვნო გარეგნობის, მიმზიდველ ქალად მთვლიან, — სახე საოცრად თბილმა დიმილმა გაუნათა, — დიახ, მე ეს მსიამოვნებს, ალექს, რატომაც არა?

— მართლაც, რატომაც არა? — თქვა ალექსმა. — ყველაზე ძალიან მაინტერესებს, გავიგო, რას აპირებ. სტივენს გაჰყვები ცოლად, თუ მე?

— მე უკვე უოლისთან ვარ დაქორწინებული.

— ეს დროებითია. ნებისმიერმა ქალმა შეიძლება ერთი შეცდომა დაუშვას, მაგრამ აუცილებელი არ არის იმ ქორწინებას მიეჯახვოს. უკონკრეტოებში ამან გამოცდა უკვე გაიარა, დადგა დრო უესტ ენდშიც გავრცელდეს.

— და შენ უესტ ენდში ითვლები?

— უეჭველად.

— მართლა გინდა ცოლად შემირთო? ვერ წარმომიდგენიხარ ცოლიანი.

— დაუინებით მოვითხოვ ცოლად გამომყვე. მე მუდამ ვფიქრობდი, რომ საყვარლის ყოლა საოცრად მოძველებულია. თან რამდენ სიძნელესთანაა დაკავშირებული, პასპორტებით, სასტუმროთ და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ. არა, ამ გზით მე საყვარელ ქალს ვერასოდეს მოვიპოვებ.

ჯინამ მხიარულად გადაიკისკისა.

— ძალიან გამამხიარულე, ალექს.

— ეს ჩემი მთავარი ღირსებაა. სტივენს ჩემზე უკეთესი გარეგნობა აქვს. მომხიბვლელიც არის და ძალიან მგრძნობიარეც, რაც ქალებს, რა თქმა უნდა, მოსწონთ. მაგრამ მგრძნობიარე ადამიანი დამქანცველია ოჯახში. ჯინა, შენი ცხოვრება ჩემთან სასიამოვნო იქნება.

— იმისი თქმა ხომ არ გინდა, რომ გავიყვებით გიყვარვარ?

— თუნდაც მართალი იყოს, მაინც არ გეტყვი. ეს რომ გავაკეთო, ერთით ნოლი იქნება შენს სასარგებლოდ. ერთადერთი, რასაც ვაპირებ, ის არის, მხოლოდ და მხოლოდ ქორწინების საქმიანი წინადადება შემოგთავაზო.

— ამაზე უნდა ვიფიქრო, — ღიმილით თქვა ჯინამ.

— რა თქმა უნდა. გარდა ამისა, უოლის ამ წამებისაგან იხსნი. მე სიმპათიურადა ვარ განწყობილი უოლის მიმართ. მისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთია ალბათ თქვენი ცოლ-ქმრობა ფილანთროპიის ამ მძიმე ოჯახურ გარემოში.

— რა პირუტყვი ხარ, ალექს!

— გამჭრიახი პირუტყვი.

— ხანდახან, — თქვა ჯინამ, — ვფიქრობ, უოლის სულაც არ ვენალვლები-მეთქი. ის უბრალოდ, აღარ მამჩნევს.

— შენ გინდა რამენაირად გააღიზიანო, გამოიწვიო, ის კი პასუხს არ გაძლევს, არა? რა საწყენია.

მოულოდნელად ჯინას ხელმა ჰაერში გაიფლავა და ალექსს გაპარსულ ლოყაზე სილა გააწნა.

— Touché?! — იყვირა ალექსმა.

მან სწრაფი, მარჯვე მოძრაობით ქალი მკლავებში მოიგდო და სანამ ის წინააღმდეგობას გაუწევდა, ტუჩებით დაეკონა და დიდხანს ვნებიანად კოცნიდა. ქალმა ცოტა გაიბრძოლა და მოეშვა...

— ჯინა!

ისინი გვერდზე გახტნენ. მილდრიდ სტრიტს სახე წამოქარხლებოდა, ტუჩე-

1. „გამარტყა!“ (ფრანგ.).

ბი უცახცახებდა, მათ გაბოროტებული მისჩერებოდა, ისე იყო გაცეცხლებული, ჯინას და ალექსს ენა ჩაუვარდათ.

— რა საზიზღრობაა... რა საზიზღრობაა... შენ ჩართუხუტა... ხელაღებული გოგო ხარ... სულ დედაშენს გავხარ... უსინდისო ხარ... უსინდისოც იყავი... მეტისმეტად გარყვნილი... შენ პარტიკის მოღალატე კი არა, მკვლელიცა ხარ... დიან, მკვლელი ხარ... ვიცი!

— რა იცით? ნუ ხართ ასეთი სასაცილო. დეიდა მილდრიდ.

— მე შენი დეიდა არა ვარ, მადლობა ღმერთს... სისხლით მათესობა არ გვაკავშირებს. შენ ისიც კი არ იცი, ვინ იყო დედაშენი ან სადაური იყო! სამაგიეროდ, კარგად იცი, როგორი იყო დედაჩემი და მამაჩემი. როგორ ფიქრობ, როგორ ბავშვს აიყვანდნენ ისინი? ვიღაც დამხამავის ან გარყვნილი ქალის შვილს! მათ უნდა სცოდნოდეთ, რომ ცუდი სისხლი მაინც თავს იჩენდა. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ იმ იტალიური სისხლის დამსახურებაა, მოწამვლა, რომ გაფიქრებინა.

— როგორ ბედავთ ამის თქმას?

— რასაც მინდა, იმას ვიტყვი. შენ ვერ უარყოფ ახლა, რომ ვალცა დედაჩემის მოწამვლა, ლამობდა. და ვინ უფრო გააკეთებდა ამას? ვალცა უზარმაზარი ქონება დარჩება დედაჩემის სიკვდილის შემდეგ. შენ, ჯინა, და დარწმუნებული იყავი, პოლიციას ეს არ გამოპარვია.

აცახცახებული მილდრიდი სწრაფად წავიდა.

— ავადმყოფია, — თქვა ალექსმა, — აშკარად ავადმყოფი. მართლაც საინტერესოა. საინტერესოა იმ გარდაცვლილი მღვდლის — სტრიტის საქმე... თუნდაც მისი რელიგიური კეთილსინდისიერება... ან იმპოტენტი ხომ არ იყო?

— რა საზიზღარი ხარ, ალექს. ოპ, როგორ მძულს. როგორ მეჭავრება ეს ქალი, როგორ მეჭავრება.

ჯინამ დამუშტული ხელები სიბრაზით პაერში მოიქნია.

— რა ბედნიერებაა, რომ დანა არ გაქვს წინდაში ჩადებული, — თქვა ალექსმა. — რომ გქონოდა, ძვირფასი ქალბატონი სტრიტი უეჭველად საკუთარ თავზე იწვენევდა, რას ნიშნავს მკვლელობა. დამშვიდდი, ჯინა. ნუ იქნები ასე თეატრალური, ნუ დაემგვანები იტალიური ოპერის გმირს.

— როგორ ბედავს, მითხრას, რომ მე ვიდუღას მოწამვლას ვცდილობდი?

— დამშვიდდი, ძვირფასო, ვიღაც ხომ ცდილობდა მის მოწამვლას, და მიზეზებს თუ გავითვალისწინებთ, შენ ყველაზე საეჭვო ჩანხარ ამ ფონზე, ასე არ არის?

— ალექს, — ჯინა შეძრწუნებული მიაჩერდა, — პოლიცია ასე ფიქრობს?

— ძალიან ძნელია იმის გაგება, რას ფიქრობს პოლიცია... ისინი საგულდაგულოდ ინახავენ საიდუმლოს, ხომ იცი, სულელები კი არ არიან, ამან ერთი რალაც გამაზსენა...

— რას მიდიხარ?

— ერთი იდეა უნდა შევამოწმო.

XVII თავი

— შენ ამბობ, ვიღაც ჩემს მოწამვლას ლამობს? — კერი ლუიზის ხმაში გაოცება და უნდობლობა იგრძნობოდა. — ამას ნამდვილად ვერ დავიჭერებ. — მან თვალები მილუღა და გაირიხდა.

ლუისმა წყნარად უთხრა:

— მინდოდა, ეს ამბავი შენთვის ამეცილებინა, ძვირფასო.

დაბნეულმა კერი ლუიზმა ხელი გაუწოდა მას, ლუისიც ნაზად შეეხო ხელზე. მისს მარფლი იქვე იჯდა და თანაგრძნობის ნიშნად თავს აქნევდა. კერი ლუიზმა თვალი გაახილა.

— ეს მართალია, ჯეინ? — იკითხა მან.

— ვშიშობ, ასეა, ძვირფასო.

— მაშინ, ყველაფერი... ხმა ჩაუწყდა კერი ლუიზს. შემდეგ განაგრძო:

მეგონა, ვიცოდი, რა იყო ჭეშმარიტება და რა არა... ეს არ ჰგავს ჭეშმარიტებას, მაგრამ ჭეშმარიტებაა. ასე რომ, შეიძლება მე ყველაფერში ვცდებოდე... მაგრამ ვის შეიძლებოდა ამის ჩადენის სურვილი გასჩენოდა?

ნუთუ ამ სახლში შეიძლება ისეთი ვინმე იყოს, ვისაც უნდა... ჩემი სიკვდილი? — მის ხმაში ისევ უნდობლობა გაისმა.

— სწორედ ანუ ვფიქრობდი მეც. — თქვა ლუისმა. — თურმე ვცდებოდი.

— და ქრისტიანმა იცოდა ამის შესახებ? მაშინ ეს ნათელს ჰფენს ყველაფერს.

— რას ჰფენს ნათელს? — იკითხა ლუისმა.

— მის საქციელს, — თქვა კერი ლუიზმა. — უცნაურად იქცეოდა. თითქოს სხვა ადამიანი იყო. შევამჩნიე, რომ ჩემს გამო ღელავდა. რაღაც უნდოდა ეთქვა ჩემთვის, მაგრამ გადაიფიქრა. მერე მკითხა, გული ხომ არ მაწუხებდა, კარვად თუ ვიყავი ბოლო ხანებში, უეჭველია, ცდილობდა რაღაც ეგრძნობინებინა ჩემთვის. მაგრამ რატომ პირდაპირ არ მითხრა. პირდაპირ ლაპარაკი ხომ ბევრად უფრო ადვილია.

— მას არ უნდოდა... ტკივილი მოეყენებია შენთვის, კაროლინ.

— ტკივილი? მაგრამ, რატომ... ოჰ, გასაგებია... — ქალს თვალები გაუფართოვდა. — მაშ, შენც გჯერა ეს ამბავი, მაგრამ ცდები, ლუის, ძალიან ცდები. შემიძლია დაგარწმუნო ამაში.

მეუღლემ ქალს თვალი აარიდა:

— ვწუხვარ, — თქვა ქალბატონმა სეროქოლდმა ცოტა ხნის შემდეგ. — მაგრამ არ მჯერა, რომ რაც ამ ბოლო დროს მოხდა, სინამდვილეა. არც ის, რომ ედგარმა გესროლა, არც ჭინასა და სტივენის ამბავი. არც იმ უცნაური მოკვლადის ყუთისა. ყველაფერი ტყუილია.

ხმა არავის ამოუღია.

კაროლინ ლუის სეროქოლდმა ამოიოხრა:

— ვფიქრობ, დიდი ხანია სინამდვილეს მოწყვეტილი ვცხოვრობ... გეთაყვა, ორივეს ვთხოვთ, მარტო დამტოვოთ... უნდა ვცადო გავერკვე...

11

მის მარფლი კიბებზე დაეშვა და დიდი დარბაზისაკენ გაემართა. დიდი, თალიანი კარის ახლოს ალექს რესტარკი შეამჩნია, რომელმაც მის დანახვაზე ხელები რაღაცნაირად ლაღად გაშალა და მიეგება.

— მობრძანდით, მობრძანდით, — მხიარულად უთხრა ალექსმა, თით-

ქოს ამ დიდი დარბაზის მფლობელი ყოფილიყოს. — სწორედ ახლა ვფიქრობდი წუხელ მომხდარ ამბებზე.

ლუის სეროქოლდმა, რომელიც ფეხდაფეხ გამოჰყვა მისს მარტლს კერი ლუიზის ოთახიდან, გადაჭრა დიდი დარბაზი, თავისი კაბინეტისაკენ გაემართა, შევიდა და ჩაიკეტა.

— დანაშაულის გარემოების აღდგენას ხომ არ აპირებთ? — მისს მარტლმა დაფარული ინტერესით.

— ა-ა? — ალექსმა კუმტად შეხედა. შემდეგ შებღლი გაიხანა.

— ოპ, არა, მთლად არა. ყველაფერ ამას სრულიად განსხვავებული კუთხით ვხედავ — თეატრალური თვალთახედვით, როგორც სინამდვილეს კი არა, როგორც ხელოვნებას! აბა, დაუკვირდით. წარმოიდგინეთ, რომ ეს დარბაზი სცენაა. განათება, შესასვლელები, გასასვლელები, მოქმედი პირნი, ხმაური, ძალზე საინტერესოა. მთლად ჩემი იდეა არ არის, ინსპექტორმა მომაწოდა. ვფიქრობ, ძალიან ვერაგი კაცია. ყოველნაირად ეცადა ამ დილით შევეშინებინე.

— და შეგაშინათ?

— არა ვარ დააშინებული.

ალექსმა აღწერა ინსპექტორის ექსპერიმენტი, თუ როგორ დანიშნა დრო, რომლის განმავლობაშიც კონსტრუქციული დოკუთი ფანჯრიდან გადაძვრა სახლში და აქოშინებული ისევ უკან დაბრუნდა.

— დრომ, — თქვა მან. — შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ადამიანი. შეიძლება იფიქროს, რომ დიდი დრო იყოს რალაციისთვის საჭირო, მაგრამ სინამდვილეში კი არც იმდენი.

— დიახ, — თქვა მისს მარტლმა.

წარმოიდგინა რა აუდიტორია, მისს მარტლმა ადგილი შეიცვალა. ახლა სცენაზე ასეთი დეკორაცია იყო: კედელზე ჩამოეფარებინათ უზარმაზარი გობელენი, რომელიც ბინდბუნდში უჩინარდებოდა, მარცხნივ როიალი იდგა. ხოლო მარჯვნივ ფანჯარასთან — დივანი. იქვე დივანთან ბიბლიოთეკაში გამავალი კარი მოჩანდა. პიანინოს სკამი მხოლოდ რვა ფუტით იყო დაშორებული კარიდან, რომელიც კვადრატულ ფოიეში გადიოდა. საიდანაც შეიძლებოდა დერეფანში მოხვედრილიყავით. ეს ორი მოხერხებული გასასვლელია!

ოთახში მყოფნი, რა თქმა უნდა, შესანიშნავად ხედავდნენ ორივეს...

მაგრამ წინა ლამით, აქ მყოფრებული არ იყო, არავინ. ააე ვთქვათ, არ იჭდა პირით სცენისკენ, რომელსაც ახლა მისს მარტლი უყურებდა, დარბაზში მყოფნი წინა ლამით ზურგშეკცევით ისხდნენ.

რა დრო დასჭირდებოდა ოთახიდან გაპარვას, დერეფანში გარბენას, გულბრანდსენის მოკვლას და უკან დაბრუნებას — აინტერესებდა მისს მარტლს. არც ისე დიდი ხანი, როგორც შეიძლება იფიქრო. წუთებსა და წამებში რომ გაიზომოს, უეჭველად ძალიან ცოტა დრო მოუწოდებოდა...

რას გულისხმობდა კერი ლუიზი, როცა თავის მეუღლეს უთხრა: „მამ, შენც გჯერა ეს ამბავი? იცოდე, ცდები, ლუის!“

— უნდა ვითხრათ, რომ მეტად შორსმჭვრეტელურად შენიშნა ინსპექტორმა, — ფიქრი შეაწყვეტინა ალექსმა, — დეკორაციებს: რეალურობის თაობაზე, რომლებიც ხისა და მუყაოსაგან არის გამოჭრილი და წებოთი შეერთებული და რომელთა მოუხატავი მხარეც ისევე რეალურია, როგორც მოხატული. ილუზიად მყოფრებლის თვალს აღიქვამსო. — ასე აღნიშნა მან.

— ეს ილუზიონისტის თინივითაა, — გაურკვევლად ჩაილაპარაკა მისს მარფლმა. — „სარკვებით აკეთებენო“, რომ ამბობენ, დარწმუნებული ვარ, სლენგია.



სტივენ რესტარკი აქოშინებული შემოვიარდა.

— გამარჯობა, ალექს, — მიესალმა ძმას, — ის ვინაა ვინაა გრეგი... არ ვიცი, გახსოვს თუ არა?

— რომელი გრეგი, ფესტის როლს რომ თამაშობდა შენს „მეთორმეტე ღამეში“? მე მგონი, ნიჭიერი ბიჭია.

— ჰო, რაღაც ნიჭი კი აქვს, თანაც კარგი ხელოსანია. სადურგლო სამუშაოს თითქმის სულ ეგ ასრულებს. თუმცა ახლა ამას არა აქვს მნიშვნელობა, ჭინასთან დიუტრაბანია, ღამით გარეთ გამოვდივარ და ბაღში ვსვირნობო, წუხელაც ბაღში ვიყავი და რაღაცა დავინახეო, — ასე უთქვამს.

ალექსი აწრიალდა.

— რა დაინახა?

— ამბობს, ამის თქმას არ ვაპირებო. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ბაჭიაობს, უნდა ყურადღება მიიქციოს. საშინელი მატყუარაა, მაგრამ, ვფიქრობ მაინც უნდა დაგკითხოთ.

ალექსმა გონივრულად თქვა: „ცოტა ხნით უყურადღებოდ დავტოვეოთ, არ ვაგრძნობინოთ, რომ დაინტერესებული ვართ“.

— შეიძლება შენ მართალიც ხარ, საღამომდე მოვიცადოთ.

სტივენი ბიბლიოთეკისკენ გაემართა.

მისს მარფლი დარბაზში წელა სცემდა ბოლთას, როცა ალექს რესტარკის შეეჯახა, რომელმაც მოულოდნელად უკან დაიხია.

— უკაცრავად, — უთხრა მისს მარფლმა.

ალექსმა ერთი კუშტად შეხედა და დაბნეულმა მიუგო:

— შაბატიეთ, — შემდეგ გაოცებულმა დაუმიტია: — ოჰ, ეს თქვენა ხართ?

მისს მარფლს ეს უცნაურად მოეჩვენა, რადგან წუთის წინ ერთად საუბრობდნენ ის და ალექსი.

— სხვა რამეზე ვფიქრობდი, — თქვა ალექს რესტარკმა. — ის ბიჭი, ერნი... — მან რაღაც უაზროდ აიჭნია ხელები. შემდეგ თითქოს გონს მოეგო, გაიარა დარბაზი, ბიბლიოთეკაში შევიდა და კარი გაიხურა.

დაკეტილი ოთახიდან ჩურჩული ისმოდა, მაგრამ მისს მარფლს ყური არ მოუგდია. მას არ აინტერესებდა ის ნიჭიერი ერნი და არც ის, რაც მან ნახა ან თავი მოჰქონდა, რომ თითქოს ნახა. გუმანიოტ გრძნობდა, რომ ერნის არაფერი დაუნახავს. ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ ისეთ ციფ, ნისლიან ღამით, როგორც წუხელ იყო, ერნი თავს შეიწუხებდა ჩაკეტილი კარის გაღებით რათა პარკში გაესეირნა. შესაძლოა, არც არასოდეს გასულა ღამით გარეთ; ეს ყველაფერი მხოლოდ სატრაბახოდ დასჭირდა.

— ჯონი ბექაუზის მსგავსად, — გაიფიქრა მისს მარფლმა, რომელსაც ყოველთვის მზად ჰქონდა რაიმე შედარება სენტ მერი მიდის ცხოვრებიდან ამოკრებილი პარალელების საგანძურებიდან.

„მე თქვენ წუხელ გნახეთ“, ასე აქილიკებდა იმათ, ვისაც, იცოდა, გულზე მოხვდებოდა მისი ნათქვამი.

საოცრად ჭკვიანური დაკვირვებაა. მართლაც, ფიქრობდა მისს მარფლი, ხომ ხდება, რომ აღაშინანს სიკვდილი ურჩევნია, ოღონდ მავან და მავან ადგილს ვინმემ არ დაინახოს.

მისს მარტლმა შეწყვიტა ჯონიზე ფიქრი და მთელი გულსყური მიაბყრო იმ რაღაც ბუნდოვანსა და გაურკვეველს, რასაც ალექსის ნათქვამმა ინსპექტორ კარის დაკვირვებაზე ერთგვარი ნათელი მოპფინა. ამ დაკვირვებამ ალექსს ერთი იდეა მიაწოდა. როგორც მისს მარტლი ფიქრობდა, თვითონ მასაც დაებადა რაღაც იდეა, მაგრამ იგივე იდეა, თუ განსხვავებული იქნებოდა.

მისს მარტლმა ახლა მიაგნო იმ აზრს, რომლისთვისაც უკვე მიეცვლია ალექს რესტარტის, ქალი თავისთვის ფიქრობდა: „ეს არ არის ნამდვილი დარბაზი, ეს მხოლოდ მუყაო, ტილო და ხეა, ეს დეკორაციაა...“ ნაწყვეტ-ნაწყვეტ-მა ფრაზებმა გაიელვა მისს მარტლის გონებაში. „ილუზია...“ — „მაყურებლის თვალში“, — „ამას სარკეებით აკეთებენ...“ ოქროს თევზებიანი აკვარიუმი... უსასრულო ფერადი ლენტები... გაუჩინარებული ქალები... ილუზიონისტის თვალთმაქცობა...

რაღაც გაცოცხლდა მისს მარტლის თვალწინ — სურათი... რაც ალექსამა დაინახა... რაც ალექსმა აღუწერა... აქოშინებული კონსტებლი დოჯეთი... აქოშინებული... რაღაცამ გამოაფხიზლა ქალის გონება, მოულოდნელად განათდა.

„რა თქმა უნდა! — წამოიძახა მისს მარტლმა. — ასეც იქნება...“

XVIII თავი

— ოჰ, უოლი, როგორ შემაშინე! — უკან გადახტა თეატრის ჩრდილიდან გამოსული ჯინა, როცა უოლი ჰადის ფიგურა სიბნელეში გამოიკვეთა. ჯერ კარგად არ დაღამებულიყო, მაგრამ ისეთი ბინდი იდგა, გაურკვეველ შიშს, რომ აღუძრავს ადამიანს; ამ დროს საგნები თავიანთ ნამდვილ სახეს კარგავენ და კომპარულ მოჩვენებებს ემსგავსებიან.

— აქ რას აკეთებ? შენ ხომ თეატრა სათოფეზეც არ ეკარები?

— იქნებ შენ გეძებ, ჯინა. აბა, სხვაგან სად გიპოვიდი, ასე არ არის?

უოლის რბილ ხმაში, მის ოდნავ შენელებულ ლაპარაკში გადაკვრით ნათქვამი არ იგრძნობოდა, და მაინც, ჯინა შეკრთა.

— მე ამ საქმეზე შეყვარებული ვარ, მე მომწონს საღებავისა და ტილოს გარემოცვა... საერთოდ, კულისებში ტრიალი.

— დიახ, შენთვის ეს ბევრს ნიშნავს, მე უკვე შევამჩნიე, მითხარი, ჯინა, რამდენ ხანს გასტანს, როგორ ფიქრობ, ამ საქმის გამოძიება?

— გამოძიება ხვალ იწყება, დამთავრდება ალბათ ორი კვირის, ან ცოტა მეტის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში, ინსპექტორმა კარიმ ასე მიგვანიშნა.

— ორი კვირა, — თქვა ჩაფიქრებულმა უოლიმ. — გასაგებია, ვთქვათ, სამი კვირა, და ამის შემდეგ ჩვენ თავისუფალი ვართ. შემდეგ მე შტატებში დავბრუნდები.

— ოჰ, მაგრამ მე ვერ წამოვალ ახლა, — იყვირა ჯინამ. — დიდუდას ვერ მივატოვებ, თანაც ეს ორი პიესა უნდა დავასრულოთ...

— მე არ მითქვამს „ჩვენ“, მე ვთქვი, მე ვაპირებ-მეთქი.

ჯინა გაჩერდა და მეუღლეს ახედა, ბინდბუნდში უოლი რაღაც ვეება მოეჩვენა, და ეს ვეება მშვიდი ფიგურა თითქოს ემუქრებოდა ან შეიძლება ქალს მოეჩვენა ასე... თავს წამოსდგომოდა და ემუქრებოდა... მაგრამ რას ემუქრებოდა?

— ეს იმას ნიშნავს, რომ არ გინდა... — ქალი შეყოყმანდა. — თან წამიყვანო?

— როგორ არა... მე ეგ არ მითქვამს.

— შენთვის სულ ერთია, მე წამოვალ თუ არა? ასეა? — უცნაურ აღშფოთდა ჯინა.

— მისმინე, ჯინა. ახლა შეგვიძლია გულახდილად ვესაუბროთ შენ კარგად არ ვიცნობდით ერთმანეთს, როცა დაექორწინდით — ბევრი არაფერი ვიცოდით არც ერთმანეთის წარსულზე, არც ნათესაობაზე. ვფიქრობდით, რომ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვფიქრობდით, რომ არაფერს არ ჰქონდა მნიშვნელობა, ოღონდ ჩვენ ვყოფილიყავით ერთად, კეთილი, პირველი ხანა დამთავრდა. თქვენთანები დიდი აზრისა არც იყვნენ და არც ახლა უნდა იყვნენ ჩემზე. შეიძლება მართალიც არიან, მე მათ არ ვგაყარ. მაგრამ, თუ შენ ფიქრობ, რომ მე აქ ამაოდ დავრჩი, თანაც მაკეთებინებ იმ უცნაურ საჭმეს, რაც სიგიჟედ მიმაჩნია — კეთილი, შენი ნებაა, ასე იფიქრე! მე მსურს ჩემს ქვეყანაში ცხოვრება. მსურს ვაკეთო ის, რაც მე მინდა, და რაც შემოიძლია. ჩემი წარმოდგენით ცოლი ისეთი უნდა იყოს, პირველ ახალმოსახლეებს რომ ჰყავდათ. მუდამ მხარში ედგნენ თავიანთ ქმრებს, მზად იყვნენ აფტანათ ყოველგვარი გაჭირვება, არ უშინდებოდნენ ხიფათს, უცხო ქვეყანას, უცხო გარემოს... მართალია, ძალიან ძნელია ეს ყველაფერი შენ მოგახოვო, მაგრამ ან ასე უნდა იყოს, ან არაფერი! იქნებ დაგაჩქარე ცოლად გამომყოლოდი. თუ ასეა, უმჯობესია გათავისუფლდე და ცხოვრება თავიდან დაიწყო. ეს შენზეა დამოკიდებული. თუ შენ რომელიმე იმ მსახიობთაგანი გირჩევნია — ეს შენი ცხოვრებაა და არჩევანი შენზეა. მე კი შინ მივდივარ.

— ჩემი აზრით, ნამდვილი ღორი ხარ, — თქვა ჯინამ. — მე აქ მხიარულად ვარ.

— მართლა? კეთილი, მე — არა. შენ მკვლელობაც გამხიარულებს, მე მგონი.

ჯინამ ერთი ღრმად ჩაისუნთქა:

— ამას როგორ შეუბნები, რა სასტიკი და ღვარძლიანი ხარ. მე ძალიან მიყვარდა ძია ქრისტიანი. და ნუთუ ვერ ხვდები, რომ ვიღაც ჩუმად წამლაგდა დიდუდას თვეების განმავლობაში. ეს საშინელება!

— მე გითხარი, არ მომწონს აქაურობა — ყველაფერი ის, რაც აქ ხდება. მე მივდივარ.

— კი, წახვალ, თუ ნება დაგრთეს! ნუთუ ვერ ხვდები, რომ შეიძლება დაგაპატიმრონ ძია ქრისტიანის მკვლელობის გამო? მე შეზიზღება ინსპექტორი კარი, ასეთი თვალით რომ გიყურებს. კატასავითაა ჩასაფრებული, თავგს რომ უთვალთვალებს და საზიზღარი ბასრი ბრწყალებით მის დაქერას ლამობს. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დარბაზიდან გახვედი შეუქის შესაკეთებლად, კიდევ იმიტომ, რომ ინგლისელი არა ხარ. დარწმუნებული ვარ, შენ დაგაბრალებენ ყველაფერს.

— ეგ ჯერ უნდა დამიმტკიცონ.

ჯინა აქვითინდა.

— მე შენი დარდი მაქვს, უოლი. სულ შენზე ვდარდობ.

— რა გაშინებს, ხომ გეუბნები, ჩემს წინააღმდეგ არავითარი საბუთი არა აქვთ-მეთქი.

ისინი ჩუბად გაემართნენ სახლისაკენ. ჭინამ თქვა:

— არ მჯერა, რომ ნამდვილად ჩემთან ერთად გინდა ამერიკაში დაბრუნება.



უოლტერ ჰადმა არაფერი უბასუხა.

ჭინა ჰადს გამწარებული მიუბრუნდა და ფეხების ბაკელებს მძიმად დასადგინებდა.

— მეზიზღები, მეზიზღები, რა საშინელი პირუტყვი ხარ! საზიზღარი, უგულო პირუტყვი. ბოლოს და ბოლოს, მე ვცდილობდი მეზრუნა შენზე. შენ კი ჩემი თავიდან მოშორება გინდა. სულაც არ გაწუხებს, რომ იქნებ, ვეღარასოდეს მნახო. კეთილი, არც მე მაწუხებს, გნახავ თუ არა! რა სულელი გოგო ვიყავი, შენ რომ გამოგყევი. როგორც კი შესაძლებელი იქნება, განქორწინებას მივალწევ და სტივენს ან ალექსს გავყვები ცოლად, და ბევრად უფრო ბუნდნირი ვიქნები, ვიდრე — შენთან ოდესმე. იმედი მაქვს, შტატებში დაბრუნდები, ვინმე საზიზღარ გოგოს შეირთავ, რომელიც ნამდვილად გაგაუბედურებს.

— შესანიშნავია! — თქვა უოლტერ. — ახლა უკვე გასაგებია ყველაფერი!

XIX თავი

მისს მარტლმა დაინახა, ჭინა და უოლი სახლში ერთად რომ შედიოდნენ. ის იდგა იმ ადგილას, სადაც ინსპექტორმა კარიმ კონატებლ დოჭეთთან ერთად ნაშუადღევს ექსპერიმენტი ჩაატარა.

უეცრად მისს ბელევერის ხმამ შეაერთო, უკნიდან რომ მოესმა.

— გაცივდებით, მისს მარტლ, ასე რომ დგახართ. უკვე მოსალამოვდა.

მისს მარტლი მას ფეხდაფეხ გაჰყვა და მარტლად შევიდნენ სახლში.

— ახლა ოინების ჩვენებაზე ვფიქრობდი — თქვა მისს მარტლმა. — რა ძნელია, როცა თვალყურს ადევნებ, გაიგო, თუ როგორ კეთდება ოინი, თუმცა, საკმარისია აგიხსნან, რომ მაშინვე ძალზე იოლი მოგეჩვენოს. (მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვხვდები, საიდან გააჩენს ხოლმე ილუზიონისტი ოქროს თევზებიან აკვარიუმს!) გინახავთ ოდესმე შუაზე გადახერხილი ქალი? ერთნატილის მომგვრელი ოინია, აი ამან მომაჯადოვა, მახსოვს, როცა თერთმეტი წლის ვიყავი. ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფრით მივხვდი, როგორ კეთდებოდა ეს. ამის წინათ კი გაზვთში დაიბეჭდა ერთი წერილი, სადაც მთელი საიდუმლო იყო გამელავებული. მე მგონი, გაზვთმა არ უნდა გააკეთოს მსგავსი რამ, ასე არ არის? როგორც ჩანს, ერთი გოგონა კი არა, ორია, ერთის თავია, მეორის კი ფეხები. გგონია, რომ ერთი გოგოა, სინამდვილეში კი ორი ყოფილა, ანდა, პარტიკულარად რომ იყოს, მაინც გამოვა ოინი, ასე არ არის?

მისს ბელევერი შეცბუნებული შესცქეროდა მას. ასეთი დაბნეული და უთავბოლოდ მოლაპარაკე ჯერ არ ენახა მისს მარტლი. „ალბათ ამ ამბებმა ძლიერ იმოქმედა ხნიერ ქალზე.“ — გაიფიქრა მან.

— როცა რალაცას ერთი მხრიდან უყურებ, მხოლოდ იმ მხარეს ხედავ. — განაგრძო მისს მარტლმა, — მაგრამ ესეც სავსებით საკმარისია, თუ შეგიძლია გაარკვიო, რა არის სინამდვილე და რა არის ილუზია. — მერე მოულოდნელად იკითხა: — კერი ლუიზი ხომ კარგად გრძნობს თავს?

— დიახ, — თქვა მისს ბელევერმა, — კარგად არის, მაგრამ დიდი დარტყმა მიიღო, როცა გაიგო, რომ ვილაცა მის მოკვლას ლამობდა, ნამდვილი შოკი იყო, რადგან მისთვის ძალიანობა გაუგებარია.

— კერი ლუიზს ზოგიერთი რამ ჩვენზე უკეთ ესმის, — თქვა ფიქრებში წასულმა მისს მარფლმა. — ყოველთვის ასე იყო.

— მე მესმის, რასაც გულისხმობთ, მაგრამ ის ამ ცხოვრებით არ ცხოვრობს.

— ნუთუ?

გაოცებულმა მისს ბელვეერმა შეხედა მას.

— არ არსებობს ამქვეყნად კარაზე უფრო არამიწიერი პიროვნება...

— თქვენ ხომ არ ფიქრობთ, რომ... — მისს მარფლმა შეწყვიტა ლაპარაკი, ედგარ ლოუსონმა მათ სწრაფად ჩაუარა, მორცხვად დაუკრა ქალებს თავი და პირი იბრუნა. — ახლა გამახსენდა, ვის მაგონებს ის, — თქვა მისს მარფლმა. მთლად მოულოდნელად გამიელვა გონებაში, ის მაგონებს ერთ ახალგაზრდას, რომელსაც ლეონარდ უაილი ჰქვია. მამამისი კბილის ექიმი იყო. როცა მოხუცდა, თვალთ დააკლდა და ხელების კანკალი დასჩემდა, პაციენტებმა შეილთან დაიწყეს სიარული. მოხუცი ამან გააუბედურა და დაადარდიანა. ამბობდა, არაფრის მაქნისი აღარა ვარო, ჰოდა, ლეონარდმა, რომელიც საოცრად გულჩვილი იყო და საკმაოდ სულელიც, ხალხს ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ზომიზე მეტს სვამდა. მას მუდამ ვისკის სუნი ასდიოდა და მან იქცეოდა პაციენტებთან, თითქოს მთვრალი იყო. ეს იმ მიზნით გააკეთა, რომ ისინი კვლავ მამასთან წასულიყვნენ სამკურნალოდ და ეთქვათ, ახალგაზრდა ექიმი არ ვარგაო.

— ასეც მოხდა?

— რა თქმა უნდა, არა, — თქვა მისს მარფლმა. — მოხდა ის, რაც ნებისმიერ გონიერ ადამიანს შეეძლო ეთქვა მისთვის, რომ მოხდებოდა. პაციენტები წავიდნენ ბატონ რაილისთან, მათ კონკურენტებთან, ასე რომ, ბევრ კეთილშობილ ადამიანს ჰქვია არა იქვე. გარდა ამისა, ლეონარდ უაილის ქცევა არ იყო დამაჯერებელი... მისი სიმთვრალის იდეა სულაც არ ჰგავდა ნამდვილ სიმთვრალეს, და მან მთლად გადაამლაშა — ვისკის ტანსაცმელზე ისხამდა, წარმოგიდგენიათ, რაღაც უზომო რაოდენობით.

ისინი სახლში გვერდითა კარიდან შევიდნენ.

X X თ ა ვ ი

სახლში რომ შევიდნენ, მთელი ოჯახი ბიბლიოთეკაში დაუხვდათ თავშეყრილი. ლუისი ბოლთან სცემდა, ირგვლივ დაძაბულობა სუფევდა.

— მოხდა რამე? — იკითხა მისს ბელვეერმა.

ლუისმა მოკლედ მოუჭრა: «ერთი გრეგი არ ჩანს ამ საღამოს!»

— ხომ არ გაიპარა?

— არ ვიცი. მავერიკი და რამდენიმე თანამშრომელი ეზოს ითვლიერებენ. თუ ვერ ვიპოვეთ, პოლიციას უნდა შევატყობინოთ.

— დიდედ! — კერი ლუიზის გაფითრებული სახე რომ დაინახა, ჯინა შემფოთებული მიიჭრა მასთან. — ავად ხომ არა ხართ?

— სევდა შემომაწვა. საბრალო ბიჭია.

ლუისმა თქვა:

— ამ საღამოს ვაპირებდი გამომეკითხა, რაიმე ყურადსაღები ხომ არაფერი შეუნიშნავს წუხელ. კარგი ადგილი მინდოდა შემეთავაზებინა მისთვის

და ვფიქრობდი, საუბრის დასასრულს ამაზედაც დავლაპარაკებოდი. ახლა...
— მან შეწყვიტა ლაპარაკი.

მისს მარტლმა ჩაიჩურჩულა:

— რა სულელი ბიჭია... საბრალო სულელი ბიჭი...
ქალბატონმა სეროქოლდმა კი ალერსით ჰკითხა:

— მაშ, შენც ასე ფიქრობ, ჯენ...?

ოთახში სტივენ რესტარიკი შემოვიდა და თქვა:

— თეატრში გელოდებოდი, ჯინა. ვფიქრობდი... გამარჯობათ, რა ხდება?
ლუისმა კვლავ გაიმეორა თავისი ინფორმაცია და როცა დაამთავრა, დოქტორი მავერიკი შემოვიდა. თან შემოიყვანა ქერათმიანი, ვარდისფერლოყება ბიჭი, რომელსაც საექვოდ ანგელოზური გამომეტყველება ჰქონდა. მისს მარტლს გაახსენდა, რომ იგი სადილზე ნახა იმ საღამოს, სტოუნიგეიტში რომ ჩამოვიდა.

— ართურ ჯენკინსი წამოვიყვანე თან, — თქვა დოქტორმა მავერიკმა, — როგორც სჩანს, სულ ბოლოს ეგ ელაპარაკა ერნის.

— ახლა, ართურ. — თქვა ლუის სეროქოლდმა. — გეთაყვა, დოგვეხმარე. თუ შეგიძლია. სად წავიდა ერნი? იხუმრა, ხომ?

— არ ვიცი, სერ. ნამდვილად არ ვიცი. ჩემთვის არაფერი უთქვამს, ნამდვილად არაფერი. სულ სპექტაკლზე ლაპარაკობდა, ეგ არის და ეგ, მითხრა. შესანიშნავი დეკორაცია მოვიფიქრე, ქალბატონი ჰადი და ბატონი სტივენი აღფრთოვანებული არიანო.

— კიდევ ერთი რამ, ართურ. ერნი ირწმუნებოდა, რომ წუხელ, როცა კარი დაკეტილი იყო, ეს ეზოში სეირნობდა. მართალია?

— რა თქმა უნდა, არა. ის ტრაბახობდა, მეტი არაფერი. ერნი საშინელი შატყუარაა. ღამით არასოდეს გადიოდა გარეთ. მხოლოდ ტრაბახობდა. მან ხომ არ იცოდა ჩაკეტილი კარის გახსნა! კლიტეს ვერაფერს დააკლებდა. თანაც, ნამდვილად ვიცი, წუხელ შინ იყო.

— შენ ამას მხოლოდ იმისთვის ხომ არ ამბობ, რომ დაგვამწვიდო, ართურ?

— მე მოგკვდე... — თქვა ართურმა შემართებით.

ლუისი მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანდა.

— ყური დაუგდეთ. — თქვა დოქტორმა მავერიკმა, — რა არის ეს?

ჩურჩული თანდათან ახლოვდებოდა კარი ფართოდ გაიღო და ოთახში ბარბაცით შემოვიდა გადაფითრებული ბატონი ბაუმგარტენი.

ქოშინით თქვა: „ვიპოვეთ ის... ისინი, რა საზარელია...“ იგი სკამზე დაეშვა და შუბლი მოიწმინდა.

მილდრიდ სტრიტმა უხეშად ჰკითხა:

— რას ნიშნავს... ისინი ვიპოვეთო?

ბაუმგარტენი მთელი ტანით ცახცახებდა.

— იქ, თეატრში, — თქვა მან. — თავები გაქვლეტილი აქვთ — საპირწონე დასცემიათ. ალექს რესტარიკი და ის ბიჭი — ერნი გრეგი, ორივენი მკვდრები არიან...



საბჭოთა კავშირის
გამომცემლობა

X X თ ა ვ ი

წვნიანი მოგიტანე, კერი ლუიზ, — უთხრა მისს მარტლმა, — დალიე, გეთაყვა.

ქალბატონი სეროქოლდი დიდ ჩუქურთმიან მუხის საწოლში წამოჯდა. იგი მთლიან ბავშვს ჰგავდა. ვარდისფერი ლოყები გაფითრებულ იქნა. უჩვეულო დაბნეულობა ჩასდგომოდა. წვნიანი მორჩილად გამოართვა მისს მარტლს. სანამ წვნიანს ხვრებდა, მისს მარტლი იქვე, საწოლის გვერდით სკამზე იჯდა.

— პირველად, ქრისტიანი, — თქვა კერი ლუიზმა, — ხელა ალექსი და ის საბრალო, მკვირცხლი, პატარა სულელი ერნი. ნუთუ მართლა იცოდა რამე?

— არა მგონია, — თქვა მისს მარტლმა, — იტყუებოდა, ვითომ რამე დაუნახოს ან სცოდნოდეს — ამით ცდილობდა ყურადღება მიექციო. მთელი ტრაგედია კი ის არის, რომ ვიღაცამ ეს ტყუილი მართლა დააჭერა.

კერი ლუიზი ცახცახებდა. მის თვალებს კვლავ დაბრუნებოდა მეოცნებე გამომეტყველება.

— ჩვენ იმდენი რამის გაკეთებას ვაპირებდით ამ ბიჭებისთვის... ცოტა რამ მართლაც გავაკეთეთ. ზოგიერთი შესანიშნავად მოეწყო, რამდენიმე მათგანი ნამდვილად პასუხსაგებ აღვიღზეა. ძალიან ცოტაა არ გაუშარტლა — მაგრამ რას იზამ. თანამედროვე ცივილიზებული სამყარო ისე გართულდა... მეტად რთულია ზოგიერთი გულუბრყვილო, მარტივი ბუნების ადამიანისათვის. ზომ იცი, რომ ლუისს დიდი გეგმები აქვს? მას ყოველთვის მიეჩნდა, რომ ხალხის გადასახლება სხვა ქვეყნებში დიდად საქმეა, რამაც ოდესღაც ბევრი პოტენციური დამნაშავე გადაარჩინა. ისინი ოკეანგაღმა გადაჰყავთ გემით. სადაც ახალ ცხოვრებას იწყებენ შედარებით უბრალო გარემოში. ლუისს უნდა, ამის საფუძველზე ახალი პროექტი განახორციელოს, შეისყიდოს საკმაოდ დიდი ტერიტორია, ან კუნძულები, დააფინანსოს რამდენიმე წლით, შექმნას თავისუფალი, დამოუკიდებელი კოლონიალური ერთობა, სადაც თვითუფლად ადამიანს თავისი წილი ექნება. მაგრამ ეს ერთობა ისე უნდა იყოს მოწყვეტილი სხვა სამყაროს, რომ ქალაქებში დაბრუნებისა და ძველებურად ცხოვრების ცდუნებას ვეღარ აპყვნენ. ეს მისი ოცნებაა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, დიდ თანხებს მოითხოვს, მეოცნებე ფილანთროპები კი... იშვიათად თუ გამოჩნდებიან. ახლა მეორე ერიკი გვჭირდება. ერიკი ალტაცებული იქნებოდა ამ პროექტით.

მისს მარტლმა პატარა მაკრატელი აიღო და ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა.

— რა უცნაური მაკრატელია, — თქვა მან, — ერთ მხარეს ორი სათითური აქვს, მეორეზე კი ერთი.

კერი ლუიზის მხერა იმ შემაშფოთებელი შორეთიდან დაბრუნდა.

— ალექსმა ამ დილით მომიტანა, — თქვა მან. — ეს გაბრვილისწინებულისა იმისათვის, რომ მარჯვენა ხელის თითებზე ფრჩხილების მოჭრა გაიადვილოს. რა საყვარელი ბიჭი იყო, როგორი გულიანი, მაშინვე დამაპრევიანა.

— და ალბათ შეაგროვა დაჭრილი ფრჩხილები და ფრთხილად გაიტანა, თქვა მისს მარტლმა.

— დიან, — მიუგო კერი ლუიზმა, — მან... ის უცებ შეჩერდა, — ეს რატომ თქვი?

— ალექსზე ვფიქრობდი, ის გონიერი უმაწვილი იყო. დიახ, ის მართლაც გონიერი იყო.

— შენ ფიქრობ... ამიტომაც დაიღუპა?

— ასე ვფიქრობ... დიახ.

— ის და ერნი... აუტანელია ამაზე ფიქრი. რას ამბობენ... უნდა მომხდარიყო ეს?



რას ამბობენ... უნდა მომხდარიყო ეს?
შინა-ნიქოშვილი

— გვიან საღამოს. დაახლოებით ექვსიდან შვიდ საათამდე...

— სამუშაოს დამთავრების შემდეგ?

— დიახ.

ჩინა იქ იყო ამ საღამოს. უოლი პატიც. სტივენმაც თქვა, რომ იქ იყო, ჩინას ეძებდა... მაგრამ, როცა ეს ხდებოდა, ნებისმიერს შეეძლო... მისს მარფლის ფიქრების ჩაქვი შეწყდა.

მოულოდნელად კერი ლუიზმა მშვიდად წარმოთქვა:

— ბევრი იყო, ჩეინ?

მისს მარფლმა გამკრიახი მზერა მიაპყრო. ქალების თვალები ერთმანეთს შეხვდა. მისს მარფლმა ნელა თქვა: „მე რომ დარწმუნებული ვიყო... — ვფიქრობ, დარწმუნებული ხარ, ჩეინ!“

ჩეინ მარფლმა ავლავ ნელა უთხრა:

— როგორ მოვიქცე?

კერი ბალიშზე გადაწვა:

— ეგ შენი ნებაა, ჩეინ, ისე მოიქეცი, როგორც სწორად მიგაჩნია.

მან თვალები დახუჭა.

— ხვალ, — შეყოყმანდა მისს მარფლი, — ვეცდები ინსპექტორ კარის დაველაპარაკო. თუ მომისმინა...

X X I თ ა ვ ი

ინსპექტორმა კარიმ მოუთმენლად თქვა:

— დიახ, მისს მარფლ?

— შეიძლება დიდ დარბაზში შევიდეთ?

ინსპექტორი კარი განცვიფრდა.

— ცალკე გინდათ შელაპარაკოთ? უთუოდ აქაც... — მან კაბინეტს მოავლო თვალი.

— არა, არც მიფიქრია მაგაზე, რაღაც მინდა განახოთ. ის, რაც ალექს რესტაროკმა დამანახა...

ინსპექტორ კარის სუნთქვა შეეკრა, იდგა და მისს მარფლს გაჰყვა.

— ვინმე გელაპარაკათ? — ჰკითხა დაიმედებულმა.

— არა, — თქვა მისს მარფლმა. — საქმე ის კი არ არის, ვინმე შელაპარაკა თუ არა, საქმე ის არის, რომ აქ ილუზიონისტის ოინის მსგავსი რაღაც ხდება. ამას სარკეებით აკეთებენ, ხომ იცით — ასეთ რამეებს — თუ გესმით ჩემი...

ინსპექტორმა კარიმ ვერ გაიგო. მისს მარფლს მიაჩერდა, სრულ ჰკუპზე თუ არისო.

მისს მარფლი მოხერხებულად დადგა და ხელით ანიშნა ინსპექტორს, გვერდით დამიდევითო.

— მე მინდა, ინსპექტორო, თქვენ წარმოიდგინოთ, რომ ეს სცენაა, სადაც ისევია დეკორაცია განლაგებული, როგორც იმ ღამეს, ქრისტიან გულბრანდსენი რომ მოკლეს. თქვენ აქ მათუბრებელთა შორის ხართ და თვალყურს

ადევნებთ სცენაზე მოქმედ პირებს: ქალბატონ სეროქოლდს, მე, ქალბატონ სტრიტს, ჯინს და სტივენს, და ისევე როგორც სცენაზე, აქაც არის შესასვლელები და გასასვლელები და გმირები სხვადასხვა ადგილას გვიდგან. ოლონდ, როცა მაყურებელთა შორის ხართ, არ ფიქრობთ, სად გადიან სინამდვილეში. ისინი გადიან „წინკარში“ ან „სამზარეულოში“, და როცა კარზე ედგები, თქვენ წამით ხედავთ უკანა დეკორაციას. მაგრამ სინამდვილეში კარები უნდა იყოს ისინი გადიან კულისებში, ან სცენის უკან, სადაც ტრიალებენ დურგლები და ელექტრიკოსები, აგრეთვე სხვა მოქმედი პირნი, რომელნიც თავიანთ რიგს ელოდებიან. ხოლო ისინი, ვინც უკვე კულისებში გავიდნენ, სხვა სამყაროში ხვდებიან.

— კარგად არ შესძის, მისს მარფლ...

— ოჰ, რასაკვირველია. ვფიქრობ, ჩემი ნათქვამი მეტად სულელურად ჟღერს, მაგრამ, აბა, ყოველივე წარმოიდგინეთ როგორც სპექტაკლი, სადაც სტოუნივეიტის „დიდი დარბაზი“ სცენაა. რა არის სინამდვილეში სცენის უკან? მე ვგულისხმობ, რას წარმოადგენს სცენის უკანა მხარე? ტერასა, არა? ტერასას, რომელსაც უამრავი ღია ფანჯარა გადაჰყურებს... და, იცით, აი ასე ჩატარდა ოინი. მაგრამ ეს შუაზე გადახერხილი ქალის საცირკო ნომერმა მოფიქრებინა.

— შუაზე გადახერხილი ქალი? — ინსპექტორი კარი ახლა კი დარწმუნდა, რომ მისს მარფლი სრულ ჭკუაზე არ იყო.

— ჟრუანტელის მომგვრელი ოინია. თქვენ ალბათ ნანახი გექნებათ, მაგრამ სინამდვილეში ერთი კი არა, ორი ვოგონაა. ერთის თავია და მეორის — ფეხები. თითქოს ერთი ადამიანია, სინამდვილეში კა ორია. ასე რომ, ვიფიქრე, იქ შეიძლება პირიქითაა. ორი ადამიანი შეიძლება სინამდვილეში ერთი პიროვნება იყოს-მეთქი.

— ორი ადამიანი სინამდვილეში ერთი იყო? — ინსპექტორი კარი გაოგნდა.

— დიან, ოლონდ დიდი ხნით არა. რა დრო დასჭირდა თქვენს კონსტრუქტორს პარკში, რომ სახლისკენ გაქცეულიყო და ისევე უკან დაბრუნებულიყო? ორი წუთი და ორმოცდახუთი წამი, არა? ამას კი უფრო ნაკლები დასჭირდებოდა, ორ წუთამდე.

— რას დასჭირდებოდა ორ წუთზე ნაკლები?

— იმ ოინს-მეთქი, ოინს, როცა ორი ადამიანი კი არა, ერთი ადამიანი იყო, იქ — კაბინეტში. ჩვენ მხოლოდ სცენის ხილულ ნაწილს ვუყურებთ. სცენის უკან კი ტერასა და ფანჯრების რიგია. რა ადვილია, როცა კაბინეტში ორი ადამიანია, ერთმა გააღოს ფანჯარა, გადავიდეს, გაირბინოს ტერასა (ალექსმა სწორედ იმ ნაბიჯების ხმა გაიგო), შევიდეს გვერდითი კარიდან, ესროლოს ქრისტიან გულბრანდსენს და ისევე უკან გამოიქცეს. ამ ხნის განმავლობაში კი მეორე პიროვნება კაბინეტში ქმნის ორივე ხმის ილუზიას ისე, რომ ჩვენ ყველა დარწმუნებული ვართ, იქ ორი ადამიანია. ნამდვილად ასეცაა, მთელი ამ ამბის განმავლობაში კაბინეტში ორი ადამიანი იყო, გარდა იმ ორ წუთზე ნაკლები პერიოდისა.

ინსპექტორმა კარიმ სული მოითქვა და ხმაც ამოიღო.

— თქვენ ფიქრობთ, რომ სწორედ ედგარ ლოუსონმა გაირბინა ტერასა და ესროლა გულბრანდსენს? სწორედ ედგარ ლოუსონმა მოწამლა ქალბატონი სეროქოლდი?

— იცით რა, ინსპექტორო, ქალბატონი სეროქოლდი არავის მოუწამლავს ეს მხოლოდ და მხოლოდ გზის ასაბნევადაა მოგონილი. ვილაცამ ძალიან კკვიანურად გამოიყენა ის ფაქტი, რომ ქალბატონი სეროქოლდის დარღვევის ნიშნები ემთხვეოდა დარიშხანით მოწამვლის ნიშნებს. ეს ცნობილი ფაქტი ადამიანს გზაკვალი აუჩიო. ტონუსის მიმცემ წამალში დარიშხანის ჩამატებას რა უნდა. არც ისაა ძნელი, ერთი-ორი სტრიქონი მიუმატოვებოდა წყევლის. მაგრამ ბატონი გულბრანდსენის ჩამოსვლის ნამდვილი მიზეზი, სავარაუდოა, დაკავშირებული იყოს გულბრანდსენის მეურნეობის მოგვარებასთან ფაქტიურად, ფულს ეხება საქმე, გაფლანგვას, ძალიან დიდი თანხის გაფლანგვას. გესმით, ეს ვისზე მიგვანიშნებს? მხოლოდ ერთ პიროვნებაზე...

ინსპექტორმა კარიმ განცვიფრებისაგან პირი დაალო: „ლუის სეროქოლდს გულისხმობთ?“ — უნდობლად წაიჩურჩულა.

— ლუის სეროქოლდს... — თქვა მისს მარფლმა.

X X I I თ ა ვ ი

ნაწყვეტი ჯინას წერილიდან ქალბატონ ვენ რიდოკისადმი:

...ასე რომ, როგორც ხედავთ, ძვირფასო დეიდა რუთ, მთელი ეს ამბავი რაღაცნაირად კოშმარული იყო, განსაკუთრებით დასახრული. მე თქვენ უველაფერი ვიამბეთ ამ სასაცილო ედგარ ლოუსონზე. ისედაც ძალიან მშინარა იყო, ხოლო როცა ინსპექტორმა მისი დაკითხვა დაიწყო და გატეხა, უარესად შეშინდა და კურდღელივით ცახცახს მოჰყვა. ნერვებმა უმტყუნა და გაიქცა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. გადაბტა ფანჯრიდან, საბლს შემოურბინა და ბილიკზე დაეშვა. იქ კი პოლიციელი გადაუდგა. მან გადაუხვია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ტბისკენ მოკურცხლა. ჩანტა ერთ ძველ, დამპალ ნავში, რომელიც წლების მანძილზე იქ ეგდო, და ნაპირს მოხწყდა. ეს სიგიჟე იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ, როგორც ვამბობ, თავზარდაცემული კურდღელივით იქცეოდა. ამ დროს ლუისმა ერთი ძლიერად დაიყვირა, ეს ნავი დამპალიაო, და თვითონაც ტბისკენ დაეშვა. ნავი ჩაიძირა, ედგარი კი წყალში ფართხალებდა. მან ცურვა არ იცოდა. ლუისი გადაბტა და მასთან მიცურდა, მაგრამ ორივეს გაუჭირდა, რადგან ლელქაშში გაიხლრთნენ. ინსპექტორის ერთ-ერთი თანაშემწე წელზე თოკშებმული შევიდა წყალში, მაგრამ ისიც გაიხლართა და ძლივს ამოათრიეს. დეიდა მილდრიდი უაზროდ იმეორებდა: „დაიხრჩვებიან... დაიხრჩვებიან... ორივე დაიხრჩვება...“ დიდედამ მხოლოდ ეს თქვა: „დიახ“. ვერაფრით აგიწერთ, როგორ წარმოთქვა მან ეს ერთი ხიტყვა „დიახ“, თითქოს დაშნა გამიყარესო.

სულელი და ზედმეტად ემოციური ვარ, არა? მე მგონი, ვარ. მაგრამ ნამდვილად ასე აღვიქვი...

და მერე, როცა უველაფერი დამთავრდა, როცა ისინი ამოიყვანეს და სცადეს ზელოვნურად ესუნთქებიანთ (მაგრამ ამოღ), ინსპექტორი მოგვიახლოვდა და დიდელას მიმართა:

— ვშიშობ, ქალბატონო სეროქოლდ, ამათ პრაფერი ეშველებათ.

დიდედამ მშვიდად მიუგო:

— მადლობთ, ინსპექტორო.

შემდეგ უველას გადმოგვხედა: მე, რომელსაც მწყუროდა მისი დახმარება, მაგრამ არ ვიცოდი როგორ დავხმარებოდი; ჯოლის — ერთდროულად ხიმკაც-

რეცა და სინაზეც რომ ეწერა სახეზე და, როგორც ყოველთვის, მზად იყო სამსახური გაეწია მისთვის: ხტივენს — ხელები რომ გაეწვდინა მისთვის; იმ სახაცილო მოხუც მისს მარჯვლს, ასეთი ნაღვლიანი და დაქანცული რომ იყო; და უოლიხაც, რომელიც აღელვებული ჩანდა. ყველას ძალიან გვიყვარდა, იგი, ყველაზე მისი დახმარების სურვილით ვიყავით შეპყრობილნი.

დიდებამ კი მხოლოდ ეს თქვა: „მილდრიდ“, დეიდა მილდრიდსაც ერთი სიტყვა აღმოუხდა: „დედა“, და ისინი ერთად გაემართნენ სახლისკენ. დიდებდა — დაჩივებულა, უსუსური — დეიდა მილდრიდს ეურდნობოდა, აქამდე არ ვიცოდით, თუ ასე უყვარდათ ერთმანეთი. ეს არ შეიმჩნეოდა, იცით, მაგრამ თურმე ასე იყო.

ჩინამ შეისვენა და კალმის ბოლო ჩაიდო პირში. მან ასე დაამთავრა:

რაც შეგვეხება უოლიხა და მე, შტატებში დაბრუნებას ვაპირებთ, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნება...

X X I I I თ ა მ ი

— როგორ მიხვდი, ჯეინ?

მისს მარჯლი შეყოვნდა. სანამ პასუხს გასცემდა დაფიქრებულმა შეხედა ორ ადამიანს. კერი ლუიზს — სიფრიფანა, უნესურ და თანაც სოცრად მშვიდ, აუღელვებელ ქალს და კეთილად მომღიმარ, თეთრ ხშირთმიან ხნიერ მამაკაცს, დოქტორ გელბრეიტს, კროუმერის ეპისკოპოსს.

ეპისკოპოსმა კერი ლუიზის ხელი თავის ხელში მოიტკიცა.

— დიდი უბედურება დაგატყდა საბრალო შვილო ჩემო, თავზარდამცემი.

— დიახ, უბედურება დამატყდა, მაგრამ თავზარი არ დამცემია.

— არა, — თქვა მისს მარჯლმა. — იცით, სწორედ ეს აღმოვაჩინე. ყველა ამას ამბობდა, კერი ლუიზი სხვა სამყაროში ცხოვრობს. სინამდვილესთან არავითარი შეხების წარტილი არა აქვსო. მაგრამ, კერი ლუიზ, რაათანაც შენ გქონდა შეხების წერტილი, სწორედ ისაა სინამდვილე და არა ილუზია. შენ სხვებივით არასოდეს მოტყუებულხარ ილუზიით, როცა ამის მოულოდნელად მოხვდი, დავინახე, რომ იმას უნდა ჩავჭიდებოდით, რასაც შენ ფიქრობდი და გრძნობდი. შენ სრულიად დარწმუნებული იყავი, რომ არავინ ცდილობდა შენს მოწამვლას, არ გჭეროდა და მართალიც იყავი, რომ არ გჭეროდა, რადგან ეს ასე არ იყო! არ გჭეროდა, რომ ედგარი ლუისს რამეს დაუშავებდა — და კვლავ მართალი გამოდექი. ის ლუისს არასოდეს არაფერს დაუშავებდა. შენ გწამდა, რომ ჩინას თავისი მუუღლის გარდა არავინ უყვარდა — და ესეც არული სიმართლე გამოდგა.

ამიტომ, როცა შენს ალლოს მოვენდე, ყველაფერი ის, რაც სინამდვილე შეგონა, მხოლოდ ილუზია აღმოჩნდა. გარკვეული მიზნით შექმნილი ილუზია — ისევე, როგორც ილუზიონისტი ქმნის ილუზიას მაყურებლის მოსატყუებლად. ჩვენ მაყურებელი ვიყავით.

ალექს რესტარიკმა პირველმა მიაგნო სიმართლის ნაპერწკალს, რადგან მას საშუალება ჰქონდა ყველაფერი სულ სხვა მხრიდან დაენახა — გარედან. ის ინსპექტორთან ერთად იყო ბილივზე და როცა სახლს შეხვდა, დარწმუნდა, რომ მკვლეელი შეიძლება ფანჯრიდან გადასულიყო, და გაახსენდა გაქცეული ადამიანის ნაბიჯების ხმა, რომელიც მან იმ დამით გაიგონა. შემდეგ

გაახსენდა ექსპერიმენტი: კონსტებლი რომ გადაძვრა სახლში ფანჯრიდან და ისევ უკან დაბრუნდა, ექსპერიმენტმა დაანახვა, რომ ამას ბევრად უფრო მცირე დრო დასჭირდა, ვიდრე კაცი წარმოიდგენდა. კონსტებლი ჭმინავდა, და მოგვიანებით, როცა ამ აქოზინებულ კონსტებლზე ვფიქრობდი, გამახსენდა ლუის სეროქოლდის გახშირებული სუნთქვა, როცა კაბინეტის კარი გააღო. ის ნარბენი იყო, გესმით?...

— მაგრამ ჩემთვის ედგარ ლოუსონი იყო ამ ამბავში მთავარი. რაღაც არ მომწონდა მასში. ყველაფერი, რასაც ამბობდა და აკეთებდა, თავისთავად სარწმუნო იყო, მაგრამ თვითონ ედგარი არ იყო დამარწმუნებელი. რადგან ის ფაქტიურად ნორმალური ახალგაზრდა კაცი შიზოფრენიით დაავადებულის როლს თამაშობდა — მაგრამ გადააჭარბა. არაბუნებრივი იყო.

ყველაფერი ძალიან ფრთხილად და მოფიქრებულად უნდა ყოფილიყო დაგეგმილი. ქრისტიანის უკანასკნელი ვიზიტის დროს ლუისი, ეტყობა, მიხვდა, რომ მას რაღაცამ ეჭვი აღუძრა. ის ქრისტიანს საკმაოდ კარგად იცნობდა და იცოდა, თუ ის ეჭვს აიღებდა, არაფრით არ მოისვენებდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ მისი ეჭვი ან საფუძვლიანი ან კიდევ უსაფუძვლო იყო.

კერი ლუიზი შეირბა.

— დიახ, — დაეთანხმა იგი. — ქრისტიანი ასეთი იყო, დინჯი და გულმოდგინე, და თანაც ძალიან გონიერი. არ ვიცი, რამ აღუძრა ეჭვი, მაგრამ მან დაიწყო ძიება და აღმოაჩინა კიდევ სიმართლე.

ეპისკოპოსმა თქვა:

— თავს დამნაშავედ ვთვლი, რადგან უფრო კეთილსინდისიერი მეურვე არ გამოვდეჭი.

— თქვენ არ მოგეთხოვებოდათ ფინანსებში გარკვევა. — უპასუხა კერი ლუიზმა. — თავიდან ეს ბატონი გილფოის საქმე იყო. შემდეგ, როცა ის გარდაიცვალა, ლუისმა ჩაიბარა, რადგან დიდი გამოცდილება ჰქონდა, და მთელი ფინანსები მის ხელში მოექცა. რა თქმა უნდა, სწორედ ამ სურვილით იყო იგი შეპყრობილი. — კერი ლუიზს ლოყები შეეფაკლა. — ლუისი დიდი პიროვნება იყო, ფართო პორიზონტის კაცი, და მტკიცედ სწამდა ფულის ყოველისშემძლეობა. ფული თავისთვის არ სჭირდებოდა — ყოველ შემთხვევაში, სიხარბე არ ამოძრავებდა — მას მხოლოდ ძალაუფლება უნდოდა, რასაც ფული ანიჭებს ადამიანს; მას უნდოდა ძალაუფლება, რათა დიდი და კეთილი საქმეები ეკეთებინა...

— მას უნდოდა, — თქვა ეპისკოპოსმა, — ღმერთი ყოფილიყო, — მოულოდნელად ხმაში სიმკაცრე შეერია. — მას დაავიწყდა, რომ ადამიანი მხოლოდ ღვთის ნების აღმსრულებელი იარაღია.

— და ასე გაფლანგა მან სამეურვეო ფონდი? — თქვა მისს მარფლმა.

დოქტორი გელბრეითი შეყოყმანდა:

— მხოლოდ ეს არ იყო...

— უთხარით, — თქვა კერი ლუიზმა, — იგი ჩემი ძველი მეგობარია.

ეპისკოპოსმა დაიწყო:

— ლუის სეროქოლდი იყო ის პიროვნება, ვისაც შეიძლება ფულის ჯადოქარი უწოდო. იმ წლებში, როცა საბუღალტრო საქმე უმაღლეს დონეზე ჰქონდა დაყენებული, თავს იმით იქცევდა, რომ მოტყუებისა და ფულის გამოძალვის ათასგვარ მეთოდს ამუშავებდა. რაც პრაქტიკულად უწყინარი რამ

გახლდათ. ეს იყო წმინდა თეორია. მაგრამ, როცა ერთხელ ის შესაძლებლობა-
ნი გაითვალისწინა, რაც უზარმაზარ თანხას გააჩნდა, მან ცხოვრებაში თავისი
მეთოდები განახორციელა. იცით, მის განკარგულებაში პირველი კლასის მა-
სალა იყო: იმ ბიჭებიდან, ვისაც მის ხელში გაუვლია. ერთი პატარა ჯგუფი
შეადგინა. ესენი ის ბიჭები იყვნენ, რომელთაც მიღრეკილება ჰქონდათ დანა-
შაულისაკენ, რომელთაც მღელვარე ცხოვრება იტაცებდათ და დიდი გამჭრია-
ხობით იყვნენ დაჯილდოებულნი. ჩვენ ჯერ საფუძვლიანად არ ვიცით ყველა-
ფერი, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ეს ჯგუფი გასაიდუმლოებული და საგანგე-
ბოდ გამოწვევით იყო, ხოლო მოგვიანებით მისმა წევრებმა პოსტები დაი-
კავეს და, ლუისის განკარგულებებს რომ ასრულებდნენ, ისე ოსტატურად შე-
თითხნენ საბუთები. ეჭვიც არავის გასჩენია, უზარმაზარი თანხები თუ იფლან-
გებოდა. მე მივხვდი, ეს ფინანსური ოპერაციები და მათი შედეგები ისეა ჩახ-
ლართული, რომ თვეებია საჭირო, სანამ რევიზორი ყველაფერს გამოარ-
კვევდეს. მაგრამ შედეგი ამ ოპერაციებისა ისაა, რომ სხვადასხვა სახელის, სა-
ბანკო ანგარიშისა და კომპანიის მეშვეობით, ეტყობა, ლუის სეროქოლდმა
ხელში ჩაიგდო კოლოსალური თანხები, რითაც ოკეანგაღმა ექსპერიმენტული
კოლონიის დაარსებას აპირებდა, სადაც ყმაწვილი დამნაშავეები უსათუოდ გა-
ხდებოდნენ მთელი ტერიტორიის ბატონ-პატრონები და შეუდგებოდნენ მის
მართვას. ფანტასტიკური ოცნებაა...

— ეს ის ოცნებაა, რომელიც შეიძლებოდა სინამდვილედ ქცეულიყო. —
თქვა კერი ლუიზმა.

— დიახ, შეიძლებოდა სინამდვილედ ქცეულიყო, მაგრამ ის თანხები,
ლუის სეროქოლდმა რომ მიითვისა, უპატიოსნო თანხები იყო. ქრისტიან გულ-
ბრანდსენმა სწორედ ეს აღმოაჩინა. ის საშინლად აღელდა, განსაკუთრებით
მაშინ, როცა მიხვდა, თუ როგორ ტკივილს მოგაყენებდათ თქვენ, კერი ლუიზ,
ეს აღმოჩენა და ლუისის მიმართ ბრალდების წაყენება.

— სწორედ ამიტომ შევითხებოდა, გულს ხომ არ უჩივო, ეტყობა, ჩემი
ჯანმრთელობა აწუხებდა. — თქვა კერი ლუიზმა, — მე კი ვერაფერს მივხვდი.

— შემდეგ ლუის სეროქოლდი დაბრუნდა ჩრდილოეთიდან და ქრისტი-
ანიც გარეთ. ეზოში შეხვდა და აცნობა, რომ იცოდა, რაც ხდებოდა. ვფიქ-
რობ, ლუისმა ეს მშვიდად მიიღო. ორივენი შეთანხმდნენ, რომ უნდა ყველა-
ფერი ეღონათ, ოღონდ თქვენ არ გაგეგოთ ეს ამბავი. ქრისტიანმა უთხრა,
რომ მე მომწერდა წერილს და მთხოვდა, ჩამოვსულიყავი როგორც თანამე-
ურვე, რათა გამოსაველი გვებოვა.

— მაგრამ, რა თქმა უნდა, — თქვა მისს მარტლმა, — ლუის სეროქოლდი-
სათვია ეს მოულოდნელი ამბავი არ იყო. ყველაფერი დაგეგმილი ჰქონდა. მან
სახლში მოიყვანა ახალგაზრდა, რომელსაც უნდა ეთამაშა ედგარ ლოუსონის
როლი. არსებობდა ნამდვილი ედგარ ლოუსონი, რა თქმა უნდა, იმ შემთხვე-
ვაში, თუ პოლიცია მისი ვინაობით დაინტერესდებოდა. ამ ცრუ ედგარმა ზუს-
ტად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა — უნდა ეთამაშა შიზოფრენიით შეპყრო-
ბილი არსების როლი, რომელსაც აკვიატებული ექნებოდა, რომ სდევნიდნენ,
და ლუის სეროქოლდისთვის რამდენიმე წუთის ალიბი მიეცა. შემდეგი ნაბი-
ჯიც მოფიქრებული ჰქონდა: ლუისმა მოიგონა, რომ შენ, კერი ლუიზ, ნელ-
ნელა ვიღაც გწამლავდა — თუ კაცი ჩაუფიქრდება, შერჩება მხოლოდ ლუისის
ნათქვამი, ქრისტიანმა მითხრა ეს ამბავიო, — და კიდევ, პოლიციის მოლო-
დინში რამდენიმე სტრიქონი მიაბეჭდა წერილს. ტონუსის ამწევი საშუალება-

სთვის დარიშხანის დამატებას რაღა უნდოდა. შენთვის სახიფათო არაფერი იყო, ვინაიდან მას ხელი უნდა შეეშალა, რომ მართლა არ დაგეცხა. ამას დაემატა შოკოლადებიც — რა თქმა უნდა, თავიდან შოკოლადი მოწამლული არ იყო — ლუისმა მხოლოდ რამდენიმე ცალი შეცვალა მოწამლულით, ვიდრე ინსპექტორ კარისთან მოხვდებოდა.

— და ალექსი მიხვდა, — აღნიშნა კერი ლუიზმა.

— დიახ... ამიტომაც მოაგროვა შენი დაჭრილი ფრჩხილები. ამით გაიგებდნენ, მართლა დიდი ხანი იყო, რაც დარიშხანს გაძლევდნენ თუ არა.

